

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი

პრიტიპა

16

თბილისი

2021

UDK(უაკ) 22.09(051.2)
კ-847

რედაქტორი მანანა კვაჭანტირაძე

სარედაქციო საბჭო:

ლალი ავალიანი
თეიმურაზ დოიაშვილი
თამაზ გასაძე
სამსონ ლეუავა
ადა ნემსაძე
ლელა ოჩიაური
ირმა რატიანი
მაკა ჯოხაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
თინათინ დუგლაძე

გარეკანის დიზაინი:
სოსო ტაბუცაძე

რედაქციის მისამართი: 0108, თბილისი,
მერაბ კოსტავას ქ. №5
ტელ. 99-53-00; E-mail: litinstituti@yahoo.com

ISSN 0206-5746

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში
0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel. 995 (32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge

ადა ნემსაძე

„მოზელილ ტალახს შეყოლებული“ მოურჩენელი
ტკივილები
(ბექა ქურთულის „თვალდაკარგული ყივჩაღის
ჩანაწერები ანუ დეშტი-ყიფჩაღი“)

„რა სჭირს ადამიანს? რა შეაყოლა ღმერთმა ტალახს ამისთანა
მოურჩენელი?“ – ეს ის კითხვაა, რომელიც ბექა ქურთულის ახა-
ლი რომანის პირველივე გვერდებიდან ჩნდება და დიდხანს რჩება
გონებაში, იმის მერეც, კითხვას რომ მორჩები და წაკითხულის
გაანალიზებას იწყებ. რომანი პოლიფონია და, ბუნებრივია, ამ
სისტემით შექმნილი მხატვრული ტექსტის სხვადასხვა შრეზე ბევ-
რი განსხვავებული თუ ერთმანეთან დაკავშირებული პრობლე-
მა იკვეთება, მაგრამ მთავარი, რაც მსჯვალავს ყველა ფენას და
შრეს, ზედაპირზეც დევს და სილრმეშიც მოჩანს, არის სწორედ ის
პირველი კითხვა, რითაც დავიწყეთ.

„თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერების ანუ დეშტი-ყიფჩა-
ღის“ შექმნას საინტერესო ისტორია აქვს. როგორც თავად ერთ
ტელეინტერვიუში ამბობს ავტორი, მისი წერა წლების წინ და-
უწყია, მაგრამ მერე თავი მიუწებებია; თუმცა ყოველთვის ვიცო-
დი, რომ დავწერდი, თუკი ამ ცხოვრების ფათერაკებს გადავურ-
ჩებოდი, რაც არასდროს მომკლებიაო. ამ აღიარებამ უნებურად
გამახსენა თომას მანის სიტყვა – „წინათქმა „ჯადოსნურ მთაზე“
– რომელიც მან პრინსტონის უნივერსიტეტის სტუდენტებთან
საუბრისას წარმოოთქვა: „ჯერ კიდევ ათი წლის წინ ამ ორი ტო-
მის დაწერა შეუძლებელი იქნებოდა და ვერც თავის მკითხველს
იპოვიდა. ამისთვის საჭირო იყო მოვლენები, რომლებიც ავტორმა
თავის ხალხთან ერთად გადაიტანა; მოვლენები, რომელთათვისაც
დაწდომა უნდა ედროვებინა და მოემნიფებინა ხელოვნებისთვის,

რათა თავის პირმშოსთან ერთად ეთქვა სათქმელი” (მანი 2010: 95). როგორც ჩანს, ბექა ქურხულის ამ რომანსაც დასაწერად წლების გამოცდილება, რაღაც დაწყებული პროცესების (პიროვნული იქნება თუ საზოგადოებრივი) დასრულება, გარკვეული მოვლენებიდან დისტანცირება სჭირდებოდა, რათა სხვანაირად დაენახა თუნდაც უახლოეს წარსულში ქვეყნის (ადამიანის) მიერ განვლილი გზა; მხატვრულ ტექსტში ხომ ერისა და პიროვნების ბედი ხშირად ეჯაჭვება ხოლმე ერთმანეთს და მნერალს შეუძლია, ინდივიდუალური ამბით საზოგადოებრივზე მოგვითხროს ან პირიქით. ერთი სიტყვით, საჭირო გახდა დამკვირვებლის თვალი ცოტა გვერდიდან და შორიდან (ანუ რაციონალურად და ობიექტურად) მომართულიყო და, ამასთანავე, გარკვეული პროცესებისთვის ბუნებრივად დასრულება ეცლია. შედეგად კი მივიღეთ რომანი, არა მარტო საკმაოდ მკაცრი მხილება, არამედ ჩვენი უახლოესი წარსულის ობიექტური შეფასებაც, რაც ნამდვილად სჭირდებოდა დღევანდელობას.

ნებისმიერი დიდი მოცულობის მხატვრული ტექსტისთვის, სადაც უამრავი ზედა და ქვედა დინებაა, რომლებიც მუდამ გადაკვეთენ ერთმანეთს და მნიშვნელოვან კონცეპტუალურ ქარგას ქმნიან, ერთ-ერთი უმთავრესია სათაურის პოეტიკა. „თვალდაკარგული ყივჩალის ჩანაწერებში ანუ დეშტი-ყიფჩალში“ ორი ამბავი იშლება, მაგრამ სათაურში მხოლოდ ერთ მათგანზეა მითითება. სათაურად ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, ყივჩალის, არჩევა იმაზე მიანიშნებს, რომ ტექსტში წამყვანი სწორედ ეს ნარატივია და მეორე, თბილისური ამბავი, მისი პარალელური ხაზია. მართლაც, თუ დავაკვირდებით, ყივჩალის ამბავთან შედარებით გიორგი ასათიანზე თხრობა ოდნავ მკრთალია (ეს ეხება ყველა თემას – სიყვარულსაც, თავგანწირვასაც, ვაჟკაცობასაც, ეჭვასაც და ა. შ.). ამასთან, ბაბური ე. ნ. მაძიებელი გმირია და მისი ხასიათიც უფრო ფილოსოფიურად ვითარდება (ამაზე ცოტა მოგვიანებით). თანაც ყივჩალის ამბავი თავის თავში იმ მეორე ამბავსაც გულისხმობს, რასაც ორი ფაქტორი ადასტურებს: ერთი, რომ ისინი პარალელურად ხდება დროის თანაბარ მონაკვეთში (დაახლოებით ერთ თვეში), და მეორეც, ამ მოსაზრებას ამყარებს თვით ამბების განვითარების მსგავსება და პარალელურ პერსონაჟთა და პასაჟ-

თა არსებობა, რაზეც უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ. სათაური ამავდროულად მთავარ თემაზეც მიუთითებს – ყივჩა-ლის მარჯვენა თვალის სინათლე სწორედ სიყვარულს ეწირება, იგი მთელი რომანის მანძილზე ნახევარი სინათლით არსებობს, თუმცა გაცილებით მეტს და ღრმად ხედავს, ბევრსაც ახერხებს და სიყვარულისთვისაც უფრო შეუპოვრად იბრძვის, ვიდრე საღ-სალამათი თბილისელი ბიჭი. გარდა ამისა, ავტორის ამ არჩევან-ში ჰერმენევტიკული მეთოდის მოშველიებითაც ბევრი რამის ამო-კითხვა შეგვიძლია: საუკუნეების წინანდელ სამყაროში სიყვარუ-ლი უფრო მძაფრია და თავგანირული; ადამიანი უფრო ნამ-დვილია და მისი გრძნობებიც არაა გაორებული, როგორც ეს თა-ნამედროვეობაშია; იქ, სადაც განვითარებული ცივილიზაციის პირმშო ამბიციური ადამიანი არ ცხოვრობს, საკუთარი ადგილისა და დანიშნულების მიხვედრა უფრო მარტივია, მისის შესრულე-ბაც, მართალია, დიდი ძალისხმევის ფასად, მაგრამ შესაძლებე-ლია, განსხვავებით თანამედროვე სამყაროსგან, სადაც ეს შეუძ-ლებელი ხდება ზოგჯერ მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო და ა.შ.

პირველი, რაც კითხვის დაწყებისთანავე თვალში გხვდება და ინტერესში გაგდებს, არის ეს ორი სხვადასხვა სიბრტყეზე მიმ-დინარე ამბავი, რომელთაც თავიდან თითქოს ვერც აკავშირებ, რადგან ერთი შეხედვით ერთმანეთთან ნაკლები საერთო აქვთ, თუმცა სიუჟეტური ხაზის განვითარებასთან ერთად ცხადი ხდე-ბა, რომ ისინი ერთხელაც საბედისწეროდ გადაიკვეთებიან სად-ლაც. აქ აუცილებლად უნდა ვახსენოთ მოლოდინის ჰორიზონტი (რეცეფციული ესთეტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ტერმინი), რო-მელიც ესთეტიკური, ფსიქოლოგიური თუ სოციალური წარმოდ-გენების მთელ კომპლექსს მოიცავს და ნაწარმოებისა და მკით-ველის ურთიერთმიმართებას განსაზღვრავს. როგორც ჰ. რ. იაუსი ამბობს, გაცილებით მნიშვნელოვანია მკითხველის მოლოდინის ჰორიზონტი (ნაწარმოების მოლოდინის ჰორიზონტი ისედაც ფიქ-სირებულია, კოდირებულია ტექსტში), რადგან იგი მუდმივად იც-ვლება იმდენად, რამდენადაც რეციპიენტის აღქმაზეა დამოკი-დებული და საზრდოობს უკვე ცნობილი ფორმებისა და უანრების წესებით, წარმოდგენით ხელოვნებასა და საზოგადოებაზე, იყენებს

ადრე აღქმული ტექსტების გამოცდილებას... ამ ორი ჰორიზონტის ურთიერთობის პროცესში კი ხორციელდება ნაწარმოების რეცეფცია და ყალიბდება მკითხველის ესთეტიკური გამოცდილება (მოლოდინის ... 2002: 221). მოლოდინის ჰორიზონტი მკითხველისა, რომელიც ორი დამოუკიდებელი ამბის განვითარების მოწმეა, თავიდან შეზღუდულია და წელ-წელა ფართოვდება სიუჟეტური ხაზის კვალდაკვალ. ასე თანდათან ჩნდება მინიშნებები და ინყება ფიქრი – რა საერთო აქვს ამ ორ ამბავს, როდის და რომელ სიბრტყეზე დაუკავშირდებიან ისინი ან როგორ შეუთავსდებიან ერთმანეთს, როცა დრო-სივრცით, სოციალურ-პოლიტიკური ვითარებითა და რელიგიურ-კულტურული ფასეულობებით ასე რადიკალურად არიან დაშორებულნი? თუმცა ესთეტიკური ეფექტის სიდიდეს სწორედ ის მოულოდნელობა განაპირობებს, რომელიც სიუჟეტის განვითარების გარკვეულ ეტაპზე იჩენს თავს და მკითხველიც ამის მერე კიდევ უფრო გაცხოველებული ინტერესით მიჰყება ტექსტს.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ რომანში ორი ამბავი იშლება – სხვადასხვა დროსა და სივრცეში გათამაშებული განსხვავებული რელიგიური მრნამსისა და მენტალიტეტის ორი ახალგაზრდა კაცის თავგადასავალი – რეალურად იგი ერთია; ადამიანიც ერთია, ზოგადად ადამიანია, ერთი გზაა წინააღმდეგობებითა და პრობლემებით აღსავსე, თავისი ბეჭნიერებითა და უბედურებით, სიყვარულითა და სიძულვილით, ვწებითა და შიშით, ბრძოლითა და მშვიდობით; ესაა ცხოვრება ერთი ჩვეულებრივი წესიერი და კარგი ბიჭისა, რომელიც ხანდახან ცუდასაც სჩადის, რადგან ყოველთვის სწორი, ღირსეული გადაწყვეტილების მიღება ვერ ხერხდება. უბრალოდ, ამბის ორად გაჭრა და განცალკევება ავტორის ერთგვარ ექსპერიმენტად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რათა, ერთი მხრივ, უკეთ გამოჩნდეს, რომ დრო და ადგილი ბევრს ვერაფერს ცვლის და ამ მზის ქვეშ მარადიული პრობლემები მარადიულად აწუხებს ადამიანს; მეორე მხრივ კი, დროისა და მსოფლმხედველობის ცვლილებას მაინც მოაქვს რაღაცების ახლებურად გადააზრება, შეხედულებების ტრანსფორმაცია, ბეჭნიერებისა და სამყაროსთან ჰარმონიული ურთიერთობის ჩამოყალიბებას სხვადასხვა დროში განსხვავებული ბარიერები ეღობება წინ და ა. შ.

ამ ორი ამბის საერთოობას ტექსტში ბევრი რამ მიანიშნებს – ცალკეული დეტალები, პასაჟები თუ პარალელური პერსონაჟები: გიორგი ასათიანი და ბაბური, ვაჟიკო და შლეგი ალლაჰინაზარი, სოფა და ზულეია; ორივე მთავარი პერსონაჟი ადრევე კარგავს მამას და უმამობა კიდევ ერთ ბარიერად ექცევათ, გარკვეული შიშისა და სისუსტის განმაპირობებელი ხდება, როგორც ყველაზე ძლიერი ორიენტირის დაკარგვა ცხოვრებაში, რის შემდეგაც ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება თავად უნდა მიიღონ მხოლოდ საკუთარი მწირი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და დიდი პასუხისმგებლობის ფასად; გიორგისაც მარჯვენა თვალში მოარტყამს კოკა ტყვიას და თვალს გაუხვრეტს; იმქვეყნად გადასული გიოს სული კამეჩებიან ორთვალას და თეთრწვერა კაცს ხვდება, რომელიც ერთდროულად გიოს მამაცაა და ბაბურისაც; სიძის მოკვლის შემდეგ აფხაზეთში დასამალად მიმავალ ზუკას ზუგდიდში, ჯვრის ასახვევთან, ცხენთან ერთად მომავალი მარჯვენა თვალგამოთხრილი უცნაური კაცი მოელანდება; ერთად-ერთი ძმისშვილის სიკვდილის შემდეგ მონაზვნად ალკეცილ ნუნუკას, ან უკვე დედა მარიამს, სიზმარში მონასტერში ვიღაც უცხო ცალთვალა შუაზიელი შემოუვარდება, რომელსაც მაშინვე კარისკენ მიაბრძანებს. მერე კი, რომ შეეცოდება და პურითა და წყლით გამასპინძლებას დააპირებს და უკანაც გაეკიდება, საკუთარი თვალში ტყვიამოხვედრილი ძმისშვილი შერჩება ხელში; იმ ღამით, როცა ავსული გული თავს დაესხმება სათარეშოდ წასული ყივჩალების ბანაკს და მანსურს შეჭამს, ამ ყველაფერს პარალელურად ბაბური სიზმარშიც ნახულობს, სადაც გულს აშკარად სოფას ვიზუალური ნიშნები აქვს (წითური თმა, გრძელი ცხვირი, ყვითელი თვალები)...

ამბის ორ, ერთმანეთისაგან საუკუნეებით დაშორებულ დროში გადატანა საკუთრივ ეპოქათა პრობლემებსაც ააშკარავებს. უპირველესი თემა რომანში, რომელზეც უნდა ვისაუბროთ, **სიყვარულია**. გულწრფელი, უძლიერესი და საოცრად ვნებიანია ყივჩალის გრძნობა, ვერ აჩერებს ვერც მტერი, ვერც მოყვარე და ვერც საფრთხე, ეს აკრძალული სიყვარულია, სიცოცხლის რისკის ფასია მიჯნურთა ყოველი შეხვედრა ორივესთვის, მაგრამ ამაზე არავინ ფიქრობს, ეს ვერ აკავებს მოზღვავებულ და

ყოვლისწამლებავ ვნებას (სხვათა შორის, ყივჩაღის სახესთან უმართავი და გაუკონტროლებელი ვნების დაკავშირება ჩვენი ლიტერატურისთვის საკმაოდ ცნობილი თემაა). მეორე მხრივ კი, სრულიად სხვაგვარი გაგება მოუტანია დროს 21-ე საუკუნის ადამიანისთვის. გიოს თითქოს ორი ქალი უყვარს ერთდროულად, ერთი მიუწვდომელია, მეორე კი გვერდითაა, თითქოს ორივესთან კარგად გრძნობს თავს, იმის ფიქრიც კი უჩნდება, ვითომ რატომ არ შეიძლება, ორივე უყვარდეს ერთდროულად: „იქნებ არანაირი სიყვარული და გრძნობები არ მაქვს და უბრალოდ ამოვიჩებე და ავიხირე ბავშვობიდან?.. კლასიკური ორი წლით უფროსი თან-შეზრდილი გოგოს სიყვარული. და ნატა არ მიყვარს? მიყვარს და თან ძალიან მაგრად მიყვარს. ვინც ისა თქვას, ორის ერთად სიყვარული და გამოუვალი სიტუაციები არ არსებობსო, იმის სულელი დედა ვატირე მე...“ (ქურხული 2020: 195). ეს ერთგვარი გაორება თანამედროვე ეპოქის ნიმანია, მყარ ფასეულობათა მორღვევის პირობებში ბევრმა რამემ განიცადა მოშლა და ტრანს-ფორმაცია. საკუთარ ღვთიურ სანყისს მოგლეჯილი ადამიანი თითქოს ბრმასავით დადის სამყაროში, სადაც ჭეშმარიტებასაც ეძებს და თავშესაფარებელ ადგილსაც, მაგრამ ამაოდ. ამ სიტუაციაზე ჯერ კიდევ 20 წლის ნინ წერდა ზურაბ ქარუმიძე: „პოსტმოდერნიზმის ნანგრევებში მოხეტიალე თაობას კვლავ უდგება სტაბილურ ღირებულებათა პრობლემა. მავანმა თავი შეაფაროს იქნება 10 მცნებას ან სხვა ტრადიციულ ღირებულებებს, ხოლო მათ, ვინც ვერ ახერხებს იქ დაყუდებას, ქმედება უწევთ გამრუდებულ, პარადოქსულ სივრცეში“ (ქარუმიძე 2001: 39). ასე ცხოვრობს გიორგი ასათიანიც. ღმერთისკენ მიმავალ გზას მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება გვერდს უვლის და სხვაგან მიდის. ის ქალაქური თუ ძველბიჭური უცნაური კოდექსი, რომელიც მეგობრის დის შეყვარებას კრძალავს, ბედნიერების უფლებასაც ართმევს. ამიტომაც საბოლოოდ ეს მრავალწლიანი საიდუმლო გრძნობა, რომელიც ნატას სიყვარულზე გაცილებით მძაფრია, ბოლოს საბედისწეროც აღმოჩნდება. „ძმაკაცის დის შეყვარება არ მოსულა, ძმა“ – უსიყვარულო ცხოვრება კი ცხოვრება არაა, მხოლოდ ბრძოლაა, გაძლება და არსებობა.

სიყვარული სამყაროს მამოძრავებელი ძალაა და მის გადა-
სარჩენად ყველაფერი უნდა მოიმოქმედოს ადამიანმა – ესაა
რომანის ძირითადი კონცეფცია. ყველა პრობლემიდან მაინც ამ
უმთავრესთან მოვდივართ, წაგებული ბრძოლიდან დაბრუნე-
ბული თბილისელი ბიჭიც, საკუთარი ადგილი რომ ვერა და
ვერ უჰვივია ამ არეულ ქვეყანაში, სიყვარულში ექებს ხსნას და
თარეშიდან გმირის სახელით დაბრუნებული ყივჩაღიც სიცოცხ-
ლის რისკის ფასად თავის ზულეიას დასაბრუნებლად მიდის
მეზობელ ყიშლაღში. ყოვლისმომცველი სიყვარულის მოტივი
ქართული მწერლობისთვის ახალი არაა და ჯერ კიდევ რუსთა-
ველიდან მოდის, როდესაც მიწიერი, ადამიანური გრძნობა
ლვთაებრივამდე ამაღლების საშუალებას იძლევა („მართ მასვე
ჰპაძვენ“). „თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერებში ანუ დეშთი-
ყიფჩაღშიც“ ეს ხაზია გატარებული, როდესაც ბაბური ადამიანის
ყველაზე უდიდეს მოვალეობად და უბირველეს მისიად სიყვარულს
მიიჩნევს და ეს ამავდროულად ლვთის ყველაზე დიდ სამსახურად
წარმოუდგება: „მე კი მგონია [...] რომ როდესაც საყვარელ ქალთან
ვცხოვრობ და ერთმანეთს ვეალერსებით, როდესაც ერთმანეთ-
ში ვერთდებით და სიყვარულისაგან და ვნებისგან თითქოს ერთ
სხეულში ვერთიანდებით, და ყოველივე ცუდს, საშინელს და ბო-
როტს ვივიწყებთ და დედამიწა, როგორც დიდი დედა, აკვანივით
ირწევა ჩვენ ქვეშ, სწორედ ამ დროს, ასე ალვავლენ ლოცვას
ყოვლადმოწყალე ალლაპისადმი და თვით უბირო ლურჯი ზეცა
გვიფარავს უფლის ნებით. და მგონია, რომ ლმერთი ყველაზე
მეტად ამ დროს იღებს ჩვენს ლოცვას, რადგან სწორედ ასე მრავ-
ლდება ადამის ძე დასაბამიდან და ასე იქნება მეორედ მოსვ-
ლამდე და ესეც უთუოდ ლვთის ნება და მისი არჩევანია“ (ქურ-
ხული 2020: 80). სიყვარული აქ არა მარტო ადამიანის უმაღლეს
მოვალეობად, არამედ ლვთის სამსახურად, სიცოცხლის გაგრ-
ძელებისა და სამყაროს ჰარმონიისათვის აუცილებელ ერთად-
ერთ პირობადაა მიჩნეული. სწორედ სიყვარული აძლევს ადამი-
ანს ლმერთამდე ამაღლების საშუალებას, რადგან „სიყუარული
ლმრთისგან არს და ყოველი, რომელსა უყუარდეს, ლმრთისგან
შობილ არს და იცის ლმერთი“ (I იოანე 4, 9). ამავე დროს, აქ ამ
გრძნობის ფილოსოფიური გააზრებაც იკითხება, რომლის მიხედ-

ვით სიყვარული საკუთარი თავის ძებნა და პოვნაა სხვაში, რაც ორ სხვადასხვა ადამიანს (მე და შენ) კი არ გულისხმობს, არამედ ორის ერთიანობას – „მე შენ ხარ“ და „შენ მე ვარ“. სიყვარულის ასეთი კონცეფცია განსაკუთრებით მძაფრად იმ განცდაში ვლინდება, რომელიც ბაბურსა და ზულეიას აკავშირებთ. ერთი მხრივ, ბაბურის გადაწყვეტილება, ნურ მუჰჰამედ ბანზე შური აღარ იძიოს, თუმც ზულეიას თავიც არ დაუთმოს მას (ნებისმიერი სხვა გზით სცადოს, ქალი მისი გახდეს), მეორე მხრივ კი, თავად ზულეიას საქციელი სწორედ ამის დადასტურებაა. იმ საოცრად ვნებიან სასიყვარულო ლამეს, რომელიც უკანასკნელი აღმოჩნდება, ქალი ურთიერთობის დასრულებას სთხოვს თვალდაკარგულ მიჯნურს: „ბაბურ! დაივიწყე ეს წყეული ყიშლალი, ეს წყეული გზა, შენი სახლიდან ჩემამდე, [...] მე უნდა გავთხოვდე. შენ ხომ იცი, რომ დანიშნული მყავს?“ (ქურხული 2020: 142). ასეთი მნიშვნელოვანი და ურთულესი გადაწყვეტილების მიღება მათი სიყვარულის ფონზე უდიდეს სულიერ და ფიზიკურ ძალებს მოითხოვს, რასაც ქალს უთუოდ იმის გაცნობიერება აძლევს, რომ ისინი უკვე განუყრელნი არიან. ზულეიამ იპოვა თავისი თავი სწორედ ბაბურში და, იმის მიუხედავად, ვისი ცოლი იქნება იგი ფიზიკურად, ამ კავშირის დარღვევა შეუძლებელია. აქ უკვე მთავარი ფიზიკური მიკუთხებულობა კი აღარაა, არამედ ის ერთიანობის განცდა, რომელიც ერთდროულად სხეულებრივიც არის და სულიერიც და რომელსაც ქალი აშკარად გრძნობს. ეს ტექსტში მოგვიანებით დასტურდება კიდეც ზულეიას ორსულობით, რადგან ბაბურის შეილის გაჩენა ამ ორი გენეტიკური ხაზის შერწყმა-გაერთიანებას ნიშნავს.

რომანის სიყვარულის კონცეფციას მჭიდრო, შეიძლება ითქვას, პირდაპირი კავშირი აქვს **თავისუფლების** პრობლემასთანაც. თავისუფლება საკუთარი თავის შეცნობის, არსებობის, ცხოვრების – ყველაფრის წინაპირობაა. „უნდა გინდოდეს, რომ იყო თავისუფალი და იქნები თავისუფალი“ (ქურხული 2020: 81), – ამბობს პერსონაჟი და აქ უნინარესად შიდაპიროვნული თავისუფლება იგულისხმება, რომელიც საფუძველთა საფუძველია. თავისუფალი ადამიანი იწყებს შემდეგ სამყაროს შეცნობას და შედეგად საკუთარი მდებარეობის განსაზღვრით ახერხებს საკუთარი თავის

გააზრებას მასში. ყველა დანარჩენი მხოლოდ ამის შემდეგ მოდის, ავსებს და აზრს სძენს არსებობას (აქ შემოდის სწორედ სიყვარული, როგორც უმთავრესი ეგზისტენცია და ბედნიერების წყარო, რომელიც შემდეგ აჩენს ღვთაებრივთან თანაზიარობის განცდასაც, რაზეც უკვე ვისაუბრეთ).

რომანის ყივჩაღური ნაწილი უფრო ფილოსოფიურია, უფრო უღრმავდება ყოფის, არსებობის, სიკვდილ-სიცოცხლისა და სიყვარულის პრობლემებს. შვიდი საუკუნის წინათ, როცა ცივილიზაციის განვითარებით, ტექნიკური პროგრესითა და დროის მიერ მოტანილი გაუცხოებით გამოწვეული ათასი პრობლემა არ არსებობს, თითქოს უფრო მეტია ცხოვრების სიყვარული, უფრო ვნებიანია ადამიანური არსებობა, არაა გადაანილებული უამრავ უსარგებლო და არასაჭირო, ხელოვნურად შექმნილ საზრუნავზე, არსებობაზე ფიქრებიც უფრო ღრმაა და კავშირი ბუნებასთანაც უფრო მჭიდრო. ვაჟუაცობის ერთადერთი ასპარეზი ბრძოლა და სათარეშოდ წასვლაა, ბედნიერების ერთადერთი წყარო კი – ქალი და სიყვარული. ფიქრიც უფრო ინტენსიურია, თითქოს დროც უფრო მეტია ამისთვის, თვითჩაღრმავებისა და დასკენების გამოტანისთვის. არადა იმ დროშიც ადვილად კლავდნენ მტერს, მონინააღმდეგეს, ხშირად ამ მტრობასაც თავად იქმნიდნენ, თუმცა ფიქრი სიკვდილზე მისი არსის ამოსაცნობად სწორედ ყივჩაღთანაა უფრო ღრმა და არა ცივილიზებულ 21-ე საუკუნეში: „[...] მივხვდი, როდესაც პირველად მოვკალი კაცი და დავლიე ადამიანის, თუნდაც მტრის სისხლი, რომ მკვლელობა თვით უცხოსი და მტრის მკვლელობაც კი, და მით უმეტეს, შენიანის, ადამის ძის მკვლელობა და მისი ყოვლადმოწყალე ალ-ლაპის სამსჯავროზე შენი უსუსური ნების მიხედვით დროზე ადრე გაგზავნა სხვა არა არის რა, თუ არა თვითმკვლელობა, რომელსაც ყველა ჯამაათსა და თემს ასე მკაცრად გვიკრძალავს ჩვენი ერთადერთი შემოქმედი და დამბადებელი მაღალი ალლაპი“ (ქურხული 2020: 22). სხვისი სიცოცხლის წართმევით საკუთარი სიცოცხლის ნაწილსაც კარგავ და ასე წყვილდება მკვლელობა/თვითმკვლელობა. ყივჩაღიც აღიარებს, რომ „შენი უსუსური ნებით“ ჩადენილი მკვლელობა ენინააღმდეგება ღვთის ნებას, რითაც შენ არა მარტო ცოდვილი ხდები, არამედ საკუთარ თავსაც ინადგურებ ნელ-ნელა. სიკვდილის

ასეთი გააზრება ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია დღევან-დელ სასტიკ სამყაროში, რაც ამ რომანის სხვა ბევრ ლირსებასთან ერთად კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სათქმელია.

ყიფჩაღური ნაწილის ფილოსოფიურ პრობლემატიკაში გამორჩეულია **სიკეთე/ბოროტების** გააზრება და მისი ადამიანური აღქმა. როგორც ბრძენი ჰაქიმი ჰაფიზულლა დურანაჲმადი ამბობს, მთავარი სიკეთე/ბოროტებას შორის არჩევანის გაკეთება კი არაა, აქ ყველა ამბობს, რომ სიკეთეს ირჩევს, არამედ იმის სწორად გააზრება და განსაზღვრა, რასაც ვირჩევთ, ანუ რას ვარქმევთ სიკეთეს. ყოფის სირთულეს სწორედ ეს განაპირობებს. ადამიანს აქვს მიდრევილება იქითვენ, რომ თავისი ყველა ქცევა გაამართლოს და მას სიკეთე უწოდოს, მაგრამ ეს ყოველთვის ასეა? გამოდის, რომ სიკეთისა და მადლის სილრმისეული და არსობრივი წვდომა ადამიანური ყოფის ყველაზე რთული პრობლემა ყოფილა. „სიკეთეს და მადლს დაცვა სჭირდება. დაცვას კი ძალა!.. ხმირად პირდაპირ ფიზიკური, უხეში ძალა... იარაღი, სატევარი, ხმალი, შუბი, მშვილდ-ისარი და ქეიბური... სულიერ ძალასა და სიმამაცეზე რომ აღარაფერი ვთქვათ!“ (ქურხული 2020: 238). აქ რელიგიური დისკურსია ძალიან საინტერესო. მუსლიმი აღმსარებლობის ადამიანთა ეს საუბარი მთავარი აქცენტით სახარებისეულ იფქლისა და ღვარძლის იგავს ეხმიანება, სადაც ასევე სიკეთისა და ბოროტების გამოცალკევებასა და სიკეთის დაცვაზეა საუბარი, ოღონდ ისე, რომ ამით ეს უკანასკნელი არ დაზიანდეს. ყანის პატრონი მონებს მათ შეთავაზებაზე ყანას გავმარგლავთო, უბნება: „არა, რათა გამარგვლისას ღვარძლთან ერთად ხორბალიც არ გაგლიჯოთ. დააცადეთ, ერთად იზარდოს ორივემ მკის დრომდე. მკის დროს კი ვეტყვი მომკალთ: ჯერ ღვარძლი მოაგროვეთ და ძნებად შეჰკარით, რომ დაწვათ ისინი. ხორბალი კი ჩემს ბელელში შეაგროვეთ“ (მათე 13. 29-30). ბოროტების განადგურებას გულისხმობს ბრძენი ჰაქიმის „იარაღი, სატევარი, ხმალი, შუბი, მშვილდ-ისარი და ქეიბური“, რომლითაც ადამიანმა სიკეთე უნდა დაიცვას, ოღონდ აქ მეორე უმნიშვნელოვანესი კითხვა ჩნდება: ვისგან უნდა დაიცვას? მხოლოდ სხვებისგან თუ საკუთარი თავისგანაც? ამ კითხვებით ჰაფიზულლა ბაბურს საკუთარ ცხოვრებაზე დააფიქრებს, იგი მიმხვდარია დაუდგრომელი და შეუპო-

ვარი ყივჩალის საიდუმლოს, გრძნობს, რომ მას პირადი შურისძიების გამო გამოთხარეს თვალი, რომ რაღაცაში ისიც არ მოიქცა სწორად და უნდა ეს გაააზრებინოს, უნდა საკუთარი საქციელიც კრიტიკულად დაანახოს და დააფიქროს, შეცდომა მარტო გარეთ კი არა, შიგნითაც აძებნინოს. თუმცა, მეორე მხრივ, ბაბურისთვის წარმოუდგენელია სიყვარულზე უარის თქმა, მას უჭირს ნურ მუჰკპამედ ბანის პატიება, მაშინაც კი, როცა უკვე მიხვდება, რის-თვისაც დაუბნელეს სინათლე. უჭირს არა მარტო პატიება, გაგებაც კი. ზულეია სხვისი ვერ იქნება, ვერავის შეცილებას ვერ აიტანს, როგორც არ უნდა უმაგრებდეს ზურგს მის მოწინააღმდეგეს და ამტყუნებდეს მას სოფლის დადგენილი საუკუნოვანი ადათი. ბოლოს ჰაფიზულლა კიდევ ერთ მინიშნებასაც აძლევს ბაბურს – კითხვების დასმა და პასუხების ძება ადამიანისთვის აუცილებელია, ეს მისი გონიერი არსებობის გარდაუვალი პირობაა, ერთადერთი, ვინც კითხვებს არ სვამს, შაითანია:

„შაითანი არც კითხვებსა სვამს, არც პასუხებს ელის და არც თავად იძლევა პასუხებს.

არ ცრუობს. ასეც არ დაცემულა!

არ სჭირდება!...

უბრალოდ გთავაზობს!... დაბადებას – პირველ ცოდვაში ჩადგომას. და მერე იწყება.

ცხოვრება. მზე, მთვარე, სუნთქვა, ქალი, ამაოება, ბრძოლა, ომი, საკუთარ თავთან, ღმერთთან, უღმერთობასთან, შაითანთან, მთელ სამყაროსთან, ყველასთან, არავისთან, ყველაფერთან და არაფერთან.

ბრძოლასა და ომს კი ყოველთვის სისხლისღვრა მოჰყვება! სისხლის მდინარეები და სიკვდილი!.. სიკვდილი!.. სიკვდილი!..

აი, ეგაა სიცოცხლე!

და, აი, ეგაა ცხოვრება!..“ (ქურხული 2020: 241).

ამით ჰაქიმმა კიდევ ერთხელ მიანიშნა ბაბურს, რომ თუკი მხოლოდ საკუთარი მიზნის მიღწევას ეცდება ყოველგვარი განსჯისა და ფიქრის გარეშე, ამით სიკეთის გზას ვერ დაადგება. რადგან ადამიანს, განსხვავებით სამყაროში არსებული სხვა ცოცხალი არსებებისაგან, მოეთხოვება აზროვნება და არა ინსტინქტური ქმედებანი. მეორე მხრივ კი, ბრძოლის გარეშე წარმოუდგენელია

არსებობა, ყოფა ყოველდღიური ბრძოლაა, ყოველდღიური სისხლისღვრა, ამიტომაცაა ურთულესი სწორი გზის პოვნა, რადგან სწორი გზა ყველაზე ნაკლებ სისხლსა და ცოდვას გულისხმობს თავის თავში.

ამ საუბრის შემდეგ ბაბურის ცხოვრებაში თითქოს რაღაც ხდება, იგი მაშის ნაქონ ყურანს იღებს და იწყება ღმერთის ძიების, ადამიანური არსებობისა და ღვთაებრივ არსში ჩაღრმავების პროცესი. სწორედ აქედან ავითარებს ავტორი მისი, როგორც მაძიებელი გმირის სახეს და თანდათანობით სულიერებისა და ცნობიერების უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავს. ყურანის წაკითხვის შემდეგ ბაბური, სინანულის გზაზე დამდგარი, ფიქრობს კაცის კვლის ცოდვაზე და იმაზე, რას მიჰყავს ადამიანი აქამდე, რომ ალაპს არ უხარის, როცა მის მიერ ბოძებულ სიცოცხლეს დროზე ადრე ართმევს ერთი მეორეს. საბოლოოდ პერსონაჟის რელიგიური განცდები ისე ღრმავდება, ცნობიერების ისეთ საფეხურამდე ადის იგი, რომ გადაწყვეტს, ნურ მუჰამედ ბანის მოკვლაზეც კი აიღოს ხელი და მასთან შერიგება სცადოს, ანუ მაძიებელი გმირი ამ გზაზე ხდება მიმტევებელი. ცოტა ხნის შემდეგ ბაბურს თანასოფლელი ჯიგიტები მოაკითხავენ და სათარეშოდ წასვლას სთავაზობენ. ამ ეპიზოდში კიდევ ერთხელ იგრძნობა ის სულიერი გარდატეხა, რაც პერსონაჟში მოხდა. თავიდან ეჭვი და ყოფილი უფრო ძლიერია: „წმინდა ყურანის კითხვისა და ყოვლადმოწყალე ალლაპის სიტყვის გაცნობის შემდეგ, რომელიც მართლმორწმუნე მუსლიმთ სხვის ეზოში ხეხილისთვის ავი თვალით გახედვასაც კი კატეგორიულად გვიკრძალავს, როგორი იყო თარეშზე, დავლასა და ალაფზე წასვლა, სადაც როგორც ჩვენს, ისე სხვის სიცოცხლეს დაუნდობლად და დაუფიქრებლად ვწირავდით და სხვის საქონელს, ხვასტავსა და სარჩო-საბადებელს ვიტაცებდით...“ (ქურული 2020: 313). მაგრამ ბოლოს მაინც თავისას გაიტანენ ახალგაზრდები და ბაბურსაც ძველებურად აუდუღდება სისხლი ძარღვებში (ამ დროს იგი ჯერ კიდევ ინიციაციის პირველ საფეხურზე იმყოფება, რომელიც ჩვეული სამყაროსგან გამოცალევებას გულისხმობს). ბრძოლის დროს უკვე შესამჩნევია შიდაპიროვნულ სტრუქტურაში მიმდინარე ძვრები, რომელიც პიროვნების განვითარებას იწვევს და შერიგებასა და მიტევებას ცალსახად შურისძიებაზე მაღლა

აყენებს. ეს ბუნებრივიცაა, ძიების გზაზე ბევრი დაბრკოლების გა-დალახვა უწევს გმირს, ამის გარეშე ამაღლება წარმოუდგენელია. სათარეშოდ მიმაგალი ძეველებურ შემართებასა და ბრძოლის უინს უკვე ველარ გრძნობს: „მერამდენედ ვაკვირდებოდი საკუთარ თავს და სულ მაცვიფრებდ ა ის ამბავი, რომ ოდნავადაც ვერ ვგრძნობდი ისეთ გამთანგავ შიშს, როგორსაც ჩემ მოსისხლე მტერზე – ნურ მუჰ-ჰამედ ბანზე ნადირობისას, როდესაც მამიდაჩემ ხადი-უათის ყიშლაღში შევდიოდი მის მოსაკლავად. შიშს, რომელიც სულს მიციებდა და მთელ სხეულს ისე მიბორკავდა, როგორც ქამანდ-დადებულ ურა ცხენს, გასახედნად რომ შეიძყრობენ, კისერს მო-უგრეხენ და დასამორჩილებლად განწირულს, გრძელ, ღონიერ ფეხებს სამუდამოდ შეუბორკავენ. [...] კიდევ უფრო უცნაური ის იყო, რომ მონინაალმდევისადმი, ალალად, არანაირ სიძულვილს არ ვგრძნობდი და მანსურისა და ჩემი სხვა თანამებრძოლები-საგან განსხვავებით, მტრებად არც ალვიქვამდი. უფრო რაღაც შეჯიბრივით იყო, ვინ ვის?.. თითქოს დოლზე, ისინდზე ან კიუკ ბიურეზე ვიყავით და ერთმანეთს ნასუქ შავ თხას ვგლეჯდით ხე-ლიდან“ (ქურხული 2020: 334-335). ბოლოსაც, საკუთარ ყიშლაღ-ში დაბრუნებული სახელიანი ბაბური კიდევ ერთხელ დაფიქ-რდება, როცა დაღუპულთა ოჯახებიდან გლოვის ხმა ესმის: „თუნდაც ამხელა ან ორი ამხელა სიმდიდრისა და ალაფის გამოც კი ღირდა ამდენი სიკვდილი, უბედურება და გლოვის ძაძებში შე-მოსილი ოჯახები“ (ქურხული 2020: 359). აქ უკვე უფერულდება სხვისი სიკვდილის ხარჯზე მოპოვებული სახელი და სიმდიდ-რე და ყველაფერზე მაღლა ადამიანის სიცოცხლე ინაცვლებს. ამ გადაწყვეტილებამდე პერსონაჟი ეტაპობრივად მიდის, მის შინაგან სამყაროს ავტორი ნაბიჯ-ნაბიჯ ამაღლებს აქამდე. ეს არაა წმინდა წიგნის წაკითხვით აღძრული უბრალო ან წამიერი ემოციური განწყობილების საფუძველზე დაბადებული ფიქრი, ეს უკვე წაკითხულის ღრმად გააზრებისა და ცხოვრებისეული გა-მოცდილების სინთეზით მიღებული გადაწყვეტილებაა. ამ დროს ბაბური უკვე ინიციაციის მეორე საფუძურზე იმყოფება, როდე-საც მან უნდა გაუძლოს გამოცდას, გამოავლინოს წინააღმდეგო-ბის გაწევის უნარი და გადავიდეს საბოლოო საფეხურზე – შე-აბიჯოს სხვა ცხოვრებისეულ მდგომარეობაში. მაძიებელი გმირი

უკვე მზადაა სამყაროს სხვაგვარად ჭვრეტისა და აღქმისთვის, მაგრამ, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ასეთ გზაზე შემდგარი პერსონაჟი უცარი და მოულოდნელი ცხოვრებისეული განსაცდელის წინაშე აღმოჩნდება და საბოლოოდ ეს ამაღლებული ადამიანის იდეა მიუღწეველი რჩება.

მთელ ამ პროგრესულად განვითარებულ შიდაპიროვნული ზრდის პროცესს ერთ წამში აყენებს თავდაყირა სიყვარული. მანამდეც, ზემოაღნიშნულ დათმობებზე წასული ბაბურისთვის ერთადერთი, რასაც ვერაფერს უხერხებს, რაც უცვლელია აწმყოშიც და ასე იქნება მომავალშიც – ზულეიაა, მის თავს ვერ დაუთმობს შეყვარებული ყივჩალი ვერც მის კანონიერ დანიშნულს. სიყვარული ის ერთადერთია, რაც მთელი ამ განსჯისა და ფიქრის შემდეგ გადაფასებული წარსულიდან უცვლელად გადმოდის აწმყოში – ზულეიას სიყვარული არანაირ გადასინჯვას არ ექვემდებარება: „ჩემს ზულეიას ვერავის დავუთმობ, ვერც ძეს ხორციელს კაცთაგან, ვერც ჯინებს, ვერც ყარაყორუმის გრძნეულ მისნებს და ვერც პირსისხლიან იაჯუდებსა და მაჯუდებს... [...] კი, აკვნიდან იყვნენ დანიშნული, მაგრამ ჩემი თვალის გარდა, გაღებულ ყალიმსაც ორმაგად ავუნაზღაურებდი და სხვა ძვირფასი საჩუქრებითაც ავავსებდი. ჩემი გოგოსთვის ყველაფერს გავიღებდი, რასაც ამ ლაშქრობაში დავლასა და ალაფს ვიშმვიდი, თუ ცოცხალი დავრჩებოდი და ალარც ჩემს გადახსნილ თვალს, სისხლსა და შეურაცხყოფას მოვიძიებდი“ (ქურხული 2020: 315). საბოლოოდ კი სწორედ ეს თავგანწირული სიყვარული აღმოჩნდება საბედისწერო ბაბურისთვის.

რწმენა – ღმერთისკენ მიბრუნება და მარცხი ამ გზაზე – უშუალოდ უკავშირდება სიყვარულს რომანის თბილისურ ნაწილშიც. მწერლის მახვილ თვალს ჩვენი დღევანდელი ყოფის არცერთი სეგმენტი არ რჩება შეუმჩნეველი, ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ერთ დღესაც დიდი ფიქრის შემდეგ გიო ეკლესიის კარს მიადგება. ეს ხომ უკანასკნელი იმედის ადგილია, უკანასკნელი თავშესაფარი, სადაც მისნაირები მიდიან ბოლოს. დიალოგი მღვდელთან, უფრო სწორად, ძირითადად მამა ათანასეს მონოლოგი – მხილება ყველა იმ უბედურებისა, რაც გიორგის და ზოგადად მთელი ერის (გინდაც მსოფლიოს) თავს ხდება – ფინალური

(და ტრაგიკული) აკორდის წინარე, ერთგვარად შეყოვნებული ბგერაა, რომელიც მამხილებელია, დაუნდობელია, მკაცრია და ამავდროულად გადარჩენის შანსის ძიებაა, იმედის სხივის გაჩენას ემსახურება. მამა ათანასე ამ არეულ სამყაროში ერთადერთი ადამიანია, რომელიც გზააბნეულ გიორგის მთელ თავის ცხოვრებას თვალწინ დაუხატავს, სარკესავით ააფარებს სახეზე და სხვა არჩევანს არ უტოვებს, გარდა იმისა, რომ საკუთარი რეალური სახე დაინახოს. „ვერაფერს ვეღარ უხერხებ საკუთარ თავს და გატყდი, შეგეშინდა. შიშს მოსდევს თვალთმაქცობა, ტყუილი, თავის დაძვრენის მცდელობა, როცა უკვე ლამის ცხოველურ დონეზე გერთვება თავის გადარჩენის ინსტინქტი და ადამიანი ბოლომდე ეცემა, ჩვეულებრივად პირუტყვდება! [...] მაგრამ შენ თავის მოტყუებას ამაოდ ცდილობ! საკმაოდ გონიერი ხარ საიმისოდ, რომ თავი მოიტყუო, არ გჯერა, ერთი წამით არ გჯერა საკუთარი თავის, საკუთარი ტყუილების და ამის გამო კიდევ ათასჯერ უფრო უბედური, დათრგუნვილი და შეშინებული ხარ...“ (ქურხული 2020: 403). მოძღვარი (ილიას „გლახის წამბობის“ იმ ცნობილ მღვდელ-საც რომ გვაგონებს უნებურად) ერთდროულად მკაცრიცაა და უაღრესად ლმობიერიც, სხვის ცოდვებზეც თამამად საუბრობს და თავისასაც აღიარებს, ამიტომ მისი მონოლოგი იმ სიმართლის-თვის თვალის გასწორებაა, რომელიც ბევრი ტრაგედიისა და უბედურების გადამტან ქვეყანას აუცილებლად სჭირდება, წარსული რომ სწორად შეაფასოს. ეს კიდევ ის ერთადერთი წიადაგია ფეხებზე, რომელზეც მყარად მდგომი მომავალში ცხოვრების გაგრძელებას შეძლებ. პირად ცხოვრებანართმეული, ჯერ ისტორიულ მტერთან, რუსეთთან, ომში ჩაბმული და დამარცხებული („შემთხვევით გადარჩენილი დამარცხებული“, როგორც სოფა ამბობს), მერე თავის დასამკვიდრებლად იძულებით ქუჩაში გაგდებული თუ ნებით გასული თაობა საკუთარ ადგილს კი ეძებდა, მაგრამ რამდენად სწორად იპოვა, ან საერთოდ იპოვა თუ ვერა, ეს რომანის კიდევ ერთი უმთავრესი პრობლემაა. მამა ათანასეს სიტყვები მთელი ამ ძიების პროცესის შეჯამებაა, დასკვნაა და შემთხვევითი აქ არც ავტორის გადაწყვეტილება უნდა იყოს, ამას სწორედაც რომ სასულიერო პირი აკეთებს და თან ეკლესის კედლებში. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძაფრებს ის ფაქტი,

რომ პერსონაჟს უჭირს დვთის ნდობა, ტაძარში კი მიდის, მაგრამ რწმენით ვერა. წარმოუდგენელიცაა, გადარჩენაში დაგეხმაროს ლერთი, როცა მის არსებობას ჯერ კიდევ ეჭვის თვალით უყურებ და თუკი არსებობს, გვონია, „ცინიზმამდე მისული იუმორის გრძნობა აქვსო“. ეს გიოს თაობის კიდევ ერთი ტრაგედიაა, რწმენის კრიზისი, რომლის დაძლევაც დიდ სულიერ ძალებს მოითხოვს, თუკი საერთოდ შეძლებს ადამიანი. დვთისმსახურის სიტყვები მყაფრია, იგი მხოლოდ გიორგი ასათიანს ანუ ერთ დაკარგულ ახალგაზრდას კი არ საყვედურობს უაზროდ გატარებული ცხოვრების გამო, არამედ სწორედ მისი ცხოვრების მაგალითზე ააშკარავებს მთელი ქვეყნის ტრაგედიას.

რომანში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანისა და ერის ტრაგედია ერთ სიბრტყეზეა დაყენებული და გააზრებული, რადგან მნიშვნელოვანნილად მათ ერთი და იგივე საფუძველი აქვთ. პიროვნულ ტრაგიზმს აქ დიდნილად დრო, ფასეულობათა ეჭვქვეშ დაყენება, პოლიტიკური ვითარების შეცვლა, ახალი იდეოლოგიების შემოსვლა თუ გეოპოლიტიკური ვითარებით გამონვეული უმწვავესი პრობლემები იწვევს. და იმის მავივრად, რომ ამ ყველაფერს ერი პასუხისმგებლობის გაცნობიერებით შეხვედროდა, რაღაც უცნაური ნიჰილიზმითა და ზეციდან მოვლენილი სასწაულის იმედად დახვდა: „სიმართლე რომ გითხრა, ეს უსაფუძვლო ოპტიმიზმი, სირაქლემასავით ქვიშაში თავის წაყოფა და იმედიანი განცხადებები უფრო მაბრაზებს და მაგიუბებს, [...] ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფერი გვეველება, იბერია გაბრწყინდება და ისა!.. რა იქნება კარგად? რა გაბრწყინდება? რა გვეშველება? შეხედე, რას ვგავართ, რა დაგვემართა, რაები ჩავიდინეთ, რა დღეში ჩავიგდეთ თავები, რა დღეში ჩავაგდეთ ჩვენი უბედური, გარეული თუ შინაური მტრისგან დაუნდობლად დაგლეჯილი ქვეყანა! [...] სიტყვა საქართველოს, სამშობლოს სხენებაც კი ლამის სირცხვილად და ცუდ ტონად არის მიჩნეული. როგორ უნდა იყოს ყველაფერი კარგად? [...] აი დღესვე, ამ წამიდან რომ გონს მოვიდეთ, ერმა და ბერმა ხელები დავიკაპინოთ, უარვყოთ ყველა ცოდვა, ამპარტავნობა, იქნება ეს ბავშვური ეგოიზმი, სიხარბე თუ სხვა რამ მანკიერება და ყველამ ჩვენი საკეთებელი ვაკეთოთ, ჩვენი საომარი ვიომოთ და ლოცვით მუხლები გადავიტყავოთ,

მაშინაც კი მხოლოდ სასწაული თუ გვიშველის, ისეთ ფსკერზე ვართ დანარცხებული თითოეული ჩვენგანი, მთელი საქართველო და, სამწუხაროდ, მთელი დედამინა და, ვგონებ, მთელი მსოფლიოც...“ (ქურხული 2020: 405-406).

ისევე როგორც ყივჩალთან, გიორგი ასათიანთანაც თითქოს ნათდება მომავალი, ერთგვარი გარკვეულობისა და იმედის სხივი ჩნდება, მიტევების, საკუთარი არასწორი ცხოვრების გადააზრების შანსი უჩნდება პერსონაჟს და როგორც ტექსტიდან ჩანს, ეკლესიიდან გამოსული ამას აპირებს კიდეც: „—გავიგე, მამა ათანასე! მოვალ!.. — გიორგიმ უცებ შვებით ამოისუნთქა. გადაავიწყდა კიდევაც, ბოლოს როდის სუნთქავდა ასე თავისუფლად და ლალად. თითქოს ხაროდან პირდაპირ კავკასიონის მწვერვალზე ამოაყოინეს თავი. [...] მართლა უცნაურად გამსუბუქებული იყო. თავისუფლად სუნთქავდა, თითქოს გამოფხიზლდა კიდევაც“ (ქურხული 2020: 424). მაგრამ, ისევე როგორც პარალელურ ამბავში, აქაც სიყვარულმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

ყივჩალურ და თბილისურ ნარატივებს შორის არის ერთი მნიშვნელოვანი სხვაობაც, ბაბურს ყოფის აბსურდულობის, უიმედობის განცდა არასოდეს იპყრობს. მისთვის სიცოცხლე აზრს არასოდეს კარგავს, ვიდრე საყვარელი ქალი ეგულება მეზობელ ყიშლაღში. 21-ე საუკუნეში კი ეს ცივილიზაციით მოტანილი პრობლემებია, რომელთაც ზედ ეროვნული სატკივარი და საკუთრივ ქართული, გარდატეხის ეპოქის ტკივილები დაერთო, ამან კი ერთიანად ამოსწია და ამოამზეურა ყველა მიმალული ჭირი და სიბინძურე. გიოს ზოგჯერ სრული აპათია იპყრობს და ასეთ დროს ადამიანური ყოფის აბსურდულობა, ყველაფრის – სიცოცხლის, სიყვარულის, ქალის, სექსის – აბსოლუტურად ყველაფრის უაზრობის განცდა ეუფლება. ასეთ პასაჟებში თვალსა და ხელს შუა იკარგება ლვთის გვირგვინად შექმნილი ადამიანის დანიშნულება, თვითონ ეს ქმნადობის აქტიც კი დიდი ეჭვის ქვეშ დგება, რადგან სულგამოცლილ ადამიანი ცხოველისგან აღარაფრით განსხვავდება, არადა სწორედ ეს სული გახდა ყველაზე ძნელად აღმოსაჩენი. „საშინლად ეზიზლებოდა თავისი სხეული, რადგან სულისგან თითქმის აღარაფერი დარჩენილიყო“ (ქურხული 2020: 29). უსულოდ კი ქალიც მხოლოდ სექსია და ჭამაც მხო-

ლოდ ცხოველური აქტი, სიამოვნების და აღტაცების იმპულსები აღარ ახლავს ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვან და საყვარელ ამ ორ საქმიანობას. აქ მთელი ის სიბინძურეა გადმოლა-გებული, რისკენაც ადამიანური ფსიქიკის ყველაზე ბნელი და დაუმორჩილებელი ნაწილი გიბიძგებს, ფრონიდი რომ იდის უნო-დებდა. ეგო აღარსადაა, რომ გააწონასწოროს, ბნელი და მხეცური საწყისი დათვეუნოს, ადამიანად გაქციოს. თავში „Gangster paradise“ ეს აქცენტი განსაკუთრებითაა გამწავავებული და პედალი-რებული. განგსტერული სამოთხე ნამდვილი ამქვეყნიური ჯოჯო-ხეთია: „რატო ტოო?.. რას ნიშნავს ეს ყველაფერი?.. ვის ციინიურ და სასტიკ კანონზომიერებას ვემორჩილებით?.. რას გვერჩიან თუ რას გვერჩის?.. ვინ გვეკაიფება ასე მნარედ?.. რას ნიშნავს ეს ყველაფერი?.. რატომ?.. როგორ?.. საიდან?.. რა აზრი აქვს ამ ყველაფერს?.. სადღაც უკიდეგანო, ცივ, ბნელ კოსმოსში ჩაკარ-გულ მარცვალზე, მტვრის ნაწილაკზე, ვინ მოგვავლინა ამ უცნა-ურ, სულელურ ექსპერიმენტულ ლაბორატორიაში? ექსპერიმე-ნტული დედამინა [...]“ (ქურხული 2020: 244).

ბექა ქურხულის პროზის უაღრესად მტკიცენეული თემაა **90-იანებითა თაობის ტრაგედია**. ეს მისი წინა რომანის „სამო-თხიდან გაქცეულების“ ერთ-ერთი მთავარი იდეურ-თემატური მოტივიცაა. რომანის სათაურში ნახსენები „სამოთხე“ რეციპიენ-ტის გონებას რამდენიმე სხვადასხვა ინტერპრეტაციისკენ მიმარ-თავს, რომელთა შორის ერთ-ერთად სამშობლოც შეიძლება მი-ვიჩინიოთ. ეს ის „სამოთხეა“, რომელიც 90-იან წლებში თვალსა და ხელს შუა დაეკარგა ერს, მომავლის იმედთან, ქუჩაში ჩაცხრი-ლულ ბავშვობის მეგობართან, საზოგადოების დაპირისპირებას-თან, ომთან, გახლეჩილ ქვეყანასთან ერთად გაუქრა და უცხო სამყაროში იძულებით გაქცეული აღმოჩნდა უნებურად. ეს ტრა-გიკული განცდა გაცილებით გაღრმავებულია „თვალდაკარგული ყივჩანის ჩანაწერებში ანუ დეშთი-ყიფჩალში“, მისი თბილისური ნაკადი სწორედ ამ თაობის ამბებს აღწერს, უკვე გაზრდილ, მაგრამ იმ დროიდან ვერგამოსულ ბიჭებს; მათ, ასაკით უკვე დაკაცებულებს, თითქოს მხრებით მაინც ის საშინელი დრო დააქვთ და წარსულში დალვრილი სისხლი თუ ქუჩური ფსევდოფასეულო-ბები ბედნიერებისა და ცხოვრების ახლებურად დანახვის საშუ-

ალებას აწმყოშიც არ აძლევთ. ერთ ინტერვიუში ბექა ქურხული ამბობს, მეუბნებიან, ამაზე როდემდე უნდა წეროთო, და იქვე პა-სუხობს, ჩვენ იმაზე ვწერთ, რაც გამოვიარეთ და რაც გვაწუხებ-სო. ზოგადად, ლიტერატურაში მხატვრულ რეალობად ქცეული საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება უმნიშვნელოვანესია და ამის შესახებ არაერთ ცნობილ მწერალს უსაუბრია. „ჯადოს-ნური მთის“ ავტორი ზემონახსენებ წერილში ამბობს: „მე ვერ შევძლებდი ოხუნჯობასა და თამაშს, რომანის პრობლემატიკა ჩემთვის ადამიანურად ასე ახლობელი რომ არ ყოფილიყო, რომ არ გამომეარა იგი, რათა შემდგომ ავმაღლებულიყავი მასზე, რო-გორც თავისუფალი პოეტი...“ (მანი 2010: 94) „თვალდაკარგული ყივჩალის ჩანაწერებშიც“ ასე. ბევრი პასაუი, ამბავი თუ ცალკე-ული დეტალი სწორედ რეალური ცხოვრებიდანაა აღებული. მწე-რალს ხშირად რეალური გვარ-სახელებით შემოჰყავს ეს ადამი-ანები პერსონაჟებად მხატვრულ ტექსტში. მაგალითად, ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი 9-წლიანი მმართველო-ბის ამბავი, გოგა ჭყონია, რომლის ლექსებიც კი აქვს ჩართული ტექსტში, ბრძოლის დროს აფხაზი ჭყონიას დატყვევება და მასთან დიალოგი, თბილისელი ქურდები – ებრაელი მორისა, პასანა, ბჯე ასატრიანი, ედიკ ტბილისსკი, ბერძენი მიშა, ნახალოვეკელი ჩაია, დიმა ლორთქიფანიძე – მათი ამბები და სხვანი. ამგვარი პასაუები ტექსტში მეტ სიმძაფრეს ქმნიან და სურათის ემოციურობას განაპირობებენ. ზოგჯერ მწერალი სრულად ინარჩუნებს ამბავში რეალურ ხაზს, ზოგჯერ კი ოდნავ ცვლის და ამით გარკვეულ-წილად ახალ მხატვრულ რეალობასაც იღებს. ბექა ქურხულის ამ რომანშიც დასტურდება პიპერრეალიზმის ელემენტების გამო-ყენება, რაც დღევანდელი ქართული ლიტერატურისთვის უკვე ნიშანდობლივი ფაქტია*.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ „თვალდაკარგული ყივჩალის ჩანაწერებში ანუ დეშთი-ყიფჩალში“ ავტორის თაობის ტრაგიკუ-ლი ცხოვრება მხოლოდ აღწერილი კი აღარაა, არამედ ეს ყველა-ფერი ზოგადად ეპოქისა და კონკრეტულად ჩვენი გეოპოლიტი-

* ამის შესახებ იხ. ჩვენი სტატია ჟურნალის წინა ნომერში: „პიპერრე-ალიზმის მცდელობები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში“, „კრი-ტიკა“, 2020, №15, გვ. 18-33.

კური სივრცის ფართო კონტექსტშია გააზრებული. „სამოთხიდან გაქცეულებშიც“ იყო ეროვნული მოძრაობა, 9 აპრილი, რუსები, ტანკები, აფხაზეთი, ჩრდილოკავკასიის კონფლიქტები... თუმცა აქ უკვე ყველაფერი სხვანაირადაა დანახული, გაცილებით ღრმად. თუკი იქ მხოლოდ ამბავი იყო მოთხოვილი, დაძაბული, ტრაგიული, უაღრესად ემოციური ამბავი, ოღონდ როგორც მიმდინარე დრამა, აქ დისტანციიდანაა ეს ყველაფერი მოცემული და შესაბამისად ამბის თხრობას რეფლექსია, ანალიზი, განსჯა ენაცვლება – სად შევცდით, სად უნდა დაგვეხია უკან და სად არა, რა იქნებოდა საუკეთესო გამოსავალი და ა. შ.

ეს ტენდენცია კომპოზიციაშიც იჩენს თავს: „სამოთხიდან გაქცეულებში“ სიუჟეტური ხაზი მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება და 21-ე საუკუნის 10-იან წლებამდე მოდის, „თვალდაკარგული ყივჩალის ჩანაწერებში ანუ დეშტი-ყიფჩალში“ კი ორივე პარალელური ამბავი სულ რაღაც ერთ თვეში ვითარდება. საერთოდ ამ რომანის მკაფიო ნიშანია თხრობის ახალი ტექნიკის გამოყენება, რაც აქცენტის გადატანას გულისხმობს ამბიდან რეფლექსიაზე – ცოტა ამბავი და ბევრი ანალიზი. აქვე მწერალი ძალიან ფრთხილად ერთ საინტერესო აქცენტსაც სვამს, უფრო სწორად მიზეზთა მთელ სპექტრში ერთს გამოკვეთს – მამების როლს ამ ყველაფერში. თაობათა შორის დაპირისპირება ბუნებრივი პროცესია, რადგან ცხოვრება მუდმივი განვითარებაა და ამას თავისთავად მოაქვს სიახლეები. სიახლეებს ახალი თაობა უკეთ უწყობს ფეხს, მამებს კი ხშირად უჭირთ შეგუება. ამ დაპირისპირებას სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული მიზეზები ჰქონდა. მე-20 საუკუნის მიწურულს კი ქვეყანაში მომხდარმა უმნიშვნელოვანესმა პოლიტიკურმა და სოციალურმა მოვლენებმა რადიკალურად შემოატრიალა ვითარება. მამებმა ვერ მოახერხეს სიტუაციის სწრაფად გაანალიზება და შვილებისთვის სწორი გზის მიცემა. შესაძლოა, ეს მთლად მათი ბრალიც არ იყო, მათ ხომ თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრების გამოცდილება არ ჰქონდათ. თავისუფლება კი საკმაოდ მძიმე ტვირთი აღმოჩნდა და მამებმაც არა მარტო მიატოვეს, პასუხისმგებლობაც მთლიანად მათ გადააბარეს. მერე კი სასტიკი და სრულიად უცნობი რეალობის წინაშე მდგარ შვილებს იარღიყებიც მიაკერეს: „თითქოს მათი ბრალი

იყო, ჯერ კიდევ პირშიშველა, გულუბრყვილო, გულანთებული ბავშვები ბოლომდე რომ გაიმეტეს, თითქოს მათ, 16-20 წლის ბიჭებმა, პირდაპირ სკოლის ან პირველი კურსის მერხებიდან დაიწყეს ეს საშინელი და სისხლისმღვრელი ომები. ყველაზე ხმამაღლა კი სწორედ ისინი განიკითხავდნენ და აყვედრიდნენ, ვინც სინამდვილეში დაიწყო ეს სისხლიანი კოშმარი. ვინც ბოლომდე გაიმეტა, აომა, ამოხოცა, ან ვისი გულგრილი და უტყვი თანხმობითაც მოხდა ეს ყველაფერი. მერე კი ამ ბოზიშვილმა პოლიტიკოსებმა მათვე დააწმინდეს ხელები და სტახანოვური მონდომებით აამუშავეს საბჭოთა უშიშროებაში დამხეცებული შავი პიარი” (ქურხული 2020: 47).

თავად რეფლექსია პარალელურად რამდენიმე პერსონაჟისა და საკუთრივ ავტორის პირით ხორციელდება. წინა დღით მამებთან დაპირისპირებული და „ნაბრძოლი“ ზუკა მასთან მისულ გიოს საკუთარ განცდებს უზიარებს. აქ მნიშვნელოვანია ერთი ფქტი: გიოს და ზუკას თაობა აღარ არის ახალი თაობა, მაგრამ არც ძელია და შეფასებაც სწორედ ამ პერსპექტივიდან ხორციელდება. ზუკას ნაამბობში, ასე ვთქვათ, „შუა თაობის“ ტრაგედიაა აქცენტირებული, რადგან მათი არც მამებს ესმოდათ მაშინ და არც შვილებს ესმით დღეს: „პირველებმა გავპედეთ მეორე მსოფლიო ომის მერე პოსტსაბჭოთა სივრცეში და მაგათ მოსკოვსა და კრემლს დავუშვით. ჩერნიშევსკის, ბელინსკისა და ულიანოვის ხალხს ვესროლეთ, დიდი ლენინის ენაზე აღარ გვინდა ლაპარაკი, მერე ერთმანეთსაც დავერიეთ, მერე რა, რომ მაგათ დაგვრიეს და გვახოცინეს, ხო ჩვენი ხელით გააკეთეს ყველაფერი, პოდა ხელებიც გემრიელად დაგვაწმინდეს – „ჩვენ არა, ჩვენი შვილები არიან მკვლელები და ბანდიტები, ეგენი დასაჯეთო!“... უმცროსებისათვის კიდევ ბნელი 90-იანები ვართ, ბანდა, მკვლელები, ქუჩის ბიჭები, კრიმინალები და მორფინისტები, ნარკოტიკები და ლომკას გადავაყოლეთ მათი სამშობლო. მერე რა, რომ ეს მათი სამშობლო ქვეყნად და სახელმწიფოდ, ავად თუ კარგად, ჩვენი ბრძოლითა და სისხლით ჩამოყალიბდა. [...] მთელი ჩვენი თაობა ბავშვობიდან გმირობაზე ვოცნებობდით და ჩავრჩით კიდევაც ამ ბავშვობაში, ასეთი სულელები და ინფანტილურები ვართ, გმირობის პრეტენზია გვქონდა, გმირობისთვის ვიბრძოდით, გმი-

რის ადგილი კი მიწაშია და არა მიწაზე“ (ქურხული 2020: 160-161). შეუძლებელია, აქ ტრაგიკული თაობის სასონარკვეთილი ხმა არ გაიღონ და თან ძალიან ძნელია, არ დაეთანხმო. გიოს და ზუკას თაობა საბჭოთა კავშირში გაზრდილი მამებისგან ბრძოლაში მარტო დატოვებული თაობაა, რომელმაც საკუთარი გამოუცდელობითა და ახალგაზრდული მაქსიმალიზმით ის შეძლო, რაც შეძლო. უფრო გააზრებულ და წინასწარგანჭვრეტილ საქციელს ცხოვრებისეული სიპრდნე სჭირდებოდა, რაც მამებს უნდა შეეშველებინათ სკოლისა და უნივერსიტეტის მერხიდან წამოცვენილი და ქუჩაში გავარდნილი შვილებისთვის, მაგრამ ამის მაგივრად, გვერდით დგომის მაგივრად, დუმილი არჩიეს და მერე, როცა გაუწონასწორებელმა ემოციამ და ზიზღმა სიკვდილი გაახშირა, იქით დასდეს ბრალი. მეორე მხრივ, მომდევნო თაობამაც მათკენ გაიშვირა თითო და დამნაშავები ისევ იქ იპოვა, ქვეყნის დანგრევასა და მწყობრი ეროვნული იდეოლოგიის ვერშემუშავებაში დამნაშავები. აქ კიდევ ერთხელ ჩნდება თაობის საყვედური მამებისადმი, რომელთაც მყვირალა, ზეპირი პატრიოტიზმით აღზარდეს შვილები, „ალუდა ქუთელაურით“, „ვეფხისტყაოსნით“, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ცხოვრებამ საზეპირო კი არა, ქმედება რომ მოითხოვა, ამ საზეპიროებისგან ფრთაშესხმულნი გადაეშვნენ რეალურ ცხოვრებაში და პირდაპირ ნამდვილ ომში აღმოჩნდნენ. რა გასაკვირი იყო, რომ დამარცხებულიყვნენ? მწერლის მიერ დახატული სურათი აქ, ვფიქრობთ, სრულიად ცხადად სცემს პასუხს დღემდე არსებულ ამ აქტუალურ კითხვას – მთელი ის უბედურება, 90-იანელთა ტრაგიკული ამბავი თაობათა გათიშვამ, შვილების მარტო მიტოვებამ გამოიწვია. რაც შეეხება მამების ასეთ საქციელს, ამის მიზეზი რაღა იყო? თუ ოთარ ჭილაძეს მივმართავთ, „შეშინებულთა და დაყვერილთა“ ბუნებრივი ტრაგედია, შიში და გადამწყვეტ მომენტში გაუბედაობა, რაზეც საგულდაგულოდ იზრუნა თავის დროზე იმ ცნობილმა საბჭოთა იმპერიამ და ტოტალიტარულმა მმართველობამ.

ამ დიალოგში კიდევ ერთ ახალ პრობლემას სვამს ავტორი – უაღრესად მნიშვნელოვანი და აქამდე ნაკლებად ყურადღება-მიქცეული ერთი გარემოებაც შემოდის ტექსტში, როცა საქმე იმ ძმათამკვლელი ომის გააზრებას ეხება. ზუკა ორი მეომრის,

აფხაზი ბოევიკისა და ქართველი გენერლის, ამბავს ყვება. როგორც აღმოჩნდა, შვილები (ეს უკვე მთლად ახალი თაობაა, რომელმაც სულ სხვანაირად გაიაზრა ყველაფერი) ორივეს ერთნაირად საყვედურობენ:

„რაის დამოუკიდებელი აფხაზეთი, ნახეთ რა ბარდაგია, განუკითხაობა და საგიუჟეთი...“ (ქურხული 2020: 162);

„რა გააჭირეთ ამ თქვენი საქართველოთი და ბრძოლებით საქმე, ნათურა ვერ აგინთიათ ქვეყანაში...“ (ქურხული 2020: 162).

და არასასურველი რეალობით განპირობებული ყველაზე დიდი ტრაგედია – ერთ შვილსაც და მეორესაც გული გარეთ, დალაგებული ქვეყნებისკენ მიუწევთ. მამები დამარცხდნენ, შვილებისთვის თითქოს ახალი და ბედნიერი ქვეყანა უნდა აეშენებინათ, ფაქტობრივად კი ქაოსი და არასტაბილურობა მიიღეს, შვილმაც სწორედ ეგ ქვეყანა – **სამშობლო** – უარყო. და იქვე ერთი ლოგიკური და საჭიროროგო კითხვაც: „ამისთვის ჩახოცეს ერთმანეთი, რომ მერე ერთ მხარეს აღმოჩენილიყვნენ?“ (ქურხული 2020: 163). ეს რიტორიკული კითხვა სინამდვილეში დასკვნაა. ეს იყო გარედან ინსპირირებული ომი, რომელიც ორივე მხარემ წააგო და რომელმაც ორივეს განვითარების პერსპექტივა წაართვა. და რაც ყველაზე ტრაგიკულია ამ ამბავში, ორივე მხარის შვილებისთვის გაუგებარი აღმოჩნდა მამების ცოტნე დადიანობა და გიორგი სააკადემია, როგორც ჩანს, ეს სახეებიც დაიცალა რეალური შინაარსისგან ან მათი დროსთან შეუსაბამობა მხოლოდ შვილებმა იგრძნეს. ახალი პრაგმატულად მოაზროვნე, ომის ნანგრევებზე დაბადებული და გაზრდილი თაობისთვის საზეპირო პატრიოტიზმი სრულიად გაუგებარი და მიუღებელია. მათთვის მამების მიერ ავტომატის ხელში აღებაც არასწორი საქციილი იყო. რომანის ამ მონაკვეთში სამივე თაობის პოზიცია და პრეტენზია ჩანს:

„თქვენ დამიქციეთ სამშობლო, დაანგრიეთ ყველაფერი, დამარცხდით, გამოიქეცით, და ლტოლვილობაში გამზარდე...“ (ქურხული 2020: 163) – ეს უსახლკაროდ დარჩენილი შვილების სიმართლეა.

„მაინც ჩვენ დავაშავეთ, ჩვენ დავიწყეთ, ჩვენ ვერ დავამთავრეთ, ჩვენ დავხოცეთ, ჩვენ დაგვხოცეს, ჩვენ გადავწვით, მერე

ნანგრევები ჩავაქრეთ და ველარ ავაშენეთ, ყველაფერი ჩვენი ბრალია, ჩვენი!“ (ქურხული 2020: 164) – ეს გიოს თაობის აღიარებაა.

„რისთვის მაომეთ, რისთვის ამოგვხოცეთო? ყველა თანამდებობაზე რუსებს სვამთ, ყველაფერს რუსები ყიდულობენ, ჩვენ რა, ხალხი არა გვყავს, პაპუასები ვართ და პალმებზე ვზივართო?..“ (ქურხული 2020: 162) – ეს უკვე კარგად გაჭაღარავებული აფხაზი მეომრის (გიოს მამების თაობის) მიერ დანახული გზაა, ურმის გადაბრუნების მერე რომ გამოჩნდება ხოლმე.

რა დასკვნის გაკეთება შეიძლება ამდენ სიმართლეში? ყველა-ფერი საბოლოოდ მაინც იმ აზრამდე მიდის, რომ ომს სიკეთე არავისთვის მოაქვს და ძმათამკვლელ ომს გამარჯვებული არც-ერთ მხარეს არ ჰყავს (რეალური გამარჯვებული კი არის, მაგრამ სულ სხვაგან). ამიტომ ზუკას სიტყვები ამ ყველაფრის პასუხია, ის პასუხია, რომელიც არა მარტო ქართული, არამედ აფხაზური მხარისთვისაც ერთადერთი ჭეშმარიტებაა: „ამ სისხლისლვრაში ვინც ჩავიხოცეთ, ხომ ჩავიხოცეთ და, ვინც ცოცხლები გადავ-რჩით, ისინიც ჩავიხოცეთ“ (ქურხული 2020: 167). საბოლოო დასკვნა და ერთადერთი სწორი განაჩენიც ეს არის!

90-იანების რეფლექსიას, იქნება ეს აფხაზეთის ომი თუ თბილისური დაპირისპირება, საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა ტექსტში. პროცესის ანალიზისას მწერალი ღრმად ჩადის ერის კოლექტიური ცნობიერების შიდაფენებში და პასუხებს იქ ეძებს. მარტივი გამოსავალია ყველაფრის სხვისთვის გადაბრალება, რაც შესანიშნავად გამოგვდის, რთული ჭეშმარიტი მიზეზის მოძებნა და გაცნობიერებაა: „მერე, მოგვიანებით, გაჩნდა სულელური აზრი, რომ სწორედ ამ განგსტერულმა ფილმებმა გამოიწვია მაშინ-დელი ახალგაზრდა თაობის იარაღისადმი ლტოლვა. ლამის ჰოლივუდს დაბრალდა ყველა ის უბედურება და ცოდვა-ბრალი, რაც იმ პერიოდში საქართველოში დატრიალდა. მოკლედ, ამათთვის რომ გეკითხათ, ამ ნახტომში მეტარნახევრიან ალ პაჩინის და „რძისფერ ბობის“ – რობერტ დე ნიროს დაუქცევიათ ეს ქვეყანა...“ (ქურხული 2020: 105).

მწერალი ანალიზის პროცესში კონკრეტულ ისტორიულ ამ-ბებსაც რთავს და ცდილობს, მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სუ-

რათი წარმოიდგინოს, იმის ნამდვილ მიზეზს მიაგნოს, რამაც ერში ის დაუნდობლობა გააღვიძა, რომელმაც ლამის თაობის ფიზიკური განადგურება, ხოლო ფიზიკურად გადარჩენილთა სამუდამო სულიერი კასტრაცია გამონივია. თავისი ისტორიის მანძილზე ერს არაერთხელ ჰქონია კრიტიკული სიტუაცია, დალატის, გამცემლობის, ურთიერთზიზღის მაგალითებს რა გამოლევს? რითაა ნასაზრდოები ეს ყველაფერი? რა ფენომენია ეს თვითგანადგურების ინსტინქტი, რომელიც დროდადრო დაერევა ხოლმე ამ ხალხს? ხალხს, რომელსაც ამავე დროს საოცარი მხარში დგომა და ერთმანეთის გადარჩენაც მშვენივრად შეუძლია, თუმცა ამისთვის უფსკრულის პირას უნდა აღმოჩნდეს. „და 30-იან წლებში, ლავრენტი პავლეს ძე ბერიას კაბინეტთან რიგი რომ ედგათ და ერთმანეთს აბეზლებდნენ, აციმბირებდნენ და ახვრეტინებდნენ, მაშინ რაღას უყურეს, „კოლმეურნის ქორწინებას“?.. მეფე თეომურაზ პირველმა და გიორგი სააკაძემ რას უყურეს ბაზალეთის სამოქალაქო ომის დროს? უილიამ შექსპირის რიჩარდ III-ს? და გადაწყვიტეს თეთრი და წითელი ვარდების რემიქსი მოეშყოთ ლანკასტრების, პლანატეგენტების და იორკების გავლენით ხო? ... უბრალოდ, ამ გაჭირვებულ ქართველებს უყვართ ყველაფრის სხვისთვის გადაბრალება. აბა თვითონ ხომ არ შეეშლებათ რამე? გამორიცხულია...“ (ქურხული 2020: 106). ეს მკაცრი მამხილებელი პათოსი ტექსტში საკმაოდ ძლიერია და შიგადაშიგ იჩენს თავს, შეუძლებელია ამ დროს ოთარ ჭილაძის „გოდორი“ არ გაგახსენდეს, სადაც ასევე ამ მძიმე კითხვებზე პასუხის ძიებისას საკმაოდ მკაცრია ავტორი. ძალიან საინტერესოა ამ ორი მწერლის შეხედულებათა შედარებაც: ერთი მამების თაობიდან იყურება, მეორე – შვილების, პირველი გარედან აკვირდება პროცესს, მეორე უშუალოდ შუაგულშია. ბუნებრივია, გარკვეულწილად განსხვავებულია მათი ხედვებიც, მაგრამ საერთო ისაა, რომ მიზეზს არცერთი გარეთ არ ეძებს. მთელი ის სიბინძურე და სიმყრალე, რომელიც ტრიალებს და სულს უხუთავს ადამიანს, ჩვენი დატრიალებულია, ჩვენი მოწყობილია, რაშიც, მართალია, გარედანაც გვაშველებდნენ ხოლმე ხელს (დღემდეც გვაშველებენ), თუმცა დიდი ძალისხმევა ამაში არც არასდროს დასჭირვებიათ.

ეროვნულ ტრაგედიაზე საუბრისას ამ კონტექსტში აუცილებლად უნდა ვახსენოთ ერთი პასაუი ტექსტიდან, როცა ქუჩაში ვინმეს დასაყაჩაღებლად გასულ ბიჭებს ხელში ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტი ამირანი შერჩებათ. აქ თავად პერსონაჟის სახელია საინტერესო, რომლის სიმბოლურად გააზრება ამირანბის ანუ გმირობის დაკნიხებაზე მიუთითებს, ქართველთა ძველი გმირული მებრძოლი სულის დაკარგვაზე, ამირანბაზე, რომელიც, როგორც იდეა, ისე დასუსტდა, რომ იქითაა გადასარჩენი; თუმცა ტექსტში ერთი მნიშვნელოვანი მინიშნებაცაა ამავდროულად – ამირანი აგრესის სურვილს უკლავს ბიჭებს, საყაჩაღოდ გასულები მზრუნველები ხდებიან და თავიანთ სახლში მიჰყავთ. ის კი თავის მხრივ უცნაურ საფიქრალს გაუჩენს მათ სიტყვებით: „ქრისტე ჯვარზე რომ არ გაეკრათ, გააგიუებდნენ [...] ჯვარზე რომ არ გაეკრათ, ხალხი გააგიუებდა, – აბა თქვენ წარმოიდგინეთ 34 წლის იესო ქრისტეო...“ (ქურთული 2020: 410). ამირანი, რომელიც გმირობის მაგალითს ვეღარ აძლევს ხალხს (ისევე, როგორც ზემოთ უკვე ნახსენები ცოტნე დადიანი თუ გიორგი სააკაძე), მაინც პოზიტიურ ნიშნად რჩება რომანის კონცეპტუალურ სისტემაში და თუ ბრძოლის, მონობასთან შეუგუებლობის, ფიზიკური გადარჩენის სიმბოლო ვეღარაა, სამაგიეროდ რჩენისა და ლვთის სიყვარულის მიმანიშნებელი ნამდვილადაა, რაც არც ისე ცოტაა ტრაგიკული 90-იანებგამოვლილი თაობისა და ზოგადად მთელი ქვეყნისათვის. მეორე მხრივ, ქრისტეს ჯვარზე გაკვრა, როგორც მისი გადარჩენა, რასაც აღდგომა და ამაღლება უნდა მოჰყვეს, უაღრესად საინტერესო ინტერპრეტაციაა და წამებული ქვეყნის ალუზიადაც შეიძლება განვიხილოთ.

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ ორივე მხარეს (აფხაზურ და ქართულ) მცხოვრებ შვილებსა და მათ პოზიციაზე. რომანში ამ თაობის კიდევ ერთი სახე შემოჰყავს ავტორს, ახალგაზრდა გოგო, თბილი-სელი იუშკი, რომელიც შესაძლოა რაღაცებში ცდება, მაგრამ მასაც საკუთარი სიმართლე გააჩნია. როგორი უეცარიცაა მისი შევარდნა მთავარი პერსონაჟის სახლშიც და საწოლშიც, ისეთივე მოულოდნელია მისი გამოსვლა და უამრავი ბრალდება, რაშიც ადანაშაულებს წინა თაობას. საინტერესოა, რომ იუშკი მარტო მამხილებელი კი არ არის, ბრალმდებელიცაა და ამას უაღრესად

რადიკალური ფორმით აკეთებს. მას არაფერი მოსწონს, არც იმ გოგო-ბიჭების თავისუფლება („ქალიშვილობის ინსტიტუტი და ეგეთი დებილობებითა გაქვთ თავი ამოტენილი დღემდე“), არც ბრძოლა და ომები („ატეხავდით სროლას და მერე კისრისტებით გამორბოდით“), არც სამშობლოს და ლმერთის სიყვარული („აი, საშინელი საბანქეთი გქონდათ მართლა, „აუუ სამშობლო“ და „საქართველო ლამაზო...“ და ეგეთი გომობა და ყოველ ნაბიჯზე პირჯვრის წერა. „მარხვაზე ვარ, ტოო“... და იმ მარხვაში ერთმანეთს ხოცავდით. „ყველს ვერ შევჭამ“ და იმ მარხვაშიც დიდი სიამოვნებით დასდევდით მოსაკლავად „მოყვასს“... ისე იმეტებდით, ხელიც არ გიკალდებოდათ!“ (ქურხული 2020: 379)). ეს თაობა, რომელსაც არა მხოლოდ ნაკლები ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს (ეს ბუნებრივია), არამედ ნაკლები ცოდნა და განათლებაც (რაც საკმაოდ საგანგაშო ჩანს უკვე, თუ არაფერი შეიცვალა), ბუნებრივია, რომ სწორხაზოვნად ხედავს ბევრ რამეს, სილრმისეული ანალიზი უჭირს, ვერც იმ უპირატესობას იყენებს, რასაც ფაქტებთან დისტანცირება (ემოციის დაძლევა და რაციონალიზმი) იძლევა მისი სწორი და ადეკვატური შეფასებისთვის, ამიტომაცაა ასეთი პირდაპირი, შეუვალი და რადიკალური, თავად ავტორს რომ დავესესხო, „ბოლშევიკურად“ მოაზროვნე. შესაძლოა, რაღაც საკითხებში მისი პოზიცია იყოს კიდეც მართებული, როცა არასწორი ცხოვრების წესზე, ნარკომანიასა და ქალაქის ქუჩებში უაზროდ ჩახოცილ ბიჭებზე საუბრობს, მაგრამ მთავარი აქ ისაა, რომ იუშკის ყველა პრეტენზის საფუძველი პიროვნულიდან მოდის მხოლოდ და არა საზოგადოებრივიდან. მის თაობას ვერ აქვს ისეთი ცხოვრება, როგორიც უნდა. თითქოს მათ თავისუფლების ხარისხი სწორედ წინა თაობის არასწორმა ცხოვრებამ და შეხედულებებმა შეუზღუდა და ამიტომ იძიებს შურს ყველაზე, მიაჩნია, რომ სწორედ ასეთი რადიკალური ქცევითაა შესაძლებელი ნამდვილი თავისუფლების მოპოვება და ამაში დღემდე ხელს უშლის გიოს თაობა, ეუბნება კიდეც, ვიდრე „პრეისტორიული ცხოველებივით თქვენით არ გადაშენდებით“, მანამდე ნამდვილ თავისუფლებას ერი ვერაფრით მიაღწევსო. ამ ყველაფრის გზად კი მხოლოდ „შეუზღუდავი სექსუალური თავისუფლება“ მიაჩნია. იუშკის გააფთრება სიყვარულის მისეული გააზრების

მიუღებლობიდან მოდის, საზოგადოება არ არის მზად ასეთი რეალური ცვლილებისთვის, ფიქრობს იგი, და შესაბამისად ეს ზღუდავს კიდეც მათ ბედნიერებას. მისი გაგებით, ნამდვილი სიყვარული პარტნიორისათვის სრული თავისუფლების მინიჭებაშია, რაც მას სხვასთან წასვლას და სექსს არ უკრძალავს, პირიქით, „ნამდვილი და თავისუფალი სიყვარული“ ამას გულისხმობს კიდეც. იუშკი ახალი თაობის სახეა? არის, არა მთლიანი თაობის, მაგრამ მისი მნიშვნელოვანი ნაწილის ნამდვილად არის. რამ მიიყვანა ეს ადამიანები ასეთ დასკვნამდე? რატომ აღიქმება ეს მასინჯი ურთიერთობა ნამდვილ სიყვარულად და თავისუფლებად? ადამიანისკენ ფიზიკური ლტოლვა ხომ მხოლოდ ბიოლოგიური ინსტინქტია იმ შემთხვევაში, როცა სექსის შემდეგ არაფერი რჩება და ყველა ინტერესი იქვე მთავრდება? როდის მერე წაიშალა ზღვარი ნამდვილ ადამიანურ სიყვარულსა და ცოცხალი სამყაროსთვის დამახასიათებელ სიცოცხლის გაგრძელების ინსტინქტს შორის? თუ ორი ადამიანი ერთადაა და თან ერთმანეთიც უყვართ, იქ რატომლაა საჭირო პარალელური სექსუალური ურთიერთობები სხვებთანაც, თან ბევრთან? (ალბათ იუშკიმ და მისთანებმა არც იციან, თორემ ასეთი იდეოლოგია ჯერ კიდევ ბოლშევიკებს ჰქონდათ საუკუნის წინ და ისინი აქ პირველები არ არიან. გიოს მიერ სიტყვა „ბოლშევიკის“ გამოყენებას ეს საფუძველიც აქვს უთუოდ. თუმცა რა თავისუფლებაც მოიტანა ასეთმა შეხედულებებმა მაშინ, იუშკიმ არ იცის, ამას ისტორიის ცოდნა სჭირდება). იუშკის თაობას ჰგონია, რომ ამით საზოგადოებაში დადგენილ სტერეოტიპებს ებრძვის, კლიშეებს არღვევს, თავისუფლების შემზღვდავ ბორკილებს ამსხვრევს და ამით ნანატრ, მისთვის იდეალურ გარემოს იქმნის. საზოგადოებაში გაბატონებულ შეხედულებებთან ბრძოლა მას სხვანაირად ვერ წარმოუდგენია და საერთოდ ვერ აცნობიერებს, რომ რეალურად ახალ კლიშეებს ქმნის. არადა სინამდვილეში ყველაფერი შინაგანი თავისუფლებით იწყება, რომელიც სულაც არ მოითხოვს საზოგადოების მორალის დუელში გამოწვევას. ეს შინაგანი შეგრძნებაა და ისედაც გაქვს ასეთ საზოგადოებაშიც და ისეთშიც. ცხოვრობ ამ შენი შინაგანი კანონების მიხედვით და სულაც არ გადარდებს, სხვა აღიარებს მათ თუ არა, თუკი შენ, როგორც ინდივიდი, შენთვის მიუღებელი

საზოგადოებრივი აზრის იგნორირებას ახერხებ. მთავარია, შენ განიჭებდეს შენი ცხოვრება ბედნიერებას და საკუთარ თავთან არ გქონდეს კონფლიქტი. ცხადია, ადამიანი სოციალური არსებაა და გარემო დიდწილად განსაზღვრავს მის რეალურ ცხოვრებაში ბევრ რამეს, მაგრამ მოპოვებული შინაგანი თავისუფლების წართმევა წარმოუდგენელია.

ბექა ქურხულის „თვალდაკარგული ყივჩალის ჩანაწერები ანუ დეშთი-იუფჩალი“ მხატვრული თვალსაზრისით ძალიან საინტერესო ტექსტია. კონცეპტუალურად ეს არ არის პოსტმოდერნისტული რომანი, თუმც ავტორი ამ მიმდინარეობისთვის დამახასიათებელ რამდენიმე ხერხს მიმართავს: იყენებს ინტერტექსტს, კერძოდ, იხსენებს გარკვეულ პასაჟებს თავისი ადრინდელი ტექსტებიდან „ორი მთვარის ამბავი“ და „ცარიელი საფერფლე“ („არა, ცოდვას ნურავინ იტყვის, არც დანა ყოფილა და არც ზუკას განთქმული ბოთლის ხეზე მიმტვრევა, რომელიც ჯერ კიდევ „ორი მთვარის ამბავშია“ მოხსენიებული“) (ქურხული 2020: 293). „სწორედ ამ მიდამოებში მოუხდა ის საქმე იმ ძმაცს, „მაკაროვის“ ლულას ასე ახლოს რომ გაეცნო. ამ ბალსა და თავგადასავალზე „ცარიელ საფერფლეშიც“ არის მოთხოვობილი და იმდროინდელი სიგიჟები რამდენიმე ენაზეც თარგმნეს“ (ქურხული 2020: 275)); ასევე ნონსელექციის პრინციპს, რომლის თანახმად მწერალი ალარ არის ვალდებული, დაემორჩილოს თხრობის ერთიან სისტემას და ტექსტში თავისუფლად შემოაქვს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული მანერით შესრულებული პასაჟები. აქ უპირველესად ყურადღება უნდა გავამახვილოთ თხრობის განსხვავებულ მოდელებზე, რომელთა გვერდიგვერდ არსებობა გამიზნულ ეკლექტურობას იწვევს: პირველი ესაა მხატვრული გამონაგონი ანუ ფიქშენი (რომელიც ალაგ-ალაგ საზრდოობს რეალური ფაქტებით, თუმც ამას არ აქვს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა); მეორეა ნონფიქშენის საკმაოდ მძლავრი და სერიოზული ნარატივი – თბილისური თუ უფრო ძველი ისტორიული საქართველოს ამბები; მესამე და, ვფიქრობთ, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი კი არის ესეისტურ-პუბლიცისტური მანერით შესრულებული ჩვენი უახლოესი წარსულის მკაცრი და დაუნდობელი ანალიზი (ისტორიის გაკვეთლების ჩათვლით).

„თვალდაკარგული ყივჩალის ჩანაწერებში ანუ დეშტი-ყიფ-ჩალში“ საკუთრივ ამბავი, იქნება ეს თბილისური თუ ყივჩალური, იმდენად დაძაბულია და ისე სწრაფად იკითხება, რომ ტექსტის კომპოზიციაში შიგადაშიგ ჩართული ფილოსოფიური თუ კრიტიკულ-პუბლიცისტური ნაკადები ცოტა არ იყოს იჩრდილება ამ სისწრაფის გამო და მისი აღქმა მთელი სიღრმით პირველივე წაკითხვისას რთულდება. ორიგინალურია თავად რომანის კომპოზიციაც, აյ ამბები უბრალოდ კი არ ენაცვლება, არამედ გარკვეული კონცეპტუალური ბმით უკავშირდება ერთმანეთს. მწერალი ლაიტმოტივის ხერხს იყენებს, რომელიც ლიტერატურამ, თავის მხრივ, მუსიკიდან გადმოიტანა და რომლის გაშლაც ისეთი დიდი მოცულობის მხატვრულ ტექსტშია ყველაზე უფრო მოსახერხებელი და მომგებიანი, როგორიც რომანია. ეს ლაიტმოტივი დასაწყისიდან (სადაც თვალის დაკარგვის ამბავია მოცემული) ბოლომდე (მარჯვენა თვალამოთხრილი უცხოტომელი რომ მარჯვენა თვალგახვრეტილ გიორგი ასათიანად გადაიქცევა) გასდევს ტექსტს და რომანის ეს პარალელური ნარატივებიც მის ვარიაციებსა გვთავაზობენ, ერთ პრობლემას სხვადასხვა პოზიციებიდან, განსხვავებული მორალურ-ეთიკური საფუძვლიდან გამომდინარე გვაჩვენებენ. თუმც ისიც ბუნებრივია, რომ უნივერსალური პრობლემების გააზრება მაინც ერთ წერტილში მოდის საბოლოოდ.

რომანი ძალიან საინტერესოა ნარატიული თვალსაზრისითაც. ავტორი თხრობის ორივე ხერხს იყენებს: ყივჩალური ნარატივი ლინეარულია, თბილისური კი – არალინეარული. ყივჩალურს ფილოსოფიური წიაღსვლები მსჯვალავს, რაც ასტრონომიულ დროში წინ ან უკან წასვლას არ მოითხოვს, მას მხოლოდ ცნობიერების შიდა ფენებში ჩაღრმავება ესაჭიროება, თუმც პროლეფსისის (მომავალში მოსახდენი ამბის) ჩართვის ერთეული შემთხვევა აქაც გვაქვს, როცა ბაბური ზულეიასთან სასიყვარულო ღამეს იხსენებს: „გამახსენდა, როგორ დაწერა საუკუნეების შემდეგ უკანასკნელი ზღვის ბოლო ქვეყნის, ურთიერთშორის ომის დროს, ერთმა ყაზიყმა, ჭკუიდან შეშლილმა თვითმკვლელმა, ულემებისთვის ჯერ კიდევ უცნობი მიწებიდან: „შენ აქ ადამიანის მოსაკლავად მოხვედი და არა ბავშვის გასაკეთებლადო...“ (ქურხული 2020:

143). თბილისურში კი ავტორი მუდმივად უბრუნდება ადრეულ ამბებს, ხანაც წინ უსწრებს მათ. ასეთ შემთხვევებში ვხვდებით პროლეფსისისა და ანალეფსისის შემთხვევებს: როდესაც ქართველთა დაპირისპირების ისტორიულ ამბებს იხსენებს, წარსულიდან მომავალში გადადის – ნაცმოძრაობის მმართველობის წლებში (რეალური თხრობა ამ დროს 90-იანების ბოლო და 2000-იანების დასაწყისია) და შემდეგ ერთგვარი რეზიუმესავით დასძენს: „თუმცა ეს ყველაფერი მომავალში მოხდა, დიად და ნათელ მომავალში. მანამდე კი სხვა ამბები ტრიალებდა. უცნაური, საშიში და დაუჯერებელი ამბები. დრო და სივრცე ისე გადადიოდა ერთმანეთში, როგორც შეყვარებულების სუნთქვა“ (ქურხული 2020: 108). თხრობაც ხან რეალისტური რომანის ხერხებით ოპერირებს, ხან პოსტმოდერნისტული და ხანაც მაგიურრეალისტური, რაც სტილურად საოცარ მრავალფეროვნებას ქმნის.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ბექა ქურხულის სტილი – სადა, თუმც საკმაოდ მეტაფორული ენა თავისი ქალაქური სლენგითა და სკაბრეზული გამონათქვამებითაც, რომლებიც გამაღიზიანებელი არაა და რომანის საერთო სტილისტიკაში ორგანულად ჯდება. ეს ის ენაა, რომელიც თანამედროვე ლიტერატურამ (არამარტო ქართულმა) მოირგო და დღეს უკვე მასობრივად გამოიყენება, როგორც სამწერლობო ენა და რომელსაც კითხველიც დადებითად იღებს (მით უმეტეს, რომ კარგ მწერალს ზომიერების განცდა ასეთ შემთხვევებში არ ღალატობს ხოლმე). შეუძლებელია თვალში არ მოგვხვდეს მახვილი იუმორი, რომელიც, ერთი მხრივ, თითქოს მსუბუქია, მაგრამ ამავდროულად საოცრად ზუსტია და დასამახსოვრებელი.

გარდა ამისა, ცალკე კვლევის საგანია მაგიურრეალისტური პასაჟები (განსაკუთრებით ქალღმერთი გულის ამბავი), სიზმრები, გამოცხადებები თუ წარმოსახვები (რომლებსაც ზემოთ მხოლოდ მოკლედ შევეხეთ) არა მხოლოდ იმგვარი ფილოსოფიური გააზრებით, რომ იქნებ სიზმარი და წარმოსახვაა სწორედ ნამდვილი არსებობის სივრცე და რეალობის ალტერნატივა („იქნებ, თვითონ სიზმარია ცხადი და რეალური, [...] იქნებ სწორედ ეს ჩაძალებით დასრულებული ცხოვრება არის თავად სიზმარი და არარეალური, იცის ვინმემ? ვინ იცის?“ (ქურხული 2020: 188)),

არამედ როგორც მთავარ პერსონაჟთა (გიორგის და ბაბურის) ფსიქოსოციალური სახეების გასახსნელად აუცილებელი მასალა. ამჯერად ყურადღებას სიზმრის მხოლოდ იმ ფუნქციაზე გავა-მახვილებთ, რომელიც მას რომანის კომპოზიციაში ეკისრება. სწორედ სიზმარში ერთდება ყველაზე ხელშესახებად ორი სი-უჟეტური ხაზი, როცა ირეალურ სამყაროში, ბაბურის სიზმარში დაწყებული ამბავი ჯერ საიქიოში გაგრძელდება (მოკლული ყივ-ჩაღი იქიდან ხედავს მისი სიკვდილის შემდეგ რეალობაში გან-ვითარებულ მოვლენებს), ბოლოს გადმოდის ნუნუკას, ან უკვე დედა მარიამის, ზმანებაში და ამთავრებს კიდეც სიუჟეტურ ხაზს. ირეალურ სამყაროში პერსონაჟთა შეხვედრა კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენ მიერ დასაწყისში გამოთქმულ იმ მოსაზრებას, რომ ეს სინამდვილეში ერთი ამბავია. რეალური პასაჟით დაწყე-ბული რომანი სიზმრით მთავრდება, რაც, ვფიქრობთ, სწორედ თანამედროვე სამყაროს ულოგებაზე, რეალობა-ირეალობის აღრევაზე, ჭეშმარიტების დაკარგვასა და ზოგადად, სამყაროს საზრისის ძიების ამაოებაზე მიუთითებს.

* * *

დაბოლოს, როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, ეს ორი ამბავი სინამდვილეში ერთი ამბავია, უბრალოდ სხვადასხვა დროსა და სივრცეშია გატანილი და გაშლილი, რითაც ავტორმა ორი რეალობა შექმნა, ორი პარალელური რეალობა. სინამდვილეში კი ჩვენ, მკითხველებმა, კიდევ ერთხელ დავინახეთ – ადამიანი სამყაროს შექმნიდან დღემდე ერთ ტკივილს ებრძვის და ეს არ-სებობის, ყოფის ტკივილია, უბრალოდ მას რამდენიმე სხვადასხვა გამოვლინება აქეს: სწორი ცხოვრების გზის არჩევის ტკივილი, ადამიანად დარჩენის სიმძიმის ტკივილი, სიყვარულისა და სი-ძულვილის ტკივილი, ორად გახლეჩილი სამშობლოს ტკივილი, შვილისა თუ ქვეყნის მომავალზე ფიქრის ტკივილი... მოკლედ რომ ვთქვათ, ეს „მოზელილ ტალახს შეყოლებული“ მოურჩენელი ტკივილებია.

და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, რომანი იმედით მთავრ-დება, სიყვარულის გამარჯვებითა და სიცოცხლის გაგრძელებით.

ნამდვილი და ჭეშმარიტი არ უნდა დაიკარგოს და არც იკარგება. ყოფის დაუოკებელი წყურვილი, სიცოცხლის ის უზარმაზარი ენერგია, რომელსაც სიყვარული ანიჭებს ადამიანს, აუცილებლად გამოიღებს ნაყოფს და მასში გაგრძელდება. ეს მნერლის სიყვარულის კონცეფციის ამოსავალი წერტილია. გიოს ორივე სიყვარულიც და ბაბურის თავაწყვეტილი ვნებაც საბოლოოდ მათ შვილებში გადადის და ვიდრე ადამიანს სიყვარული შეუძლია, სამყაროს საზრისი აქვს, არსებობას – აზრი და გამართლება, მოურჩენელი ტკივილები კი მუდამ იქნება, როგორც ადამიანურობის არსებითი ნიშანი.

დამონვანი:

მანი 2010: მანი თ. წინათქმა „ჯადოსნურ მთაზე“ – მოხსენება პრინსტონის უნივერსიტეტის სტუდენტთათვის. სამეცნიერო-მეთოდური ჟურნალი „ქართული სიტყვა“, № 2. „პირველი ელექტრონული გამომცემლობა“, 2010.

მოლოდინის ... 2002: „მოლოდინის პორაზონტი“. სჯანი. III. თბილისი: 2002.

ქარუმიძე 2009: ქარუმიძე ზ. პოსტსაბჭოთა საქართველო და პოსტმოდერნიზმი. ლიტერატურა – ცხელი შოკოლადი. ივნისი, №5, 2009.

ქურხული 2020: ქურხული ბ. თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერები ანუ დემო-ყიფჩაღი. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2020.

სოფო წულაძია

ნაირა გელაშვილის „ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე“...

ნაირა გელაშვილის თითქმის 800 გვერდიანი რომანის „ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე“ კითხვის პროცესში, იმ უამრავ ასოციაციასა და ალუზიათაგან, რომლებიც მეხსიერებიდან პერიოდულად ამომიტივტივდებოდა, უამრავ ამბავთაგან, რომლებიც, თითქოს, ხელახლა გამოვცადე, ზედაპირზე ყველაზე ხშირად პიერ პაოლო პაზოლინის შემზარავი და დამთრგუნველი კინოსურათი „სალო, ანუ სოდომის 120 დღე“ და რომანის დასაწყისში ერთგან, თითქოს, გაკვრით ნახსენები სიტყვა „თანამსხვერპლი“ ამოყვინთავდა ხოლმე. ალბათ, შემთხვევითი არ არის: უზარმაზარ მხატვრულ ტექსტში, სადაც ერთმანეთის პარალელურად რამდენიმე ათეული სიუჟეტური ხაზი ვითარდება, დომინანტი არც ერთი გმირის ისტორია და თავგადასავალი არ არის; ტექსტს, თითქოს, არც გამოკვეთილი მთავარი გმირი ჰყავს. მიზეზი მარტივია: აქ, ამ სასტიკ, საზარელ რეალობაში, მთავარი გმირი ვერავინ იქნება, რადგან ადამიანების ბედისწერას ჯერ თავის კალაპოტში აქცევს, ერთ მდინარებას აძლევს, შემდეგ კი მისითვის სასურველი მიმართულებით მიაქანებს თუ მიერკება რეჟიმი, რომლის თანამსხვერპლნიც უკლებლივ ყველანი გავმხდარვართ, თუმცა ზოგს, მაგალითად, იმათ, ვინც „გარკვეულ დამსახურებათა თუ გარემოებათა გამო“ ჯერ ისევ სათავეშია მოქმეცეული, ეს ჯერ ვერ (ან უფრო არ) გაუცნობიერებია.

იმას, თუ როგორ ვხდებით ტირანული რეჟიმის მსხვერპლნი თუ თანამსხვერპლნი, როგორ იცვლება ჩვენი ცხოვრების მდინარე(ბა), როგორ აღმოვჩნდებით ჩვენი რეალობიდან, გარემოდან, გარშემომყოფთაგან, გეგმებიდან, მიზნებიდან, პროფესიებიდან, საქმიანობებიდან – სრულიად დისტანცირებულნი, სულ სხვა გარემოს, სივრცესა და რეალობაში, სიმბოლურად თუ მეტაფორულად, ყველაზე ზუსტად, ალბათ, სწორედ რომანის ფაბულის სტრუქტურა გამოხატავს: ნაწარმოებში ამბის თხრობა, თითქოს, მიზანმიმართულად, კულმინაციურ მომენტში წყდება და ავტორი

ტექსტში „ჩანერგავს“ ეპიზოდს სახელწოდებით „კუდიანთა შაბაში, ანუ ვალპურგის ღამე საქართველოში“... ტექსტის ეს ეპიზოდი ერთდღოულად აბსურდის დრამასაც წარმოადგენს და დოკუმენტურ მასალებზე დაფუძნებულ ისტორიულ პოემასაც, სადაც ამაზრზენი ნატურალიზმით, ქრონოლოგიურად და დეტალურადაა აღწერილი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ კარნავალისთვის დამახასიათებელი პომპეზურობით მოწყობილი კოსტიუმირებული შოუ, უფრო სწორად, სატანისტური რიტუალი. ვის აღარ გადავაწყდებით „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ გვერდით პერვერსიულ სექსუალურ ორგიებში: ცნობილ ჟურნალისტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებს, ჩინიანებს თუ უჩინოებს... მათი სახელებისა და გვარების ბერნერებს ლიტერატურულ ტექსტში, თითქოს, ერთგვარი მუტაცია განუცდია: ზოგი შეკუმშულა თუ შეკვეცილა, ზოგიც ინვერსია-ტმესის მსხვერპლი გამხდარა, მაგრამ იმდენად კარგად გვახსოვს მათ მიღმა ნაგულისხმები სახეები და მათ მიერ ჩადენილი „საქმენი საგმირონი“, რომ შეუძლებელია, კოდირებული სახელების მიღმა ნაგულისხმები აღრესატების ვინაობა ვერ ამოვიკითხოთ... და მიუხედავად იმისა, რომ არანაირი სურვილი არ გვაქვს, ამ შემზარავ ორომტრიალში ასე ღრმად ჩავიხედოთ, ჩავერთოთ, მისი თანამონაწილე გავხდეთ, იძულებულნი ვართ, რაღაცების დანახვა და აღქმა ვისწავლოთ, რადგან გვინდა თუ არა, ეს შემზარავი, დამანგრეველი, გამანადგურებელი რეალობა ჩვენს სივრცეშიც იჭრება, შემდევ კი არა ჩვენთვის, არამედ მის-თვის სასურველი მიმართულებით მიგვაქანებს. ზუსტად ისე წყდება ჩვენი ცხოვრება და სხვა განზომილებაში გადაინაცვლებს, როგორც აღნიშნული ჩანართი წყვეტს ტექსტის ძირითად სიუჟეტურ ხაზს და მკითხველის წინაშე სულ სხვა სიმართლეს, სულ სხვა რეალობას გადაშლის... .

მიკერძოებაში, გაზვიადებაში ან სათქმელის არასწორად გა-გებაში რომ არ ჩამეთვალოს, რომანის სიტყვებს მოვიშველიებ და ვიტყვი: „ეს ყოველივე ააშკარავებდა ხელისუფლების უშუალო კავშირს ბოროტ სულებთან, იმათთან, ვისაც მოციქული პავლე უწოდებდა „ამ სოფლის სიბნელის მპყრობელებს“ და „ცისქვეშე-თის ბოროტების სულებს“... ალბათ, დამეთანხმებით, რომ მსგავს

თემაზე მხატვრული ტექსტის დაწერა ჩვენ რეალობაში ავტორის მხრიდან დიდ გამბედაობას მოითხოვს არა მხოლოდ იმიტომ, რომ შეიძლება, მის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნას, არამედ იმიტომაც, რომ ასეთ დროს მის წინააღმდეგ ხშირად ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი იარაღი – შხამიანი ირონია, დაცინვა და სარკაზმი ამოქმედდება ხოლმე. ბევრისთვის ხომ ყველაფერი, რაც ზემოთ აღნიშნულს უკავშირდება, არასერიოზულ ბოდვად, სიბნელედ, გაუნათლებლობად აღიქმება; თუმცა, ნაირა გელაშვილის სახელი და ავტორიტეტი არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპაშიც სრულიად სანინააღმდეგოზე მეტყველებს. ალბათ, სწორედ ამიტომ არ შეშინდა, უკან არ დაიხია და ერთი შეხედვით ტაბუდა-დებულ თემებზე ასე აშკარად და ღიად დაწერა გადაწყვიტა.

აღნიშნული პოემის წაკითხვის შემდეგ შეუძლებელია, სტენი კუბრიკის ბოლო ფილმი „ფართოდ დახუჭული თვალები“ არ გაგვახსენდეს, სადაც ასევე აღწერილია კარნავალურ სტილში გადაწყვეტილი სატანისტური რიტუალი, რომელიც ბოლოს მსხვერპლთმენირვით სრულდება. 1999 წელს გადაღებულმა ამ კინოსურათმა თავის დროზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ზოგიერთი რეჟისორის იდუმალებით მოცულ სიკვდილს სწორედ ფილმის სიუჟეტს უკავშირებდა და მიიჩნევდა, რომ ავტოკატასტროფა, რომელსაც ის შეენირა, მოწყობილი იყო და რეალურად გარკვეულ ძალებს მისი თავიდან მოშორება სურდათ. ბევრი ამ ყველაფერს მასონურ ძალებთან აკავშირებდა, თუმცა ეს სულ სხვა თემაა, ამიტომ სათქმელს აღარ გადავუხვევ და ისევ პიერ პაოლო პაზოლინის გახმაურებულ ფილმს „სალო, ანუ სოდომის 120 დღე“-ს მივუბრუნდები.

„ჩემი ფილმები სასონარკვეთილების კივილის პოემებია“ – ამბობს თავის ერთ-ერთ ინტერვიუში პიერ პაზოლო პაზოლინი (თეო ხატიაშვილი, „სიკვდილის რომანტიკული თაყვანისმცემელი“, უურნალი „არილი“, 2017 წლის 15 თებერვალი) და იქვე იმასაც დასძენს, რომ ის მაყურებელს არც გამოსავალს სთავაზობს, არც პრობლემის გადაწყვეტის გზას; ნაირა გელაშვილის „ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე“ კი „განგაშის რომანი“ უფროა, ვიდრე სასონარკვეთილების ზღვარზე მყოფი ადამიანის თავგანწირული ამოგმინვა-ამოკივლება, მხატვრული ტექსტი, რომელიც ახლო

მომავალში მოსალოდნელ დიდ უბედურებას წინასწარმეტყველებს, თუმცა ამაში ირაციონალური, ინტუიტიური, დაუჯერებელი და წარმოუდგენელი არაფერია, რადგან მომავლის წინასწარგანჭვრეტა მეცნიერული ფაქტებითა და სამყაროს სიღრმისეული ცოდნით, მასთან სულიერი კავშირით, ახლო მეგობრობითაა გამყარებული. ეს სწორედ ის ცოდნაა, ცოცხლად დამარხვას რომ უპირებენ, ცოდნა, რომელიც მეცნიერებასთან ერთად რელიგით, მითოსით, ფოლკლორით, პოეზიით, ხალხური ზეპისიტყვიერებითა და კოლექტიური არაცნობიერითაა ნასაზრდოები...

„იმაზე უფრო ანარქიული არაფერია, ვიდრე ძალაუფლება“ – ამბობს პიერ პაოლო პაზოლინი თავის ერთ-ერთ ინტერვიუში. „ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარის“ ერთ-ერთ მთავარ გმირა-დაც სწორედ სასტიკი და გარყვნილი ძალაუფლება გვევლინება – ნეოლიბერალიზმის ქურქში გახვეული ფაშიზმის მშობელი დედა, რომელიც, თავის მხრივ, ფესვებით ანტიკური სამყაროს ტირანიასთანაა გადახლართული. „ნეოლიბერალი ნერონი“ კი იმ კონკრეტული სახის მიღმა, იმთავითვე რომ ამოიკითხება ხოლ-მე, ტირანი ხელისუფლის, დიქტატორის განზოგადებული სახის ერთგვარ კონტურებსაც ხაზავს – ადამიანური რომ ყველაფერი დაუკარგავს და გამდვინვარებულ მხეცად ტრანსფორმირებულა.

ცხადია, ამგვარ განზოგადებაში ერთი შეხედვით ახალი არაფერია – პირიქით, ტირანის განზოგადებული, კრებსითი სახის შექმნა უკვე საკმაოდ ტრივიალურ ხერხადაც კი მიიჩნევა კინოსა და ლიტერატურაში, მაგრამ თუკი ისევ იმ რომანს დავესესხებით, რომლის ანალიზის დაწერასაც ვცდილობთ, „მსხვერპლი, რომლის ჯალათიც არ მხილებულა, სხვანაირი მსხვერპლია... მსხვერპლი, რომლის ჯალათიც დაისაჯა – სხვანაირი, უფრო ცოცხალი“ – მივხვდებით, რომ ჩვენი არც ისე შორეული წარსულის ლიტერატურულ ტექსტში რეპრეზენტირება აუცილებელია, რადგან, სამწუხაროდ, (თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო), საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ძალიან მოკლე ისტორიული მეხსიერება აღმოაჩნდა, იმდენად მოკლე და უდღეური, რომ სულ რაღაც ათი წლის წინ მომხდარსაც მივიწყების მტვერი დასდებია, ბევრისგან ისე მივიწყებულა, თითქოს, არც ყოფილაო... და თუკი ოთარ ჭილაძეს, ეპოქებზე შექმნილი რომანი-მეტაფორების ერთ-

ერთ გამორჩეულ დიდოსტატს დავესესხებით, რომლის აზრითაც, მწერლის უმთავრესი დანიშნულება ერისთვის მეხსიერების შენახვა („სხვებმა მისი იმედით დაიკინყეს, აველუმს კი დამასხვერება ევალება მხოლოდ“ – „აველუმი“), კიდევ ერთხელ დავრნმუნდებით, რომ ჩვენს არც ისე შორეულ წარსულზე „ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარის“ მსგავსი რომანი-მეტაფორის შექმნა აუცილებელი იყო, თუნდაც იმ ადამიანების სახელების უკვდავსაყოფად, ტირანულმა რეჟიმმა, მისმა ზღვარსგადასულმა ბოროტებამ მსხვერპლად რომ შესწირა საკუთარ ძალაუფლებას, კეთილდღეობასა და ამბიციებს; იმათი მსხვერპლთშეწირვა, ვინც შენთვის მიუღებელია, შენგან განსხვავებულია, ვინც შენს იდე-ებსა და იდეალებს ენინაალმდეგება, ვინც შენც წინაალმდეგ ხმის ამოღებას, შენს მხილებას, ან შენგან გაქცევას, თავის დაღწევას ბედავს. ეს თემა კინოფილმ „სალო, ანუ სოდომის 120 დღის“ ერთ-ერთი ამოსავალი წერტილიცაა...

რომანში ერთ-ერთი შთამბეჭდავი და ყველაზე სიღრმისეული შრეა ხელისუფლების მხრიდან მდინარის მოკვლის, მისი ცოცხლად დამარხვის, უფრო სწორად, ბეტონის სარკოფაგში მოქცევის უგუნური, ბოროტი და წარუმატებელი განზრახვა. „წყალი სულინმინდის ფიზიკური ხატია... მდინარის დაგუბების სურვილი სულინმინდის მოშთობის, ანუ სიცოცხლის მოსპობის ინსტინქტურ სურვილს ნიშნავს“. ძნელი სათქმელია, ეს სურვილი ინსტინქტურია თუ მიზანმიმართული (ალბათ, უფრო მეორე), ერთი კი ცხადია: ნაწარმოების ყველა შრე, პლასტი, სიუჟეტური ხაზი, ყველა პერსონაჟი თითქოს სწორედ ამ სათქმელის ხორცშესხმას, ამ იდეის გამყარებას ემსახურება; ერთი მხრივ, წარსულის აჩრდილი, რომელსაც სვანეთში გიგანტური ჰესების მშენებლობის მიზნით წყალჯვეშ ჩაძირული სოფლების, ტაძრების, საფლავებისა და წარსულის სახე მიუღია და მოსვენებას არ აძლევს ამ დანაშაულით სულდამძიმებულ შთამომავლობას, მეორე მხრივ, ვერეს ხეობაში ცოცხლად დამარხული მდინარე ვერე, რომელიც მასთან ასე სასტიკად, უსამართლოდ მოქცევის გამო დიდი შურისძიების-თვის ემზადება და რომანის დაწერიდან სულ რამდენიმე წელი-წადში ამოხეთქავს კიდევ მთელი თავისი მძვინვარებითა და შეუწყნარებლობით, თითქოს გამოფხიზლებისკენ, ფართოდ და-

ხუჭული თვალების რაც შეიძლება ფართოდ გახელისკენ მოგვინოდებს და ცდილობს, ის საფრთხეები დაგვანახოს, ჯერ ფიზიკური განადგურებით, შემდგომ კი უფსკრულში მთანთქმით რომ გვემუქრება...

ტექტში კიდევ ერთი საინტერესო ხატია – გაურკვეველი წარმომავლობის ფრინველი (ჩიტი, რომელიც რომანის სათაურშიც ფიგურირებს). მის ერთგვარ არქეტიპად, ნინასახედ, შესაძლოა, ზღაპრული ფრინველი ფასკუნჯიც ჩავთვალოთ (მგონია, რომ რომანში ეს ფრინველი ქვეყნის დამოუკიდებლობის, თავისუფლების იდეის ერთგვარი სიმბოლოა), რომელიც ჯერ ბოლომდე ვერ შეუცვნიათ ვერეს ხეობაში მცხოვრებ ადამიანებს, თუმცა ტექსტის ფინალში გარემოში მიმოფანტული მისი ფერადი ბუმბულით მოხიბლულები, სილამაზით დატყვევებულები, თავს მაინც ბედნიერად გრძნობენ: ერთმანეთს ეხვევიან, ტირიან, ერთდოულად ტრაგიკულ და სამგლოვიარო სიმღერას მღერიან, ფრინველის ბუმბულს ხელში ატრიალებდნენ, ერთმანეთს ადარებენ... და როგორ ჰგავს ეს გულუბრყვილო ზეიმი, ბავშვური აღტაცება, აღტკინება ჩვენი ქვეყნის თავისუფლების პირველ წამებასა და წუთებს, დამოუკიდებლობის პირველ წლებს... სხვადასხვა დროს მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ განცდილ მგზნებარე წამებას... რომლებსაც შემდგომ, სამწერაროდ, ყოველთვის დიდი იმედგაცრუება, ტკივილი, სასონარკვეთა და ზოგჯერ ფიზიკური თუ სულიერი განადგურებაც მოსდევდა.

ვის და რას არ შევხვდებით ამ უზარმაზარი რომანის გვერდებზე, სად აღარ ვიმოგზაურებთ, რას აღარ განვიცდით, ვის მოსაზრებებს არ გავეცნობით. ავტორს სათანადო ადგილი, თითქოს, ყველასთვის მიუჩინია, დრო და ენერგია ყველასთვის დაუთმია, საკუთარი თავის, ნიჭის, შესაძლებლობების, მრნამსის, შეხედულებების გამოხატვის საშუალება ყველასთვის მიუცია. აქ ერთმანეთს ოსტატურად ენაცვლებიან მოხუცი პატრიარქი, ულირსი თუ ღირსეული ღვთისმსახურები, აგვისტოს ომი, ციხეებში წამებული პატიმრები და მათი ოჯახის წევრები, ხელისუფლების რუპორებად ქცეული უზნეო ტელევიზიები..., აქვე არიან ყოფილი პრეზიდენტი და მისი „თანამებრძოლნი“, ქეთრინ კულმანი, ნიკოლა ტესლა, დასახიჩრებულ-გადაჩიჩქნილი მთები, ადამიანე-

ბის სულები, ბუნება, ჩვენი უძველესი დედაქალაქი უკიდურესად დამახინჯებული იერსახით, დახურული ან ფუნქციებშეკვეცილი კვლევითი ინსტიტუტები... მათ გვერდით ორგანულად თანაარ-სებობენ რომანის პერსონაჟებიც: ივლიანე გიგანი – სასულიერო პირი, საკუთარი რწმენის წყალობით მძიმე სენით დაავადებული პატარა გოგოს განცურნება რომ შეძლო; მისი უფროსი და – წარსულის აჩრდილი, ანუ თავისი წყალში ჩაძირული სოფელი მოსვენებას რომ არ აძლევს და ფსიქიატრიულ საავადმოფოში აღმოჩენილს, ეჩვენება, თითქოს, რაც აცვია, ყველაფერი გასაწური აქვს; სამრეცხაოს მეპატრონე ზანდა, ასე რომ ვერ იტანს „ნაცეპს“; კესანე – გოგო, რომელსაც ბავშვობაში ცალი ფეხი მაშინ მოეყინა და სამუდამოდ დაკოჭლდა, როცა მამას აფხაზეთი-დან სვანეთის გავლით მოჰყავდა; შვილმკვდარი დედები, ირინა ენუქიძისა და სანდრო გირგვლიანისთვის მიქელანჯელოს „პი-ეტას“ მსგავსი ქანდაკება რომ აღუმართავთ; პედაგოგები, რომ-ლებიც სამყაროს საიდუმლოს პოეზიაში ეძებენ...

ტექსტში ერთმანეთის გვერდით თანაარსებობს ჩვენი უახლესი ისტორიის სამარცხვინო, შემზარავი, დამთრგუნველი, ტრაგიკული, ამორალური, მტკიცნეული, ორაზროვანი, შეუფასებელი, შეუს-ნავლელი ფურცლები. ამ ყველაფრის მოკვეთა, დავიწყება, ნაშ-ლა, მიძინება, გადაფარვა შეუძლებელია, რადგან ეს არის ის, რისგანაც შედგებოდა ჩვენი წარსული, რაც დროდადრო ჩვენს აწმყოშიც გადმოიღვრება და გარკვეულწილად, მომავალსაც გან-საზღვრავს და წარსულის ამ ცოდნის, გამოცდილების, ტკიცი-ლის, ისტორიის ამ ფურცლების მომავალი თაობებისთვის გადანახვა აუცილებელია, გადამალვა კი – დანაშაული; ასევე დიდი დანაშა-ულია ამ ყველაფრის დავიწყება და უგულებელყოფა. ისეთივე დიდი დანაშაულია, როგორც გიგანტური ჰესების მშენებლობის მიზნით ჩვენი ქვეყნის მაღალმთანი რეგიონების წყალში ჩაძირვა და მდინარეების ცოცხლად დამარხვა.

ბოროტების დავიწყება კი ამქვეყნად ყველაზე დიდი დანაშაულია...

ზორა ცხადაია

„დრო... სევდიანი ლიტერატურის“

„დრო... სევდიანი ლიტერატურის“.
ნიკა ჯორჯანელი

ადამიანის და, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებით შემოქმედი ადამიანის ბუნებაში, აღიარებულია ე.ნ. სარეზერვო ფიზიკური და ფიზიკური ძალების არსებობა, რომელსაც ის, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ავლენს განსაცდელის უამს. თავისი მინიმალის-ტურობით, მხატვრული ეფექტებითა თუ ემოციური ზემოქმედების ძალით ამის გამორჩეულ პარადიგმად შეიძლება მივიჩნიოთ პოეტური ტექსტი.

უხსოვარი დროიდან დღემდე მრავალგვარმა ადამიანურმა შიშ-მა და განსაცდელმა შეაძრნუნა კაცობრიობა: ომებმა, სტიქიურმა კატაკლიზმებმა, პანდემიებმა... რამდენი რამ შემოინახა პოეზიამ სიკვდილ-სიცოცხლის ისტორიიდან: ეპონებში, მითებში, ლეგენდებში, ეპიტაფიებში.

ცნობილია ანატორის – ხევსურეთის ულამაზესი ნასოფლარის ისტორია. მიხა ჭინჭარაული გზამკვლევში „შატილი – 2008“ წერს: „სოფელი ანატორი მდებარეობს საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის მხარეში, დუშეთის მუნიციპალიტეტში, ისტორიულ ხევსურეთში (პირიქითა), მდინარე არღუნისა და მუცოს წყლის შესართავთან; შატილიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 2-3 კილომეტრში.

XVIII საუკუნეში ამოწყდა ზემოთ ნახსენები სოფელი ისე, რომ ერთი ადამიანიც არ გავიდა მეზობელ სოფელებში, რაღაც ინფექცია, აქაურად „უამი“ მოედო სოფელს და რაკი დამმარხავი და აკლდამამდე მიმყვანი აღარავინ რჩებოდა, ავადმყოფი ანატორ-ლები თავისი ფეხით მიდიოდნენ აკლდამაში... ასეთი თვითდამარხვა კაცობრიობისათვის ალბათ უცნობია და ისტორიკოსებისა და ეთნოგრაფების სათანადო შესწავლასა და შეფასებას ელოდება“. ძალიან საგულისხმოა მკვლვრის ეს დასკვნა. ასეთივე საინტერესო ინფორმაციებს (ისტორიებს) გვაწვდიან პროფესო-

რი ამირან არაბული და პოეტი ეთერ თათარაიძე ამ ისტორიულ წარსულთან დაკავშირებით. ერთ-ერთი თუშური ნარატივიდან გებულობთ თუშეთის სოფელ დართლოს უამით ამონყვეტის ამ-ბავს... თავისი ფეხით მისულნი ყველა ასაკის ქალ-ვაჟი, ბალები გაავსებენ პირთამდე დართლოს აკლდამებს... დართლო დაილევა.

„სიკვდილს დავცინით“ და მღეროდნენ თურმე...

სიკვდილს ვაშინებთო და მღეროდნენ თურმე შვილმკვდრები, ამონყვეტილები... კორონაზე უფრო მძიმე ცხოვრებას ებრძოდნენ და იმარჯვებდნენ. ჩვენც გავალთ ბოლოში“ (თათარაიძე, „სიკ-ვდილდამცინავი საქართველო“).

ნაშრომის თანმიმდევრულობას დავარღვევთ და ბარემ აქვე გავეცნოთ ეთერ თათარაიძის პოეტურ ტექსტებსაც, რომლებ-შიც თანამედროვე ადამიანის დამოკიდებულება გამოიხატა ამ შემზარავი მოვლენისადმი, რომელმაც მსოფლიოს გადაუარა და ჯერ კიდევ არსად არ აპირებს წასვლას.

ჰო, მეაც იმ ჩიტს ვლგევარ,
მდუმარ ბალში რო გალობს
გულამოგლეჯილ,
დაყრუებულ სოფელში
მეც ლექსით ვიურნებ
გულამოფლეთილ,
ყურის მგდებელ გამწყდარ თვარ.

მისივე: „რა ავადაა ქვეყანა, რა ავადაა ხალხ, რა ავადაა სამ-ზეო, დახვ-მოხვევი თალბ“... ორსტრიქონიანი ემოციური ლირი-კული ჩანახატი: „გადამტკნარებულ ყაყაჩიებით ცეცხლ მოხკიდებია უფერო დღეებს“ (თათარაიძე ე., ლიტ. გაზეთი, №13, 3-16.VII).

პოეტის საბოლოო სათქმელს მისივე წერილიდან ამონარი-დით დავასრულებთ: კორონაზე მძიმე ცხოვრებას ებრძოდნენ და იმარჯვებდნენ (გულისხმობს წინაპრებს, ზ.ც.), ჩვენც გავალთ ბოლოში“...

საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას შეწირული თუ-ში პოეტი ადამ ალვანელი (ბობლიაშვილი) თავის ვრცელ ლექსში „ჩემი მემკვიდრეობა“ ცოცხალ სურათს გვთავაზობს იმ წარსუ-

ლიდან, როცა შავი ჭირით სწორი თაობები (თუშების ისტორიას გულისხმობდა, ზ.ც.), სასიკვდილოდ განწირულები, თავიანთი ნებით წვებოდნენ აკლდამაში და „ძვლების გროვში ტანჯვით კვდებოდნენ“.

...აქ იყო-მეთქი, ჭირით სწორი
აკლდამაში რომ თვითონ წვებოდა,
ცოცხლად აჩრდილად გადაქცეულ
ძვლების გროვაში ტანჯვით კვდებოდა...
ბედს დასცინოდა შთენილი მარტოდ,
ოხვრა ეკიდა ნოტიო თაღებს...
მოჩანს კლდეებში აკლდამა ფართო
და მდუმარე კარს დუმილით ვალებ
აი, შევდივარ წელში მოდრეკით,
ძვირფას სახსოვარს სიპზე ვალაგებ,
ვინ იცის, სად არ მოუკლავს ლეკი
ამ დაობებულ თითის ფალანგებს...
ო, განისვენეთ, მარად მდუმარი
მინის კედელი გეხუროთ შავად,
მე აქ მოვსულვარ, როგორც სტუმარი,
მემკვიდრეობის მოსაკითხავად...
(„ჩემი მემკვიდრეობა“, 1939 წ.)

დღეს, როცა სამყარო შეაშფოთა ახალმა პანდემიამ, პოეზია კვლავ ასრულებს თავის ფუნქციას ნეგატიური განცდების და-სათრგუნად, შინაგანი სიმტკიცის, სასიცოცხლო უნარის, სული-ერი პარმონიის შესანარჩუნებლად. ახალი „ჟამი“, „კაცის მკვლელის“ (საბა) დასაძლევად, 2020-2021 წლების ქართულ საღიტე-რატურო პრესაში („ლიტერატურული გაზეთი“, „ლიტერატურული საქართველო“, „არილი“) ამ მხრივ ყურადღებას იქცევს თანა-მედროვე ქართველი პოეტების (ლია სტურუა, ბესიკ ხარანაული, ბათუ დანელია, ნიკა ჯორჯანელი, ნუგზარ ზაზანაშვილი, ნინო დარბაისელი, ეთერ თათარაიძე, ნომადი ბართაია, მანანა ქურდა-ძე, სოსო მეშველიანი, ვახტანგ ჯავახაძე, დოდო ჭუმბურიძე) ახა-ლი ლექსები, რომლებიც დასტურია იმისა, რომ „პანდემიამ თემე-ბი წარმოშვა“ (ბ.ხარანაული).

ყველაზე მძიმე ჩვენი საზოგადოებისათვის იყო 2020 წლის გაზაფხული, თავისგადასარჩენი მოწოდებით – „დარჩი შინ“, როცა ოთხედელში გამოკეტილი გაჰყურებ ქალაქის სივრცეს და ლამის ყურთან ჩაგესმის კორონების ზუნი.

ღამე უცნაურად ჩუმი გახდა.
დედამიწამ ჩაისუნთქა და ველარ ამოისუნთქა...
ზაფრა დაფარფატებს და
უვარსკვლავებო ცას ამაოდ გახედავ
სიმშვიდისათვის.
მთელი ღამე გესმის ჰაერში კორონების ზუნი...
გათენდება და – უცვლელი კადრები
მეთორმეტე სართულის ავნიდან:
უძრავად დგანან მანქანები.
სამყარო სიჩუმეშია ჩაქვავებული.
არავის არსად არ ეჩქარება...
კარებზე მიგვიწერეს: „დარჩი შინ“...
დედამიწამ ჩაისუნთქა და ველარ ამოისუნთქა.
ერთადერთია ყვითელუილეტიანი მეტოვე ქალი, რახილი,
ჭიამაისავით ლამაზი,
სისხამ დილით ნათელი რომ შემოაქვს
ამ სიჩუმეში და უხმოდ განიშნება:
დილა მშვიდობისა, გათენდა...
(ზ. ც.)

ჩვენს მცხოვან პოეტს, პოეზიაში „ცრემლიანი სიცილის“ ოსტატს, ვახტანგ ჯავახაძეს იუმორისა და ნაცადი ირონიის (ამჯერად – ბედის ირონიის) ნაზავით უცდია ამ საყოველთაო განსაცდელის შემსუბუქება შვების და ლიმილისმომგვრელი ლექსით „კორონავირუსი ანუ დაეტიო სახლში!“

მინდა მუდამ ვიქართველო და არასდროს ვირუსო,
რას გვერჩოდი, ჩინეთიდან მოგზავნილო ვირუსო,
ვინ ვოლტერი გაიხსენა, ვინ დიდრო და ვინ – რუსო,
ვინც სახლში არ დაეტიოს, წიხლი მოხვდეს ვირისო!

მე თუ მკითხავთ, არ მაქვს ალტერნატივა,
გინაიდან ნაღდი კანდიდატი ვარ.
(„ლიტ. გაზეთი“, 22.V. №9, 2020. გვ. 1)

ამ დახშულობას, ჩაკეტილობის ჟამს ლია სტურუას ერთი
ლექსი მოვიძეოთ, რომელშიაც მნარე განცდაა იმისა, რომ დრომ
ადამიანები ისე გააჩუმა, უკვე „დამინებულს“ დაამსგავსა, არადა,
ისევ ცოცხალი ხარ. ამიტომაც იტყვის მშვენიერ სატკივარს:

რამდენი უპასუხობა,
რამდენი სართული თავზე,
საძირკველი გრიფა,
ჯერ მიწა ხომ არა ხარ,
დუმილს მაინც სწავლობ.
გარედან ვინც გხება, ისინიც არ დააფრთხო.
ამაზე უარესია, ფანჯრიდან რომ გაიხედავ
და ვერავის ეტყვი, რა კარგი ამინდია!

რეალური და ირეალური ერთმანეთში განზავებულა ბათუ
დანელიას ლაქსებში „მგზავრობა თვითიზოლაციისას“. ტექსტი
პუნქტუაციის გრეშე იმ სულიერ ფორიაქს მიანიშნებს, რომელსაც
პოეტი განიცდის ამჟამად, ლექსის წერის დროს და ზოგადადაც...
ტრაგიკული ირონიის ნიშნით...

სასტუმრო ოთახიდან სამზარეულომდე
71 ნომერი ავტობუსით ვმგზავრობ
საძინებელ ოთახამდე – 37-ით
აბაზამდე 101-ით
ლოჯიამდე – 3 მარშრუტებით
და უკანაც ამავე ნომრებით ვბრუნდები
და ასეთ მგზავრობაში ვარ
მთელი დღის განმავლობაში
მგზავრობის გადასახდელიც არ მაქვს
მხოლოდ კედლიდან
მეულლის სურათი შემომჩივის

ფანჯრები გააღე თორემ
მანქანების გამონაბოლქვით
გაივსო ოთახები და
არ გაიგუდოო.
(ლიტ. გაზ. 31.VII, №15, 2020, გვ. 5)

არადა, ამ დროს მანქანები საერთოდ არ მოძრაობენ ქუჩაში.
ყველაფერი მოჩვენებითია, ლანდური, ამიტომაც – ირონიული.
მურად მთვარეშვილს ამ გაჩერებულ დროში გამოსავლად
უკან – ძველი, სევდანარევი გრძნობებისკენ გახედვა აურჩევია
სიმშვიდისათვის:

... ამ გასაოცარ, დათაფლულ წუთებს
გულში უთქმელი ნაღველით ვადნობ,
აპრილის ღამეს ცრემლებით ვუთევ
და სიყვარულის აბზაცებს ვდარდობ.
(„ლიტ. გაზ.“, №10, 29.V.2020)

„მარტო არ დამტოვო ამ შუალამეში, ამ ჟამიანობისთვის გამზადებულ ქალაქში“... დოდო ჭუმბურიძის ეს ვედრება უფალს მიემართება, ყოველთა მფარველს. რწმენის ამ ძალით ცდილობს ავტორი სულიერი სიმშვიდის შენარჩუნებას დაცარიელებულ, მდუმარე სივრცეში, ქალაქში – გუშინ რომ ყურისწამლებად ხმაურიანი იყო.

... ცარიელი ქუჩები, მოედნები, ბაზრები,
უდაბნოს დუმილი, ძნელად გასაგები,
შიშსა და ნაღველს უჩინრად მიასებს,
ფილტვი იხურება და გული ცივდება,
მრავალჯერ დაფლეთილი მაინც რომ მჭირდება,
მარტო არ დამტოვო ამ ბნელში იესო!

ნინო დარბაისელის „პრიმავერა“ („ლიტ. საქართველო“, №20, 2020, 23.IX) კორონავირუსის „რენესანსული“ სილამაზის წარმოსახვაა, ფორმა სრული და ფერადოვანი, მიმზიდველი და სი-

ცოცხლით სავსე, მაგრამ ეს არ არის იმ შეგნებით ნათქვამი, „შიში რომ შეიქმს სიყვარულს“, არც „მოუარეთ ბატონებსა“ (მოსა-ფერებლად)... ეს სარკასტული მოფერებაა გაზაფხულივით ფე-რადოვანი ჯოჯოხეთისა:

ო, პრიმავერა.

ო, კორონა.

თან კი რამდენი სიკვდილი მოგაქვს,
ხოლო მანამდე რამდენი შიში.

ასე შემოდის პოეტურ ტექსტებში სრულიად არაპოეტური სიტყვები, რომლებიც შექმნილი დრამატული სიტუაციის ირონიული გამოხატვის ფუნქციას ასრულებენ: „კლასტერი“, „რისკ-ჯგუფი“, „კომენდანტის საათი“, „თერმოსკრინინგი“, „სიყვარული პანდემიაში“, „გამოტოვებული გაზაფხული“, „დატრენინგება“, „ხე-ლების დაბანა“, „პირბადე“, „ვაქცინა“, „თვითიზოლაცია“.

სოფო წულაიას სამი ახალი ლექსი კორონავირუსზე („ლიტ. გაზეთ.“ 2020, №14, 3.VII, გვ. 8): „ჩვენი კლასტერი“, „სიყვარული ჟამიანობის დროს“ და „შიმშილი“ კიდევ უფრო მტკიცნეულად გამოხატავს როგორც კონკრეტული პიროვნების, ასევე – ზოგად საფიქრალს, რომელიც გაამძაფრა ახალმა ჟამიანობამ. „ჩვენ ახლა ერთი კლასტერი ვართ“, – ასე იწყება ლექსი. ეს „ერთი კლასტერი“ ერთი ოჯახია: დედ-მამა და შვილი. მათვის მხოლოდ საკუთარი ოჯახი და შვილი არაა განსაცდელი, რადგან „აიფონი-დან ამოკენილი ბოლო ამბებით“ უმძიმდებათ განწყობა (როგორც მთელ საქართველოს):

იტალიაში ბოლო მონაცემებით 25 000-ზე მეტი გარდაცვლილა
და ეს ციფრი წამების ინტერვალით იცვლება,
დედაშენიც იტალიაშია,
დედაშენი რისკ-ჯგუფშია,
მაგრამ შენი 19 წლის შვილის ბედი უფრო გაღელვებს,
ამერიკაში რომ დარჩა,
დღეში ერთხელ გვირეკავს და ცდილობს, დაგვატრენინგოს
– ხელები ხშირად დაიბანეთ!

ნიკა ჯორჯანელის ლექსები („ლიტ. გაზეთი“, „არილი“...) კიდევ ერთი ცოცხალი წარმოსახვაა იმ მოულოდნელი ვითარებისა, რომელშიც ვცხოვრობდით: კომენდანტის საათი, როცა სიგარეტზე გასვლაც კი დანაშაულია, თუ გამოგიჭირეს, უნდა ამტკიცო, რომ ნამდვილად ახლა იყიდე სიგარეტი, აჩვენო, რომ ერთი ლერი აკლა შენს კოლოფუს... მაგრამ ყველაფერი ამით არ მთავრდება. „ჩხრეკა“ გრძელდება და საინტერესო აღმოჩენაც სიურპრიზად ელოდება „მჩხრეკელს“ თუ მკითხველს:

მაგ დაჭმუჭნილ წითელ თოფჩიაში რა გაქვს,
ასე საგულდაგულოდ რომ მალავ,
მთლად ნეკნებს უკან?
ეგ მაჩვენე.
ამ წითელ თოფჩიაში?
ამ წითელ თოფჩიაში ტკივილი და რწმენაა...
...გულის ძირთან მაქვს შეხორცებული ორივე.
(უსათაურო, „ლიტ. გაზეთი“, 19-15.VII. 2021)

ნიკა ჯორჯანელის ლექსები (მთელი ციკლი) დაიბეჭდა უურნალ „არილში“ (2020, №4).

მის სათქმელს გლობალური, საყოველთაო სატკივარის დამდა ატყვია. შეიძლება, კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე უფრო დიდი ტრაგედიები, პანდემიები დასტყდომია თავს, მაგრამ დღევანდელ საზოგადოებას ის უმძიმებს განსაცდელს, რომ ყოველი წუთის და წამის ინფორმაციებთან აქვს წვდომა: ვინ სად კვდება, როგორ, რა ვითარებაში, დიდია თუ პატარა. ამიტომაც შორს მიდის მგრძნობიარე ადამიანის ფიქრები. ასე უჩნდება პოეტის სურვილი, რომ ამოთქვას სიტყვა „ყველა მსხვერპლის პატივსაცემად“.

... დაინეროს ყველა მსხვერპლის პატივსაცემად
ყველა დროის საუკეთესო ლექსი მოვარეზე!
რომელიც მოჩანს ღრუბლებიდან,
როგორც დამის საბრალო გული,
სამყაროსავით ფართო ინფარქტით
გადახლეჩილი.

(უსათაურო, „არილი“, 2020, №4, გვ. 11)

ნიკა ჯორჯანელის ტექსტის გულისტკივილის საგანი ისიც გამხდარა, რომ ამ ჯოჯოხეთურ რეალობაში არსებობს არანაკლები გულსატკენიც – ბაზრის შესასვლელთან შავებიანი მოხუცი რომ დაიჩივლებს ადმინისტრაციის თანამშრომელთან:

... შენ ის გაინტერესებს,
სიცხე მაქვს თუ არა,
და იმას რად არ მკითხავ, ხუთი პურის და ერთი
თევზის საყიდელი თანხა მაინც თუ მაქვს;
იმას რად არ მკითხავ,
მაქვს თუ არა საერთოდ რამე,
რაც შეიძლება უფალმა გამიმრავლოს,
რამე მაინც, შვილო,
სიცხის არქონის გარდა.

(„არილი“, 2020, №4. „თერმო სკრინინგი“, გვ. 14)

საინტერესო სათქმელი აქვს ნუგზარ ზაზანაშვილს (ლიტ. გაზეთი, 2021, 19.III) ლექსში „არჩევნების დღე“: „არ წავალ-მეთქი, მაგრამ მაინც წავედი ამ გაგანია კოვიდის ჟამს: სახე პლასტიკის ფარით დავიცავი, პირი პირბადით და გამოვცხადდი საარჩევნო უბანზე“... 1990-იანი წლებიდან არ გამოუტოვებია თურმე. „რატომ? – თავისსავე ამ კითხვას ირონიით და იმ სიმართლით უპასუხებს, რომელიც, ალბათ ბევრისთვის საცნაურია.

შინჩაკეტილ, „უუამურობის ჟამით“ დათრგუნვილ ყოფას იმე-დიოთ ავსებს მანანა ქურდაბის უსათაურო ლექსი („ლიტ. გაზეთი“, 2020, №19), ამდენ ვერლიბრში (გამონაკლისების გარდა) ამუსიკებული – რითმით და რიტმით:

უუამურობის ჟამი,
ჟამიანობის რისხვა,
მუხის ხე დგას და არის
და რკოს ყოველთვის ისხამს...
გადაივლის და წავა,
ულიმიტოა ყოფა...

შველაა და აბჯარი,
ყიფლიბანდების ჯარი,
უამიანობის რისხვა,
უამურობის ჟამი,
გადაივლის და წავა.

ასეთივე იმედის მშვენიერ ეიფორიაშია შინ გამოკეტილი
ნომადი ბართაია, როგორ შველის თურმე ადამიანს პოეტური
წარმოსახვის უნარი, რომელიც გათქმევინებს:

თანდათან წყდება წელში
მარტი,
თუ დამიჯერებთ,
ხმაც მესმის წყდომის
საცაა მოვა აპრილიც ახლა,
ვიღაცას კიდეც უნახავს მგონი.

(უსათაურო, „ლიტ. საქართველო“, 11. IX, 2020)

ასეა, როცა გამოკეტილი, თუნდაც შენს საყვარელ სახლში,
განსაკუთრებულად ფრთხილობ, მით უმეტეს, ბატონი ვახტანგ
ჯავახაძისა არ იყოს, თუ „რისკ-ჯგუფში“ ხარ... რა დაგრჩენია? –
მოთმინებით უნდა იჯდე „შენი ნიუარის ქარიშხალში“ და იქიდან
ეფერო სამყაროს და გაზაფხულს, რომელიც ვერ ნახე 2020 წელს:

რა პატარა ყოფილა მოსაფერებლად
მთელი სამყარო...
რა ახლოს ყოფილა სხვისი ჭირი...
რა მხელა ბედნიერება გვქონია:
გულში ჩახუტების უფლება...
„ფრთხილად!“ (ხილული თუ უხილავი შეგონება)...
და ზიხარ ახლა შენი ნიუარის ქარიშხალში
და ფიქრობ:
ისევ ისეთი ლამაზი იყო
გამოტოვებული გაზაფხული?!
(ზ.ც. 27. IV. 2020, „დარჩი შინ“)

შინ ჩაკეტვიდან ერთი წლის შემდეგ საერთო მდგომარეობა
დიდად არ შეცვლილა, მაგრამ მაინც „თავისუფლებაში გასულის“

სიხარულს გამოხატავს ლელა მგელაძის ლექსი (უსათაურო, „ლიტ. გაზეთი“, 25.VI.2021): „ჟღურტულებენ ჩიტები / რა საყვარლად, / რა ტკბილად, / რა კორონა, / რა ვირუსი, / რა ჭირი და ბაცილა... / ჩამომძახებს – / თქვენმა შიშმა / ოხ რამდენი გვაცინა.../ მზე გაცოცხლდა, / გაზაფხულდა, / უკვდავების ვაქცინა“.

ბესიკ ხარანულისთვის ძალზე ნაყოფიერი გამოდგა ე.წ. იზოლაციის პერიოდი, იმდენად უხვია, იმდენად საინტერესო, რომ ის უკვე ცალკე მსჯელობას ითხოვს. თავისი დიდებული „არტ-გომურიდან“ გაპყურებს შეცბუნებულ, შეშინებულ სამყაროს და „სიკვდილს აშინებს“. „ვარ იზოლაციაში, ვსარგებლობ ბოროტად და ვწერ და ვწერ... სრულიად პანდემიამ თემები წარმოშვა, იმასთან ახლო ვყოფილვარ. ეტყობა, ბევრი რამე შეიცვალა. რაღაც ხომ უნდა შეიცვალოს. ყოველ დილას ვიღვიძებ და ვფიქრობ, რაც ხდებოდა, ძალიან ორგანული იყო... დიას, „სიკვდილს აშინებს“, „სიკვდილს დასცინის“ პანდემიის დროს ნათქვაში „სიმღერებით“: „ეჱ, ბესარიონ, შენზე იმღერე, ყველასთვის გამოვა“...

„სიყვარული პანდემიაში“ ჭირში მყოფი კაცის სალალობოა, ამჯერად კონვენციური ფორმით:

შემოდგომაა,
ქარი ფანჯრებს ფოთლებს მიაშლის,
რა შეძლოს კაცმა
შეუძლებელ პანდემიაში.
გარეთ ვერ გადის,
ფიქრები რომ აფრთხოს ნიავში,
შინაც არ უნდა,
ყველაფერი არევია შინ...
... დაივიწყებდა კაცი თავსაც,
წიგნს იღლიაში.
თუკი შეძლებდა
სიყვარულსაც პანდემიაში...
... იტყოდა იყოს პანდემია,
რა მიშავდება
დაბმული ძაღლი
ჯაჭვისაგან უფრო ავდება.
(„ლიტ. გაზეთი“, 2020, №28)

„რისხვის ვირუსი“ („ლიტ. გაზეთი“, 2021, 18.II) ვრცელი ტექსტია, რომელშიაც საყურადღებოა პოეტის მინიშნება, რომ „მოთქმით გალობა“ და „სიმღერით ტირილი“ სინონიმებია, რომელიმე ყელში თუ წამიჭერს, ნება მიბოძეთ, სახე აგარიდოთ“... კრიტიკულია ლექსის პათოსი და ეს ქართულ საზოგადოებას მიემართება, „წაკიდებულ მამლებივით“ რომ ძიძგილაობენ: „სერზე კი მეღა-სავით დაყურსული ოკუპანტია. ყოველნო ქართველნო, ეს ის დროა, როცა ვეფხვის ტყავივით ქართულ რუკას ურუმებმა კალთა წაკბიჩეს...“

„ლიტერატურულ გაზეთში“ (27.XI.2020, გვ.10) დაიბეჭდა დავიდ ტოსკანას „პანდემია და აღორძინება“ (მთარგმნელი ლანა კალანდი), რომელიც სწორედ ამ უჩვეულო და მძიმე დროისთვის არის ნათქვამი: „ლიტერატურას, წიგნს, კითხვას ცოლ-ქმრული ფიცი უნდა დავუდოთ, რომ ვუერთგულებთ ჯანმრთელობასა და სნეულებაში, ჭირსა და ლხინში, კეთილდღეობასა და გაჭირვებაში, პანდემიის ჟამს თუ მის გარეშე... ლიტერატურის კლასიკა ითხოვს ყველაზე ძვირფას – დროს... ცხოვრება დროა... პანდემიამ ბევრს მოუსწრაფა დრო, მაგრამ, ცხადია, თქვენ თუ ამ სტრიქონებს კითხულობთ, ესე იგი, ამქვეყნად ხართ. რა ვუყოთ დარჩენილ დროს?.. ვირუსმა სხვა აზრი უნდა შესძინოს ჩვენს არსებობას, უფრო მეტად უნდა გავაცნობიეროთ, რომ მოკვდავი ვართ, რადგან სიკვდილია ის, რაც ცხოვრების აზრს გვაპოვნინებს და წამიერებას დაგვაფასებინებს“... შემდეგ ავტორი იხსენებს დოსტოევსკის მაგალითს. სიკვდილით დასჯა ციმბირში ექვსწლიანი გადასახლებით რომ შეუცვალეს... მანამ დრო არ დაუკარგავს და უამრავი შედევრი შექმნაო... შეიძლება ვთქვათ, ჩვენს რეალობაში დრო დაფასდა. შედევრები თუ ვერ შევქმენით, მაინც, „პანდემიამ რაღაცები გვასწავლა“ (ბ. ხარანაული).

გია არგანაშვილი

ვიდრე პერსონაჟი დაიბადება* (ლიეტუვაში გამოცემული თანამედროვე ქართველ პროზაიკოს ქალთა ანთოლოგიისათვის)

მე კარგად ვიცნობ თანამედროვე ქართველ პროზაიკოს ქალთა მცირე ანთოლოგიაში წარმოდგენილი თითოეული ავტორის შემოქმედებას, თუმცა ანთოლოგიის წაკითხვით გამოწვეული საერთო შთაბეჭდილება, ალბათ, ჩემთვისაც სიახლე იქნება, რადგან ისინი (ავტორები) ქართველ პროზაიკოს ქალთა მხოლოდ ერთ ჯგუფს წარმოადგენენ, მათ შორის არ არის არც ასაკობრივი ტოლობა, არც თემატური და სტილისტური მსგავსება. ამგვარი მრავალფეროვნება კი ყოველთვის საუკეთესო პირობა როდია ანთოლოგიის შესადგენად, თუმცა მაინც მოიძებნება რამდენიმე საერთო ნიშანი, რომლებიც არა მხოლოდ ანთოლოგიაში წარმოდგენილი ავტორებს, არამედ მათ მკითხველს, როგორც ქართველს, ასევე ლიეტუველს, გააერთიანებს – ეს არის, ერთი მხრივ, ჩვენი საერთო „წარმომავლობა“, რომელიც საკუთარ თავში პოსტსაბჭოთა ქვეყნის სინდრომს ატარებს და ამის გამო არაერთ ფარულ დაბრკოლებას გვიქმნის დემოკრატიული ღირებულების გათავისებასა და ეროვნული იდენტობის ძიების გზაზე, როგორც ცხოვრების, ასევე ლიტერატურის სფეროში.

აქევე უნდა ვახსენოთ გლობალიზაცია, როგორც ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარების პირდაპირი შედეგი, რასაც მრავალი თანამდევი პროცესი ახლავს, რომელთაგან ზოგიერთი ჩვენს ეროვნულ ტრადიციას ეწინააღმდეგება და ამ ღირებულებების მშვიდობანად მორიგების ვალდებულება სწორედ თანამედროვე საზოგადოებას აწევს ვალად.

ყველაფერთან ერთად უნდა შევაფასოთ ის გაბეჭულებაც, რომ უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში ქართულმა კულტუ-

* ეს წერილი წარმოადგენს წინასიტყვაობას 2020 წელს ლიეტუვაში გამოცემული ქართველ პროზაიკოს ქალთა მოთხრობების მცირე ანთოლოგიისა (მთარგმნელი წანა დევიძე). იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

რამ (მათ შორის მწერლობამ) სრულიად შეიცვალა მიმართულების ვექტორი და ამჯერად „შუამავალის“ გარეშე დაუკავშირდა დასავლურ ცივილიზაციას, რამაც ცნობიერების ერთგვარი კულტურული შოკი და ეროვნული ღირებულებების დაკარგვის საფრთხე გააჩინა.

ამგვარ რეალობაში ლიტერატურა ცდილობს წინ გაუსწროს ცხოვრებას და გზა გაუკვალოს მომავალ თაობას. ამისთვის აუცილებელი არ არის, რომ მწერალი „წინასწარმეტყველი“ ან ერის წინამძღოლი იყოს. სრულიად საკმარისი იქნება, თუ ისინი ცხოვრებას კარგად გაეცნობიან, პრობლემის არსს შეისწავლიან და ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე განსაზღვრავენ სამომავლო პერსპექტივას.

ანთოლოგიაში წარმოდგენილ ავტორთა უმრავლესობა აქტიურ ცხოვრებას ეწევა. ისინი მუშაობენ არასამთავრობო სექტორში, ადამიანის უფლებების დამცველ სხვადასხვა საზოგადოებაში, პირადად ეცნობიან ადვილად მოწყვლადი ჯგუფებისა და შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებს, რომლებიც შემდეგ მათი მოთხოვონ გმირები ხდებიან. მათი შემოქმედებითი ამოცანაა, რომ კონკრეტული პრობლემის განზოგადება შეძლონ და აღქმის ის პირობითი წერტილი მოძებნონ, საიდანაც საგნები ბუნებრივ ფორმებს ინარჩუნებენ და „ოპტიკური ილუზიის“ ტყვეობაში არ ტოვებენ მნახველს.

გამომდინარე იქიდან, რომ ანთოლოგიაში მხოლოდ პროზა-იკოს ქალთა შემოქმედებაა წარმოდგენილი, ჩვენი ამოცანაა მათში საერთო გამჭვილი მოქმედების დანახვა, რომელიც თავის თავში მოიცავს ქალთა იდენტობის პრობლემებს, მათი უფლებების აღიარებას და დაცვას სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში.

მეითხველს მინდა მცირე ექსკურსი შევთავაზო საქართველოს ისტორიის კუთხით, რათა დავანახო, რომ ფემინისტური იდეების პროპაგანდა, ქალთა ორგანიზაციების ჩამოყალიბება ჩვენში ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში დაიწყო და სხვებთან ერთად მას ცნობილი ქართველი მწერალი ქალი ეკატერინე გაბაშვილი ედგა სათავეში, რომლის შემოქმედების ძირითადი თემა სწორედ ქალთა სხვადასხვა ჯგუფის უფლებები აღიარება და მათი დაცვა იყო.

ამიტომ, როდესაც ქართველ პროზაიკოს ქალთა ლიეტუვურ ენაზე გამოსაცემი მცირე ანთოლოგიის წინასიტყვის დაწერაზე დავთანხმდი, გადავწყვიტე მათ ლიტერატურულ ტრადიციაზეც მომეთხრო მკითხველისთვის, მათ შორის ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობის – „თინას ლეკურის“ (შეიძლება ითარგმნოს, როგორც „თინას ცეკვა“, რადგან „ლეკური“ ცეკვის ერთ-ერთი სახეობა) კლასიკური პერსონაჟიც – თინა გამეცნო, რომელიც დღესაც საპატიო ადგილს იკავებს „ლიტერატურული საქართველოს“ გალერიაში და კარგი მაგალითი იქნება მათვის, ვისაც დღეს თანამედროვე ქალთა სახეების და მათი სახასიათო თვისებების წარმოჩენა გაუხდია შემოქმედების მიზნად.

„თინას ლეკურში“ მოხუცი გლეხი ქალის, თინას, უკანასკნელი, საბედისნერო ცეკვაა აღწერილი თავადის კარზე, მდიდარი სტუმრების წინაშე, რითაც თინამ დამსწრე საზოგადოების სიბრალული და პატივისცემა დამსახურა და თავისი სიკვდილით (თინა ცეკვის დროს კვდება) ობოლი შვილიშვილები შიმშილისა და გაჭირვებისგან სამუდამოდ იხსნა.

ამ მოთხოვბას ბავშვობიდანვე ვეკითხულობდი, მავრამ მაშინ არც მიფიქრია, რომ სახელი თინა შემოკლებული ფორმაა თინა-თინისა, რომელიც თავის წილად ზუსტი მხატვრული სახეა მეთორმეტე საუკუნის ქართველი მეფე თამარისა, რომელსაც იმავე ეპოქის მსოფლიოში ცნობილმა პოეტმა შოთა რუსთაველმა პოემა „ვეფხისტყაოსანი“ მიუძღვნა.

ბუნებრივია, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ამ პატარა ნოველაში შესაძლოა გლეხის ტანსაცმელში გადაცმული თინას (თინათინის) სახელით თვით დიდი თამარი „ცეკვავდა“ თავის ობლადდარჩენილი ერის გადასარჩენად, რომელიც იმ დროს (მეცხრამეტე საუკუნეში) დროთა უბედურების გამო იძულებული გახადეს იმპერიის დროშას შეჰვარებოდა.

დღეს, როდესაც ქვეყნის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ მიზეზთა გამო ემიგრაციის თემა ერთ-ერთი ყველაზე მტკიცნეული პრობლემა გახდა საქართველოსთვის, როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მილიონამდე ქართველი ემიგრანტი ცხოვრობს (მათი უმრავლესობა სწორედ ქალები არიან) და მძიმე, ხშირად დამამცირებელი სამუშაოს შესრულებაც კი უწევს სამშობლოში

დარჩენილი თავისი ოჯახის დასახმარებლად, შეიძლება ითქვას, რომ უცხოეთში გადახვეწილი ათასობით ჩვენი დედა, ბებია, ცოლი, და და შვილი ხშირად საკუთარი სიცოცხლის და ჯანმრთელობის ფასად ახლა სწორედ თავიანთ თინას ლეკურს ცეკვავენ დამქირავებლის წინაშე, რათა მძიმე სოციალური ცხოვრების პირობებში, რასაც ახლა კორონავირუსის პანდემიაც დაერთო თავისი ტრაგიკული შედეგებით, საკუთარი ქვეყანა გადაარჩინონ.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ამ ანთოლოგიაში ეკატერინე გაბაშვილის „თინას ლეკურს“ ვერ წაიკითხავთ (ფორმატი არ ითვალისწინებდა კლასიკური მემკვიდრეობის გაცნობას), მინდა ლიეტუვას მკითხველი დავარწმუნო, რომ თითოეული აქ წარმოდგენილი მწერლის მხატვრულ ტექსტში თქვენ ხშირად იგრძნობთ თავგანწირულ სულისკვეთებას და მძაფრ დრამატიზმს, რაც კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ თანამედროვე ქართველ პროზაიკოს ქალთა შემოქმედება სწორედ ეკატერინე გაბაშვილის „თინას ლეკურიდან“ იღებს სათავეს.

* * *

თამთა მელაშვილის „წერილი ლიას“ ემიგრანტული თემაა. თუმცა აქ „თემა“ რამდენადმე პირობითია, რადგან ის მხოლოდ ფონად მიჰყევება სათქმელს. მხატვრულ ხერხსად კი ავტორს ეპისტოლარული უანრი აურჩევია. წერილის ადრესატი საბერძნებში მცხოვრები ქალია. წერილის ავტორი კი საქართველოში ცხოვრობს. ბუნებრივია, მრავალი წლით დაშორებულ მეგობრებს სალაპარაკოც ბევრი აქვთ და გასახსენებელიც...

ერთ დროს მეოცნებე, ახლა კი დაღლილი და „ქალობადაკარგული“ (მკითხველი იგებს, ერთმა მათგანმა საშვილოსნოს ოპერაცია გაიკეთა) ქალის სახე ადვილად ზოგადდება და რაღაც კუთხით წარმოგვიჩენს თანამედროვე ქართველი დედის პორტრეტს, რომელიც, სულ ერთია საქართველოში ცხოვრობს თუ უცხოეთში, ხშირად შვილების მოსამსახურედ არის ქცეული. მას საკუთარ თავზე ზრუნვა სრულიად დავიწყებია და მხოლოდ მეგობარს (დაქალს) ახსენებს თავიანთი ყმაწვილქალობის განუხორციელებელ სურვილებს.

თუ აქ წარმოდგენილი ავტორთა ტექსტებს თემატურად და-ვაჯგუფებთ, გამოიკვეთება ე.ნ. ქვეყნის საშინაო პრობლემები. პირველ რიგში, დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა და ამ ტრაგედიის თანამდევი მოვლენები. ამ თემებიდან აფხაზეთი თე-მა ყველაზე „ცოცხალია“. ქართულმა ლიტერატურამ დიდი ხა-ნია ამ მხრივ მემატიანის ფუნქცია ისტორიკოსებს გადაულო-ცა, თვითონ სამშვიდობო დიპლომატიის როლი იკისრა. ეს საქმე კი ძალზე მაღალმხატვრულ ოსტატობას, პროფესიონალიზმს, ჰუმანისტური დამოკიდებულების გაღვიძებას ითხოვს, რასაც, ჩემი აზრით, წარმატებით ახერხებს **ნინო სადლობელაშვილი**.

ამ ავტორისთვის აფხაზეთის თემა საკმაოდ ნაცნობია. მისი პიესადეცეული მოთხრობა „ბამბაზიის სამოთხე“ უკვე რამდენიმე წელია, როგორც „სამშვიდობო გზავნილი“, ქართული სცენიდან სოხუმისკენ მიემართება. მწერალი ახალ მოთხრობაში „სიგნალი არის“ ახერხებს ძალზე ფაქიზი გრძნობები გამოწვევას, რაც ადა-მიანს ავინწყებს ომს, მტრობას, შურისძიებას. სიუჟეტის მიხედვით, დევნილი რეკავს სოხუმში, საკუთარ სახლში და ისეთი სიმშვი-დით ესაუბრება მის „ახალ პატრონს“, რომ ვფიქრობ, ავტორი კარგად იცნობს ადამიანის საუკეთესო თვისებებს და შეუძლია მისი გამოწვევა.

თეა თოფურია სოხუმშია დაბადებული. „შატალო“ აფხაზეთის თემას ეხება. აქ ტრაგიკული ისტორიები ბავშვების (სკოლის მოს-ნავლების) თვალით არის დანახული. მასობრივი უბედურების (ომი, სტიქია) შესაგრძნობად ავტორი ერთგვარ ლიტერატურულ ხერხს იყენებს. ეს ხერხი გულისხმობს რაიმე ჩვეულებრივი ქმე-დების (ის, რაც მშვიდობიანობის დროს შესაძლოა ყურადღების მიღმაც დარჩენილიყო) საგანგებო რეჟიმის პირობებში განხორ-ციელებას. ალბათ, ასეთად ჩაითვლება ბავშვების გაკვეთილიდან გაპარვა (შატალო), როდესაც ქალაქში ომია და ბავშვების ეს საქ-ციელიც არა ყმაწვილური უდისციპლინობის მიზეზით, არამედ მომაკვდავი თანაკლასელის ნახვის სურვილით არის ნაკარნახევი.

* * *

2011 წელს გამოცემულ ქართველ პროზაიკოს ქალთა მოთხ-რობებში მამაკაცი თითქმის არ არსებობს. ისინი სადღაც გამქ-რალნი არიან. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორები შეგნებუ-

ლად ერიდებიან მათ გამოჩენას, რადგან, შესაძლოა, ფიქრობენ, რომ ისინი (კაცები) ტექსტშიც არანაკლებ ბევრ პრობლემებს ქმნიან, ვიდრე ცხოვრებაში. თუმცა ეს გამოსავალი ნამდვილად არ არის. ლიტერატურამ უნდა მოძებნოს კაცებთან დაკავშირებულ პრობლემათა გადაწყვეტის გზა.

უნდა შევნიშნო, რომ ამ მხრივ ახალ ანთოლოგიაში შედარებით სხვა სურათი წამოუდგება მკითხველს. მათ მოთხრობებში მამაკაცები უკვე ჩნდებიან. მართალია, ზოგჯერ ისინი (მამაკაცები) ისეთივე წინააღმდეგობრივი არიან, როგორც ცხოვრებაში, თუმცა მკითხველს მოუწევს არჩევანის გაკეთება იმას შორის, უკაცურობა ურჩევნია თუ მამაკაცის რთული და თუნდაც ფრაგმენტული სახის გაცნობა (იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდგომში მამაკაცების ხასიათი უფრო გამოიკვეთება).

ლეილა კოდალაშვილის მოთხრობაში „ვარდნა“ მოთხრობის მთავარი გმირი (ზაზა) სასოწარკვეთილია და თავს იკლავს (მაღალი სართულიდან ხტება). მისი თვითმკვლელობის მიზეზი კი მოძალადე მამაა, რომელიც შვილში თავისუფალ ნებას ზღუდავს და თავისი ყოველდღიური ქცევით ახალგაზრდა კაცში სიცოცხლის სურვილს კლავს.

მამის სახეს ხატავს **ცირა ყურაშვილიც** თავის მოთხრობაში „მამას მარჯვენით ქაფჩა უჭირავს“ და ეს სახე სრული ანტიპოდია ჩვენ მიერ უკვე გაცნობილი (ლეილა კოდალაშვილის „ვარდნა“) ოჯახის უფროსის ტირანული ბუნებისა. მამა აქ მრავალსართულიან სახლებს აშენებს. ამ სახლებში ოჯახებმა უნდა იცხოვრონ. ბავშვები შეჰყურებენ და უხარიათ. მამა სახლებს აშენებს და ბუდეგაუქმებული მერცხლების ბედზე წუხს. მრავალსართულიანი სახლი კი თანდათან (ბაბილონის) გოდოლს ემსგავსება, თუმცა აქ მამის ბრალი თითქმის არ იკვეთება...

კაცის სახე ჩნდება **სალომე ბენიძის** „ილარიაში“. მართალია, ქალი იოაკიმს არაფერს საყვედურობს, თუმცა მამაკაცი ილარიას სიყვარულში გაორებულია და არ ყოფნის იმის ძალა, რომ ბოლომდე მასთან დარჩეს.

ინა არჩუაშვილის „სექსის გაკვეთილებში“ იკვეთება „მასწავლებლის“, „უფროსის“, „პატრონის“ სტერეოტიპული, თუმცა ყველაზე უფრო გავრცელებული სახე „კაცი-მომხმარებლისა“, რომე-

ლიც ერთგვარ ფსიქოთერაპიის კურსს გადის „მოწაფე-ქალთან“, ვიდრე მის „უზრუნველ“ ცხოვრებას სწორედ ქალი არ დაუსვამს წერტილს.

* * *

ცალკე უნდა გამოვყოთ მოთხრობების ციკლი, რომელსაც პი-რობითად „ოცნების მამაკაცის ძიებაში“ დავარქმევთ. ამ ტიპის მოთხრობები ავტორთა შეუთანხმებლად რატომღაც ხშირად იუმორისტულ სტილშია გადაწყვეტილი.

თამარ ფხავაძის „ლამზირა“ ერთი ქალის ცხოვრებაა, თუმცა ქალიც არის და ქალიც, ცხოვრებაც არის და ცხოვრებაც. ავტორმა შეძლო და ოთხ-ხუთ გვერდში ჩატარია სარომანე მასალა ისე, რომ ქალის სახეს არაფერი დაჰკელებია, პირიქით, ისეთი ინტერესი აღ-ძრა, რომ მკითხველი რამდენჯერმე შეიძლება დაუბრუნდეს წა-კითხულს, – ნეტავ, რამე ხომ არ დატოვა ყურადღების მიღმა, თვალი ხომ არ გაექცა და რაღაც მნიშვნელოვანი ხომ არ გამორჩა ლამზირასა და გაღმაუბნელი ოქროაშვილის მრავალწლიანი სატ-რფიალო ისტორიიდან ? ...

ნინო ტეფნაძის მოთხრობაში „კოქტო და მინკუსი“ ეკა კიდევ ერთი ბედისმაძიებელი ქალია. ის სიმპათიურ, ჭკვიან, გემოვნები-ან მამაკაცს დაეძებდა, მაგრამ ჩვეულებრივ ალფონსს ან უბრა-ლო ცრუპენტელა ყმანვილს გადაეყარა, რომელმაც ისარგებლა გოგონას გულუბრყვილობით და ისიც გათხოვების მაგიერ მხო-ლოდ მარტოხელა დედის სტატუსს დასჯერდა.

ლელა ცუცქირიძის მოთხრობის გმირებიც ქალები არიან, თუმცა ზოგიერთი მათგანი („იმედი“) გარკვეული პრობლემის წი-ნაშე დგანან. ისინი გაურბიან (თითქოს ივიწყებენ) რეალობას და გამოგონილ სამყაროში აგრძელებენ ცხოვრებას. ამ მოთხრობაში ამგვარი საქციელის მიზეზი დაფარულია, თუმცა მკითხველს შეუძლია ივარაუდოს, რომ ელიჩქას ამგვარი ქმედება მისი პი-როვნული ხასიათიდან გამოდის. როგორც ჩანს, ის მთლიანად მი-ენდო შალვას სიყვარულს და საკუთარ თავში დამოუკიდებელი ინდივიდის უნარები ჩაკლა.

როდესაც პერსონაჟი აცნობიერებს, რომ მის გვერდით მამა-კაცი აღარ არის, ადვილად პოულობს დასაყრდენს, იმედს და ახლა

ქმრის ნაქონი ჯოხი მთლიანად ითავსებს მამაკაცის ფუნქციას, როგორც ჩანს, ის არცთუ ისე უმნიშვნელო როლს თამაშობს ქალის ცხოვრებაში, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს.

ამ მოთხრობის მიხედვით, სრული საფუძველი გვაქვს ფსიქოლოგიზმით ავტორის გატაცებაზე ვისაუბროთ.

მაკა ლდოკონენის მოთხრობას „ყველა ნივთი“ ჯერ კიდევ 2011 წლის კრებულიდან იცნობს ლიეტუვას მკითხველი. კრიტიკოსი რიმანტას ტამოშაიტისი სულ რამდენიმე სიტყვით ახერხებს მასში გადმოცემული განცდის ჩვენამდე მოტანას: „ მოქნილი ფანტაზიაა – ძვირფასი, ბავშვობისდროინდელი ნივთებით, საკუთრების ხელახლა დამკვიდრების სურვილით და თითქმის რიტუალური მოწესრიგებით სანათესაოს ქალების „მზითებისა“.

იმავე კრებულში დაიბეჭდა **მარი ბექაურის** მოთხრობა „ჩემი მეზობლები და მეგობრები“, მასზე საუბარს აღარ გავაგრძელებ. ახალი მოთხრობა „შეცდომა“ კი, ერთი შეხედვით, ანეგდოტური ამბავია. მოქმედება საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ქალაქ რუსთავში ხდება. მზესუმზირით მოვაჭრე და და პატარა ჯიხურის მფლობელის, ვინმე რუსულან ხაუამიას სიკვდილის მიზეზი ენერგოკომპანიის ნარმომადგენლის – გოჩა ავგაროზაშვილის უნებლიერ შეცდომაა. მოხუც ქალს ინფარქტმა სწორედ მაშინ დაარტყა, როდესაც ელექტროენერგიის დანახარჯის შეცდომით მიღებულ ქვითარს დახედა, რომელიც ჯიხურის მეპატრონეს რამდენიმე ათასი ლარის გადახდას ავალდებულებდა. საქმე ის იყო, რომ ნაბახუსევ ავგაროზაშვილს ქვითრები აერია და ჯიხურის მფლობელს ქარხნის დანახარჯის გადახდა მოსთხოვა..

ეს მოთხრობა კარგი მაგალითია იმისა, რომ დღეს ავტორის ინტერესს მკითხველის მოთხოვნილება (ბაზარი) განსაზღვრავს. სწორედ ბაზარი (გამომცემლობა, რედაქცია, მკითხველი) „უკვე-თავს“ მწერალს თემატიკის არჩევანს, თხრობის სტილს, პერსონაჟთა ხასიათს...

ნათია როსტიაშვილის მოთხრობა „დედის სუნთქვის გაშიფრვის ამბავი“ ნაწყვეტია უფრო ვრცელი მოთხოვნილება (ბაზარი) განსაზღვრავს. სწორედ ბაზარი (გამომცემლობა, რედაქცია, მკითხველი) „უკვე-თავს“ მწერალს თემატიკის არჩევანს, თხრობის სტილს, პერსონაჟთა ხასიათს...

ხედვით, ძალზე უბრალოდ შეიძლება მოყვე. ნენსის დედა გარდაეცვალა, მან კი მისი სიცოცხლე და ხსოვნა რაღაც უცნაურად „გაითავისა“. ნენსიმ დედის მიერ გაპერილი ბუშტიდან ჰაისუნთქა და შვილმა, რომელიც დაბადებამდე დედის მუცელში ცხოვრობდა, დედის სიკვდილის შემდეგ საკუთარ ფილტვებში გააგრძელა მისი არსებობა.

ირმა ტაველიძე „ანტილოპაში“ ნახევარტონებით ცდილობს თავისი მდიდარი წარმოსახვით შექმნილი სამყაროს რეალობაში გადმოტანას . ვისაც ღონიერი და ხმაურიანი თხრობა მოსწონს, მას მოუწევს მეორედ დაუბრუნდეს ტექსტს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შესაძლოა რომელიმე სასვენ ნიშანს არ მიაქცია სათანადო ყურადღება. არადა, სწორედ მასზე იყო დამოკიდებული მოთხრობაში დამალული საიდუმლოს ახსნა ...

გინდა მკითხველს მოუყვე მოთხრობაში გაშლილი სიყვარულის ისტორია, მაგრამ შეიძლება ისეთი რამე წამოგცდეს, რაც ავტორს არც უთქვამს, არც უგულისხმია.

თანაც, ავტორი ხომ ირწმუნება, რომ ეს არ არის სიყვარული...

ბელა ჩეკურიშვილის „კავშირი“ მთამსვლელთა ხიფათიან ცხოვრებაზე მოგვითხრობს. ვიტორიო და ბენნარდო იტალიიდან ჩამოდიან საქართველოში ყაზბეგის მთის დასალაშქრავად, მაგრამ მათი მცდელობა ტრაგიკულად მთავრდება.

როგორც ჩანს, ეს თემა ერთნაირად ახლობელია როგორც ავტორისთვის, ასევე ქართველი მკითხველისთვის, რასაც გარკვეული ლიტერატურული ტრადიცია უდევს საფუძვლად (60 -იანელთა თაობის ერთ-ერთი გამორჩეულმა მწერალმა გურამ რჩეულიშვილმა ცნობილი გერმანელი მწერლისა და მთამსვლელის ალფრედ კურელას მეუღლის ტრაგიკული სიკვდილი აღწერა მოთხრობაში „სიკვდილი მთაში“. თვითონ გურამი კი ოცდაექვსი წლის ასაკში დაიღუპა ზღვაში, სხვების გადარჩენის მცდელობის დროს).

მაკა ცხვედიანის მოთხრობის სახელწოდებაა „გასტონის კრეპერია“ (ამ სათაურით მწერალმა თავისი სადებიუტო წიგნიც გამოსცა). მოთხრობაში საკურორტო ქალაქის განწყობაა გადმოცემული. ზღვისპირა ქალაქი გულწრფელობისთვის განაწყობს ადამიანს და ავტორიც გულწრფელად სევდიანი და გულწრფელად გახსნილია მკითხველის წინაშე,

თუმცა ძველი ბათუმის „სუროსავით თავსმოხვეული აგრესი-ული, უსახური არქიტექტურა“ ავტორს თან აბრაზებს, თან თანა-გრძნობის აუცილებლობაზე მიანიშნებს.

მარიამ წიკლაური მოთხრობაში „ჩემო ვარდისფერო ირმებო...“ ასეთივე ვარდისფერ თემას – პატარა გოგონას ოცნებებს უტ-რიალებს და დავიწყებული განაცდების გაცოცხლებას ცდილობს. მხატვრული სახეების სიჭარბე აქ ერთგვარი პროფესიული ხერ-ხია და ავტორის პოეტურ გამოცდილებაზე მიგვანიშნებს.

ირმა მალაციძის „ნაპირი“ აუტიზმით დაავადებული ბავ-შვის მგრძნობიარე თემას ეხება. თავად თემის არჩევა დიდ პა-სუხისმგებლობასა და პროფესიულ ოსტატობას მოითხოვს, თუმ-ცა ეს თვისებები ერთ-ორად ნარმატებული ხდება, როდესაც მწერალს თანაგრძნობის უნარი და ადამიანის განუზომელი სიყ-ვარულის ძალა გააჩინა.

თეონა დოლენჯაშვილის მოთხრობა, მიუხედავად მისი სათა-ურისა („პერსონალური ქრისტე“), რელიგიურ თემატიკას მაინც არ განეკუთვნება. ის ზნეობრივი ტექსტია, რომელშიც ქრისტეს სა-ხელი ერთმნიშვნელოვანი იდეისკენ უბიძგებს მკითხველს. ქრის-ტეს თემა, მისი ინტერპრეტაცია ამჟამად ძალზე პოპულარულია მსოფლიო ლიტერატურაში. ჩავთვალოთ, რომ ამ მოთხრობით ქართულ ლიტერატურასაც კათაკმევლის გულმოდგინებით აქვს მოხდილი ეს ვალდებულება...

ნატო დავითაშვილის „გინდა გიამბოთ ზღაპარი“. სამეცნი-ერო ფანტასტიკის ჟანრს განეკუთვნება და თავისი მკითხველი ჰყავს. მან იცის, რომ ამ ჟანრში დაუჯერებელი ამბები ხდება და მომავლის შესაძლებლობათა ჩვენებაა შესაძლებელი. თუმცა მოთხრობა მაინც ადამიანის შინაგანი სამყაროს პრობლემებს ეძღვნება. საქართველოში ნატო დავითაშვილი ფენტეზის ერთ-ერთ საინტერესო ნარმომადგენლადაა მიჩნეული და ამ იშვიათი ჟან-რის აღორძინებას ცდილობს.

* * *

2011 წელს გამოცემულ კრებულს თან ერთვოდა თანამედროვე ლიეტუველი კრიტიკოსის რიმანტას ტამოშაიტისის წერილი „მთის ასულნი და მიწის დედანი“, რომელშიც მან მოკლედ შეაფასა

კრებულში გამოქვეყნებული პროზაიკოს ქალთა (როგორც ლიეტუ-ველი, ასევე ქართველი ავტორების) ტექსტები, ისაუბრა მათ შორის განსხვავებაზე, უფრო კი იმ საერთო ტენდენციებზე, რომელიც ქართულ და ლიეტუვურ ლიტერატურას ერთმანეთთან აახლოვებს.

თავისი წერილის ბოლოს კრიტიკოსი რიმანტას ტამოშაიტისი ლიეტუველი მწერლის ნიოლე რაიუჟეტის მოთხრობაში „ქალი ძველ ფოტოზე“ დეგრადირებულ მამაკაცთა სამყაროში არის-ტოკრატი ქალის ტრაგიზმზე გვიყვება და როცა ქალის ხელში მათრახს შენიშნავს, თითქოს აქეზებს კიდეც წარმოსახვითი შურისძიებისთვის:

„მერე და რისი მაქნისია ეს მათრახი? ახალი ტიპის იარაღებ-თან და ყუმბარებთან შედარებით არც არაფრის, ის მხოლოდ ავტორიტეტს ულახავს ქალს და წარმოაჩენს მას, როგორც უსუ-სურ ფანტაზიორს, იქნებ საჭიროა, რომ ლიტველმა ქალებმა ის-ნავლონ ქართველებისგან სროლა და მუშტებით ჩხუბი, მაგრამ ჩვენ რომ არა გვყავს მტერი? იქნებ კი გვყავს, მაგრამ ვერ ვხე-დავთ, რამეთუ ქალის ცხოვრების, ღირსების, აზრისა და სილამა-ზის ჩამხშობი ძალა ამორფულია, შეუგრძნობელი, უსქესო...“ არ არის კაცი, არ ღირს ტირილი“ – ბობ მარლის სიმღერის ეს პე-რიფრაზი დიდი ხანია იქცა გულგატეხილი ქალების, „ოჯახის დი-ასახლისების “დამამშვიდებელ ლოზუნგად“.

რიტორიკულია კითხვა და პასუხსაც რიტორიკულს ითხოვს.

სულაც არ მიკვირს, რომ 2011 წელს გამოცემულმა მოთხრო-ბების კრებულმა ამგვარი შთაბეჭდილება თუ დატოვა ლიეტუველ მკითხველზე. ის, რომ ქართველ პროზაიკოს ქალთა სახელი დღეს ლიეტუვაში იარაღთან და ყუმბარებთან ასოცირდება, ამას თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები აქვს.

საქმე ისაა, ამ კრებულის გამოცემამდე რამდენიმე წლით ადრე საქართველომ რამდენიმე ომი გადაიტანა, რამაც „უხვად მო-იტანა სისხლი და ცრემლები“ (გალაკტიონ ტაბიე). პოლიტიკუ-რი გადატრიალება, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ სახელით შევიდა ისტორიაში, მართალია, უსისხლოდ ჩატარდა, მაგრამ მა-ნაც სწორედ იმ დოზით გააჩინა საზოგადოებაში მღელვარება,

ქაოსი, ურთიერთმტრობა და აგრესია, როგორც ნამდვილ სისხლი-ან რევოლუციებს შეჰვერის და სჩვევია.

რა თქმა უნდა, აქ არც კავკასიონის მთების მკაფრი ხასიათი და სამხრეთული მზის მცხუნვარებაა დასავიწყებელი. ბუნების ამ-გვარი ცვალებადობა აღელვებს და სიმშვიდეს უკარგავს ისედაც ემოციურ ახალგაზრდულ გულებს, რომლებიც მზად არიან ერთი დარტყმით გადაჭრან ყველა ის პრობლემა, რომლებიც მათ თავისუფლებას წინ ეღობება.

ასევე მნიშვნელოვანია ლიტერატურული ცხოვრებისთვის და-მახასიათებელი ერთი ტენდენცია, რაც გავლენას ახდენს საერთო განწყობაზე და რომელიც შესაძლოა მკითხველს მხედველობი-დან გამოეპაროს. თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში (პრო-ზაში) ძალზე პოპულარულია პოეტური პროზის უანრი. ანთოლო-გიაში წარმოდგენილ პროზაიკოს ქალთა ერთი ნაწილი კი პოეტია. ისინი პოეზიის შესანიშნავ ნიმუშებს ქმნიან და თუ რაიმე შესამ-ჩინევია მათ ნაწარმოებებში, ეს სწორედ მათი პოეტური მსოფლ-ალქმაა, რომელიც არა მხოლოდ თვისობრივად განსხვავდება პრო-ზაული აზროვნებისგან, არამედ გადმოცემის ფორმითაც, რად-გან განცდაში ის უფრო მგრძნობიარე და პათეტიკურია და არცთუ იშვიათად, მიუხედავად ძალზე მდიდრული მხატვრული სახე-ებისა, პოეტი-ტრიბუნის მსგავსად, აგრესიული ტონით ცდილობს სათქმელის გადმოცემას.

ისიც გავითვალისწინოთ, რომ ამ კრებულის გამოცემიდან თითქმის ათი წელი გავიდა და იმ დროს ახალბედა (ანთოლოგიაში წარმოდგენილი ოცი ავტორიდან ხუთს სწორედ იმ კრებულიდან იცნობს ლიეტუვას მკითხველი) „მთის ასულნი“ უკვე „დაქალ-დნენ“, ცხოვრებისეული გამოცდილება შეიძინეს, მათ ტექსტებში ემოციურმა მუხტმაც დაიკლო და ზოგადი კულტურის ფარგლებ-ში შემოქმედებითად ისინიც უკვე „დედები“ გახდნენ.

ამ ანთოლოგიაში უკვე რეალურად გამოიკვეთა ოცდამეერთე საუკუნის ქართველი ქალის კონტურები. ახალი პერსონაჟი, რომელსაც შემოქმედთა მთელი თაობა ქმნის (მათგან მხოლოდ მცირე ნაწილია ამ ანთოლოგიაში წარმოდგენილი) და როცა ის დაიბადება, როდესაც რომელიმე მნერლის შემოქმედებაში გამოჩნდება, ყველას ეცოდინება, რომ მასზე თანამედროვე ქართველ

პროზაიკოს ქალთა მთელი სკოლა მუშაობდა. თითოეულმა აქ წარმოდგენილმა ავტორმა შემატა მას სახასიათო შტრიხი: თავისუფალი და დამოუკიდებელი (ინა არჩუაშვილი „სექსის გაკვეთილები“), ბედნიერებისა და სიყვარულის ძიება (სალომე ბენიძე „ილარია“), დაღლილი და ოცნებადამსხვრეული ქალი (თამთა მელაშვილი „წერილი ლიას“), რომლის გვერდით მამაკაცი აღარ არსებობს, მაგრამ ის მაინც ადვილად პოულობს დასაყრდენს (მამაკაცის ნაქონი ჯოხი – ლელა ცუცქირიძის „იმედი“), ძლიერი დედური ინსტინქტის მატარებელი (ნინო ტეფნაძე „კოტო და მინკუსი“) და სადღაც უცხო სამყაროდან გაგონილი საოცნებო სიტყვების – „მიყვარხარ დედა“ – მომლოდინე (ირმა მალაციძე „ნაპირი“).

მართალია, ამ ქალის გვერდი მამაკაცი ჯერ არ ჩანს, მაგრამ იმედია, რომ იოაკიმი (სალომე ბენიძე „ილარია“) გაერკვევა საკუთარ გრძნობებში ან იქნებ კოქტო დაბრუნდეს ტიხუანადან და ეკას პატივება სთხოვოს (ნინო ტეფნაძე „კოქტო და მინკუსი“).

ამ პორტრეტის სრულყოფისთვის დღეს მთელი ქართული მწერლობა მუშაობს.

ვიმედოვნებ, რომ სწორედ ასეთი პერსონაჟი, თანამედროვე ქართველი ქალის სახე დაიმკვიდრებს თავის ადგილს ქართველი და უცხოელი მკითხველის მეხსიერებაში.

მაია ჯალიაშვილი

სევდისა და სიყვარულის მსუბუქი არომატები

(მაია ცირამუას რომანზე „მშვიდობით, ძია გერშვინ“)

სად მიდის წარსული? იკარგება თუ უბრალოდ იმალება, მერე დაუსრულებლად გველოდება, როდის მივაგნებთ რაიმე ნივთის, ფოტოს, სუნისა თუ მელოდიის წყალობით. მარსელ პრუსტისთვის წარსული ჩაიში ჩამლბარი ნამცხვრიდან „გადმოიღვარა“ („სვანის მხარეს“), ხულიო კორტასარის გმირი საქსოფონის ბგერებით აგნებდა („მდევგარი“). ამ ფიქრს აღძრავს მაია ცირამუას რომანი „მშვიდობით, ძია გერშვინ!“, რომლის ავტორისეული წინათქმა ერთგვარი უვერტიურასავითაა. მწერალი გვამზადებს იმ ეგზისტენციალური თემებისთვის, რომლებიც მუსიკალური აკორდებივით გაიშლებიან და მკითხველის სულში გრძნობათა ფერწერულ და სურნელოვან გამებს წარმოქმნიან. ავტორი წინათქმაში წერს, როგორ მიაგნო სკივრში გადანახულ ძველ ნივთებს შორის საკუთარი რომანის ლურჯყდიან მანუსკრიპტს (2000 წლის ხელნაწერს). როგორ დაიწყო კითხვა და თამაში, რომელიც ფსიქოთერაპიაში ცნობილია, როგორც „მემორაბილია“: „შეეხები შენს სკივრში შენახულ ნივთს და დაიწყება მოგონებების ქარიშხალი, იმ დროის სურნელსა და გემოს იგრძნობ, ხედავ საკუთარ თავს, ადამიანებს, ფერებს და გესმის ხმები გაცოცხლებული წარსულიდან. მიყვარს ეს სავარჯიშო, გეგონება საკუთარი კინოს უყურებდე“. ავტორი სწორედ ამ ფილმის მაყურებლად აქცევს მკითხველს. მთხოვობლის მძაფრი შეგრძნებები გადაედება მკითხველსაც: „როცა სადმე გავალ, უკან მობრუნებული კართან ვდგები და ვაყურადებ იქიდან გამოსულ ხმებს, ესაა ჩემი სახლის მუსიკა, ჩემი სახლისა, რომელიც ნამდვილია, მაგრამ რომელსაც აქვს საიდუმლო კარი, საიდანაც შემიძლია ამ სინამდვილეს გავექცე და გავუჩინარდე“. ავტორი ასე გაიქცა თავის დროზე ხელით დაწერილ „რომანში“, რომელშიც გამოგონილ პერსონაჟებთან ერთად ცხოვრობდა და ივინყებდა 90-იანების ულიმლამო ყოფას,

დროდადრო ბავშვობის მოგონებებით, ოცნებებით, ათასგვარი ცულლუტობით განათებულს. კითხვაც, რომელიც შვილმა დაუს-ვა: სად არის ადამიანი, სანამ გაჩნდება? – ერთგვარ შემოქმე-დებით იმპულსად ექცა. ხელნაწერის კითხვისას დაუბადებელი პერსონაჟებისგან, სავარაუდოდ, ეს მუდარა იგრძნო – „დაბადე-ბის“ წყურვილი. მთავარი პერსონაჟი მისი წარმოსახვის ბადეს თევზივით ამოჰყვა და ასეთი პარადოქსიც ამოიყოლა: „განა ყვე-ლა თევზს არ უყვარს თავისი მებადური?!“ ამიტომაც ხელნაწერი სკივრის მყუდრო, ხავერდოვან სიჩუმეში აღარ ჩატოვა და ხმა-ურიან სიცოცხლეში გამოამზეურა.

რომანის კომპოზიციაც მოგონებებს ეყრდნობა. თხრობას წრიული სტრუქტურა აქვს, დასაწყისი და ფინალი ერთმანეთს ეხმიანება. მთხრობელი 50 წლის უსახელო ინტელიგენტია, თარ-ჯიმნად მუშაობს, „კომპიუტერი და ინგლისური“ იცის და „ბედს არ უჩივის“, მაგრამ შეინაგანად ე.წ. შუანის ფსიქოლოგიური კრი-ზისი აქვს, მელანქოლია მოსძალებია, ყოველდღიური რუტინი-თა თუ პროვინციულ ქალაქის ადგილობრივი ჭორ-მართლის ინ-ფორმაციული ნაკადებით დალლილა. სწორედ მას შეეყავართ მოგონებებით საკუთარი ცხოვრების მდინარებაში. თხრობას თა-ვიდანვე პატარა საიდუმლოც ახლავს. მყითხველის მოლოდინის ველში შემოიჭრება კითხვა, თუ ვინ არის ის პანანინა, რომელ-საც საკუთარ მარტოობაში წეტარებით ჩაძირული კაცის დაულა-გებელ ბინაში ტკბილად სძინავს.

მეოცე და ოცდამეერთე საკუუნეებისთვის 50 წელი ის ასაკია, როდესაც შეგიძლია იფიქრო, რომ ცხოვრების „ნახევარგზაზე“ შემოგადამდა. თანამედროვე მედიცინის განვითარების წყალო-ბით, 100 წლის სიცოცხლის პერსპექტივა ილუზიად აღარ ჩანს, ამიტომ არჩევანი ჯერ კიდევ შესაძლებელია, რომ ცხოვრების გზას სხვა მდინარება მისცე. ეს პერსონაჟიც გრძნობს რაღაცის შეც-ვლის აუცილებლობას, ამიტომ იწყებს „დაკარგული“ საკუთარი თავის ძიებას, ამ გზაზე, რა თქმა უნდა, ეგზისტენციალური კითხვები ეღობებიან, რომლებიც სამყაროსგან გაუცხოების განცდას უმძაფრებენ. რომანის კითხვისას ბუნებრივად ჩნდება ასოციაცია პერმან ჰესეს „ტრამალის მგლისა“, ამას განსაკუთ-რებით ამძაფრებს ახალგაზრდა გოგონას გამოჩენა, რომელსაც

უცნაური სახელი, ერმინა, ჰქვია. „ტრამალის მგელში“ ჰარი ჰალერი ხვდება ჰერმინეს, მხიარულ ქალიშვილს, რომელიც ნამდვილ ცხოვრებას აზიარებს და ხელს შეუწყობს, რომ ჰალერი საკუთარ თავში შეურიგდეს მგელს, ბიოლოგიურ საწყისებს, ხორციელ ლტოლვებს და ამგვარად შინაგანი სიმშვიდის, ჰარმონიის შეგრძნება მოიპოვოს. ხორციელ თუ მატერიალურ სამყაროსთან და-კავშირებული სურვილების უარყოფამ ის ბედნიერებას ვერ აზიარა, პირიქით, კულტურული ადამიანის გამუდმებულმა სინდისის ქენჯნამ, ბრძოლამ საკუთარ სხეულთან ისე გაანადგურა, რომ თვითმკვლელობის გადაწყვეტილებამდე მიიყვანა. თუმცა, ჰერმინას გამოჩენამ ყველაფერი შეცვალა. რომანის ბოლოთქმაში ჰესე წერს: „ტრამალის მგელზე დაწერილი ეს წიგნი მის სულიერ სენსა და მის შინაგან ხელმოცარულობას აღწერს, მაგრამ ეს ის სატკივარია, რომელიც სიკვდილს კი არა, განკურნებას ელტვის“.

მაია ცირამუას რომანის პერსონაჟის შექმნისას ერთ-ერთ შთამაგონებლად რომ სწორედ ჰარი ჰალერი იქცა, ეს ავტორს არ „დაუმალავს“ და ერთ ეპიზოდში მთხობელმა ახსენა კიდეც ამ-გვარად: „მთელი დღე სამსახურში ვარ, ჩემი დეპრესიის ამბავი მშვენივრად მოვაგვარე. ფიქრის დროც კი არ მრჩება. მხოლოდ ლანჩის დროს, სიგარეტს რომ ვაბოლებ – ჩემი და ერინას ურ-თიერთობის დეტალებს ვიხსენებ. საშინალად დავბერდი. ჩემი სული უკიდეგანო ტრამალად გადაიქცა, სადაც მე მშიერი მგელივით აქეთ-იქით ვაწყდები. შესანიშნავი მწერალია ჰესე, საღამოობით მხოლოდ ჰესეს ვკითხულობ, მერე საძილე აბებს ვიღებ და მძინავს, ვიღრე მაღვიძარა დარეკავს“.

მაია ცირამუას რომანში ჰესესეული ფილოსოფიური წიაღ-სვლები თუ ღრმა ქვეტექსტურობა არ არის, უფრო მელოდრა-მატულია, რაც ტექსტს მსუბუქად წასაკითხს ხდის, თუმცა არის ფსიქოლოგიზმი, რაც მკითხველს პერსონაჟთა სულიერი უფს-კრულებისაკენ უკვალავს გზას. რომანის კითხვისას სემ მენდე-სის ფილმი „ამერიკული სილამაზეც“ გაგვახსენდა. აქაც იმავე პრობლემას ვხვდებით, საშუალო ასაკის მამაკაცი ხსნას შვილის მეგობრის სიყვარულში პოულობს. ეს გატაცება საკუთარ თავს, ცხოვრებასა და სამყაროსაც განსხვავებულად, ფერადოვნად და-ანახვებს და მის ერთგვარ კათარსისა იწვევს.

მაია ცირამუას რომანის მთავარი პერსონაჟის ძიების გზაზე მნიშვნელოვანია მუსიკაც, ისევე როგორც ჰარი ჰალერისთვის. ჰარისაც მხოლოდ კლასიკა უყვარდა და ჯაზი უცხოებოდა, თუმცა მერე ჩასწევდა ამ ახლი უანრის რიტმულ მრავალფეროვნებას, მიმზიდველობის საიდუმლოსა და ენერგეტიკას. სათაურში ნახსენები ძია გერშვინიც მხოლოდ მთავარი გმირის ერთგვარი ზედმეტ-სახელი არ არის. ჯორჯ გერშვინის „პორგი და ბესის“ ცნობილი მელოდიები რომანის ეპიზოდების მუსიკალური ფონივითაა. ერინა შეარქმევს ძია გერშვინს, რადგან მასაც უყვარს გერშვინის დაუვიწყარი მელოდიები. ეს მუსიკა მათი ფარული დამაკავშირებელი გახდა. ერინასთან ერთად გადასხვაფერდა დღეები. ერთ ეპიზოდში, როდესაც ერინა მღერის, ასეთი განცდები ეუფლება: „ერინას უნაზესი, უდახვეწილესი, თითქოს მქრქალი მელოდია ისე ავსებს ჩემს სხეულს, გეგონება, სადაცა ჰელიუმით დატენილ საპარო ბუშტად უნდა გადავიცცეო. თან გული რომ გისკდება, უცებ არ შეწყდეს ეს კეთილშობილი აირი და შენც არ დაიჩუტო, მიწაზე არ მოადინო საცოდავად ზღაპრანი. ეს ოხერი ტექსტი რამდენიმე უაზრო ბეგრაა სულ, მავრამ იმხელა ვნებას იტევს, თანაც შიშთან შერეულს. რიტმია რაღაც სიგიჟე, არსად და არაფერში არაა ასეთი რიტმი, ალბათ, მარტო იქ, სადაც დღე ღამეში გადადის ან ლამე დღეში.“

ერინა შინაგანად შემოქმედია, ჯაზური სტილის კომპოზიციასაც წერს და, რაც მთავარია, ამ კაცისაგან ახალ ადამიანს გამოძერნავს, ოღონდ ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე. მისი ჩანაწერების კითხვისას პერსონაჟიცა და მკითხველიც შეიგრძნობს, რა უსამართლოდ მოექცნენ ცხოვრება და ადამიანები გოგონას, მაგრამ მასში პოეტური სული მაინც ვერ ჩაკლეს.

რომანი წვიმიანი დღის სურათით იწყება. ნაცრისფერი ცა თითქოს მთხრობელს გარედან შიგნით, საკუთარ თავში შეიტყუებს და წარსულის მოგონებებში გახვევს. ეს ბავშვობის მოგონებები უნდა იქცეს გასაღებად პერსონაჟისთვისაც და მკითხველისთვისაც, რას წარმოადგენს, როგორც პიროვნება, რა ღირებულებები აქვს, რამდენად თავისუფალი და ბედნიერია? თავიდან გარკვევით არც კი ჩანს, მთხრობელი კაცია თუ ქალი, უფრო ქალიც კი შეიძლება ეგონოს მკითხველს, რადგან ძალიან პოეტური და რომანტი-

კულია როგორც გარემოს მისეული აღქმა, ასევე გამოთქმის ტექნიკა, პლასტიკითა და სინაზით აღხეჭდილი: „ჩაბნელებული კიბით სახლის მეორე სართულზე ავდიოდიტ დასაძინებლად. ჩაბნელებული საფეხურების ავლას თან კიბის ქვეშ შეყუული წითელ-თვალება კაციჭამიების, მწვანე წინსაფრიანი და ცალკბილა დედაბრების, ფეხებით დაკიდებული ლამურების შიში და იდუმალება ახლდა. სულ სხვა იყო მეორე სართული. ხის პრიალა იატაკი. წიგნებით სავსე თაროები. მამიდაჩემის ხელით მოქარგული გადასაფარებლები – ვარდისფერი წეროებით, იასამნისფერი ფარდები და აქაც სუნი. რაღაცნაირი არასოფლური, შეიძლება არა-ამქვეყნიურიც“.

ეს ფერი და სურნელი, ნაირგვარი გრადაციით, მთელ რომანს შელეიფივით დაჰყვება და რომანტიკულობის განცდას ამძაფრებს. ყოველივეს რაღაცნაირი საიდუმლოს ნიშნით აღხეჭდავს, მკითხველს აჯერებს, რომ საგნები და მოვლენები, რომლებსაც ადამიანი აღიქვამს, ვერ ასახავენ და მოიცავენ სამყაროს, რომ საჭიროა სულის თვალის ახელა, მაშინ შეიგრძნობ უამრავ სხვა განზომილებასაც, რომელთა საშუალებითაც მატერიალურ ყოფაში მძლავრად შემოიჭრება მისტიკური, ირაციონალური, მეტაფიზიკური სამყარო.

მთხოვობელი, როგორც აღვნიშნეთ, კაცია, რომელიც ცოლს გაშორდა და ახლა საკუთარ თავთან განმარტოებული პასუხებს დაექებს როგორც მარტივ, ცხოვრებისეულ, ისე რთულ, ყოფიერების განმსაზღვრელ-განმაპირობებელ კითხვებზე. ერთადერთი ქალიშვილი სტუდენტია და თბილისში ცხოვრობს, ასე რომ, ხელს არავინ უშლის, საკუთარ თავთან გულწრფელი დიალოგი გამართოს. ასეც იქცევა. დრო დამდგარა, რომ „რაღაც ლოგიკა და წესრიგი“ იბოვოს ცხოვრებაში, არადა, თითქოს სწორედაც წესრიგი იყო, რომელმაც ცოლი შეაძლა. ქალს მანიაკური მიდრეკილება აღმოაჩნდა წესრიგისაკენ. ყოველი ნივთს ადგილს, ფერს უხამებდა: „მისი რიტმი მელოდიური და თან მონოტონური. არცერთი ამოვარდნა ტაქტიდან!... ჩემს პიანინზე შემოდებულ მეტრონომს მაგონებდა“. მისმა ხელოვნურობამ, მოჩვენებითობამ, სიყალბემ გულისრევის გრძნობა გაუჩინა.

მთხოველი ხვდება, რომ ოჯახურმა რუტინაში მასში თავი-სუფლება ჩაახშო, რასაც ახლა ცერემონიულ უწესრიგობაში ავ-ლენდა, თუმცა ეს არ იყო საკმარისი, რაღაც სჭირდებოდა იმის-თვის, რომ დაჭაობებული ცხოვრება ამოძრავებულიყო. რა შეიძ-ლება ქცეულიყო კაცისთვის ამგვარ ბიძგად? ლიტერატურაში ეს ხშირად არის სიყვარული. ამ შემთხვევაშიც ასეა. კაცს თა-ვისი ქალიშვილის მეგობარი, თავისიზე ბევრად უმცროსი, 20 წლის სტუდენტი შეუყვარდება. რომანში დიდი ადგილი ეთმობა ამ ურთიერთობის პერიპეტიებს. ალაგ-ალაგ, რა თქმა უნდა, ნა-ბოკოვის „ლოლიტაც“ გაგახსენდებათ, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ერინა უფრო ჰესესეულ ჰერმინეს მოგაგონებთ. რომა-ნის სწორხაზობრივ, ჰორიზონტალურ თხრობას აქვს ვერტიკა-ლური ჩაღრმავებები, საიდანაც წარსულის სხვადასხვა ფერადო-ვანი სურათი შემოიჭრება. ისინი აღწერენ კაცის ბავშვობას, მამიდაშვილ ანასტასიასთან ურთიერთობას, მამიდისა და ბიძის ოჯახს. ეს ვიზუალური ხატები ავლენენ მწერლის სტილურ თავისებურებას, სიტყვებით გამოხატული ფერითა, მუსიკითა და სურნელით დასამახსოვრებელი გახადოს რეალური თუ სულიერი პერიზაჟები.

რომანის საინტერესო დრამატურგია ხელს უწყობს მკითხვე-ლის ცნობისმოყვარეობის დაძაბვას, ე.ნ. მოლოდინის ჰორიზონ-ტების გაჩენას, ამიტომაც არ არის მოწყენილობის პაუზები. თხრობის თანმხლები ფარული რიტმისა და ენერგეტიკის წყა-ლობით, რომანი აკითხებს თავს ადამიანს. მწერალი ორი პერ-სონაჟს, ერმინასა და კაცს სრულიად შემთხვევით ახვედრებს კა-ფეში, სადაც მისი ქალიშვილი მეგობრებთან ერთად დაბადების დღეს იხდის. კაცი ამ უჩვეულო სიტუაციაში თავიდან გაუცხო-ებულად და მარტოსულად გრძნობს თავს. მწერალი კარგად აღ-ნერს მის კონსერვატორულ შეგრძნებებს, როგორ არ მოსწონს არც რეპი, არც ახალგაზრდების ცეკვა, არც სიმღერის სიტყვები, თუმცა სასმელს თავისი გააქვს და წარსულის სასიამოვნო მოგონების თანხლებით იძირება თრობის ბურუსში. სწორედ ამ დროს უცხო გოგონა აღვიძებს: „ძია, დაგეძინა?“

რომანის საერთო კონტექსტში ეს ძილიც, შემდეგ თვალის ახე-ლა და გამოღვიძება სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. კაცი თანდა-

თან გააცნობიერებს, რომ მისი ცხოვრება აქამდე ძილს ჰგავდა, დროდადრო ლამაზსიზმრებიანს. ახლა კი ერმინამ გამოაღვიძა და ნამდვილი სიცოცხლისკენ გაუძლვა. ამ ხუჭუჭთმიანმა, სიფრითანა, ბოშური წარმოშობის, ტრაგიკული ბავშვობის ტრავმებით სავსე ობოლმა გოგომ ნამდვილი თავისუფლებისა და ბედნიერების არომატი და გემო შეაგრძნობინა, რეპიც შეაყვარა და სიცოცხლის უამრავ უცნობ მხარეში ამოგზაურა: „რეპი მაკრატელია, რომლითაც ვახერხებ საკუთარი თავის ამოქრას ამ მოსაწყენი ცხოვრების ფონიდან“.

ერთ ეპიზოდში ერინა, რომელიც ფოტოგრაფითაა გატაცებული, შიშვლად გადაღებას სთხოვს. ეს მოულოდნელი შეთავაზება მისთვის შოკის მომგვრელია, თავდაპირველად სირცხვილის გრძნობა აფერხებს, მაგრამ მერე ხვდება, საკუთარ თავს რომ შეხვდეს, სრული გულწრფელობა, ბავშვური მიამიტობა და სისუფთავე რომ დაიბრუნოს ამ „ჭუჭყიან“ წუთისოფელში, სწორედ ეს სჭირდება. ეს სიშიშვლე საკუთარი სხეულის ზიზღს, სიძულვილს, სირცხვილს დააძლევინებს. ისევ ჰარი ჰალერი გვახსენდება, რომლისთვისაც „მაგიური თევატრი“ სწორედ ამგვარი გაშიშვლების ადგილად იქცა, სადაც თავის ნილბიან ვნებებს შეხვდა და სიცოცხლის აზრს ჩასწვდა. ეს სიყვარული გადაარჩენს მას, როგორც ადამიანს. მართალია, ერინა, როგორც სიყვარულშიც თავისუფალი, სხვას ირჩევს, თავისსავე თანატოლს, მაგრამ მათი გზები სამარადისოდ გადაეჯაჭვება ერთმანეთს. რომანის პერიპეტიების მიხედვით, ერინას შეყვარებული ამერიკაში მიდის, ხოლო ფეხმძიმე ქალიშვილს ბიჭის მშობლები შეურაცხყოფას მიაყენებენ და კულტურულად გააგდებენ სახლიდან, როგორც მათხოვარს. ერინამ შეასრულა თავისი „როლი“, ამიტომაც გადაჰყვება მშობიარობას, მაგრამ მისი გოგონა გადარჩება, რომელიც ამ კაცს მოჰყავს სახლში გასაზრდელად.

რომანში კარგად წარმოჩნდება მოზარდების ფსიქოლოგია, ე.წ. გარდამტეხი ასაკის, ფიზიოლოგიური მომწიფების, საკუთარ სხეულთან „ჭიდლის“ მტკივნეული პროცესი. აქ მკითხველს ფილიპ როთის „პორტნოის სინდრომი“ შეიძლება გაახსენდეს, რადგან აქაც ფსიქოლოგიური ნიუანსებია მოხელთებული.

თხრობა მსუბუქია, ექსპრესიული, გვხვდება ირონია, ანეკდოტური ამბები, მაგალითად, სამტრედიული კილოთი მოლაპარაკე შავკანიანი ამერიკელი, განსხვავებული რაკურსით დანახული მოვლენები, მაგალითად, მთავარ გმირს არ მოსწონს იტალიური ოჯახის „კოლექტივიზმი“, თითქოს პიროვნულობის საარსებო სივრცე ვიწროვდება და ილახება: „საერთო აივნები, სამზარეულობი და ტუალეტები... ასეთი ცხოვრება იმდენად აუკულმართებს ადამიანების ბუნებას, რომ ხშირად საზღვარ-საც ვერ პოულობენ, სად არის მათი სახლის ზღურბლი და სად – სხვისი ცხოვრება; ან კი აქვთ პრეტენზია, საკუთარი ცხოვრება ჰქონდეთ?“ ცის, მთვარისა და ვარსკვლავების გარდა ადამიანებს საერთო არც არაფერი უნდა ჰქონდეთ“.

რომანში ჩანს, რა საშიშროებას უქადის ადამიანს სტანდარტული, სტერეოტიპული აზროვნება, რომელსაც განსაკუთრებით მასმელია ამკვიდრებს, „ტვინს ურეცხავს“ უკონტროლო ინფორმაციის ნაკადების შემქმნელ-მიმწოდებლებსა თუ ე.წ. მომხმარებლებს: „გულწრფელად მეცოდებიან ადამიანები, რომელთა ტვინებს ისე საგულდაგულოდ ამუშავებენ, რომ ხშირად საკუთარი და სხვისი აზრების გარჩევასაც ვერ ახერხებენ. ავტომატებივით არიან. გადატენიან – გაისვრიან. გადატენიან – გაისვრიან. ტრანზიტი! დიახ! რაღაც მეტაფიზიკური მილებით მათ ტვინებში შეედინება და გამოედინება ინფორმაცია და ისინიც სრულიად გაუცხობიერებლად ქმნიან ახალ ხატს, იმიჯს, გმირებს, ზუსტად ისე, როგორც მოისურვა „მაგიურმა პერსონამ“. შენ ზიხარ და ისმენ, ეს გადარეულები კი ტვინს გირეცხავენ. მეორე დღეს სრულიად ძალდაუტანებლად შენც მოგწონს ეს ყველაფერი. ფიქრობ, უფრო სწორედ, გვინია, რომ ფიქრობ! შეიძლება პირიქით, სულ პირიქით მოხდეს – გაავდე და დაიბოლმო. მოკლედ, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორია ეს „მეტაფიზიკური“ პროგრამა“. ამიტომ თავისუფალი უნდა იყოს ადამიანი, რათა შეძლოს ამ არეულ-დარეულ, გიურ სამყაროში „ფიქრთ გასართველი“ ადგილი იპოვოს გარეთ თუ საკუთარ სულსა, გულსა და გონებაში. სად მთავრდება ციტატა?

ჯორჯ გერმვინის „Sommer times“-ის პოპულარული იავნანის მელოდია და სიტყვები „Summer time And the livin' is easy“ განსა-

კუთრებით რომანის ფინალურ ეპიზოდს შეეფერება. აქ გმირს თავისი საყვარელი გარდაცვლილი ქალის, ერინას გოგონა მოჰყავს მოწილი კალათით, მასაც ერინა დაარქვა და იშვილა. ახლა ყველაზე უკეთესად შეიგრძნო: „სიზმარიც და სიყვარულიც ყველაზე ლამაზი აბსურდია ქვეყნად“. რომანის ბოლო აკორდები რწმენასა და სიყვარულს ასხივებს. კაცი ბავშვის მშვიდი სუხთქვის ფონზე ღილინებს – მამიდის სკივრში ნაპოვნი შელოცვის უთბილეს და უტკბილეს სიტყვებს:

ალია – ბოლია, ჩემო ცომის გუნდავ!
გეხები ხელებით, ჩემი თბილი ხელებით.
შეგაზელ მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს.
ალია-ბოლია, ჩემო ცომის გუნდავ,
გეხები ხელებით, სუფთა ხელებით,
შეგაზელ რძეს, თბილ-თბილ რძეს,
ჩემით მოწველილს, მწვანე ბალახის სურნელით...
ალია – ბოლია, როცა აღარ ვიქნები, მიეცი ჩემს შვილს:
ყოველი დღე, ყოველი სუნთქვა,
ყოველი სიცილი, ყოველი მზის ამოსვლა-ჩასვლა,
ყოველი მარტის გაწვიმება, ყოველი თოვლის ხეებზე გადაფენა,
ყოველი მერცხლების გადაფრენა, ყოველი სიკეთე და
ყოველი სიყვარული:
რაც მე დამაკლდა
რაც მე დამაკლდა
რაც მე დამაკლდა!

ეს რომანის ბოლო აკორდებია და მკითხველს იდუმალ მოგონებად გაჰყვება სევდის, რწმენის, სიყვარულისა და იმედის მსუბუქი, გრილი სურნელი.

აღსანიშნავია, რომ მაია ცირამუამ უკვე მოიპოვა ალიარება, ამას მოწმობს ის, რომ ამ რომანმა 2020 წელს „საბას“ კონკურსზე წლის საუკეთესო დებიუტის ნომინაციაში გაიმარჯა.

ირაკლი კაკაბაძე: ევკალიპტი, ვაზი და საკურა

ირაკლი კაკაბაძემ ქართველი მკითხველის ყურადღება მიიქცია ჯერ როგორც პოეტმა-მინიმალისტმა (2013 წლის ბეტსელერად აღიარებული „ლექსები“), ხოლო მოგვიანებით, როგორც პროზა-იკოსმა (2018 წ. „გამოსვლის წიგნი“). თუმცა ამ ჟანრულმა გადანაცვლებამ არსებითად ვერ შეცვალა მთავარი – სხვადასხვა ფორმით რეპრეზენტირებული მხატვრული მთლიანობა, რომელშიც ცალკეულ მონაკვეთებზე ამ ავტორისთვის ჩვეული სიფრთხილით, უფრო კი სიფაქიზით, მის პოეტურსა და პროზაულ სტრიქონებში გარკვეულ თემებად, კონცეპტებად მოინიშნა. ეს მისწრაფებები თვითონ „ეკოლოგიურად სუფთა დედამიწას, ასე-თივე ადამიანურ სულს, ურთიერთობებს, სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის გადებულ გზას“ დაუკავშირა, რაც, ცხადია, ძალიან შორსაა საკუთარი ტექსტებისა და, მით უფრო, საკუთარი პიროვნების რაიმე სახით ხელოვნურად აქტუალიზებისაგან და სრულ სიმართლეს წარმოადგენს. რატომ ვართ ასე დარწმუნებული?

ერთ-ერთ ინტერვიუში ირაკლი კაკაბაძემ თვითონ მოგვაწოდა და ბევრი რამის ამხსნელი, შეიძლება ასეც ითქვას, გარკვეული თვალსაზრისით, უნივერსალური გასაღები, როდესაც განაცხადა, რომ კუნდერას „უმეცრებაში“ აღწერილი სამყარო ჩემსას ძალიან ჰგავსო. საუბარია 2000 წელს გამოცემულ მილან კუნდერას ფრანგულ ენაზე დაწერილ რომანზე „უმეცრება“. კუნდერას მიერ, რომელსაც 1968 წლის „ჩეხოსლოვაკიური გაზაფხულით“ პროვოცირებული მოვლენების გამო ემიგრაციაში წასვლა მოუწია, შეუძლებელია სერიოზულად არ დასმულიყო ხსოვნისა და დავინების, ნოსტალგიისა და დაბრუნების ურთულესი პრობლემები. თუმცა სწორედ „უმეცრებაში“ ეს თემატიკა ოსტატურადა გაფართოებული, როგორც თვითონ მწერალი გვეუბნება, „ნოსტალგიის ფუძემდებლურ ეპოპეასთან, ჰომეროსის „ოდისეასთან“ და უდიდეს მოგზაურთან და ნოსტალგიოსთან,

ოდისევსთან“ შეხებით. მეტიც, პერსონაჟთა ფიქრები გამუდმებით ამ დიადი წიგნით გადაიკვეთება ხოლმე. როგორც რომანის რეცენზიტები აღნიშნავდნენ, კუნდერა, ალბათ, ერთადერთია, ვინც დასვა კითხვა: იყო კი ოდისევსი, შინ, ითაკაზე, დაბრუნებით ბედნიერი, კუნდერას სიტყვებით კი „გაიუღერა თუ არა მის სულში დიდი დაბრუნების მუსიკამ“? – და შემდეგ, ისევ რეცენზიტებს რომ მივუბრუნდეთ, ერთგან ასეთი საგულისხმო რამაა ნათქვამი: „თითოეული ჩვენგანი ემიგრანტია, რომელიც გადის გზას წარსულიდან მომავლისკენ. თითოეული ჩვენგანი ჰგავს ოდისევსს, რადგან ვერ უპოვია ის ჯადოსნური კუნძული. თუმცა გზა წარსულისკენ მოჭრილია. ჩვენ ისლა გვრჩება, ვნოსტალგირებდეთ და გვიყვარდეს მხოლოდ დღევანდელობა“.

მართლაც, ირაკლი კაკაბაძესაც საკმაოდ ხანგრძლივი მოგზაურობა, ადგილმონაცვლეობა დაებედა. იგი დღესაც ემიგრანტია და სხვა ქვეყანაში ცხოვრობს (ასე მწარედაც ითქვა, „სხვა ქვეყანაშია გადახვეწილიო“). აფხაზეთის დაკარგვის, მშობლიურ – უცხო დედაქალაქში დამკვიდრების, შემდეგ ოაზისივით მოლანდებული შორეული იაპონიისა და ბოსფორზე გადებული ქალაქი-სფინქსის, სტამბულის, სურათ-ხატები მის პოეტურ წარმოსახვაში ერთმანეთშია გადაწნული. ეგზისტენციალური გამოცდილებები, რომლებიც მას მიეცა, ვიღაცისთვის აშკარად ზედმეტი ტვირთი იქნებოდა, შეჩვეულ-ათვისებული გარემოდან უსარგებლო აყრით გამოწვეული დისკომფორტის, ქონებისთვის საფრთხის შექმნის ან სულაც მისი დაკარგვის გამო. იმას კი, ვინც პოეტადაა დაბადებული, სხვა საზომები აქვს: „თვისობრივად დაუსრულებელი მოგზაურობა ან დაბრუნება, როგორც დასასრულის ალიარება“ (კუნდერა). არჩევანი პირველის სასარგებლოდ კეთდება, რადგან ასე უფრო ადვილია გათავისუფლდე არაერთი პირობითობისგან, სიყვარულით მოიცვა სულ უფრო მეტი სივრცე, გადაეგო მთელ სამყაროს, მისახვედრს მიხვდე, უსამშობლობა კი განიცადო, როგორც ამგვარი თვითაღქმის, თვითდამკვიდრების მასტიმულირებელი იმპულსი:

აი, ასეთია ჩემი ცხოვრება -
არც ხელს მკიდებს,
არც მიცდის,
არც კი მაკვირდება,
ცალკე დადის მოპირდაპირე ტროტუარზე
და ნერვიული წაბიჯებით,
უკან მოუხედავად,
გზაზე მუდამ შუქნიშნის წითელ შუქზე გადადის...

„უკანასკნელ იმპერატორზე“ მუშაობის დროს დიდ ბერტო-ლუჩის უთქვამს, რომ მხოლოდ შორს მყოფმა და სხვის ისტორიაში დოროებით ჩაფლულმა გაიგო მთავარი რამ მშობლიური იტალი-ის შესახებ. ირაკლიმაც, რომელმაც ამასობაში ოდისევსური მოგზაურობის სული ინამა, როგორც პოეტმა, საქართველოში უკიდურსად გაუფასურებული სიტყვის წინააღმდეგ (როცა დაუს-რულებელი ლაპარაკი მხოლოდ აზრგამოცლილობას ბადებს), თავად ამ სიტყვის გადასარჩენად ერთგვარი ანტიდოტი გამო-იმუშავა და ამით საკუთარ ხმას, საკუთარ ინტონაციას მიაგ-ნო. ეს კი დიდ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული არჩევანი აღმოჩნდა:

ახლა ვინა ხარ?
როგორ ზომავ გასავლელ მანძილს?
როგორ ალაგებ პოეზიას, საგნებსა და გარდასულ დღეებს?
რას ეკითხები საკუთარ ჩრდილს კედლის ლაქებზე დაღვრილს,
რას ეკითხები საკუთარ თავს
ყოფიერების მეორე მხარეს?

თვით ორიენტალიზმის საკითხი, განსაკუთრებით, გოეთედან ეზრა პაუნდამდე, კიპლინგის ცალხმრივად გაგებული ცნობილი მაქსიმით დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთშეუღ-ნევადობის შესახებ (სინამდვილეში, კიპლინგი ამ სტროფს მსოფ-ლიო ჰარმონიაზე ნატვრით ასრულებს), ირაკლი კაკაბაძემ ქარ-თული კულტურული ტრადიციის გათვალისწინებით აღიქვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაიზიარა რუსთაველიდან გრიგოლ რობაქი-ძემდე მეტ-ნაკლები ძალისხმევით განხორციელებული აღმოსავ-

ლურ-დასავლურ კულტურათა სინთეზირების პრინციპი, რამაც განსაზღვრა უშუალოდ მისი დამოკიდებულება, მაგ. იაპონური პოეტური ტრადიციისთვის ფუძემდებლური მცირე ფორმების ესთეტიკისადმი, ბაშიოს, ბუსონის, ისის, იშიკავა ტაკუბოკუს პოეტური სამყაროებისადმი. ამასთან, გაცრეცილ პოეტურ აქსე-სუარზე უარის თქმამ და სიტყვაში პერსონიფიცირებულმა ტაკუ-ბოკუსეულმა სიცოცხლის თუნდაც ერთი წუთისადმი განსაკუთ-რებულმა დამოკიდებულებამ ირაკლი კაკაბაძეს თანამედროვე ქართულ პოეზიაში საკუთარი განსხვავებული გზა აარჩევინა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მის ახალ პოეტურ ნიღაბს (ირაკლი კაკაბაძე იაკი კაბედ იქცა) და რამაც ზემოთ ნახსენები უძველესი იაპონური პოეტური ფორმების გათავისება ლოგიკურ დასასრულამდე მიაყვანინა. შეიძლება ამას ქართულად კაძინო-ბაც ვუწოდოთ, კაძინო ხომ ტანკას მთხზველს ნიშნავს, ხოლო ის, რასაც იაკი კაბე ქმნის, იაპონური და ქართული მსოფლეოდ-ვის აქამდე ძნელადნარმოსადგენ მსგავსებათა მოხელთებაცაა. ავიღოთ, მაგ. მისი ერთი ჰაიკუ:

პოეტები რად არ სწყალობენ –
კიტრის,
წინაკის,
ბადრიჯნის და ლობიოს
ნატიფ ყვავილებს?..

გარდა იმისა, რომ იაპონური დახვეწილობა აქ სილამაზის გა-უფრთხილებლობისა და სულიერი სიტლანქისადმი გალაკტიონი-სეულ დამოკიდებულებას გვახსენებს (ო, ეს ფოთლები ფენილი ქარით, / ეს მწუხარე და ნაზი ზმანება, / ეს ყვავილები, ეს ცა, მითხარით, / არავის თქვენგანს არ ენანება?), შესაძლოა გაგ-ვიჩნდეს ალუზია სიმღერად ქცეულ ერთ მეგრულ ხალხურ ლექ-სთან ვარდისა და ჭინჭრის შესახებ, რომლის სახელდახელოდ შედგენილი ბნეარედი ასე გამოიყურება: ვარდსა და ჭინჭარს ზიარი ბინა აქვთ./ თუ ვარდს ამბორი ეკუთვნის, / ნუთუ ჭინჭარი შეხედვასაც არ იმსახურებს? ამგვარი პარალელების ცნობიერი თუ ქვეცნობიერი გააზრება აძლევს კიდეც ირაკლი კაკაბაძის „ტანკა-80

ჰაიკუებს“, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, მინიმალისტურ პოეზიას, ორიგინალურ ჟღერადობას და ქმნის კიდეც საკუთრივ მისეულ ფართო კონტექსტის მქონე პოეტიკას.

საგულისხმოა კიდევ ერთი დეტალი: ირაკლი კაკაბაძისთვის ტანკა-ჰაიკუ არა ზოგიერთი ევროპელი და ამერიკელი პოეტის (იმავე პაუნდის, უილიამ უილიაშის, გეორგოს სეფერისის) მსგავსად, „არტისტული მარგალიტებით თამაშის“ ერთ-ერთი სახეობა აღმოჩნდა, არამედ ნახევარტონებით სიტყვის შელახული მნიშვნელობისკენ მიბრუნების კარგი საბაზი, შენარჩუნება პრინციპულად დაუსრულებელი აზრის ფორმატისა, „დიადის მცირე-ში მოქცევა რომ შეუძლია“, რომლის ქვეტექსტი ზედაპირზე არ დევს და ამიტომაც მკითხველის ფიქრსა და განსჯას საჭიროებს:

დღეთა რიგებს, დღეთა ტეხილებს ჩავუარე,
მზიანს, ქარიანს, და ერთი ფიქრი არ მასვენებს,
მტანჯველი ფიქრი –
სად, სად არის,
სად წავიდა ადამიანი?...

წორედ ასე,დროთა ბრუნვაში საგანგაშოდ ჩაკარგული ადამიანებისკენ მიმართული აზრისა და ემოციის სილრმით, ლაკონური ფორმით შესრულებული მონახაზით იდება დასრულებული ადამიანური ისტორიები, რომელიც ირაკლი კაკაბაძის, სიტყვაძვირი პოეტის, კიდევ ერთი მახასიათებელია:

მკერდზე პეპელა დაიბნია,
თმაზე გვირილა,
რიგში დგომა მოუწევს იცის,
ადრიანად გადის შინიდან.
პენსიის დღეა...

დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმის აღმოჩენას, რომ ირაკლი კაკაბაძის რამდენიმე წიგნის გარეკანზე (გამონაკლია „მწვანე წიგნად“ წოდებული პოეტური კრებული „სამწერტილები“ – 2015) პატარა ბიჭის გამოსახულებაა გამოტანილი. ეს, გარდა იმისა, რომ ავტოპორტრეტირების მარჯვე ხერხია, თვით პოეტის მიერ ადრე

ერთ-ერთ ლექსში ამავე მიზნით მოტივირებულ თვითშეგრძნებას გვახსენებს: „...პატარა ბიჭი...იაკი კაბე, / მომვლელი ციცინა-თელების სასაფლაოსი“. აზრობრივად და მხატვრულად ტევადი ეს მეტაფორიზებული ეპითეტი („ციცინათელების სასაფლაოს მომვლელი“), საკუთარი კონკრეტიკით შემოსილ და სწორედ ბავშვობის ასაკში თავსდატეხილ რეალურ ცხოვრებისეულ ის-ტორიას უკავშირდება; არც მთლად საჯარო, უფრო ინტიმური ფიქრების გამომხატველი ფრაზებით – „ომგამოვლილი ბავშვი ვარ“, „ამას დიდი პაუზებით ვწერდი“, „ეს უნდა ამომეთქვა, რომ განვთავისუფლებულიყავი“, „ეს ჩემი მთავარი ტექსტია“ – ავტორმა ვრცელ მოთხრობაზე თუ, როგორც ახლა უწოდებენ, მცირე რომანზე, სახელწოდებით „გამოსვლის წიგნი“, მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვაწოდა. ეს წიგნი, როგორც იტყვიან, თვით „ყველაზე ირონიულ კაცსაც კი ცრემლს გამოსტყუებს“ და განაბევრია ასეთი ტექსტი?

მიუხედავად იმისა, რომ შეურაცხყოფილ და განწირულ ქართველთა აფხაზეთიდან გამოდევნა ისე ძალიანაც არ ჰგავს ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსვლას, სათაურის პოეტიკა მაინც ბიბლიასთან კავშირზე მიგვანიშნებს. აქ არც „ცეცხლმოკიდებულ ბუჩქია“ და არც „ორად გაყოფილი წითელი ზღვა“, არც მოსეს ოდნავ მაინც მიმსგავსებული წინამდლოლი ჩანს. იგი საბჭოეთის უხილავი, თუმცა ამ ყველაფრის შემოქმედი პირსისხლიანი კერპითაა ჩანაცვლებული (გარეკანზე პატარა ბიჭი სწორედ მის ძეგლთან პოზირებს). სამაგიეროდ, დიდი მხატვრული ოსტატობითაა აღნერილი ბავშვის თვალით დანახული აყირავებული სამყაროსგან, უაზრო, დანაშაულებრივი ომისგან სახედაკარგული და სახეშენარჩუნებული ადამიანები, რომლებიც თავიანთი ტრაგიზმით ბიბლიურ სიმაღლებს სწვდებიან. აი, თხუთმეტი წლის ობოლი ბიჭი, რომელსაც ავაზაკებად ქცეული მეომრები მოკლულთა შეურაცხყოფას აიძულებენ და ამის გამო იგი თავს იკლავს. ვერ მარხავენ, რადგან მიცვალებული ბებიამ კალთაში ჩაიწვინა, მისი უსიცოცხლო სახე გულზე მიიკრა და არავის ანებებს. ეს აფხაზური პიეტა უაღრესად სულისშემძვრელია და უამრავ ბატალურ სცენას თუ ომების ზიანზე დაწერილ ტრაქტატებს აღემატება.

პირველივე შეხვედრაზე ირაკლისგან გავიგე, რომ ის ზღვის-პირა დაბის, განთიადის, მხრიდანაა, სოფელ წალკოტიდან (რამ-დენჯერ ჩავუქროლებივარ სოხუმიდან სოჭისკენ მიმავალ „ელეკ-ტრიჩას“ ლესელიძე-განთიადის ულამაზეს სანახებთან). წარ-მოიდგინეთ, ასე ერქვა ამ მართლაც ულამაზეს სოფელსო, თქვა და მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა. გამოდის, რომ მსგავსი პირ-დაპირი მინიშნებების ფონზე „გამოსვლის წიგნში“ ფოკუსირებუ-ლია სინათლიდან უკუნში, მართალი გზიდან მრუდეში, სიკეთი-დან ბოროტებაში გადასვლის მისტერია, რომელიც ყოველ ჯერზე ადამიანთა გამოსაფხილებლად იმდენად ცოტა აღმოჩნდება ხოლმე, რომ გაუთავებლად მეორდება.

მინიმალისტური პოეზიის შექმნის გამოცდილება ირაკლის პორზაშიც იჩენს თავს. დააკვირდით, როგორი დეტალებია გამოკ-ვეთილი პერსონაჟთა დასახასიათებლად, როგორი ზუსტი და ლაკონური შტრიხებით ცოცხლდებიან დროზე ადრე დაპრძენე-ბული პატარა ბიჭის გარშემო ცხად-სიზმარში მოძრავი ბებია-ბაბუა, ნათესავები, თანასოფლელები, შემთხვევით შემხვედრნი. ყველას თავისი იერი და ფერი, სილუეტი და ხმა აქვს. თითქმის ყველა მათგანი, დაწყებული სწორედ ბებიდან და დამთავრებუ-ლი რუსების სოფელში მცხოვრები ცირკის ყოფილი მსახიობით („არ დაგიმალავთ და არ მიყვარხართ ეს კაცკასიელი ხალხ...რა არ გასვენებთ, რა არ მოგწონთ...“) იმ სიმართლეს ახმოვანებს, რომლის დაბალანსება შეეძლო მხოლოდ ისეთ ავტორს, რომელ-საც ნიჭიერებასთან ერთად, აფხაზეთის ტრაგედიის სრულყო-ლი განცდა გააჩნია. თუ ბებია „სიცოცხლის ხიდან ადრე ჩამო-ფერთხილი“ ქართველი ქალების ხვედრს იზიარებს, თავისი ამოუწურავი სიყვარულითა და ქვაზე დასახლების ინსტინქტით, სულ სხვა ვინმეა ბაბუა. მდიდარი სულიერებით იგი მუდმივად აწერილი ქვეყნისთვის სრულიად უადგილო და შეუფერებელია. ამიტომაცაა არარეალიზებული და ამავე მიზეზით კრიტიკულ მომენტში რემბოს ცეცხლოვანი სტრიქონებისა და ხოაკინ სო-რელიას სინათლით სავსე ნახატებისკენაა თვალმიქცეული. პა-ტარა ბიჭის მასთან ურთიერთობის ამსახველი პასაჟები, სადაც არაფერი მნიშვნელოვანი არ არის გამოტოვებული, „გამოსვლის წიგნის“ საუკეთესო ეპიზოდებია.

ამ რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე ახალგაზრდა მკვლევარმა ცირა კილანავამ აფხაზეთის მოვლენებისადმი მიძღვნილი ლიტერატურის ასეთი კლასიფიკაცია შემოგვთავაზა: გურამ ოდიშარია – მეხსიერების შენახვა; ირაკლი კაკაბაძე – ტრავმის დაძლევა: ზურა ჯიშვარიანი – იმავე ტრავმის დავიწყება. სავსებით კანონზომიერად მეჩვენა ირაკლი კაკაბაძის ეს შუალედური პოზიცია, რაც სინამდვილეში თავის თავში პირველსა და მესამე მიმართულებებსაც ერთიანებს. უფრო სწორად, ამ მიმართულებათა უმთავრეს ელემენტებს, რომლებმაც ტრავმისგან გამოთავისუფლების, მისი დაძლევის გზით უნდა წაგვიყვანოს. და რამდენად გარდაუვალი და აუცილებელია ეს გზა, ირაკლი კაკაბაძის დაწერილ და ჯერ კიდევ დაუწერელ ტექსტებში მთელი სისრულით გამოჩნდება.

ლევან გელაშვილი

კინოფილმის აქტივაცია ტექსტში (კოტე ჯანდიერის „დაპატიუება კინოში“)

ჩვეულებრივ, მკითხველი ფანტაზიის მეშვეობით მყისიერად, კითხვის პროცესშივე ხვეწს წარმოსახულს. ფანტაზიის ეს ჩართულობა ძალზე მნიშვნელოვანია და მისი გამოხმობა მკითხველში ავტორის მიერ დოზირებული მინიშნებებით ხდება.

მწერლის ოსტატობა ზომიერებაში მდგომარეობს, რომ არც დააკლოს ტექსტს რამე საგან-მოვლენების აღწერისას და არც გა-დაამლაშოს დეტალებით, თუკი საგნის ან მოვლენის მცირე, მაგრამ შინაგანად დამახასიათებელი შტრიხები მკითხველისთვის ნიშანდობლივია.

განუსაზღვრელობის ადგილები (ინგარდენი ასე უწოდებს ტექსტში ისეთ ადგილებს, როცა საგნის კონკრეტიზაცია მკითხველის ფანტაზიის ჩართულობით ხდება), ნაწარმოების მნიშვნელობათა შერესთან თანხმობით, შესაძლოა, სხვადასხვანაირად იყოს შევსებული. თუ მაგალითად, შექსპირის ჰამლეტში არ არის ნათქვა-მი, როგორი აგებულებისა იყო ჰამლეტი, მაშინ მკითხველს შეუძლია ჰამლეტის სახის კონკრეტიზაცია მოახდინოს (ინგარდენი 2011: 117).

მონტაჟისა და ფანტაზიის წყალობით, ხშირად ფილმში ერთი-ორი კადრით ან მწერლის თხზულებაში ერთი-ორი წინადადებით გმირის მთელი ცხოვრებაა მოთხოვობილი. ამის კარგი მაგალითია ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედება.

სიტყვა აბსტრაქტულობით ხასიათდება. ეკრანზე დანახული ვიზუალური გამოსახულება თითქოს ზღუდავს ფანტაზიას. სცენარისტისა და მწერლის კოტე ჯანდიერის მოთხოვობაში „გლობალიზაცია“ მთავარი გმირი – კახელი კაცი ასე ხსნის ამ მოვლენას: „რა ვქნა, კაცო, ძველი რადიოებისა მესმოდა, „ესტონიც“ კი გვედგა ზალაში; მემრე „სპიდოლა“ მაიტანა ცხონებულმა ანიჩკამ, ჩემმა დამ; ვიჭერდით თბილისსა და მოსკოვს... ამ ახალ რადიოებს კი ჯერთ ალლო ვერ ავულე. ისე, მე რო მკითხოს კაცმა, საზო-

გადოდ, რადიო სჯობია ტელევიზორსა. უსმენ ადამიანების ხმებსა და თვალდახუჭულად თუ დაუხუჭველადაც იგრეთს წარმაიდგენ, როგორიც გაგეხარდება... შენ ჭკუაზე, რა! არ მეგენონება – მააძრობ თავსა და ახალს დაადგამ. ტანისამოსსაც, როგორსაც გინდა ისეთს ჩააცვამ... ტელევიზორში კი, რასაც მოგისჯიან, იმას უნდა უცქირო, ნერვები მეშლება, კაცო-ო! მერე შინაარსითაც უფრო ბოროტული და ავყიაა ე ოხერი! ახლა დენი უნდა... დენი კი ხო იცით, კახეთში როგორი იშვიათობაა? ხოდა, მე რადიო მირჩევნია – ფული ფულად მეზოგება და ნერვები – ნერვებად... თამარ, მოდი გენაცვა, ამათ კიდე ყავა მაუდუღე, მე კიდევა პივა და ჩიფსები მამიტანე... მიდი, ქალო, ნულა იწმაწნები, ჩასწერე ჩემ ანგარიშზე... ნუ გემინან, ჩასწერე, მარინა გაფურთხილებული მყა-ამ!“

კინოს დაბადების მომენტიდან ხელოვნებაში ახალი პროცესები დაიწყო, ცხადია არც ლიტერატურა იყო გამონაკლისი, რომელიც, ერთი მხრივ, დონირი იყო კინემატოგრაფიული ხერხებისა და მეორე მხრივ, თავად დაიწყო კინონარატოლოგიური ხერხების შექმნა მწერლობაში. კინო და სხვა ვიზუალური მედიები დიდ გავლენას ახდენს ადამიანზე და განავრძობს ლიტერატურული ფორმების კვლავნარმოებას. კინოხერხები სხვადასხვა ფორმით შეიქრა ლიტერატურაში. ხშირად ავტორს სურს ესა თუ ის ეპიზოდი კინემატოგრაფიულად წარმოიდგინოს მკითხველმა. ამის ერთ-ერთი კარგი მაგალითია კოტე ჯანდიერის მოთხოვა „მატარებლები გვირაბში შედიან“, სადაც არის ერთი ასეთი ეპიზოდი: „მის თვალებში აქამდე შენთვის უცნობი, ცივი ალი ბრიალებდა. ეს შემაშინებელი ალი ანათებდა, მაგრამ არ ათბობდა. მოგეჩვენა, რომ რეალობა გაქრა, უფრო სწორად, არაპროფესიონალის გადაღებულ კინოქრონიკას დაემსგავსა და ამ სიმკვეთორედაკარგულ ფირზე აღბეჭდილი აქ, სასტუმროს ნომერში კი არა, შენი სახლის სადარბაზოსთან იდგა, როგორც სისხლი სისხლთაგანი იმ გამაყრუებელი „ოააე“-სი და სწორედ მაშინ შენი შეშფოთებული მზე-რის ეკრანზე მედიდურად წამოიმართა წითელი მთის სრულქმნილი კონტური, მწუხრით მოსილი შინდისფერი ცის ფონზე. მთის ულმობელმა, მკვეთრმა კონტურმა წამით გამიჯნა შენგან“.

ვიზუალურ მედიასთან ინტერტექსტუალობის თვალსაზრისით კოტე ჯანდიერის შემოქმედებაში განსაკუთრებით საინტერესოა

მოთხრობა „დაპატიუება კინოში“. ეს მოთხრობა მრავალმხრივ სა-ყურადღებოა. ამ ნაწარმოებს საინტერესო რეცენზიები უძღვნეს ლალი ავალიანმა და მაია ჯალიაშვილმა. ჩვენ გვსურს ერთ საკითხ-ზე გავამახვილოთ ყურადღება.

მოთხრობაში მოვლენები მეოცე საუკუნის 70-იანი წლების საბჭოთა საქართველოში ვითარდება, სადაც ბარათაშვილის ნე-ლად მოდუდუნე მტკვრის ნაცვლად „მტკვარი მძიმეა და ჩაშავე-ბული. მის მდორე წყალში არაფერი არ ირეკლება. არც დღე, არც ღამე“. მოთხრობაში საზოგადოებას და გმირს ერთი რეალობა არა აქვთ. მათ სხვადასხვა რეალობის აღქმა აქვთ. მწერალი მხოლოდ იმას კი არ აღწერს, რას აკეთებს ის ამ სამყაროში, არამედ იმას, თუ როგორ ზემოქმედებს მასზე ეს სამყარო.

გმირის გაუცხოებას მშობლიურ ქალაქთან კარგად გამოხა-ტავს საკუთარი თავის მოლაპლაპე ვეშაპთან შედარება: „ეს ქალაქი ნერვებს მიშლის. მე ის ვეშაპი ვარ, რომელსაც ყელში ამოსვლია ოკეანის მლაშე წყლები და ხტება მაღლა ჰაერში, სველი და მოლაპლაპე, რათა მეორე წამს სხეულის სიმძიმემ კვლავ დააბრუნოს აუტანელი, მაგრამ მშობლიური სტიქიონის წიაღში“ .ან: „მითხარი, ვინ მოაწყო ასე საშინლად ეს ცხოვრება? ამ ქალაქ-ში მთელი დღე რომ იარო, ცოცხალ ადამიანს ვერ ნახავ. თბილისი უდაბნოა, საშინელი, ცარიელი უდაბნო! ვისი ბრალია? ვინ არის ამ სამყაროს ავტორი?“?

ტექსტში არსებული მხატვრული სამყარო ნარატიული თვალ-საზრისით საინტერესოა იმით, რომ დასახელებული ობიექტები – ლენინის მოედანი, კინოთეატრი „ყაზბეგი“, კაფე მეტრო, ექს-ტრასენსი ჯუნა და სხვ. – მკითხველში გამოიხმობენ საბჭოთა პე-რიოდის დროინდელ განწყობილებებს და მიკრობატებს. თუნდაც მკითხველი სულაც 21-ე საუკუნეში იყოს დაბადებული, მწერლის ნახსენები სახელები რაღაც მისტიკით თავად ყვებიან საბჭოთა ატმოსფეროს შესახებ.

მოთხრობის პირველი ნაწილი კინოში წასვლის მსვლელობაა, რომლის განმავლობაში გმირი იხსენებს წარსული ისტორიების ფრაგმენტებს, ამბებს, ემოციებს. მისი ფიქრები ცხადდება ირაკლი თოიძის გამოჩენით, გრიგოლ რობაქიძის ეპიზოდით, თვითმფრი-ნავის ბიჭების ისტორიით... ავტორი გულაბდილ დიალოგს მარ-თავს მკითხველთან.

კინოთეატრთან პერსონაჟებს შორის ასეთი დიალოგი იმართება:

„აფეშასთან ვდგავართ.

– შევიდეთ? – მეკითხება ნინცო.

– არ შემიძლია ამ შვედური სიტყვიანის ყურება. ვნახოთ, მეორე დარბაზში რა არის.

– ხვდები, რომ შტერდები?

– ვხვდები თუ არ ვხვდები – ეგ არაფერს ცვლის.

ამ სწობურ კინოს ვერ ვნახავ, რომ მომისაჯო.

მივდივართ მეორე დარბაზისკენ. „შესანიშნავი შვიდეული“ გადის.

– ძალიან კარგია!

– ნა-ნა-ნა-ნანა-ნანა – მღერის ნინცო და იცინის.

– რა გაცინებს?

– კალვერა გურგენა არშაკუნის გავს. არ შეგიმჩნევია? მართლა გავს. სალაროსთან სულ ოთხი კაცია. ვდგებით რიგში.

– ერთი საათი რა ვაკეთოთ? – ვეკითხები.

– ყავა დავლიოთ. რა უბედურებაა სეანსის ათ საათზე დაწყება.

– მეზარება ერთი საათი ცდა არშაკუნის სანახავად.

– არა უშავს.“

ლიტერატურის თეორეტიკოსი რევაზ ყარალაშვილის აზრით, მკითხველმა თავისი თავი თხრობის ნაკადს უნდა დაუქვემდებაროს. იგი უნდა შეეცადოს, სრულიად განზავდეს ნაწარმოებში და მხატვრული სინამდვილე ერთადერთ რეალობად მიიჩნიოს (ყარალაშვილი 1977: 121). ყარალაშვილი მკითხველის მიერ მხატვრული ტექსტის აღქმის რამდენიმე საფეხურს გამოყოფს. პირველ საფეხურს ნარმოადგენს მკითხველის გამოთიშვა რეალური სინამდვილიდან და მისი ცნობისმიერი გადართვა მხატვრულ სინამდვილეზე. ამ პროცესს ინგარდენი „სინამდვილის დავინუებას“ უწოდებს. კოტე ჯანდიერის შემოქმედებისთვის დამახასიათებელია ე. ნ. მხატვრული სინამდვილისთვის მკითხველის შემზადება. „მაყვლიანში“ მწერალი 1993 წლის ემიგრანტი ქართველის იასე ჭავჭანიძისადმი განდობილ უცნაურ ამბავს გვიყვება, რომელიც დიმიტრი ხომერიკის უცნობი ლათინური მანუსკრიპტის თარგმანით დამთავრდა. ნაწარმოები სწორედ ეს „თარგმანია“.

„საოჯახო ქრონიკაში“ მწერალი დიდ შესავალს უძღვნის ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ გადასცეს რვეული, რომლის დოკუმენტურობა ეჭქვეშ დგას და სწორედ ამის შემდეგ გადადის მთავარი ამბის თხრობაზე. ამ ტიპის შესავალი ჯანდიერს ეხმა-რება მკითხველი განაწყოს ამბის მისაღებად.

ამგვარი „სინამდვილის დავიწყება“ კინოთეატრში სიბნელით მიიღწევა, რადგან მხედველობით არხი სიბნელის გამო მხოლოდ ეკრანზე კონცენტრირებული. ცნობილია რომ პუშკინს დღე უჭირდა წერა და ამიტომ ღამე წერდა, სინათლის შუქით მხოლოდ ქალალდი იყო განათებული. „გონების ჩაბნელება“ ანუ სინამდვი-ლის დავიწყება და გონების გადართვა მხატვრული ნაწარმოების რეალობაზე მხატვრული სისტემის ორგანიზების პირველი ეტაპია.

მთავარი გმირი („დაპატიუჟება კინოში“) კინოსეანსის დროს კინოფილმის სინამდვილიდან ცნობიერებაში გაჩენილი შთაბეჭ-დილების მყისიერად გაღმოცემას ცდილობს. კინოფილმის მხატ-ვრული სინამდვილე მთავარ გმირში იწვევს შინაგან ემოციებს, ბრაზს, პროტესტს და შინაგან ანალიტიკურ მონოლოგს. კინოს მხატვრული სინამდვილე ხელს უწყობს სილრმისეული მხატვრული რეალობის გამოაშკარავებას.

კოტე ჯანდიერის გმირი ზრუნავს ნინცოზე, შედის დიალოგ-ში საკუთარ თავთან, ესაუბრება მას და ხშირად ეკამათება კიდეც. ავტორის მიერ მკითხველთან ურთიერთობის ეს ჩარჩო დამაჯერებელი ტონისა და ინტერაქტიული კონტაქტის აუცილე-ბელი პირობაა.

დინამიკა მხოლოდ დაძაბულ სიუჟეტში კი არ ვლინდება, არა-მედ ნაწარმოების სტილშიც, მის არქიტექტონიკასა და საერთოდ სამყაროს მოდელირების ხასიათშიც.

„მოულოდნელად ქრება სინათლე და უკუნეთში ისახება მექ-სიკური სოფელი, რომელსაც გურგენ არშაკუნის ბანდა უახლოვ-დება იქნება მართლა მოვკვდი და ჩემი სული უახლოვდება მყრა-ლი მდინარის მეორე ნაპირს? იქნებ, სულაც ეს დარბაზია მეორე ნაპირი, ხოლო ჩვენი ლაპარაკი – ქარონის უაზრო და გაუთავე-ბელი ბუტბუტია მხოლოდ? ეს კიდევ უფრო თვალში საცემია, რადგანაც ხსოვნაში ცოცხლობს ის დრო, როცა სიტყვებს ჯერ კიდევ გააჩნდათ აზრი, ქარებს სურნელი, ღვინოებს გემო, ხოლო

სხეულებს – მიზიდულობა; და უფრო მეტიც: მაშინ მე სავსებით შესაძლებელი მეგონა ჩვენი ერთობლივი ცხოვრება... ჩემი და ნინოსი“.

პოსმოდერნიზმის კანონის თანახმად, მოთხოვთაში სიუჟეტის ელემენტები ისეა აგებული, რომ ეს არის საბჭოთა პერიოდის ხელახლა წაკითხვა მისი დეკონსტრუქციის გზით. ამ დეკონსტრუქციის ერთ-ერთი მთავარი ხერხი ავტორისთვის კინოა.

კინო საბჭოთა პერიოდში თავის უცხოური ფილმებით დასავლეთან დამაკავშირებელი ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი ხიდი იყო. ძველად კინოს თავისი განსაკუთრებული ხიბლი ჰქონდა: კინოთეატრში რიტუალური სიარულის კულტურა, კინოშატალო, შეყვარებულების რიგი კინოდარბაზში – ეს ყველაფერი სოცი-ოკულტურული თავშეყრის ადგილი იყო. მწერალი შემთხვევით არ იყენებს სწორედ კინოს ეპიზოდს საბჭოთა საზოგადოებაზე თავისი აზრის დასაფიქსირებლად. ნაწარმოებსაც „დაპატიუება კინოში“ ჰქვია.

თბილისში კინოგმირები ხშირად მიბაძვის მაგალითები იყვნენ. იური ლოტმანი მიიჩნევდა, რომ კინოსემიოტიკის შესწავლის მთავარ ამოცანას კინოს ადამიანზე ზეგავლენის შესწავლა წარმოადგენს. ეს აისახა კიდეც ჯანდიერის სსენებულ ნაწარმოებში: „პედანტური გულმოდგინებით ისწორებდა თმის ყოველ ლერს და ტვინში ალაგებდა სათქმელს: „ნინცო, შეიძლება სენტიმენტალურად მოგეჩვენოს, მაგრამ პირველი ნახვიდანვე არა, არ ვარგა „რისი თქმა მინდა, ნინცო, შენ ეგ მშვენივრად იცი, მე არ დაგაჩქარებ, იფიქრე და გადაწყიოთე“. ეს უფრო დამაჯერებელია, ასე ლაპარაკობენ ამერიკულ კინოებში“.

ვესტერნის ჟანრის ამერიკული ფილმი, ჯონ სტერჯესის „შესანიშნავი შვიდეული“ (1960 წ.) წარმოადგენს აკირა კუროსავას მიერ 1954 წელს გადაღებული იაპონური ფილმის „შვიდი სამურაის“ ადაპტაციას. ეს კინოსურათი დიდი პოპულარობით სარგებლობდა თბილისში. კრისის (იულ ბრინჯერის გმირი) ჩაღუნული მუხლებით სიარული მოდაში იყო. ამ ფილმიდან ფრაზები, უესტები ადამიანების ყოველდღიურ ურთიერთობებზე ახდენდა გავლენას. ჯანდიერის მოთხოვბაშიც სწორედ ეს ფილმი ჩნდება: „ყაზბეგთან“ ხალხმრავლობაა. ძირითადად მეცხრე-მეათე კლასელები არიან.

– ესენი ჯერ დაბადებულები არ იყვნენ, ჩვენ რომ ვნახეთ „შვი-დეული“. წარმოგიდგენია? – მეუბნება ნინცო“.

ურნალისტი და ფილოლოგი თამაზ მიგრიაული იხსენებს: „ჩვენ დროს კარგ ტონად ითვლებოდა, თუ ფილმს ეკრანებზე გამოსვლისთანავე, პირველ კინოსეანსზე ნახავდი. მავანი ნანას ფილმს შემდეგ დანარჩენებს უყვებოდა, ვისაც ნახახი ჯერ არ ჰქონდა. მოსაყოლი ფილმებიდან ყველაზე პოპულარული „შესა-ნიშნავი შვიდეული“იყო. იმ დროს კრისის ჩაღუნული ფეხებით სიარული თითქმის პაროდიად იქცა ქალაქში. უამრავი ადამიანი ცდილობდა კრისის მანერები შეეთვისებინა და ამ პერსონაჟს დამსგავსებოდა.

თბილისის კინოთეატრების მაყურებელთა აუდიტორიას, ფილ-მის ყურების დროს გავრცელებული ფოლკლორული შეძახილე-ბის რეპერტუარი ჰქონდა, რაც მხოლოდ ფილმის კოლექტიური ყურებისთვისაა დამახასიათებელი. მაგალითად, ფირი თუ გაწყ-დებოდა დარბაზში, რომელიმე მაყურებელი კინომექანიკოსის მისამართით აუცილებლად შესძახებდა: „საპოზნიკ!“ ან „მეხაშე!“ ფილმის ყურების დროსაც, ყველაზე დაუდევარი მაყურებელიც კი, იოლად შეამჩნევდა ე. წ. „გულაბკით“ გადაბმულ კადრებს. თუ ფილმში ხანგრძლივი კოცნის სცენა იყო, ვინმე აუცილებლად ნა-მოიძახებდა ხოლმე: „ცორი“, რაც მომდინარეობდა სიგარეტის და-სახელებიდან, ამ სიტყვას ამბობდნენ სიგარეტის თხოვნის დრო-საც: დამიტოვე ცორი-ი“.

კოტე ჯანდიერის მოთხოვნაში: „დაპატიჟება კინოში“ ფილმის (შესანიშნავი შვიდეული) შინაარსიდან შემოტანილი ელემენტები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მოთხოვნაში აზრობრივ-კომპო-ზიციური სტრუქტურის კვანძებად იქცევა. ფილმი ვიზუალური ნაწარმოებია, მაგრამ ჯანდიერის ნაწარმოებში ტექსტუალური სახით გხვდება, თუმცა აქ არ გვაქვს ფილმიდან ციტატები. ისი-ნი მაინც ტექსტის დონორ რესურსად გვევლინება და მხოლოდ იმპლიციტურად („დაუსწრებლად“) არსებობს: „ეკრანზე პატარა ამერიკული „ქალაქი“ მოჩანს. ტეხასში ჩამოსული მექსიკელი გლეხები პირდაპჩენილი შესცერიან ამერიკელ ბიჭებს, სასაფლა-ოდან მობრუნებულ კატაფალკას ინდიელის ცხედრით და „Salun“-ის წინ მდგარ მდიდარ კომივოიაჟერებს. უეცრად ყველაფერი

წყვდიადში იძირება. დარბაზში წამით სიჩუმე ისადგურებს, მერე იწყება სტვენა.

– შუქი ჩაქრა, – ამბობს ნინცო.

– ეგრეც ვიცოდი“.

ნაწარმოებში ვიზუალიდან გამოწვეული რეფლექსია არალიტე-რატურული ინტერტექსტით არის განპირობებული და ავტორის ძირითადი დისკურსი ხდება.

კინოსეანსი მოთხოვბაში ვიზუალური ხელოვნების ნაწარმო-ებთან დაკავშირებული ფაქტია, რომელსაც გმირის წარმოსახ-ვისა და მიმდინარე მოვლენების აღქმისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ინტერტექსტი კონკრეტული კინოფილმის ფონზე არამხოლოდ ავტორის განცდების გაშლას ემსახურება, არამედ თხზულების აღქმის პროცესში ვიზუალური ხატის სახი-თაც მონაწილეობს. მკითხველის შემეცნება სწორედ ფილმის ჩართულობით მიმდინარეობს.

ავტორი ოპერირებს საბჭოთა ეპოქის დამახასიათებელი კულ-ტურული კოდით. საბჭოთა სამყაროს მხატვრულად მოდელირე-ბული სურათი ინტერტექსტუალობას იძენს მხატვრული ფილმის შინაარსობრივი ფრაგმენტების შემოდინებით.

ჯანდიერის ამ და სხვა ნაწარმოებებშიც უხვად გვხვდება ლი-ტერატურული ინტერტექსტუალური ჩანართებიც, მაგრამ ისინი ვიზუალურ ნაწარმოებს ალარ უკავშირდება.

არალიტერატურული ინტერტექსტი იმითაა საინტერესო, რომ ვიზუალისგან გამოწვეული რეფლექსია ავტორის ძირითადი დის-კურსი ხდება.

გაღარებით და მინაწერის „უხილავი“ აქვს მინაწერი – „აივაზოვსკის სურათის წინ“ და ლექსის კითხვისას ბუნებრივად ფიქრობ, რომ პოეტმა ნაწარმოები სწორედ ამ ვიზუალური ხელოვნების ხილ-ვისას მიღებული შთაბეჭდილების შედეგად დაწერა. რაღაც მსგავსი ხდება ჯანდიერის მოთხოვბაში, სადაც ნახსენები ფილ-მი და ფილმის მსვლელობისას განვითარებული მოვლენები ურ-თიერთგანპირობებულია და ბუნებრივად გიბიძგებს ამ ფილმის სამყაროსაკენ. მიმდინარე მოვლენებზე გმირის ემოციები, ფიქ-რები, რემინისცენციები და კომენტარები ცოცხლდება ყველაზე

საკულტო და საბჭოთა პერიოდში ძალიან პოპულარული საეტაპო, უცხოური ფილმის ჩვენებისას.

კინოსეანსი მოთხოვბაში ვიზუალური ხელოვნების ნაწარმო-ებთან დაკავშირებული ფაქტია:

„დარბაზში შუქი ინთება, ისევ ქრება და ეკრანზე კვლავ ტეხა-სია, მთვრალი კომივოიაჟერი გაოგნებული ეუბნება ვიღაცას:

— განა საკმარისი არ არის, იყო გვამი იმისათვის, რომ სასაფ-ლაოზე წაგიღონ?

ეს დასავლეთია, ნინცო, ველური დასავლეთი, მაგრამ ამ ვე-ლურ დასავლეთში არსებობენ ბიჭები, რომლებიც მიწას მიაბარე-ბენ ვიღაცისათვის არასასურველი კაცების გვამს. ჩვენ ჯუნგლებ-ში კი მხოლოდ მხდალი ცხოველები ბინადრობენ და ჩვენი მიწა სავსეა ძვლებით, რომელსაც ამაოდ ელიან სასაფლაოები და სა-ოჯახო სამარხები. კამერის ცივ კედელს მიყრდნობილი, ცემისაგან გაბრუებული მთელი სიცხადით ვხედავდი ტყვიით დაცხრილული თვითმფრინავის ჩონჩხს და ასე ვფიქრობდი: „გავა წლები და მე ამის შესახებ დავწერ წიგნს, რომელსაც ლოპე დე ვეგას სიტყვე-ბით დავიწყებ, სახელად კი „სისხლიან ქორწილს“ დავარქმევ. ეს იქნება წიგნი, სავსე ტკივილით, ხმაურითა და მწარე მონანიებით ჩვენი ულმერთოდ ჩავლილი, ჭეშმარიტ მცნებებს მოკვეთილი ცხოვრების გამო; ის იქნება სავსე ყვირილითა და უცენზურო გამოთქმებით, რომელთაც ვერავითარი ცენზორი და რედაქტორი ვერ ამოშლის, ხოლო იმისათვის, რომ ვინმემ არ მითხრას „რა დაგემართათ, ეს რა სტილია? თქვენ პოზიორობთ და უხამსობით იწონებთ თავსო“, მე წინ დავურთავ ასეთ შესავალს: „ძვირფასო მკითხველო! შენ შეიძლება შეურაცყოფილი დარჩე ამ წიგნის პირველივე წინადადებით, მაგრამ მე სხვანაირად არ შემეძლო. რომ იცოდე, როგორ მომბეზრდა ინტელექტუალური ფარსის თამაში იდიოტური სიფათების წინ! როგორ მომბეზრდა ეს უსასრულო რევერანსები და ეტიკეტი, რომელიც მხოლოდ სიმართლის დასა-მალავადა მოგონილი. მე აღარ ვეძებ ნატიფ ფრაზებს ჭუჭყანი შინაარსის გადმოსაცემად, რაღვან წერა ჩემთვის ჩვეულებრივი ცხოვრებაა, ცოხვრებაში კი ფეხსადგილის სუნი უდის და არა „მავინუარისა“. ღმერთმა შემინდოს, თუ სულმოკლეობის გამო აქამდე ამას ვერ ვახერხებდი. შენ კი, ძვირფასო, თუ გაბრაზდები,

შეგიძლია, ჩემი წიგნი სანავეზე გადააგდო, ანდა წაილო გამო-სახოცად იქ, სადაც მეფენიც თავისი ფეხით დადიან. მე ეს არ მეწყინება. გკოცნი, მიყვარხარ. ავტორი“.

ტექსტში კინოფილმის აქტივაცია სემიოტიკური პლასტია. ავ-ტორისეულ თხრობაში ექცევა იკონური თხრობის კინოფილმი, რომელიც ტექსტუალურ სამოსში ეხვევა. ფილმში ავტორის მი-ერ შერჩეულ ეპიზოდებს მწერლის ენით ვეცნობით და არა კი-ნოციტატებით. ეკრანულ ხატებსა და ტექსტში მიმდინარე მოვ-ლენებს შორის ჩნდება სემიოტიკური მიმართება და ტექსტში არსებული კინოენის ეს ვიზუალური ხატები გარკვეული მნიშ-ვნელობებით იტვირთება.

როგორც საბჭოთა კინოთეატრებისათვის იყო დამახსიათე-ბელი, ფილმის ჩვენება სხვადასხვა მიზეზით შეიძლება შეწყვე-ტილიყო. „— მაპატიეთ, თქვენი ჭირიმე, ბებია ვარ, უნდა გამიგოთ! — იმეორებდა ქალი, სანამ დარბაზში შუქი არ ჩაქრა და ეკრანზე მექსიკური სოფელი არ გამოჩნდა.

— რა ხდება? — ამბობს ნინცო.

— არაფერი განსაკუთრებული: ერს ისეთი ანმყო აქვს, რო-გორსაც თვითონ იმსახურებს!

ეკრანზე საშინელი ხოცვა-ულეტაა.

— აღარ შემიძლია, ყველაფერი ყელში ამოვიდა! — მოულოდ-ნელად აცხადებს ნინცო. ფილმს აღარ ვუყურებ. ნინცოს ხელები აქვს აფარებული სახეზე. ტირის? იმედი მაქვს, რომ არა. ხელებს ძალით ვაშვებინებ დაბლა. თვალის კუთხებში ცრემლი უბრნყი-ნავს, ერთი პატარა ცრემლი, სხვა არაფერი.

— რა მოგივიდა?

— არაფერი.

— მაინც?

— წამო, წავიდეთ.

— წამო.

ვდგებით. რეიგანის ტყვიით განგმირული ბრიტი ვერ ასწრებს დანის სროლას. გარეთ გავდივართ. ცარიელ მოსაცდელში ყვა-ვილებით მორთული ყაზბეგის თეთრი ბიუსტი გვხვდება“.

ამ ეპიზოდით მთავრდება კინოსეანსის ეპიზოდი მოთხრობაში.

კინო ქართულ პროზაში მეოცე საუკუნის ოციანი წლების პერიოდში, მოდერნისტული ტენდენციების ნაწარმოებებშიც გვხვდება. შემდეგი პერიოდიდან ის სხვადასხვა მწერლის მიერ კონკრეტული მხატვრული ამოცანის გადასაწყვეტად გამოიყენება. სწორედ ეს რამდენიმე ხერხი გამოვყავით სცენარისტისა და მწერლის კოტე ჯანდიერის პროზაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

გელაშვილი 2015: გელაშვილი ლ. კინოთეატრების მატიანე. სპეცპროექტი. ჟურნალი Filmprint, №16, ზაფხული. 2015.

გელაშვილი 2018: გელაშვილი ლ. ფოტოგრაფიულ-ბინოკულარული ნარატივი ქართულ მოდერნისტულ ტექსტებში (დისერტაცია). თბილისი: 2018.

ინგარდენი 2011: ინგარდენი რ. „კონკრეტიზაცია და რეკონსტრუქცია“. გერმანულიდან თარგმნა ლევან ბრეგაძემ. სჯანი, 12. 2011.

ყარალაშვილი 1977: ყარალაშვილი რ. ნიგნი და მკითხველი [რეცეპციული ეს-თეტიკის საკითხები]. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1977.

ჯანდიერი 2009: ჯანდიერი კ. „კონკიას ღამე“. მოთხრობები. თბილისი: 2009.

ჯანდიერი 2010: ჯანდიერი კ. „გლობალიზაცია“. მოთხრობები. თბილისი: 2010.

ქულტურა

ლელა იაკობიშვილი-ფირალიშვილი

„სიყვარული საჭიროა, ის სიკვდილსა მიგვაახლებს“

დიდი სირთულეები დიდ შინაგან მეტამორფოზას იწვევს. ეს, თითქოს ერთი შეხედვით, უთვალავ ადგილას ამოკითხული ბანალობა ყოველ ჯერზე ხელახლა, დრამატულად, ხშირად ტრაგიკულადაც მიგვაახლოვებს ხოლმე ყოფიერების საიდუმლოსთან. დიდი სირთულისას, ბედისნერის ულმობელი დარტყმისას, თითქმის უუცხოვდები გარემოს და საკუთარი თავის წაკითხვას ცდილობ. თითქოს ის აურზაური, რომელიც შენ გარშემოა, მომენტალურად კარგავს ხმაურის ძალასაც და სიჭრელესაც და საკუთარი სულის ძახილს უბრუნდები, რომელმაც იქ მოგისწრო, სადაც არ ელიდი. მუდმივად გაურბოდი, ფიქრადაც არ უშვებდი, ერიდებოდი საკუთარ თავთან, საკუთარი არსებობის საიდუმლოსთან შეხვედრას....

იქამდე კი ყველაფერი სოციალურად უნდა დადასტურებულიყო, ექსტენსიურად. ფსევდომოროზებში ცდილობდი საკუთარი თავის დანახვასაც და წაკითხვასაც. სოციალური დეტერმინანტა გაიძულებდა, მზერა მხოლოდ გარეთ მიგეპყრო და შენი როლით მორგებოდი სოციალურ ლანდშაფტს. სწორედ გარედან, სოციალურიდან მიღებულმა დარტყმამ შეგვაჩერა, მონადად გვაცია და საკუთარ თავს მიყურადებული ჩენენს თითქმის ატროფირებულ ნებასა და რწმენას გადაგვყარა. გადაგვყარა რწმენის უმნიშვნელოვანეს სიცხადეს, რომ ნამდვილად ვარ, ნამდვილად და მხოლოდ იმიტომ ვარ ნამდვლად, რომ მაქვს ნება, რომ ვიყო, მაქვს ნება და ვარ. ჩემი ჯადოსნური არსებობის, ან ჩემი არსებობის ჯადოსნობის მთავარი აქტორი ვარ დაად ღვთაებრივ კომედიაში. მხოლოდ ეს ორი – ჩემი არსებობის რწმენა და არსებობის ნება არის ჩემი არსებობა. სხვა არც არაფერი.

ახლა ჩვენ არარას წინაშე ხელახლა ვდგავართ. „სოციალური დისტანცირება“ ჩვენი არსების რეალური რეჟიმი გახდა. არა ფიზიკური, არამედ, სწორედ, სოციალური... ჩემი სოციალური, ერთ-ერთი იმ უმნიშვნელოვანესი პარამეტრთაგანი იყო, რომელ-შიც ვახორციელებდი თავს. რომელშიც ვცხოვრობდი, ერთი მხრივ, როგორც სეკულარული (პროფანული) სოციალიზებული „მონადა“ (მერე რა, რომ პარადოქსია!) და, მეორე მხრივ, როგორც ღვთაებრივი, რელიგიური მრევლის (მთელი დედამიწის ეკლესიისა და ასევე „ჩვენი“ ეკლესიის) ნევრი. ამ ორ არსებობაში მონაწილეობით „მტერთანაც“ კი „ხელჩაკიდებული“ დავდიოდი და ერთიანი არსებობის მონაწილე ვიყავი. ეს ორივე რეჟიმი პრაქტიკულად მოშლილია, პრაქტიკულად გაუცხოვებული ვარ სოციალურ სივრცესთანაც და „ჩემს“ რელიგიურ მრევლთანაც.

ჩვენ **უცხოს** გადავეყარეთ. სანამ „**უცხო**“ **უცხოა** და არ გახდება „სხვა“, იქამდე სიკვდილის ფანტომის, არსებული არარსებულის, არარას წინაშე გინევს ძრნოლა. კასტანედასი არ იყოს, მარცხენა ხელის ერთ განვდენაზე, ჩვენი ჩრდილივით დაგვდევს სიკვდილი. დიახ, მუდმივად დაგვდევს, როგორც **უცხო**, ოღონდ მის ტოტალურ არსებობას მხოლოდ მაშინ ვუსწორებთ თვალს, როცა მთელი დედამიწის ეკლესიისათვის, დიდი დედამიწის მთელი მრევლისათვის, მთელი ადამიანური ყოფიერებისათვის ერთდროულად თვალსაჩინოვდება და ერთბაშად, მყისიერად მრავლდება მისი ცელი.

ვინ არის **უცხო**, რა უნდა... საიდან მოდის, საიდან ჩნდება... რისთვის მოდის... უნდა რამე ჩვენგან თუ არა... თუ არაფერი უნდა, მაშინ ჩემთან რა უნდა...

რა ბზარს აჩენს ისეთს, შემდეგ მხოლოდ ამ ბზარის უფსკრულში რომ გინდა ჩახედვა, მხოლოდ შიშის ზარის ხმას რომ აცოცხლებს..

უცხო სიკვდილია. **უცხო** ის არის, რომელსაც ჩვენი სიცოცხლიდან არაფერი სცხია. **უცხო** არ არის სხვა. სხვა ნაცნობია, ჩვენიანია, შესაძლოა მტერიც, მაგრამ „ჩვენიანი“, ნაცნობი მტერი.

სხვა არ არის გაუგებარი, **სხვა** ჩემივე სიცოცხლის, ჩემივე დრო-სივრცის, ჩემივე არსებისა და არსებობის სხვა ბინადარია. მისი სახელდებაც შემიძლია. მას სახელსაც ვარქმევ ჩემით და ჩემთვის.

უცხო „უცხო არსის“ „საბინადროს“ „მკვიდრია“, დიას მკვიდრი. ჩვენ მასთან სიკვდილი გვიდევს ზღვრად. სიკვდილი, რომელიც არ არის სიცოცხლე. **უცხოსთან** გაკარება გვიტოვებს გაყინულ სისხლს, გვამს, არარასადმი მიმართულ, შიშით გაქვავებულ მზერას. ის ფანტომივით ჩნდება და მერე აღარ არის, მასთან ერთად არ არის ის, ვისაც ის გაეკარება და მერე რჩება ერთი დიდი ჯადოქრობა – „იყო და არა იყო რა“.

ალბათ, ცოტა უცნაურია, რომ დღეს ჩვენი, საქართველოს კულტურა პირველ ეტაპზე მაინც აღმოჩნდა შედარებით რეზისტრეტნტული იმ საშიშროების მიმართ, რომელმაც დედამიწა სრულად მოიცვა. კულტურის რა სიმყარეებმა, რა ბაზისურმა საზრისებმა განსაზღვრა ეს.

ვინ არის **უცხო** ჩემს კულტურაში, მომიხელთებია კი ოდესმე ის?! ვინ არის **უცხო „ვეფხისტყაოსანში“**...

გაგახსენებთ, როგორი ჰარმონიული სივრცეა არაბეთის სახელმწიფო იქამდე, სანამ მის სივრცეში **უცხო** შემოიჭრება, **უცხო**, რომელიც ტირის, რომელიც დუმს, რომელიც სრულიად უგრძნობია მთელი გარეგანი სამყაროს მიმართ. როდის გადაეყრება **უცხო** მოყმე როსტევანსა და მის ამაღას? როდის და – ლალობისას, ლხინისას, როცა თითქოს როსტევანის მეფობის ციკლი მადლიინად დასრულდა, როდესაც სამყაროს სრული ჰარმონიით შეგრძნებით გადასცემს მეფე ძალაუფლების კვერთხს ქალს, თავის ასულს. მეფე როსტევანი თორმეტი სათნოებითაა ძალმოსილი:

„მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარმრავალი, ყმიანი, მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი, თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი.“ – აი, ასეთია ძალაუფლების მფლობელი, რომლის სამეფოც ისევ იმ სანდო ხელშია, იმის ხელშია, ვინც „იცის მეფობა“.

აი, ასეთ ვითარებაში, თითქოს სისავსით გაჯერებულ სივრცე-ში, სწორედ რომ, ლალობისას, უდარდელობისას შემოიჭრება უცხო და არაბეთის სამეფოში უცნაური შფოთი შეაქვს. ირაციონალური ბედისწერით დაატარებს მას მარგალიტასხმული შავი ცხენი. და მისი სამოსიც მზისა და წყვდიადის მონაცვლეობის რიტმით მეტყველებს:

მას ტანსა კაბა ემოსა, გარე თმა ვეფხის ტყავისა,
ვეფხის ტყვისა ქუდივე, იყო სარქმელი თავსა.

თავად კი გულმდუღარეა. არავისა და არაფრის მიმართ არ აქვს ინტენცია. „სხვაგან ჰქრის მისი გონება, მისმან თავისა წონამან“ („გონება არს სიტყვიერი, მხედველობითი, საცნაურისა და უკვდავისა სულისა“, – სულხან-საბა ორბელიანი). **უცხო** უხმოა, უკონტაქტო, ბგერის საზღვარს იქით... აი, სხვები არ არიან გულგრილი მის მიმართ (და ეს თემა მთელ „ვეფხისტყაოსანში“ თვალნათლივ იკითხება). ვერც როსტევანი რჩება გულგრილი. მონაც, რომელსაც პირველად აგზავნის როსტევანი, „დიდხანს უჭრეტს გაკვირვებით“ და მეფესაც მოახსენებს: „შემიტყვია, იმას თქვენი არა უნდა... შემდეგ კი სისხლი და სიკდილი დაუტოვა მეფის ლაშქარს, „ყოვლინი მკვდართა დაასახნა“ და „რა ცნა, მეფე მოვიდაო“, „მასვე წამსა დაიკარგა“, „ეძებნეს და ვერ ჰპოვებდეს, კვალსა მისგან წანარბენსა“. „კვალი ძებნეს და უკვირდათ ვერ-პოვნა ნაკვალევისა“. სწორედ, ეს გახდა მიზეზი მეფე როსტევანის გაურკვევლობისა. იგი „ახალ“, უცნობ, არა-საცნაურ არსებას გადაჰყარა ბედისწერამ. **უცხო** გამოცხადებას ჰგავდა, მისი „სადაურობაც“ **უცხო** „გზავნილი“ იყო: „ჰგავდა ქვესენელს ჩაძრომილსა, ანუ ზეცად ანაფრენსა“ და „ვითა ეშმა დაიკარგა“.

დაანგრია მეფე ამ ჩვენებამ. დიახ, თორმეტი სათნოებით, „სახითა მის მიერითა“ არსებობით სავსე მეფეს სრული არსებით იპყრობს გაურკვევლობა. ეს „გამოცხადება“ ლამის საბედისწერო ხდება როსტევანისთვის. იგი **უცხო** მოყმესავით უუცხოვდება საკუთარ სივრცეს, საკუთარ გარემოს, თავის თავში იკეტება: „ყოვლისან პირმან ვაგლახ მიყოს, ვეღარავინ მინეტარნეს, სადამდისა

დღენი მესხნენ, ველარავინ გამახარნეს“ – ასეთია მეფის, „მეფეთა ზედა მფლობელის“, განწყობა. (თანამედროვე მედიცინა ადამიანის ამ მდგომარეობას დეპრესიის ცნებით აღწერს).

გასაოცარი და საკვირველია ის, რომ მეფე როსტევანისთვის გაწეული სამსახურის შემდეგ, როცა „კაცნი წავიდეს, იარეს, მართ ერთი წელიწადია“ და უპასუხოდ დაბრუნდნენ, **უცხო** ხდება თვით თინათინის, „ვისგან მზე საწუნარია“, შფოთის საფუძველი. როსტევანის „განკურნებამ“ ხილვისაგან თინათინი დაავადა. **უცხოს** „ვირუსი“ გადამდები ამოჩნდა. ახალმა მეფემ საკუთარ მიჯნურს, ავთანდილს უხმი.

ერთი შეხედვით, თითქოს სრულიად მოკლებულია ლოგიკას ის, რომ, მას შემდეგ, რაც როსტევანმა უცხო მოყმეზე დარდი გადაიყარა და „სიხარულით თამაშობა ადიადა“, თინათინი ინყებს „უცხოს“ მოძებნას სრულიად „არარაციონალური“ გადაწყვეტილებით: ერთი მხრივ, მისი სახელმწიფოს სპასპეტისგან, ყველაზე მაღალი სამხედრო პირისაგან, როგორც ხელქვეითისგან, მოითხოვს უცხო მოყმის მოძებნას, რითაც სახელმწიფოს უსაფრთხოებას აყენებს ეჭვეჭვეშ სამი წლის განმავლობაში და, მეორე მხრივ, სატრაფოს, მიჯნურს უშვებს სამეფოდან. ორივე შემთხვევას მის, უკვე მეფისა და სატრაფოს, სამსახურად მიიჩნევს. ვფიქრობ, პოემისათვის თინათინისა და ავთანდილის შეხვედრა ის საკვანძო ადგილია, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ მთელი ტექსტი გაპყავს „ამბის“ ჩვეული თხრობის სივრციდან.

ეს, ალბათ, ვერ იქნებოდა მამაკაცი-მეფის გადაწყვეტილება, ვერც სახელმწიფოს სარდლის გარეშე დატოვებისთვის „გაიმეტებდა“ რაციოს ღერძს მორგებული მამაკაცი მეფე და ვერც თავის მიჯნურს. სწორედ აქ შემოდის **უცხო** ყოფაში, ქალური მეუფების სიბრძნეს მოუცავს ქალი-მეფე. რაღაც მეტს ხედავს ავთანდილის გამგზავრებაში, ვიდრე არაბეთის უსაფრთხოება და სახელმწიფოს სტაბილობაა და მისი, როგორც ქალის, გარანტიაა, სატრაფოსთან ერთად ყოფნის სიამოვნებაა. ორივეს თმობს ქალი მეფე, ორივეს თმობს შეუცნობლის შესაცნობად. მისთვის მხოლოდ ეს გახლავთ „გარანტია“ არაბული სამყაროს „გან-ვითარებ-

ისა“, მისი და მისი მიჯნურის სიყვარულის გამო-ცდ-ისა. ისეთივე ვნებითაა შებყრობილი **უცხოსთან** „გადაყრისა“, როგორც ცოტა სნის წინ მისი მამა – მეფე როსტევანი იყო.

მოგეხსენებათ, მეორე ასეთივე საკვანძო ადგილი პოემაში ავთანდილისა და ტარიელის შეხვედრაა. ერთი მხრივ, ყველაზე პროზაული და, მეორე მხრივ, ყველაზე დრამატული. ერთადერთი გასაღები, – „პაროლი“ – სიტყვა „სიყვარული“ აღმოჩნდება.

მხოლოდ სიყვარულს გადაყრილი გაუდგა ავთანდილი, მართლაც, სახიფათო გზას. მისთვის **უცხოს** ძებნა თინათინის, როგორც მეფის და როგორც მიჯნურის, სამსახურია. ის არ გახლავთ თინათინივით **უცხოს** ნახვის ვნებით შებყრობილი. ნათელი სულითა და გონიერებით სავსე ავთანდილი ჯერ არ დაავადებულა **უცხოთი**, ჭეშმარიტად არ გადაჰყრია **უცხოს**, ჯერ არ შეუძრავს მისი სული ისეთივე დრამატულობით სავსე შფოთვას, როგორც მეფე როსტევანი და მეფე თინათინი. აი, **შე-ხვედრ-ა** ტარიელთან კი თურმე უქადდა ამას:

ამან დღემან დამავიწყა, გული ჩემი ვინ დაბინდა,
დამიგდა სამსახური, იგი იქმნას, რაცა გინდა,
იაგუნდი ეგრეცა სჯობს, ათასჯერცა მინა მინდა,
შენ გეახლო სიკვდილამდე, ამის მეტი არა მინდა.

აი, **უცხოსთან** გადაყრილი ავთანდილის აღსარება. აი, მეტამორფოზა, რომელიც სრულიად უცვლის ღირებულებებს, რომელიც ავიწყებს სატრფოს, ვის გამოც ამდენი ტანჯვა-ვაება გადაიტანა, ავიწყებს სამსახურს მეფისა და სამშობლოსადმი (ის უდიდესი ქვეყნის სპასპეტია) და მხოლოდ „შენ გეახლოო“, – ათქმევინებს.

სიტყვამ „სიყვარული“ საიდუმლო გასაღების ფუნქცია შეასრულა. ტარიელი „ალაპარაკდა“ და გახადა მოყვასი, „მოყვარე მოყვრისათვის“, „სხვა“, რომლისთვისაც სულის ძახილია მოყვრისათვის „თავი ჭირსა არ დამრიდად“.

კიდევ არაერთ „შე-ხვედრ-აზე არის შესაძლებელი საუბარი „ვეფხისტყასანში“. მაგრამ ეს, ყველაზე დრამატული, ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრა, ახალ ამბავს იწყებს, ახალ თავ-გადა-სავალს, რომელიც სხვა საუბრის თემაა.

აი, ამ სიცხადეში დაბადებული „საიდუმლო“ მიუყვება პოემას. აი ეს სიცხადეებია, რაც ქართულმა კულტურამ გადახარშა და ლირებულებით საზრისებად მოიაზრა. ეს გახლავთ ის ნათელი, რომლის სხივი მოუყვება ქართველთა თავგადასავალს, რომელმაც შოთას კვალობაზე დიდი ხანია იცის, რომ „სიყვარული საჭიროა, ის სიკვდილსა მიგვაახლებს“, რომ სიკვდილის ყველაზე თავზარდამცემი უცხოს – არარას გზას მხოლოდ სიყვარულის უმძაფრესი ველი ქმნის.

ზაზა ფირალიშვილი

რამდენიმე ჩანაწერი ქართველი მხატვრების შესახებ

ნინათქმა

მთავარი ისტორიული წერტილი, რომელზე დაყრდნობითაც უნდა შევეცადოთ ჩვენი დღევანდელი სულიერების გაგებას, ალბათ, 1453 წელია – კონსტანტინოპოლის დაცემის წელი. ამ წელს ისტორიულმა ბედმა ევროპის ქრისტიანულ სამყაროს მოგვწყვიტა. ჩვენ ამოვარდით კოორდინატთა იმ სისტემიდან, რომელშიც ათი საუკუნე ვარსებობდით. გეოპოლიტიკურ და გეოკულტურულ ჩიხში აღმოჩენილები საუკუნეების განმავლობაში თითქმის შეუძლებელი ამოცანის წინაშე ვიყავით: ხელახლა უნდა მოგვეპოვებინა იმ სიცხადეებისა და პირობითობების სისტემა, რომლითაც ჩვენი სულიერების ტანის – ჩვენი სახელმწიფოს ხელახლა აგებას შევძლებდით, მაგრამ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ჩიხი ჩვენი საბედისწერო განაჩენი აღმოჩნდა.

წარუმატებელი არსებობა ადამიანსაც და საზოგადოებასაც თავისი ძირებისაკენ, თითქოსდა ემბრიონულ მდგომარეობასთან მიბრუნების სწრაფვას აღუძრავს. თითქოს ხელახლა ცდილობენ არსებობის დაწყებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ: რაც უფრო ნაკლებად გრძნობს თავს კომფორტულად ესა თუ ის სულიერება თანადროულ სამყაროში, მით მეტად ახასიათებს მას ეთნოგრაფიულობის აღნარმოებისაკენ სწრაფვა, რაც ხშირად ეთნო-თეატრალური ბუფონიადის ხასიათს იძენს. ეს კი შეიძლება აღმოჩნდეს მასე, რომლის სხვა სახელიც ისტორიის წინაშე კაპიტულაციაა.

თუმცა, არსებობს „სხვაგვარი ეთნოგრაფიულობაც.“ ეს ის შემთხვევაა, როდესაც საკუთარი არქეტიპული ხატებებისაკენ

მიბრუნება ერთგვარი მცდელობაა, განახლებულმა ხელახლა წამოიწყო ყველა ფაზა დაბადებიდან დღევანდელობამდე და ისე შეხედო მომავალს. გარეგნულად როგორც არ უნდა ჰგავდეს ამ ორი ტიპის ეთნოგრაფიულობა ერთმანეთს, აშკარაა, რომ მეორე განსხვავებულია პირველისაგან თუნდაც იმით, რომ მას სიცოცხლის წყურეული ამოძრავებს და არა კაპიტულაციისა და კვდომის სტიქიის მინებების ფარული ნება. ქართულ სულიერებაში ორივე მოინიშნება. პირველი ისაა, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის საყრდენსა და იმედს რომ წარმოადგენს, ხოლო მეორე ის, რომელიც ადასტურებს, რომ ჩვენ ვართ, ვარსებობთ და რომ ჯერაც გვაქვს არსებობისათვის აუცილებელი ისტორიული ძალები.

აქვე უნდა ითქვას, რომ წინამდებარე ტექსტი არ წარმოადგენს ხელოვნებათმცოდნეობით ანალიზს. ის უფრო წარმოადგენს პარალელურ ტექსტს, რომელიც ამ მხატვართა ნამუშევრების რეზონანსმა შეა.

ჩვენი კონტექსტი

ფრიდრიხ ვილჰელმ იოზეფ შელინგს გავიხსენებთ და ვიტყვით, რომ კულტურა, როგორც სუბიექტი, უშუალოდ სწორედ ხელოვნების მეშვეობით გამოთქვამს თავს. თუ მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის ქართულ მხატვრობას თვალს გადავავლებთ, ვფიქრობთ, ძნელი არ იქნება კულტურის ამგვარი მეტყველების ნიშნები დავინახოთ. ეს განსაკუთრებით 80-იანი წლებისა და შემდგომ მხატვრობაზე ითქმის, როდესაც ინგრეოდა ერთი ისტორიული კონტექსტი და მეორე იკავებდა მის ადგილს.

ტყუპისცალები – საბჭოთა სისტემის იდეალებით შენიდბული ულმობელი სისასტიკე თუ გლობალური სამყაროს ყოვლისმომცველი ეგალიტარიზმი ერთი მეტაფიზიკური ნიშნით ერთიანდებიან: ორივენი ყოველგვარი ერთეულოვანისა და განუმეორებლის წინააღმდეგ არიან მიმართულები. ორივე ადამიანური სულის ყველაზე საკრალური წიაღის დაუფლებას და საერთო უნივერსალურ მნიშვნელზე დაყვანას ცდილობენ. სინგულარობათა წინააღმდეგ მიმართული ეს ეპოქალური რეპრესიული ვნებათაღელვა,

თავის მხრივ, კიდევ უფრო აძლიერებს მეტაფიზიკურის გამო სევ-დას, ჰერმან ჰესესეული დილის ქვეყნისაკენ სვლის წყურვილს. თუკი უკვდავი სულის მატარებელ ადამიანს რამე ძალუძს, ესაა დილის ქვეყნისკენ მიბრუნება და მის კარიბჭესთან თავისი სხვა იდუმალი მოკავშირებთან შეხვედრაა, იმ „ადგილთა“ მოხელვაა, სადაც განსხვავება იყარგება უსაზღვროდ საკუთრივსა და ასე-ვე უსაზღვროდ უნივერსალურს შორის. ესაა მათი, როგორც „უძალოთა“ ძალა, მათი კეთილმოძალეობა, რომლითაც ისინი საკუთარ თავს ისტორიული სტიქიებს კარნავალში განათავსებენ და დიდი ხნის წინ ქართულმა ხატვრობამ, უფრო კი ქართულმა სულიერებამ მხატვრობის მეშვეობით ამ კეთილმოძალეობის დიდი მედროშე, ნიკო ფიროსმანი შვა. ამ უკანასკნელმა შემდგომი თაობებისათვის, განსაკუთრებით იმათვის, ვინც მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულებში გამოვიდა ასპარეზზე შექმნა თაური პრეცენდენტი იმისა, თუ როგორც შეიძლება განზე გადგე საერთო მნიშვნელზე დამყვანი ისტორიული სტიქიებისაგან, როგორ შეიძლება საგნები და მოვლენები გაათავისუფლო ეპოქალურ სახელდებათა ძალმომრეობისაგან და საწყისების სადა უშუალობას მიუბრუნდე. ამით მან მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის ქართულ მხატვრობას ძალზე მნიშვნელოვანი იმპულსი მისცა. ასე გაჩნდა ჩვენს სულიერებას თვითგამოთქმის ის ჰითრიზონტი, რომელშიც ჩვენ ყველანი ვიმყოფებით – ის ადამიანებიც კი, ვინც თითქოს მთლიანად მინებდა საბჭოთა ეპოქისა თუ გლობალური სამყაროს იმპერატივებს. ისინი ჩნდებიან იქ, სადაც არ ელი და არასოდეს არიან იქ სადაც გეგულება. ეს მოუხელთებლობაა მათი ძალაც და გადარჩენის გზაც და, რაც მთავარია, ჩვენს სულიერებასაც არსებობის „ადგილი“ ეძლევა.

ესაა მცდელობა, საკუთარი სულის ემბრიონს მიაგნო, სულის იმ „ყუდროს“ (ზამთარში მზით განათებულ ადგილს) როგორც თავისუფალ და გაუყალბებელ სივრცეს, როგორც სადღაც მიმალულ მარად ბავშვობას, რათა სამყაროს ხელახალი აგებისათვის პირველადი და პირობითობებისაგან შეურყვნელი ძალები მოხელო. აქედანაა მითოსისა და ზღაპრის პირველადი სისადავით გაჯერებული მხატვრული აზროვნება. აქედანაა ყველაფრის

ხელახლა დაწყების წყურვილი, იოლად რომ თმობს ეპოქის იმ-პერატივებს და ინტელექტუალურ პირობითობებს.

„დილის ქვეყნის“ ამ მოქალაქეებს თითქოს დაბადებიდანვე დაჰყვა იმის ცოდნა, რომ გამყინვარება, მიუხედავად მისი თითქოსდა ყოვლადძლიერებისა, დიდხანს ვერ გაგრძელდება და რომ მუდმივად ყველაფერი ხელახლა დასაწყები. ამ ცოდნის წყალობით ისინი კიდევ და კიდევ მიმართავენ ჩვენი სულიერების პირველწყაროებს და პირველად სისადავეში ჭეშმარიტების ის უინიანი ძეგბა, ამ ყაიდის ადამიანებს რომ ახასიათებდა და ახასიათებს, ამ მიმართვის სინონიმია.

ჩვენ არ ვლაპარაკობთ მხატვრობის გენერალურ ნიშანზე. ვეხებით მხოლოდ იპულსს, რომელიც ამა თუ იმ ხარისხით იჩენს თავს და ჩვენი სიცოცხლის ნიშანია. სულიერება ხომ ცოცხალია, სანამ მას ყველაფრის ხელახლა დაწყება შეუძლია, სანამ მას ძალუქს, უარი თქვას იმ ფორმებზე, რომლებიც დროის განმავლობაში მოიპოვა, კვლავ თავის ემბრიონს დაუგდოს ყუ-რი ახალი სასიცოცხლო ძალების მისაგნებად. ამ კონტექსტში წარსულიც სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობას, მარად ცოცხალი საწყისების მნიშვნელობას იძენს.

ამგვარი მიპრუნების დიდი პრეცენდენტები ჩვენს სულიერებაში თავის დროზე ვაჟამ და ფიროსმანმა შექმნეს და მომავალ თაობებს დაუტოვეს, როგორც სულიერების ცხოველმყოფლობის ნიშანი.

ამჯერად სწორედ იმ მხატვრებს შევეხებით, რომლებშიც, ჩემი აზრით, ეს ნიშანი ჭარბადაა, თუმცა კი მათი რიცხი გაცილებით დიდია. შეიძლება ყოფილიყო და განხილულთა რიგს დამატებოდა ავთო ვარაზი, თენგიზ მირზაშვილი (რომლის მიმართაც, გარკვეული ცხოვრებისეული მოვლენების გამო, პირადი ვალის გრძნობა მაქვს), ლევან ჭოლოშვილი, მერაბ აბრამიშვილი, მამუკა ცეცხლაძე და სხვები. ალბათ, მომავალში შევეცდებით ამას. ჯერჯერობით კი მხოლოდ ორიოდე მხატვარს შევეხებით.

გავიმეორებთ: ჩვენმა სულიერებამ თითქოს ეს „ხერხი“ მოიმარჯვა, როგორც ერთგვარი თავდაცვის საშუალება, როგორც ერთგვარი ინსტრუმენტი, რომლითაც განსხვავებული პერსპექ-

ტივებისაკენ მიმავალ ბზარს გააჩენდა ისტორიულ ვითარებათა მექანიკურ გარდუვალობაში. ამიტომაცაა შემოქმედება, რომელ-საც განვიხილავთ, ასეთი სავსე მითოსური განწყობებით. ესაა მცდელობა თავი შევინარჩუნოთ იმ ზღვარზე, სადაც ყველაფერი თითქოს ახლალა ხდება: საგნებთან პირველი შეყრაც და მათი პირველი სახელდებაც. ესაა მითიური „ონოს“ დროში მყოფთა მდგომარეობა, რომელთა თვალნინაც დროს, როგორც მომენტების თანამიმდევრობას ჯერაც არ შეუძნია საზრისი და იგი ჯერაც თავის თავს, თავის პირველ გამჟღავნებას უბრუნდება.

მითოსური ყოფის, დიდი დაბადების პირველი წამების მიგნების წყურვილი თითქმის ყველა გამორჩეულ ქართველ მხატვარს ახასიათებს. თვალშისაცემა, მიუხედავად ხელოვნების ეპოქალური პირობითობებისა, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს და მათ ქმნილებებს არ მოექცენება ინტელექტუალური იმპერატივებით განსაზღვრული „საგალდებულო“ კონტექსტი. ეს იმპულსი ჩვენს მხატვრობაში, უბრალოდ, არსებობს და ამ თავისი კეთილმოძალულობრივი არსებობით გვახსენებს იმ დასაბამიერ წამს, როდესაც „იყავ“ წარმოითქვა ისე, რომ ამ წამოძახილს ჯერაც არა ჰქონდა დამავალდებულებელი წანამძღვრები. მას ჯერ კიდევ არაფერი ან უკვე არაფერი ავალდებულებს და ამითაა თამაში – ის პორიზონტი, სადაც გერანელ რომანტიკოსებს ხელოვნების „მდებარეობა“ ეგულებოდათ. აქ ჰერაკლიტესული მეფებავშვის მეუფებაა, ქვიშისაგან რომ აგებს და შლის სხეულებს. და რამდენადაც ასეთია, სწორედ ამით გვახლოვებს იმ მეტაფიზიკურ ბზართან, რომლის მიღმაც გვეგულება ჩვენი ნამდვილი არსებობა და სააზროვნო ჩვევებით დაფარული გამოცდილებები. სწორედ ეს გამოცდილებები იყო ჩვენთვის ცოცხალი სადაც და ოდესალაც, ჯერ კიდევ მაშინ, ამქვეყნად ახლადმოვლენილები გაოცებული რომ ვათვალიერებდით საკუთარ და უცხო სხეულებს ისე, რომ მათ შორის განსხვავება ჯერაც ვერ დაგვედგინა.

ესაა მარადი ქართული ვნება: ყველაფრის ხელახლა დაწყების სურვილი – მას შემდეგ, რაც ისტორიამ ულმობლად შეგვდენა გეოპოლიტიკურ და გეოკულტურულ ჩიხში და არარსებობის ზღვარზე დაგვაყენა. ამით ჩვენ იმ ნოოსფეროში ვიმყოფებით, სადაც ხელახლა იწყება ყველაფერი: საგნებთან პირველი შეე-

რაც, მათი პირველადი სახელდებაც. დროითი მომენტების თანა-მიმდევრობას ჯერაც არ შეუძენია საზრისი და იგი ჯერაც შესაქ-მეს პირველადი აქტისკენ არის მიმართული.

მერაბ აბრაშიშვილი და ირაკლი სუთიძე

ესენი ის ორი ძალზე განსხვავებული მხატვარია, ვისთანაც სახელდების საიდუმლო საგნებთან პირველადი შეხვედრის მთელ ინტენსივობას მითოსისა და ზღაპრის ჰორიზონტში გადავყა-ვართ. ის, რაც დაბადების წიგნში პროტოკოლური სიმშვიდითაა გადმოცემული, მათთან სხეულებთან პირველადი შეხვედრის ზღვრულ დაძაბულობად მჟღავნდება.

„და და-ვე-ჰპადა უფალმან ღმერთმან ყოველი მწეცი ველი-საა ყოველი მფრინველი ცისაა და მოიყვანნა იგინი ადამისა ხილ-ვად და ყოველთა მშვინიერთა ცხოველთა, რომელიცა უწოდა ადამ, იგი არს სახელი მათი, რაძი უწოდოს მათ“ (დაბ.2.19).

ამ მხატვრებთან შეხვედრა და სახელდება ერთიან აქტშია მოცემული და საგანი სწორედ ამ შეხვედრა-სახელდებით გან-სრულდება. სახელდებით მე ვადასტურებ ჩემს წინაშე წარმოდ-გენილებს, როგორც არსებულებს და ამით მათი პირველადი კრე-აციის განსრულების აქტში ვმონანილებ. ამით იკვრება ის წრე, რომელიც სადღაც და ოდესადაც დაიწყო. სახელდებით გზით მე, როგორც ადამიანი ვკრავ ამ წრეს და კოსმოსს მშობიარობის შვებას ვანიჭებ. მე, როგორც ადამიანი, ამ აქტით სხეულზე ფო-კუსირებულ კოსმიურ ნებელობას ვუერთდები და საკუთარ არ-სებობასაც ვამართლებ.

გარკვეული აზრით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანმა პირვე-ლად სწორედ მხატვრობაში დაიდგინა თავი, როგორც გაგება-სახელდების, რაც იგივეა, ლვთაებრივი კრეაციის აქტში თანა-მონანილე და ამის ნიმუში ლასკოს გამოქვაბულის მხატვრობაა. აქ ქრონოლოგიურადაც ჯერაც ის წამია, როდესაც ადამს სა-ხელდებისათვის მიჰყვარეს „ყოველი მწეცი ველისად და ყოველი მფრინველი ცისად.“ ის, რაც მოგვრილია, ჯერაც არ არის მხატ-ვრის მიწიერი ბედის თანამონანილე, ჯერაც პარმალზეა, ჯერაც

დაუფარავად ასხივებს დაბადების გამო სიხარულს. ის თავის ხვედრში გზად კი არ შემოხვდა მხატვარს, არამედ აქ და ახლა მის თვალსაწირი იძადება და მხატვარი მხატვრობით, როგორც სახელდების აქტით, განასრულებს მას. საგანთა აისტორიულობა ლამის ზღვრულია. ასეთი რამ ყოველ ჩვენგანს განუცდია სადღაც და ოდესლაც – ჩვილობაში, როდესაც საგნები პირველად გვევლინებიდან, ამორფული წიაღიდან ყოველგვარი კავშირების გარეშე გვეცხადებიან და ჩვენგან ელიან მათი არსებობის დასტურს. ჩვენ სწორედ სახელდებით უნდა ვაქციოთ სხეული საგნად, როგორც ფუნქციონალურ გარკვეულობად. ეს ის ყოვლადსრული წამია, როდესაც სხეული მისი პირველადი გამუღავნების სიხარულით შემგვეცეთება და მთელს ჩვენს გულისყურს ატყვევებს ისე, რომ მას ჯერ არც სახელი აქვს და სხვა ყოფიერთა მსგავსად არც დროში ჩართულა, როგორც ჩვენი არსებობის კონტექსტის ამგები.

ჩვენს ორ მხატვართანაც ყოველი ასეთი პირველადი შეხვედრა საკუთარ თავთან შეხვედრის პრელუდიაა – კარიბჭეა იმისა, როდესაც სადღაც და ოდესლაც „იქმენის“ წრე ჩაიკეტება. დროის შავ ხვრელში მოქცეულებს საგნებთან სწორედ ეს პირველადი შეხვედრა გვახსენებს იმას, საიდან მოვდივართ და საით მივდივართ.

იშვიათია ასეთი ცხოველი მიბრუნება საგანთან შეყრის ამ პირველწამთან, როგორიც ეს ამ ორ მხატვართანაა. ესაა გახსენება იმ განცდისა თუ ცოდნისა, რომ საგანი კი არ არის, არამედ ახლა იძადება შენს მიერ მის სახელდებასთან ერთად და რომ თუ არა ეს სახელდება, ის კვლავ მიუბრუნდება ამორფულ პირველმატერიას, როგორც სამყაროს მუდმივცვალებადი სუბსტანციების შემთხვევითი ნაყოფი. აქ ახლადა იწყებს გამუღავნებას კოსმიური მათემატიკა, ოქროს კვეთით ფიბონაჩის სპირალზე რომ განალაგებს საგნის არქიტექტონიკასაც და დროში ყოფნასაც, რის „შემდეგაც“ ჩვენი, როგორც საგანთან შემხვედრის ხვედრის დასახსვრაც დაინყება. აქ, ამ წერტილში დემიურგი ჩვენგან მხოლოდ დასტურს მოითხოვს საიმისოდ, რათა დროც საგანთან ერთად დაიბადოს. აქ არაფერი ხდება უფრო ადრე და უფრო გვიან. ეს არც „აქ და ახლა“ ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. აქ მხოლოდ მიჯნაა დაბადებისა.

ასე ვიქცევით ჩვენ, ადამიანები ადამიანებად, როგორც დაბა-
დების უწყვეტი აქტის დამადასტურებლები და ამით კოსმიური
წრის შემკვრელები.

აյ ზღაპრისა და მითის პირველადი სისავსე და უშუალობაა. ჩვენ თითქოს მათ პარმაზე ვართ და შემდგომ წამს უნდა დაიწყოს
თავისი სისადავით, სიცხადითა და ყოფიერების ტკივილიანი სი-
ხრულით აღმქმელი ამბები.

ვიმეორებ: ამ არსებებს თითქოს ვიღაცამ მოუწოდა, განუზღ-
ვრელობას გამოჰყოფოდნენ და ჩვენს წინაშე წარმომდგარიყ-
ვნენ. ამასთან, სუთიძესთან მაინც უფრო ჭარბია ის, რასაც
იაპონელები ავარეს უწოდებენ – საგანთა სევდიანი ხიბლი, ის
ერთგვარი მეტაფიზიკური ტკივილი საყოველთაო ერთიანობიდან
გამოცალეევების, თითქოს გამოდევნის გამო. სუთიძესთან ეს
უფრო სხეული – ნიღბებია იმ წინასწარი სევდის კვალით იმ გზის
გამო, რომლის გავლაც მოუწევთ სანამ კვლავ არ დაუბრუნდებან
საყოველთაო მთლიანობას. ამ წახატებს ქმნის არა მხოლოდ
ფერი და კონტური, არამედ ზღვრული თანაგრძნობაც ნებისმიერ
არსებობაში იმთავითვე ნაგულისხმევი ტკივილისა და სევდის გამო.



ირაკლი სუთიძე. ორთქლმავალი

აბრამიშვილთან, უმალ, ჭარბია ის ვიტალური ძალმოსილება, რომლითაც „იყავნ“ წარმოითქმის. აქ უმალ ღვთიური აქტის ზღვრული გარდუვალობაა იმ ენერგიით, რომელიც სხეულებში იღვრება და მნახველიც ეზიარება მას. ეს, უმალ, ადამიანური სი-ამაყის ზეიმია სხეულის საგნად დადასტურების გამო. აბრამიშვილთან მითოს მთლიანად მითოსურ ჰორიზონტშია – იქ, სადაც ფენომენი ჯერაც არ დაშლილა თავისი გამუდავნების რიგად და ჯერაც ღვთაებრივი ჩანაფიქრის სხივებითაა შემოსილი.

ნიღაბსა და არსებობას შორის ბზარის დალანდვა იშვიათი მადლია, რომლითაც ვიღაც თუ რაღაც ჩვენი ცნობიერების მებიუსის სიბრტყისაგან გვათავისუფლებს, რათა მივადგეთ კარიბჭეს, რომლის მიღმაც გაგება გვეგულება. ვუცქერთ განუზღვრელობიდან გამოხმობილ არსებებს, მათთან ერთად გავდივართ იმ გზას, რომელიც ამ მოხმობაში იმთავითვე იგულისხმება, მათთან ერთად თანდათან ვპოულობთ ამ ბზარს და საწყისს ვუბრუნდებით, სადაც ამჟამად უკვე გაგების კარიბჭეა.

როდესაც ვამბობთ „ყველაფრის ხელახლა დაწყება,“ ვგულისხმობთ არა ნებას, არამედ ცნობიერების იმ მდგომარეობას, როდესაც საზრისი დაუკარგავს ყველა იმ ინსტრუმენტს, რომლითაც სიცხადის კომფორტში გრძნობდი თავს – უპირველესყოვლისა, იმ იდენტობებს, რომლებიც მაშველი რგოლის როლს თამაშობდა და შესაძლებლად ხდიდა ყოველდღიურ ცნობიერებას. „ყველაფრის ხელახლა დაწყება“ გაგების კარიბჭეა და ის გარდუვალობით არის მითოლოგიური, რადგან მითოსი, როგორც ცნობიერების მდგომარეობა, იწყება მაშინ, როდესაც სიცხადეები ფერმკრთალდებიან, კონვენციური ინტელექტუალური ფიგურები თმობენ ჭეშმარიტების საბოლოო ინსტანციის როლს და კომუნიკაციათა მინიმუმის მოკრძალებულ როლს სჯერდებიან. ანუ დგება ის, რასაც გაგება-სახელდების ვუნდეთ და მხატვარი, ნებით თუ უნებლიერ, ჰიპოზურად გვიზიდავს ამ აქტის თანამონაწილეებად და ჩვენს მის მსგავსად ვადასტურებთ პირველადი სიტყვის პროდუქტებს.

ეს სხეული, უბრალოდ არის. მას ჯერ არც წარსულის კვალი დაუტოვებია და არც მომავლის პერსპექტივესკენ მიუმართავს მზერა. ის, უბრალოდ არის, როგორც კოსმიური ჰარმონიის ერთ-ერთი ნიღაბი და წარსულისა თუ მომავლის თავგადასავლები მასში იმპლიციტურად იგულისხმება. სხვაგვარად ვიტყვით, ის თითქოს საკუთარ თავთან მიბრუნებას გაურინდებია და წამი-ერად გაგუვებულა სახელდების წამში, როდესაც ადამიანმა მეტაფიზიკური „იყავნ“ დაადასტურა. უფრო მეტიც, ის თითქოს ამ მოწოდებით ის თავადვე ცდოლობს თვითდადგენას პირველა-დი განუზღვრელობის ტოტალობაში, თვითდადგენას როგორც არსებული და დრო-სივრცეში განვენილი. ის თითქოს თავისი არსებობით მოხიბლულა, იმ როლით რომელიც ამ მოწოდებით კოსმოსის თანხმიერებაში განეკუთვნა, თითქოს სახელდების ამ პირველადი წამით გამხდარა კოსმიური თანხმიერების მონაწილე, თუმცა კი ჯერაც არ ჩართულა თავის თავგადასავლებში, ასე ულმობლად რომ დააშორებენ სახელდების ამ წამსაც და ის ტოტალობასაც, რომლის ნაწილადაც ის თავს განიცდის და, მხატვრის ნებით ჩვენამდე აღწევა.



მერაბ აბრამიშვილი. შავი ავაზა

კიდევ ერთხელ: ეს მხატვრები გვახსენებენ იმ იდუმალ წამს, როდესაც სხეული პირველად წარდგება ჩვენს წინაშე და სამყაროს თავის ელფერსა და ხმიანებას შესძენს. ბავშვობაში ძალზე ცხოველია სხეულის ეს განცდა. თითქოს ანგელოზები მოგვირიან მას თავის თავგადასავლებთან ერთად იმ კოსმიურ თეატრალურ წარმოდგენაში, რომლიდანაც სადღაც და ოდესლაც გამოგვდევნებს. ისინი თითქოს კიდევ ერთხელ გვახსენებენ ჩვენს სამშობლოს, რომელიც სადღაც და ოდესლაც ჩვენი „ყუდრო“ იყო და რომლისგანაც ცნობადის ხის ნაყოფის გასინჯვის შემდეგ გავუცხოვდით. ამის შემდეგ ჩვენ კი ალარ ვიყავით ყოფიერების ამ ცოცხალ ტოტალობაში, არამედ შევიცანით ის და რა წამსაც ჩვენს ცნობიერებაში შემოაღწია იმის გაგებამ, თუ რა დავკარგეთ ამითი, რომ ამის შემდეგ გველოდა დაუსრულებელი ხეტიალი საიმისოდ, რომ კვლავ მოგვეპოვებინა დაკარგული სამშობლო, ზეციურმა ძალებმა სხეულებში დაფარული მეტაფიზიკური ბზარი მოგვაშველეს, როგორც სამშობლოს კვლავგანცდის შესაძლებლობა. ეს სხეულებია, რომლებიც წამიერად მაინც კვლავ გვაპრუნებენ იქ და გვახსენებენ იმ დროს, როდესაც სახელდებით მათი არსებობის თანადამდგენები ვიყავით.

უკვე წახსენებ „ავარეს“, ანუ საგნის სევდიანი მომხიბვლელობას სხეულთან შეხვედრის ერთგვარი სისრულე ბადებს. ავარე ბუნებრივი მმდგომარეობაა ბავშვისა, რომელიც ახლალა ეცნობა სამყაროს და საგნებს ჯერ კიდევ არ უცქერს მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ მონაწილეობენ ისინი მისი სიტუაციურობის აგებაში. ბავშვობაში, როდესაც ჩვენი მზერა ჯერაც „დაბზარულია“ მეტაფიზიკური ბზარებით, ამგვარი შეხვედრა ჯერაც მიმანიშნებელია იმ „სადღაცსა“ და „ოდესლაცზე“, „როდესაც მეც და ისიც ჯერაც ვიბადებოდით ყოფიერების ყოვლადსისრულიდან. ამგვარი შეხვედრისა და გადაყრის ინტიმის მონატრება ზრდასრულობაში მუდამ თან დაგვდევს, მიუხედავად იმისა, რომ მუდამ ვებრძვით საგნებსა და გარემოებებს. შემდეგ კი, როდესაც დასასრულისკენ დავიძვრებით, სამყაროსთან მოულოდნელად შერიგებულებს კვლავ გვეწვევა ხოლმე, გვეწვევა, როგორც ის საუნჯე, რომელიც, თურმე, ჩვენი არსებობის მთელს

ხანიერობაში გადაეცემოდა წლებს, იშვიათი ბედნიერების უამს თავს გვახსენებდა და თავის ჯადოსნურ ხიბლში წამიერად მაინც გვამყოფებდა, რაღაცის კარიბჭესთან მიგვიყვანდა და მერე კვლავ სადლაც შეაფარებდა თავს.

ამ მხატვრებთან მძაფრია ნოსტალგიის ელემენტი, ნახსენები ხიბლის მონატრებაა – როდესაც იმის მიყურადებაზე, თუ როგორ მეტყველებს საგანი ფერით, ფორმით, თავისი მოძრაობითა თუ უძრაობით, მოულოდნელად გვეწვევა განცდა „მე შენ გიცანი,“ გიცანი, როგორც სადლაც და ოდესლაც ჩემი თანამყოფი, გიცანი, როგორც ჩემს სხეულში თანამონაწილე, გაცილებით უფრო დიდი და ყოვლისმომცველი რომ არის, ვიდრე ჩემი ტანია, გიცანი იმ ინტიმითა და ჩემთან სრული შეხვედრით, რომელსაც, თურმე, ვატარებდი, როგორც მონატრებას, ასე ხშირი რომ იყო ბავშვობაში და ასეთი იშვიათი შემდეგ წლებში. გიცანი, რადგან როდესაც სამყაროს მაცნობდნენ ზღაპრებითა და ამბებით. მათში შენც მონანილეობდი. და ასეთ პირველად მონატრებაში იბადებიან უსასრულოდ ნაცნობი ზღაპრული და მითოსური სხეულები – ჩვენი პირველი ნაცნობები ამქვეყნად, შემდეგში რომ მუდამ თან დაგვყვებიან და უსასრულოდ იცვლიან ნიღბებს. და როგორც არ უნდა შეეფარონ ისინი ახალ და ახალ ნიღბებს, როგორი სწრაფიც და დაუკორებელიც არ უნდა იყოს ეს კარნავალი, ისინი კვლავ იმ პირველი შეხვედრის პორიზონტში იარსებებენ ჩვენთან ერთად.

სამყარო ჯერ ჩვენივე სხეულად გვეცნობა. ის სხეულებიც, რომლებსაც „სხვა“ სხეულებად აღვიქვამთ, რაღაც მომენტამდე „ჩვენია“ და არა „უცხო.“ შემდეგ ის ზღაპრებად და თქმულებებად იწყებს თავის გამუღავნებას და სწორედ მაშინ ჩნდებიან ის ნამდვილზე უნამდვილესი სახეები, რომლებიც შემდგომ მთელი ცხოვრების განავლობაში სადლაც სულის წიაღში მყოფობენ და ჯერ კიდევ ქმნიან ჩვენს ბავშვურ „შინს“. ბავშვობაში მოსმენილი ზღაპარი ჩვენი „შინია,“ რომელშიც მაშინ ყველა ნივთი, სხეული და ადამიანი მონანილეობდა და ისინი შემდგომ მთელი ცხოვრების განმავლობაში ატარებენ ამ ელფერს. ეს მხატვრობა ამ „შინის“ გაღვიძების (საუკეთესო აზრით) ბავშვური მცდელობაა – იმ პორიზონტის გახსენებისა, სადაც ჩვენი მხატვრების პერ-

სონაუები სახლობენ. ყოფით უსისცოცხლო საგნებსაც ჯერაც არ დაუტოვებიათ ზღაპარი, ჯერაც მის ენაზე მეტყველებენ და იმ ენერგიას ასხივებენ, რომელმაც ისინი შექმნა სადღაც და ოდეს-ლაც, როდესაც „იყავნ“ წარმოითქვა. და რამდენადაც ეს ის შინია, რომელშიც სადღაც და ოდესძაც ყველანი ვსახლობდით და დღემდე ვსახლობთ, გვსურს თუ არა, ნახატების ეს პერსონაუები უსასრულო ნაცნობობის განცდით მოდიან ჩვენთან და ჩვენც კიდევ ერთხელ ვგრძნობთ იმ „შინის“ სურნელს, რომელშიც სადღაც და ოდესძაც ვსახლობდით.

გია გუგუშვილი

მხატვარი თითქმის ხილულად ატარებს თავის პირველად გამოცდილებებს. ის თითქოს „განთავსებულა“ იმის მონატრებაში, რაც საკუთარი თავის პირველი აღმოჩენის უამს იყო, როდესაც კონტურების, ფორმები და ფერების ცოცხალი ინტერაქცია პირველად მოხელა. ფერსა და წირს ორი შემოქმედი ჰყავს: მხატვარი და ის უცნაური, ფარული და მხოლოდ ცნობიერების პირველადი მდგომარეობაში აღქმადი ნება ფერად და წირად ყოფნისა და მხატვრის ხელიც მიჰყვება ამ ნებელობას. პირველადია არა ნახატი, არამედ წადილი, ფერისა და წირის ნებელობას მიჰყვე და სხეულიც ამ ფარულ ნებასთან თანაობით იბადება. სხეულის კონტური იმდენად პირობითია, რომ ის სრულიად გამჭირვალედ ატარებს წირისა და ფერის თავისთავად, ავტონომიურ ნებელობას, თუ გნებავთ, ჭირვეულ ნებასაც კი. ესაა უცნაური თანხმიერება წირის დამბადებელ თაურ ძალებთან, იმ ძალებთან, რომლებიც შესაქმის პირველივე წამებში გამუღავნდენ და დაინტერეს აღნერა იმისა, რაც ჯერ არ იყო და რაც ჯერ მხოლოდ ჩანაფიქ-რად თუ არსებობდა.



გია გუგუშვილი. ხედი

ფორმებისა და კონტურების ამ იდუმალ შემოქმედებთან თანაობა კიდევ უფრო ნათლად ჩანს ასიმეტრიული ლაქებში. აქ თითქოს კიდევ უფრო ცხადია, რომ მხატვარი არ ქმნის და არც ცდილობს შექმნას ისეთი პარალელური სინამდვილე, რომელიც მისი პერსონალური ნებითა და სოციალური პორტრეტით იქნებოდა გაყდენთილი. ის ცდილობს ყურისგდებას. ის ცდილობს, აამეტყველოს ის გამოცდილებები, რომლებსად ეს სპონტანურად დაბადებული წირები, ლაქები თუ ფერები ჰქარნახობენ. პირველად, სტიქიურ შემოქმედებით ძალებთან თანაობაა ის, რაც ამ,

ერთი შეხედვით, უცნაურ, თუმცა კი მტკივნეულობამდე ნაცნობ ნახატებს ქმნის. თითქოს მხატვარმა შეძლო და ცოცხლად შეინახა ის, რაც თითქმის მიგნებისთანავე გვეკარგება.

თავის აბსტრაქციებში ის ცდილობს ხელახლა აღიდგინოს წირ-თან და ფერთან შეხვედრით ოდესლაც მოგვრილი განცდა, რო-დესაც საგნებს წივთობრიობა თითქმის არ გააჩნიათ და, ამდენად, შეძლებისდავგარად შორს არიან ყოველგვარი დამავალდებულე-ბელი პირობითობებისაგან.

თურმე, სოციალური თუ ინტელექტუალური ვალდებულებე-ბით გაჯერებულ საკომუნიკაციო გარემოში, მის იდენტობებსა და სიცხადეებს შორის მოგზაურობისას თან დაგყვება მთელი წელი ერთგვარი პარალელური, იდუმალი გამოცდილებებისა, რომლე-ბიც ზედმინევნით შენია. სოციალური მატრიცა განდევნის მათ, როგორც საზრისს მოკლებულსა და არასაჭირო შფოთის დამნერ-გავს და შენც იძულებილი ხარ, სადღაც ცნობიერების პერიფერი-აზე გადაინახო ისინი, რადგან ვერც განდევნისათვის გაგიმეტე-ბია და სოციალური უხერხულობის გამო ვერც გაგიმულავნებია. საკომუნიკაციო რაციონალიზმი თითქოს ცენზორივით გადგას თავს, რათა არ დაუშვას იმის არსებობა და, მითუმეტეს, ქმედი-თობა, რასაც სოციალური თანაყოფნის მექანიკურად გარდუ-ვალ და თავისი თავისი ზღვრულად იდენტურ მდინარებაში რაიმე ბზარის გაჩენა შეუძლია. არადა, ამასთანავე ვგრძნობთ, რომ ამ ფარული გამოცდილებების სამყაროშია ყველაფერი ის, რის გამოც საკუთარ არსებობას რაღაც ავტონომიურ, სოციალური ასოციაციებისაგან დამოუკიდებელ ღირებულებას ვანიჭებთ. ამი-ტომაც, როგორც არ უნდა დევნიდნენ გარემოებები ამ გამოც-დილებებს და როგორც არ უნდა ვემორჩილებოდეთ ჩვენც ამ გარემოებათა განჩინებას, ეს იდუმალი და თითქოს იოლად მოწყ-ვლადი სამყარო მაინც რჩება და ჩვენც ხანგამოშვებით ჩვენი ფარული სხვებისათვის გაუმჟღავნებელი ფიქრებით ვუბრუნდე-ბით მათ.



ქვების ქალაქი

ყოველდღიური აღქმისათვის სივრცე აბსტრაქციაა, რომელიც თავად არა არის რა. თავის ყოვლადსისაგსეს იგი თვალთმაქცურად ნიღბავს, თითქოს არც კი არსებობდეს, უბრალოდ, მხოლოდ ადგილია, სადაც საგნები მთელი სიხისტით და მნიშვნელობით განთავსდებიან. ასე გვეთამაშება ის თავის გამოუცნობ თამაშებს – ერთდროულად მისი ტოტალური არყოფნისა და, თურმე, ამავდროულად, ტოტალური ყოფნის თამაშებს. ვისაც სხვებს განთავსების ადგილად შეიძლება თავი შესთავაზოს, ხომ სწორედ ტოტალურად მყოფია, ყველა იმაზე „მეტად“ მყოფი, ვინც მისი წყალობით პოვებს ადგილს. უფრო მეტიც, ის ერთგვარი საშოა, ნებისმიერ „სხვას“ არსებობასა და არსებობის უფლებას რომ ადლევს. ის პირველია შემდგომებისათვის. ის ერთდროულად არარაა

და, ამასთანავე, ყოვლადსისავსის ტოტალური განურჩევლობაა. თითქოს სხეულთა მეშვეობით თავადვე ადგენს საკუთარ თავში გარკვეულობას. და რამდენადაც ჩვენი სხეულიც სივრცის ამ იდუმალი თამაშის წყალობითაა შობილი, ისღა დაგვრჩენია, ყური მივუგდოთ მას და აღვიძვათ, თუ სივრცის ზღვრული დაძაბულობა როგორ ქმნის სხეულთა ანისა და ჰოეს. თუმცა კი მხოლოდ სივრცე მხოლოდ მკვდარი ფორმების შემქმნელი იქნებოდა, სხეულებს მეორე მშობელიც რომ არ ჰყავდეთ დროის სახით, საგნებს თავის ანარეკლებად რომ ამოისვრის წიაღიდან და, საბოლოოდ, გვეძლევა ყოფიერება, როგორც დრო-სივრცითი კონტინუუმის პირმში.

გუგუშვილის ნახატებში სივრცე თითქოს ტილოდ შედედებულა და ისე გამოთქვამს კონტურებს – ლამის მხოლოდ კონტურებს, რადგან მხატვრისათვის ზოგჯერ მნიშვნელოვანია სწორედ ეს ორმაგი აქტი – სივრცის ტილოდ „შედედებისა“ და კონტურების დაბადებისა. ასე ცდილობს ის სივრცის იდუმალი მეტყველების გადმოცემას. სივრცე, როგორც ტოტალური სისრულე საგნებზე მინიშნებებით ეთამაშება წარმოსახვას. სივრცის ჩვენთან თამაშის ამ აქტში იბადება სხეულთა მულტიპლიკაციურობა, მათი ეფემერულობა, სიმძიმესა და სოლიდურობას მოკლებული გამჭირვალობა. ფანქარმომარჯვებული ხელიც სწორედ ასე მიანიშნებს მკრთალი, ზედმეტ დეტალებსა და ვალდებულებებს მოკლებული კონტურებით საგნებზე და სწორედ ამის წყალობით უღიმიან მას ფანქრის წვეროდან შობილი საგნებზე მიმანიშნებელი კონტურები. ისინი ჯერაც არ არიან სხეულები იმ აზრით, რა აზრითაც სხეული „ზრდასრულის“ გონებაში არსებობს. ეს უმაღლი სივრცის თამაშის ანარეკლია მხატვრის წარმოსახვაში – თითქოსდა ეფემერული ფერითა და კონტურით. ერთი შეხედვით, მხატვარი თითქოს აღმქმელს აიძულებს, რომ თავისი ძალისხმევით შექმნას და შეინარჩუნოს ნივთის გარკვეულობა და ამ თვალთმაქცური იძულებით მდინარის პირას ქვიშაში სათამაშოდ იტყუებს საგნებზე ახალი და ახალი მინიშნებების აღმოსაჩენად, მხატვართან ერთად იმ ბედნიერი წამის გამოსაცდელად, როდესაც თითქოს წინასწარ არც იცი, რა იბადება და როგორ; ან თუ იცი, ცოდნის იმ პირველადი და იდუმალი მნიშვნელობით, რომითაც ბავშვმა იცის და მხატვარმაც სწორედ ამ ცოდნაში გაგიტყუა.

აქ თითქოს ტილოდ შედედებული სივრცისა და დროის კონტინუუმი გვესაუბრება იმ ენაზე, რომელიც არც ვიცით და, ამავ-დროულად ნაცნობიცაა. რაც უფრო პირველადია ეს ენა, მით უფრო ახლოსაა იგი მითისა და ზღაპრის ენასთან, მით უფრო იშველიებს ჩვენი სულის კონსტიტუციის პირველად ფორმა-სახეებს თუ არქეტიპებს, რათა საკუთარი თავი გამოთქვას. სივრცისა და დროის კონტინუუმი ის პირველადი აბსოლუტია, რომლის მიღმაც არაფერია, რომლის ძალმოსილებასაც მისი აბსოლუტურობის გამო აღარც შეიძლება ეწოდოს ძალმოსილება, მან არც შეიძლება საკუთარი თავი შემოგვთავაზოს, როგორც ყოვლადსისრულემ, მისი თვითგამოთქმის ერთადერთი ფორმა მოთამაშე კონტურები ფერები და ფერადოვანი წირებია თითქოს ჩვენს თვალწინ რომ უბრუნდებიან მას და კვლავ მჟღავნდებიან. აქ ეს თამაში არათუ გვითრევს, თავის მონანილედაც გვხდის და გვაიძულებს, წამი-ერად მაინც შევეხოთ მას და ამითვე შევეხოთ ჩვენი არსებობის იმ ძირებს, რომელიც თავისუფალია ყოველდღიური ნიღბების არქისერიოზულობისაგან. აქ კონტურებად გაჟღავნებული სივ-რცის ფრაგმენტთა კარნავალი თავის მეტაფიზიკური დაუნჯებისაკენ მიგვიძლვის, უფრო კი თამაშით გვხიბლავს და გვიტყუებს. ინტელექტუალური ვალდებულებებისა და მცოდნეობისაგან გვათავისუფლებს და ჰერაკლიტესული მეფე-ბავშვით ქვიშის ბორცვებით მდინარის პირას გვათამაშებს. მხატვარიცა და აღმ-ქმელიც თავისუფლდებიან დემიურგად ყოფნის ვალდებულები-საგან, საყოველთაოდ მიღებული ინტელექტუალური ალგორით-მების სიმძიმისგან და ორივენი ერთად ცდილობენ სივრცე გამოათავისუფლონ, რათა სუბსტანციები და ხდომილებები თა-ვისუფლად ამოქმედდნენ, თავად კი მხოლოდ ამ თამაშის ინს-ტრუმენტად შესთავაზონ თავი.

სხეულები ორი სუბსტანციის – სივრცისა (უფრო სწორად, დრო-სივრცითი კონტინუუმისა) და ფერის – თანამშრომლობის შედეგია. სივრცე, როგორც სუბსტანცია, შობს ფორმებს და თა-ვის ყოვლადსისავსის დაძაბულობაში ფერებს იწვევს. ეს ამბავი სხვაგვარადაც შეიძლებოდა აღგვეწერა, სახელდობრ, თუ ფერებს ფორმასთან მისტიკურ ქორწილში როგორ ამოაქვთ სივრცის განურჩევლობის ზღვრამდე მისული ყოვლადსისავსიდან სხეულე-

ბი. ასე შეიძლება აღმქმელის შთაბეჭდილებად იქცეს ყოველი სხეულის, როგორც სინგულარობის დაძაბულობა.

ამ დაძაბულობისაკენ სვლა ფრთხილია, თავისი სისრულით იგი არასოდეს გვატყდება თავს. იგი მცირე, უმეტესად მკრთალი მინიშნებით მოიცემა საკუთარი თავისაკენ დაუსრულებელი სვლის აქტში – იმდენად მცირე და ფაქტზე მინიშნებით, რომ აღქმისას თან დაგყვება სხეულის სივრცეში კვლავ გაბნევის მოლოდინი. სხეულთა დიფუზიურობა, მათი მორღვეული კონტურები ჩვენს დამატებით ძალისხმევას ითხოვს მათ გასამთლიანებლად. და ამ დროს შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ არსებულა კიდევ ერთი ნება, სახელდობრ, ჩვენი ნება იმისა, რომ ეს სინგულარობა დასრულდეს და საბოლოოდ გამოთავისუფლდეს სივრცისა და ფერის მეურვეობისაგან. ბოლოს კი კიდევ ერთხელ შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ მხატვარს, თურმე, სივრცითა და ფერით თამაში შევუტყუებივართ.

სივრცის ამ თამაშებს ყველაზე ნათლად ბავშვი გრძნობს და ამიტომაც ვიხსენებთ კიდევ და კიდევ მდინარის პირას ქვიშაში მოთამაშეს. რომელმაც ჯერ არა იცის რა დასრულებული და ფერშემოსილი სხეულებისა. მისთვის ფორმები იბადება, ერთმანეთში გადადის და ქრება, მერე კვლავ იბადება და კონტურთა თუ ფერთა ეს სიზმარეული გამუღავნებაა სწორედ ნამდვილზე უნამდვილესი სინამდვილე და არა სხეული თავისი სიმძიმითა და საკუთარ თავთან იგივეობის არქისერიოზულობით. ბავშვი ქვიშაში თამაშისას არ ისახავს რაიმე მიზანს. ის, უბრალოდ თამაშობს და ელის, თუ კიდევ რა ფორმასა და კონტურს გაიმეტებს მისთვის ეს თამაში. მისი მიზანი ამ გამუღავნებათა უწყვეტი და უსასრულო რიგია და არად დაგიდევს, დავუდასტურებთ თუ არა მისი საქმიანობის საზრისიანობას. ის იმდენად ბრძენია, იცის, რომ, გვსურს თუ არა, სადღაც სულის წიაღში, სულის პირველად შრეებში ჩვენც იქვე ვართ – მდინარის ნაპირას – და ჩვენს ასევე ვამჟღავნებთ ფორმებსა და კონტურებს, ფერებით ვმოსავთ, დრო-სივრითი კონტინიუმით სიცოცხლეს ვანიჭებთ და მერე ისე ვიმეტებთ, თითქოს არც ეარსებოს, მან იცის, რომ სულის სიღრმეში ჩვენც მოგვეძევება წერტილები, ყოველგვარი ვალდებულებებისა და ტვირთისაგან რომ არის თავისუფალი და უშუალოდ

ეხება მარადისობასა და ყოვლადსისრულეს, წელან სივრცედ რომ მოვიხსენიეთ, რომ სწორედ სულის ამ წერტილებში წარმოითქმება პირველადი სიტყვა და ამით მასთან ჩვენი თანაობა დასტურდება.

ალბათ, თვალი გიდევნებიათ, როგორ ეუფლებიან სიბერისა თუ ცვეთის ჭინკები საგნებს. როგორც არ უნდა ვებრძოლოთ მათ, საგანი, საბოლოოდ მათი წილი ხდება. ჯერ თითქმის შეუმჩნეველი ლაქებით, შემდეგ კი უკვე ბზარებითა და დაშლით აღწევენ საგნის სხეულში მანამ, სანამ კვლავ არ გადასცემენ იმ სტიქიებს, რომლებისთვისაც ისინი თავის დროზე გამოგვიტაცებია და სახელი დაგვირქმევია. რაც არ უნდა ვებრძოლოთ მათ, ბოლოს მაინც ვრწმუნდებით, ეს იგივეა, ვებრძოლოთ წრის მორკალულობას ან წყლის სისველეს და ისლა დაგვრჩნია, თვალი მივადევნოთ ამ ჭინკების იდუმალ საქმიანობას, უფრო კი კვალს, რომელსაც ისინი ტოვებენ საგანზე იმის ნიშანად, რომ ყველაზე მეტი, რაც ჩვენ ხელგვენიფება, ამ სტიქიების კალეიდოსკოპის ტრიალია, რაღაც ფორმების მიღება და მათი ნამდვილი პატრონისათვის მშვიდი დაბრუნებაა, რომ ჩვენ ვერასოდეს შვექმით ნივთა იმგვარ სამყაროს, რომელიც თავისი თავის აბსოლუტურად იგივური იქნება. ხოლო თუ ჩვენი ვნების საგანია არა ნივთი, არამედ მისი შექმნა, მაშინ ამ ჭინკებთან მარადიული თანამშრომლებისაკენ უნდა მივმართოთ ის რომელთაც ქმნა, დარღვევა და არყოფნაში გადასროლა ერთხაირად რომ ხელენიფებათ. ეს მარადიული თანამშრომლებიც აგვყვებიან და სწორედ მაშინ იბადება ის, რასაც ეს მხატვრობა ჰქვია. ის თუ არსებობს არსებობს მხოლოდ როგორც ამ უნივერსალური და იდუმალი თანაობის ნაყოფი, თუმცა კი ამ თანამშრომლობის შესახებ მხოლოდ მხატვარმა და იმ იდუმალმა არსებებმა იციან. მხატვარი მიგვანიშნებს მათ კვალზე, თუმცა კი იმთავითვე იცის, რომ ჩვენთვის, როგორც წესი, ამგვარ იდუმალ გარემოებებზე მინიშნება შეუმნეველი და აღუქმელი რჩება და ისევ და ისევ განვაგრძობთ დაშლის ჭინკებთან ბრძოლას, თუმცა კი სადღაც მხატვრისა და იმ იდუმალი ძალების თანამშრომლობა გვეგულება.

ზაზა ბერძენიშვილი

ზაზა ბერძენიშვილთან თითქოს საგანთა დადგენის ის მეტაფიზიკური ფაზაა, როდესაც სახელდების აუცილებლობა ჯერაც არ დამდგარა. ესაა ყოფიერება, რომელიც ჯერ არ გამხდარა ყოფიერი. ფერთა ეთერი სიმკვეთრეს მოკლებულ კონტურებთან ერთად თითქოს საგანთა პირველად და ჯერაც არასავალდებულო ფორმებს ქმნის, ეფემერულად რომ გადადიან ერთმანეთში და მხოლოდ მიგვანიშნებენ იმაზე, რაც სხვაგან, ჩვენთან უფრო „ახლოს“, ჩვენი ყოველდღიური არსებობის რუტინაში უნდა დაიბადოს.

მაგრამ მხოლოდ ეს არა. იაპონურ ავარეს კიდევ ერთი, ფარული განზომილება აქვს, რომლის გამოც ის მუდამ მეტაფიზიკური დრამის ჰორიზონტში გვიტყუებს. ესაა არსებობის გამო ის იდუმალი წუხილი, რომელსაც ყოველი ცალკეული, ერთეულოვანი არსებობა გამჟღავნებისთანავე ატარებს. მხატვარი ცდილობს, სხეულები მხოლოდ ფერთა ეთერულ თააშში დაადგინოს ისე, რომ ისინი ავარეს ამ განზომილებიდან იხსნას. შეთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მხატვართან ხშირად მეორდება თამაშისა და სათამაშოების თემა. თავად მრავალრიცხოვან ნატურმორტებშიც თითქოს საქმე გვაქვს არა საგანთა დადგენასთან მათ მკაცრ თვითობაში, არამედ ფერთა ეთერის თამაშის წყალობით ნამიერად მოქსოვილ ეფემერულ სხეულებთან, უმალ, ზღაპრის პერსონაჟებს რომ ნარმოადგენენ. ის უარს ამბობს სხეულთა მკაცრ თვითობასა და ამ თვითობის გარდუვალ ნიშვნელობაზე. მისთვის მთავარია იმ ეთერული ყოფის მოხელვა, როდესაც სხეული თავისი არქისერიოზული თვითობით ჯერაც არ დამძიმებულა და ჯერაც კოსმოსის თანხმიერებაშია.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბერძენიშვილი ხელახლა თხზავს იმ მითს, იმ უნივერსალურ ნარატივს, რომელში გადაბარგებითაც ავარეს ბნელ მხარეს დააღწევდა თავს. მასთან სხეულს ჯერ კიდევ ამართლებს შესაქმის ჰორიზონტი.



ზაზა ბერძენიშვილი. თამაში

დასასრულს კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ ქართულ მხატვ-რობას აქვს ის უმნიშვნელოვანესი ასპექტი, რომლის წყალობი-თაც ჩვენ ყველანი ერთგვარ პარალელურ გამოცდილებაში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ხელახლა დაწყების“ ნებელობაში ვიმყოფებით და ამით ვადასტურებთ არა მხოლოდ არსებობის ნებას, არამედ ვამართლებთ კიდეც ჩვენი, როგორც ერთი უნი-კალური სულიერების არსებობას. აյ, ამ გამოცდილებებში მარ-ტონი არ ვყოფილვართ და აღმოვაჩენთ, რომ მხატვარი თავისი ფერებითა და კონტურებით, მუსიკოსი თავისი თამაშით ბერძრათა სამყაროსთან, სიტყვის ცოცხალ ნებელობასთან გაშინაურებული პოეტი თუ ფილოსოფოსი, რომელსაც თავის თავში შეუნარჩუ-ნებია კონვენციურ ჭეშმარიტებებისაგან თავის დაღწევისა და ყველაფრის ხელახლა გაგების ნება, შენთან ერთად ყოფილან და

რომ თუკი სადმე ხვდები მათ, სწორედ აქ, სადაც თავი მოგიყრია ყველაფერი იმისათვის, რაც საკომუნიკაციო რაციონალიზმა თავისი ფილისტერული დიქტატურით თითქოს და განდევნა. თუ არა ეს ფარული დასტური, რომელსაც პოეტისგან, მუსიკოსის-გან და ა.შ. იღებ, მთელი ადამიანური ღირსება სოციალურ გან-ზომილებაზე დავიდოდა და აღარაფერი დარჩებოდა იმისგან, რითაც საკუთარ თავს მიაგნებ. და კიდევ, თუკი სადმე შეიძლება უფლის ნათელმა თავი შეგახსენოს, ესეც ამ ფარული გამოც-დილებების სამყაროა და არა ისტერული კოლექტიური რელი-გიურობისა თუ იდეოლოგიით დასწულების ერთგანზომილებიან დისკურსი, სადაც ადამიანები სწორედ საკომუნიკაციო სიცხადე-ების დიქტატში ხვდებიან ერთმანეთს და არა პირველად, იდუმალ გამოცდილებებში.

ის, რაც აღვწერეთ, ერთგვარი გაგების კარიბჭესთან ყოფნის გამოცდილებაა და, პირველ რიგში, ალბათ, ეს ამართლებს ჩვენს არსებობას.

შურნალის ტიპები

მანანა შამილიშვილი

პოსტ(თ)მწერლობა, როგორც ამბის თხრობა, ქსელურ მედიაში

თანამედროვე უურნალისტიკაში პროფესიული ინსტრუმენტები უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე თავად პროფესიაო, – მარკესმა ბრძანა. მის ნათქეამს რომ დავეთანხმოთ, დღევანდელ მედიაზე თვალის ერთი გადავლებაც კმარა. საკომუნიკაციო ტექნილოგიების განვითარების ფორსირებული ტემპი მუდამ ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს დღევანდელ მედიას, ცვლილებებს ითხოვს როგორც ფორმის მხრივ, ისე – შინაარსობრივადაც. წარსულს ჩაბარდა ვრცელი ანალიტიკური სტატიები, ნარკვევები თუ ჩანახატები (ანგარიში ხომ საერთოდაც საბჭოთა ეპოქაში ჩარჩა). მათი ადგილი დაიკავა მინიმალისტური ხელწერის ტექსტებმა, რომელთა ავტორებსაც ამ აჩქარებულმა ეპოქამ, პირდაპირი მნიშვნელობით, „მოკლედ თქმის“ ვალდებულება დააკისრა.

მოთხოვნის კვალად გარდაიქმნა უანრობრივი სახესხვაობებიც – გაჩნდა ახალი ფორმები, ტრანსფორმაცია განიცადა ძველმა. მოწმენი ვხდებით მათი შერწყმა-სინთეზისა, ოპერატიული უანრების დომინანტობისა. მედიის დემოკრატიზაციის პირველ ტალღას შემოყოლილი და პრესაში გაბატონებული სვეტი უკვე ბლოგებმა ჩაანაცვლა.... ამგვარად, დიგიტალური მედიის გაბატონებამ სულ სხვა მოთხოვნები წაუყენა მედიატექსტის ავტორს. მას ახლა მეტი განაფვა სქირდება, რომ სათქმელი მაქსიმალურად შემჭიდროვებული სახით გადმოსცეს, მომჭირნე თხრობით მოყვეს ამბავს. ეს ახალი სტილისტიკა არ გახლავთ, თავის დროზე უურნალისტობანაცადმა ჰქმინგუემაც დაამკვიდრა მსგავსი ხელრთვა – თხრობის ე.ნ. აისბერგული პრინციპი, როცა ცოტას ამბობ, გაცილებით მეტს კი ქვეტექსტს ანდობ. ამ ფარული შრეების გამშიფრავ მკითხველს კი ერუდიციამ არ უნდა უღალატოს, მით

უფრო – ინტუიციამ, შიფრის კოდი რომ ამოიცნოს და მთხველის ჩანაფიქრს მიხვდეს.

სკეპტიკური მკითხველი ახლა ჩაიცინებს, ნეტავ რამდენი ავტორი გეგულებათ დღეს მსგავსი სტილით მთქმელი, ან კიდევ – მისი გამგონიო. მართალიც იქნება. თანამედროვე მედია მხოლოდ გამარტივებისკენ ისწრაფის და ამას ფორმის დახვეწით აკეთებს, შინაარსის ხარჯზე. „შეფუთვისკენ“ მსწრაფი მედია ლირებული თემების ინფლაციას უწყობს ხელს და არაფრით გამორჩეული, პოპულისტი პოლიტიკოსების იმიჯებზე ზრუნავს. თუმცა, არიან ისეთი ავტორებიც, ყოვლისმომცველი ტენდენციის გავლენას, გაბატონებული სტილის მოთხოვნებს რომ გაუძლეს და ორიგინალური, თვითმყოფადი ენით გადმოგვცეს სათქმელი. მოახერხეს და ამ დომინანტური სტილისტიკის საყოველთაო მორჩილების პირობებში შექმნეს ლირებული ტექსტები. ისინი ამბებს ქსელური მედიისთვის ყვებიან. ეს ამბები ყოველდღიურობის ანარეკლია, იმ პრობლემატიკით გაჯერებული, რაც ჩვენს რუტინულ ყოფას ასახავს, იმ სიახლეებით, რითაც ვსუნთქავთ, ვწუხვართ და გვიხარია. ამისთვის, ტრადიციული მედიის გვერდით, საბედნიეროდ, არსებობს ონლაინმედია, თავისი მდიდარი შესაძლებლობებით, გამოხატვის მრავალფეროვანი ფორმებითა და განსხვავებული ტექნიკური მახასიათებლებით.

მედიასაზოგადოების თეორიებიდან ჩვენი თანადროულობის-თვის ყველაზე რელევანტურია კომუნიკაციის ტექნოლოგიური დეტერმინიზმის თეორია, რომელიც გვეუბნება, რომ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა სწრაფი პროგრესის პირობებში საზოგადოებაც მისი გავლენის ქვეშ ექცევა. უფრო კონკრეტულად – თეორიის ეს ტიპი ეძიებს, ავლენს და იკვლევს ურთიერთკავშირებს ეპოქის დომინანტურ საკომუნიკაციო ტექნოლოგიასა და საზოგადოების ძირითად მახასიათებლებს შორის. მას სოციალური ცვლილებების გამოწვევა შეუძლია. ამ თეორიის მართებულობას მრავალი ფაქტი ადასტურებს ახლო წარსულიდან თუ თანამედროვეობიდან. თავის მხრივ, ახალი მედიური საზოგადოება საკუთარ მოთხოვნებს უყენებს მედიასაც და უურნალისტ-საც. ეს ყოველივე კი მედიატექსტის თხზვის ფორმებსა და მანერაზე აისახება.

ტრადიციული მედიარხების გვერდით სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს ე.ნ. სოციალური ჟურნალისტიკა, რომელიც კონკრეტული ადამიანების პირით მოგვითხრობს სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ პრობლემებზე. ამბის თხრობა მულტიმედიურ სივრცეში, იგივე „სთორითელინგი“, ხელს უწყობს ნარატიული ჟურნალისტიკის განვითარებას. ამბის თხრობის ხელოვნება გამოიყენება, ასევე, საჯარო გამოსვლების დროს, ფსიქოლოგიაში, მენეჯმენტსა და მარკეტინგში. ისტორიების მოყოლის გზით ინფორმაციის გადაცემა ეფექტური ხერხია საჭირო გზავნილების აუდიტორიამდე მისატანად. საპირნონედ ოპერატიული ჟურნალისტიკისა, ნაირგვარი ფორმით „მთხრობელი“ ჟურნალისტიკა თანამედროვე კომუნიკაციის ერთ-ერთ მძლავრ ინსტრუმენტად გვევლინება. სწორედ ამ ფენომენზე გვსურს თქვენი ყურადღების გამახვილება და კონკრეტული ნიმუშებით მისი მნიშვნელობის წარმოჩენა.

„თუკი სთორითელინგი ამბის თხრობის ხელოვნებაა, მაშინ ჟურნალისტიკა არის სთორითელინგის ხელოვნება“ – ეს მოსაზრება მხოლოდ დღევანდელობით არ საზრდოობს. ზოგადად, „ამბობის“ ისტორია ჯერ კიდევ კაცობრიობის დასაბამიდან იღებს სათავეს, მას შემდეგ, რაც ჩვენი წინაპარი ეცადა, მნიშვნელოვანი საინტერესოდ მოეთხრო. საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა ამბის თხრობის მეთოდები. მათი გათვალისწინება აუცილებელია, თუ გვინდა, რომ დიგიტალური სთორითელინგის სპეციფიკაში უკეთ გავერკვეთ.

უნდა ითქვას, რომ დღეს ინფორმაციის სიჭარბე კაცობრიობის-თვის უფრო დიდი პრობლემაა, ვიდრე მისი ნაკლებობა იყო ოდეს-ლაც. როგორც უმბერტო ეკო შენიშნავს, ჰიპერმეზია (მეხსიერების გადატვირთვა ინფორმაციით) მეტ საფრთხეს გვიქმნის, რადგან მედიით გადმოცემული ყოველწამიერი სიახლეების ოკეანეში, დიდი ალბათობით, იმ მნიშვნელოვანს დავკარგავთ, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია. მაგალითად, არსებობს დადასტურებული ცნობა იმის თაობაზე, რომ 11 სექტემბერს „ტყუპებზე“ განხორციელებული ტერორისტული შეტევის შესახებ ინფორმაციამ ადრევე გაუონა, თუმცა ადრესატამდე დროულად ვერ მიაღწია, რადგან აურაცხელი შეტყობინების გროვაში ჩაიკარგა.

ინტერნეტის მომხმარებლისთვის საინტერესო ტექსტი რომ დავწეროთ, პირველ ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ საკუთარი გზის პოვნა ინფორმაციის ამ უზარმაზარ ნაკადში მოგვიწევს. შექმნილ ვითარებაში განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს საინტერესოდ, ორიგინალურად თხრობის უნარი. ამ ნიჭით დაჯილდობულ ქართველ ავტორთა შორის გვევლინებიან უურნალისტები, მწერლები, პუბლიცისტები, კულტურის, მეცნიერების, აკადემიური სფეროს ნარმომადგენლები და, რა თქმა უნდა, პოლიტიკოსები. ზოგადად, ონლაინმწერლობა ყველას იზიდავს, რადგან აյ უფრო იოლია დამკვიდრება, მიმდევრების შემოკრება, მათი დარწმუნება. თანაც, მომგებიანია, რადგან კომერციულ და პოლიტიკურ ინტერესებსაც კარგად ითავსებს. როგორც პოლიტიკა მოქმედებს დღეს მარკეტინგული პრინციპებით და მედიაში ეფექტურ იმიჯებს ქმნის, ისე დიგიტალური მწერლობაც ცდილობს ამ მეთოდით იხელმძღვანელოს და მომხმარებლური საზოგადოების ინტერესები დააკმაყოფილოს. ამ საზოგადოებას კი გარეგნული მეტად იზიდავს, ვიდრე არსობრივი.

როდესაც ქსელურ მედიაში თხრობის მულტიმედიურ ფორმებზე ვსაუბრობთ, უნდა ვახსენოთ აგრეთვე ლონგრიდი (ასე ვთქვათ, „ვრცლად ნაამბობი“). აღნიშნული ფორმა ჩვენში არაა დამკვიდრებული, დასავლურ მედიაში კი აქტიურად გამოიყენება. იგი იძლევა სამუალებას, ავტორმა მრავალფეროვანი ვიზუალური და ვერბალური ხერხებით, მათ შორის – აუდიო, ვიდეო და ფოტომასალით ნარმოაჩინოს ამბის სხვადასხვა კუთხე და ამომწურავი, სრულყოფილი, საინტერესო მასალა მიაწოდოს აუდიტორიას. როგორც მედიის მკვლევრები ამბობენ, „ლონგრიდი არის „სტილით“ კითხვა. თუმცა ჯერჯერობით ამ ფორმას გამომცემლები და სარეკლამო კომპანიები ბოლომდე ვერ ითვისებენ. ლონგრიდის ფორმატი, ასე ვთქვათ, ექსპერიმენტის დონეზეა აღქმული. ამის მიუხედავად, დღეს ონლაინმკითხველებისთვის ინფორმაციის მიღების მსგავსი განსხვავებული ფორმა მაინც საინტერესო და მიმზიდველია“ (ცვეტკოვა 2018: 268).

მარკეტინგული პრინციპები ვახსენეთ და განვმარტავთ, რას ვგულისხმობთ: პირველ ყოვლისა, ამბის მთხრობელი წინასწარ ატარებს მცირე „კვლევას“, განსაზღვრავს სამიზნე აუდიტორიას

– ვის მიემართება მისი გზავნილები. პოტენციური ადრესატების გამოვლენა უმნიშვნელოვანესია, რადგან ავტორი ამით ამოცანას ბევრად იმარტივებს – ახერხებს იმ პრობლემების იდენტიფიცირებას, რაც აუდიტორის კონკრეტულ სეგმენტს აღელვებს. ასე იგი იოლად იპყრობს მკითხველის ყურადღებას. როდესაც ტრადიციული მედიატექსტის შინაარსობრივ და სტრუქტურულ ელემენტებზე ვსაუბრობთ, პირველ ყოვლისა, სათაური უნდა ვახსენოთ. ეფექტური სახელდება არა მხოლოდ სიმბოლური ასახვაა ტექსტში თქმულისა, არამედ საუკეთესო გზაც – მკითხველის მოსაზიდად. ოსტატურად შეთხზული სათაური ადვილად იპოვის თავის მკითხველს ონლაინსივრცეში. თუმცა, სოციალურ ქსელებში მის გარეშეც გადიან ფონს, რადგან პოსტები სათაურს არ საჭიროებს. შესაბამისად, ძირითადი დატვირთვა ტექსტის დასაწყისზე მოდის. მეთაური ფრაზა, პირველი აბზაცი უნდა იყოს მთავარი იარაღი ავტორის ხელში, რათა მან აუდიტორის ყურადღება მიიპყროს და ტექსტი ბოლომდე წააკითხოს. არც ეს ხერხი გახლავთ ახალი, მას „ლიდის“ ხელოვნებას უწოდებენ, რაც ერთ დროს გაბატონებული სტილი იყო დასაულურ პრესაში. არსებობს „ლიდების“ კლასიკური ნიმუშებიც, რომელთა ავტორებს პროფესიულ სფეროში უდიდესი აღიარება ხვდათ ნილად. ბევრი მათგანი პულიცერის პრემიითაც დაჯილდოვდა.

მიმზიდველი დასაწყისი ავტორს ეხმარება სიუჟეტური ხაზიც ოსტატურად განავითაროს, კულმინაციამდე ინტერესით მიიყვანოს მკითხველი და მერე მოხდენილი დასასრულით საბოლოოდ მოინადიროს მისი გული. როგორც ნამდვილ მწერლობაში, აქაც, მეტი ექსპრესიისთვის, დამაჯერებლობისთვის, თხრობისას პერსონაჟები შემოჰყავთ, დიალოგებს თხზავენ... ამბის თხრობის დრამატურგია მთელი ხელოვნებაა და მას მხოლოდ ნიჭიერი ავტორები ქმნიან. ორიგინალური, მრავალსახოვანი ნარატივის შექმნა შეუძლია თავისი საქმის საუკეთესოდ მცოდნე, წიგნიერ ავტორს, რომელსაც წერის ოსტატობასთან ერთად, წარმატებული პროფესიული გამოცდილება უმაგრებს ზურგს.

ტენდენციურობა რომ არ დაგვნამონ, ავტორი, რომლის ონლაინტექსტები გვსურს წარმოგიდგინოთ, იმ მთავარი კრიტერიუმების მიხედვით შევარჩიეთ, რომელთაც აუდიტორია განსა-

კუთრებულ ყურადღებას აქცევს. ეს კრიტერიუმებია: პროფესიული კომპეტენცია, მრავალრიცხვანი მიმდევარი („გამომწერი“) სოციალურ ქსელში, სტატუსების გამოქვეყნების ინტენსივობა და აქტუალურ თემებზე მსჯელობა.

პოლიტიკური ბატალიებით, მუდმივი დაპირისპირებითა და პოლარიზებული განწყობებით გამორჩეული თანამედროვე ქართული რეალობა მსუყე მასალას იძლევა განსჯისათვის. საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე უდიდესი გავლენა აქვს ე.წ. „შეხედულების ლიდერებს“ (ტერმინი გვხვდება სხვადასხვა დეფინიციით: „გავლენის ლიდერები“, „მოსაზრების ლიდერები“ (ინგლის.: „opinion makers“ ან „opinion leader“), რომლებიც სულ უფრო ხშირად იყენებენ მულტიმედიაპლატფორმებს საკუთარი მიზნებისთვის. მათი მოსაზრებები უამრავი ადამიანის ქცევაზე მოქმედებას, რაც საბოლოოდ საარჩევნო ყუთებთან ვლინდება. შეხედულების ლიდერთა შერის ბევრია კონკრეტული პოლიტიკური ძალის მხარდამჭერი, ამა თუ იმ პარტიასთან აფილირებული პერსონა, რომელიც ღიად გამოხატავს მის იდეებს და ამ მიზანდასახულობით ქმნის მედიატექსტებსაც.

„მოსაზრების ლიდერობა“ გულისხმობს საკუთარი ინტერპრეტაციით დანახული რეალობის საზოგადოებისთვის გაზიარებას. ამერიკელი სოციოლოგების – ელიზუ კატცისა და პოლ ლაზერფილდის მიერ შემუშავებული „კომუნიკაციის ორსაფეხურიანი თეორიის“ მიხედვით, იდეები გადაეცემა ჯერ მედიიდან გავლენიან ადამიანებს, შემდეგ კი მათი მეშვეობით – ფართო საზოგადოებას (Paul Lazarsfeld & Elihu Katz (1957)).

„გავლენის ლიდერები“ აქტიურად სტუმრობენ სხვადასხვა მედიაპლატფორმას. გამოირჩევიან კომპეტენტურობით იმ საკითხში, რაზეც საუბრობენ, აქვთ კარგი რეპუტაცია და სარგებლობენ საზოგადოების ნდობით. აქვთ მაღალი მოტივაცია, რომ გაზარდონ საკუთარი სოციალური სტატუსი (მალლაკელიძე 2019: 9-10).

ცნობილი ფსიქოლოგი და მწერალი ნათია ფანჯიკიძე ერთეულთა იმ ქართველ ავტორთაგან, ვინც ზემოთ მოხმობილ კრიტერიუმებს სრულად აკმაყოფილებს, აქტიურობს სოციალურ ქსელში და მაღალი რეიტინგითაც სარგებლობს. „ფეისბუქში“ მას 92 796 „გამომწერი“ ჰყავს. პოსტი, რომლის შესახებაც გვინდა

ვისაუბროთ, მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს გამოქვეყნდა და მას 6,9 ათასი მოწონება, ათასზე მეტი კომენტარი და ამდენივე გაზიარება მოჰყვა. მკითხველი რომ მყისიერად „დაიმგზავროს“, ამ ავტორს დიდი ძალისხმევა არ სჭირდება, რასაც მისი გულწრფელობა, თხზვის ორიგინალური მანერა და მორალური პოზიცია განაპირობებს. თემატური მრავალფეროვნების მიუხედვად, ნათია ფანჯიკიძის პოსტები, უმეტესად, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე რეაგირების მცდელობებია. თავის მინი-ბლოგებში იგი ცდილობს შუამავლის როლი იყისროს, ნეიტრალურობა შეინარჩუნოს (თუმცა, ნეიტრალურობა რაღაც დოზით მაინც ნიღბავს სიყალეს), მოარიგოს დაპირისპირებული მხარეები და მიუკერძოებლად ისაუბროს ქვეყნისთვის საჭირბოროტო თემებზე. პოლიტიკასთან მისი კავშირი პოლიტიკოსის მეუღლის როლით თუ დასტურდება (ირაკლი ალასანიას ცოლი გახლავთ), მაგრამ პროფესიონალი ფიქტოლოგისთვის დღევანდელი რთული ვითარება მდიდარ მასალას იძლევა განსასჯელად.

„მხარდამჭერი რომ ვიყო, მივიდოდი ყოფილ პრეზიდენტთან, მივუტანდი შავი მამლის ბულიონს და ვეტყოდი, აბა, ერთი ლუკ-მა ჩემი ხათრით, მეორე ლუკმა იმის ხათრით... აბა, თვითმფრინავი მოფრინავს...“ – ასე იწყებს საუბარს ნათია ფანჯიკიძე ერთ-ერთ ბოლოდროინდელ პოსტში, რომელიც თანადროულობის მწვავე თემას – ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პატიმრობას უკავშირდება. ლიდში, რომელიც რეფერენციის მაღალი ხარისხით გამოირჩევა და, პირველ ყოვლისა, მიემართება მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი სკეპტიკურად განწყობილ აუდიტორიას (იმავდროულად, ძალიან აღიზიანებს მოშიმშილე პრეზიდენტის მომხრეებს), უკვე ნათლად ჩანს ავტორის პოზიცია, რასაც ირონიული ტონი აძლიერებს. ამ შემთხვევაში, მისი მიზანი, აქტიური დასაწყისით მიიმხროს მკითხველი, სრულად მიღწეულია. ზოგადად, „სთორითელინგის“ სპეციფიკა გულწრფელობისა და უშუალობის მაღალ ხარისხს გულისხმობს. მკითხველი მთხველში თანამოსაუბრეს უნდა გრძნობდეს, თითქოს პირადად მას უყვება ამბავს და საკუთარ მოსაზრებებს უზიარებს. თხრობის სტილიც სადა, ნათელი უნდა იყოს, ტერმინებისგან და „პროფესიონალიზმებისგან“ თავისუფალი, ლაკონური და დაწურული.

ეს ამოცანა ავტორმა წარმატებით შეასრულა. ირონიული პირდაპირი ლიდით (ტექსტის დასაწყისი) მიიმხრო აუდიტორია და მაშინვე მთავარ სათქმელზე გადავიდა, მკითხველს დავით მეფის მაგალითი შეახსენა და ამბის მორალურ მხარეზე გადაიტანა აქცენტი. „ადამიანების მორალურად დაჩაჩინაკებაზე უარესი არაფერი შეიძლება იყოს და ვინც ამას აკეთებს, ყველაზე დიდი დამნაშავეა ქვეყნის წინაშე“ – შეახსენებს ავტორი ხელისუფალს – წარსულსაც და მოქმედსაც, ცოდვების მონანიებისკენ მოუწოდებს მათ, ვინც შესცოდა და არ მოინანია. მკითხველში რომ თანაგანცდა გააძლიეროს, საკუთარ გრძნობებსაც წრფელად გაანდობს: „ყოველ დილას რომ ვიღვიძებ, სანამ გავწონასწორდები, ყველა დარდს ერთად ვდარდობ, თუკი რამე შემიცოდავს და იმასაც, რაც არ შემიცოდავს“. ან კიდევ: „ვცდილობ გრილი ვიყო და შორიდან ვუყურო ამ გროტესკს, რაც ხდება, მაგრამ ამომეთქმევინა, მტკივა მაინც, როგორც ჩანს“.

პერსონალური ისტორიით, პირადი ემოციებით გადმოცემული ამბავი მისი წუხილია ფუჭად დაკარგული დროისა და იმის გამო, რისი მომსწრებიც გავხდით. დაუნდობლობა, შუღლი, ერთმანეთის გამეტება, მუდამ კრიჭაში დგომა... ეს ვნებები ასუსტებს, ლლის ქვეყანას, უკან ხევს განვითარების გზიდან. „ბოროტებაზე და მტრობაზე დიდი სისულელე და ცხოველურ წარმოშობასთან ნათესაობის მამხილებელი ხომ ადამიანში სხვა არაფერი არსებობს“ – ამ მტკიცებითი ფრაზით ასრულებს თხრობას პოსტის ავტორი და ერთგვარად აჯამებს სათქმელს, რომელიც დარწმუნების რიტორიკითაა გამყარებული.

ზოგჯერ ავტორი მოკლე, ერთ ან ორფრაზიანი პოსტებით ეხმიანება საჭირბოროტო თემას. ასეთი ტექსტები ძირითადად გროტესკულია. მათში მხილებულია ის მანკიერებები, რაც დღევანდელ საზოგადოებაში გამეფებულა, გამათრახებულია პოლიტიკოსები, სამსჯავროზეა გამოყვანილი ძლიერნი ამა სოფლისანი, ვისაც ძალაუფლება ხელთ უპყრია, მაგრამ საქვეყნო საქმეებისთვის ვერა და ვერ მოუცლია. ეს პოსტები სხვადასხვა მიზანდასახულობისაა – ზოგჯერ საერთო პასუხია კრიტიკულ კომენტარებზე, ხან ლალი ირონიით ოპონენტთა ვნებათაღელვის დაცხობის, ხან კიდევ მარადიულ ფასეულობათა შეხსენების

მცდელობაა. ამგვარ მინიმალისტურ ტექსტებს ერთი ხელწერა აქვს. თითქოს ფინჯან ყავაზე სასაუბროდ იხმობს მკითხველსო, მათი უმეტესობა ასე უმუალოდ იწყება: „რა მაგის პასუხია და...“ (ავტორი ხშირად იყენებს, ასევე, ჩანართს: „როგორც ძველი რაჭული ანდაზა ამბობს“...). ქვემოთ წარმოდგენილი მაგალითები წათლად ადასტურებს ჩვენს წათქვამს:

„რა მაგის პასუხია და ყოფა-ქცევა რომ დამინუნეს ნაცებმა და მამაჩემი დაიბარეს მშობელთა კრებაზე, ნეტავ გამოცხადდა, გამოეცხადათ? და ფხიზელი იყო? თუ საფერავის ბოცით? (26 ოქტომბერი, 1,1 ათასი მონაცემი, 159 კომენტარი, 2 გაზიარება)“.

„რა მაგის პასუხია და დღესასწაულთა შორის ყველაზე ბუნებრივად ჰალოვინის აღნიშვნა გამოგვდის (პოსტი 27 ოქტომბერი, 1,5 ათასი მონაცემი, 88 კომენტარი, 41 გაზიარება)“.

„რა მაგის პასუხია და ხომ არის ხალხი, რომ ამბობს, მივალ და ორივეს გადავხაზავ! ხოდა აი ახლა ვუყურებ ვიდეოებს და გადავწყვიტე, არცერთი არ მემეტება გადასახაზად, ხოდა, მივალ და ორივეს შემოვხაზავ! (30 ოქტომბერი, 1,8 ათასი მონაცემი, 282 კომენტარი, 16 გაზიარება)“.

ჩვეული დასაწყისი არ აქვს, მაგრამ სათქმელს ცხადად ამბობს ეს დაწურული ფრაზა:

„ღმერთმა ამრავლოთ. ორ სულ მოსახლეზე თითო მერი მოგვდის (22 სექტემბერი, 3,6 ათასი მონაცემი, 203 კომენტარი, 97 გაზიარება)“.

სოციალური მედიის ბუნება წინააღმდეგობრივია. მართალია, თავისუფლებას, თვითგამოხატვის შესაძლებლობას გაძლევს და უკუკავშირსაც გთავაზობს, თუმცა ამით ბევრ ჩასაფრებულ ავის-მოსურნეს უხსნის გზას. ამ შემთხვევაშიც, განხილული პოსტის ათასზე მეტი კომენტარიდან დიდი წილი შეურაცხყოფით, ზიზ-ლით, ბოლმითაა სავსე და ბევრად სცდება ეთიკური ნორმების ზღვარს. ასე განსაჯეთ, ავტორის პირად ცხოვრებაში ჩარევის ფაქტებსაც შეიცავს. ამ სავალალო ვითარებიდან გამოსავალი, სამწუხაროდ, არ არსებობს. დღეს ბევრს საუბრობენ ინტერნეტის რეგულირების მექანიზმზე, იმ ინსტრუმენტებზე, რაც ხელს შეუწყობს მსგავსი აღვირახსნილი ინფორმაციული იერიშების თა-

ვიდან არიდებას, მაგრამ ჯერჯერობით ეს მხოლოდ ვერსიებია და პრობლემის მოგვარებამდე ძალიან შორია.

შეურაცხმყოფელი, აგრესიული და არაეთიკური კომენტარების ავტორებს ბლოგერი უპასუხოდ მაინც არ ტოვებს. ამ დაუმსახურებელ აგრესიას იგი მშვიდი, უდრტვინველი ტონით, ჩვეული ლალი იუმორით ხვდება და გახელებულ ოპონენტთა დაშოშმინებას ცდილობს:

„რაც არ უნდა გიპასუხოთ, რომელიმე მხარე დამცხებს, ამიტომ ჩუმად ვიქწები))“ (64 მოწონება)

„უჰ, დაიკიდე. ამერია უკვე სათვალავი, როდის რომელი მორბის და გადავაგდებ სავარცხელს, გამოაპობენ ტყეს, გადავაგდებ სალეს ქვას და ასე))“

მაგრამ ყოველთვის ასე მშვიდად ვერ შეხვდები დაუმსახურებელ ბრალდებას. მეტისმეტად გაცხარებულ ოპონენტს, რომელმაც ბარბარე რაფალიანცის სიკვდილის ამბავი შეახსენა და ამ ტრაგედიაზე პასუხისმგებლობა მასაც დააკისრა, მკაცრად პასუხობს:

„ჩემო ძვირფასო, ... მე ერთნაირი პატივისცემით გცემთ პასუხებს თქვენნაირებსაც, სანამ მთლად ყველა ზღვარს არ გადააბიჯებთ და პრეზიდენტებსაც, კარგი ქვეყნის პრეზიდენტებთანაც მისაუბრია და თვალებს არ ვხრი ლაპარაკის დროს და ბელადებს და „ლერთებს“ თვალებში ვუყურებ. 10 თვის ბავშვი კი სწორედ იმ არანორმალურმა, ზონდერების თარეშისგან გამოწვეულმა არეულობამ იმსხვერპლა, რა ისტერიულ ფონზეც მიღიოდა არჩევნები და ცოტა მოთოვეთ.... ახლა მაინც მოთოვეთ ეგ თქვენი ყოვლად უაზრო აგრესია (249 მოწონება)“.

არცთუ იშვიათად სოციალურ ქსელში ერთი პოსტის ქვეშ მთელი სპექტაკლი თამაშდება, მასში მონაწილე მთავარი პერსონაჟებით: ავტორი, ოპონენტი, მისი მხარდამჭერები და ავტორის მოსარჩლეები. ყველაზე მახვილგონიერ კომენტატორებს მომწონებლების არმია ჰყავთ ორივე მხრიდან. ვნებათალელვა პიკს რომ მიაღწევს, „გამშველებლებიც“ უმალ გამოჩნდებიან ხოლმე. ზოგიერთი „ფრენდი“ ცდილობს მომრიგებლის როლი იტვირთოს, ორივე მხარე დაამუნათოს, ან კიდევ, ცნობილ პიროვნებათა ციტაციის გზით შეაგონოს. ასე მოიგო ბევრის გული კომენტარის

ავტორმა, ვინც მოპაექრეებს ნელსონ მანდელას სიტყვები შეახ-სენა: „გონება, რომელიც შურისძიებას ესწრაფვის, ანგრევს სა-ხელმიფოს, ხოლო გონება, რომელიც შერიგებისკენ ესწრაფვის, ერად აყალიბებს მას!“ (107 მოწონება).

„დრამერის“ სახელს („ნიკენიმს“) ამოფარებული ფეისბუკე-გობრის გულწრფელი და ემოციური სიტყვები, სოციალური ქსე-ლის გავლენიანი ქალი-ავტორის მიმართ თქმული, ალბათ, სხვათა გულისთქმასაც გამოხატვეს:

„პოლიტიკაში ისე ვერკვევი, როგორც ჩინურის რომელიმე დიალექტში, არც „მხარე“ არ ვარ, შესაბამისად. მაგრამ ის კი ვი-ცი დარწმუნებით, რომ იმ არაჩვეულებრივ და განსაკუთრებულ ადამიანთაგანი ხარ, ასე ცოტა რომ არიან დღეს და ასე რომ გვჭირდება ყველას უკვდავების წყალივით. ისეთი, სიცოცხლეს ფერებს რომ აძლევენ. ამ ქვისა და ტალახის მსროლელ ადამი-ანებისაგან გამომეტებული, შენამდე ვერასოდეს ვერაფერი მოვა, ვერასოდეს!!!“

სითბოთი, მადლიერებით სავსე სიტყვები, რაც ნამდვილად არაა იშვიათი ნათია ფანჯიკიძის „კედელზე“, ნათლად მოწმობს ადრესატისადმი ნდობას, პატივისცემას. ამას კი დამსახურება სჭირდება. პოსტების უკუკავშირიდან ჩანს, რომ ავტორი ყოველ-თვის ყურადღებით კითხულობს კომენტარებს, არასდროს ტო-ვებს რეაგირების გარეშე თითოეულ გამოხმაურებას:

....თუ თვალი მოკრათ, დიდხანს უკოცნელადაა ჩემ კედელზე ვინმე, გთხოვთ, ჩაეხუტოთ, არ ხარ მარტო, აქ ვართ ჩიტოსან-თა დიდი ლაშქარითქმ. მერე რა მოხდება და, როგორც ძველი რაჭული ანდაზა ამბობს – მდინარე იწყება ნაკადულით, მეგობ-რობა ღიმილით და ლოთობა ყლუბით. ხოდა ფბ-ზე მხოლოდ სიყვარულის მდინარეებს რომ ჩავყვებით ერთად, დაგულულები, ნაკოცნავები, ნაპირზე მდგომები ერთმანეთს ეტყვიან ჩვენზე, მანდ არ შეცურო, გიუები ბანაობენ, ღვინის მდინარეა, ჩიტოს-ნები და ლოთები კოცნაობენ სიყვარულის სახელით და სეირნო-ბენ ტივებით დილიდან დილამდეო. „დაგვაპაიდებენ“ თავმობებ-რებულები, აისხამენ ნამგალს და უროს და გარეკავენ ერთმანეთს

აგრესიულ პატრიოტიზმში სამეცადინოდ (19 ოქტომბერი 1,6 ათასი მოწონება, 178 კომენტარი, 17 გაზიარება)“.

უშუალობა, დიალოგურობა, მორალურ ფასეულობებზე აქცენტირებით პრობლემათა არსის წარმოჩენის მცდელობა, ზოგჯერ მწვავე კრიტიკა ის მახასიათებლებია, რაც ნათია ფანჯიკიძის ხელნერას ქმნის. მკითხველი აუდიტორიისადმი გულთბილი დამოკიდებულება, მეგობრული ტონი, გულისხმიერება და, რაც მთავარია, პროფესიონალიზმი განაპირობებს ამ ავტორის პოპულარობას ქსელურ მედიაში, მისდამი მკითხველის ნდობასა და სიყვარულს. ზემოთ განხილული ნიმუშები ამას ნათლად ადასტურებს.

ამგვარად, წარმოდგენილი ნაშრომით შევეცადეთ გვეჩვენებინა, როგორ უნდა მოვყვეთ ამბავს ქსელურ მედიაში. პოპულარული ავტორის პოსტინგზე დაკვირვებით მივადევნეთ თვალი იმ პროცესს, რაც სოციალურ ქსელში ავტორისა და მკითხველის ურთიერთობის თავისებურებას გამოკვეთს. დღეს თავისუფალი სადისკუსიო სივრცე, რასაც ონლაინფორმაციის იდეა გულისხმობს, პოლიტიკურად ანგაუირებული პერსონების თვითგამოხატვის ასპარეზზად იქცა. მაგრამ ნათია ფანჯიკიძის მსგავსი ავტორები გვიყვებიან ამბავს იმის შესახებ, როგორ დავრჩეთ ადამიანებად და ამ უნდობარ დროში როგორმე გადავრჩეთ.

დამონიტაცია:

ლაზერფელდი ... 1957: Lazarsfeld P., Katz E., *Two-step flow of communication* „, University of Pennsylvania, 1957, Retrieved from: <https://pdfs.semanticscholar.org/14bf/5eecd62109371eb45b6028a9160a2efb9cad.pdf> – ბოლო ნახვა: 21.11.2021.

მალლაკელიძე 2019: მალლაკელიძე ნ. ფეისბუქსტატუსი – თანამედროვეობის აქტუალურ თემათა რეპრეზენტაციის საშუალება. სამაგისტრო ნაშრომი. თსუ, 2019. ვებ.მის: <https://openscience.ge/bitstream/1/1193/1/MA%20Thesis.%20Maglakelidze%20%281%29maskomi2019.pdf> – ბოლო ნახვა: 21.11.2021.

პოსტელნიკ 2016: Postelnicu M., *Two-step flow model of communication*. University of South Florida. Retrieved from: <https://www.britannica.com/topic/twostep-flow-model-of-communication> – ბოლო ნახვა: 21.11.2021.

ცვეტკოვა 2018: Tsvetkova, M. *The Revival of Long Reading: A New Multimodal Narrative Format*. <https://bit.ly/3zfgWZ8> – ბოლო ნახვა: 21.11.2021.

ჭაბუა ამირეჯიბი – 100

ლალი ავალიანი

მზეჭაბუკი

ჭაბუა ამირეჯიბის ფენომენი ვერავითარ სამანებში ვერ თავ-სდება: „დათა თუთაშხიამ“, ავტორის უმდიდრესი, თუმც უმძიმე-სი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და მაღალი ნიჭის ტვიფარი რომ აზის, უმაღვე ლეგენდარულ პიროვნებად აქცია იგი. რო-მანს იმთავითვე მოწმენდილ, შეუმკრთალ ცაზე გავარდნილი მეხის ეფექტი დაჲყვა, ხოლო ავტორი ეფემერულ პიროვნებად უფრო წარმოედგინათ, ვიდრე საბჭოეთის მოქალაქედ (ჭეშმარი-ტი), ხორცსხმული ავტორის მზეჭაბუკ ამირეჯიბის უჩვეულო ბი-ოგრაფია და სრულიად არაორდინარული პიროვნება, მკითხველთა უმრავლესობისათვის მაშინ უცნობი იყო).

„დათა თუთაშხიას“ „ცისკარში“ დაბეჭდვა იმ დროის დიდი პა-რადოქსიც გახლდათ, რასაც უეჭველია, უურნალის იმუამინდელ რედაქტორს ჯანსულ ჩარკვიანსაც უნდა ვუმადლოდეთ.

რომანი იმის დასტური იყო, რომ სიჭაბუკიდანვე მრავალტან-ჯულ ავტორს, სიცოცხლის ხალისი და მხეობა ოდნავადაც არ შებდალვოდა, თუმც ჯოვანეთისთვის ბევრჯერ გაესწორებინა თვალი. ან უკვე საბოლოოდ სამშობლოში დაბრუნებულ მწერალს „ჩვეულებრივი“ ცხოვრება (ანუ ჩვენებური ქეიფი და დროსტარე-ბა) ვერა და ვერ ეთმობოდა (ეს თავად აღუნიშნავს მრავალგზის, ჩვეული თვითირონით); ამასთან დღენიადაგ მუხლჩაუხრელი მუშაობა მოუხდა ცხოვრების სახსარის მოსაპოვებლად, რაც, ცხა-დია, ზღუდავდა მის სამწერლო მოღვაწეობას.

60-იანი წლებიდან ბეჭდავდა მოთხოვებებს, 1962 წელს პატარა წიგნიც გამოსცა.

გარეგნობით, ვაჟეკაცობით, ჯიშითა და გვარიშვილობით, პიროვნული ხიბლით, ენამჭევრობით, უბრალო ადამიანების თანადგომით, შემწყნარებლობითა და გასაოცარი კომუნიკაბელურობით გამორჩეულ ჭაბუა ამირეჯიბს იმთავითვე არ აკლდა სიყვარული და პატივისცემა, თუმცა „დათა თუთაშინამ“ მას საყოველთაო, ჭეშმარიტად სახალხო მნერლის დიდება მოუტანა.

მრავალი წელი მოანდომა ავტორმა „გორა მბორგალის“ დასრულებასაც (სამწუხაროდ: ვინ იცის, რამდენ უცხოურ პრემიას დაიმსახურებდა!). ავტობიოგრაფიული რომანი, „ლოკალური“ გულაგური ისტორია ზოგადსაკაცობრიო პარაბოლად აღიმება; თუმცა, სიკეთისა და ბოროტების, ძალადობისა და სიმამაცის, ულმობლობისა და ჭირთათმენის დაუსრულებელი, მარადიული შერკინება ქართული სულის ზეობის, ქართული ფეხომენის ჭრილ-ში წარმოჩნდა.

ერთადერთი რომანი, რომელიც ავტორის თქმით, შეგნებულად „მოკლედ“ დაიწერა, – „გიორგი ბრწყინვალეა“ – მნერლის ბოლო, დაუმთავრებელი რომანი.

* * *

„დიდ კატორდელთა მოდგმის“ (მამამისი, ადვოკატი ირაკლი ამირეჯიბი 1938 წელს შეენირა, დედა – გადასახლებული ჰყავდა) ჭაბუა ამირეჯიბი, თექვსმეტწლიანი განშორების შემდეგ, კორიანტელივით დაქროდა მონატრებული თბილისის ქუჩებში: ლამაზი, ლაღი, ახოვანი, წელგამართული, ყელმოღერებული – ნამ-დვილი არისტოკრატი. როგორც მოსალოდნელი იყო, მრავალჭირგამოვლილ მარბენალსა და ორგზის სიკვდილის მომლოდინე ყოფილ პოლიტიკურ პატიმარს იმ საზარელი წლების დაღი ჯერ ვერ მოეშორებინა: მზემოკიდებულსა და გამხდარს, ძველმოდური, გაცრეცილი, აშკარად ნაჩუქარი ლაბადა ეცვა, სახელო მაჯებსაც კი ვერ უფარავდა. მისი პიროვნებით დიდად ვიყავი დაინტერესებული, ალბათ ამიტომაც მეცა თვალში დიდი ხელის მტევნები, მუშაკაცივით დაშაშრული.

მოგვიანებით, როცა ჭაბუა გავიცანი, მისი მეუღლის, ჩემთვის სტუდენტობიდან ახლობელი და საყვარელი პოეტის თამრიკო ჯავახიშვილის წყალობით, გაოცებით შევნიშნე, რომ მის ჯიშსა და „ხელობას“ (მნერლობას) გადასახლებაში ნაჯაფი ხელები დაეხვენა.

* * *

ქართული ენციკლოპედიის ახლადდაარსებულმა რედაქციამ თავდაპირველად მწერალთა სახლის სხვენზე დაიდო ბინა.

ენისა და ლიტერატურის რედაქციაში ვმუშაობდი, მედიცინის განყოფილებაში მუშაობდა პაოლო იაშვილის ერთადერთი ქალიშვილი მედეა იაშვილი, გულდია, ყოველგვარ სწობიზმს მოკლებული უმშვენიერესი ქალბატონი. მისდამი განსაკუთრებული პიეტეტი მქონდა: გარდა უმცროსუფროსობისა, „ცისფერყანწელთა“ ლიდერის, პაოლო იაშვილის, საფიცარი ასულიც გახლდათ.

60-იანი წლების მიწურულს, ადრეულ გაზაფხულზე, მედიკოს-თან და სხვა თანამშრომლებთან ერთად, მწერალთა სახლიდან გამოვედით. მაჩაბლის ქუჩის ბოლოს შევნიშნეთ ჭაბუა ამირეჯიბი, რომელიც ხშირად სტუმრობდა მწერალთა კავშირს. რა დამავიწყებს იმ ალალ სიხარულს, როგორითაც ერთმანეთს შეხვდნენ მედეა და ჭაბუა. მოკრძალებულად განზე გავდექით. შორიახლოს ხანდაზმული, წელში მოხრილი ოქროყანელი ქალბატონი ახლადშემოსულ ყოჩივარდებს ჰყიდდა. მისდა გასახარად, ჭაბუამ ყვავილებიანი კალათა დაუცარიელა, ხურდაც კი არ გამოართვა, ჯერ მედიკოს მიართვა თაიგული, მერე ყველას ჩამოგვირიგა. ერთხანს თავაზიანად გამოგველაპარაკა, დამშვიდობებისას კი სახეგაბრწყინებულმა გვითხრა - ვისაც თვრამეტი წლის მედეა იაშვილი არ უნახავს, არც ლამაზი ქალი უნახავსო. მოგვიანებით, თამრიკოსგან გავიგე, რომ დაპატიმრება-გადახვენამდე მედეა მისი საცოლე ყოფილა.

გაივლის მრავალი წელი და „გორა მბორგალში“ წავიკითხავ: „ჩემ ცხოვრებაში ქარტეხილივით შემოიჭრა ახალი უნაზესი სიყვარული: მშვენიერი ტან-ფეხი, ზღვასავით უძირო, ერთთავად წყლიანი თვალები, ლამაზი, კეხიანი ცხვირი, შესაშური სიმღერა და იუმორი; მამამისი, საყოველთაოდ ცნობილი კაცი, ოცდა-ჩვიდმეტ წელს შეეწირა. ჩვენ ერთმანეთისათვის სიყვარული სიტყვიერად არ გაგვიმხელია, მაგრამ ეს ორივესთვის ულრმესი გრძნობა იყო.“.

„გორა მბორგალს“, რომელშიც უამრავი რეალური ამბავია მოთხოვილი, თან ერთვის თამრიკო ჯავახიშვილის დანართი

(„რომანის პერსონაჟები. რეალური თუ გამონაგონი“); მასში მითითებულია, რომ „უნაზესი სიყვარულის“ ობიექტი მედეა იაშვილი გახლდათ.

* * *

ენციკლოპედიის პირველი ტომი გამზადდა. ჭაბუას დავურე-კე და სტატიისათვის ფოტოსურათი ვთხოვე. მალევე მოგვიტანა პატარა ფოტო – ავარჩიე, დიდი არაფერია, მაგრამ ერთადერთი მაქვს, თანაც ჩემი ცხოვრების სამახსოვრო ამბავს უკავშირდებაო. წესისამებრ, სურათი ტექნიკურ განყოფილებას გადავეცი, თანამშრომლებს ვთხოვე, თვალის ჩინივით მოფრთხილებოდნენ. ფოტო დაიბეჭდა თუ არა, მაშინვე დედნის წამოღება მოვინდომე, თუმცა ამაოდ: სურათი გამქრალიყო... ბევრი ვიბრძოლე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ასეთი რამ არ ხდებოდა, მაგრამ იმ დროისათვის დიდ ქართულ საგას, „დათა თუთაშხიას“, უკვე მთელი საქართველო კითხულობდა. ეჭვიც არ შემპარვია, რომ ავტორის რომელიმე თაყვანისმცემელმა, სავარაუდოდ, მშვენიერი სქესის წარმომადგენელმა, უცერემონიოდ მიითვისა ფოტო, მის კვალსაც კი ვერ მივაგენი.

შავ დღეში ჩავვარდი, მეტი რა გზა მქონდა, ხომ უნდა გამემნილა ეს ამბავი, ცხადია, დამნაშავედ ვგრძნობდი თავს.

გავტედე და დავურეკე ჭაბუას, მაშინვე დავაფასე მხოლოდ დიდი ადამიანებისათვის დამახასიათებელი უბრალოება და მიმტევებლობა: საყვედურიც არ დასცდენია, გაეცინა კიდეც ინკოგნიტო თაყვანისმცემლის ხსენებაზე.

2001 წელს ჭაბუას მდიდრული იკონოგრაფიით აღჭურვილ შვიდტომეულში (მის გამოცემას გია ჯოხთაბერიძეს უნდა ვუმადლოდეთ), როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ აღმოვაჩინე ენციკლოპედიის პირველ ტომში დასტამბული ფოტო. დღევანდელი ტექნოლოგით, ალბათ ადვილი იქნება მისი გადმოღება და სრულყოფილად აღდგენა, მით უმეტეს, რომ მწერალს თავად ეძვირფასებოდა ეს სურათი.

ენციკლოპედიის შესაბამისი ტომი 1975 წელს გამოიცა, დაკარგული ფოტოს თარიღი ზემოხსენებული შვიდტომეულის პირველ ტომშივე დავადგინე – თამრიკოსა და ჭაბუას უფროს ვაჟთან

ქუცნასთან გადაღებული სურათით (წარწერით – „მე და ქუცნა. 1967 წ.“), ჭაბუას იგივე საზაფხულო პერანგი აცვია და თავადაც ისევე გამოიყრება, როგორც დაკარგულ ფოტოზე. როგორც ჩანს, სწორედ ქუცნას დაბადების სიხარულს უკავშირდებოდა მწერლის განსაკუთრებული დამოკიდებულება ამ ფოტოსადმი.

* * *

ჩემთვის ჭაბუა მუდამ იყო მოწინებისა და პატივისცემის საგანი. ხშირად შევხვედრივარ ლიტერატურულ საღამოებზე, გამომცემლობებისა თუ უურნალ-გაზეთების რედაქციებში, ბანკეტებზე... ჩემდა საბედნიეროდ, საერთო მეგობრების შინაურულ სუფრებზეც ვყოფილგარ მისი და თამრიკოს თანამეინახე, ენაწყლიან, მოამბის დიდი ნიჭით მადლმოსილ მწერალს დელფოსის ორაჟულივით სულგანაბულნი ვუსმენდით. სხვათა შორის, მოსმენის კულტურასაც (რაც ესოდენ იშვიათია) საუკეთესოდ ფლობდა.

ერთ-ერთ დაბადების დღეს, სავარაუდოდ, 70-80-იანი წლების მიჯნაზე (მაშინ „გორა მბორგალის“ ნაწყვეტებიც კი არ იყო დაბეჭდილი) მოვისმინეთ ჭაბუასგან ეგრეთ წოდებული „ქილების ამბავი“: გადასახლებაში მყოფი კაცი ფეხმსუბუქ ქალს ესტუმრება, უფულობის გამო „ჰონორარს“ თუნუქის ქილით გადაუხდის; კმაყოფილი რჩება ქალის „მომსახურებით“ და, თითქმის ყოველდღე დადის მასთან, სანამ ქილები (რაც იმ სიდუხეჭირეში დიდად ფასობდა) არ გამოელევა. გამოხდება ხანი და ერთხელაც, თავად ქალი ესტუმრება ქილით ხელში და ასე გრძელდება მათი „ციმბირული რომანი“...

ამ სახალისო მონათხრობმა ჩვენი დიდი ინტერესი გამოიწვია, შემდეგში ეს ნამდვილი ამბავი „გორა მბორგალის“ IV კარში აღმოვაჩინე - გადასახლებული ტრაქტორისტის მონათხრობი, ბევრად უფრო სკაპრეზული და ცინიკური, როგორც ჩანს, მწერალმა ჩვენს სუფრასთან მჯდომი მანდილოსნების სიმრავლე გაითვალისწინა და უბირი ტრაქტორისტის მონათხრობიც „შეარბილა“. ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი გასაოცარი ამბავი, ფაქტობრივად, დასრულებული მოთხრობაა „გორა მბორგალში“; ზოგი ჭაბუას რეალურ თავგადასავალს გადმოგვცემს, ზოგიც - სხვათა მონათხრობს - ნაირგვარი მოდიფიკაციებით. იგივე ითქმის „დათა თუთაშეიაზეც“.

ბავშვობიდან ჭარმაგობამდე მწერალს რა არ მოუსმენია „ამ“ თუ „იმ“ (მარბენლობაში, ციხესა თუ გადასახლებაში) ცხოვ-რებაში: ზნეკეთილთაგან თუ ავანტიურისტებისგან, მართლის მთქმელთაგან თუ ცრუპენტელებისაგან, ბრძნენთაგან თუ ბრიყ-ვთაგან, განურჩევლად ეროვნებისა, რელიგიური კუთვნილებისა თუ სტატუსისა.

ჭაბუა ამირეჯიბის მოსმენის კულტურა (შერწყმული დიდ ცნო-ბისმოყვარეობასა და ცნობისწადილთან, ამასთან – მოსაუბრის პატივისცემასთან) მართლაც უიშვიათესი იყო.

ჭაბუას ჩანაწერებში ასეთი რამ ამოვიკითხე: „სერიოზული საუბრის ხელოვნება – ვინმესთან პირისპირ ან რამდენიმე ადამი-ანის საუბარი მაქვს მხედველობაში – ორ ძირითად კომპონენტს შეიცავს – თქმის ხელოვნებასა და მოსმენის ხელოვნებას. თქმის თუ ართქმის თაობაზე ქართველებს დანერილიც საკმაოდ გვაქვს და ზეპირსიტყვიერებითაც გადმოცემული. მაგრამ მოსმენა ისე და ასე უნდაო, ამაზე არსად რაიმე გამიგონია. არადა, როგორი საჭირო და რთული რამ ყოფილა მოსმენის ხელოვნება. ვინც ვითარებისა თუ მოვლენის არსში ჩაწერენას ლამობს, მხოლოდ საკუთარი გონიერის ამარა ვერაფერს გახდება“.

* * *

ჭაბუას მიერ დაფუძნებული გაზეთი „განახლებული ივერია“ ავადსახსენებელ 90-იან წლებში ოაზისივით იყო, თუმცა უსახ-სრობამ ბოლოს მაინც შეუშალა ხელი. ჭაბუას შეთავაზების შემ-დეგ რამდენიმე სტატიაც გამოვაქვეყნე, რედაქცია მწერალთა სახლის ერთ მოზრდილ ოთახში იყო განთავსებული. ჩემი პირვე-ლი ვიზიტის დროს ჭაბუას ნახვის სიხარულს ისიც დაემატა, რომ დედაჩემის უახლოესი მეგობრის შვილს, პროზის მაესტროს, ვაჟა გიგაშვილსაც შევხვდი, გაზეთის მთავარი რედაქტორის ამპლუ-აში; შესანიშნავი რედაქტორები ჰყავდათ, მათ შორის გახლდათ ჩინებული ლიტერატორი ზაზა კვერცხიშვილი; განსაკუთრებით დამამახსოვრდა უმშვენიერესი, სრულიად ახალგაზრდა გოგონა ჟაკლინ სირაძე. 2001 წელს, იმავე ოთახში, კვლავ ვეახელი ჭა-ბუას; იმჯერად სასაჩუქრო შვიდტომეულს ურიგებდა ნაცნობ-მეგობრებს, რომელთა რიცხვში, საბედნიეროდ, თამრიკოსა და

ჩემი საერთო მეგობარი, ჭაბუას უმცროსი ვაჟის შალვას ნათლია – ელზა დოკვაძე და მეც აღმოვჩნდით.

მოზრდილი რიგი იდგა: ვის არ ნახავდით იქ – ნაცნობსა თუ სრულიად უცნობს, მოხუცსა თუ ახალგაზრდას, მათ შორის თბილისური ინტელიგენციის ნადებს. ვიდექით მორჩილად. ჩვენს დანახვისთანავე ჭაბუამ ჯენტლმენურად თავისთან მიგვიხმო (რიგში მამაკაცები ჭარბობდნენ) და მალევე გადმოგვცა ძვირფასი „ნადავლი“ წარწერებითურთ.

* * *

თანამედროვე ქართულმა პროზამ ან სრულიად დაკარგა ინტერესი ისტორიული თემატიკისადმი ან პოსტმოდერნისტულად „გადაწერა“ წარსული (ზოგჯერ ჩინებულადაც; ავტორთა ჩანაფიქრისა და ნიჭიერების კვალობაზე); ზოგმა ახალგაზრდა ნოვატორმა წარსულისადმი ირონიული თუ პაროდიული დამოკიდებულება მკრეხელურად და ცინიკურად გადმოსცა. დღესდღეობით თუ კი რამეა სახიფათო ჩვენი ისედაც საფუძვლიანად შერყვნილი ეროვნული ცნობიერებისათვის, სწორედ რომ ნიჭიერი და განათლებული ახალი თაობის ნიპილიზმია.

ჩვენი ისტორიისადმი, ფესვებისადმი, ტრადიციული და მარადიული ფასეულობებისადმი ამგვარი დამოკიდებულება, – ჩვენნაირი დაბეჩავებული, დაქსაქსული, დაფეთებული, რწმენადაკარგული, ლირსებააყრილი, „ალაგ-ალაგ“ სამშობლონართმეული ხალხისათვის – ჭეშმარიტად დამტკბელია.

ჭაბუა ამირეჯიბის დაუმთავრებელი რომანი ერთხელ კიდევ ჩაგვაფიქრებს საკითხთა საკითხზე: ვინ ვიყავით, რანი ვართ, საით მივდივართ...

„გიორგი ბრწყინვალე“ არ არის ტრადიციული ისტორიული რომანი, მკაცრად შემოსაზღვრული დრო-სივრცით, „ავტობიოგრაფიული“ ელემენტებით (მთხრობელი, პირველი პირი, – თავად მეფეა), ისტორიული რეალიებით... გიორგი V, მართლაც ბრწყინვალე მეფე საქართველოს ისტორიაში, სრულიად განძარცულია „ქრესტომათიული პერისაგან“, მყვირალა პათეტიკისა თუ რომანტიკული საბურველისაგან.

თხრობის სადა, იმავდროულად, მიმზიდველი და დამაინტრი-
გებელი მანერა, დასაწყისიდანვე გააცხადებს, რომ გიორგი
ბრწყინვალე ზეციური საუფლოს მკვიდრია და მხოლოდ შუამა-
ვალს, მედიუმს ეძებს მასასა და შთამომავლობას შორის.

გიორგი ბრწყინვალე ერთმანეთისაგან მკვეთრად არ მიჯნავს
საკუთარ თავგადასავალსა და ქვეყნის ბედ-ილბალს, სულერთია,
წინაპართა საქართველოზეა საუბარი თუ მომავლისაზე. მე-
ფე „იცის“ სამშობლოს წარსული, ანმყო და მომავალი. მას თა-
ნაბრად სტკოვა ქვეყნის წყლული, მისი ბედუკულმართობა, – თა-
ნამედროვეობაში, ნამყოსა და მყობადში; ამიტომაც ეზმანება
მას ვახტანგ გორგასალი, თამარ მეფე, ერეკლე მეორე თუ ილია
ჭავჭავაძე...

გიორგი ბრწყინვალის „ალტერ ეგო“ – ქრონია. მათი ერთობ-
ლივი ნაუბარი საოცრად ეხმიანება ჩვენს თანამედროვე ვითარებას.

რეინკარნაციის იდეა (გიორგი „მძლევ“ მეშვიდე მოვლინები-
სას იქცევა) მომგებიანი მხატვრული ხერხი აღმოჩნდა, რაც სა-
შუალებას აძლევს ავტორს, სხვადასხვა დროის საქართველოს
შთამბეჭდავი ეპიზოდები გადმოსცეს (თამარ მეფის დროინდელი
საქართველო, ტფილისის ყოფითი ეპიზოდები, ლარგველი ანანია
გარსევანის ძის თუ ეგარსლან ბაკურციხელის, ბარძიმ ართავა-
ჩის ძისა თუ მამა იონათამის თავგადასავალი...). დიდია გმირთა
მოქმედების არეალიც: იერუსალიმი, კონსტანტინოპოლი, ბალ-
დადი, ალექსანდრია, დარუბანდი... და, რა თქმა უნდა, საქართვე-
ლოს ამერ-იმერი.

* * *

რატომ აირჩია ჭაბუა ამირეჯიბმა XXI საუკუნის დასაწყის-
ში მაინცდამაინც XIV საუკუნის სისხლით, ბოლმით და გესლით
მოთხვრილი, იავარქმნილი, გათიშული, მონღოლთა ურდოს ქვეშ
მგმინავი, გაუბედურებული საქართველო?

ვინც კარგად იცნობს ავტორის შემოქმედებას, იცის მისი დი-
დი ინტერესი სულთმობრძავი იმპერიებისადმი და ამ ინტერე-
სის საფანელიც. ეს დაუფარავი მინიშნება ბოროტების იმპერი-
ად სახელდებული საბჭოთა კავშირის რღვევის ისტორიულ კა-
ნონზომიერებაზე ცნაურდება მის, ჯერ კიდევ საბჭოური პერიოდის

ბელეტრისტიკასა თუ პუბლიცისტიკაში. ამ რომანის პირველივე კარი სწორედ მონღოლთა ძლევამოსილების დასასრულის და-საწყისს გვაუწყებს.

* * *

ჩემდა გასაოცრად, თანამედროვე მწერალთა ერთ ნაწილს აღი-არებული კი არა, გაცნობიერებულიც არა აქვს დიდი მნერლის ლვანლი (გამონაკლისია აკა მორჩილაძე) და მისი ლიტერატუ-რული მემკვიდრეობის ცნობიერი თუ არაცნობიერი ზეგავლენა მათზე; პოსტმოდერნიზმის ზოგი „ილეთი“, როგორც ყველაფე-რი ამქვეყნად, არახალია, ძველია. „დათა თუთაშეიას“ არქაული პროლოგი-მისტიფიკაცია, მისი სახელდება XIV საუკუნის ძველი ქართული ხელნაწერის ფრაგმენტებად (სხვათა შორის, პირველ ხანებში გულუბრყვილოდ ვეძებდით მის „პირველწყაროს“), უაღრესად წარმატებული ექსპერიმენტი – კუთხურ კილოთა და ინტონაციათა, ანდა უარგონის დახმარებით პერსონაჟთა სრულ-ყოფილი დახასიათება, ზოგადად – ენობრივი თამაშები – დღეს ჩინებულად აქვთ ათვისებული თანამედროვე ავტორებს, დე-ტექტური (მათ შორის „დიდი მოგოლის ხალიჩის“ ამბავი), პი-კარესკული, ავანტიურისტული პლასტები, თუნდაც „გიორგი ბრნყინვალის“ ქრონის ამბავი (რაც „ფენტეზის“ უანრს უახლოვ-დება), სათქმელის სხვაზე „გადაბრალება“, ხილვა-ზმანებათა ამაღლებული სულისკვეთება, თხრობის „სიჭრელე“ უაღრესად სადღეისოდ აღიქმება.

* * *

ერთი დიდი კლასიკოსის ნათქვამს, – სინამდვილე გაცილებით უფრო ფანტასტიკურია, ვიდრე გამონაგონიო, – ჭაბუა ამირე-ჯიბის შემოქმედებაც და მისი ძირითადი „ნყარო“ – ცხოვრებისე-ული გამოცდილება გვიდასტურებს.

დღევანდელი მწერლობის აქილევსის ქუსლი, ჩემი აზრით, თვითმიზნური „გამომგონებლობაა“: მოდური, „ჩანოდებული“ თე-მატიკის გაფეტიშება, ნაუცბადევად, მყისიერი პოპულარობის მოსაპოვებლად გამიზნული ეპატაურ-სკაბრეზულ-ცინიკური ტექსტებით თავმოწონება და ურცხვი, დაგეგმილი თვითრეკლამა

„ყალბი თავმდაბლობის“ გარეშე. საყოველთაო კომერციალიზაციის ხანაში უმართლებთ კიდეც!

ახალი თაობის მიმართება ძველთან, ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად გადმოცემულია მწერლის თვითირონი-ით გაჯერებულ რეალურ ჩანაწერებში, იგავადაც რომ გამოდგება:

„ციხეებსა და ბანაკებში არასრულწლოვანი დამზავეები „მალოლეტკებად“ ინოდებიან.

ძნელი წარმოსადგენია საზიზღრობა, რომლის ჩადენასაც მალოლეტკა არ იკისრებს. – თვით მარბენალი გახლდით, თავზე ხელიც ამიღია, სხვისი მეტი გამბედაობაც მინახავს, მაგრამ ვერაფერი შეედრება იმ ფანტასტიკურ თავხედობასა და აზარტს, რასაც უნლოვანი გამქცევი ამჟღავნებს.

მე მალოლეტკებთან ჩემი ერთადერთი „ურთიერთობის“ ამბავს ვიტყვი. მარბენლობის გამო, ტრაპახში ნუ ჩამომერთმევა, გულაგის სამყაროში საკმაოდ ცნობილი კაცი ვიყავი. როსტოვის ციხეში ჩემი მიყვანა უმაღვე შეიტყო, ციხეში ხომ ყველაფერი ყველაზე ადრე იცის! შუა აზის ეტაპს მალოდინეს. კომენდანტს ვთხოვე, მაღაზიაში წავეყვანე. საკანი ხალხმრავალი იყო, ზოგმარის ყიდვა მთხოვა და ზოგმა რისი. ჩამოვწერე სია. მოვაგროვე ფული. გამიყვანეს. გისოსებს მიღმა მალოლეტკებს ასეირნებდნენ. ერთხანს მათვალიერეს. ერთმა მათგანმა მკითხა: „ტი ჩუბუკ, და?“ კი-მეთქი. მეორემ – ბოლოს საიდან წახვედიო? ამაზედაც გავეცი პასუხი. სიმართლეს ვიტყვი, იმ საუბრით კმაყოფილი დავრჩი! მალოლეტკები ანგარიშგასანევი ხალხი იყო და მათ მიერ ჩემი პერსონის კარგ კაცად აღიარება ერთ რამედ ღირდა. ვიყიდე ყველაფერი, ძალიან დავიტვირთე. წარმოიდგინეთ, იღლიებსა და მუხლებს შუაც კი, პარკები, ტომსიკები და ქალალდში შეხვეული პროდუქტები მქონდა გაჩრილი. ზედამხედველი უნდა მომხმარებოდა. მისი სადღაც გაუჩინარება ჩემთვის „საბედისწერო“ აღმოჩნდა. ამ ლოდინში მალოლეტკები გამოიყვანეს და – რის მარბენლობა, რის სახელი, რა პერსონაო – თხუთმეტსა თუ ოც წამში სრულიად თავისუფალი ვიყავი ყოველგვარი ტვირთისგან. ის კი არა, მშვენიერი, თბილი ჩექმები მეცვა, ვერ გამხადეს, ხელფეხი თავად გამითავისუფლეს, თორებ ფეხშიშველი დავრჩებოდი, ნაღდია.

მას მერე, მალოლეტკებს რომ მოვკრავდი თვალს, სივლტოლად მივიდრიკებოდი ხოლმე უმალ!“

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ ამ „იგავურ“ ამბავს ბუნებრივად მივუსადაგებ XX საუკუნის სამოცდაათიანელთა თაობის ერთ-ერთი ლიდერის ბესიკ ხარანაულის სიტყვებს: „დღეს თუ ვინმე ჩვენგანს თავის მოწონება მოუნდა, ჯობს, ჭაბუა ამირეჯიბი გაიხსენოს, ამგვარად დაიშოშმინოს გონებისნამგვრელი პატივ-მოყვარეობა. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ კეისარს კეისრისა მივაგო, რადგან ჭაბუა ამირეჯიბი ჩვენთვის ცოცხალი ლეგენდაა, ასრულებული და განამდვილებული“.

* * *

მძლე სულის, ჭირთამთმენი, უტეხი ხასიათისა და მძიმე სნეულების მრავალგზის დამჯაბნელი დიდი მწერლის, 92 წლის ჭაბუა ამირეჯიბის დაკრძალვა ეროვნულ მანიფესტაციად იქცა. იგი, ლირსებისამებრ, მთაწმინდის მარადიული ბინადარი გახდა.

მაკა ჯოხაძე

დოჩანა

არიან დიდი მწერლები, კლასიკოსები, რომელთაც ხალხი მხოლოდ სახელებით მოიხსენიებს.

მეტოველი არა მხოლოდ იმ მხატვრული სამყაროს გაცნობითაა ბედნიერი, რომელშიც ავტორმა ამოგზაურა, არამედ მადლიერია მწერლის, მთელი ცხოვრება უშიშრად რომ გამოხატავდა თანამემამულეთა ინტერესებს, მთელი არსებით რომ იღვწოდა სამშობლოს საკეთილდღეოდ. ამიტომ სახელით მოხსენიებაც მადლიერების ნიშანია, რომ ერთგული დარჩი, ჩინ-მედლებზე არ გაიყიდე, პატივსა და ამქვეყნიურ დიდებაზე არ გაცვალე შენი ხალხი, შენი ქვეყანა...

ქართულ სინამდვილეში მათი სახელების ჩამოთვლა, უპირველეს ყოვლისა, ლექსად გვახსენდება: „შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი“...

არანაკლები სიამაყითა და სიყვარულით წარმოითქმის დანარჩენ დიდთა გვარ-სახელები: იაკობ ცურტაველი, გიორგი მერჩულე, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, დავით კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, გრიგოლ რობაქიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია და ასე დღემდე...

და მაინც არსებობს მათ შორის უცნაური გამონაკლისები, რომელთა გვარებსაც ისე თავისუფლად ექცევიან, როგორც კლასელები ვექცეოდით ერთმანეთს ბაგშვილი, შემოკლებით ფორმაში რომ გადაგვყავდა „საგვარეულო დინასტიები“. რაშიც ბევრი რამ იგულისხმებოდა – ახლობლობა, სითბო, სინათლე, მისიანშენიანობა, სიყვარული, ბავშვობის ნოსტალგია, ცელქობა, უფლებამოსილება, თანასწორობა, ურთიერთშეხუმრება...

ბავშვობა ხომ ყველაზე უანგარო თაობაა სამყაროში. ბავშვობაში ცა არის ცისფერი, მზე არის მზის ფერი და ადამიანსაც ადამიანის ფერი ადევს. ეს მერე ხდება გაფერადება, როცა იწყება გაფერმკრთალება...

ვისზეც ახლა ვწერ, მარადიულ ბავშვად დარჩა და ამიტომაც მოუხდა მის ჰორიზონტივით გაწოლილ გვარს, ასე საყვარლად შე-მოკლება: დ ო ჩ ა ნ ა – ჩვენი გ უ რ ა მ დ ო ჩ ა ნ ა შ ვ ი ლ ი !

დღეს ბევრს საუბრობენ საყველთაო კრიზისზე ადამიანური არსებობის ყველა სფეროში. სანამ უშუალოდ ამ უცნაურ მწერალ-სა და მის შემოქმედებას გავიხსენებდეთ, ზოგადად, თანამედროვე სულის კრიზისა და კონკრეტულად დღევანდელი ლიტერატურის ყველაზე ნაკლულოვან მხარეს გერმანელი ფილოსოფოსის, კარლ იოილის სიტყვებით მინდა შევეხო: „ჩვენს თვალსაზრისს სამყა-როს შესახებ აკლია მისწრაფება მთლიანისადმი, და, საერთოდ, აბსოლუტურისადმი. ჩვენ გვაკლია ძალა დაჯერებისა და, მასთან ერთად, ძალაც რწმენისა;

ჩვეში აღარ არის დიდი ხასიათები, ჩვენს სინამდვილეში აღარ არიან პიროვნებები, რომლებიც უწყვეტ კავშირში გამოხატავდნენ დროისა და ხალხის ინტერესებს;

ჩვენ არა გვაქს დიდი პოეზია, რადგან კოსმიურ მთელს მოწყვეტილი ჩვენი ფანტაზია მხოლოდ უმნიშვნელოს ეჭიდება, დიადს კი ისე ექცევა, როგორც გასართობს რასმე, და ეს იმის გამოც ხდება, რომ ჩვენს პოეტებს უკვე აღარ აქვთ ის კოსმიური გრძნობა კლასიკოსებისა, მათ პოეზიას უმაღლეს ულერადობას რომ ანიჭებდა, მხატვრულ სახეებს კი შინაგანი აუცილებლობით მსჭვალავდა;

გვაქს მხოლოდ გამაბრუებელი მხატვრულობა ტონის, მელო-დიურობის გარეშე; გვაქს ჭრელზე-ჭრელი ილუსტრირება და ინსცენირება სულის გარეშე; გვაქს მდიდარი და ცოცხალი სცენა – მსახიობების გარეშე, რომლის გმირები მხოლოდ მასები და მარიონეტები არიან; გვაქს რეჟისურა, როგორც მოვლენა-თა წარმართვის ხელოვნება – არსის გარეშე; და ბოლოს, გვაქს გარეგნულად მდიდრული ცხოვრება, ისე მდიდრული, როგორც არასდროს, ოლონდ სიმშვიდის გარეშე, შინაგანი ჰარმონიის გარეშე, რადგან ამ ცხოვრებას აკლია მისწრაფება მთლიანო-

ბისაკენ, აბსოლუტურობისაკენ, სამყაროსა და ადამიანის განსაზღვრებისაკენ.

აი, ასე გარდაიქმნება ფილოსოფიის კრიზისი – დროის კრიზისად“.

სხვათა შორის, იმავე მოსაზრებებს გამოთქვამს შესანიშნავი ფრანგი პოეტი და მოაზროვნე პოლ კლოდელი, როდესაც თანამედროვე ფრანგული პოეზიის კრიზისზე საუბრობს.

ძნელია, არ დაეთანხმო მსგავს დაკვირვებებს, უფრო მეტიც, შესაძლებელია, გაცილებით გაამკვეთრო, გაამძაფრო და გაამუქო ამ შეგრძნებათა ფერები... მაგრამ, საბედნიეროდ, შემოქმედებითი პროცესი, როგორც თავად სიტყვა მიგვანიშნებს, შესაქმესთან, ლმერთის შემოქმედებასთან წილაუყრობის პროცესია.

ამიტომ ყველაზე უსამართლო რეჟიმებისა და პირქუში ეპოქების პირობებშიც, თვით აპოკალიფსურ ხანაშიც კი რჩებიან პიროვნებები, ხელოვნების გამორჩეული წარმომადგენლები, რომლებიც, მიუხედავად ყველაფრისა, სინათლეს, რწმენას, იმედს, სიყვარულს ინარჩუნებენ და ცხოვრებას გვიოლებენ.

თანამედროვე მწერალთა შორის გურამ დოჩანაშვილი ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავთაგანია. ამიტომ თუ მის შემოქმედებას თუნდაც იოლის ზემოთ ჩამოთვლილი დაკვირვებების ფონზე განვიხილავთ, დაწყებული ადრეული მოთხრობებიდან, ვიდრე ბოლო წლების სქელტანიან რომანებამდე, მწერალი პუნქტობრივად აბათილებს თითოეულ მათგანს და, საერთოდაც, დღევანდელ ფილოსოფოსთა, ხელოვნებისმცოდნეთა, მეცნიერთა, თეოლოგთა პესიმისტურ მოსაზრებებსა და განწყობილებას.

თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ გურამ დოჩანაშვილი მოკლებული იყო რეალობის გრძნობას და სამყაროში მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებს ვარდისფერი სათვალით უყურებდა.

გასაოცრად რომანტიული ბუნების მიუხედავად, ჩვენს სინამდვილეში, საბჭოური პერიოდიდან მოყოლებული, შესაძლოა, ისეთი მათემატიკური სიზუსტით დანახული, ისეთი ფხიზელი და მძაფრად კრიტიკული დამოკიდებულება ქართული დაუდევრობისადმი, გადაჭარბებული, ხარბი ჰედონიზმისა და დროის დარღიმანდული ფლანგვისადმი არც არავის ჰქონია, როგორც მას.

იქნებ ეს სინამდვილე ისე უცნაურად, ფანტასმაგორულ-ალე-გორიულად, იმდენაირი თავბრუდამხვევი ილეთებით, მის მიერ აღმოჩენილი ისეთი ხერხებითა და სამუალებებით, ისეთი თავაზყვეტილი სიცელქითა და ენერგიული ხალისიანობით, სიტყვადებინადინისა თუ ენობრივი ნორმების დარღვევით ისე არც არავის გამოუხატავს, როგორც მას... ოღონდ, დავით კლდიაშვილისა არ იყოს, მასაც არასოდეს დაუცინია საკუთარი გმირებისათვის.

სანიმუშოა ის სიყვარული, რეალურად არსებულ თუ მწერლის ფანტაზიით შექმნილ სხვადასხვა ქალაქებში მოხეტიალე თანამე-მამულებისადმი (უძლები შვილებისადმი) რომ იკითხება. ყველა-ზე ირონიულ-ნიპილისტური რემარკებით, რითაც სავსეა გურამ დოჩანაშვილის მხატვრული ტექსტები, მწერალი უამიდან-უამზე არა მხოლოდ სულის მოთქმაში ეხმარება მყითხველს, არამედ იმ უაბზაცო, უუგრძელესი წინადადებებისა და გვერდების გა-აზრებაში, იმ ორომტრიალის გარკვევაში, ავტორის ნებართვის გარეშე დაუკითხავად გაქცეულმა თუ გაპარულმა „ჩუდაკებმა“ რომ დაატრიალეს.

ეს რემარკები სიყვარულისა და თანაგრძნობის მაუწყებელი სხივებივითაა, ცნობისმოყვარე ბავშვებივით რომ იჭყიტებიან ტექსტის მხატვრული ქსოვილიდან. ასეთი ორგანული, სულხორ-ცეული ერთობა ავტორ-გმირისა, ავტორ-პერსონაჟისა დიდი იშვიათობაა. ამის დასტურად, უამრავთა შორის, ერთადერთი ნიმუშის მოხმობაც იკმარებდა აფრედერიკ მე-სა და ბესამე კაროს სახით. აფრედერიკიც ხომ ისევე იძირება მოვლენებში, როგორც აღდგენით სამუშაოებზე გაგზავნილმა ბესამე კარომ იწყო ნება-ნება ცოდვის ტკბილ ჭაობში ჩაძირვა...

ეს რა ხდება! ეს რა ესმის!!! არც თვალებს უჯერებს და არც ყურებს გაოგნებული მკითხველი.

ნუთუ ეს ის ბესამეა, ფეხშიშველა მწყემსი, სალამურზე კვნესით რომ დაატარებდა მუსიკის ღვთაებრივ ნაპერწკლებს და ამის შესახებ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა;

ნუთუ ადრე დაობლებული ის მორცხვი ბიჭია, მშიერ-მწყურვა-ლი, ყველასა და ყველაფრის მიმართ მორიდებული, ბატყანივით უწყინარი და უცოდველ, ერთ მშვენიერ დღეს უფლისაგან შეწყალებული რომ აღმოჩნდა და მფარველად დიდი მუსიკოსი, თეთრ-

წვერა ქრისტობალდ როხასი მიუჩინა. მოხუცმა კი ჩააცვა, და-ახურა, მერე თეთრი კონსერვატორიის დიდ დარბაზში მიიწვია, ხელში ფლეიტა დაჭრინა და მის მუსიკალურ ნიჭს წვრთნა და-უწყო, შრომისმოყვარეობას, დამოუკიდებელ აზროვნებას მიაჩვია.

მე რომ თქვენთვის ცხვარი არ მომიმწყემსავსო, – უხერხუ-ლად იშმუშნებოდა ბესამე; არაფერი ესმოდა უანგარო სიკეთის. სტიპენდიის სახით ჯიბეში ჩაჩრიალებულ პესოებზე სულ გა-დაირია, – რად მინდა, მაგათ რა უნდა ვუყოო.

არადა, როგორ გაუტკებება ეს პესოები მომავალში... გული გისკედება, მისი ბუნების რღვევას რომ ადევნებ თვალს. გადაგ-ვარება მით უფრო სამწუხაროა, როცა იცი, ყველაფერი რით და-იწყო და როგორ განვითარდა; როცა ხედავ ისტორიის არაკოლექ-ტიური, ინდივიდუალური ხედვის (შეფასების) გამო, – ნაპოლე-ონზე გამოთქმული სუბიექტური აზრი რომ დააფიქსირა, – აბუ-ჩად როგორ აიგდებენ და გამოცდაზე როგორ ჩაჭრიან გულუბრ-ყვილო ბესამეს; როგორ აგზავნიან გამოსასწორებლად ვატერ(პო) ლოომი ალდეგნით სამუშაოებზე; მოდუნებული ნებელობის გამო, როგორ უგრეხენ კისერს პლასტელინის ფიგურასავით და მისგან ახალი კაცის გამოძერნვას როგორ ახერხებენ.

ო, რა მნარეა ღვთის ხატად და მსგავსებად შექმნილის ასეთი ფერიცვალება. მით უფრო, როცა გაიაზრებ, რატომ, რის გამო, რისი დათმობისა და დავიწყების ხარჯზე ხდება ეს ადამიანური აღზევება, „გამდიდრება“, „გაელიტურება“, „გაპოპულარულება“... და როცა უკვე ბოლომდე დაცემული, გაპირუტყვებული ბესამე კარო, ცოდვის კიბეზე დაშვებული, უკანასკნელ საფეხურსაც ჩა-ათავებს, ღვთიური ძალა ელვის მათრახებით გადახსნის თით-ქოს ზეცის უფსკრულებს, მფარველი ანგელოზივით თეთრწვერა მოხუცს ქრისტობალდ როხესს კიდევ ერთხელ მიუგზავნის და პარში გრგვინვასავით გაისმის გაკვირვებული შეკითხვა:

„–ადამიანი იყავი ერთ დროს და, რამ გაგამხეცა...“

მთლად მოკუნტული იდგა ბიჭი.

–რისი გული გაქვს, თავი რით მოგაქვს, რა გაბადია...“

მცირეოდენი პაუზის მერე თავჩაქინდრული ბიჭი, მოულოდ-ნელად წელში გამართული და სასაცილოდ გაჯგიმული, უპასუ-ხებს მუსიკის მასწავლებელს:

„–მე მდიდარი ვარ, როგორც რომ ალბა.

შემართულ თავზე დაადო ხელი:

–შენ ღარიბი ხარ, როგორც იქსო.

მოიმჩვარა, კი მოიმჩვარა და მერე როგორ, გადაფითრდა და, მერე რაფრად...“

ამ ირობიულ „და მერე რაფრად“-ზე ჩაღიმებულმა გავიფიქრე, – რა თქმა უნდა, დაფრთხებოდა, მოიმჩვარებოდა... გამახსენდა, მოთხოვობას პირველად რომ ვკითხულობდი და კაცობიდან წრუნუნადქცეულ ბესამეს გულაფათქუნებული თვალს ვადევნებდი, რატომძაც მჯეროდა – მოხუცისაგან მაცხოვრის სახელის ეს მოულოდნელი ხსენება „პითურ“ ბესამეს ჯერ დაარეტიანებდა, მერე აზრზე მოიყვანდა და „დიდ, სამართლიან სახლში“ (ასე ჰქია ამ მოთხოვობაში ეკლესიას) ფრთხილად ფეხშედგმულს საკუთარ თავს გაახსენებდა, გაოგნებული რომ მისჩერებოდა, თეთრ კედელზე როგორ ანათებდა: „თან ნავვემი და თანაც ჯვარცმული, თანაც ღარიბი იქსო. ცოტათი იქით კი მკვეთრად მოჩანდა იმისი დედა, ძაან ნატიფად მგლოვიარე, ვისაც ბესამე მუხლმოყრილი და სანთლით ხელში ეუბნებოდა: „ძალიან დიდო ქალბატონო მარიამ, ყველაზე მოწყალეო სენიორა, აქ, ამ ქალაქში რომ ჩამომიყვანეთ, ძლიერად გმადლობთ“.

ამ მოთხოვობაშიც, ისევე როგორც დანარჩენებში, განსაკუთრებით კი რომანებში, გრაფიკულად იკვეთებიან ერთმანეთის მონაცვლე, ცივად მოლაპლაპე ლიანდაგები, რკინიგზის ხაზები, სოფლის გზები და ბილიკები, ქალაქის უბნები, ჩიხები, ლაბირინთები, თავდაპირველად რომ იშლებიან, ფართოვდებიან, იკარგებიან უგზოუკვლოდ, მერე კი თავგადასავალგამოვლილები, ხიფათებითა და მიუსაფრობით დამტრთხალები, ნელ-ნელა ტყდებიან, იღუნებიან და დაღლილები ერთმანეთისაკენ მიისწრაფიან, ბოლოებით ერთმანეთს უერთდებიან... დროით, სივრცითა და განსაცდელებით გამოცდილ წრეებში გურამ დოჩანაშვილის მიერ ჩახატული „უძლები შვილები“ ხსოვნის ობელისკებივით დგანან.

ცხოვრების ეს ურცხვენელი დასასრული გვეიმედება და უსაზღვროდ ვემადლიერებით მწერალს – აფრედერიკ მეს. ის კი ჯიუტად გვიმეორებს: „როგორც ბევრგან ვთქვი, თავად განგებასთან შედარებით, აფრედერიკ მე ზღვაში წვეთი იყო...“, რითაც იგი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ყველა მწერალი, პოეტი,

მხატვარი, მუსიკოსი, მეცნიერი, გლეხი, ქვისმთლელი, კაცი თუ ქალი, ნებისმიერ რეალურად არსებულ თუ ფანტაზიით შეთხზულ ყველა ქალაქში, დაბასა თუ პროვინციაში გამავალ ფართო გზა-სა თუ საცალფეხო ბილიკს შემდგარი მგზავრი, მხოლოდ ღვთის წყალობითა და თავისივე არჩევანით გადარჩება.

ამ წრეში იდგა ახლა ბესამე. აზრზე მოსული კიდევ ერთი „უძლები შვილი“, მონანული და ამიტომ – აღდგენილი, ტალანტ-დაბრუნებული. მადლით შემთბარი ბოლომდე ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა, რა დუღდა და რით ივსებოდა მისი სხეულის სიფ-რიფანა თხელი ჭურჭელი:

„მაინც რა იყო – უდიადეს ხელს აბოლებული ვულკანიდან ამოჰერნდა გრძნეული ფიჭა, რა იყო ეს და – მუსიკა იყო, ქვეყნის მფლობელი... ობლის დაკარგული და ან მოძებნილი, დაკემსილი ახლად ბგერები, ვინ-ვინ და დიდმა მუსიკოსმა, ქრისტობალდ დე რობასმა კარგად იცოდა, კარგად უწყოდა ამ ცხადებული, მძიმედ უწონო სიზმრების ფასი, ჯადოქარს რაღა არ შეეძლო, მაღალ ბგერებზე მოზევითურო ნაყოფისკენ ხდებოდა თითქოს, დაბალ ხმაზე კი – სიოში თოვდა, ნისლი ეფინათ შორეულ ბალებს, რაღაც ხატება ღრმა ჭაში ჩანდა, გუბეზე წვრილად, მეჩერულად წვიმდა და ზღვათა ფსკერზე გატრუნულიყო უცხო ბუჩქნარი, მისჯილად სველი – რაღაცა იყო ფლეიტის ხმაში, მძინარე ბავშვის ნიკაპზე მძიმედ ჩამოღვენთილი ნერწყვივით წმინდა, თავად ფლეიტა იმ დაბინდულ ჰაერს ჰმონებდა, შორეულ გზაზე სავალად რომ ციაგით ედო, რადგანაც მთვარე – ფლეიტის სათნო კუნძული იყო, ლურჯ მიმოფანტულ კუნძულთა შორის უსათნოესი, მიწით გრძნეული, ჰაერით წმინდა... სიფრიფანა ხმით იმსჭვალებოდა განწმენდილი და შვების გომური, წინვიანი ტყის სურნელება თვალნათლივ იდგა, რადგან ბესამე თავად წააგავდა ახლა ჯადოსნურად მსუნთქე-ბელ, გირჩებოვან მცენარეს, ერთი პატარა, გრძნეული ტოტით, რომლიდანაც რომ უცხო ნაყოფად ამოდიოდა თვით ის: უფსკერო, განუზომელი, თვით ის – მაღალი, უხვი, მდიდარი, თვით ის უზომოდ მწყალობელი, ლალი, ფართატა ბედნიერება, სიპედნიერე თვალთუხილავი, ყოვლისმომცველი ჩვენი მეუფის, თავად ჰაერის, ჰაერის მეუფე უზენაესი, დიდალზევების მსუნთქებელი თვით იის-მუსიკა“.

* * *

ამ ჯადოსნური, მუსიკალური აზრით სავსე სიტყვის ფერწერული ნიმუშებით გალიცლიცებულია გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებაში არქაული და მარად ახალი ბიბლიური ჭები. და როცა მათში არეკლილ ზეცაზე ვარსკვლავებს თუ სადღაც ტაატით მიმავალი ღრუბლების ქარავანს იხილავ, იჯერებ, რომ ღრუბელსაც თავისი სამშობლო აქვს. ფრთაშესხმული, თავადაც ზეცაში ასაფრენად გამზადებული მკითხველი გაოგნებული ეკითხება მწერალს – ეს რამ დაგანახათ, ან რამ გათქმევინათ, დაგანერინათ: „მძინარე ჩვილის ნიკაპზე ჩამოლვენთილი ნერწყვივით წმინდა...“ ანდა „დამის ლებანში თითქოსდა კენტად იჯდა ბესამე...“

მინახავს ასეთ დროს დოჩანაშვილი, შემიმჩნევია მსგავს კითხვებსა და აღფრთოვანებაზე ბავშვივით უმწეოდ დამორცხვებული, გასუსული, დაყურსული, ფართო მტევანს რომ გაშლიდა და ვრცელი ხელისგულის გაყოლებაზე ხუთივე თითს უარის ნიშნად აქეთ-იქით გადააქნევდა, თან ოდნავ დაწეული ხმით დაბეჯითებით იტყოდა ხოლმე – აჲ, არა, არა, მე რა შუაში ვარ... თუ მართლა ასე ძალიან მოგეწონათ... თქვენ რომ მოგეწონათ ეგ ადგილი, ჩე-მი კი არა, სულინმინდის გამარჯვებაა კაცის ხელითო.

ს უ ლ ი ნ მ ი ნ დ ა – ეს სიტყვა ხშირად ისმოდა მისი ბაგე-ებიდან შეხვედრებზე, პირად საუბრებში, ინტერვიუებში. თითქმის ქადაგად იყო დავარდნილი, ლვთის საიდუმლოებებთან მიახლებული, რწმენაში შესული, გაძლიერებული, ცდილობდა, შენთვისაც გადმოედო რწმენით მოგვრილი სიმშვიდე და სიხარული. და ამ დროს მის მსმენელსა და შემხედვარეს არაფერი, სულ არაფერი გეჩოთირებოდა, არ გეუხერხსულებოდა, რადგან იცოდი, გჯეროდა, რომ ასეთი რწმენის მოსაპოვებლად და იმის დასაჯერებლად, რომ ნამდვილი ხელოვანის ნიჭს სულინმინდის მადლი წარმართავდა, საკუთარი გამოცდილება უდასტურებდა.

მან ძალიან ბევრი იღვანა და ილოცა. ძალიან ბევრი იშრომა, უფლის მოწოდება – „სულს ნუ ჩაიქრობთ“ – პირდაპირი მნიშვნელობით რომ აღესრულებინა.

მართლაც ყველაფერი ამქვეყნიური ჩაიქრო, ყველაფერი ბოლომდე ჩაწვა, ზედმეტი ტვირთივით მოიცილა – ისე ბუნებრივად,

გვიან შემოდგომაზე წაბლი და კაკალი წენგოდან და ეკლიანი ბუ-დიდან რომ ამოხტება და გადამწიფებულ ჩენჩის ჩამოიშორებს.

მხოლოდ სულს უფრთხილდებოდა – ამ ღვთაებრივ პატრუქზე ზრუნავდა. ამიტომაა, რომ მის მოთხრობებს ჩაქრობა არ უნერი-ათ; ამიტომაა, რომ სანთელს მის ცხოვრებასა თუ შემოქმედებაში ასეთი იდუმალი, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იქნებ სანთე-ლი საერთოდ სიმბოლო იყოს მისი ამქეცენიური ტანჯვისა და შემოქმედებითი წვისა, რომელსაც სიმსუბუქე, შვება და სიხარული მოჰქონდა მისთვის.

„როცა ადამიანში ღმერთი ბატონდება, ადამიანი მას მეტად ეკუთვნის, ვიდრე თავის თავს. ასე თავდება თვითსიცრუის ილუ-ზია და იწყება ღმერთში არსებობის სინამდვილე“ (თამაზ ჩაჩავა).

გურამ დოჩანაშვილის შემოქმედება ღმერთში არსებობის სი-ნამდვილითაა გაუღენითილი და ეს, ალბათ, ლოგიკურიცაა, რადგან ამ საუნჯის მოსაპოვებლად, მან, როგორც ადამიანმა და როგორც პროფესიონალმა, რთული ცხოვრებისეული და ინტელექტუალუ-რი გზა გაიარა. უდიდესი ძალისხმევით, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან მოსაგებ ომებში გაიმარჯვა და ღმერთში ყოფ-ნის უფლება მოიპოვა. ამ უფლების მოპოვებაზე საუბარი ზოგს ზღაპარი ჰგონია. საერო საზოგადოებაში რატომლაც მიჩნეულია, რომ ღვთის გზაზე დადგომა, ე. წ. „მოქცევა“, გაეკლესიურება მხოლოდ სასწაულების, უკიდურესი განსაცდელებისა და ტრა-გედიების შედეგად ხდება. არადა, არცთუ ისე იშვიათად, სასწა-ულების მოლოდინსა და თავსდატეხილ უბედურებებს ადამიანი განხილვამდე, დაეჭვებამდე, ღვთის გმობამდეც კი მიჰყავს.

ღმერთის არსებობის აღიარება ამქეცენად ისე არავის და არაფერს უჭირს, როგორც ინტელექტის ამპარტავნებას. მაგრამ როცა გული და ინტელექტი სიყვარულით ერთიანდება, იწყება სრული გამოფხიზლება, გაცილებით მაღალ სივრცეებში შეღ-წევის მწველი სურვილი, სულიერებისაკენ მიმავალი გზების თავგადაკლული ძიება.

გურამ დოჩანაშვილმა პატიოსნად მოილია დიდ მწერალთა, ფილოსოფოსთა, მეცნიერთა, მუსიკოსთა და მოაზროვნეთა გაც-ნობისა თუ შეგირდობის ხანა. მაინც კარგახანს ადგილს ვერ პოულობდა, შფოთავდა, ბორგავდა, ვერ ისვენებდა, როგორც

გუმბათზე ჯვარივით ხელებგაშლილი ჭაბუკი რჩეულიშვილის „ალავერდობაში“. რაღაც მნიშვნელოვანი აკლდა სულს...

დიდხანს იდგა ღვთის სიტყვით დაბეჭდილ სამყაროს წინკართან გურამ დოჩანაშვილი, დიდხანს ჩაჰკირვიტებდა სახარებათა განმარტებებს, მუდმივად კითხულობდა წმინდა მამათა თხზულებებს, რომლებიც ამშვიდებდნენ, სულიერ წყლულებზე მალამოდ ეფინებოდნენ, რადგან გულით ნაცნობს, გუმანით მიგნებულს უდასტურებდნენ, ჭეშმარიტების შეცნობაში ეხმარებოდნენ. ეს ხანგრძლივი შრომა და ძიება დაუფასდა, ღვთის სიტყვის კარი ფართოდ გაედო, იპოვნა ნანატრი ჭეშმარიტება და ძალიან სადად, მშვიდად, ღირსეულად აღიარა:

„ვერასოდეს მოიგონებს და შექმნის ადამიანი იმას, რაც ბიბლიაში არაა. მწერლის უპირველესი და უმთავრესი მოვალეობაა, ბიბლიის მარადიული სიბრძნეები თუ გაფრთხილებები მთელი თავისი მწერლური ხერხებითა და საშუალებებით მიაწოდოს მკითხველს“.

ამით, ფაქტობრივად, თანამედროვე უდმერთო, ნეონარმართულ, სეკულარულ დროებაში მწერლის მოკრძალებული როლიც (მისიაც) განმარტა. მოკრძალებული, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ დიდი პოეტივით მასაც, როგორც უნდოდა, მკერდზე ისე ჰქონდა ქნარი მიდებული, მაინც იცოდა გამოუთქმელის ბოლომდე გამოსათქმელად ვერაფერს გახდებოდა, „დიადი ვერასოდეს“ განხორციელდებოდა... არადა, ყოვლად თვითკმარს ეს უკმარისობა აძლებინებდა, სტიმულს მატებდა, სულიერად წრთვიდა, ანგითარებდა, მიზანს უსახავდა, წინ მიიჩევდა, მის რთულ ცხოვრებას აზრსა და სილამაზეს მატებდა, ღამეების სანთელივით ჩაწვაში და ნაცრისფერი დღეების გაძლებაში ეხმარებოდა.

„დიადი ვერასოდეს“ – ამის განცდა ალიზიანებდა კიდეც, უინსაც უმძაფურებდ, თავფარავნელი ჭაბუკივით ეძახდა და იზიდავდა ზღვის გაღმა ცისკენ აღმართული კოშკისაკენ, შიგ დატყვევებული სიტყვის დედოფლისაკენ, ვინრო სარკმელში გამოდგმული თეთრი სანთლისკენ. და ისე წაშლილიყო ზღვარი საყვარელი ქალის გამოხსნასა და ნანინანატრი სიტყვის პოვნას შორის, ისეთივე ერთიანბურუსიანი ხდებოდა მუზა-ქალისა და მხატვრული სიტყვის მაგია, როგორც აკაკის შემოქმედებაშია ძნელად გასარ-

ჩევი – ერთგულებას ვის ეფიცება, ვისთვის იღვრება ცრემლად, ტკბილი სიტყვით ვის ელოლიავება პოეტი – რეალურ ქალსა თუ უბედურ სამშობლოს.

„სამყარო იმისთვისაა, რომ გაიოცო“ – ამ საოცრად ლაკონური ფორმულით ესმა ონიანმა მიგვანიშნა, რომ ღვთის მიერ შექმნილ სამყაროში ადამიანური გონებით ყველაფრის ახსნა და განმარტება შეუძლებელია.

მაგრამ რომ გაიოცო, უნდა გიყვარდეს. გაოცების უნარი სიყვარულის ნიჭივითაა, – ან გაქვს, ან – არა. სიყვარული ხომ ბუნებრივი, უანგარო გრძნობაა, მზის სხივივით იმედიანი, ჰაერივით აუწონავი, ლუკმა-პურის გამყოფი, მზრუნველი, სიკეთის წილ სიკეთის არმომლოდინე...

ადამიანური გათვლების, ანგარიშიანობის ამ მიეთ-მოეთს, რაციონალიზმად თუ პრაგმატიზმად სულმდაბლობის მთელს ამ განამაწიას, სიყვარულთან არანაირი კავშირი არა აქვს. უფრო მეტიც, ყოველივე ეს საბოლოოდ კლავს გაოცების უნარს, რის გარეშეც, პირადად მე, არა მხოლოდ ღვთის მიერ შექმნილი სამყაროს, არამედ მხატვრული მწერლური სამყაროს აღქმაც კი ვერ წარმომიდგენია. რაც უფრო დიდია მწერალი, მით უფრო გაოცებული რჩები მისი სიტყვის ძალით, მის მიერ აღწერილი დროითა და სივრცით, ლანდშაფტებითა და პეიზაჟით, ფლორა-ფაუნით, ხასიათებით, ტიპაჟებით, სიფათებით, თავგადასავლებით, წარმოსახვებით, მუსიკით, სიზმრებით, ენით, ფანტაზიით...

მახსოვს ერთხელ ლექციაზე „კაცი რომელსაც ლიტერატურა უყვარდა“-ზე საუბრისას სტუდენტებმა გოგონამ ასეთი რამ მითხრა: დოჩანაშვილი ძალიან ეფექტური მწერალიაო... სიტყვა „ეფექტურმა“ საშინლად მომჭრა ყური, იმდენად არ მესიამოვნა ეს შეფასება, დავიბენი, არ შევიმჩნიე, სხვა საკითხზე გადავედი და განბილებული დავტოვე „აღმოჩენის“ ავტორი.

წლების მერე, უან-პილ სარტრზე დაწერილ ერთ ესეიში ასეთ ადგილს წავანებდი: „ეფექტურობასა და სიწმინდეს შორის კამათი მარადიული და გადაუწყვეტელი საკითხია და ვინც ეფექტურობა არჩია, ერთთავად სიწმინდის ნოსტალგიით ცხოვრობს“. – უზუსტესი დაკვირვებაა.

ეგზისტენციალისტებთან მართლაც ასეა. დღეს იქნებ პარა-დოქსულადაც ჟღერდეს, მაგრამ საბჭოური პერიოდის ლიტერატურის ფონზე შემოწრილი ეგზისტენციალიზმი (ეგზისტენციური ფილოსოფია, ლიტერატურა), თავისი ჩაკეტილობითა და გაუცხოებით, ჩვენი გემოვნებისათვის თავიდან იქნებ მართლაც არაბუნებრივი, გათამაშებული, უჩვეულო და „ეფექტური“ ჩანდა. მაგრამ თანდათან, უღმერთობით გამონვეულმა სულიერმა კრიზისმა საზღვრები გაარღვია, გააფართოვა... ფრანგულ ლიტერატურაში ბეკეტიდან, სარტრიდან, იუნესკოდან, კამიუდან, ვიდრე უელბეკ-სა და ბეგბედერამდე, მერე კი მთელს ევროპასა და ამერიკაში მათ მიმბაძველთა, ეპიგონთა თუ უბრალოდ ამგვარად მოაზროვნეთა რიცხვი ისე კატასტროფულად გაიზარდა, გაშიშვლდა და შეიძალა, რომ პირადად მე, ეგოცენტრულ, ე. წ. ფსიქოლოგიური წიაღსვლებით დახუფულ მათ მხატვრულ სივრცეში (სამყაროში) შესვლისას დღეს უკვე აშკარად კლაუსტროფობის შეტევები მეწყება... არადა ფრედერიკ ბეგბედერისა თუ მიშელ უელბეკის თანამედროვე გურამ დოჩანაშვილი იმდენად გახსნილია სამყაროსათვის და სამყარო კი – მისთვის, იმდენად თავისუფლად და ლალად ქმნის როგორც იდილიური, ისე აპოკალიფსური შეგრძნებების სურათ-ხატებს, რომ წამითაც არ ითრგუნები, პირიქით, თითოეულ ჩვენთაგანს მისი ტექსტები „გარჩევისას“ სწორედ ამ შეუზღუდავი, თავისუფალი და ლალი ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს. ამიტომ დოჩანაშვილის სამყაროს დასახასიათებლად ათასნაირი სიტყვის გამოყენებაა შესაძლებელი, ოღონდ არა „ეფექტურის“.

სიტყვა „ეფექტური“ თავისი შინაარსით ფუქსავატურია, მოდურად ხანმოკლეა და შემოქმედებითი შეგრძნებებისა და მწერლური პატიოსნებისაგან კომპრომისებს მოითხოვს. თავისი ვითომდა ზეიმური აღმაფრენების დასამტკიცებლად საახალწლო შუშხუნებივით ხმაურიან აფეთქებებს აწყობს, ფერად-ფერადი ნაპერწელებივით „უწყინარი“ ტყუილების მოკლე ფეხებს აქეთიქით შეცებივით ისვრის...

არადა, ბავშვები არ იტყუებიან. ისინი თხზავენ, ფანტაზიორობენ, სულითა და გულით, მთელი არსებით ცხოვრებას თამაშობენ.

გურამ დოჩანაშვილთან წარმოუდგენელია ბანალური ეფექტურობით დაჭორფლილი ბანალური ტყუილი. მისი ტალანტი თვით ყველაზე უფრო ფანტასმაგორულ სიცრუეს აბსოლუტურად დამაჯერებელს ხდის, რადგან შემოქმედებით პროცესში სრული გარდასახვის მისეული მაგია ბავშვივით უანგაროდ თამაშობს.

გურამს არ გააჩნია სიწმინდის ნოსტალგია, რადგან თხზვის პროცესში განუწყვეტლივ სიწმინდეში დგას, როგორც ფიროსმანის მეთევზე დგას მუხლებამდე წყალში, „თევზი არსობისა“ რომ მოიპოვოს; ანდა – შაგალის უნივარულ სივრცეში გაფრენილი ადამიანები, ჰაერის მოლივლივე ჭავლებში ცურვის სიმსუბუქეს რომ გაუგეს გემო და მინაზე დაპრუნებას აღარ აპირებენ.

მეითეველიც გამუდმებით ბალივით ხარობს დოჩანაშვილი-სეული წარმოსახვებით. ხეივნის ჩრდილქვეშ აკვანში ჩაწილილი ჩვილივით, გაოცებით რომ აკვირდება საკუთარი ხელის მტევნებს, მოულოდნელად აღმოაჩენს – თითებსაც, კაცებივით (ადამიანებივით), თავიანთი მისია აქვთ შესასრულებელი. განსაკუთრებით კი სამ მათგანს – ცერს, შუათითასა და საჩვენებელს, რადგან მათი შეერთებით დედამინის ზურგზე, ყველგან, ყველა წერტილში ერთნაირად ხორციელდება კალმით წერის, მარილის მოყრისა და პირკვრის გადასახვის საკრალური აქტები.

და რამდენიც არ უნდა ამტკიცონ გასასტიკებულმა ტიპებმა, რომ „ადამიანი ადამიანისთვის მგელია“, თავიანთი მტაცებლური მადა რამდენჯერაც არ უნდა გაამართლონ თვითგადარჩენის ინსტინქტით, მოვა ყირგიზი მწერალი ჩინგიზ ათმათოვი და სტეპებში მოთარეშე რუხბენვიან ისეთ აკბარს დახატავს, რომ მისი ტყვიისფერი ზურგი და ჭკვიანი, ტოპაზისფერი გამოხედვა ახლო მეგობრის საყვარელ სახესავით სამარადუამოდ ჩაგრჩება სსოვნაში... ნებისმიერ კაცს შეშურდება ამ მოუთვინიერებელი მხეცის ოჯახზე ზრუნვისა და თავგანწირვის უნარი.

ანდა გამოჩენდება ქართველი მწერალი გურამ დოჩანაშვილი და დაუნდობლობის წყვდიადს მზესავით გაანათებს, როცა იტყვის ადამიანი ადამიანისთვის მგელი კი არა – „ადამიანი ადამიანის-თვის დღეა“, და, რაც მთავარია, ამ ჭეშმარიტების განსახორციელებლად პრაქტიკულ ექსპერიმენტს გაითამაშებს, როცა ჩაბ-

ნელებულ სანაპიროზე მასთან ერთად მოსეირნე ქალს ცოტახნით თვალების დახუჭვას სთხოვს. ტყის სიღრმეში შეტყუებული, ღამის წყვდიადში მარტო დარჩენილი ქალი სასოწარმკვეთი ძახილით მოუხმობს გაუჩინარებულ მეწყვილეს (მამაკაცს). მერე კი მოულოდნელადვე მის გვერდით გაჩენილი გრიშა შიშით გულგახეთქილ, ასლუკუნებულ დელფინას მკერდში ჩაიკრავს და ამშვიდებს – ჩუ, ჩემო კარგო, რა მოგივიდა, დაწყნარდი, გეგონა მიგატოვებდი?!.. ეს როგორ გაიფიქრე, ხომ გეუბნებოდი ადამიანი ადამიანისთვის დღეა! არ გჯეროდა? ხომ დაგიმტკიცე, ხომ დარწმუნდი, რომ მართლა დღეა...

* * *

სხვებისაგან განსხვავებით, უცნაურ გრიშას ადამიანის ბუნების ამოსაცნობად ის შემთხვევაც პყოფნის, როცა, ვთქვათ, კიკეთიდან ტაქსით მომავალს, შუალამისას წყნეთის გზაზე ხელაწეული კაცი დაემგზავრება, რამდენიმე წამში კი, გრიშას გვერდით მოკალათებულს, ტკბილად ჩაეძინება...

კი, მაგრამ ამ ფაქტით რანაირად შეიძლება ადამიანის ბუნების ამოცნობაო, უკვირთ თანამესუფრებებს. არადა, გრიშა-გრიგოლი იქითაა გაკვირვებული: შუალამისას, არც ნასვამ-მთვრალი და არც ავადმყოფი კაცი უცნობს მანქანაში რომ ჩაგიჯდება, მხარზე რომ თავს მოგადებს და უშფოთველად დაიძინებს, ამას რაღა დიდი მიხვედრა უნდა, რომ ეს კაცი გულუბრყვილოდ მიმდინობი, უეჭვებო და კეთილი კაციაო...

პასუხით გაღიზიანებული „ყოვლისმცოდნე“ ახალგაზრდა თანამეინახე მოულოდნელად დაცინვით იკითხავს:

„აი, თქვენ როგორი ხართ?!"

და გრიშას მყისიერ პასუხზე:

„მე კარგი ვარ“-ო, მოქეიფები ახარხარდებიან, მაგრამ რას ახარხარდებიან! სიცილით იგუდებიან – ეს რა თქვი, გრიშა, კარგი ვარო... ეს რა იკისრე, კაცოო!..

მიამიტი გულუბრყვილობით შეწუხებული და ნაწყენი გრიშა შვებულების მონარჩენ დღეებთან ერთად საკურორტო ქალაქს, ახლად გაცნობილ ქალსა და ნაცნობ-მეგობართა წრეს იმ საღამოსვე მიატოვებს. მატარებლის ზედა თაროზე განოლილი, დრო-

ის სწრაფმავალ, რიტმულ დინებაში კირით შეფეთქილი სხვადა-სხვა პროვინციული სადგურების მბჟუტავი ნათურებივით აკვესებენ ახალ-ახალი დასკვნები და აღმოჩენები: „ხმამაღალ-კარგი არ შეიძლება... ჩუმად-კარგი უნდა იყო, ვისაც რა უნდა თქვას, ვისაც რა უნდა ის აკეთოს, შენ კი სიცუდეში არავის არ უნდა აჟყვე და ჩუმად-კარგი იყო, აი, პრობლემა“.

საერთოდ, დოჩანაშვილის მიერ დახატული პერსონაჟები (გან-საკუთრებით კი ძმები, ვასილ, გრიშა-გრიგოლ და შალვა კეუერა-ძეები, თავიანთი მეოცნებე ბიძაშვილით, დედის მხრიდან, კომ-პოზიტორ-დირიჟორ სიმა ნასიძეთი) XX საუკუნის ადამიანურ ურთიერთობათა ფონზე წერაატანილებივით, იმდენად კეთილ-შობილური, ერთგვარად მისიონერული მოვალეობებით შეპყრობილი და სავსენი ჩანან, რომ სერვანტებისა და დოსტოევსკის გმირებივით „ჩუდაკების“ შთაბეჭდილებას ტოვებენ.

რუსული სამყაროსათვის ამ უალრესად ნიშანდობლივ სიტყვას იმიტომაც ვიყენებ, ვთქვათ, ქართული სიტყვების – უცნაურის, არაორდინალურის, შერეკილის, შექანებულის ან თუნდაც დარტყმულის ნაცვლად, რომ ეს სიტყვა „ჩუდო“-სთან, სასწაულთანაა წილნაყარი და ზუსტად მიესადაგება დოჩანაშვილის მიერ შექმნილ ტიპაჟთა ხასიათები.

მოთხოვობიდან მოთხოვობაში, რომანიდან რომანში ისე ბუნებრივად და ლალად გადადიან, როგორც თბილისის კონსერვატორიიდან მიღანის დიდ საკონცერტო დარბაზში, ქუთაისიდან ზემო იმერეთის მთიან სოფლებში, როგორც შავი ზღვისპირეთიდან დედაქალაქის ჩაბნელებულ, ლამპიონებჩამქრალ ქუჩებში, პატარა ხულიგანს რომ გადააწყდებიან, ანდა, ფოტოატელიეში ჩამსხდარნი, პენიტენციურ სისტემაში შემავალი ტრადიციული ციხეების ნაცვლად აქამდე სრულიად უცნობი და ორიგინალური „კარცერ-ლუქსების“ გამოგონებაზე იწყებენ ფიქრს, რათა მოქალაქეთა რაც შეიძლება მეტ რაოდენობას სწორედ ასეთ კარცერებში ჩასმულთ რომ წაკითხონ წიგნები.

მხატვრულ პერსონაჟების დახასიათებას კი ისეთი დაგემოვნებითა და გატაცებით ეწევიან, ლამისაა, დაგაჯერონ – წიგნების კითხვით ცხოვრება გაცილებით უკეთესი გახდება, ადამიანი კი – უფრო გულისხმიერი.

ეს რომანტიკოსები, მართლაც, სასწაულებივით გამოიყურებიან ამ მორალურად და ზნეოპრივად გაუდაბურებული სამყაროს ფონზე.

გასაოცარია გურამ დოჩანაშვილის მხატვრული აზროვნების ფონერვერკები, სიტყვით ფერწერის, სიტყვით ჰარმონიული ვიბრაციის გამომწვევი მუსიკალური ტალღები.... ყოველივე იმდენად მაღალი ოსტატობითა და ექსტაზითა შესრულებული, რომ სიუხვის, სიმსუსის განცდასაც კი აჩენს გამეჩერებულ, გრძნობაგაქუცულ, სიცოცხლეზე ჩალისფასდადებულ რეალობაში, მორალური სიმახინჯის კულტურაში, ფორმათა სილიკონურ სისავსეში, დალტონიზმის ზეიმებში, უსქესოთა ეგზოტიკურ პარადებში. რადიაციული თუ ბიოლოგიური ომებით, ნანო-ტექნოლოგიებით, სოციალური ქსელებით, ფეისბუკებით, ფეიკებით, ტერორიზმით, ღალატებით, ცილისნამებებითა და ეკოლოგიური კატასტროფებით, ნარკოტიკით, სექსით, ოკულტიზმითა თუ აგრესიული სექტებით შეშლილ სამყაროში.

ყოველივე კი რეალური სამყაროდან გაქცევისა და მხატვრულ სამყაროში გადასახლების მძაფრ სურგილს აჩენს.

გურამ დოჩანაშვილს დეკადანის ზუსტად ისეთივე სიღრმი-სეული განცდა ჰქონდა, როგორიც ბერდიაევს, რომელიც წერდა: „მაღალი კულტურის კრიზისი და ინტელექტუალური ელიტის სავალალო ხვედრი, როგორც ჩანს, გარდაუვალია მსოფლიოში სულიერი რევოლუციისა და რელიგიური აღორძინების გარეშე. პირნმინდად კულტურული აღორძინება უკვე შეუძლებელია მსოფლიოს ხანდაზმულობის გამო. შესაძლებელია მხოლოდ რელიგიური აღორძინება, რადგან მხოლოდ მას შეუძლია გადაწყვიტოს კულტურაში არისტოკრატიულ და დემოკრატიულ, პიროვნულ და საზოგადო საწყისთა ურთიერთშესაბამისობის საკითხი“.

რელიგიური აღორძინების მნიშვნელობაზე დიდი ფილოსოფოსის ამ სიტყვებმა გურამ დოჩანაშვილის იეროგლიფივით დაშიფრული კიდევ ერთი მისტიური მოთხოვნა გამახსენა.

თავისთავად იმ ფაქტს, რომ „მხიარულ ბორცვში“ უამრავი პერსონაჟის ბუნებას, ხასიათს, გარეგნობას, მეტყველების მანერას, ფიქრსა და ჩვევას ორი უმთავრესი გმირი, გაპერსონაჟებული ჭეშმარიტება და სიმართლე წარმოაჩენს, უკვე

დამაინტრიგებელი მუხტი და ინტერესი შემოაქვს მკითხველში. მით უფრო, როცა თხრობა ს ი მ ა რ თ ლ ი ს პირით მიმდინარეობს.

როგორც დრო, ისე სივრცე იმ ქალაქისა, სადაც ჩვენ თვალ-ნინ გამორჩეული სახალხო გმირის, მაჰმუდ აალის მკვლელობა თამაშდება, რა თქმა უნდა, პირობითია. ამიტომ ისპაპანის ნაც-ვლად ნებისმიერი ქვეყნის, ნებისმიერი ქალაქის წარმოდგენაა შესაძლებელი თავისი ხალხით, თავისი გმირებითა და ჩვეულებ-რივი ადამიანებით.

მიუხედავად იმისა, რომ „მხიარულ ბორცვში“ ჭეშმარიტება სიმართლეს თავის მარჯვენა ხელად მოიხსენიებს, მათი ემოცი-ური დამოკიდებულება ურთიერთგანსხვავებულია ყოველივე იმი-სადმი, რაც ამ ქალაქში დატრიალდება.

ერთი შეხედვით აღმოსავლური იერის მქონე ეს მოთხრობა სრულყოფილი ფორმითა და შეკრული მთლიანობით ბრონეულის განსაცვიფრებელ გუნდას მოგვაგონებს, მწიფობის უამს-კდარი რომ წარმოაჩენს გარე სამოსის მეწამულ ატლასსა და ძვირფასი თვლებივით აელვარებულ შიგთავსს: პროვინციელი ავაზაკი, მდიდარი, მაგრამ ძუნნი ბენ იჯნპალი, მზაკვრულად მრუში სორაია, ბრიყვი მეპურე და მზარეული, არაბი ასტრონომი ხალილ მანჯამი, მადერისები მჭერმეტყველებაში რომ წერთნიდ-ნენ, გულიან გაღიმებას რომ ასწავლიდნენ უძვირფასეს სამოსში გამოწყობილ პატარა ნორჩის, იჯნპალის მეგობარი არიბ ხანი-დიდ ავაზაკს, ქუჩაში გამოჩენისას, ხალხი ყვავილებს რომ ესვრის და კიდევ ვინ მოთვლის, მთელის შემადგენელი ეს მარცვლები, ეს გულნამცეცა, ხარბი, დათრგუნული ადამიანები ქამელეონივით რამდენნაირად იცვლიან ფერს, იმის მიხედვით შაპის ბრძანება: – „ვისაც ვუყვარვარ, ყველამ ესროლოს“ – ისრებივით როგორი სიხშირით გაიშხუილებს შიშით შედედებულ ჰაერში.

ჭეშმარიტებისა და სიმართლის გაპერსონაჟება ავტორთათვის, ასე მგონია, საფრთხის შემცველია, რადგან ეს ცნებები თავიანთი თავდაპირველი მაღალი მნიშვნელობით, მორალური სამრეკლოს გადმოსახედიდან, ძირშივე აშთობენ დანარჩენ პერსონაჟთა რო-გორც ხასიათებს, ისე ქმედებებს, განვითარებას არ აცლიან და სისხლხორციელ ადამიანთა ნაცვლად მათი მორალური სქემები-ლა გვრჩება ხელთ.

დოჩანაშვილმა სხვა გზა აირჩია. დიდი მწერლის უტყუარი ალ-ღოთი იგრძნო, რომ სიმართლე და ჭეშმარიტება, როგორც პერ-სონაჟები, ადამიანთა მიწიერ ვნებებში არ უნდა ჩარეულიყვნენ. თუმცა, მთელი არსებით განიცდიან მათი რჩეულის, მაპმუდ აალის გოლგოთისეულ მისტერიას. უცოდველის მკვლელობით თავზარდაცემული და მგლოვიარე სიმართლე შერისგებით ანთე-ბული, განრისხებული ევედრება ჭეშმარიტებას, რომ მკვლელები დასაჯოს:

„ან ხმალი აძგერებინე ვინჩეს, თუგინდ ისარი, ან საზარელი რამ სნეულება შეჰყარე, ბლავილსა და კბილთა ლრჭენაში რომ ამოხდეთ სული, რომელიც გინდა ის დასაჯე, გინდ ავაზაკი, გინდ ძუნნი, იმისი შვილი, ანდა სულაც სამთავეს ერთად დაატეხე თავს შენი რისხვა...“

ავხედე და სიტყვა გამინებული – ყოველივე იცოდა. სევდიანი და დაფიქრებული ნალვლიანად დამცქეროდა, რალაც ისეთი იცოდა, მე რომ არ მომლანდებია...

– ის ბენ იჯნპალიც ნუ გგონია ბედნიერი და პროვინციელ ავაზაკსაც ერჩია, მთელი სიცოცხლე სოფელ მორდოვში მჯდარი-ყო და იმ უბედურ ნორჩისაც ნუ შეიძულებ ასე და ისიც იცოდე, ვინაა ბედნიერი...

ეგონა, რომ ყველაფერს მივხვდი და შეჩერდა, მაგრამ მე, მოკუნტული, მუჭის-ოდენა ხარბად დავეკითხე:

– ვინ?

– ვინც რჩება.

რალაცამ გამიელვა. შევეჭვდი.

– ვინ დარჩა?

იმან კი მბრძანებელმა, ღიმილით შემომხედა და მითხრა:

– ვინც უყვარდათ.

თითქმის ყველაფერს მივხვდი და მაინც ხარბად, მოუთმენლად დავეკითხე:

– ვინ უყვარდათ?

იმან კი მბრძანებელმა, მიუწვდომელმა და ყოვლისმცოდნემ, დაფარულმა ალერსიანად შემომხედა, თავი მძიმედ დამიქნია და დინჯად, დამარცვლით მითხრა:

– მაპმუდ აალი, მხიარულ ბორცვზე...“

ასე გადაიხსნა მკითხველის თვალწინ ოქრო-ვერცხლითა და თვალმარგალიტით შემკული აღმოსავლური ზარდახშა, რომლის წიაღშიც ქრისტიანული რელიგიისა და მსოფლგანცდის არსი, სინანულითა და მიმტევებლობით მოპოვებული სულიერი წონას-წორობა სადა დიდებულებით გამობრნყინდა:

„ერთი იცოდე, ეგენი ცველანი წავლენ და თუნდაც მთელი სიმდიდრე და ავლადიდება უზარმაზარ საფლავში ჩაიტანონ, მა-ინც ვერავინ ვერაფერს წაიღებს იმ ქვეყნად. ეგ ერთი იცოდე – დამიყვავა – მარჯვენა ხელო“.

და გამახსენდა პავლე მოციქულის სიტყვები:

„კაცთა და ანგელოზთა ენებზეც რომ ვმეტყველებდე, სიყვა-რული თუ არა მაქვს, მხოლოდ რვალი ვარ მოუღრიალე, მხოლოდ წერიალა წინწილი. წინასწარმეტყველების მადლი რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო, და მქონდეს მთელი რწმენა, ისე რომ მთები დაძვრაც შემეძლოს, სიყვარული თუ არა მაქვს, არარა ვარ. მთელი ჩემი ქონება რომ გავიღო გლახაკთათვის, და დასაწვა-ვად მივცე ჩემი სხეული, სიყვარული თუ არ მაქვს, არას მარგია“.

გურამ დოჩნაშვილის სიყვარულით აღსავსე პერსონაჟები წითელ წიგნში შესატანი უკანასკნელი სახეობის ფრინველებივით ფრთებს არ კეცავენ, სულ გზაში არიან, აღმა-დაღმა დაქრიან, ჭყივიან, ჭიკჭიკებენ, ღუღუნებენ, კვნესიან, გალობენ, სულ ლა-პარაკობენ, თხზავენ, ეძებენ, ქადაგებენ და მოქმედებენ, რომ ტყუიღმა – მართალი, ბინძურმა – უბიწო, ბოროტმა – კეთილი, უნიჭომ ნიჭიერი არ დაჩაგროს. ოცნებებში დაფრინავენ და ქვემოთ, მინაზე დარჩენილთათვის, ჩვენი გულებისა და ტვი-ნების სისხლძარღვთა არხებში სიკეთის აღმომცენებელ მარ-ცვლებს ისვრიან, პატარ-პატარა უანგარო აღმოჩენებითა და ექსპერიმენტებით რომ გაგვაკეთილშობილონ, ევოლუციური თეორიებით გამაიმუნებულ ადამიანებს ადამიანურობა რომ დაგ-ვიბრუნონ, დაგვაჯერონ – სამყარო, თავისი უთვალავი ფერით ლვთის მიერ ჩვენს ფერხთით რომაბა ნოხივით განფენილი, მარ-თლაც რომ გაოცების ღირსია. ჩვენ კი, ამბიციით შეშლილები, კოსმიური სივრცეების დაპყრობას ვაგრძელებთ, მინაზე ვერდა-ტეულები ახლა იქ ვაპირებთ გადასახლებას.

ცივილიზაციის ჯოჯოხეთურ რიტმში ჩაბმული ადამიანის რობოტიზირებული ტვინი ვეღარ ჩერდება, ვეღარ ახერხებს გაკვირვებას, გაოცებას, წამიერ დაფიქრებას: კი მაგრამ მთელი ეს კოსმოსი, თავისი მცურავი პლანეტებითა და მნათობებით, ეს ბურთივით მრგვალი დედამინა ვის და რას უჭირავს ხელში, რა ძალით, რომელი კანონზომიერებითაა, რომ ხიდან ნაყოფივით არ წყდება, არ ვარდება. ვისგანაა აწონილი, გათვლილი და გაანგარიშებული, რომ ბურუსიან ქარიშხლებმი მოხვედრილი ხომალდებივით ვარსკვლავები და მნათობები გეზს არ კარგავენ, ერთმანეთს არ ეხლებიან ან ეხეთქებიან, აფეთქებული თვითმფრინავებივით ძირს არ ვარდებიან, მანქანებივით ერთმანეთს არ ეჯახებიან.

ამაზე ფიქრი ისევე შორსაა ჩვენგან, როგორც ჩვენ ვართ შორს ღვთისაგან. და ეს იმიტომ არა, რომ ადამიანსა და ღმერთს შორის სივრცობრივი მანძილია, არამედ იმიტომ, რომ სიყვარული გულიდანაა გაგდებული, გულგარეთაა დარჩენილი, იმიტომ, რომ ჩვენს შორის ტოტალური გაუცხოება და განხეთქილებაა.

ძალაუფლებისა და ყოვლისშემძლეობის გამაოგნებლად ილუზორიული კადრი ისე არავის ჩაუტოვებია ჩვენს ხსოვნაში, როგორც ეს ჩაპლინმა მოახერხა, როცა XX საუკუნის აბსურდული სიცარიელის ტრაგიკული სიმსუბუქე დახატა „დიდ დიქტატორში“ ჰიტლერის სახით, უკანალზე (გავაზე) ბუშტივით დასმული დედამინის მაკეტ-გლობუსით რომ თამაშობდა და ერთობოდა.

ეს მეტაფორა ყველაზე მძიმე და ყველაზე მჩატე მეტაფორაა უღმერთობით გონიაშლილ რეალობაში.

ხელოვნების ამ ირონიულმა კადრმა, შესაძლოა, გაცილებით მეტი თქვა, ვიდრე ოსვენციმისა და ბუჟენვალდის საკონცენტრაციო ბანაკებში გაზით დახოცილი ადამიანების შიშველმა სხეულებმა, ისტორიული ქრონიკების სულისშემძვრელმა, დოკუმენტურმა ფირებმა.

აი ამ თამაშის, ამ მნარე სიმსუბუქის კვალი ატყვია დოჩანაშვილის გმირებს, განსაკუთრებით კი იმ ირონიულ-პაროდიულ ინტონაციასა და სტილისტიკას, რემარკების, ხუმრობებისა და იუმორის კასკადს, სიმწუხარისა თუ სიხალისის იმ მჩქეფარე შადრევნებს, რითაც ცივილიზაციის ტყვეობაში, კულტურის გარეშე დარჩენილი ადამიანები გამოიხატებიან.

მიუხედავად იმისა, რომ დოჩანაშვილის მხატვრული ტექსტები სავსეა სხვადასხვა ტიპის დაწყვილებებით, მაგალითად – ოსტატი და შეგირდი; ქალი და კაცი; ჭკვიანი და შეშლილი; სოფელი და ქალაქი; ამქვეყნიური და მიღმიური; აღმოსავლური და დასავლური; რეალური და ხელოვნური; ლამაზი და ბოროტი ქალაქი; ადამიანური და ღვთაებრივი და ა.შ. – ამ მწერლის ტექსტები მაიც არ ემორჩილება სქემებად დაყოფას, სქემატურ განხილვას.

შეუძლებელია, არ დაეთანხმო **XX** საუკუნის დასავლური სამყაროს აზროვნებაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფიგურის, ჰაიდეგერის შეხედულებას იმის შესახებ, რომ კაცობრიობის სულიერმა და გონებრივმა დაბნელებამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, კარგახანია, პესიმიზმისა და ოპტიმიზმის ცნებები სასაცილოდ ულერენო. თითქოს ამ სულიერი და გონებრივი დაბნელების უკეთ წარმოსაჩენად გურამ დოჩანაშვილი მხატვრულ ტექსტებში ისეთ პარადოქსულ დაწყვილებებსაც მიმართავს, რომელთა გვერდიგვერდ მოხსენიება, ერთი შეხედვით, თამაშს წააგავს, მაგრამ თანდათან, აბზაციდან – აბზაცში სულ უფრო და უფრო გარკვევით იქნის თავის სერიოზულ დანიშნულებას. მართლაც და, ერთი შეხედვით, რა საერთო უნდა ჰქონდეთ ასეთ დაწყვილებებს:

„გალაკტიონი და დერუინსკი, როსინი და გებელსი, ვივალდი და ეჟოვი... ხანდახან გინდაც ტრიო-ობით და ლიტერატურული თუ ფერმწერლური მაგალითებიც მოვიშველიოთ, ანუ ვთქვათ, დონ კიხოტი და ვინ შევურჩიოთ, რა შევუფარდოთ მთლად თხელფსერული დავარდნილობით... ჰო, დონ კიხოტი და ლენინი ვ. ი. როგორია, ჰა...“

...და თუნდაც აქეთ ნალდი, ჩვენი ხალხური შემოქმედება და იქით თუ გინდ არცნობილნიც თუ გინდაც ცნობილი ტყლარჭმანჭიები გრეხვეკივილითა და ხმით;

აქეთ ჩვენი ხალხური ჰოეზია და, მათი შემქმნელი გინდაც მხოლოდ დედისპურიანი გლეხკაცობა და, იქით მიღიონერები, ოღონდ მხოლოდ ფულით, ისე კი აყოლილ-მიმყოლ ბრიყვთა თუნდაც ტაშისცემების მათხოვრები, როკ-ალქ-აჯები... ჩვენი ხალხური ჰოეზია და იქით ერთიც აგრეთვე ფულტყვილნაშოვნი ჰარღამენტარის ლაპარაკი...“ („ლოდი ნასაყდრალი“)

და ასე უსასრულოდ, თითქოს გაწელილად, ნება-ნება, ბუნ-დოვანების ბურუსში უფრო და უფრო იკვეთება უმთავრესი სათქმელი, ჩვენი გამოუთქმელი სივაგლახე და სატკივარი, ე. წ. პროგრესად წოდებული ჩვენი აშკარა რეგრესი.

ჩეხოსლოვაკიელი მწერლის კარელ ჩაპეკის ტრაგედიაში – „გონიერი უნივერსალური რობოტი“ გმირებს შორის ასეთი დი-ალოგი იმართება:

ა ლ კ ვ ი ნ ი ს ტ ი : თუ აქვს ნანას რომელიმე ლოცვანი?

ე ლ ე ნ ე : აქვს ერთი, ძალზე დიდი.

ა ლ კ ვ ი ნ ი ს ტ ი : და მასში, ალბათ, ნამდვილად არის ლოც-ვები სხვადასხვა ცხოვრებისეული შემთხვევებისათვის – ავდ-რის სანინაალმდეგოდ, სწეულებათა და უბედურებათა თავიდან ასაცილებლად.

ე ლ ე ნ ე : დიახ, არის ასეთი ლოცვები სხვადასხვა საცდურისა და განსაცდელის სანინაალმდეგოდ...

ა ლ კ ვ ი ნ ი ს ტ ი : მაგრამ თუ არი ლოცვანში ლოცვები პროგრესის სანინაალმდეგო?!

ე ლ ე ნ ე : არა, პროგრესის სანინაალმდეგო ლოცვები მასში, დარწმუნებული ვარ, ნამდვილად არ არის.

ა ლ კ ვ ი ნ ი ს ტ ი : ეჲ, რა დასანანია!“

ამ დიალოგით ცივილიზაციის ე. წ. „პროგრესისადმი“ პერსონა-ჟის (მწერლის) უარყოფითი დამოკიდებულება აშკარაა.

კულტურის იგნორირების, სულიერ ფასეულობათა და ღირე-ბულებათა უარყოფისა და გაქრობის მცდელობა ე. წ. „ახალი ადამიანის“ შექმნას ემსახურება, რომელსაც პიროვნული, ინდივი-დუალური აღარაფერი ექნება, – აღარც ჰაბიტუსი და აღარც ცნობიერება.

ბერდიავის დაკვირვებით, ცივილიზაციისაგან განსხვავე-ბით „კულტურა არასოდეს არსებობდა კაცობრიობის მთელი მასისათვის, არასოდეს აკმაყოფილებდა მის მოთხოვნებსა თუ მოთხოვნილებებს.“

კულტურის ხალხურობა არასოდეს ნიშნავდა იმას, რომ ხალხის მასების დონე მათი დაკვეთის შესრულების დონეს შეესაბამებოდა.

ხალხურობა ხალხის სულის გამომხატველი იყო.

გენიოსს შეეძლო უკეთ გამოეხატა იგი, ვიდრე მასას, მაგრამ დღეს კულტურისაგან სულ უფრო და უფრო მეტად მოითხოვენ ხალხურობას ხალხის მასების მოთხოვნებსა თუ მოთხოვნილებებთან შესაბამისობის თვალსაზრისით...“

სხვათა შორის, ეს საკითხი (ადამიანის, ხელოვანის ბედი თანამედროვე სამყაროში) უჩვეულო სიმძაფრით გამოიხატა გურამ დოჩანაშვილის საიდუმლოებით მოცულ მოთხოვნაში, „თავფარავნელი ჭაბუკი“.

ეს მრავალგანზომილებიანი, მრავალშრიანი მხატვრული ტექსტი, ერთი მხრივ, თუ სულისშემძვრელი დრამატიზმით აღწერს ამსოფლიურ სიამეთა წყაროს დაწაფებული ადამიანების მხიარულებასა და დროსტარებას, წუთისოფლის სწრაფზავალ დინებაში „მეტი რა შეგვრჩება“-ს პრინციპით გამართლებულ თავაწყვეტილ ლხინსა და ხალისიანობას, პარალელურად, რაღაც აუხსნელი, თითქმის გამოუთქმელი სევდითა და სიღრმით გვიჩვენებს საბედისწერო ლტოლვას სიტყვის მაგიისადმი, პოეტური ტალანტის მქონე ინდივიდის სრულიად არამიწიერ ლტოლვას თავისუფლებისა და სიტყვადქმნადობისაკენ, პოეზიისა და სიყვარულისაკენ...

ეს ისეთი ბინდითმოცული იდუმალებით ხორციელდება, თითქოს ცნობიერება არათერ შუაშია, თითქოს პერსონაჟს რაღაც უხილავი ძალა უბიძებს ზღვის გადაცურვისაკენ – ეს ძალა კარნახობს არჩეული გზის სისწორეს.

„სწორი არჩევანი“ მარტობისთვისაა განწირული.

მარტობა კი რჩეულთა ხვედრია.

ადამიანთა მწვანედ მოხასხასე სამფლობელოში ერთადერთი გიგა პაპა იყო ნამგლით სიტყვების მომმკელი, დანარჩენები ბალახს თიბავდნენ, სამაგიეროდ, გენიოსის ლექსები თავისად მიაჩნდათ, ჭირსა თუ ლხინში ერთნაირი გატაცებით მღეროდნენ.

სწორედ ამიტომაც ყველაზე უკეთ გიგა პაპას ესმოდა ღვთისაგან ბოძებული ნიჭიერების ფასი – დარაჯად ედგა თავფარავნელის ცდუნებებით სავსე ახალგაზრდულ გატაცებებს. თავად იმდენი წელი და დრო ჰქონდა სიტყვის ოსტატს ამსოფლიურ ამაოებაში გაფლანგული, რომ შეგირდს წამდაუწუმ აფრთხილებდა – დრო ოხერია, ისე სწრაფად გარბის, თვალის დახამხა-

მებას ვერ მოასწრებო. ამუნათებდა: „საცა სოფელში მიხვიდე, სუყველგან ორი გზა არი“-ო.

თითქოს ბიბლიურ იგავს ახსენებდა – ტალანტი მიწაში არ დაფლა, ეგ განძი ლექსებად უნდა ამრავლოო. ერთადერთი პო-ეზია და სიყვარული უძლებს დროს, სხვა ყველაფერი წარმავა-ლი და დავიწყებისათვის განწირულია.

დროის პრობლემა, ადამიანებთან დარჩენისა თუ მარტო ყოფ-ნის დილემა ერთ-ერთი უმტკივნეულესი საკითხია შემოქმედის ცხოვრებაში, რომლის ერთგვარი პარადოქსულობაც დიდი ტკი-ვილითა და სიმართლით გამოხატა ტენესი უილიამსმა:

„ჩვენ ყველანი საკუთარი მე-ს საკნის ტუსაღები ვართ.

სამწერლო შემოქმედება ანტისოციალურია, რადგან თავისუფ-ლად ლაპარაკი მწერალს მხოლოდ მარტოობაში ჩაკეტილს – საკუთარ თავთან განმარტოებულს შეუძლია.

თანამედროვეებთან კონტაქტის დასამყარებლად მათთან ყო-ველგვარი კავშირი უნდა გაწყვიტოს და ამაში ყოველთვის არის რაღაც შემლილობის მსგავსი“.

* * *

ვიხსენებ დოჩანაშვილის მიერ დახატულ აბსოლუტურად განს-ხვავებულ ქალთა სახეებს. მუსიკაზე ჯვარდანერილ, არაამქვეყ-ნიურ ანა-მარიასა და ლამაზ ქვრივ ტერეზას („სამოსელი პირვე-ლი“); დედას – რკინის ქალს, ოთარაანთ ქვრივივით ძლიერს, მშობლიურსა და უთქმელს („თავფარავნელი ჭაბუკი“); გულუბრ-ყვილი დელფინას, ზღვითა და გრიშათი ერთნაირად აღფრთო-ვანებულს („იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი, ანუ გრიშა და მთავარი“); წყაროზე მიმავალ თებრონეს, უკომპლექსო კოჭლ ეფემიას; აღმოსავლურად დათაფლული ენისა და მზაკვრული გონების მქონე „ნესვივით ქალს“ – სორეია ხანუმს, („მხიარული ბორცვი“); ალექსანდრეთი მოხიბლულ თბილისელ თამუნას, მე-ოცნებეობა დამღუტველად გადამდები რომ პგონია ახალგაზ-რდობისათვის („მიხეილი და ალექსანდრე“); ციკოს, პოტენციურ შინაბერას, ასე რომ აუფათქუნა დარდიანი გული მთხრელის უხეირო ქათინაურმა („აჩხოტელების ბატონი“); გასათხოვრად მომწიფებული ელენე და მისი მამიდა ნუცა, გამაოგნებელი ვირ-

ტუოზულობით რომ გამოიყენებს იოპან სებასტიან ბახის ღვთა-ებრივ მუსიკას, მეცნიერული სიზუსტით, პრაგმატულად რომ გათვლის მარტოდ დარჩენის პერსპექტივას, მოახლოებული სი-ბერის მთელს უმწეობას და მანიპულატორის ბრწყინვალე ტექ-ნიკითა და ბახის გენის თავზარდამცემი ძალის წყალობით მო-ნუსხულ სამხედრო-პოდპოლკოვნიკს ელექტრო ცოლად მოყვანას გადააფიქრებინებს („იოპან სებასტიან ბახი“);

დაუვიწყარია დიდმუცელა დედაბრის ჯადოქრული სახე, დაკ-რუნჩხულ ხელზე მიმინოსავით გაწვრთნილ ლეშიჭამია ორბს რომ დაისვამს ხოლმე და გაბოროტებული ეალერსება:

„ლესო, ლესო, ქარი ქრისო – ლისამ დალალეო,
ჩემი ორბი ფრთებსა შლისო – ლისამ დალალეო,
ხორცი არ გინდა, ორბო ხორცი?..“
(„თავფარავნელი ჭაბუკი“)

როგორი კოლორიტულია ლარისა ცერცვაძე, უდროოდ გარ-დაცვლილ ვანიკოს „ძმაჩინას“ რომ ეძახდა („ძმისავ“); უერთგუ-ლესი მამიდა კაკალა („ჩემი ბიჭუტა, ჩვენი ტერეზა“); თავისუფ-ლების სიმბოლოსავით აფრიალებული კარმენსიტა – ვნებიანი და დაუმორჩილებელი; ანდა „სიზმრისა“ და „თანაგრძნობის“ რამო-ნა... რომელი ერთი უნდა ჩამოთვალო... მაინც სულ სხვაა უბინო-ბის ძალა, ამდენ მზერაში მზესავით რომ ამოანათებს იქსოს დე-და „სენიორა-მარიამი“ („ვატერ(პო)ლოო...“) დოჩანაშვილის მიერ დახატულ ქალთა გალერეაში.

* * *

ვიყავი ახალგაზრდა და ყვავილივით ჩემშიც ხარობდა რამო-ნას ნაირნაირი სახეობა: „სიზმრის რამონა“, „ჭალის რამონა“, „თანაგრძნობის რამონა“, „ცისკრის რამონა“, „ოცნების რამონა“, „ცხადის რამონა“... მათი ფურცლები იმისდა მიხედვით იშლებო-და და იხურებოდა, რა სიღრმისეული ხარისხითაც ვლინდებოდა ჩემი ემოციური დამოკიდებულება ლიტერატურაში ახალაღმო-ჩენილი გმირის მიმართ.

დომენიკო რომ გამოჩნდა გზაზე, რამონას ჯერ არ ვიცნობდი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჯერ „სამოსელი პირველი“ დაიწერა

(1966-1978 წ.) და მოგვიანებით „ვატერ (პო) ლოო, ანუ აღდგენითი სამუშაოები...“ (1980-1982 წწ.)

სამოცდაათიანი წლების „ლიტერატურულ საქართველოში“ მოთხოვნა მივიტანე, შემოდის ჩემი უსაყვარლესი რედაქტორი, ბატონი ვახტანგ ჭელიძე, რომელიც მთელი ცხოვრება ისე მანებივრებდა, მასალა მიტანილი არ მქონდა, რომ იმავე კვირაში ხელუხლებლად იძეჭდებოდა. საკუთარი შესაძლებლობებისადმი ახალგაზრდობისდროინდელი ყველა ეჭვი და კომპლექსი სწორედ მან მომისნა ნოდარ ტაბიძესთან, აკაკი განერელიასთან, ოტია პაჭუორიასა და გურამ ბენაშვილთან ერთად.

– „სამოსელი პირველის“ წაკითხვა თუ მოასწარი, მაკა?! – მოულოდნელად მეკითხება ბ-ნი ვახტანგი და ჩემში ჩაძირული ყველა რამონა კი არ გაიშალა, ერთბაშად გადაბრდღვიალდა. პირველივე ფრაზა, რაც დაბეჭდისთანავე გახმაურებული ამ რომანიდან გამახსენდა, ედმონდის სიტყვები იყო – „მოდი ვიაშანაგოთ“ – და მე მარტო ედმონდის კი არა, ყველა პერსონაჟის ამხანაგი, მეგობარი და გულშემატკივარი, აღფრთოვანებულ საუბარს ვიწყებ ლამაზ-ქალაქზე, ამ ქალაქის თითოეულ მკვიდრზე. ისინი თითქოს იმიტომ კი არ გვეცნობიან, საკუთარი კეთილშობილება და ორიგინალობა გვიჩვენონ, არამედ იმიტომ, რომ მეორე ადამიანი აღმოგვაჩენინონ, მისი ინდივიდუალობა დაგვანახონ. ეს ხალხი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქმის ყოველთვის და თითქმის ყველგან ერთადაა, – ქალაქგარეთ გასეირნება იქნება ეს, ზამთრის თამაშებში მონაწილეობის მიღება თუ კარასკოების არისტოკრატიულ ოჯახში გამართულ წევულებებზე მოხვედრა. ამას ხელს უწყობს თხრობის მანერაც, რომელსაც პირობითად შეიძლება პ ო ლ ი ფ ო ნ ი უ რ ი თხრობა ენოდოს. ერთდროულად, პარალელურად ვეცნობით ორ, სამ, ოთხ, ზოგჯერ უფრო მეტ სიტუაციას. ამ მუსიკალურ პარტიტურაში თითოეული თავისი თემით, თავისი შელოდით შემოდის. არსად, არც ერთ თავში არ იწყება და არ მთავრდება ამბავი ერთი პერსონაჟისა, – ისინი ყოველთვის ერთმანეთში გადადიან მუსიკის ახალ-ახალი ტალღებით. ქალაქს თითქოს არ სცალია ერთი კაცისათვის. ძალიან ძლიერი უნდა იყო, მარტოობას რომ გაუძ-

ლო. ამ მარტოობას არიდებენ ლამაზ-ქალაქელებიც თავს და ერთადაც იმიტომ არიან, რომ როგორმე დროზე დაღამდეს...

„მარტოობა საშიშია. ცუდია, როცა მარტოა კაცი, რადგან მარტოობას ღმერთთან თუ არა, მაშინ ეშმაკთან მიჰყავხარ, საკუთარ თავთან მიჰყავხარ და ადამიანი იწყებ ზედმეტ ფიქრს“, – ეუბნება სასულიერო პირი მეგობრის ცოლს ერთი ინგლისელი მწერლის მოთხოვნაში.

ეს ფიქრიანობა ნაკლებ ახასიათებთ „სამოსელი პირველის“ გმირებს. ეს არაა რომანი-მონოლოგი, ფიქრის აღნერა, სულის უფაქიზესი ნიუანსების გადმოცემა. მასში მოქმედება ჭარბობს, თუმცა, ზოგჯერ მდორე თხრობა მოულოდნელად იცვლება, იწყება ალეგრო, რომელსაც საცალფეხო ბილიკზე მოხტუნავე ბიჭივით სკერცო ენაცვლება თავისი ხუმრობებით. სწორედ მოქმედება, საქციელი და ნაბიჯი, განსაზღვრავს გმირთა შინაგან სამყაროს, გვიხსნის ხასიათებს, მათ ბუნებას...

ქალაქს ჰყავს თავისი ლამაზი ქვრივი, „ნამდვილი ქალი“ ტერზა. სოფლიდან ჩამოსული ბიჭის პირველი სიყვარული. სიყვარული თუ გატაცება? ურთიერთობა ზუსტად ახსნა ქალმა, როცა დომენიკომ ცოლობა შესთავაზა:

„გაგიუდი ბიჭო? ძალიან გინდა, ერთმანეთი დავკარგოთ?“

...და ქალაქი რის ქალაქია, თუ ერთი-ორი გიუიც არ გამოერია, ნამდვილი და ტყუილი გიში.

ალექსანდრო სიკეთის მსახურია, ოღონდ იმდენად თვალსაჩინო და აღიარებული მსახური, რომ გიუად მონათლეს. მან წყენა არ იცის, შეიფერა შეშლილის სახელი და ასე უბოროტოდ დღედაღამ იმის ცდაშია, როგორმე სიყვარულის კავტუსი გაახაროს ქალაქის მკვიდრთა უდაბნო სულში.

ნამდვილი გიუი – უგო ახალგაზრდაა, თითქმის ბავშვია. ენაზე მუდამ კამორული დანა აკერია და ყელის გამოჭრით ემუქრება ლამაზქალაქელებს. მას ისე სწყურია სისხლი, რომ პირველი თოვლის ნაზ სიჩუმესაც და გაზაფხულის ულამაზეს დღესაც წყევლით და მუქარით ხვდება. მიეჩვივნენ გიუის ყბედობას ქალაქელები, ოღონდ ესაა – ყველას უკვირს, რატომ გაურბის გიუი-უგო დომენიკოს.

ქალაქში კიდევ ნორჩი ჯანჯაკომოა, განსაცდელში მყოფი ყოველ ჯერზე მამამისს ასე მღიქვნელურად რომ მიმართავს: „მარჩენალო მამა“, კიდევ – მარადმწვანე მამიდა არიადნა, კუმეოს სიძეობა რომ დაიტირა ქორწინების პირველ ღამეს: „ჰოი განგებაგ! ეს უპირუტყვესთაგანი თვით დიდი ბენჯამენო კარრას-კოს სარეცელზე!..“ კიდევ – პატივმოყვარე ტულიო, ამპარტვანი ტულიო ვინსენტე, ლექსიკას იმის მიხედვით რომ იცვლის, გახსნილი აქვს თუ შეკრული პერანგის ზედა ღილი... კიდევ? კიდევ სხვებიც არიან. არ მახსენდება, ქალაქი რის ქალაქია, თუ ყველა გაგახსენდა...

ბატონი ვახტანგის ყურადღებიანი ღიმილი მაჯერებს, რომ კარგად ვყვები. წაქეზებული ვაგრძელებ – კამორაზეც მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა, ბოროტმოქმედთა ქალაქზე. ყველა და ყველაფერი შავადა შენილბული ახალ ქალაქში. მფარველი აქაც გამოჩნდა. ამ სიმარტოვის დროსაც გამუდმებით ახსოვს დომენიკოს, რომ „ვიღაცას“ უყვარდა. ეს ვიღაც მისი მამაა, ექვსი ათასი დრაჟეანი რომ გამოატანა ვაჟიშვილს და ასე ცივად თითქოს იმისთვის გამოისტუმრა, რომ ჭეშმარიტებას მიაკვლევინოს. იქნებ მიაკვლიოს კიდეც, ვინ იცის. ჯერ ხომ დომენიკო, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ „ცომია, ცომი...“

ჯამბაზივით მხარზე შეუსვამს მწერალს მკითხველი და ქუჩაში დაატარებს, შუალამისას ფანჯრებშიც ახედებს და ათასი საიდუმლოს, ათასგვარი პროზის მომსწრეს ხდის. მერე პოეტურად, მელოდიურად ღილინებს, მუსიკალურად ყვება ამ პროზის შესახებ გურამ დოჩანაშვილი, ალბათ, იმიტომ, რომ თვალებით „ყინული და წებო კი არა, ნაღვლიანი საიდუმლო“ დააქვს...

ვახტანგ ჭელიძე, მთელი ჩემი საკმაოდ გრძელი მონოლოგის განმავლობაში, ასეთი გულისყურიანი ღიმილით რომ მისმენდა და არ მაზყვეტინებდა, მოულოდნელად საქმიან დავალებაზე გადადის:

– ყველაფერი, რაზეც ახლა იღაპარაკე, დღესვე დაწერე, არ გადადო, არ გააცივო, იცოდე!

– რა ვიცი... თუ გამომივიდა...

– გამოგივა, დარწმუნებული ვარ... აი, შეხედე, ვინიშნავ... უახლოეს ნომერში შენი წერილი უნდა დაიბეჭდოს გურამ დოჩანაშვილზე.

ასე დაიბეჭდა ჩემი ესეი „გზა მშვიდობისა, დომენიკო!“ „სამო-სელ პირველზე“, რომელშიც, როგორც შემდგომ აღნიშნავენ, პირველად შეფასდა რომანის სტილისტური თავისებურება, მისი პარმონიული სტრუქტურა და მუსიკალური საწყისი.

შემდგომ წლებში როსტომ ჩეიძე მონოგრაფიაში – „აღსა-რება გურამ დოჩანაშვილისა“ (რომელიც, პირადად ჩემთვის, სანიმუშო მაგალითია, თუ როგორ უნდა გიყვარდეს, გესმოდეს, ასე სრულყოფილად იცნობდე და ერთგულობდე მწერლის შე-მოქმედებას, რომლის ბედმაც სიყრმიდანვე აგიყოლია) შემდეგ ფრაგმენტსაც გაიხსენებს გურამ დოჩანაშვილის ინტერვიუდან: „რომანზე მუშაობისას, ამბებისა და წინადადებების აგებისას, ყველა მწერალზე მეტად რამდენიმე კომპოზიტორი, განსაკუთ-რებით კი ბახი, ნამდაუნუმ მახსენდებოდა, და პირველი ორი ნა-ნილის გამოქვეყნების შემდეგ ძალიან გამახარა მაკა ჯოხაძის წერილმა, რომელშიც ავტორმა ჩემი წერის მანერას პოლიფონიური სტილით თხრობა უწოდა“ – ღ.

თითქოს ცხოვრებაში არცერთი სიტყვა არ დამეწეროს, მეც ისე გამახარა ამ სიტყვების წაკითხვამ. აღარ მახსოვს „ვატერ (პო) ლომოში...“ თუ ჩანს სადმე ამ სახეობის რამონა, ჩემში კი იმ დღეს, „ბედნიერების რამონა“ ყვაოდა. და ამის გახსენება ახლა, ამდენი ხნის მერე (მთელი ორმოცი წელია თითქმის გასული) მადლიერე-ბით განმანყობს ყველა იმ კოლეგის, მწერლისა თუ მეცნიერის, ყველა იმ მკითხველის მიმართ, ვისაც თავისი საუბრებით, ნაწე-რებით თავისი სიყვარული და აღფრთოვანება უშურველად გა-მოუხატავს ამ უცნაურად მორცხვი და უკიდურესად თამამი მწერლისადმი და სიცოცხლეშივე მისოვის სიხარულის წუთები უჩუქებია, რადგან იმაზე დიდი ბედნიერება მართლაც არაფერია, როცა აღმოაჩენ, რომ მკითხველს, განსაკუთრებით კი კოლეგებს, ასე კარგად ესმით შენი და პროფესიონალურ დონეზე გამოხა-ტავენ თავიანთ სათქმელს (შენდამი დამოკიდებულებას).

თანამედროვე ქართული ლიტერატურისტითი სამყარო მდიდა-რია გურამ დოჩანაშვილის შემოქმედების, მაღალპროფესიული, კვალიფიციური შეფასებებით, ბრწყინვალე წერილებით, ესეებით, გამოკვლევებით.

გარდა ამ საყოველთაო აღფრთოვანებისა, იყო კრიტიკული და-მოკიდებულებაც, კერძოდ, ენისადმი...

დიდი ამბავი! – გაიფიქრებს მავანი და მავანი და მაშინვე აკაკის მიერ ვაჟასთვის ენის დაწუნებას გაიხსენებს. არადა, რა ვენა, აკაკი სხვა იყო, თავისი ლექსებივით გამჭვირვალე და ახლობელი, შეცდომებშიც გულწრფელი და ალალმართალი...

მოგეხსენებათ, მრავალი ცნობილი მწერლის ენა ხშირად საყველთაო სალიტერატურო ენის ნორმებსა და წესებს ყოველ-თვის არ შესატყვისებოდა. „გერცენის ენას, სიგიჟემდე არა-სწორს, აღტაცებასა და განცვიფრებაში მოვყავარო“, – წერდა ტურგენევი.

როგორც აღნიშნავდნენ, რომ ეს „თავნება“, „ჯიუტი“, „ურჩი“ მწერლები კრიტიკოსთა, ლიტერატურული ენის ნორმებისა და წესებისა თუ გრამატიკოსთა მრავალგზისი შეტევებისა და თავდასხმების, განქიქებისა თუ დაცინების, რჩევებისა თუ რეკომენდაციების მიუხედავად, არა-სოდეს არ ავლენდნენ სურვილს, ყურად ელოთ მათი რჩევები და მონურად დამორჩილებოდნენ სალიტერატურო ენის ყველა ნორმას, სასკოლო გრამატიკის ყველა წესსა და კანონს. ასეთი მიდგომის შესახებ ფოსლერი გამოკვლევაში „გრამატიკული და ფიქოლოგიური ფორმები ენაში“ წერდა: „ის, რაც შეცდომაა საყოველთაო ენის თვალსაზრისით, შესაძლოა, მხატვრული ლი-რებულებისა აღმოჩნდეს, თუ იგი თვითმყოფადი პიროვნებიდან მოდის. ხელოვნებაში ბატონობს პიროვნების უფლება, გრამატიკაში კოლექტივის“.

გურამ დოჩანაშვილის ენობრივი სამყარო და სტილი ხელოვნებაში პიროვნების გაბატონების კლასიკური მაგალითია და მა-ინც მეჩრითორება სიტყვა „გაბატონება“, რაღაცნაირად არ უხდება, ზუსტად ვერ გამოხატავს ამ მწერლის ხედვისა და ენის არსებით ხიბლს.

ეს გაბატონება კი არა, უფრო მწერლის მიერ მოწყობილი ზე-იმია, რომელზეც მკითხველია მიპატიჟებული. გურამ დოჩანა-შვილი, არა მხოლოდ სახელმწიფოში, არამედ სუფრაზეც კი არ ცნობდა, ვერ ეგუებოდა თამადის დიქტატურას. ნებისმიერი მოწვეული სტუმარი ამ სუფრასთან, ისევე როგორც მისი გმი-რები და პერსონაჟები, თავისუფლები არიან, საკუთარი სიტყვის თამადები და ბატონ-პატრონები. დიდი ხელოვნების (ხელოვანის) შემთხვევაში ამ მოსაზრებას ისევე სჭირდება ანგარიშგანევა და

თვალის გასწორება, როგორც იმას, რომ ნამდვილი ლიტერატურა ღვთისმაძიებელი ლიტერატურაა. ნიკოლოზ სერბი ლიტერატურას ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზას უწოდებს და მიიჩნევს, რომ პოეზია ამ გზაზე მზის სხივის ანარეკლია ზღვის ტალღებზე. და მართლაც, უნიკალურ შემთხვევებში, ანარეკლს ისეთი სილრმისეული გამოსხივება აქვს, რომ მისთვის თვალის გასწორებაც კი ჭირს, რაღა უნდა ითქვას მზეზე, (თვით ღმერთზე), რომელსაც კაცი ვერასოდეს ჩახედავს თვალებში.

ქართული ენის უსასრულო შესაძლებლობების, ასე მგონია, ისე არავის სწავლა და აინტერესებდა, როგორც გურამ დოჩანაშვილს, ამიტომაც ამდენი ენობრივი ექსპერიმენტი, სიტყვადქმნადობის თავპრუდამხვევი მონაცვლეობა, ინტრონაციით სიტყვის შინაარსის ამდენჯერადი ცვლა თუ განვითარება, ტექსტის ტემპო-რიტმის ასეთი უკიდურესი გრადაციები სხვებთან იშვიათად, ან საერთო-დაც არ გვხვდება. დინამიურობა, მოძრაობა, ექსპრესია... ესაა მისი ენის, მეტაფორების, ტროპების, სიტყვების გამუდმებული ხეტი-ალი მთელს სამყაროში, ათასნაირ გარემოში, რეალურში, ირე-ალურში, არსებულში, არარსებულში, შორეულში, ნაცნობში, მშობლიურში... და მაინც, რამდენიც არ უნდა იწრიალოს, დროისა და სივრცის რა პერიმეტრებიც არ უნდა მოხაზოს, რა საზღვარიც არ უნდა გადალახოს, რასაც არ უნდა მიაღწიოს და რომელ მწვერვალზეც არ უნდა ავიდეს მწერალი, დაშვება მხოლოდ იმი-ტომ ეიოლება, რომ სიზიფესავით ისევ თავიდან შეუყვეს ენის აღმართებს, იაროს და ისევ თავიდან აღმოაჩინოს აღმოუჩენელი, მხოლოდ მისი თვალით დანახული და მისი ენით გამოთქმული...

ინტერესებისა თუ მოწოდების შესაბამისად პროფესიებიც რამ-დენჯერმე შეიცვალა გურამ დოჩანაშვილმა. ჭაბუკობაში (ბიჭო-ბაში) მის ხელში მოქცეული ჩელო კეთილი კაცივით გუგუნებდა და უსაყვარლეს ბებიასთან ერთად კონსერვატორიაში შესვლას ურჩევდა („პირველი კონცერტი“). არჩევანი მაინც ისტორიკოსო-ბაზე შეაჩერა, როცა „ქართლის ცხოვრებას“ გაუგო გემო და მისი ლაბირინთები კუთხე-კუნძულ შემოიარა, მერე როგორც გე-ოლოგმა მნიშვნელოვან გათხრებში მიიღო მონაწილეობა. წარ-მომიღებია ყოველი სამკაულისა თუ სურის მოტეხილი თებოს აღმოჩინისას როგორ უცემდა გული. დისიდენტური სამყაროს

კატაკომბებშიც მოუწია ყოფნა და „ციხის აკადემიაც“ მოიხადა. მერე ისე ღრმად შეაღწია რელიგიის წიაღშიც, რომ, პირადად მე, ბერად დაყუდებული გურამ დოჩანაშვილის წარმოდგენა კაცხის მონასტერში ძალიანაც მეოოლება, მებუნებრივება, სენაკიდან რომ გაჰყურებს დროის ულმობელ დინებას და უძლები შვილივით ისევ სანუკვარი, ისევ ძვირფასი მშობლიური ენის წიაღში დაბრუნებას ცდილობს. დაბრუნდა კიდეც, რადგან სწორედ ქართულ ენაში აღმოაჩინა მისი თვითგამოხატვის ყველაზე მძლავრი საშუალება, ყველაზე ერთგული თავშესაფარი.

ხელოვნება, ისევე როგორც ყველაფერი ამ ქვეყნად, უფლის საჩუქარია. მით უფრო ითქმის ეს ხელოვნების იმ დარგზე, რომელ-საც მწერლობა ემსახურება. მწერალს უშუალოდ სიტყვებსთან აქვს საქმე და, ასე მგონია, მოქანდაკესთან ერთად, პირდაპირ უფლის დავალებას ასრულებს, ყოველ შემთხვევაში, უნდა ასრულებდეს. ერთს თიხა უჭირავს ხელში, რომლითაც მოიზილა ჩვენი სხეული, მეორემ თიხას სული შთაბერა.

სული სიტყვაა.

სიტყვა კლავს და სიტყვა აცოცხლებს... რა უშელავათო ფორ-მულაა... როგორ გვაშფოთებენ მომაკვდინებელი სიტყვები...

ჩვენ ყველას გვიყვარს და ყველამ ვიცით გამოთქმა – „პირ-ველითგან იყო სიტყვა“, იმდენად ყველამ, რომ რაღაცნაირად მექანიკურად ვიმეორებთ, არც კი ვუკვირდებით, რაზეა საუბარი...

იესო ქრისტეს ერთ-ერთი სახელია სიტყვა.

როგორც აზრი დამალულია მანამ, სანამ სიტყვით არ გამოითქმება, ასევე ღმერთიც დიდხანს მაღავდა აზრს თავისას, – ამ ქვეყნად კაცად ყოფნის აზრს და ეს აზრი სიტყვით, თავისი ძის მოვლინებით გააცხადა. იესოთი, ამ უდიდესი სიტყვით უჩვენა სამყაროს ადამიანად (კაცად) ყოფნის არსი, მიზანი, დანიშნულება. ამის შესახებ დაგვიწერა და მოგვცა მოძლვრება.

გურამ დოჩანაშვილმა თავისი ადამიანური სულისკვეთება ამ მოძლვრებისადმი საოცარი ერთგულებით გამოხატა, როცა მუსი-კალური ფერადოვნებით, ათასნაირი მწერლური ხერხებითა და საშუალებებით მიაწოდა იგი მკითხველს. ამ თვალსაზრისით, თავს უფლებას ვაძლევ მისი შემოქმედებითი ეჭვი – „დიადი ვერასდროს“ – გავაქარწყლო და განხორციელებულად გამოვაცხადო.

გია არგანაშვილი

ჰარი-ჰარალე, დედაო, ანუ იცი, დედა, სად ვიყავი მე? (რეზო გაბრიაძის შემოქმედებითი პორტრეტისათვის)

რეზო გაბრიაძე მრავალმხრივი და წარმატებული შემოქმედი იყო.

ასეთი დახასიათება, ალბათ, უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენდა, ყოველდღიურობას რომ არ გაეცვითა ეს სიტყვები, თუმცა შემოქმედის მიმართ, რომელიც ერთდღოულად მხატვარიც იყო, სცენარისტიც, თეატრისა და კინოს რეჟისორიც, მოქანდაკეც, მწერალიც და რომლის ლვანლი სიცოცხლეშივე სათანადოდ შეფასდა სხვადასხვა ქვეყნის მრავალი უმაღლესი ჯილდოთი, ყოველი ეპითეტი აღმატებით ხარისხს იძენს, თუმცა თითოეული მათგანი მხოლოდ ნაწილობრივ თუ წარმოგვიდგენს რეზო გაბრიაძის საყოველთაო და მასშტაბურ ხელოვნებას.

დადგება დრო და ხელოვნების სხვადასხვა დარგი (შესაძლოა, ქვეყნებიც) ერთმანეთს შეეცილებიან ამ შემოქმედის სახელს. მწერლობა, რომელიც ამ ჩამონათვალში უკანასკნელ ადგილზე მოხვდა, აუცილებლად ჩაერთვება დაგაში და დაიწყებს იმის მტკიცებას (ისევე როგორც სხვა სფეროს წარმომადგენლები), რომ რეზო გაბრიაძე სპექტაკლებშიც, ფილმებშიც და ფერწერულ ტილოებსა თუ ქანდაკებაში უპირველესად იყო მხოლოდ მწერალი (მხატვარი, რეჟისორი, სცენარისტი და ა.შ.) და თავისი საუკეთესო თვისებებით ის მრავალმხრივი მოღვაწის უნაკლო სახეს ქმნიდა.

სწორედ ამ პაქერობაში გამოიკვეთება ნამდვილი პორტრეტი შემოქმედისა, რომელიც მხოლოდ რომელიმე ქვეყნისა თუ ხელოვნების ამა თუ იმ დარგის საზღვრებში ვერ ეტევა. მთელი მისი მოღვაწეობა ცხადყოფს, რომ მისი შემოქმედება იყო თანამედროვე მსოფლიო კულტურის ორგანული ნაწილი და დღეს ის ამ საერთო სივრცეში იმკვიდრებს კუთვნილ ადგილს.

კულტურასაც აქ უფრო ფართო გაგებით ვიაზრებთ და მასში ვგულისხმობთ ადამიანის უნივერსალურ დამოკიდებულებას სამ-

ყაროსადმი, რომელთან კავშირშიც (დაპირისპირებით) ის საკუთარ თავში, უპირველესად, შემოქმედის ნიჭა და უნარს პოულობს და სრულიად „ახალ სამყაროს“ ქმნის.

დღევანდელი ჩვენი წერილი მცდელობაა იმ გზის გასააზრებლად, რომელიც შემოქმედმა განვლო, უმეტესად ტოტალიტარულ გარემოში, ველური კონკურენციის პირობებში, ეროვნული იდენტობის ძიების ურთულეს დროში, განათლების უმკაცრეს სისტემაში, სადაც იშვიათად თუ იპოვიდი ისეთ ადგილს, სადაც დამცირების გარეშე შეგეძლო სასურველი ცოდნის მიღება (რეზო გაბრიაძე ასეთ ადგილად ვალერიან მიზანდარის სახელოსნო-სტუდია მიაჩნდა, სადაც ის ოთხი წელი სახვითი ხელოვნების და ქანდაკების საფუძვლებს ეუფლებოდა).

ასეთ რეალობაში შემოქმედის ბუნება კულტურათა ურთიერთმოქმედების (მათ შორის ეთნიკურ, ეროვნულ და ცივილიზაციურ დონეზე) საზღვრებში ყალიბდება. (თვითონ რეზო გაბრიაძე იმ მიჯნას, საიდანაც შემოქმედი იწყება, „პროვოკაციულ წერტილს“ უწოდებს). კონფლიქტი, რომელიც გარკვეული მონაცემების მქონე ინდივიდსა და გარემოს, ასევე მისგან სრულიად განსხვავებულ ღირებულებათა მქონე ჯგუფებს თუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დროს ჩნდება, უმეტესად პოზიციური დაპირისპირების სახეს იძენს.

სწორედ ამგვარი დაპირისპირებით იწყებს თხრობას რეზო გაბ-რიაძე თავის ანიმაციურ ფილმში „ჰარი-ჰარალე, დედაო“. ბავშვობის მოგონებებში სოციალური გარემო გადაულახავ წინააღმდეგობად მოჩანს: „მე დედიკოს ბიჭი ვიყავი. საყელო სუფთა მქონდა, ყოველთვის მარტო დავდიოდი, უფროსებს თქვენობით ველაპარაკებოდი, ჩემი მაშინდელი ცხოვრება დრამატული იყო, მთავარი ამოცანა ის იყო, რომ როგორლაც ჩხუბის გარეშე მივსულიყავი სკოლაში. ქალაქში ვმოძრაობდი რთული გზებით, სადარბაზოდან გამოხდვა და შემდეგ თავშესაფრამდე გადარბენა. ომი ახალდამთავრებული იყო და ცოტა ჰქონდა ხალხს სიხარული, გართობა და კულტურული სიამოვნება, ნერვები ყველას დაძაბული ჰქონდა, უპატრონო ბავშვები ჯოგებად დარბოდნენ ქალაქში, ხალხს უჭირდა, ძნელი იყო მშვიდობიანობაში დაბრუნება, პანჩური, ალიყური, მსუბუქი წიხლი ლაპარაკს შველოდა, იყო შემთხ-

ვევა, როცა კუბოში შეყუდებულ კაცსაც კი ამოურტყია ჩემ-თვის პანჩური, ამიტომ მოკლე გადარბენებით ვმოძრაობდი, პარტიზანულად ვცხოვრობდი მშობლიურ ქალაქში“.

ჩვენ შეგვიძლია ბავშვობის ეს ცოცხალი შთაბეჭდილებები თანამედროვე მედიის ენაზე „ვთარგმნოთ“ (რასაც ყოველდღი-ურად ვისმენთ), გავიხსენოთ ის სიტყვები, რომელთაც მსგავსი სიტუაციის აღნერის დროს ვიყენებთ-ხოლმე: აგრესია, ჩაგვრა, სისასტიკე, ბულინგი, მასობრივი შიში და მკითხველი უთუოდ დაინახავს ბავშვის უმწეო მდგომარეობას, თვალწინ წარმოუდგება ის შემაძრნუნებელი რეალობა, რომელიც აშკარად იკითხება მხატვრული ქსოვილის მიღმა.

თუმცა რეზო გაბრიაძეს აქვს უნარი, რომ მძიმე, ხანდახან ძალზე ტრაგიკული მოვლენები ისე გადმოსცეს, რომ მკითხველს (მაყურებელს) სიტუაციის დრამატულობა არ აგრძნობინოს, არ გახადოს სხვისი ტკივილის თანამონაწილე, რადგან იცის, რომ ტექსტის პირველი გვერდებიდანვე უარყოფითი ემოციით დამძიმებული მკითხველი, ხშირად უფრო აგრესიული ხდება („სხვას თუ ჰკვლენ, ცქერა გვნადიან“ – ვაუა-ფშაველა), თანდათან უფრო მძაფრი განცდების გადმოცემას „აიძულებს“ ავტორს.

ამის საპირისპიროდ, მაყურებელს შევახსენებ ფილმ „შერე-კილების“ (სცენარის ავტორი რეზო გაბრიაძე) ერთ ეპიზოდს, რომელშიც ვნახავთ, თუ როგორი მორიდებით, მოიარებით ამცნობს არისტო სირბილაძე ერთაოზ ბრეგვაძეს მამის – მიზანა ბრეგვა-ძის გარდაცვალების ამბავს:

- აუპჰ, ჩაბარდა პატრონს –
- რომელ პატრონს ? –
- გევიდა გალმა –
- სად გაღმა? –
- მარილზედ –
- რა მარილზე ? –
- მოკვდა, მოკვდა...

ფილმის ამ ეპიზოდის სიტყვები დიდი ხანია ფრაზეოლოგიზ-მებად დამკვიდრდა მაყურებლის მეხსიერებაში. მას (მაყურებელს) მოსწონს ის სიმსუბუქე, რომელსაც ავტორი ზოგადად რთული ცხოვრების, ამ შემთხვევაში კი სიკვდილთან დამოკიდებულებაში

აღნევს. ეს რეზო გაბრიაძის შემოქმედებითი სტილია. სამყაროში, რომელსაც ის ქმნის, თითქმის არ ისმის სასტიკი სიტყვები, რადგან ავტორმა იცის, რომ შინაარსის გარდა, სიტყვებს აქვს უღერადობაც, რომელსაც შეუძლია გაუთვალისწინებელი განცყობა შემოიტანოს ტექსტში. ამიტომ, როცა მწერალი (ამ შემთხვევაში სცენარის ავტორი) სიტყვებს არჩევს, ის გვარწმუნებს, რომ სიძულვილის ენის გვერდით და მის საპირნონედ სამყაროში არსებობს სიყვარულის ენაც, რომელიც მსმენელს თანაგრძნობით განაწყობს თავად მოვლენისადმი.

სწორედ ამგვარი დამოკიდებულებით გამოირჩევა ფილმი „ჰარი-ჰარალე, დედაო“, რომელიც რეზო გაბრიაძემ ბავშვობის მოგონებების მიხედვით შექმნა. მთხრობელი და ილუსტრაციის მხატვარი აქ თავად ავტორია (რეჟისორი მისი შვილი ლევან გაბრიაძე). ანიმაციურ ნამუშევარში ავტორის 500-მდე ნახატია გამოყენებული. ფილმს ორი წლის განმავლობაში კინოსტუდია „ბაზილევსში“ იღებდნენ.

ფილმმა, რომლის პირველი ჩვენებაც სიმბოლურად ქუთაისში, თეთრ ხილზე მოეწყო, არაერთი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ნამუშევარი წარდგენილი იყო „ოსკარზე“ და საუკეთესო სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმების შორთ ლისტში მოხვდა. ამავე დროს, ფილმი Rezo-ს სახელით ჩაეშვა ამერიკის კინოგაქირავებაში.

ჩვენც სწორედ ეს ფილმი ვაქციეთ ჩვენი სტატიის კომპოზიციურ ხერხემლად, რადგან, როგორც ვთქვით, აქ ავტორი ჰყვება თავის ბიოგრაფიას, თუმცა მის მოსასმენად არ კმარა კინომაყურებლის თვალი და ყური, არც ის არის საკმარისი, რომ გამოსახულების ენა გესმოდეს, ამასთანავე თქვენ უნდა იყო კარგი მკითხველიც, მუსიკის მცოდნეც, რადგან ავტორი ფილმშიც არ ამბობს უარს ლიტერატურული ხერხების გამოყენებაზე, ხოლო ფილმის დრამატურგია ზოგიერთ ეპიზოდში მთლიანად მუსიკის არჩევანზე ხდება დამოკიდებული...

მკითხველს, შესაძლოა, მაინც გაუჩნდეს კითხვა, თუ რატომ გამოვარჩიეთ ეს უკანასკნელი ფილმი შემოქმედის პორტრეტზე მუშაობისთვის იმ დროს, როდესაც რეზო გაბრიაძე ოცდათხუთმეტამდემდე ძალზე ცნობილი ფილმის სცენარის ავტორია

(მკითხველს გაახსენდება „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერე-კილები“, „არ დაიდარდო“, „ქვევრი“ „ფეოლა“, „სერენადა“, „მიმი-ნო“). ასევე აქვთ შესანიშნავი მოთხოვნები, რომანი, უამრავი ფერ-წერული ტილო, სკულპტურა, ფილმები, პიესები, სპექტაკლები და თითოეულ მათგანში არანაკლები სიცხადით იკითხება ავტორის პორტრეტი.

თუმცა „ჰარი-ჰარალე, დედაოს“ მათთან შედარებით ერთი დიდი უპირატესობა აქვს. ის ბიოგრაფიული ფილმია და თანაც, ერთ-ერთი უკანასკნელი ნაშრომი ავტორისა. რეზო გაბრიაძემ თავად შეარჩია თავისი განვლილი ცხოვრების ის ეპიზოდები, რომლებიც მნიშვნელოვნად მიიჩნია საკუთარი პორტრეტის შესაქმნელად.

ფილმში ბავშვობის მოგონებები – ქუთაისი, სახლი, სკოლა, ბიბლიოთეკა, სოფელი, ბებია, ბაბუა, გერმანელი ტყვე – ძალიან დიდხანს გრძელდება და როგორც ჩანს, ის არც არასოდეს დამ-თავრებულა ავტორისთვის. ამ მოგონებებმა თითქოს შეავინრო-როვა ცხოვრების შემოქმედებითი პერიოდები, მსოფლიოს სხვა-დასხვა ქვეყანასა და ქალაქში მიღებული შთაბეჭდილებები თუ წარმატების სიხარული. ცხოვრების ბოლო წლებში შემოქმედის მეხსიერების მთლიანი საცავი ბავშვობამ მოიცვა, რომლის სუ-რათების აღდგენას ამ ფილმის სახით ავტორმა ორი წელი შეალია.

ამ ფილმში ავტორთან ერთად ტოტალიტარულმა ეპოქამაც ჩა-იხედა სარკეში და თავისი კარიკატურადეცეული სახეები გამო-აჩინა: აი, სკოლის დერეფანში, მეოცე საუკუნის პირველ ნახე-ვარში გაკვეთილზე დაგვიანებული რეზო გაბრიაძის ბავშვობა მიათრევს მძიმე პორტფელს, კედელზე გაკრული ბელადის სუ-რათებიდან ამხანაგი სტალინი და ამხანაგი ლენინ(ები) (ერთი პატარა ლენინი ორდენიდანაც გამოდის) ჩამოდიან და დაგვი-ანებულ მონაფეს საველე სასამართლო უწყობენ... მართალია, უდისციპლინო მონაფე ლიკვიდაციას გადაურჩება, თუმცა ციმ-ბირში გადასახლებას და ელექტრიკის პოზიციაზე განწესებას ვეღარ აირიდებს...

წერილის დასაწყისში შემოქმედისთვის აუცილებელ კონფ-ლიქტზე ვისაუბრეთ, თუმცა მის გვერდით ის „უსაფრთხო“ ადგი-ლიც უნდა ვახსენოთ, რომელიც ავტორს სულის მოსათქმელად,

ძალების მოსაკრებად მუდმივად სჭირდება. ფილმში ასეთ ადგილად ბიბლიოთეკა №6 სახელდება, როგორც ჩანს, ბიბლიოთეკამ {წიგნმა} ბოლომდე შეინარჩუნა ავტორისთვის უსაფრთხო ადგილის იმიჯი:

„ერთადერთ ადგილას ვგრძნობდი თავს დაცულად, ეს იყო ბიბლიოთეკა №6, რომელიც მდინარის თავზე იყო შეკიდული, ორნი ვიყავით, ვინც სერიოზულად იყო გატაცებული მსოფლიო ლიტერატურით, მე და იპოლიტე, იპოლიტე ვირთხა იყო, ოდესლაც ჩვენი ქალაქის ცნობილმა მსახიობმა იპოლიტე ხვიჩიამ დამდუღრა და ძნელი შესახედი იყო, ბენვი აღარ ჰქონდა, კუდი იისფერი, როგორც საჭიროა, ყურები გამჭვირვალე და ნაზი, იპოლიტე ძირითადად ყდებით იყო დაკავებული, ხოლო დანარჩენ მასალას მე ვამუშავებდი“.

* * *

1964 წელს რეზო გაბრიაძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის უურნალისტიკის განყოფილება. უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ წლებში ჩამოყალიბდა მისი შემოქმედებითი კრედო, განისაზღვრა სააზროვნო სივრცე და გაჩნდა ის აუცილებელი თავდაჯერება („...მე ამისგან გავაკეთებ!...“ – „არაჩვეულებრივი გამოფენა“), რომელმაც საშუალება მისცა, მსოფლიო დონეზე (სხვადასხვა სფეროში) ყველასთვის გასაგებ ენაზი ეთქვა თავისი სათქმელი.

რეზო გაბრიაძე, უპირველესად, მხატვარია (ასე თვლიდა თვითონაც) და კარგად იცნობს მხატვრული პერსპექტივის კანონს, რომლის ძალითაც საგნები, მოვლენები ისე უნდა გადმოვცეთ, რომ სინამდვილის შთაბეჭდილება არ დაირღვეს. თუმცა ფილმში რეზო გაბრიაძე შეგნებულად არღვევს პერსპექტივის კანონს, ანგრევს საგნების (მოვლენების) მნიშვნელობას. შეუძლია ბაბუისათვის სიგარეტის ნამწვების შეგროვებას უფრო მეტი დრო და ადგილი დაუთმოს, ვიდრე მოსკოვში უმაღლეს სასცენარო კურსებზე ნასვლის გადაწყვეტილების მიღებას, რომელსაც ერთერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მის ცხოვრებაში:

„ერთხელაც არაშემთხვევით ლუდის დასალევად მიმავალი, შემთხვევით აღმოვჩნდი კინემატოგრაფიის დირექტორის კაბი-

ნეტში. იქ შემომთავაზეს გავმხდარიყავი უმაღლესი სასცენარო კურსების მსმენელი მოსკოვში. ცთუნება დიდი იყო, უფასო ბილეთი და ორკვირიანი ცხოვრება მოსკოვში. ჰოდა, ასე, ოცდარვა წლის ასაკში მიმიღეს უმაღლეს სასცენარო კურსებზე, პირობითად იანვრამდე. ჩემი ცხოვრება კინოში თორმეტი წელი გაგრძელდა...“

რეზო გაბრიაძე ფილმში ამ თემაზე საუბარს აღიძელებს. უნდა ვივარულოთ, რომ რუსულ კულტურასთან მისი შეხვედრა უმტკიცნეულოდ არ მიმდინარეობდა, თუმცა აქ უფრო მნიშვნელოვანი ტენდენცია იჩენს თავს, რაც უშუალოდ მოსკოვის კინოსარეჟისორო ფაკულტეტს უკავშირდება, სადაც წლების განმავლობაში მრავალი ქართველი რეჟისორი და მწერალი ეუფლებოდა ხელოვნების ამ დარგის საფუძვლებს. ისიც უნდა ვალიაროთ, რომ არა მარტო ქართული კინოსთვის, არამედ ნაციონალური კულტურისთვის, ამგვარი შემოქმედებითი კავშირები შემდგომში საეტაპო და პოზიტიურ მოვლენად იქცა.

მოსკოვში უმაღლეს სარეჟისორო კურსებზე რეზო გაბრიაძე არა მხოლოდ ხელობაში დაოსტატდა, არამედ მსოფლიო კინოხელოვნების კონტექსტში გაიაზრა ქართული თემები, რომლებიც, ბუნებრივია, მას მუდამ ეწყო „პორტფელში“ და მხოლოდ მისი რეალიზაციის ფორმებს ეძებდა. ამასთან ერთად, ის ინტენსიურად მონაწილეობდა ქართული კინოლიტერატურის შექმნაში, რომელიც ჯერ სრულიად შეუსწავლელი და შეუფასებელია.

* * *

1981 წელს რეზო გაბრიაძის შემოქმედებითი ვექტორი კიდევ ერთხელ, ამჯერადაც რადიკალურად შეტრიალდა და თეატრს მიადგა. ავტორი ამ ამბის დასაწყისაც ძალზე უბრალოდ ჰყვება და თავისი გადაწყვეტილების მიზეზს რაღაც ცხოვრებისეული შემთხვევითობების ჯაჭვში დაეძებს:

„მაშინ ქალაქის ძველ უბანში მივდიოდი, როდესაც გვერდით თბილისის მთავარი არქიტექტორის მანქანა გაჩერდა. – გაქვს რამე წინადადება ძველი თბილისის რესტავრაციისთვის – მკითხა მან. – მარიონეტების თეატრს გავხსნიდი – ვუპასუხე მე. ერთნაირად გაკვირვებულები დავრჩით იმიტომ, რომ მანამდე არა-სოდეს მენახა მარიონეტები და არც მიფიქრია მათზე. თეატრი

მაშინ ჩემთვის პირველ რიგში ნიშნავდა სახელოსნოს, საღებავებს, ტილოს და ბედნიერების შეგრძნებას. არქიტექტორი დაფიქრდა და თქვა: – გეენება შენ თეატრი. მანქანამ დაინივლა და გავარდა ჩემს მომავალში.

მას შემდეგ ბარე ორმოცდაათი წელი გავიდა, შეიძლება მეტიც, მაგრამ ნახევარი საუკუნე კი ნამდვილად...

აქ რეზო გაბრიძე ისევ თავს არიდებს საუბარს თბილისის მარიონეტების თეატრზე, თბილისელებისთვის და ჩამოსული სტუმრებისთვისაც „გაბრიაძის თეატრზე“, რომელიც არსებობის 40 წელს ითვლის და რომელმაც ამ ხნის განმავლობაში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იმოგზაურა თავისი სპექტაკლებით და ბევრ საერთაშორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. მათ შორის იყო ედინბურგი, ნიუ იორკი, პარიზი, ტორონტო, ბელგრადი, ჩარლისტონი, დრეზდენი, მოსკოვი, პეტერბურგი და მრავალი სხვა ქალაქი.

მაყურებელს ახსოვს რეზო გაბრიაძის თეატრის გახმაურებული სპექტაკლები: „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“, „სტალინგრადი“, „რამონა“ და „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი“, შვეიცარიასა და საფრანგეთში დადგმული ორი დრამატული სპექტაკლი, ასევე პიესა „აკრძალული შობა ანუ ექიმი და ავადმყოფი“, რომელიც რეჟისორმა 2010 წელს ბროდვეიზე დადგა.

აქ გვინდა ფილმის მთავარი ხაზიდან ცოტა ხნით გადავუსვიოთ და რეზო გაბრიაძის თეატრის პარიზში გასტროლები და უდავოდ დიდი ნარმატება გავახსენო თეატრის მაყურებელს (აქ მთლიანად ვეყრდნობით გია მაჩაბლის ინტერვიუს ავტორთან, რომელიც 2013 წელს ჩაუწერია), ადგილობრივი პრესის გამოხმაურებაც გავაცნო. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ვიდრე რეზო გაბრიაძის თეატრს პარიზში მიინვევდნენ, ის უკვე იყო საფრანგეთის რესპუბლიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის ორდენის კომანდორი.

გაზეთი „მონდი“ წერდა: „მხატვარ, მწერალ და კინოდრამატურგ რეზო გაბრიაძის მიერ შექმნილი სპექტაკლი ომზე და ომის საშინელებაზეა. სპექტაკლში შექმნილი სახეები დელიკატური და ფაქიზია, ისევე როგორც მსახიობების მუშაობა. ჯარის შემზარვი სვლა, შოსტაკოვიჩის აკორდები, სიკვდილის შიში, რომელიც ცხენშია განსახიერებული, მძლავრი და მშვენიერი სახეები

განცდას იწვევს როგორც ხანშიშესულებში, ასევე ახალგაზრდებში. სპექტაკლი რეკვიემია და ინარჩუნებს მთელ თავის ძალას რეკვიემისათვის“.

„თეატრი გთავაზობთ უნიკალურ სპექტაკლს. წარმოშობით ქართველი რეზო გაბრიაძე წერს, ხატავს და დგამს სპექტაკლებს. უკვე ოცი წელია, რაც მან თავისი შემოქმედება დაუკავშირა თავის თეატრს, მის მაგიურ სამყაროს. სპექტაკლი ნამდვილი ეპო-პეაა, რომელიც 1937-43 პერიოდს მოიცავს და ის იქმნება ქვიშით დაფარულ პატარა მაგიდაზე, რომელიც რეზო გაბრიაძემ გადააქცია ბრძოლის ველად“.

„ფიგარო“ წერდა: „ქართველი რეზო გაბრიაძე უნაკლო არტისტია, მხატვარი და დრამატურგიის შემქმნელი. მან მოიგონა სამყარო, რომელიც საოცარია და ამავე დროს ჩვენი ცხოვრების სიღრმეს სწვდება, ქსოვილების ნაფლეთებიდან და ნაჭრებისგან ნიჭიერად და სულისშემძრელად მან შესთავაზა მაყურებელს სტალინგრადის ბრძოლა“.

გაზეთები წერდნენ, რომ რეზო გაბრიაძე ქართველი გენიოსი და უკვდავი ხელოვანია (როდესაც წამყვანი ამის შესახებ სტატიას უკითხავს რეზო გაბრიაძეს, მას მხოლოდ ელიმება და უხერხულობას გრძნობს...), ჩვენ კი თამამად ვიმეორებთ ამ ეპითეტს და არავითარ უხერხულობას არ ვვრძნობთ (ადრეც ბევრჯერ გვითქვამს), თანაც სასიამოვნოა, როდესაც ამ შეფასებაში არა მხოლოდ საფრანგეთში, არამედ რუსეთშიც, ამერიკაშიც, შვეცი-აშიც გვეთანხმებიან და ჩვენც მხოლოდ იმაზე გვინევს ფიქრი, რომ ამ აღიარების მიზეზი ამოვხსნათ, რათა მომავალ თაობას აღარ მოუწიოს საყოველთაოდ აღიარებულ იმ ღირებულებებზე დავა, რომელიც მომავალში მათ მსოფლიო ხელოვნებისკენ გაუკვალავს გზას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კინოში, თეატრში, ლიტერატურაში, ქანდაკებასა თუ მუსიკაში რეზო გაბრიაძე შესანიშნავად გრძნობს მაყურებელს, მკითხველს, მსმენელს. ისინი შემოქმედის ცნობიერებაში არ განირჩევიან ასაკის, სქესის, ეროვნების, რელიგიური კუთვნილების, მსოფლმხედველობის მიხედვით. მისი შემოქმედებითი საიდუმლო სწორედ ისაა, რომ ყველასთვის ჰყვება და თხრიბაში არ იგრძნობა მანერულობა, ყალბი თავმდაბლობა, ან პატარა

ერის წარმომადგენლის შიში და მორიდება დიდი კულტურების წინაშე, რომელიც ხშირად გადაულახავ დაბრკოლებად ჰქონდება.

რეზო გაბრიაძეს ზუსტად შეუძლია იმ საერთო განწყობის მოძებნა, რომელსაც დედამინის ყველა კონტინენტზე, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მილიარდელის აპარტამენტში თუ ღარიბი ადამიანის ქოხში ერთნაირი გამოვლინება შეიძლება ჰქონდეს. აი, ამის საუკეთესო მაგალითი, განა შეიძლება ვინმე არ დაეთანხმოს ხელოვანის მიერ სამოთხის სუბიექტურ განსაზღვრებას ?!

„და საერთოდ, რა შეიძლება იყოს ცხოვრებაში იმაზე ტკბილი, ვიდრე სიცხე 38 და 5, სკოლაში არ მიდიხარ, დედა ალერსით გელაბარაკება, მამას ჩექმები ხელში უკავია და ისე დადის, რა შეიძლება ამაზე კარგი იყოს?“ – კითხულობს ავტორი და თვითონვე პასუხობს: – „ეს არის სამოთხე...“

დიახ, ეს არის ნამდვილად სამოთხე და ეს განცდა ერთნაირად გასაგებია ყველა დროში და დედამინის ყველა კუთხეში. ამის შეგრძნება აძლევს ავტორს იმის გარანტიას, რომ ეს ფილმი დედამინის ყველა მცხოვრებლისთვის ერთნაირად ახლობელი გახდება.

* * *

ერთ-ერთი მთავარი ნიშანი, რომელიც რეზო გაბრიაძის შემოქმედებას ახასიათებს, იუმორია. მსუბუქი იუმორი, როგორც მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები უწოდებენ. საყოველთაოდ მიღებული აზრია, რომ ქუთაისში (ზოგადად კი დასავლეთ საქართველოში) დაბადებული შემოქმედისთვის იუმორი ძალზე ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ რაც უფრო ჭარბად არის ესა თუ ის ხასიათი ამა თუ იმ კუთხეში, მით უფრო სარისკოა ხელოვნებაში მისი შემოტანა ისე, რომ თან ქუჩის მტვერი და ანეკდოტური შეფერილობა არ გადმოჰყვეს (ხელოვნების ვერცერთი დარგი ვერ იტანს ამას). ეს სიმდიდრე არც თუ ისე სახარბიელო უპირატესობაა იმისთვის, ვინც მას საკუთარ შემოქმედებით ქურაში (ვაჟა-ფშაველა) ვერ გაატარებს და კოლექტიური აზროვნების ნაყოფს ინდივიდუალურ სიმაღლემდე ვერ აიყვანს.

ისიც საგულისხმოა, რეზო გაბრიაძის (ისევე, როგორც დავით კლდიაშვილის) შემოქმედებაზე მკითხველი ძალიან ბევრს იცინის,

თუნდაც პერსონაჟის ქცევასა და სიტყვა-პასუხში არაფერი იყოს სასაცილო. ესეც სტერეოტიპია, რომელიც თავის დროზე დავით კლდიაშვილმაც გააპროტესტა – „სიცრუეა, ჩემი პერსონაჟების-თვის არასოდეს დამიცინიაო“.

ზუსტად ასეთი დამოკიდებულება აქვს რეზო გაბრიაძეს თავისი თემებისა და პერსონაჟების მიმართ.

იმერულ ქცევას და სიტყვა-პასუხს რეზო გაბრიაძე ევრო-პეიზმებად მიიჩნევს და წუხს იმაზე, რომ ძალზე საეჭვო მწერ-ლებმა ის მხოლოდ იუმორის საგნად აქციეს. ამავე დროს, ის ევ-როპელად მიიჩნევს იმ ადამიანს (იმ შემოქმედს), რომელიც სა-კუთარ ტკივილს თავზე არ გახვევს და დეპრესიაში არ გაგდებს.

დასაწყისში ვახსენე, რომ რეზო გაბრიაძე უპირველესად მწე-რალია-მეთქი და ამის მტკიცებულება ამ ფილმში შეგვიძლია მოვიძიოთ, რადგან ის ერთი მთლიანი ისტორიაა და ცალკეული ნოველებისგან შედგება. ნოველები, თავის მხრივ, მცირე მინი-ატურული ჩანახატებისგან, ისინი კი ისეთი წინადადებებისგან იკ-ვრება, რომ თითოეულ მათგანს შეუძლია ფრაზეოლოგიზმად იქ-

ცეს და დამოუკიდებლად იარსებოს. ნოველები კი, როგორც ხასიათით, ასევ სტილისტურად სრულიად განსხვავდებიან ერთ-მანეთისგან, მაგრამ ერთმანეთს არ ღალატობენ, ერთი კომპო-ზიციის შექმნაში თავიანთი წვლილი შეაქვთ იმის მიხედვით, თუ რა ამოცანას აძლევს მათ ავტორი.

და მაინც, რეზო გაბრიაძის, როგორც მწერლის, ბედ-ილბალ-ზეც ამ ფილმში უნდა ამოვიკითხოთ, მწერალი ამის ინტერპრე-ტაციის უფლებას იძლევა, ამისთვის კი ფილმში ერთი მთლიანი ნოველის გამოკრება შეგვიძლია, რომელსაც პირობითად მარგა-ლიტას და ადრახნიას სიყვარულის ამბავს დავარქმევთ.

ფილმის მიხედვით, ბავშვობაში ავტორს ბიბლიოთეკაში ძალ-ზე საეჭვო ბიოგრაფიის და საშიში გარეგნობის ადრახნია გამო-ეცხადა, რომელმაც აიძულა, რომ ულამაზესი ქვრივის, მარგარი-ტასთვის, მის მაგივრად სასიყვარულო ბარათი მიეწერა. სრული შთაბეჭდილებისთვის აქ ზუსტად უნდა გადმოვცეთ ამ ბარათის შინაარსი:

„იმით დავიწყე, რომ იასამნისფერჩლიქებიან ჯეირანს შევა-დარე, ეს სახე ჩემი არ იყო, სპარსულ პოეზიას დავესესხე, რაც კი

სიტყვა მახსენდებოდა, ყველაფერი წერილში მიღიოდა. მე ვწერდი: ო, ძვირფასო მარგალიტა, ყველა ჩემს თვალს ფხიზლად სძინავს, რომ არ გამორჩეს შენთან შეხვედრის სიხარული, ჩემი თვალები ერთმანეთზე ეჭვიანობენ და ბალიშების ნაცვლად წამნამებს იფენენ“.

როგორც ჩანს, ეს იყო მისი პირველი მხატვრული ტექსტი, რომელიც ყველაზე უფრო პრეტენზიული მკითხველის – მარგალიტას მოხიბლვა ჰქონდა მიზნად. ამ წერილის მისია და ავტორის ლიტერატურული ოდისეა ამით არ დასრულებულა. ფილმის ბოლოს ავტორი ხვდება ადრახნიას, რომელიც მას მარგალიტას საფლავზე ეპატიუება, სადაც ამ „საიდუმლო ბარათის“ შემდგომი ბედიც ირკვევა.

„იქ გავიცანი მარგალიტას და ადრახნიას შვილები. გოგო მა-მას ჰგავდა, მარტო პროფილით, ბიჭი კი დედას დამგვანებოდა, ტუჩები, სახე თითქოს ატმისგან იყო გამოთლილი, ისევ როგორც მარგალიტას. ... და იქ გავიგე, რომ ჩემი ნაწარმოები, ჩემი პირველი ნაწარმოები, მიწაშია ღრმად დამარსული მშვენიერი მარგალიტას მკერდზე. ასეთი ყოფილა მისი უკანასკნელი ნება“.

ასეთი იყო ავტორის ნებაც. დრო და ენერგია, რომელიც ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მუშაობამ წაართვა, სწორედ ლიტერატურას დააკლდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მწერლის არაერთ მხატვრულ ტექსტს ვიცნობთ, ავტორი მაინც გულისტკივილს განიცდის იმის გამო, რომ თავისი ლიტერატურული ნიჭი მარგალიტასთან (ეს სახე ჩნდება „უცხო ჩიტში“, რომელსაც მასობრივი მკითხველი ფილმ „შერეკილებიდან“ იცნობს) ერთად დამარხა. აქ მინდა გავიმეორო ჩემ მიერ ადრე ნათქვამი: სამწუხაროდ, ქართველები არ ვკმარივართ ხელოვნების ყველა დარგისთვის. ამიტომ რაღაც ყოველთვის იჩაგრება. რეზო გაბრიაძის შემთხვევაში ლიტერატურა დაზარალდა, თუმცა თავის სპექტაკლებში, ფილმებში, მხატვრობაში სწორედ მისი ლიტერატურული ესთეტიკა მუშაობს.

* * *

ფილმის ბოლოს ავტორი ისე ქუთაისს უბრუნდება. ბავშვობის ქალაქი განუმეორებელ ფიქრებს აღძრავს, მაგრამ ვიდრე თავის სათუთ გრძნობებზე გვეტყვის რამეს, მე მინდა ის ქუთა-

ისი გავაცნო მკითხველს. ისეთი, როგორც ეს უძველესი ქალაქი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის, თბილისიდან ჩანს:

ამ ქალაქისთვის, ალბათ, ყველაზე სიმბოლური ის იყო, რომ ქუთაისში საერთაშორისო აეროპორტი გაიხსნა. ქრისტეფორე მგალობლიშვილის და ერთაოზ ბრეგაძის („შერეკილები“) მშობლიურ ქალაქში ასეთი დიდი აეროპორტი აუცილებლად უნდა ყოფილიყო. თუმცა შემოქმედებითი ქუთაისი არასოდეს უჩიოდა „ასაფრენი ბილიკის“ უქონლობას. და თუ ერთი საუკუნის წინ მათი საპატიო მარშრუტი თბილისში მთავრდებოდა, დღვანდელი მაგალითითი თუ ვიმსჯელებთ, სწორედ შემოქმედებითი ლაინერები სწორება მსოფლიოს მრავალ ქვეყანას და ქალაქებს.

ამის შემდეგ ჩნდება რაღაც მშობლიური სევდა და მონატრება. შორიდან მომავალი და ნიავივით მსუბუქი („წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალი ქარი...“). ამგვარი გრძნობას თავად ავტორიც განიცდის, თუმცა, როგორც დიდ ხელოვანს სჩვევია, პოულობს ძალას საკუთარ თავში, რათა ამ ტკივილს ერთგვარი თვითირონითაც შეხედოს.

„მის მერე ბარე ორმოცდაათი წელი გავიდა. ამას წინათ ისევ მოვხვდი ქუთაისში, დავეხეტებოდი ქუჩებში და ვეუბნებოდი ჩემს თავს: „აი, შენ მშობლიურ ქალაქში ხარ, შენ უნდა იგრძნო სევდა, გულის ტკივილი, სინაზე და სილამაზე“. აქეთ წავედი – ვერ ვიგრძენი, იქით წავედი – ვერ ვიგრძენი. ტყავის კეპკა, ვიყიდესავით, დავყნოსე – ვერაფერი ვიგრძენი. ნოსტალგიის ძებნაში თეთრ ხიდზე აღმოგჩნდი – „მოდი გადავაფურთხებ, ეგებ რამე წაზი, სათუთი შეეხოს ჩემს გულს-მეთქი“, ასეც ვქენი, მაგრამ ესეც არ გამომივიდა. რამდენჯერაც არ ვცადე, ყველა მოღუნულად წავიდა ქვევით და ბოლოში არ აჩქარდა. „სულ სხვაა ახალგაზრდობაში „თეთრი ხიდიდან“ გადაფურთხება,“ – ყალბად დავლონდი მე.

* * *

ფილმს თვალი არ უნდო მოწყვიტო. ეს ზოგადი წესია, მაგრამ ამ შემთხვევაში მას განსაკუთრებული აზრი ეძლევა, რადგან ავტორი ორ ამბავს ჰყვება, ერთს ტექსტით (სიტყვით), ხოლო მეორეს გამოსახულებით. რეზო გაბრიაძის ფილმებში კი გამოსახულება

არასოდეს არ არის ტექსტის პირდაპირი დასურათება. პირიქით, შესაძლოა, ტექსტი სრულიად სხვა ამბავს ჰყვებოდეს, გამოსახულება კი საპიროსპირო განწყობას გიქმნიდეს.

ამ შემთხვევაშიც ასეა. ფილმის ბოლოს ავტორი გერმანელი ტყვის ბედით ინტერესდება და კადრში ბისბადენში წყალდიდობის ეპიზოდს ვხედავთ, სადაც ტყვე გერმანელი იმერეთში ავტორის ბაბუისგან ნასწავლს ხერხს (თვითონ ბაბუას ეს წარმართული ხერხი იაპონიის ომის დროს უსწავლია რომელილაც ტომისგან) მიმართავს. ეს ხერხი ძელისაგან და ორი ბურთისგან შექმნილი ფალოსის ზეცისკენ მიმართავს და ღრუბლების ლანძღვა-გინებას გულისხმობს. საოცარია, რომ ამ წარმართულმა ხერხმა, რომელიც ზემო იმერეთში „მუშაობდა“, და რომლის გამოც ბებია ბაბუას ეკლესიდან მოკვეთით ემუშარებოდა, ევროპაშიც გაამართლა და ლამის მთელი კონტინეტი წყალში ჩაძირვისგან იხსნა .

გლობალიზაცია კულტურათა დაახლოების, გამოცდილების ურთიერთგაზიარებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში გერმანელმა ტყვემ იმერელ გლეხს სახლში ტუალეტის მოწყობის ტექნოლოგია გააცნო, თვითონ კი ბუნებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის წარმართულ ხერხი გაიტანა, შესძინა კაცობრიობას.

მაყურებელს კი სულაც არ უკირს, რომ სწორედ ამ ხერხით დაშინებული საავდრო ღრუბლები იფანტება და ფილმის ფინალში მზე ჩანს.

* * *

დაბოლოს, რეზო გაბრიაძის ფილმში მუსიკაც თავის „ამბავს“ ჰყვება, რადგან თხრობა აქ მთავარ ელემენტად არის ქცეული.

სწორედ მუსიკით იხსნება ფილმის დედააზრი, რომელიც სა-თაურში არის კოდირებული. მკითხველმა იცის, რომ არალე – ქართულ მითოლოგიაში მოსავლისა და ნაყოფიერების ღმერთია. აქედან მომდინარეობს სიმღერის ტექსტიც „ჰარი, ჰარალე“. თუმცა ეს სიტყვები დღეს უფრო მისამღერია, რომელიც ხან ცალკეც სრულდება და ხანაც სხვა სიმღერასთან ერთად. შემთხვევითი არ არის (ფილმში არაფერია შემთხვევითი), რომ ეს სიტყვები (ჰარი-ჰარალე) ფილმში ორ სხვადასხვა კონტექსტში ხმიანდება. პირველ შემთხვევაში, ეს კლასიკური სიმღერის „ურმულის“

დასაწყისია, რომელსაც ცნობილი მომღერალი ჰამლეტ გონაშვილი ასრულებს, ხოლო მეორედ ხალხურ საბავშვო ლექსს თვითონ რეზო გაბრიაძე ასრულებს ქართულ და რუსულ ენებზე ანსამბლ შვიდკაცასთან ერთად (არ დაგვავიწყდეს, რომ ფილმი თავდაპირველად რუსულ ენაზე შეიქმნა, ხოლო შემდეგ თვითონ ავტორის მიერ ითარგმნა ქართულად).

ფილმის რუსული სახელი „Знаешь, мама, где я был?“ საშუალებას იძლევა მივხვდეთ, რომ ამ სიმღერაში („ჰარი-ჰარალე, დედაო“) დედა მარადიულ დედას გულისხმობს (ის დაახლოებით ჰარი-ჰარალეს ასაკისაა, რომელსაც შვილი (ავტორი) თავისი მიწიერი ცხოვრების შთაბეჭდილებაზე მოუთხრობს. ის თითქოს „სულ ერთი წუთით“ გავიდა წუთისოფელში და დედამიწაზე წუთიერი ყოფნის ამბავს, როგორც ხალისიან თავგადასავალს ისე ჰყვება:

ჰარი, ჰარალე დედაო,
გადავჯექ კურდელზედაო
გავაჭენ-გამოვაჭენე,
გავუშვი მინდორზედაო...

ეს ლექსი თავისი ხასიათით იმ ფოლკლორულ ციკლს მიეკუთვნება, რომელშიც ადამიანის ზღაპრული და ხალისიანი ბუნება ილვიძებს, ის დეპრესიისა და სტრესის დასათრგუნად თვითირონიისაც მიმართავს „აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ...“, „სანთლის გუთანს გავაკეთებ...“, ამ უანრის ტექსტებში პერსონაჟებიც შერეკილები არიან, ისინი თავიანთი უსაზღვრო ფანტაზიით ერთვებიან ბუნების ცხოვრებაში, განიცდიან პირველადი ჰარმონიის სიხარულს და თუ აუცილებლობა მოითხოვს, გაფრენაზეც („შერეკილები“) არ ამბობენ უარს...

* * *

წერილის დასაწყისში რეზო გაბრიაძე დავახასიათეთ, როგორც წარმატებული და მრავალმხრივი შემოქმედი, თუმცა არ გვიხსენებია ესთეტიკური სფეროს მშვენიერი „სულიერების“ საფუძველი – გემოვნება, როგორც ადამიანის განათლებულობის,

კულტურულობისა და პუმანურობის აუცილებელი ელემენტი, რომელიც გულისხმობს გარკვეულ დისტანცირებას შესაფასებელი ობიექტიდან (ბალთაზარ გრასიანი) მაშინაც კი, როდესაც საქმე უშუალოდ შემოქმედს და მის ნამუშევარს ეხება.

მკითხველი დამეთანხმება, რომ საკუთარი შემოქმედების შეფასების უნარი ძალზე იშვიათი და უნიკალური ნიჭია, რაც უპირველესად სამყაროს შემოქმედს ახასიათებს, რომელმაც იხილა თავისი შექმნილი სამყარო და შეაფასა („დაინახა ღმერთმა ყოველივე, რაც გააჩინა, და აპა, ძალიან კარგი იყო“ – „დაბადება“).

შეგვიძლია გავიხსენოთ არაერთი შემოქმედი, რომლებიც ხელოვნების ძალზე მაღალი სტანდარტის ნიმუშებს ქმნის (თუმცა მათთვის არცთუ იშვიათია შემოქმედებითი ჩავარდნები), ასეთი ხელოვანი დარწმუნებული არ არის თავის შესაძლებლობაში, მას არ შეუძლია საკუთარ შემოქმედებას ფასი დასდოს, მისი ნამდვილი ღირებულება ამოიცნოს. მისგან ხშირად მოისმენთ გულწრფელ აღიარებას, რომ ის უფრო ინტუიციით ქმნის და არა აქვს იმის პირობა, რომ შინაგანი ხმა არ უღალატებს.

მათ გვერდით არსებობს მეორე ტიპის შემოქმედი, რომელმაც ზუსტად იცის, რას ქმნის და ისიც იცის, თუ როგორ მიიღებს მის ნამუშევარს მკითხველი (მაყურებელი).

რეზო გაბრიაძეს შეეძლო ქვიშით დაფარული პატარა მაგიდა მთელ სამყაროდ წარმოედგინა, ხოლო ქსოვილების ნაფლეთებისა და ნაჭრებისგან ნიჭიერად და სულისშემძვრელად შექნილი ომის ბატალური სცენებში („სტალინგრადის დაცვა“) ამ სამყაროს აღსასრული დაენახვებინა მაყურებლისთვის.

ამგვარ გაბედულებას შემოქმედის ის ნიჭი და უნარი სჭირდება, რომელსაც შეუძლია ერთდრულად ქმნიდეს კიდეც შედევრს და მისგან დისტანცირებაც შეეძლოს, რათა ობიექტურად შეაფასოს მისი ღირსება და ნაკლი.

სწორედ ეს იყო იმის პირობა, რომ რეზო გაბრიაძეს, როგორც შემოქმედ-შემფასებელს, სახელოვნებო სივრცეში ჩავარდნა არ ჰქონია.

მირანდა ტყეშელაშვილი

მემკვიდრეობა (ანზორ ერქომაიშვილის ხსოვნას)

ალბათ, ძალიან ძნელია, თუ შეუძლებელი არა, მოიძებნოს ქართველი, რომელსაც არაფერი ეცოდინება ანზორ ერქომაიშვილის, ქართული ხალხური სიმღერის დაუღალავი შემკრებისა და მსოფლიო მასშტაბით მისი გამავრცელებლის შესახებ. და ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ გურიაში და არა მარტო იქ, მთელ საქართველოში უზომოდ პოპულარული „მივალ გურიაში მარა.../ სულმა წინ წინ გეიპარა“... ხალხური კი არა, მისი საავტორო სიმღერაა.

2021 წლის მარტის მინურულს, ანზორ ერქომაიშვილი, 80 წლის ასაკში კორონა პანდემიას შენირული კიდევ ერთი ღვაწლმოსილი ქართველი, ყველაზე საპატიო და ერისთვის ძვირფას სასაფლაოზე, მთანმინდის პანთეონში მიაბარეს მიწას. მისი სული კი უთუოდ გურიაში გაიპარა, დიდ წინაპართა სულებთან მისახლებლად, ანგარიშის ჩასაბარებლად, რომ შეასრულა მათი ანდერძი, უპატრონა გურულ სიმღერას და გადაბარა მომავალ თაობებს.

„დაიბადა დავით ერქომაიშვილისა და ეთერ გორდელაძის ოჯახში. იყო ცნობილი კომპოზიტორის, ლოტბარისა და მომღერლის, არტემ ერქომაიშვილის შვილიშვილი და მოწაფე. არტემისვე რჩევით, მიიღო უმაღლესი მუსიკალური განათლება, ჩააბარა კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, რომელიც 1969 წელს დაამთავრა. ჯერ კიდევ სტუდენტმა დაინტყო გურული საგალობლებისა და ხალხური სიმღერების გადატანა ნოტებზე. კონსერვატორიაში დააარსა ამ სიმღერების შემსწავლელი ვოკალური ანსამბლი „გორდელა“. 1968 წლიდან ხელმძღვანელობდა ვოკალურ ანსამბლ „რუსთავს“, რომელთან ერთადაც საგასტროლოდ იმყოფებოდა საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. გამოცემული აქვს მის მიერვე ჩანერილი და გაშიფრული 7 ქართული (გურული) ხალხური სიმღერა (1972, მოსკოვი). გამოსაცემად მოამზადა კრებული „გურული ხალხური სიმღერები“. უცხოური ფირმებისათვის ჩაწე-

რა 300-ზე მეტი ქართული ხალხური სიმღერა, რომლებიც კომპაქტური დისკების სახით ვრცელდება მთელ მსოფლიოში. 1976 წელს ჩამოაყალიბა ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლი „მართვე“, რომელსაც 2000 წლამდე ხელმძღვანელობდა; 1994 წელს ანსამბლის ბაზაზე შეიქმნა მოსწავლეთა სასახლე. აღსანიშნავია ა. ერქმაიშვილის, როგორც ხალხური მუსიკის შემკრების, დამსახურება. მან 1972-იდან მსოფლიოს მრავალი ქვეყნის არქივში (მოსკოვი, სანქტ-პეტერბურგი, კრასნოგორსკი, რიგა, თბილისი) მიაკვლია 1907-იდან 1930 წლამდე შესრულებული 500-ზე მეტი ქართული ხალხური სიმღერის ფონოგრამას, მათი რესტავრაციის შემდეგ ფირმა „მელოდიაში“ გამოსცა 5 ფირფიტა გამოკვლევებითურთ; 1992 წელს ლონდონის მუსიკალურ არქივში მიაკვლია 1901-1914 წ. ინგლისური ფირმების მიერ გრამფირფიტებზე ჩანერილ 127 ქართულ ხალხურ სიმღერას; აქვე აღმოჩინა ვ. სარაჯიშვილის ჩანაწერების მატრიცები (დედნები), რომელთა მეშვეობითაც მოხერხდა მომღერლის პირვანდელი სრულყოფილი ხმის აღდგენა; 1985-1989 წ. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ცნობილი მომღერლების შესრულებით, ფირმა „მელოდიაში“ ჩანერა 100-ზე მეტი ქართული ხალხური სიმღერა; ფირებზე ჩანერილია როგორც ყველა ხმა ერთად, ისე თითოეული ცალკეალკე, სადაც ნათლად ჩანს თითოეული მომღერლის საშემსრულებლო მანერა; აღადგინა, გამოსცა და მომავალ თაობებს გააცნო ვ. სარაჯიშვილის, ა. ინაშვილის, ნ. ქუმსიაშვილის, ა. კავსაძის, ვ. სიმონიშვილის, ა. მეგრელიძის, ნ. ხურციას, კ. პაჭკორიას, მ. თარხნიშვილის, ა. ერქომაიშვილის, ვ. მჭედლიშვილისა და სხვა ცნობილ მომღერალთა ხელოვნება; ავტორია წიგნებისა: „ბაბუა“ (1980); ეძღვნება არტემ ერქომაიშვილის (ცხოვრებას), „შავი შაშვი ჩიოდა“ (1989), „დველი სიმღერების კვალდაკვალ“ (1979). მუსიკალურად გააფორმა ოცამდე კინოფილმი და სპეკტაკლი. 2001 წელს მისი ინიციატივითა და იუნესკოს ხელშეწყობით ჩამოყალიბდა ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი, მომზადდა და გამოიცა (2006) XX საუკუნის ანთოლოგიის (1901-2001), ერთი ნაწილი (1901-1914), რომელშიც შედის ქართული ხალხური სიმღერებისა და საშემსრულებლო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები“.

ქართული ენციკლოპედია ასე მოკლედ, სტილის შესაფერად გადმოგვცემს იმ ოჯახურ ამბავს, რომელსაც თავად გაცილებით ემოციურად ყვება:

– „სკოლას რომ ვამთავრებდი, ბაბუა სერიოზულად შემეკითხა, რას ვაპირებდი. ვუპასუხე, უნივერსიტეტში მინდა ჩაბარება, უურნალისტი უნდა გამოვიდე-მეთქი. ცოტა ხანს არაფერი უთქვაშს, დაფიქრდა. მერე მთელი ღამე მესაუბრა მომავალი პროფესიის მნიშვნელობაზე, იმაზე, როგორ სჭირდება გადარჩენა გურულ სიმღერებს, ამის გამკეთებელი კი ჩემს მეტი არავინაა. წოტებზე უნდა ჩაინიროს ყველა, შენ თუ ნოტებს არ ისწავლი და მათი ჩანერის საშუალება არ გექნება, დაიკარგება ეს სიმღერები, ნუ იზამ მაგასო; მე და ჩემი ძმები იმქვეყნად წამსვლელები ვართ, სხვებიც მალე წავლენ, შენ გაკისრია უდიდესი პასუხისმგებლობა, ან გადაარჩენ ამ სიმღერებს, ან დაღუპავო. ჩამომიყვანა თბილისში, მიმიღეს სასწავლებელში, მერე კონსერვატორიაში. 1961 წელს კონსერვატორიის სტუდენტებმა ჩამოვაყალიბეთ ანსამბლი „გორდელა“, რომლის დაარსების იდეაც, სხვათაშორის, ბაბუასი იყო, მას უნდოდა, რომ გვემღერა ხალხური სიმღერები, მანვე შეგვასწავლა საგალობლებიც...“

ბაბუამ ბავშვობაშივე შეამჩნია ნიჭიერება და მეცადინეობა ადრევე დააწყებინა. მისი ოჯახის წევრები გურული მომღერლები იყვნენ და მასაც ამ კუთხის სიმღერებს ასწავლიდნენ. ბალიან პატარამ იმღერა რთული გურული სიმღერა, სტუმრებიც არაერთხელ გააკვირვა. ოთხი წლის ასაკში, მამასთან და ბაბუასთან ერთად, სცენაზე გამოიყენეს. უფროსების ჩახვეულებს ვერ გაუძლო, შეეშალა, გაჩერდა და „სემესალა“ ბაბუაო, ენისმოჩლექით, ხმამაღლა უთხრა. შენ კი არა, ჩვენ შეგვეშალა ბაბუო, დაუყვავა იმან, აბა თავიდან ვცადოთო. იმღერეს, ამჯერად უშეცდომოდ. დარბაზი ტაშით დაინგრა, პატარა ბიჭს კი უკვირდა, სახლში რა ხშირად ვმღერი, ასეთ ტაშს რატომ არ მიკრავენო. ასე დაიწყო მუსიკალური ბავშვობა.

ქართული ხალხური სიმღერის წინაშე არტემ ერქომაიშვილის უდიდეს დამსახურებად, სხვა უამრავთან ერთად, უთუოდ ისიც

უნდა ჩავთვალოთ, რომ მომღერალთა სამასწლოვანი დინასტიის გაძლოლა სწორედ მას დაავალა. შვილიშვილები სხვებიც ჰყავდა, ბიჭებიც და გოგონებიც, კველა ძალიან უყვარდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ოჯახური ტრადიციების მემკვიდრედ თავიდანვე პატარა ანზორი შეარჩია და არც შემცდარა. თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის მანძილზე ანზორ ერქომაიშვილმა არა მხოლოდ საგვარეულო მემკვიდრეობა, მთელი საქართველოს მუსიკალური საგანძურო შეკრიბა, ახალი სიცოცხლე შთაბერა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ის ათასობით ახალგაზრდას შეასწავლა და შეაყვარა ისე, რომ სანამ საქართველო იარსებებს, ქართული მრავალხმიანი სიმღერის დაკარგვისა და სამუდამოდ გაქრობის საფრთხე აღარასოდეს დადგება.

ვინ იყვნენ საქართველოსთვის ერქომაიშვილები, რა დამსახურება მიუძღვით ეროვნული კულტურის წინაშე – ამის გასაგებად ჩვენი ქვეყნის გაცილებით უფრო ადრინდელ, თითქმის ასი წლის წინანდელ ისტორიას უნდა ჩატევდოთ.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან, ეროვნული მოძრაობის მორიგი აღმავლობის დასაწყისში, ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა კარგად გაიაზრეს, რომ ეროვნული იდენტობის გადასარჩენად, უპირველეს საქმედ ქართული კულტურის თვითმყოფა-დობის შენარჩუნება უნდა ქცეულიყო. იმ მრავალ წამოწყებათა შორის, რომლებიც ამ მიზანს ემსახურებოდა (ჟურნალ-გაზეთების დაარსება, თეატრის აღდგენა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება...) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქართული საეკლესიო საგალობლების მოძიება და ჩაწერა იყო, რისთვისაც „ქართული საეკლესიო გალობის აღმადგინებელი კომიტეტი“ დაარსდა.

ქართულ საეკლესიო გალობას, რომელიც ძველი ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია, მისი მრავალხმიანობა კი ეროვნულ მუსიკალურ აზროვნებას ეფუძნება, კველაზე დიდი საფრთხე მაშინ დაემუქრა, როდესაც ერთმორწმუნე დამპყრობელმა ქართული ეკლესის ავტოკეფალია გააუქმა (1811) და რუსულ ენაზე წირვა-ლოცვა დაამკვიდრა, რუსული გალობის თანხლებით. ახლად-დარსებულმა კომიტეტმა მთელი საქართველოს მასშტაბით ძველი

საგალობლების მოძიება, შეკრება, ევროპული სანოტო სისტემით ჩაწერა და ამ ფორმით შენახვა დაისახა მიზნად. აღმოსავლეთ საქართველოში ეს საქმე ძმებმა კარბელაშვილებმა ითავეს, დასავლეთ საქართველოში კი ფილიმონ ქორიძემ (ქართული მრავალხმიანი გალობის გადარჩენისათვის საქართველოს წმინდა სამოციქულო ეკლესიამ ხუთივე ძმა კარბელაშვილი და ფილიმონ ქორიძე წმინდანებად შერაცხა). ფილიმონ ქორიძეს მის მიერ შეკრებილ ხუთი ათასზე მეტი საგალობლის უდიდესი ნაწილი გურიაში, ანტონ დუმბაძისგან ჩაუწერია, ოჯახისათვის გამოგზავნილ ბარათშიც აღუნიშნავს: „ხშირად ვთხოვ ხოლმე ანტონს, იმისთანა უცხოუცხო საგალობელთა ჭრელები დამაწერინე, სხვამ არავინ იცოდეს და დარჩეს შენდა სასახელოდ-თქო...“ გურული საგალობლების კილოს შემდგომში დუმბაძის კილოდ მოიხსენიებდნენ.

მანამდე, სიმღერა-საგალობლები საქართველოს სხვადასხვა კუთხის ოჯახებში თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა. ერქომაიშვილების სამასწლოვანი დინასტიაც, რომელსაც სათავეში ანზორ ერქომაიშვილის ბაბუა, ივანე ერქომაიშვილი ედგა, სწორედ ასეთ ოჯახთა რიგს განეკუთვნებოდა.

არტემ ერქომაიშვილი სამი წლის განმავლობაში სწავლობდა ქართულ გალობას ოზურგეთში, ანტონ დუმბაძის მიერ აღზრდილი მელქისედეკ ნაკაშიძის სახელგანთქმულ სამგალობლო სკოლაში. მოგვიანებით ამ საგალობლებს ანტონის კიდევ ერთ მონაცესთან, ვარლამ სიმონიშვილთან და დიმიტრი პატარავასთან ერთად ასრულებდა. სკოლის შემდეგ, 1911 წლიდან, ექვსი წლის განმავლობაში არტემი სამეგრელოში მუშაობდა, სადაც მარტვილის მონასტერში მოღვაწე, ასევე სახელგანთქმულ მგალობელს, დიმიტრი ჭალაგანიძეს დაუახლოვდა და საკუთარი ცოდნა და გამოცდილება კიდევ უფრო გააღრმავა. 1920-იანი წლების დასაწყისში, ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა არტემ ერქომაიშვილი „სრული მგალობლების“ (სულხან-საბას ლექსიკონში ლოტბარის პარალელური ტერმინია) ახალ თაობას წარმოადგენდა, რომელმაც ორი ათასზე მეტი საგალობელი იცოდა ზეპირად.

ამ პერიოდიდან ქართულ გალობას და, საერთოდ, სულიერებას კიდევ ერთი საშიში დაბრკოლება აღუდგა წინ – ტოტალიტარული რეჟიმი, რომელმაც რელიგია „ხალხის ბანგად“ შერაცხა და განსაკუთრებული სისასტიკით ებრძოდა. ძველი ქართული გალობა გარკვეული პერიოდის მანძილზე დაკარგული აღმოჩნდა ქართული საზოგადოებისთვის. მკაცრად იკრძალებოდა არათუ სალვატისმსახურო საგალობლების, არამედ იმ სიმღერების შესრულებაც კი, სადაც ღმერთი იყო ნახსენები. ასეთ პირობებში თითოეული საგალობლის აუდერება გმირობის ტოლფასი იყო. მიუხედავად ამისა, არტემ ერქომაიშვილი მაინც ახერხებდა ქართული საგალობლების ცოდნა არ დაევიწყებინა. მან მოღვაწეობა ბათუმში გააგრძელა, სადაც არაერთი ოლიმპიადის მრავალგზის გამარჯვებულ ეთნოგრაფიულ გუნდს ხელმძღვანელობდა, მისი შვილები და რძლებიც იმ გუნდში მღეროდნენ.

ანზორ ერქომაიშვილს, რომელსაც თავისი ბავშვობის გარიურაჟი სწორედ ბათუმიდან ახსოვდა, იმ დროს ოჯახში საგალობლებს არ ასწავლიდნენ, საქმაოდ მოზრდილი იყო, მათი მნიშვნელობა რომ გაიგო და ისიც, რომ თურმე, ბაბუამ ამდენი საგალობელი იცოდა. 1947 წელს ოჯახი საცხოვრებლად მშობლიურ სოფელ მაკვანათში გადავიდა და სწავლა იქაურ რვანლიან სკოლაში განაგრძო. ომი ახალი დამთავრებული იყო, ფრონტიდან თანდათან ბრუნდებოდნენ ომს გადარჩენილები. გაჭირვების მიუხედავად, ყველა ოჯახში ლხინი იმართებოდა, რომლის განუყოფელი ატრიბუტი სიმღერა იყო. მღეროდა არა მარტო ერთი, არამედ ათი და მეტი გვარი, ყველას თავისი ანსამბლი ჰყავდა, გურული ქორნილები კი ხალხური სიმღერის ოლიმპიადებს ჰგავდა, საგვარეულო ანსამბლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ძალიან მუსიკალური სოფელი იყო მაკვანეთი. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ ყოველთვის ცდილობდნენ რძალიც მომღერალთა ოჯახიდან მოეყვანათ. თუ მამას და დედას კარგი სმენა ჰქონდათ, შვილიც მომღერალი გაიზრდებოდა, მომღერალი სასიძოც ერთი ორად ფასობდა მაკვანეთელების თვალში. ეს ტრადიცია საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა.

ხშირად დაუნახავს ბაბუა უცნაური შავყდიანი წიგნით ხელში, გადაშლიდა და დაბალ ხმაზე ღიღინებდა, სხვა დროს ენანყლიანი, შეილიშვილის შეკითხვებს ამ წიგნის შესახებ ყოველთვის თავს არიდებდა, საუბარი სხვა თემაზე გადაჰქონდა. საიდუმლო „შავი წიგნი“ 1911 წელს გამოცემული საგალობლების კრებული აღმოჩნდა, რომელიც შემდეგ ანზორ ერქომაიშვილის არქივში ინახებოდა იმ წიგნაკთან ერთად, რომელშიც ბაბუა არტემს სხვადასხვა ნიშნებით შემკული საგალობლების ტექსტები ჰქონდა ჩაწერილი. „ხალხური ნოტება“, როგორც თავად ეძახდა, სიმღერა-გალობის პირველი ხმის შესწავლა-ჩაწერაში ეხმარებოდა, მოძახილსა და ბანს კი ზეპირად ამბობდა.

საეკლესიო გალობა ხომ აკრძალული იყო, არც ქართულ ხალხურ სიმღერას ადგა უკეთესი დღე. მართალია, საბჭოთა პროპაგანდა კულტურის პოპულარიზაციასაც მოიცავდა, რაც ყველა რაიონსა და სოფელში სასიმღერო გუნდების ჩამოყალიბებას, რესპუბლიკურ, რეგიონულ თუ საკავშირო ოლიმპიადებში მონაწილეობასაც გულისხმობდა, მაგრამ ტექსტიც და სასიმღერო მანერაც ახალი დროის იდეოლოგიას უნდა მორგებოდა. ბავშვობაში ანზორ ერქომაიშვილს ხშირად მოუსმენია გურიაში, მათ ოჯახში შეკრებილი მომღერლების ჩივილი:

— სიმღერა მასიური უნდა გავხადოთო, იძახიან. გაგიგათ, ბატონო? გურულ სიმღერაში კაი ტრიო და კაი გადაძახილია საჭირო. ასი კაცი რომ ერთად იმღერებს მთავრობაზე და ორმოცდა-ათი კაცი ერთნაირ ბანს ეტყვის, შევარცხვინე იმისთანა სიმღერა.

უკვე 1960-იან წლებში, როდესაც ანზორ ერქომაიშვილი, ბაბუას დაუინებული რჩევით, კონსერვატორიის სტუდენტი გახდა, კომუნისტური ტერორი საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ ქართულ ხალხურ სიმღერას საფრთხეედ თანამედროვე მოდური ტენდენციები მოევლინა. პოპულარული გახდა უცხოური ესტრადა, ხალხურ სიმღერას აგდებით უყურებდნენ, ახალგაზრდობას მათი შესრულება სირცხვილადაც კი მიაჩნდა. სტუდენტურ არდადეგებზე სოფელში ჩასულ ანზორ ერქომაიშვილს, ბაბუას თხოვნით, საგალობლები ნოტებზე გადაჰქონდა. იქნებ

შეეცადო, და ეს სიმღერა-საგალობლები კონსერვატორიის ბიჭებს შეასწავლოო, რუდუნებით აბარებდა სწავლის გასაგრძელებლად დედაქალაქში დაბრუნებულ შვილიშვილს. სტუდენტური ჯგუფის შექმნის ინსპირაციაც ბაბუას ეს სურვილი გახდა. არტემ ერქომაიშვილის რჩევითა და მონაწილეობით, სტუდენტებმა ფოლკლორული ანსამბლი ჩამოაყალიბეს; სახელის მოძებნაშიც ის დაეხმარათ, ერთ-ერთი გურული ნადურის სახელწოდება – „გორდელა“ შეურჩია და პირველი კონცერტისთვისაც მოამზადა. ხალხურ სიმღერებთან ერთად არტემმა მაშინ პირველად შეასწავლა რამდენიმე საგალობელი შვილიშვილსა და მის მეგობრებს. იმ დროს, ბევრმა პროფესიით მუსიკოსმაც კი არ იცოდა, რომ ასეთი განძი გვქონდა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა ჰიმნოგრაფთა მიერ. „გორდელას“ პირველი კონცერტი მერაბ კოსტავას მიჰყავდა, სანთლებით მორთულ დარბაზში მაყურებელი სუნთქვაშეკრული უსმენდა არაჩვეულებრივ საგალობლებსა თუ ხალხურ სიმღერებს. დამსწრე საზოგადოება, რომელთა შორის კომპოზიტორთა კავშირის არაერთი წევრი იყო, ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს. „გორდელა“ პირველი ანსამბლი იყო, რომელმაც არტემ ერქომაიშვილისგან შემონახული სიმღერა-საგალობლები სცენაზე გაიტანა და აქტიურად ეწეოდა მათ პოპულარიზაციას.

მას შემდეგ საგალობლების შესრულების ტრადიცია გააგრძელა ანსამბლმა „რუსთავემა“, რომელიც ანზორ ერქომაიშვილმა დააარსა 1968 წელს, რუსთავში, სადაც კონსერვატორიის კურს-დამთავრებულს მუსიკალურ სკოლაშიც მოუწია პედაგოგობა. სამრეწველო-ინდუსტრიულ ქალაქში შექმნილი ეს ანსამბლი ეროვნული კულტურის პოპულარიზაციის გამორჩეული კერა გახდა, ათწლეულების მანძილზე, მსოფლიოს არაერთი ქვეყანა მოიარა გასტროლებით და სახელი გაუთქვა ქართულ ხალხურ სიმღერასა და გალობას.

ანზორ ერქომაიშვილის პროფესიულ საქმიანობაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კიდევ ერთმა დიდმა წინაპარმა, გიგო ერქომაიშვილმა, რომელიც 4-5 წლის ასაკიდან დაამახსოვრდა ერქომაიშვილების მშობლიურ სოფელში, მაკვანათში ჩასულს. იმ დროს გიგო 100 წელს გადაცილებული იყო, გამხდარი, ყაბალახ-204

მოხვეული, გრძელი, სპეტაკი წვერით, რომლის გამოც შვილთაშვილმა თეთრი ბაბუა შეარქვა. მოხუცმა საკუთარ შვილიშვილს, პატარა ბიჭის მამას ჰყითხა, შენი ბაღანა თუ მღერისო, გამოვცადოთო და, „მასპინძელსა მხიარულსა“ შემოსძახეს ერთად. ბიჭს ჯერ ის უკვირდა, ბაბუას კიდევ მამა როგორ შეიძლება ჰყავდესო და მერე ის, ძალიან ლამაზი ხმით რომ მღეროდა ას წელს გადაცილებული მოხუცი. პატარა ბიჭს რომ არ შეშლოდა, უფროსი და უმცროსი ბაბუები ისე ოსტატურად ანაცვლებდნენ ხმებს, თითქოს ვიწრო ხიდზე მიმავალს ხელს აშველებდნენ, რომ არ გადავარდნილიყო. დაძაბული მღეროდა და როცა დაასრულეს, ისეთი დაღლილობა იგრძნო, ფეხით რამდენიმე კილომეტრის გავლისას რომ იცის. შვებით ამოისუნთქა, ბედნიერი იყო, იმათ მაღალ საშემსრულებლო ხელოვნებას რომ გაუძლო. არტემ ბაბუას არაფერი უთქვამს, კუთხეში იდგა და იღიმებოდა.

დიდი ბაბუა გიგოც ძალიან ცნობილი ლოტბარი იყო, საკუთარი გუნდი ჰყავდა, რომელიც მარტო გურიაში კია არა, მთელი საქართველოს მომღერალთა შორის იყო განთქმული. გურული სიმღერების ნამდვილ პატრონს ეძახდნენ, 1860-70-იან წლებში უამრავი მათგანი მოიძია, თავი მოუყარა და აღადგინა, გიგო რომ არა, მათი უმეტესობა დღეს დაკარგული იქნებოდაო, იგონებდა თავადაც სახელოვანი გურული მომღერალი სამველ ჩავლიშვილი. გიგო ერქომაიშვილისა და მისი გუნდის ავტორიტეტზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ როდესაც 1907 წელს საქართველოში საზოგადოება „გრამაფონის“ ნარმომადგენლობა ჩამოვიდა ადგილობრივი სიმღერების ჩასაწერად, გიგო ერქომაიშვილი სპეციალურად ჩამოიყვანეს თბილისში. „გრამაფონისთვის“ ეს ერთგვარი მარკეტინგული ხერხი იყო: რომელი ქვეყნის ბაზარზეც შევიდოდნენ, გაყიდვები რომ გაეზარდათ, იქაურ პოპულარულ სიმღერებსა და მომღერლებს წერდნენ. ვისაც ჩანაწერის მოსმენა მოუნდებოდა, გრამაფონსაც აუცილებლად შეიძენდა. გიგო ერქომაიშვილის გუნდმა 49 სიმღერა ჩაწერა და საჩუქრად გრამაფონი მიიღო, რომელიც მოგვიანებით მისი შვილთაშვილის, ანზორ ერქომაიშვილის საოჯახო რელიქვიად იქცა. ის ჩანაწერები კი წლების შემდეგ, მოსკოვისა და ლონდონის მუსიკალურ არქივებში მოიძია.

ერქომაიშვილების ოჯახში ინახებოდა შავი, მოუხეშავი, 1900-იან წლებში ნახშირისგან დამზადებული ფირფიტები. ბაბუა არტემი ხშირად ასმენინებდა მათ ბავშვებს. ანზორ ერქომაიშვილმა ეს ფირფიტები თბილისში ჩამოიტანა და საკუთარ პედაგოგებს მოასმენინა კონსერვატორიაში. თუმცა გაჭირვებით, მაგრამ ხმების გარჩევა მაინც შეიძლებოდა. პროფესორმა შალვა ასლანიშვილმა უთხრა, შეუძლებელია, სადმე ამათი დედნები არ ინახებოდეს, „რუსთავთან“ ერთად უამრავ ქვეყნაში დადიხარ გასტროლებზე, მოსინჯე, იქნებ სადმე მიაგნო კიდეცო. ასე ჩაეყარა საფუძველი ანზორ ერქომაიშვილის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის კიდევ ერთ მიმართულებას – ქართული ხმების ჩანაწერების მოძიებას. მოსკოვით დაიწყო, რომელიც მაშინ ბევრად უფრო ხელმისაწვდომი იყო. ბევრი სიმღერის კვალს მიაგნო, მატრიცებს, რომლებზეც ხმის ნეგატივია ჩანერილი, საიდანაც მერე პოზიტივები იბეჭდებოდა. ალმოაჩინა ჩანაწერები ისეთი დიდი მომღერლების შესრულებით, როგორებიც იყვნენ სამველ ჩავლეიშვილი, ვარლამ სიმონიშვილი, დედას ლევანა (ლევან ასაბაშვილი), სანდრო კავსაძე... უმეტესობა 1914 წლის შემდეგომი პერიოდისა იყო და 1930-იან წლებამდე გრძელდებოდა. ხანგრძლივი ძიების შედეგად, 1990-იან წლებში ლონდონში მიაკვლია კოლექციას, რომელშიც გიგო ერქომაიშვილის გუნდის მიერ 1907 წელს ჩანერილი სიმღერებიც აღმოჩნდა. გაირკვა, რომ იმ სიმღერების დედნები, რომლებსაც სააქციო საზოგადოება „გრამაფონი“ იწერდა თბილისა და ქუთაისში, 1901 წლიდან მოყოლებული, ფირმას ლონდონში, საზოგადოების სათავო ოფისში შეუნახავს. ამ მიკვლეული და ჩამოტანილი სიმღერების პირველი შემსრულებელი ანსამბლი „რუსთავი“ იყო, რომელმაც ძველი სიმღერების დიდი რეპერტუარი დააგროვა. დღემდე უღერს 1901-1914 წლების ჩანაწერები, იშვიათი ვარიანტები, უნიკალური მომღერლების შესრულებით.

ანზორ ერქომაიშვილის დამსახურებათა შორის ქართული ხალხური სიმღერის წინაშე, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ახალგაზრდებს შეაყვარა ხალხური სიმღერა. იმ დროს

ბავშვები ხალხურ სიმღერებს, როგორც ზემოთაც ვთქვით, საერთოდ არ მღეროდნენ, „რუსთავიც“ ახლადგამოჩენილი იყო ასპარეზზე, ესტრადა გაცილებით უფრო პოპულარული გახლდათ, უფროსებშიც და მოზარდებშიც. ბიჭუნათა ხალხური ანსამბლის შესაქმნელად ბავშვების შერჩევა სკოლებში დაიწყეს. ასამდე სკოლა მოიარეს – თითქმის უშედეგოდ. როგორც შემდეგ იგონებდა, გასინჯვისას ბავშვები განგებ მაღავდნენ ნიჭს, ყალბ ნოტებს იღებდნენ, რცხვენოდათ, არავის უნდოდა ფოკლორულ გუნდში მოხვედრა. არ დანებდა, ძველ მომღერლებს მიმართა და მათი შვილები და შვილიშვილები წამოიყვანა. ასე შეიქმნა 1976 წელს „მართვე“, რომლის წევრობა ძალიან საამაყო იყო ათწლეულების განმავლობაში. პირველივე სატელევიზიო გამოსვლების შემდეგ მთელი საქართველო ჩაერთო ანსამბლისათვის სახელის შერჩევაში, ყოველდღე უამრავი წერილი მოდიოდა რეგიონებიდან. ერთმა საგარეჯოელმა კაცმა მოიწერა, ესენი დიდი მომღერალი არწივების მართველი არიან და იქნებ მართვე დაარქევათო. მოეწონათ და დაარქევს. ცნობილმა პოეტმა, ირაკლი აბაშიძემ, ერთერთ პირველ კონცერტზე, რომლის ტრანსლაციაც ტელევიზიოთ გადაიცემოდა, ანსამბლს დაარსება მიულოცა, ქართული ხალხური სიმღერის მნიშვნელობაზე ისაუბრა და ლექსიც უძლვნა: „ჩვენი სიმღერები ლურჯი ბინდებია, / ჩვენი სიმღერები მაღალ მთებს ჰვევანან. / ჩვენი სიმღერები პირამიდებია, / მათ უკან საუკუნეები დგანან“.

ანზორ ერქომაიშვილი და მისი ასისტენტები ბავშვებს დაუდალავად შთააგონებდნენ, რომ ხალხური სიმღერა ერთ-ერთი საუკეთესო რამაა, რაც კი საქართველოს, ქართულ კულტურას შეუქმნია საუკუნეთა მანძილზე. მას შემდეგ კი, რაც თავადაც გახდნენ ამ ურთულესი სიმღერების შემსრულებლები, ტელევიზიოთითაც გამოჩენდნენ, ახალგაზრდობას სიამაყე გაუჩნდა თავისი საქმის მიმართ. „მართვე“ იმდენად პოპულარული გახდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მუსიკალური სკოლა ჩამოყალიბდა, რათა ბავშვებს სპეციალური განათლება მიეღოთ. მერე და მერე სხვა გუნდები შეიქმნა, „მართვეს“ ბევრმა წევრმა მუსიკალური სკოლა, კონსერვატორია დაამთავრა, თვითონ აყალიბებდნენ გუნდებს. მთელი საქართველოს მასშტაბით წამოვიდა ხალხური სიმღერის შემსრულებელთა თაობა.

სიცოცხლის ბოლო წლებში მიცემულ უამრავ ინტერვიუში ანზორ ერქომაიშვილი საკუთარი მოღვაწეობის უმთავრეს შედეგად სწორედ იმას თვლიდა, რომ ხალხმა შეიყვარა ხალხური სიმღერა – ის, რაც მის ახალგაზრდობაში სრულიად არაპოპულარული იყო. უბედნიერესად მიაჩნდა თავი, რომ ეს, დიდწილად, მისი ხელით, მისი დამსახურებით მოხდა.

ანზორ ერქომაიშვილის წიგნები – „ბაბუა“, „შავი შაშვი ჩიოდა“ – რომლებიც ერქომაიშვილების მუსიკალური ოჯახის ისტორიას მოვცითხრობს, გაუნელებელი ინტერესით იყითხება და მხატვრული პრობის ნიმუშია. მასში „მაგიური რეალიზმის“ ჟანრში, მწერლური ოსტატობით არის მოთხრობილი 107 წლის გიგო ერქომაიშვილის გარდაცვალების ამბავი. ბოლო დამეს მას გაუიშვილებთან, არტემთან, ლადიკოსა და ანანიასთან ერთად, პატარა შვილთაშვილიც უთევდა.

– მე დიდხანს ვეღარ გავატან, აბა თქვენ იცით, სიმღერები შეინახეთ, გვარი არ ნაშალოთო, – დაუბარა შვილებსა და შვილების. მერე მომაკვდავმა გარშემომყოფებთან კონტაქტი შეწყვიტა, თუმცა, უჩვეულო ხალისით „ალიფაშა“ წამოიწყო. ეს სიმღერა თვითონ ასწავლა და პატარა ბიჭს არ გამოჰპარვია, როგორ ჩაახვია ბანი. ახლა რომ ვიხსენებ, მჯერა, რომ გიორგი იობაშვილის დამწყები და გიორგი ბაბილონის გამყინვი ესმოდაო.

– თქვენთან სიმღერას სულ სხვა ეშხი აქვს, – თქვა გიგომ, როცა სიმღერა დაასარულა და გადაიხარხარა.

– ივლიანე, შენ აქ რა გინდა, იქ არ დაგტიერ, – იკითხა მერე. ბაბუა არტემმა პირჯვარი გადაიწერა, ღმერთო, დაილოცოს შენი სახელით. ას წელს მიტანებული ივლიანე კეჭაყმაძე ორიოდე კვირით ადრე დაასაფლავეს, გიგოს კი, გული რომ არ სტკენოდა, მისი სიკვდილი არ გაუმხილეს.

– ივლიანე, დამიწყე ერთი „ჩვენ მშვიდობა“, – უთხრა და მოძახილით გაჰყვა. მერე ნანიკო ბურძგლა მოიკითხა, გიორგი, დაიწყე ერთი „ძველი შვიდკაცა“, მოძახილს ნანიკო გეტყვისო, თქვა და თვითონვე ნამოიწყო „გრძელი ღიღინი“, რომელიც თანდათან შესუსტდა და ბოლოს შეწყდა. ბაბუა არტემმა ფრთხი-

ლად დაუხუჭა თვალები და ხელები გულზე დაუკრიფა. სამძიმარზე მოსული მეზობლები ამბობდნენ, მადლიანი კაცი იყო გიგო და ნათელი ადგას თავზეო. ბავშვებს შეეშინდათ, თუმცა ცნობისმოყვარეობამ სძლიათ და ოთახში შეიჭყიტეს. ის ადგილი, სადაც თეთრზენარგადაფარებული მიცვალებულის თავი უნდა ყოფილიყო, მართლაც უჩვეულოდ იყო განათებული. დიდი ბაბუის დაკრძალვიდან ისიც სამუდამოდ დაამახსოვრდა, რომ პირველად ნახა სატირალში სიმღერა. ბაბუა არტემმა, ვარლამ სიმონიშვილთან და დიმიტრი პატარავასთან ერთად, მიცვალებულისათვის საჭირო ყველა საგალობელი შეასრულა.

ანზორ ერქომაიშვილის მამა, დათიკო, ასევე ჩინებული მომღერალი, 30 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა. მამის მაგივრობა მოზარდობაში ფეხშედგმულ შვილიშვილს ბაბუა არტემმა გაუწია, თავისი საქმის მემკვიდრედაც მან მოამზადა. შვილიშვილთან ერთად კიდევ ბევრი რამის გაკეთება ჰქონდა ჩაფიქრებული. მტკიცნეულად განიცადა, როდესაც მესამე კურსის სტუდენტი სამი წლით სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაინვიეს, ითხოვა კიდეც, იქნებ გადაუვადოთო, თუმცა, უშედეგოდ.

სიკვდილის წინ, ფაქტობრივად, სრულად განუსაზღვრა სამომავლო ასპარეზი: „შენ მარტო არ იქნები, ჯერჯერობით ჩემი ძმები, ლადიკო და ანანია (ასევე ცნობილი ხალხური შემსრულებლები) დაგიჭრენ მხარს, მერე შენ თვითონ დაეხმარები სხვას. ბევრი გულშემატევივარი გაგიჩნდება. სიმღერა ხალხის საგანძურია და ხალხი თვითონ არ გაპატივებს მის წახდენას. მე კი არ ვკვდები, მივდივარ და ცოცხალი ვიქნები შენით. შენ შეგიძლია მომკლა და შეგიძლია საუკუნეები მაცოცხლო. ეს დამოკიდებულია იმაზე, გურულ სიმღერებს როგორ მოუვლი და შეინახავ.

2000 წელს ანზორ ერქომაიშვილი იუნესკოს ფოლკლორის კომისიის წევრად აირჩიეს. 19-წევრიან კომისიაში მსოფლიოს მრავალი, მათ შორის ეგზოტიკური ქვეყნების წარმომადგენლებიც შედიოდნენ: აფრიკიდან, ავტრალიიდან, ლათინური ამერიკიდან... გარდა

მუსიკოსებისა, იყვნენ ეთნოგრაფები, სხვა დარგის ფოლკორისტები. მათ მოვალეობას მსოფლიო ფოლკლორის გადარჩენა, მივიწყებულის წინ წამონევა შეადგენდა. მომდევნო წელს კონკურსზე ქართული ხალხური სიმღერის პროექტი წარადგინეს, „ჩაკრულოს“ სახელწოდებით.

ანზორ ერქომაიშვილს ხმის უფლება არ ჰქონდა, თუმცა, პროექტის მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდა. კოლეგებს ბევრს უამბობდა ქართული სიმღერის მნიშვნელობაზე, მის ისტორიაზე, უხსნიდა, ასმენინებდა. გადამწყვეტი მესამე ტურის დროს, 2001 წლის 18 მაისს, პარიზში, ათასკაციან დარბაზში, განაპირას იჯდა და იქიდან ადევნებდა თვალს ყველაფერ იმას, რაც სცენაზე ხდებოდა; უღერდა „ხასანბეგურა“ და „ჩაკრულო“, „რუსთავის“ შესრულებით. კენჭისყრაზე არცერთი უარყოფითი ხმა არ მიუციათ, ქართული ხალხური სიმღერა ერთხმად აღიარეს კაცობრიობის ზეპირსიტყვიერებისა და არამატერიალური მემკვიდრეობის ძეგლად. როგორც შემდეგში იგონებდა, დაჯილდოვების ცერემონიალზე თვალწინ კინოკადრებად ჩაუარეს ძველი თაობის მომღერალთა სახეებმა, რომელმაც ჩვენს დრომდე მოიტანეს ქართული სიმღერა და სწამდათ, რომ ოდესლაც ის აუცილებლად მოიპოვებდა მსოფლიო აღიარებას.

ქართული ფოლკლორი მუდამ იყო ჩვენს ქვეყანაში, მის ყველა კუთხეში, წიაღისეულივით ჩამარხული. მეოცე საუკუნემდე ის მომღერალი ოჯახების თაობებმა მოიტანეს. ალბათ, შეიძლებოდა, კვლავ ასე გაგრძელებულიყო, ამ გზით შენახულიყო მომდევნო ეპოქებშიც, მაგრამ რაღაც მომენტში აუცილებლად უნდა გამოჩენილიყო ადამიანი, რომელიც შეძლებდა ამ ყველაფრის განზოგადებას, თავმოყრას, უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას. კონკრეტულად ანზორ ერქომაიშვილის და მისი მრავალწლიანი, დაუდალავი შრომის შედეგია ის, რომ ქართული ხალხური სიმღერა იუნესკომ მსოფლიოს არამატერიალური კულტურის ძეგლად აღიარა. მან აღზარდა ახალგაზრდა თაობა, რომელიც ღირსეულად გააგრძელებს მის საქმიანობას, თუმცა მათი წინამდობლი ლოკომოტივი და განვითარების მიმართულების მიმცემი თავად

იყო. მთელ მსოფლიოში ეძებდა და პოულობდა ქართული სიმღერის საუკუნოვან ჩანაწერებს.

2020 წლის 10 აგვისტოს, მე-80 დაბადების დღე გურიაში იზეიმა. მომღერალს, ლოტბარს, ქართული ხალხური სიმღერების შემგროვებელსა და ჩამნერს, ანზორ ერქომაიშვილს ოზურგეთის დრამატულ თეატრში გამართულ საიუბილეო საღამოზე ფონდ „ქართული გალობის“ ჯილდო, „მადლიერების ჩიტი“ გადასცეს. ბოლოს იქ მოისმინა უამრავი მადლობა ანსამბლი „გორდელას-თვის“, „რუსთავისთვის“, „მართვესთვის“. ათობით სალოტბარო სკოლის დაარსებისთვის; პარიზის, ლონდონისა და მოსკოვის არქივებში მოძიებული უნიკალური ქართული პოლიფონიისთვის; უჩვეულო თავმდაბლობისა და პროგრესულობისთვის.

ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში წერდა: „ჩვეულებრივი სიმღერის მასწავლებლად რომ დავრჩენილყავი, ბევრად იოლი იქნებოდა ჩემი საქმის კეთება, მაგრამ მერე გამიჩნდა პრეტენზია, რომ სიმღერები უნდა მოვიძიო; მერე გამიჩნდა პრეტენზია, რომ ეს სიმღერები ბავშვებს უნდა ვასწავლო; მერე გამიჩნდა პრეტენზია, რომ უცხოეთის არქივებში უნდა მოვიძიო ქართული ხალხური სიმღერების ძველი ჩანაწერები; მერე გამიჩნდა პრეტენზია, რომ დიდი არქივი უნდა მოვაგროვო, რომ მთელ საქართველოს მოეფინოს ქართული ხალხური სიმღერა და საგალობელი... ყველაფერი უმაღლეს დონეზე უნდა გავაკეთო, სიმღერა უნდა გადავარჩინო და რაც უფრო მაღალ საფეხურზე ავდიოდი, მით მეტი წინააღმდეგობა მხვდებოდა. ნუ გგონიათ, რომ ყველას უხაროდა, რა-საც ვაკეთებდი. რამდენი კრიტიკა, რამდენი შეურაცხყოფა, რამდენი სირთულე გავიარე, მაგრამ მაინც მივდიოდი იმ კიბეზე, მივბობლავდი, რომ როგორმე იქ ავსულიყავი, ზევით, გადასახედზე, საიდანაც ჩანდა, ამ გზის განმავლობაში რა გავაკეთე და ჩემი თავისთვის მეთქვა: დადებითად ვაფასებ ჩემს საქმიანობას თუ უარყოფითად. ბოლოს მაინც დადებითი მგონია. მაგრამ ასე ვიარე, ამ წინააღმდეგობით, რომლებსაც ვძლევდი ჩემი პოლიტიკით, ჩემი შრომისმოყვარეობით. რაც შემეძლო, ყველაფრით ვიბრძოდი და ბოლოს და ბოლოს წინააღმდეგობები დავძლიე. როგორ

დავძლიე, ეს სხვა საქმეა. სიმღერა რომ უკვდავი გახადო, ძალიან ბევრი ენერგია გჭირდება, ძალიან ბევრი შრომა, ბევრი დაკვირვება, დიდი დიპლომატია“.

პიროვნების ნალვანის სრულად შეფასება მაინც მისი გარდაცვალების შემდეგ იწყება. გასული რამდენიმე თვის განმავლობაში არაერთი ნეკროლოგის, სტატიისა თუ ტელეგადაცემის ფორმატში ითქვა, რომ ანზორ ერქომაიშვილი იყო ძალიან უშუალო ადამიანი, უზომოდ მშრომელი, თავმდაბალი, შეიძლება ითქვას, მორცხვიც კი და, რაც მთავარია, უშურველი, ძალიან ახარებდა სხვების წარმატება, იყო შესანიშნავი მეგობარი, მთელი გურიის მოამაგე და პატრონი, იქაურების ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, დამხმარე. პროფესიულად კი მასში იყო უნიკალური თანხვედრა ლოგბარ-შემსრულებლის, ფოლკლორისტის, მუსიკალური არქეოგრაფისა და მკვლევრისა...

მანანა კვაჭანტირაძე

ჩანაწერები

გალაკტიონი: „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, / ვით დაჭ-
რილ ირმების გუნდს – წყარო ანკარა...“

„როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი, / ელვარებდა
ნაპირი სამუდამო მხარეში“...

ამ მაგალითებში ცნობიერება აღმოაჩენს მსგავსებას, რომელ-
საც ლოგიკური საფუძველი აქვს. ენა ფრთხილად გვაუწყებს ამ
მსგავსების შესახებ სიტყვებით „ვით“, „როგორც“ – ეს შედარებაა.

ტიციან ტაბიძე: „გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი / და ახეული
მაქვს ლაყუჩები“...

ვაჟა ფშაველა: „ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის
გვირგვინი“...

ტიციანის და ვაჟას შემთხვევაში საქმე გვაქვს მეტაფორას-
თან. აზრი გამოთქვამს სრული იგივეობის რწმენას. შედარებას
აქაც მოეძებნება ლოგიკური საფუძველი, თუმცა უპირატესად და
სავსებით ცხადად ამ მაგალითებში აზრის ემოციური (და არა ლო-
გიკური) საფუძველია აქცენტირებული. გარეგნული მსგავსების
მიუხედავად, ეს ორი მხატვრულ-ენობრივი მოვლენა (შედარება
და მეტაფორა) სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან და რე-
ფერენციის პროცესში ცნობიერების ორ განსხვავებულ ინტენ-
ციას გამოხატავს. შედარებაში მსგავსების აღმოჩენა არ ნიშნავს
იგივეობის რწმენას. მეტაფორა კი სიცოცხლის სხვადასხვა
ფორმაში, მოვლენათა სხვადასხვა რიგში მომხდარ ხდომილებათა
იგივეობის რწმენაა, გაცხადება აზრისა „ერთი და იგივე“ (და არა
„ორი და იგივე“, როგორც ეს შედარებაშია). ესაა ინტუიტიური
სვლა, რომლის დროსაც ენა ავლენს ცნობიერების ინტენციას,
მიაკუთვნოს ორი განსხვავებული მოვლენა ერთს, არ განა-სხვა-
ოს, პირიქით, ჩააბრუნოს თავდაპირველ ერთიანობაში. ეს ნება ენას

მხოლოდ განსაკუთრებული, პოეტური ხედვის რეჟიმში ეძლევა და ტრადიციის მიხედვით, პოეტი მას შემოქმედის ან მისი მედიუმის (ანტიკური ტრადიციით, მუზის), ნებისმიერ შემთხვევაში, ზეძალის კარნახით გამოხატავს. ამასვე გვაუწყებს ქართული სიტყვა „შთა-გონება“ – რაღაც სხვა გონების ჩასახლება ადამიანის აზრში.

მოკლედ, ორივე შემთხვევაში ენა სხვადასხვა ხარისხით წარმოაჩენს ცნობიერების ინტენციას იმ ერთიანობის დასახელებისა, რომელიც დაკარგული ან დავიწყებულია. ცნობიერების ლატენტურ შრეებს ახსოვს ეს ერთიანობა და მის დასახელებას, აღდგენას ცდილობს. იმ განსხვავებით, რომ შედარების შემთხვევაში იგი აფიქსირებს ერთიანობის შესაძლებლობას, მეტაფორისას კი – ამ ერთიანობის რწმენას და ყოველგვარი მატერიის – ხილულისა თუ უხილავის – თავდაპირველი ონთიური მთლიანობის აღდგენის ნებას. პოეტური ენა აღადგენს სამყაროს აგების, მოწყობის თავდაპირველი მდგომარეობის სურათს, მის თუნდაც ერთ უმცირეს ფრაგმენტს, მაგრამ მას შემოაქვს ამ ერთიანობის უტყუარობის შეგრძნება.

ასე რომ, მეტაფორა ესაა სამყაროს ფრაქტალური მოწყობის რწმენა ყველა – ხილულ თუ უხილავ, ვერბალურ თუ არავერბალურ დონეზე, სამყაროს ერთიანი სტრუქტურის, მოწყობის საერთო პრინციპისა და მისი შესატყვისი ფორმის ერთიანობის რწმენა თუ ფარული ცოდნა, რომელიც ახსოვს ცნობიერების დაფარულ შრეებს და ენას ამ მოწყობის შესახებ ათემევინებს.

და როგორ შეიძლება ამ ყველაფრის მერე წესრიგის, როგორც სამყაროს მოწყობის ერთიანი ღვთიური პრინციპის არსებობა არ აღიარო?

* * *

ჯიბრალ ჰალილ ჯიბრანი თავის რომანში „იესო, ძე კაცისა“, ამბობს: აღმოჩენე საკუთარი თავი სხვისი მეშვეობით, – რაც სხვა არაფერია, თუ არა იესოს მცნებათაგან ერთ-ერთის თანამედროვე ვერსია და მისი არსებობის შესაძლებლობის მტკიცება ყველაზე უკიდურეს გამოვლინებაშიც კი – გიყვარდეს მტერი შენი, ვითარცა თავი შენი.

ხომ არ არის ლიტერატურა ხსოვნის ყუთი, ან, როგორც ოთარ ჭილაძე ამბობს, „საიდუმლოს საფლავზე დარგული ხე, რომელსაც ადგილის დამახსოვრება ევალება მხოლოდ“ – რომელიც ამ ჭეშ-მარიტებას ახსენებს ჩვენს ცნობიერებას? მხატვრული სიტყვა კი ის ჯადოსნური ფორმულა, რომელიც ამ ხსოვნის ყუთს უხსნის ადამიანს საიმისოდ, რომ ძალიან არ დაშორდეს საკუთარ არსა?

* * *

კვანტური ფიზიკა ამბობს, რომ ექსპერიმენტატორის ანუ ადამიანის ცნობიერების მონაწილეობა ცდის პროცესში ცვლის ექსპერიმენტის შედეგს მიკრო თუ ნანო დონეზე. ეს თეორია გაზიარებულ მეცნიერთა უდიდესი ნანილის მიერ. როგორ შეიძლება ამის შემდეგ იფიქრო, რომ სამყაროს შემოქმედის ხელვა არ ცვლის შედეგს და არ გადმოდის ჩვენზე? არ შევიგრძნოთ და არ ვირწმუნოთ ეს კავშირი? ანუ, ვიფიქროთ, რომ დამოკიდებულნი არ ვართ იმ ძალაზე – უმაღლეს ცნობიერებაზე, ლოგოსზე, – რომელმაც შექმნა სამყარო და ადამიანი?

* * *

საუფლო – სივრცე, სივრცული წარმოდგენა სათავსოზე, სა-დაც რაღაც კარგი ხდება. ამ სიტყვას ჩვენ მხოლოდ განსაკუთრებულ სიტყვებთან და აზრებთან კავშირში ვიყენებთ და არა ყოველთვის. საუფლო – უფლის თანამონაწილეობის ადგილი ჩვენს საქმეში, ჩვენი თავისუფლების სივრცე, რომელსაც უფალი იცავს და იფარავს.

და რა არის თავისუფლება? დროსივრცული მთლიანობა, სა-დაც ჩემი „მე“-ს (თავის) უფლებას ღმერთი უდგას დარაჯად; მდგომარეობა, როცა ვიცი საზღვარი, რომელიც უფალმა დამინესა და რომლის ცოდნაც ჩემს ნებას დაუბრკოლებლად მოქმედების უფლებას აძლევს.

„შეიცანი ჭეშმარიტება და ჭეშმარიტებამ გაგათავისუფლოს შენ“ (იოანე 8, 32)

დაბოლოს, რას ნიშნავს თავისუფლება, რა მანიჭებს ამ განცდას: საკუთარი თავის დაუფლება თუ მისგან განთავისუფლება?

* * *

ჩვენს სივრცულ წარმოდგენას სიშორეზე, ჩვეულებივ, გამოვხატავთ სიტყვით „შორს“, ან „ძალიან შორს“. ზულუსისათვის კი ამ სიტყვის მნიშვნელობა გამოიხატება ადგილით, „სადაც ვიღაც ყვირის: დედა, მე დავიკარგე (გზა დამებნა)“.

ადამიანი ისე შორს წავიდა აბატრაქციის გზაზე, რომ იქ მოხვდა, სადაც აღარც დედა სჭირდება მფარველად და აღარც ღმერთი.

სხვათა შორის, გურიაში გამიგონია სიშორის ასეთი შესატყვისი: „გადაკარგულში“, ანუ ისე შორს, რომ დაბრუნების იმედი ამონურულია.

* * *

„მამამ“, რომელიც უცნობი ზეძლიერი ენერგიაა, შვა ძე („შობილი და არა ქმნილი“), რომელშიც ჩავისი ენერგეტიკა, მაგრამ მისცა ადამიანის სახე. ენერგეტიკა, რომელიც სიტყვით აღადგენდა მკვდრებს, კურნავდა უსინათლოებს და სმენადაკარგულებს, შეპყრობილებსა და კეთროვანებს, აცხრობდა ქარიშხალს და დადიოდა წყალზე, სიტყვით იმორჩილებდა მტრებს, ბოლოს ამაღლდა ზეცად. მოკლედ, იესო აკეთებდა დედამინაზე ადამიანებისათვის იმას, რასაც მამა აკეთებს უსაზღვრო კოსმოსში: ატრიალებს პლანეტებს, განაგებს ბუნების მოვლენებს, ქმნის სამყაროებს დედამიწიდან მილიონობით სინათლის წელინადის სიშორეზე. შვილი ბადებდა სასონარკვეთილთა შორის იმედს, რომელიც, როგორც პოლ ვალერი ამბობს, სხვა არაფერია, თუ არა „კურთხეული უნდობლობა ყოველნამიერი და წარუვალი ბოროტების მიმართ სამყაროში“. და განა ეს ნაკლები სასწაული იყო? განა ასე არ მოავლენს ხოლმე შემოქმედებს, მწერლებს, მუსიკოსებს, მხატვრებს... რომლებიც იპყრობენ და აოცებენ ადამიანის გონებას თავიანთი ზეადამიანური შესაძებლობებით. ძემ იცოდა მამის ძალა, იცოდა, რომ მისი ზეენერგეტიკისთვის არც წმინდა მოვლინებაა შეუძლებელი და არც აღდგომა. ჩვენს დროში ადამიანს შეუძლია საკუთარი ხელით შექმნილი აპარატით აფრინდეს, თუნდაც დელტოპლანით, და ზოგიერთებს რატომლაც შეუძლებელად მიაჩნიათ ისეთი ძალის არსებობა, რომელიც ას-ნევს ადამიანს ნებისმიერ სიმაღლეზე! განა დღეს, როცა ჩვენს თვალშინ ამდენი საოცრება ხდება, გულუბრყვილობა არაა უარ-

ყო ადამიანზე აღმატებული ძალის არსებობა სამყაროში? განა ეს წრეგადასული ამპარტავნება არაა, რომელიც სულელსაც კი არ ეპატიება?

* * *

ჯიბრალ ჰალილ ჯიბრანის ნიგნის, „იესო, ქე კაცისა“ წაკითხვის მერე ვიწყებ ფიქრს: თუკი დავუშვებთ, რომ იესო იყო „ქე კაცისა“, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ, როგორც კაცი, ის იყო განსაკუთხებული და განუმეორებელი მოვლენა კაცობრიობის მთელ ისტორიაში და მხოლოდ მან, ერთადერთმა გამოავლინა ადამიანის ღვთიური პოტენცია და დაამტკიცა ადამიანის ჭეშმარიტი „შვილობა“. ამ აზრით, იესომ, შესაძლოა, ირნმუნა, რომ ღმერთის შვილი იყო და ირნმუნა ისე ძლიერ და ღრმად, რომ მიაღწია ღმერთის აღიარებას და ძალმოსილებას. მისი სასწაულები სწორედ ამაზე მეტყველებს. ამ რნმენით ძალშემოსილი მისი სიტყვა იმორჩილებდა ყველას, მათ შორის, დაუძინებელ მტრებსაც... ის ხომ მდოგვის მარცვლის ოდენა რნმენასაც კი საკმარისად მიიჩნევდა საიმისოდ, რომ ადამიანისთვის არაფერი ყოფილიყო ამქვეყნად შეუძლებელი. ამ რნმენის ძალით, მან შეძლო ქცეულიყო ჭეშმარიტ ქედ და ამაში გვარნმუნებს მას მერე აგერ, უკვე ოც საუკუნეზე მეტია... რნმენამ გარდაქმნა მისი სული და სხეული, მისცა ძალა და აამაღლა ზეცად, აქცია სხვა მატერიად, რომელსაც შეძლო ხილულისა და უხილავის საზღვარზე ყოფნა და გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში. დაბოლოს, ამ რნმენის ძალით გავიდა დროის მიღმა და სამყაროს პორიზონტზე გამოჩნდა დავით წინასწარმეტყველის სიტყვაში, მოვლინებამდე ათი საუკუნით ადრე...

აქ ფიქრი წყდება და უარს ამბობს „ქე კაცისას“ ვერსიაზე.

„მევარ პური ცოცხალი, რომელიც ჩამოველ ზეცით“ (იოანე 6, 51).

* * *

იოანეს სახარება გვამცნობს, რომ იესო იყო სიტყვა, რომელიც იყო ღმერთი და იყო ღმერთთან. და მართლაც – მთელი ის ისტორია, რომელსაც სახარება გვიამბობს, სიტყვით გადმოცემული ღვთიურ ქმედებათა უწყვეტი რიგია.

იოანე მახარებელმა იესოს ცხოვრება აღწერა, როგორც ძედ განხორციელებული მამის ძალმოსილება და მოგვცა ამ განხორციელების პროცესის სიმბოლური გამოსახულება სიტყვაში. რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მთელი ეს პროცესი მან გამოხატა როგორც ლოგოსის (ზეცნობიერების) ნება, სრულად განხორციელდეს შეტყველებაში, ანუ ცოცხალ სიტყვაში, რითაც მიგვანიშნა ცოცხალ ღმერთსა – ქრისტესა და და ცოცხალ სიტყვას შორის არა მხოლოდ სიმბოლურ, არამედ მისტიკურ კავშირზე: „სიტყვები, რომელთაც თქვენ გეუბნებით, სული არის და სიცოცხლე“ (იოანე, 6, 63)

ამასვე გვეუბნება იესოსადმი ლოცვაც: „ძეო და სიტყვაო ღვთისა ცხოველისაო“

* * *

ხსენი – მასაზრდოებელი საკვები, რომელიც ჩვილის ორგანიზმს ამქვეყნიური საკვებისთვის – დედის რძისათვის ამზადებს, საკვები, რომელიც გზას უ–ხსნ–ის ადამიანურ მატერიას ამქვეყნიური არსებობისაკენ. ხსენი იმის ხსოვნა და შე–ხსენ–ებაცაა, რომ სხვა სამყაროდან მოვდივართ, და მატერიის ქიმიური შედგენილობის გარდა რაღაც კიდევ შემოგვყვა იმ სამყაროდან, საიდანაც დედამინას მოვევლინე.

* * *

ღმერთის ხმა აღარ გვესმის იმიტომ, რომ ირგვლივ საშინელი, გამაყრუებელი ხმაური და ყაყანია. მოკლედ, გვესმის ყველანაირი ხმა და ხმაური – ადამიანის ლაპარაკისა და ყვირილის, მანქანის, თვითმფრინავის, საზეიმო შუშხუნების, ტანკისა და ავტომატის და კიდევ რა ვიცი, რისი აღარ – გარდა ღმერთისა, რომელიც ასე მგონია, მხოლოდ სიჩუმეში მოდის, შინაგან სიჩუმეში, გულისყურის უკიდურესი, თითქმის არაადამიანური დაძაბვის დროს, ან, შესაძლოა, ბახის საორლანო ტოკატის აკორდების არაამქვეყნიურ გუგუნში. განა ხშირად ან საერთოდ გვესმის მოახლოებული ნაბიჯების ხმა, ზარების რეკვა, წვიმის „მწვანე შრიალი“ ან „იისფერ თოვლის“ ფანტელების ფენა? ადამიანის ხმამ და მისგან გაკეთებული ნივთების ხმაურმა წალეკა და შთანთქა ყველა სხვა

ხმა, გააუხეშა ჩვენი სმენა და აღქმა. დღეს ფონისის სამყაროს უტევს ყველა და ყველაფერი მისივე გადაგვარებული იარაღის სხვადასხვა სახეობით. ერთადერთი ადგილი, სადაც ჯერ კიდევ შეიძლება გაიგონო ღმერთის გზავნილები, ბუნება და ხელოვნებაა და ისიც ბაზარზეა გამოტანილი გასაყიდად.

* * *

სერვანტესის აზრი, რომ „ქალი სილამაზის გამჭვირვალე ჭურჭელია“, შეგვიძლია სხვა მხრივაც განვაგრცოთ: ის, სილამაზეს-თან ერთად, საიდუმლოებით მოცული სიცოცხლის ჭურჭელია.

რა მდაბალად და ღირსებამოკლებულად ჩანს ამ ყველაფრის ფონზე ფერინისტების ხმაური ქალის უფლებებთან დაკავშირებით.

* * *

„ოთარაანთ ქვრივი“ ილიამ დაწერა იმიტომ, რომ ჩვენ პატივი გვეცა ოთარაანთ ქვრივის დიდი ტკივილისთვის, დიდი ტრაგედი-ისა და ზოგადად, დიდი ადამიანისათვის. ჩვენ კი ის ფონიდისტუ-ლი ინტერპრეტაციების ლაფში ამოგსვარეთ და დავამდაბლეთ.

პერსონაჟს პატივი უნდა სცე ისევე, როგორც რეალურ, ცო-ცხალ ადამიანს და იგი შენი უნდობლობისა და ინტელექტუალუ-რი სპექულაციების, გნებავთ, უსამსი ფიქრების ობიექტად არ უნდა აქციო. გემოვნებას რომ თავი დავანებოთ, ამას მოითხოვს ელემენტარული ეთიკა და თუნდაც პერსონაჟისადმი მკითხველის ადამიანური თანაგრძნობა.

* * *

რომაული არქიტექტურა თავისი სქელი კედლებით, სვეტე-ბით, ყველა არქიტექტურული ელემენტით ადამიანის მატერიას-თან სიახლოვეს, მდგრადობას, მასთან საუკუნეებზე ხანგრძლი-ვად ორიენტირებულ დიალოგს გამოხატავდა.

გოთიკური არქიტექტურა, თავისი ცისკენ მიმსწრაფი გუმ-ბათებითა და შპილებით ღვთისკენ სწრაფვას, ადამიანის პო-ტენციურ სულერ სიმაღლეებს განასახიერებდა და ამ ფორმით რელიგიურ დისკურსს ასხამდა ხორცს.

მაღლივი, ფალიკური სიმბოლოებით დატვირთული თანამედროვე არქიტექტურა ძალაუფლების დისკურსის სიმბოლიზაცია და გნებავთ, პროპაგანდა.

კულტურის განსხვავებულ ეტაპებზე შემოქმედებით ფორმათა სხვადასხვაობა, რომელიც დროში ცვალებად, ცნობიერებათა და კულტურათა სხვადასხვაობას ასახავს, იმ აზრს გვკარნახობს, რომ პოსტმოდერნული დეკონსტრუქცია მის მიერ რელიგიური დისკურსის მისაკუთრებას, მისთვის მთავარი კონსტრუქტის მოშლასა და პერვერსიას ისახავს მიზნად.

* * *

თუკი ადამიანი ოდესმე რაიმეთი ემსგავსება ღმერთს, ეს შემოქმედებაა.

ჭეშმარიტი შემოქმედი ღვთის დარად ქმნის. ამ ანალოგიის არგუმენტები უამრავია. მხოლოდ ერთს დავასახელებ: მხატვრულ მთლიანობასთან მიახლოება ღვთის ჩანაფიქრთან მიახლოებაა, რადგან როგორც ეგზისტენციალისტები ამბობენ, „ადამიანურ ყოფიერებას არ ძალუდს, იყოს მთლიანობის მდგომარეობაში“. ამიტომაა, რომ კულტურულ ტრადიციას არ დაჰყავს შემოქმედებითი პროცესი მხოლოდ გონების (რაციოს) მუშაობაზე და მას მიტიკური ძალის ინპირაციას უკავშირებს (სხვათა შორის, ამ ტრადიციას ბარტი მითად მიიჩნევს).

ჭეშმარიტი მხატვრული ქმნილების ძირითადი ესთეტიკური ღირებულება სწორედ მთლიანობაშია და ესაა მშვენიერების უმთავრესი განზომილებაც. მისი მიღწევის სურვილი ადამიანში განსაკუთრებული სიძლიერის შემოქმედებით იმპულსს აღძრავს, რომელიც, ჩემი მოკრძალებული აზრით, ძალიან გავს სიყვარულს. ვფიქრობ, შთაგონებაც სიყვარულთან ერთად იბადება. ჩვენს ყოფიერებასაც მთლიანობის მდგომარეობას სწორედ სიყვარულის დეფიციტი აშორებს.

* * *

გალაქტიონის ლექსის სტრიქონი – „ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი ასეთი ცისფერი?“ – გამოხატავს მშვენიერი ქალის ხილვით (ან წარმოსახვით) გამოწვეულ აღტაცებსა და გაოცებას. თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამას ლუციფერი ამბობს,

რომლის გაოცებაც მხოლოდ „სიცისფრით“ შეიძლება (შესაბამისი კონტაციების გათვალისწინებით), ანუ სიშავის, სიბნელის საპირისპირო მოცემულობით და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დავუშვებთ, რომ ხილულ და მატერიალურ სამყაროში ლუ-ციფერს რაიმე გააოცებს.

ამ გაოცებას მხოლოდ გალაკტიონის პოეტური მზერა ამჩნევს.

გაოცებისა და აღტაცების სხვა მაგალითიც ვნახოთ, ამჯერად, ვაჟასთან: „ქალო, გნახე ფეხშიშველი, გამოგოგდი ეზოშია, / გე-ნაცვალე, კაკაბს გვანდი, მოსეირნეს ფერდოშია“

ქალი, რომელსაც ვაჟა ხედავს, უხეში რეალობის ნაწილია – ყოფითი, მიწიერი – და რა უცებ ცვლის ამ რეალობას პოეტური მზერა, მშვენიერების ის ცოცხალი ხატი, რომელსაც ვაჟა ქმნის!

გალაკტიონთანაც და ვაჟასთანაც გაოცება, აღტაცება აქრობს განსხვავებას ქალის ამ ორ, სულიად განსხვავებულ ხატს შორის და გაიძულებს ორივე მიიღო, თანაც სრულად ბუნებრივად, იმის-და მიუხედავად, როგორ გესახება მშვენიერება პირადად შენ.

ესაა პოეტური მზერით გამოწვეული იძულება, ყველაზე დიდი პარადოქსი პარადოქსთა შორის.

* * *

ჯონ სტეინბეკი კოლაუ ნადირაძისადმი გამოგზავნილ წერილში (1964 წლის 9 მაისი) წერს (დაწერილია ინგლისურად): „ახლა რომ ამის შესწორება შემეძლოს, ალბათ, მწერლის მოვალეობებს იმას დავუმატებდი, რომ სამყაროს ოდნავ მეტი მხიარულება, ოდნავ მეტი სილალე შესძინოს და ოდნავ მეტი სიცილით აავსოს. ამით არაფერი დაშავდებოდა. ალბათ, ეს იმის დასტურიცაა, რომ ყველას გვნამს: კაცები მაშინ ხდებინ ერთმანეთის უხლოესნი, როცა ერთად იცინიან. მახსენდება, თბილისში ერთად ძალიან ბევრს ვიცინოდით, ვცეკვავდით და ვმდეროდით კიდეც.“

მაშ, ასე: კაცების (სხვათა შორის, ქალებისა და ბავშვებისაც) დაახლოების უპირველესი პირობა სიცილია (ცეკვასთან და სიმღერასთან ერთად), ოღონდ, ეს არც პომერული ხარხარია და არც პოსტოდერნული უძლური ქილიკი.

ალბათ, თანამედროვე მწერლებს (სხვათა შორის, არც მედიას) არ აწყენდა სტეინბეკის ამ სიტყვების შეხსენება.

* * *

სტუდენტებს ვუხსნი, რა განსხვავებაა პოეტურ ენასა და სა-საუბროს შორის და სანიმუშოდ ტერენტი გრანელის ეს სტრიქო-ნები მომყავს: „გაზაფხულის საღამოა მშვიდი, / ხიდან ხეზე გა-დაფრინდა ჩიტი“. გადამყავს ეს ფრაგმენტი სასაუბრო ენის ფორმატში და ვამბობ: „გაზაფხულის მშვიდი საღამოა. ჩიტი ხი-დან ხეზე გადაფრინდა.“ რაშია სხვაობა? ცხადია, სიტყვებში არა. მაშინ? აგებულებაში, წინადადებების წყობაში, მოკლედ, სინტაქ-სში. კიდევ? ამ სინტაქსით შექმნილ ინტონაციასა და მელოდი-აში და რაღა თქმა უნდა, სასუბრო ენისათვის მიუღწეველ, გან-საკუთრებულ განწყობაში. სასაუბრო ენა, უბრალოდ, გაწოდებს ინფორმაციას გაზაფხულის საღამოზე. პოეტური რაღაც სხვას აკეთებს: საღამოს თანამონაწილედ გაქცევს. ყველაფერი შენს თვალწინ ხდება, თანაც ისე, რომ ემოციურად შენც ჩართული ხარ ამ პროცესში: ჩიტიც ხარ, გაზაფხულის საღამოც და ხიდან ხეზე გადაფრინის სიმუბუქესაც შეიგრძნობ; თითქოს ფოთლის შრი-ალის, ფრთების შერხევის ხმაც გესმის. ერთი სიტყვით, რაღაც უცნაურ ემოციურ მდგომარეობაში ვარდები – თან ხედავ ამ ყვე-ლაფერს და თან მონაწილეობ კიდეც, თითქოს სიცოცხლის და-მატებით ულუფას იღებ. ამ თანამონაწილეობას პირდაპირ გამო-ხატავს ზმნის მეორე პირის გრამატიკული ფორმა გაღაკიონის „ლურჯა ცხენებიდან“: „წევ-ხარ ცივ სამარეში, და არც სულს უხარია“. ცხადია, პოეტი საკუთარ თავზე ლაპარაკობს, მაგრამ ზმნის ფორმით („წევ-ხარ“) თითქოს თანამონაწილეობისაკენ გი-წვევს, ამ მდგომარეობის განცდას გთავაზობს, ამ მდგომარეობა-ში გაგდებს.

სკოტ ფიცჯერალდი ამბობდა: „ჩემი მწერლობით ვცდილობ-დი ადამიანებისთვის მეთქვა, რომ იმასვე განვიცდიდი, რასაც ისინი“-ო.

ამიტომაა პოეტური ენა „შესაძლო ცხოვრების“ ენა, ჩვენი სი-ცოცხლის დამატებითი დრო, თუნდაც ამ სიცოცხლის ქვაზი-განცდა. იგი მაინც ემატება ჩვენს სიცოცხლეს.

* * *

როცა ღმერთმა თქვა თავისი პირველი სიტყვა „იქმენ“ – მან სამყაროს სახელი უწოდა. მერე რა, რომ ეს სიტყვა სულაც არაა სახელი, პირიქით, ზმნაა – მან დაასახელა სიცოცხლე, როგორც მარადიული ქმნადობა, მოძრაობა, ცვალებადობა თავის მიერ შექმნილი სამყაროს თვისებად, ბუნებად, მარადიულ მოძრაობად ქაოსის წინააღმდეგ. დროც მაშინ ამოძრავდა და სივრცის პირველი მოწესრიგებული ფორმებიც მაშინ გაჩნდა. იმ დღეს მსოფლიო ოკეანის პირველი ტალღები ფრთხილად მიეხალნენ ნაპირს.

„იქმენ“ ესაა ნება, ზეშემოქმედებითი ენერგია, გამოხატული სიტყვაში, რომელმაც შექმნა სამყარო.

* * *

ერთ ინტელექტუალს ახალ სამეცნიერო გამოკვლევაზე ვესაუბრები. ვერ შევთანხმდით იმაში, რომ დეკონსტრუქცია არ შეიძლება იყოს უსაზღვრო და დერიდამ შეცდომა დაუშვა, როცა მეტაფიზიკისათვის სულ არ დატოვა ადგილი (ამას მე ვამბობდი). გამოკვლევა, რომელზედაც ვსაუბრობდით, ინტერპრეტაციის სიჭარბის გამო ექსპერიმენტაციაში გადადიოდა და კვლევის ობიექტზე – კლასიკოს ქრისტიან ავტორზე – ასეთი ინტელექტუალური „თავდასხმა“ ინტერპრეტაციის საზღვრების თუ არა, გემოვნებისა და პროფესიული ეთიკის პრობლემა მაინც იყო. თუმცა, ეტყობა, გემოვნება დუმს (პროფესიული ეთიკაც), როცა იდეოლოგია (უფრო ზუსტად, იდეოკრატია) „ქუხს“. ბოლოს და ბოლოს, ისე გამოდის, რომ მთელი დეკონსტრუქციები – გემოვნებისა და პასუხისმგებლობის გარეშე – ამ იდეოლოგიური ჭექა-ქუხილის გამაძლიერებლი უფროა, ვიდრე მეცნიერული აზრის გამოცოცხლებისა, რისი სახელითაც გამოდიან.

* * *

ფამუქი მიიჩნევს, რომ ცხოვრობდე, ნიშნავს, გხედავდნენ: „მე ყველგან მხედავენ, მე მქვია წითელი.“ მაგრამ ღმერთი იმათაც ხედავს, ვინც რუხი ან სულაც, შავია. მისთვის არ არსებობს წითლის აუცილებლობა იმისთვის, რომ დაინახოს. ეს მხოლოდ კატარაქტით დაავადებულებს სჭირდებათ. დანახვის, გამოჩენის

ეს გამძაფრებული მოთხოვნილება (შემომხედე! შემომხედე! შე - მომხედე!) შემოქმედთან დაშორება, ან სულაც, ამპარტავნება და ნარცისიზმი – მე-20 საუკუნის ადამიანის ავადმყოფობაა.

* * *

ვფიქრობ, რომ პოეზიაში ენა ასრულებს ყოფიერების უცნობ ფენებთან ცნობიერების კავშირის შენარჩუნების ფუნქციას. ესაა მისი განვითარების სტიმულიც. მხატვრული ენა ამ მიზნით ქმნის ახალ სასიცოცხლო ფორმებს, სწორედ ამ ფუნქციის კარნახით ახდენს თვითორეფერენციას. ენა ასრულებს ამ ფუნდამენტური რეფერენციისა და კომუნიკაციის, ამ ორი ყოფიერების დასახელებისა და დაკავშირების ამოცანას – წარმოსახვაში მაინც. ემოციური ფუნქციის გაძლიერება კი სხვა არაფერია, თუ არა ამ კავშირის მნიშვნელობის აღიარება, შეფასება, ამ კავშირით გაკვირვება და აღფრთოვანება.

* * *

„გონების თვალით დანახული“ – აქ ქართული ენა არაჩვეულებრივ სემანტიკურ ქვეტექსტს გადაშლის. ჩნდება ასოციაციური ჯაჭვიც ორ იდიომს შორის: „გონების თვალით დანახული“ და „გულის ყურით მოსმენილი“. გონება, როგორც სამზერი ორგანო და გული, როგორც სასმენი მექანიზმი... გონებაც და გულიც დამატებით ორგანოებს მოიხმობენ რაღაც განსაკუთრებული მიზნის მისაღწევად. გულის ყურით მოსმენილი სიტყვა შემოდის აღქმაში, იქცევა გამოსახულებად და იწყებს სიცოცხლეს. გონების თვალით ხედვა კი სინათლეში ხილვა, ანუ ნათელხილვაა და თავის მხრივ, სხვა არაფერია, თუ არა გონების ზეიმი. ამ ზეიმში (როგორც საერთოდ ზეიმში), გონება არასოდესაა მარტო. გონებასთან ერთად ზეიმობს გულიც. ზეიმი გულის ფეთქვაში, ანუ გულის რიტმულ რხევაში გადადის და ყველაფერს არხევს: სივრცესა და დროს ჩვენს შიგნით და გარეთ.

საბოლოო ჯამში კი ორივენი – გულიც და გონებაც ერთნაირად, ოღონდ განსხვავებული გზით მონაწილეობენ შემოქმედებითი სულის ზეიმში.

ზეიმის გაზიარება – აი, ხელოვნების დანიშნულება.

* * *

შეიძლება ითქვას, რომ სივრცემ დაიკავა დროის ადგილი – განიფინა, განირთხა. დრო იქცა სინტაგმად და დაკარგა პარა-დიგმულობა. დიაქტონია შთანთქა სინქრონიამ. სამყარომ დაკარგა ხიბლი მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი ნაირ-ნაირ საშუალებებს იგონებს მის დასაბრუნებლად. მასთან ერთად კი ადამიანმა დაკარგა ცხოვრების უკეთესისკენ გარდაქმნის მოლოდინი და უბრალოდ, სიხალისე.

* * *

ციკლურობა იგივე ხაზოვანებაა, ოლონდ დროში შეკრული რომელილაც განმეორებად (რიტმულ) მომენტში. რიზომა პრინციპულად განსხვავებულია. იგი ძალზე სახიფათოა ცნობიერებისთვის იმიტომ, რომ ასისტემურია და სამყაროს წესრიგის, სიმეტრიულობისა და ჰარმონიულობის იდეას გვაშორებს.

* * *

რუსთაველის მიხედვით, სიკვდილი საზღვარდაუდებელია („ვერ დაიჭირავს“), დინამიური, საყოველთაო, მარადიული უარყოფითი ენერგია. სიკვდილის ყოვლისწამლეკ ძალას სამყაროში ასიმეტრიულობა შემოაქვს. მხოლოდ ადამიანს შესწევს გადალახოს იგი საკუთარი ეთიკური არჩევანის ნებით და აღადგინოს სიმეტრიულობა... ადამიანი დგას სიკვდილის შესახვედრად, თავისი არჩევანით გამყარებული („სჯობს...“), „სახელოვანი სიკვდილის“ იდეით გაძლიერებული. ეს ლირსეული პლასტიკაა. სიკვდილი უსახელოა, მაგრამ თუკი ადამიანს აქვს ამის ნება, იგი საკუთარი სიცოცხლით ანიჭებს მას სახელს, ანუ არარადან, არარსებობიდან გამოჰყავს სიცოცხლის შუქზე, არსებობაში, განურჩევლობიდან – რჩეულობაში, უსახელობიდან – სახელოვან ყოფიერებაში.

მერაბ მამარდაშვილი: „სიცოცხლიდან ნებისმიერი ნასვლა უნდა იყოს საჯარო, ხმამაღლა სახელდებული და საყველთაოდ გაცხადებული. მაშინ ეს სიკვდილი სიცოცხლეში მონაწილეობს.“

* * *

მე-ს და იგი-ს შექცევადობა სტროფში „მე იგი ვარ...“ ფუნ-ქციურად ანალოგიურია სიკვდილ-სიცოცხლის შექცევადობისა სტროფში „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა...“

როგორც „სჯობს“ ცვლის სიკვდილ-სიცოცხლის სტრუქტურას ეთიკური არჩევანის ძალით (ნაძრახი სიცოცხლე და სახელო-ვანი სიკვდილი), ასევე, მე-სა და იგი-ს სტრუქტურათა ურთი-ერთჩანაცვლებით ხდება ჩემი სიცოცხლის ჩუქება, გაცემა სხვის-თვის. „მე“-ს გარდაცვალება „სხვა“-ში.

„სჯობს“ ნიშნავს, რომ „მე“ თვითონ აძლევს საკუთარ თავს არჩევანის=მოძრაობის უფლებას ისევე, როგორც იგივე „მე“ ასა-ხელებს მოძრაობის სახეებს – „ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“ – რომელიც სიკვდილის ძლევით ადამიანის (მე-ს) სიცოცხლეს დადებით საზრისს (მი)ანიჭებს.

რით არაა „პოტლაჩის“ კულტურული ტრადიციის სწორუბო-ვარი პოეტური ანალოგი?

* * *

რატომ ირჩევს ვაჟა ბალახის, და არა ცელის როლს („ჩემი ვედრება“)? რატომ მიმართავს ღმერთს, კიპლინგი კი – მხოლოდ საკუთარ თავს („თუ“)? თავისუფლების თემასთან მიმართება-ში ეს ძალზე მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, კიპლინგის ადამიანის თავისუფლება – ამ თავისუფლების კანონმდებელი ზეძალის გა-რეშე დარჩენილი, თავისნაირებში – ყოველთვის იქნება საეჭვო: ის და მისი ნებაც დაუცველია, რადგან სხვისი თავისუფლების პირისპირ მარტო დარჩენილი, არავინ იცის, როგორ გამოიყე-ნებს ამ „სასჯელს“ (სარტრი) ან თვითონ, ან სხვა, რას მოუტანს ბრძოლა. ვაჟა არ იბრძვის. რაღაც უცნაურს აკეთებს. მას თით-ქოს მოსწონს ეს მორჩილება, თუმცა არაფერს თმობს, მხოლოდ ძალას თხოულობს ღმერთისგან თავისი ნების ალსასრულებლად ყოველი ახალი არჩევანის ნინ. მას თითქოს ჰყავს მოკავშირე, რომელთანაც დაუსრულებელ დიალოგში იმყოფება. ორივეს-თან, ვაჟასთანაც და კიპლინგთანაც ადამიანური გზის სიძნელე ბოლომდევა გაცნობიერებული, როგორც დაუსრულებელი და პერ-მანენტული. ვაჟა მხოლოდ ტანჯვის გაძლების ძალას ითხოვს.

კიპლინგის ბრძოლის გზა ადამიანებზე გადის, ადამიანებზე გა-
მარჯვებას გულისხმობს. ვაჟას ვედრებაში სამყაროს სრულ-
ყოფისკენ მიმართულ ადამიანს ვხედავ, კიპლინგთან – ერთი
ადამიანის პიროვნულ ძალაზე და გამარჯვების ნებაზე ორიენ-
ტირებული კაცს.

ვისი გმირი განახორციელებს მიზანს უკეთესად – ვაჟასი თუ
კიპლინგის? რა შემთხვევაში მიიღწევა უფრო მაღალი ხარისხის,
უფრო სრულყოფილი თავისუფლება – რწმენით თუ ურნმენოდ?
ღმერთის მხარდაჭერის იმედით, თუ უმისოდ?

და კიდევ; მიზანთან მიმართებაში წყდება შენი თავისუფლე-
ბის პრობლემაც – თავისუფლება რისთვის?

* * *

ვინაა „სხვა“, როგორც ჩემს წინაშე მდგომი თავისუფლება,
როგორც ჩემი მომხრე ან მონინააღმდეგე, სად გადაკვეთები ისი-
ნი ერთმანეთს? სად გადის „მე“-ში „სხვისი“ საზღვარი? „ადამიანი
მუდამ საკუთარი თავის გარეთ მდებარეობს. ზუსტად საკუთარი
თავის პროექციით და საკუთარი თავის გარეთ დაკარგვით, ის
არსებობს როგორც ადამიანი“ (სარტრი).

რაღა რჩება საკუთარი თავის „შიგნით“ – სიცარიელე? ეგოიზმი?
და რა წინაარსისაა ეს „გარეთ“? როგორ შეიძლება ამ მხარეების
მორიგება?

* * *

„შაშას რევოლუციაში“ გურამ რჩეულიშვილი არჩევანის პრობ-
ლემის საკუთარ გზას გვთავაზობს. ეგზისტენციალისტებთან არ-
ჩევანი ქმნის ილუზიას, თითქოს სწორედ იგია „დამნაშავე“ შედეგ-
ში, რადგან „ადამიანს მისჯილი აქვს თავისუფლება“ (სარტრი).
რჩეულიშვილი რაღაც ამის საპირისპიროს აკეთებს, თანაც ძალ-
ზე დამაჯერებლად: ძაგანიას შემთხვევაში („შაშას რევოლუცია“)
„დამნაშავე“ არჩევანი ადამიანს საკუთარი „მე“-ს სიღრმეების-
კენ მეგზურობას უწევს და არსებობის ჭეშმარიტი არსის შეც-
ნობაში ეხმარება: სიცოცხლის ბოლოს ძაგანია აღმოაჩენს, რომ
მისი არჩევანი, ანუ მთელი ცხოვრების ბრძოლა და ძალისხმევა,
შიში და ფორიაქი სხვა არაფერია, თუ არა აფსურდი, ადამიანს

კი თუ რამე აქვს „მისჯილი“, თავისუფლება კი არა, მეორე ადამიანის თანაგრძნობა, ანუ, სახარებისეულად: შეიყვარე და განთავისუფლდი.

* * *

აკაკი ბაქრაძე ეძებს ქართული ხასიათის არსისმიერ, გენეტიკურად განსაზღვრულ და კულტურულ-ისტორიულად ჩამოყალიბებულ ხასიათს, მის ძირეულ თავისებურებებს და ლიტერატურაში მის ამოკითხვას ცდილობს (ასეთსავე მიღებობას ემყარება გურამ ასათიანის „სათავეებთან“). 50-80-იანი წლების ლიტერატურა იქცა ქართული ხასიათის, ერის ფარული მისწრაფებების, დაშვებული შეცდომების, წარსულის განალიზების საფუძვლად, ანუ კულტურული და ისტორიული მეხსიერების შემნახველ ტექსტები. კრიტიკა კი ცდილობს ამ გზაზე მნერლობის მონაპოვრის გათვალსაჩინოებას, განმარტებას და შეფასებას, მკითხველის-თვის გასაგებ ენაზე „თარგმნას“. აკაკი ბაქრაძისთვის და მთელი თაობისთვის ლიტერატურული აზროვნება – მხატვრულიც და ანალიტიკურ-კრიტიკულიც – როგორც შემოქმედებითი აზროვნების ფორმა, წარსულის შემნახველიც იყო და მომავლის გზამყვლევიც. მაგრამ ამ ამოცანის შესასრულებლად ყველა საკუთარ გზას ირჩევდა: აკაკი ბაქრაძე კრიტიკის ეთიკურ მიმართულებას ქმნიდა, გურამ ასათიანი – ესთეტიკურს. აზრის გამოთქმის, გონებრივი და მორალური საქმიანობის ეს განსხვავებული გზები საერთო მიზანს ემსახურებოდა.

* * *

წლების წინ ხელოვნებათმცოდნე ანა კლდიშვილმა მიამბო: ვარძიაში პრაქტიკაზე ყოფნისას ფოტოაპარატი დარჩენია რომელიდაც სენაკში. უკან მიბრუნებულა და ძებნა დაუწყია. მზე ჩადიოდა და რაღაც უცნაურად ანათებდა იქაურობასო. უცებ, ერთ-ერთი სენაკის გასასვლელი კარის თავზე ქრისტეს სახის (თავის) გამსახულებას მიუჰყურია მისი ყურადღება. ჩამავალი მზის სხივები, თურმე, ისე ანათებდნენ კარის ღიობს, რომ იესოს ტანის გამოსახულებას ქმნიდნენ და თავთან (სახესთან) ერთად უფლის ხატი მთელი თავისი სისრულით იხატებოდა. ეს იყო, ანიმ თქვა,

ზუსტი ხატი ქრისტეს იმ იპოსტსისა, რომელზედაც თვით უფალი ბრძანებს: „მე ვარ კარ“.

მგონია, რომ ეს იყო ბედნიერი წამი, რომელმაც უხსოვარ დღოში ბუნების ამ ყოვლდღიური და ჩვეულებივი ცვლილებისას შემოქმედს შესაძლებლობა მისცა დაენახა უფალი, როგორც კარი და თავისი ხილვა გამოსახულებად ჩამოექნა. საუკუნეების მერე კი, ასეთივე შემთხვევითობის წყალობით, ეს აღქმა გადა-ეცა შთამომავლისათვის. უფრო ზუსტად, ეს იყო წამი დროთა შეხვედრისა და უტყვი დიალოგისა წინაპარსა და შთამომავალს შორის, შეხვედრის მისტიკური წამი, რაღაც ისეთი, გამოცხადებას რომ ვეძახით.

ღმერთი ისევე განაგებს შემთხვევითობას, როგორც აუცილებლობას.

* * *

გაუდის „საგრადა ფამილია“ ესაა ბუნების ტაძარი, ტაძარი როგორც ბუნება და ბუნება როგორც ტაძარი. ნებისმიერ შემთხვევაში – ღმერთის ქნილება, შესრულებული შემოქმედის ხელით.

ღმერთის ეს ხელი გაუდისთან ძალიან იგრძობა.

* * *

გოდერძი ჩოხელი მოგონებებში ერთგან ზღაპრის მთხრობელ-ზე ამბობს: „შემოგვისხამდა ხოლმე მზის გულზე“ (ბავშვებს).

როგორი ზუსტია აქ ეს ხოლმეობითის ფორმა და ეს „შემოგვისხამდაც“. თითქოს მარტო გარშემო კი არა (ჰორიზონტალურად), ფრთებზეც შემოისხამდა (ვერტიკალურ გამზომილებაში) და როგორ უხდება ზღაპრის მოყვლის, თხრობის აქტს – საოცრებათა მომლოდინე, სულგანაბული პატარების მოგზაურობას მათ ბავშვურად აღგზნებულ წარმოსახვაში.

იქნებ, არის კიდეც ზღაპრის კვეყანაში გასეირნება ფრთებზე შემოსხმისა და გაფრენის მდგომარეობა?

* * *

მოდერნიზმია გამოიმუშავა ენა ისეთი რთული და შეღწეველი ფენომენის მიმართ, როგორიც ცნობიერებაში მიმდინარე ფარული პროცესებია (ცნობიერების ნაკადის ლიტერატურა).

პოსტმოდერნიზმი უფრო შორს წავიდა. იგი შეეხო საგნებსა და მოვლენებს, რომლებსაც საერთოდ არ ქონიათ ლიტერატურის ენაზე „თარგმანების“ ისტორია, ან ეს ისტორია შემთხვევითი, არასისტემური და ფრაგმენტული იყო – დროის დიდ მონაკვეთებში აქა-იქ გაფანტული. მან მიზნად დაისახა ამ „შიგადი“ მოვლენების მიმართ ენის გააქტიურება (რეფერენცია), მხატვრული ენის ისეთი გაფართოება, რომ იგი მისწვდომოდა არა ცნობიერებისეულ, არამედ ფიზიოლოგიურ მოვლენებს, „ეთარგმნა“ და გადმოელო ისინი ლიტერატურის ენაზე. ასეთია, მაგალითად, სექსის ნარატივი, ფიზიოლოგიური სფეროს ფასიქოლოგიზაცია, ძალზე პირადული, ინტიმური სფერო და ა.შ., ანუ ყველაფერი, რაც შიდა და გარე ზედაპირებს (ცნებებს, ინტერპრეტაციებს, საგნებს) შორის მოძრაობს, რაც გამო-იყოფა, როგორც ადამიანის ფიზიკური თუ ფსიქიკური ექსკრიმენტი. არასათანადო ნიჭიერებითა და მეტისმეტი გაბედულებით შესრულებული ეს ყველაფერი ძალზე ხშირად ბადებს დაფარულისთვის ფარდის ახდის უხერხულ განცდას და გულდანყვეტას მწერლის უდიერი, უპატივებელო სითამამის (თავებდობის) მიმართ. თუმცა ზოგ ავტორს ეს თავისუფლების ილუზიას უქმნის. პოსტმოდერნიზმმა გადალახა ზღვარი, რომელიც ლიტერატურის ენასა და ფიზიოლოგის ენას შორის არსებობს და ეს გააკეთა რადიკალური ანტიესთეტიზმის სახელით, რომელიც, თავის მხრივ, ცნობიერების დეკონსტრუქციის მიზანს ემსახურება (გაცილებით შორს-მიმავალი სხვა „დესტრუქციებით“). დერიდასთვის და სხვა დეკონსტრუქტივისტებისთვის, ნაწილობრივ მაინც, ეს იყო იდეოლოგიური ამოცანა, რომელიც, სხვათა შორის, არც არასდროს უარყვიათ. ამან გააჩინა მწერლისთვის და ზოგადად ხელოვანისთვის უპატიებელი ანტიესთეტიზმი, რომელიც ზოგისთვის ღია იდეოლოგიურ (იდეოკრატიულ) სამსახურში, ზოგისთვის კი შემოქმედებითი ძალების მოსინჯვასა თუ პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებაში გამოიხატა. „შიგადის“ ამ, ესთეტიზმისაგან სრულიად განძარცვულმა ამოტრიალებამ გამოაშკარავა, თუ შედარებას მოვიხმობთ, ადამიანის ტყავგაცლილი სხეული – თავისი მდიდარი და საზარელი ფლორით. ზედაპირის ქვეშმდებარე მატერია – დაქსელილი სისლხძარღვებით, სპეციფიკური, ამაზრზენი

მატერიით, მოკლედ, საიდუმლოებათა ჩვენების სიმულაციით, რომელთა შედეგებზე პასუხისმგებლობას რატომდაც არც ერთი პოსტმოდერნისტი მწერალი (და კინორეჟისორი) არ იღებს. ისინი მხოლოდ ჩვენებით კმაყოფილდებიან, რაც, სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში, ვერც მათი ოსტატობის ნიშანს იძლევა და მითურებულების, ვერც იმისა, რასაც სულ უახლოეს წარსულში შემოქმედის პასუხისმგებლობას ვეძახდით.

ყველაზე უცნაური კი ისაა, რომ მთელი ამ თავგადაკლული მცდელობის შედეგად ენა ოდნავადაც არ ხდება ეროგენული. პირიქით, ყოველგვარ ეროგენულობას კლავს საკუთარ თავში, ენერგიას კარგავს და ცივ რაციონალისტად იქცევა. ამ დროს ისლა დაგრჩენია, თვალი მოარიდო.

* * *

როგორ მიისწრაფის ანა გიორგას გომურისაკენ, მარტოხელა და უმამო შვილის სადგომისკენ, იმ კაცის სამყაროსაკენ, სადაც მარტობა, მონატრება და სიყვარული მეტია, ვიდრე ნებისმიერი კაცის სამყაროში და იქ მიაქვს თავისი სითბო, ზრუნვა და ერთგულება, დროებითი სიმშვიდე, ანუ ის ყველაფერი, რაც ქალმა შეიძლება შესთავაზოს კაცს იმისდა მიუხედავად, ის კაცი შვილია თუ საყვარელი. ყველაფერი, რაც აქ ხდება, ძალიან გავს ბეჭნიერებას. ასე შეყვარებულები გარბიან თავიანთი საიდუმლო შეხვედრის ადგილას უკანმოუხედავად, შიშითა და ზაფრით ატანილნი, რომ შეიძლება მათი საიდუმლო შეიტყოს ვინმემ - ვინმემ, კუსასნაირმა, მაიორის ან პეტრე მსგავსმა - და გასვაროს, შეურაცხყოს სიტყვით ან ჟესტით, თუნდაც ფიქრით.

და ამ ყველაფერს, ანუ, უბრალოდ, სიყვარულს, თანამედროვე ფსიქოლოგთა ერთი ნაწილი რაღაც ავადმყოფობის სიმპტომებად განიხილავს.

* * *

ის, რომ სიზმარში აღძრული განცდისაგან არაფერი რჩება, რეალობის სასარგებლოდ სულაც არ მეტყველებს. ბოლოს და ბოლოს, ხომ არც რეალური განცდისაგანაც რჩება რამე?

* * *

რატომ უნდა სიყვარულს მაღვა?

ვფიქრობ, აյ რუსთაველი ადამიანს (ადამიანებს) არ გულისხმობს. ეს, ადამიანს კი არა, სიყვარულს უნდა შეუნახო თავისი საიდუმლო, იდუმალება, რადგან სიყვარული დიდი საიდუმლოს ნაწილია. იგი ფარდის იქიდან გვიყურებს, გვანიშნებს, გვიზიდავს. ეს ის ფარდა თუ რიდეა, პოეტის თვალი რომ ამჩნევს, მაგრამ, ამავე დროს, მას და მხოლოდ მას უჩენს და უმაღავს ერთდროულად, და ამით იწვევს, ეთამაშება. სწორედ ამიტომ ამბობს პოეტი ირიბად, სხვანაირად, და მაშინაც კი, როცა პირდაპირ ამბობს, ამბობს ისეთი გზნებით, ისეთი ალმოდებული სიტყვით, რომ ამ ცეცხლის მიღმა თავისთავად კარგავს სიცხადეს ის, რასაც ამბობს. ამბობს წარსულში (მაგ, პუშკინის „მე თქვენ მიყვარდით...“) – თითქოს დამცხრალ, მოგონებებით სავსე ნაცნობ სიტყვას, მაგრამ ისეთი ჯადოსნური იდუმალებით, რომ თითქოს არც ამბობს არაფერს საჩვენოდ. გავიგეთ რამე გალაკტიონის უკანასკნელი სიყვარულის შესახებ? ხომ არაფერი? სულ სხვააო, გვეუბნება, არაფერს სხვას არ გაესო, მაგრამ არც ცდოლობს რაიმე გარკვეულობა შეიტანოს, გარკვეულობა ხომ პოეტის საქმე არაა. მოკლედ, უფრო მაღავს, ვიდრე ამბობს.

ფერდინანდ პესოა: რომ შემძლებოდა, შემეცნო უძლიერესი სიყვარული, ვერასდროს შევძლებდი მის აღწერას.

იბნ არაბი: სიყვარული ესაა ნიჭი უხილავის ხილვისა და არარსებულის შეგრძნობისა.

* * *

ლექსში „საყურე“ ნიკოლოზ ბარათაშვილი ლაპარაკობს საყურის რხევაზე, ადარებს მას პეპელას, „სპეტაკ შროშანას“ და მხოლოდ ლექსის დასასრულს, უკანასკნელ ამოსუნთქვასავით აძლევს თავს უფლებას გამოთქვას ამ მზერის ეროტიული შინაარსი („ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკარუნოს?“). მხოლოდ ამ გზით – ჯერ მოკრძალებით, ბოლოს კი თითქოს ფარდის უეცარი გადაწევის, რიდის წამიერად ახდის პლასტიკით აცხადებს დაფარულს. ემოციური გრადაციები და ნიუანსები ფარავს/ამხელს იმას, რაც ფარდის მიღმაა, მაგრამ განცდის სიღრმე და სიძლიერე წამი-

ერად გადალახავს თავის კალაპოტს. გავიხსენოთ ამ შემთხვევასთან დაკავშირებული ბარათაშვილის აღსარება (მსმენელი ლევან მელიქიშვილი): „ლევან, ლევან! გავიჯდი, მეტი აღარ ვარ! ეკატერინა იქ არის და მისი საყურის თამაშმა გადამრია, ლვის განაჩენი კაცი ვერ ნახავს ვერაფერს უკეთესა!“

„საყურე“ ამ „გაგიჯებული“ კაცის პოეტური აღსარებაა, პოეზიად გარდაქმნილი უძლიერესი ეროტიული განცდა.

ახლა ხალხურ ლექსს მოვუსმინოთ: „შენ ჩემო დიდო იმედო, / კოშკო, ნაგებო კირითა... / წითელი მოვის პერანგო, / შვიდგან შეკრულო ლილითა / შენთანამც ყოფნით გამაძლო, / შენთანამც წოლა-ძილითა“.

ამ პოეტური სიტყვების ავტორი ხედავს მტკიცე, შეუვალ კოშკს (შედარება), არა გახსნილ, არამედ შეკრულ – და თანაც ძალზე მტკიცედ, გულდასმით, შვიდგან – წითელ პერანგს. ეროტიკა ზღვარამდეა მისული და ამოხეთქავს კიდეც მას შემდეგ, რაც მოთმენის შეუძლებლობა პირდაპირ, შეუნილბავ სიტყვიერ ფორმად გადმოიღვრება ბოლო ორ სტრიქონში. საოცარია, რა ბუნებრივად ენერება ეროტიკით სავასე ეს ორი სტრიქონი დიდი და მოვარდნილი განცდის ძალით სიყვარულის ესთეტიკაში.

ალბათ, რაღაც ასეთი უნდა იგულისხმებოდეს რუსთაველის სტრიქონში „სიყვარულსა მალვა უნდა“. უბრალოდ, ზემოთმოტანილი სტრიქონები „უნდას“ „არ მინდაში“ მოულოდნელ და დაუგეგმავ გადასვლას გულისხმობს.

* * *

სარტრი: „იყო ადამიანი, ნიშნავს ისწრაფოდე ღმერთის ყოფიერებისკენ, ადამიანი არსებითად წარმოდგენს სურვილს, იყოს ღმერთი“. სახარებამ იცის, რა სახიფათოა ეს სურვილი და აქედანაა პირველი მცნება, მისი გამაფრთხილებელი ინტონაცია. ადამიანის არჩევანი სულ მდაბალსა და მაღალს, ცხოველსა და ღმერთს შორის მოძრაობს; სულ ცასა და მიწას შორისაა. არჩევანის თავისუფლება სწორედ ამ რყევას გულისხმობს, ჩვენი პიროვნებაც ამ მოძრაობაში, ამ გზაზე იქმნება.

ეგზისტენციალიზმი, პრაქტიკულად, მხოლოდ საკითხის განსჯით კმაყოფილდება და უპასუხოდ ტოვებს კითხვას გზის შესა-

ხებ, რაც სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი მარცხისთვის თვალის არიდება.

მაინცდამაინც შორს არც თანამედროვე ფილოსოფია წასულა. მან საკითხს შემოუარა და ადამიანის განლმრთობის შესაძლებლობის მხოლოდ ილუზია გააძლიერა, რითაც, ფაქტობრივად, ღმერთის იდეის რადიკალური დეკონსტრუქცია (უფრო ზუსტად, დესტუქცია) მოახდინა.

ჩვენი ენერგია რომ ფუჭად არ დაიხარჯოს და ამ მიუღწეველი სურვილის გამო ადამიანი იმედგაცრუებამ რომ არ შეიპყროს, სახარება (და რელიგია) ძალზე კონრეტულ გზას – სიყვარულს გვთავაზობს.

* * *

სიტყვა ისაა, რაც საქმის შეფასებას ახდენს. სიტყვა ივიწყებს და იმახსოვრებს, სიტყვა საქმის განაჩენია. ამ განაჩენის ძალითვე (შიშით?) კეთდება საქმე.

* * *

წიგნში (კითხვაში) „ჩაფლობა“, „შთაგონებით დასნეულება“, „ცოცხლად დამარხვა“... – კითხვის პროცესის დასახელებისას ენა რეალობიდან გასვლაზე, რაღაც უჩვეულო მდგომარეობაზე მიგვანიშნებს.

* * *

ბუნებამ ისტორიის მთელ მანძილზე კაცს მისცა ფორა (თუნდაც ფიზიკური ძალის სახით), რომ მასზე ქალის გავლენა დაეძლია. ბიბლიის მიხედვით, ეს გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ ღმერთის სიტყვასაც კი დაუპირისპირდა.

მიგელ დორსი

მიგელ დ'ორსი დაიბადა 1946 წელს ესპანეთში, სანტიაგო დე კომპასტელაში. მისი ოჯახი ესპანელ ინტელექტუალთა საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი. მამამისი, ალვარო დ'ორსი რომის სამართლის პროფესორი და კათედრის გამგე გახლდათ, ბაბუა, ეუხენიო დ'ორსი კი ცნობილი კატალონელი ფილოსოფოსი და ესეისტი.

მიგელ დ'ორსი ლიტერატურულ ასპარეზე 1960-იანი წლებიდან გამოჩნდა. ამ დროიდან მოყოლებული დღემდე მას თექვსმეტი პოეტური კრებული აქვს გამოქვეყნებული. 1988 წელს -მისი წიგნი „უცოდინრობისუმაღლესი კურსი“ პრესტიული ლიტერატურული ჯილდოს – „კრიტიკის ეროვნული პრემიის“ მფლობელი გახდა.

მიგელ დ'ორსს ხშირად მეოცე საუკუნის დასასრულის ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან ესპანელ პოეტად მოიხსენიებენ თუნდაც იმ წვლილის გამო, რაც მან თანამედროვე ესპანური პოეზიის განვითარებაში, კერძოდ კი ახალი თაობის ესთეტიკის ჩამოყალიბებაში შეიტანა. იმ დროს, როცა ყველას ეგონა, რომ სიძველეები დავიწყებული და საგულდაგულოდ სხვენში იყო გადანახული, გამოჩნდად დ'ორსი, რომელიც წლების განმავლობაში რომანტიკული, ინტიმური მსოფლშეგრძნების გამო ძველი პოეზიის ეპიგონადიყო მიჩნეული. აღმოჩნდა, რომ სწორედ მისი ინტიმური, ღრმა რელიგიურობით გაჯერებული სამყარო გახდა საიხლის მაძიებელი ახალგაზრდა პოეტების შთაგონების წყარო. კრიტიკოსები ხშირად დ'ორსს ჯგუფი „ნუმენორის“ პოეტურ მამადაც იხსენიებენ. თავად პოეტი ამ გავლენებზე საუბარს გადაჭარბებულად მიიჩნევს, თუმცა არ უარყოფს, რომ ახალგაზრდებმა მართლაც აღმოაჩინეს მის პოეზიაში გარკვეული მოდელი.

დ'ორსის პოეზია საინტერესოა იმით, რომ იგი ეხმიანება არა-მხოლოდ თანამედროვე ტენდენციებს, არამედ კავშირს ინარჩუნებს წარსულთანაც. იძვიათი ორიგინალობით, ყოველგვარი წარ-ცისისტული პრეტენზიების გარეშე, პოეტი გვესაუბრება ყოველ-დღიურობასა და იმ ფუნდამენტურ ეგზისტენციალურ პრობლე-მებზე, რაც ადამიანად ყოფნას ახლავს თან. იგი თითქოს ერთ-დროულადაა აღფრთოვანებული მოვლენათა სიღრმით და მათი ზედაპირული, ყოფითი გამოვლინებებით. დორსის პოეზიის მხატ-ვრული ფორმა მომცველი და ამავე დროს საოცარად გასაგებია. მაღალი ოსტატობის წყალობით, მისტიკური ჩვენს თვალწინ სი-ცხადეს იძენს და გასაოცრად ხელმისაწვდომი ხდება, ბანალური კი – ტრანსცენდენტულობისა და სიწმინდის სიმაღლემდე ადის.

დ'ორსის შემოქმედებაში აშკარად იგრძნობა კლასიკური პო-ეზიის გავლენა, ბერძნული და რომაული ხელოვნებით აღფრთო-ვანება. ხშირად საუბრობენ პარალელებზე უოლტ უიტმენთან. ვრცელი ჩამონათვალი, რაც ორივე პოეტის საყვარელი მხატ-ვრული ხარხია, საწყისი იდეის დაზუსტებას, მის მაქსიმალურად ამომწურავ გადმოცემას ემსახურება. დ'ორსს ეს დინამიკა იმ-დენად ფართო ხედში გადაჰყავს, რომ მკითხველი გაოგნებული რჩება ფინალური პანორამის მასშტაბებით.

გავლენებსა და სახეთა ნათესაობაზე დ'ორსიც ხშირად საუბ-რობს. მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ლექსის, „პატარა ანდერძი“-ის შესახებ იგი აღნიშნავს, რომ ძირითადი იდეა ადრიან ჰენრის „უკანასკნელი სურვილი და ანდერძიდან“ მომდინარეობს. „გარდა ამისა, ეს ჩემი უიტმანითა და ბორხე-სით გატაცების შედეგია. ზოგიერთი სახე რამონისგან, სათაური კი ვიღლიონისგან ვისესხე. პუნქტუაცია, რა თქმა უნდა, ჩემია“ – ხუმრობს პოეტი.

გაგვიჭრდება დავასახელოთ სხვა, უფრო „ავტობიოგრაფიული პოეტი“, ვიდრე მიგელ დ'ორსია. ხანდახან გეჩვენება, რომ მისი ლექსები გულის მოოხების მცდელობაა და სხვა არაფერი. ალ-ბათ, ცხოვრების ღრმა ცოდნის შედეგია ისიც, რომ პოეტი ლექ-სებს პარადოქსის პრინციპზე აგებს, ჩვენს თვალწინ აყირავებს თვალსაჩინოებებს, უცვლის მათ პოლუსს. ეს განსაკუთრებით

თანამედროვე სოციუმზე წერის დროს იგრძნობა. დ'ორსი მას „შეზღუდულ საზოგადოებას უწოდებს“. მისი ერთ-ერთი კრებული სწორედ ამ სათაურს ატარებს. „დღევანდელ საზოგადოებას არა აქვს უნარი მზერა მოსწყვიტოს ფიზიკურს, რაციონალურს, საჭიროს და მომგებიანს“. ჩვენი დროის ერთ-ერთ მთავარი პრობლემა ისაა, რომ მკითხველს არ შეუძლია კითხვა, რადგან დღევანდელ მსოფლიოში ჭვრეტაზე წინ ქმედება დგას. იმის-თვის, რომ შეჩერდე ან წაიკითხო, აუცილებლად რაღაც უნდა ხდებოდეს. მიგელ დ'ორსის განსაკუთრებული დამსახურება ის არის, რომ მისი ლექსები პოეზიის კითხვას ასწავლის და აყვარებს იმ ადამიანებს, ვისაც ამის ინტერესი არასოდეს ქონია. მიგელ დ'ორსი ბავშვობისდროინდელ მჭვრეტელობით სამყაროში გვაპრუნებს და ამ დავიწყებულ სიამოვნებას ხელახლა გვაგრძნობინებს.

გარდა პოეზიისა, მკითხველი კარგად იცნობს მის ესეებსა და ლიტერატურულ კვლევებს. იგი წლების განმავლობაში იყო ნაგარასა და გრანადის უნივერსიტეტების პროფესორი. ფლობს ფილოსოფიისა და ლიტერატურის დოქტორის ხარისხს. დღემდე აქტიურად თანამშრომლობს ლიტერატურულ ჟურნალ-გაზე-თებთან. არის ათობით ლიტერატურული კვლევის ავტორი, რომლებშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ესპანურ და კლასიკურ პოეზიას. შესრულებული აქვს ჯოვანი პასკოლის პოემების ესპანურენოვანი თარგმანი. 2007-2010 წლებში გამოვიდა მისი ჩანაწერების კრებულები სახელწოდებით: „სახელოსნოს უპირატესობანი“ და „კიდევ ერთხელ სახელოსნოს უპირატესობის შესახებ“. მისი ლექსები შესულია არაერთ ანთოლოგიაში და ნათარგმნია სხვადასხვა ენაზე.

გთავაზობთ ნაწყვეტებს ჟურნალ „Poesia Digital“ (2011) და „Ritmos 21“ (2014)-სთვის მიცემული ინტერვიუებიდან, სადაც მიგელ დ'ორსი საკუთარი მსოფლმხედველობისა და შემოქმედებითი ღირებულებების შესახებ. მისი ლექსები შესულია არაერთ ანთოლოგიაში და ნათარგმნია სხვადასხვა ენაზე.

თქვენი აზრით, რა არის პოეზია?

პოეზია ენის ფლობაა, ოლონდ უფრო ინტენსიურად, ანუ “donner un sens plus pur aux mots de la tribu”.*

როგორ ფიქრობთ, პოეტად იბადებიან თუ მერე ხდებიან ხოლმე?

ახლა ვფიქრობ, რომ ორივე ერთად.

შესაძლებელია თუ არა არსებობდეს პოეზია გრძნობის გარეშე? ყველაფრისგან დაცლილი პოეზია?

პოეზიას სჭირდება გრძნობა, თუმცა მხოლოდ გრძნობა მის შესაქმნელად საკმარისი არ არის. გრძნობაში მაინცდამაინც ტირილი არ იგულისხმება, არსებობს უამრავი სხვა რამ, რაც გრძნობასთანა დაკავშირებული.

პოეზიაში ყვეალფერი გამოგონილია?

იცინის.

პოეზია შინაგანი გადასახლებაა თუ საკუთარი თავის რეპატრიაცია?

აბა, რა გითხრათ, მე მხოლოდ ზედსართავები, აქცენტები, ალიტერაციები, ხატები, კონოტაციები და მსგავსი რაღაცებები გამეგება.

როგორ მიეხედეთ, ლექსი ცუდია თუ კარგი?

მანამდე ათასობით კარგი პოეზია უნდა გქონდეს წაკითხული.

გჯერათ შთაგონების? რა მოვლენაა ეს? თვითონ მოდის თუ საგანგებოდ უნდა მოუხმო?

* ფრანგ.: „ანგელოზი წმინდა სიტყვას უბოძებს ადამიანებს“ – სტეფან მალარმე, „ედგარ პოს საფლავი“.

დიახ, მჯერა. თითქოს რაღაც, რაც შენს მიერ უნდა დაიწეროს, მუდმივად და დაუინებით ითხოვს თავისას. შთაგონება თავისით მოდის, მაშინ, როცა თავად ინებებს, ასე რომ, რა აზრი აქვს მის მოხმობას?

ცნობილია, რომ 80-90-იანი წლების თაობისთვის დამახასიათებელია მკითხველის ხელახლა მოპოვებისაკენ სწრაფვა. როგორ ატყობთ, შესაძლებელია ამის პრაქტიკულად განხორციელება? წლების შემდეგაც ძველებურად გაინტერესებთ ეს მოვლენა?

1980-1990-იან წლებში მართლაც მოხდა მკითხველთან დაახლოვება. თანაც, ჩემის აზრით, ყველაზე ღირებული პოეტებისა. მხედველობაში მყავს ახალგაზრდა თაობა, მაგალითად: კარლოს მარსალი, პედრო სევილია, ხოსე მატეოსი, აბელ ფეუან ხავიერ ალმუსარა და ისინიც, ვინც არც ისე ახალგაზრდა იყო ამ პერიოდში: ლუის ალბერტო კუენკა, ვიქტორ ბოტასი, კავიერ სალვადო, ელიო სანჩეს როსალიო, ფერნანდო ოტრისი და ჯონ ხუარისტი. მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საუბარია არა ნებისმიერი მკითხველის ხელახლა დაპყრობაზე ნებისმიერ ფასად, არამედ ინტელექტუალური მკითხველის მოპოვებაზე და თუ ინტელექტს კულტურაც ახლავს თან, კიდევ უკეთესი.

ახალი საუკუნის მიჯნაზე ასაკიანებმა დაწყებული გზა გავგრძელეთ. ახალგაზრდებსა და ასპარეზზე გამოსულ ახალბედა პოეტებს კი აშკარად დაეტყოთ სრულიად გასაგები გადაღლილობა იმისგან, რასაც „გამოცდილების პოეზია“ ეწოდება. ეს რამდენიმე ახალი მიმართულების გაჩენის მიზეზი გახდა. ზოგიერთმა მათგანმა, შეიძლება ყველაზე ნიჭიერებმა, მაგალითად კარლოს მარსალმა, ვისენტე გალიეგომ ან ლორენცო ოლივანმა „მისტიკური პოეზიის“ მიმდინარეობა შექმნეს. დანარჩენების არჩევანი გაბედული, თუმცა ნაკლებად პასუხისმგებლობიანი აღმოჩნდა – მათ ავანგარდულ ირაციონალურობას მიმართეს. ეს არის ხაზი, რომელიც, ჩემი აზრით, ეროვნული პოეზიის უკანასკნელ ანთოლოგიაში იკვეთება და რამაც, მართალი გითხრათ, იმედი გამიცრუა.

თქვენს პოეზიას „ფიგურატივიზმს“, „გამოცდილების პოეზიას“ უწოდებენ. მისი მთავარი პოსტულატია „მოხდეს „მე“-ს ფუნქციონალიზაცია პერსონაჟის ან ნილბის მეშვეობით“. ახლა როგორი დამოკიდებულებაა თქვენს მინაგან დ’ორსებს შორის, რაიმე საფრთხე ხომ არ ემუქრება ამ ურთიერთობას?

მე პირადად, „მე“-ს ფუნქციონალიზაციისა არ მჯერა. ამის შესახებ ჩემი უკანასკნელი წიგნის შესავალ სიტყვაშიც ვსაუბრობ: მაშინც კი, როცა გინდა თავი მოაჩვენო, არსებული გამოცდილებისკენ ხელის გაწვდენა მაინც არ აგცდება. როგორ უნდა შეინილბო რამით, რაც არც კი იცი, როგორია? თუ პოეტს ნილბის შექმნა სურს, ისლა დარჩენია, იგი იმ ნაწილებისგან შექმნას, რომელიც საკუთარ სახეს ჩამოგლიჯა. სხვა საქმეა, თუ ჩვენ საგანგებო შემუშავებაზე, მანიპულაციაზე ვსაუბრობთ, როცა გამოცდილება ყალბდება იმისათვის, რომ შეიქმნას კარგი ლექსი. მაგრამ სულ სხვაა იმის მტკიცება, რომ პოეტი ნოტარიუსივით ან ჭორიკანა ქალივით ორ ან სამ პერსონას აერთიანებს საკუთარ თავში და შემდეგ მათ ლექსებში ახვედრებს ერთმანეთს.

როგორც ამბობენ, პოეზიაში სამი თემაა: ღმერთი, სიკედილი და სიყვარული. როგორ ასახავდით ამ თემებს თქვენს ლექსებში? შეიძლება თუ არა ვისაუბროთ ამ თემების ინტენსიურობაზე თქვენს სხვადასხვა კრებულში?

ალბათ, ყველა დიდი თემა საბოლოოდ სამ თემამდე დადის: შემოქმედთან ურთიერთობა, ურთიერთობა საკუთარ თავთან და დანარჩენ ქმნილებებთან. ამ დანარჩენებს შორის იგულისხმება ბუნება, ყოფიერება თავის დროსივრცით საზღვრებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობა (როგორც საზოგადოებასთან, ასევე ინდივიდებთან) და საყვარელი ქალი. ჩემს ლექსებში მე ყველა მათგანს ვეხები. ძირითადი თემები იგივე რჩება. ერთადერთი, ფოკუსის შეცვლა შეიძლება. მაგალითად, ჩემი პირველი სასიყვარულო პოემები არსებითად ქიმერულ ქმნილებას ეძღვნებოდა (ახლა მახსენდება, რომ ერთ მათგანს „ლექსი თეთრ კონვერტში“ დავარქვი), დანარჩენები კონკრეტულ ქალს მივუძღვენი, რომელიც

ამასთან სრულიად კონკრეტულ სიტუაციებში იყო „მოთავსებული“: ოჯახური ცხოვრება, სახლი, ბავშვები, ყოველდღიურობა და ა.შ. უკანასკნელ თხზულებებში გარემოებები კვლავ კონკრეტულია, მაგრამ საყვარელი ქალი სურვილის ობიექტად იქცა.

ხანდახან, როცა თქვენს ლექსებში ვმოგზაურობთ, აღმოჩნდება, რომ რომელიდაც სრულიად ცხადი და გასაგები მოვლენა ყოფიერების ფუნდამენტური საიდუმლოების სიბნელესაც შეიცავს. ლექსის დასრულებისა და მასში ჩაწვდომის შემდეგ კი ეს სიბნელე სინათლედ და სიბრძნედ გარდაიქმნება. როგორ ახერხებთ, რომ გასაგები და სახიერი უცებ სადღაც ფსკერზე, მისტერიის ზღურბლთან აღმოჩნდება ხოლმე?

ალბათ, ბევრ ადამიანს დღეს მისტიკაზე არასწორი შეხედულება აქვს. ისინი მას სხვა სივრცეში მოიაზრებენ, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისგან მომორნებით, თითქოს ჩვენ აქ, ქვემოთ ვიყოთ და ის კი მაღლა, როგორც ეს „კონდე ორგასის დასაფლავებაშია“. სინამდვილეში, საიდუმლო ჩვენს გვერდითაა, მჭიდროდ ჩაქსოვილი ჩვენს ყოველდღიურობაში. ნებისმიერი რამ შეიძლება გამოდგეს კარად. როგორც ერთ ჩემს ადრინდელ ლექსში ვამბობ, „ჰაერის უხილავ ზღურბლს მიღმა“.

ერთ-ერთ ძველ ლექსში პოეზიას ბედნიერების ფორმას უწოდებთ. იქნებ განგვიმარტოთ, რისი თქმა გსურდათ ამით.

ეს იმიტომ ვთქვი, რომ ვფიქრობდი და ვფიქრობ, რომ ყოველთვის თუ არა, საკმაოდ ხშირად პოეზია ეგზისტენციალური სიცარიელის ამოსავსებად იწერება. ვეჭვობ, რომ ის, ვინც სიცოცხლეს სრულად შეიგრძნობს, იგი, უპრალოდ, ცხოვრობს. მას თავში არ მოუვა, დაწეროს როგორი კმაყოფილია, ყოველ შემთხვევაში, პროცესის დასრულებამდე მაინც. სხვათაშორის, თუ დროსა და სივრცეს გადავავლებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ სინანულის გამო გაცილებით მეტი ლექსია დაწერილი, ვიდრე საზეიმო განწყობის მიზეზით.

თქვენს ლიტერატურულ კვლევებში ახსენებთ ჩესტერტონს, ლუისს და ტოლკიენს, როგორც თქვენი პოეზიის რეფერენტებს. გაქვთ თუ არა თანამედროვე პოეზიის რაიმე ნიმუში? რას კითხულობს მიგელ დ'ორსი განსაკუთრებული ყურადღებით თანამედროვე პოეზიდან, შემდეგ კი იყენებს მას თავის სამყაროში?

მე მგონი, ჩემთვის ეს სამი ავტორი უფრო მეტია, ვიდრე რეფერენტები. ეს უფრო „ნუმენორის“ წევრებზე შეიძლება ითქვას, რომლებსაც, სავსებით არამართებულად, ჩემს მოწაფეებად მიიჩნევენ მხოლოდ იმიტომ, რომ კათოლიკეები არიან და ეს კვალი მათ პოეზიასაც ატყვია. მე ტოლკიენის ლამის არაფერი წამიკითხავს. მისი სახელწოდება „ფანტასტიკური ლიტერატურა“ უკვე მაშინებს და მოსაწყენად მეჩვენება. ლუისის რაღაცები წამიკითხავს. მხოლოდ ჩესტერტონს ვიცნობ და საკმაოდ კარგადაც, მაგრამ არა მგონია, მის დიდ გავლენას განვიცდიდე. თუ გავლენებზე მიდგა საქმე, მე უფრო კიტსს, უიტმანს, ჰარდს, ფროსტს დაასახელებდი.

თქვენს შემოქმედებაში ყოველთვის იცავდით პატიოსნებისა და გულწრფელობის კრიტერიუმებს როგორც თემატიკასთან, ისე თქვენი ლექსების რეფერენტებთან მიმართებაში. არასოდეს მორგებიხართ იდიოლოგიურ და პრაგმატულ სტანდარტებს. გვითხარით, აქედან გამომდინარე, რომელი კარი გაიღო ან რომელი დაიხურა თქვენს ნინაშე?

მართლაც, იყო რამდენიმე წელი, როდესაც „ლიტერატურული სამყაროს“ რაღაც წრებში უგულვებელყოფილი ვიყავი. იდეოლოგიური ვნებები... ხომ გესმით. მაგრამ თანამედროვე ინკვიზიტორები, მათთვის სავალალოდ, ამგვარი „ბლოკადით“ სინამდვილეში დიდ სამსახურს მიწევდნენ: შემთხვევითი ესკიზების, სისულე-ლექსების მხოლოდ ვალდებულებისთვის გამოქვეყნება არ მომიწია. ასე რომ, ძალიან მადლობელი ვარ მათი. სხვა მხრივ, 1987 წლის-თვის უგულვებელყოფა, რაც ბოლომდე გაქრობას მაინც არ ნიშნავდა, ნელ-ნელა შესუსტდა. იმ დროიდან მოყოლებული, უამრავი მკითხველი მყავს. ჩემი ლექსები არაერთ ანთოლოგიაში დაიბეჭ-

და და გულწრფელად გითხრათ, ხანდახან ვფიქრობ, რომ ასეთი აღიარება გადაჭარბებულიც კია.

თქვენ ყოველთვის გახასიათებდნენ, როგორც ადამიანს, რომელიც, კულტურული მოვლენების ცვალებადობის მიუხედავად, საკუთარ გზას აგრძელებს. თუკი მეტი გაყიდული წიგნი მეტ პოპულარობას ნიშნავს, ეს კი საშუალებას გაძლევს, გააზიარო შენი სათქმელი, რაც მკითხველისთვისაც საინტერესოა, რატომ არ მეოძლება დანებდე ბაზარს?

მოდით, თანმიმდევრულად მივყვეთ ყველაფერს. ყოველთვის პროვიციებში ვცხოვრობდი, და ეს ჩემი ნებით ხდებოდა. მე მხიბლავს პროვიციული ცხოვრება (არა სოფლური). დიდად არც „ლიტერატურული ცხოვრება“ მიზიდავს, რაც ავალდებულებს ადამიანს, დრო სწორედ ლიტერატურას მოაკლოს. ასე რომ, ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რომ იშვიათად ვჩინდები მედიაში. მაგრამ არა მგონია, რომ ვინმესთვი შენიღბული საიდუმლო იყოს: როცა სათანადო დაუინებით მთხოვენ ინტერვიუს ან საჯარო გამოსვლას, საბოლოოდ ყოველთვის ვნებდები. პირველ რიგში იმიტომ, რომ არ მინდა უხერხულობა შევქმნა, მეორე კი იმიტომ, რომ ნამდვილი თავმდაბლობა ისაა, რომ თავი არ დაიფასო.

რაც შეეხება ჩემი წიგნების გავრცელებას, გეთანხმებით, არც ერთი მათგანი არ გამოსულა გრანდიოზული ტირაჟით, მაგრამ მკითხველი, რომელიც მე მაინტერსებს, ხუთას ადამიანს არ აჭარბებს. იმ ხალხს, ვინც წიგნებს „კორტე ინგლესში“* ყიდულობს, ჩემი პოეზია ბევრს არაფერს ეტყვის. მე პრინციპულად არ მსურს კაპიტალისტური საგამამოცემლო მანქანის ჭანჭიკად ვიქცე. ეს ჩემთვის საზიანო იქნებოდა. სულ ესაა. რაღაც პერიოდიდან მოყოლებული, ჩემი წიგნები კარგად იყიდება (ძალიან კარგადაც, თუკი ესპანეთში პოეზიის გაყიდვებს გავითვალისწინებთ). „უცოდინრობის უმაღლესი კურსი“, „ნერტილის შემდეგ“ და „სხვა წმინდა სინათლისკენ“ მეორედ გამოიცა. 2001 წლიდან არც ერთი ეგზემპლარი აღარ დარჩა. საყვედური ნამდვილად არ მეთქმის.

* საგაჭრო ცენტრების ქსელი ესპანეთში.

ამას წინათ ანტონიო კოლინასი ამბობდა, რომ პოეტი ყოველ-თვის დინების სანინააღმდეგოდ მიცურავს. ისტორიის პარადოქ-სებს თუ დავაკირდებით, ისე გამოდის, რომ ხშირად დინების სანინააღმდეგოდ ისინი მიდიან, ვისაც ეს არც კი უფიქრია. თქვენს შემოქმედებას კონტრკულტურულად მიიჩნევთ? თუ თქვენთვის ამგვარი კლასიფიკაცია აპსურდულად უდერს? რა მასშტაბს იძე-ნენ სიმართლე და ერთგულება თქვენს შემოქმედებაში?

ეს შეკითხვა კი არა, სამი პროვოკაციული განცხადებაა. რთუ-ლი საქმეა. მხოლოდ ორიოდე სიტყვით შემიძლია ჩემს შემთხვე-ვაზე მოგახსენოთ: როცა მთელი ქვეყანა უკან მიდის, ის, ვინც აულელვებლად მიიწევს წინ, არაკომფორმისტად მოჩანს. ჩვენს ინსტიტუციონალური ჰეტეროდოქსის დროში, რომელიც ლამის თავსმოხმეულ ვალდებულებად გადაგვექცა, ორთოდოქსობა წი-ნააღმდეგობად აღიქმება.

რამდენად ასატანი ტვირთია პოეტისა და ადამიანისთვის, იყოს თქვენი გვარის წარმომადგენელი და სახელად ერქვეს მიგელი?

ვერ გეტყვით, ცნობილი გვარის ტარება სინამდვილეში გეხმა-რება თუ ხელს გიშლის. დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცი, რომ საქმეს ართულებს. ერთი მხრივ, მეტნაკლებად გაცნობიერებული გაქვს, რომ ეტალონს უნდა შეესაბამებოდე და ხშირად ამის გამო შენი ყველაზე ღრმა შინაგანი ჭეშმარიტების განირვა გიწევს. თა-ნაც, ხედავ, რომ ხალხი წინასწარ შექმნილი სტერეოტიპებით გაფასებს. იმასაც აცნობიერებ, რომ შენს წინ თითის განძრევის გარეშეც იღება ბევრი კარი, თუმცა, უსამართლოდ იკეტება კი-დეც. არ მინდა რაღაც სატელიტური პერსონაჟი ვიყო, რომელმაც ასახელა ჩვენი გვარი. ისიც ცხადია, რომ შეუძლებელია წინაპ-რებს ეტოლებოდე. მაგრამ ამასთან ერთად, ამ გვარის ტარება გულისმხობს გარკვეულ გენეტიკურ მემკვიდრეობას, გარკვეულ გარემოს. იმას, რომ იბადები სახლში, სადაც უამრავი წიგნია, სა-დაც მისდევენ ღირებულებათა სისტემას, რომლისთვისაც მთავა-რი ქონება და ყიდვა არ არის.

რატომ ახსოვთ პოეტები?

გულუბრყვილად გაიჟღერებდა, რომ მეთქვა, მათი ლექსების გამო-მეთქი, ამიტომ ვგონებ, საჭიროა განვასხვავოთ ხანმოკლე და ხანგრძლივი მეხსიერება. თუკი ხანგრძლივ მახსოვრობას ვგულისხმობთ, მაშინ ეს მართლაც ასეა. ხანმოკლე მეხსიერებისთვის უამრავი მოტივი შეიძლება არსებობდეს. მაგალითად, პოეტის აქტიურობა „ლიტერატურულ ცხოვრებასა“ და მედია-საშუალებებში; მისი პირადი ცხოვრების თავისებურებანი, პოლიტიკური მრნამსი, მის ტექსტებზე შექმნილი სიმღერები. ხანმოკლე წარმატება ხშირად გაუგებრობის შედეგია.

დაბოლოს, როგორც დამკვირვებელს, როგორც მჯვრეტელს, მინდა გყითხოთ, როგორი იქნება მომავლის პოეზია? რა ახალ პორიზონტებს უნდა ველოდიოთ?

სიმართლე გითხრათ, წარმოდგენა არა მაქვს.

მიგელ დორსი

მცირე ანდერძი

მე თქვენ გიტოვებთ მდინარე ალმოფრეის,
ჩაძინებულ მაყვლებს შორის, შაშვებით სავსეს,
სურისას წიფლებს, ოქენდების უძირო ცისფერს,
მარტორქებს, ტანკებივით რომ დააქვთ სხეული.
ფლამენკოებს – მზის გასაღებს ცის კაბადონზე
და კრაზანებს – პატარა ვეფხვებს.
მარნყვებს, მაინის კლდეებს, ანაპურნას,
ნიაგარას ჩანჩქერს – ქერათმიან ელგარე ასულს,
ედელვაისებს ორდესას პარკში, ხელს რომ ვერ ახლებ,
ირმის ნახტომს, ბულბულს უთვალავს.
მე თქვენ გიტოვებთ გზატკეცილებს,
მდუღარე სუნთქვას რომ აფრქვევენ უკაცრიელ შუადლის ხვატში,

დე ლა კრუსის „ქებათა ქებას“ და პელეს გოლებს,
შარტრის ტაძარს, წელში მოხრილ ოქროს თავთავებს,
უფიცის კლდეებს მიღმა აღლენილ ლოცვას
და ტაჯმაჰალს, ტბაში მთრთოლვარეს.
ავტობუსებს, მოჯაყჯაყეს სან პაულოსა და მომბასას გზებზე,
შავენიანიანებსა და ბედნიერ ცხოველებს რომ დაატარებენ.
თქვენ გეკუთვნით ეს ყველაფერი, ჩემი შვილებო,
ბედს სურდა ალბათ, რომ გყოლოდათ მდიდარი მამა.

როგორც წყალი

როგორც წყალი
მდუმარედ იღწვის
თავთავთა ფეხქვეშ.
როგორც მიწა
მოკრძალებით ამუშავებს ლითონს,
მშვენიერებას რომ შესძინოს
სიმაღლე ვარდის.
ასე, ამგვარად,
დაწერ შენს ლექსებს.
მხოლოდ სიჩუმის ფსკერზე
შეიძლება გაღვივდეს კაშკაშა სიტყვა.

სიჯიუტე

ჩემი ცხოვრება:
რამდენი ხანია არ ვყოფილვარ კუსკოსა და სიენაში,
თუნდაც გრენობლში.
რამდენ თვითმფრინავში არ ჩავმჯდარვარ,
ცას რომ სერავდნენ.
რამდენი მხურვალე ხმა არ შეხებია
ჩემი გულის ფსკერს.
მხოლოდ დრო, ცარიელი,

ტრამალივით სულისშემძვრელი,
მხოლოდ ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი...
და ერთადერთი, რაც ისევ ჯიუტად ხდება –
კბილის პასტა „კოლგეიტია“.

მეუღლეს

შენი თბილი თვალებით
ვიღაც მიყურებს, ვიღაც, ვინც შენ არ ხარ.
მეჩვენება, რომ შენი სიყვარული სხვა, გამოუთქმელ
სიყვარულში მერევა.
ვიღაცას ვუყვარვარ შენი „მიყვარხარ“-ით,
ვიღაც შენი ხელებით ჩემს ცხოვრებას ეალერსება
და ვგრძნობ მის ფეხებას ყოველ შენს კოცნაში.
ვიღაც, ვინც დროის მიღმაა, ჰაერის უხილავ ზღურბლს მიღმა.

ოქტომბერი ჩემს ფანჯარაში

ბინდი ნელ-ნელა წვება დაბლობზე.
უზარმაზარი ბრინჯაოს ღრუბლები
რომანტიკულ სურათს ხატავენ.
დაბურული მუხები, სოფლის სახლები, ვერხვების ალი...
ყვითელი სიო ახუჭუჭებს ზეთისხილის ბაღს.

მინდა ვუყურო ოქროს სიჩუმეს,
მაგრამ გული მეუბნება, რომ ეს მინდვრები ჩემი არ არის
და არც ეს ცაა ჩემი.
რომ წინაპართა სისხლით არ შობილა ეს სილამაზე.

ფანჯრის რაფას ჩამოვაყრდნობ ჩემს მარტოობას.
გავცელერი მთების განელილ ჩრდილებს.
მშვენიერია ეს ფიჭვები,
მაგრამ ეს მხოლოდ ფიჭვებია,
ჩემი ცხოვრება მათში არ არის.

არც ჩემი გამჭვირვალე ბავშვობაა მათ კენწეროებთან,
ფედერალობანას რომ ვთამაშობდით ბიძაშვილები.

დღე იწურება და მასთან ერთად
ჩემი სამშობლოს ხანგრძლივ წვიმებს ვუახლოვდები.

კონტრასტი

ისინი,
ვისი ცხოვრებაც წარმატების პროჟექტორებქვეშ
ოვაციების თანხლებით გადის.
მსუბუქი კაბრიოლეტებით,
მშვიდი, ლაჟვარდისფერი აუზებით და ვარდებით ირგვლივ,
განსაკუთრებული ძალებით,
შამპანურივით თავბრუდამხვევ, კრიალა გოგონებს შორის
რომ იცინიან.

მაგრამ არ არიან ბედნიერნი.
და მე, რომელსაც არაფერი მაქვს ამ ქუჩებს გარდა,
მძიმე განრიგი, იაფფასიანი კვირადღე მდინარის პირას
მეუღლესთან და ბავშვებთან ერთად, რომლებსაც ვუყვარვარ.
არც მე ვარ ბედნიერი.

კიდევ ერთი ლექსი სიყვარულზე

რა ბედნიერებაა, რომ არ ვარ მაციუ ბასიო,
რომლის ხმაშიც ქლიავები ყვავიან ნაზად.
რომ არ ვარ ბეთჰოვენი მობჯენილი შუბლზე ქარიშხლით,
არც ტომას მორი ჰოლბაინის სახელოსნოში.
რომ არ მაქვს ბუნგალო დენვერში (კოლორადო)
და ფიცროის მწვერვალებიდან არ გადმოვყურებ
პატაგონიის მინერალთა გარიზდებას შებინდებისას.

ბედნიერი ვარ, სენ-მალოში მოქცევების სურნელს
რომ არ ვგრძნობ
და ვარ აქ, შენთან. გსუნთქავ და ვუცქერ
ჭალის ანარეკლს შენს თვალებში.

ქალაქი ჩემში (სანტიაგო)*

„უცნაური ქალაქია, ერთდროულად მშენები და უშნო“.
(როსალია დე კასტრო, „სარის ნაპირებზე“. „წმინდა სქოლასტიკა“, III, 1)

მე არაფერი ამირჩევია: გავახილე თუ არა თვალი,
წვიმა, ღამე და ქვები იყო ჩემი ცხოვრება.
მხოლოდ მოქვითინე ლამპიონების სველი ჩრდილები...

ჩემი ბრალი არ არის, ამ სიზმრებს ნაცრისფერი სამრეკლოები,
ხავსი და ლიტურგიული ბალდახინები რომ დაეპატრონენ,
და ეს ქვასავით მძიმე ღრუბლები.

ჩემი ბრალი არ არის, მელანქოლია რომ აღმოჩნდა ჩემი
სამშობლო,
ერთგული ჩვევა უხმაუროდ ჩავლილი წლების.

და არც ის, რომ ახლაც, სადღაც ღრმად, ჩემში ისევ წვიმა
ხმაურობს,
წვიმა, რომელიც ...
სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით...
სანტიაგოს ქვებს უნაპიროდ ჩაძირავს ფიქრში.

* სანტიაგო დე კომპოსტელა – პოეტის მშობლიური ქალაქი ერთ-ერთი ყველაზე ნალექიანი ადგილია ესპანეთში და განსაკუთრებულ როლს თამაშობს ქალაქის სახის ესთეტიკაში. აღსანიშნავია ისიც, რომ სანტიაგო დე კომპოსტელაში მდებარეობს წმინდა იაკობის საფლავი, რომელსაც ტრადიციულად უამრავი პილიგრიმი სტუმრობს.

არაფერი

ტყვეისფერ წევიმას
ლამპიონების შუქი აკრთობდა.
ასე უბრალოდ გასცერდე ღამეს
და არ ელოდე აღარცერთ წერილს.
იყო ოცდათხუთმეტის
და ჩაგესმოდეს, როგორ თანდათან გშორდებიან მატარებლები
და სინანულით ფიქრობდე იმას,
რომ არ ყოფილხარ სტივენსონი
და არც გრაფი ჰენრი რასელი.

პუბლიკაცია მოამზადა, ინტერვიუ და ლექსები
ესპანურიდან თარგმნა ქეთევან ჯიშიაშვილმა.

მირანდა ტყეშელაშვილი

„დამარხული ვაზი“

აფხაზეთის ომს არაერთი მხატვრული თუ დოკუმენტური წანარმოები მიეძღვნა. მათი ნაწილი უშუალოდ ომის დამთავრების შემდეგ იწერებოდა, გასული საუკუნის 90-იან წლებში; ცხელი ამბები, ცხელი ემოციით. ავტორები თითქოს ჩქარობდნენ, არ უნდოდათ უმცირესი ფაქტი თუ მოვლენა გამორჩენოდათ, ისეთები, რომლებიც გვონია, რომ წარუშლელად აღიბეჭდება, მაგრამ დროთა განმავლობაში ფერმკრთალდება.

არის ტექსტები, რომლებიც მოგვიანებით, 2000-იან წლებში შეიქმნა, ჩვენი ქვეყნისთვის ამ უმნიშვნელოვანესი ტრაგიული მოვლენის განსჯისა და გააზრების შემდეგ.

ყველაზე თვალშისაცემი, რაც ყველა მათგანს აერთიანებს, არის ავტორთა შეგნებული არჩევანი, არ წერონ მხოლოდ ომზე, გამოიხმონ და გააცოცხლონ აფხაზეთში გატარებული ბავშვობისა და ახალგაზრდობის საუკეთესო მოგონებები, დახატონ აფხაზეთის მკვიდრთა ადამიანური ვნებები და ურთიერთობები, მათი ყოველდღიური ყოფა და აუცილებლად აჩვენონ, რომ არ არსებობდა ბარიერი ეროვნებათა შორის.

სოხუმელი თუ თბილისელი უფროსი და ახალგაზრდა თაობის მნერლების – ნუგზარ შატაიძის, გურამ ოდიშარიას, გელა ჩქანავას, ბექა ქურხულის, ომის ტექსტები ბევრი წაგვიკითხვას, ერთი აფხაზი ავტორისაც ითარგმნა – დაურ ნაჭყებიას რომანი, ფრონტის მეორე წაპირიდან დანახული ომი.

„დამარხული ვაზი“ აფხაზეთის ომის შესახებ დაწერილი უახლესი (2019) ტექსტია, ორი სრულიად განსხვავებული ავტორის უცნაური კოლაბორაციის შედეგად შექმნილი. არტურ იურკევიჩი ლატვიელი ახალბედა მწერალი და სტაუიანი უურნალისტია. მალხაზ ჯაჯანიძე – აფხაზეთში დაბადებული და გაზრდილი ბიჭი,

რომელსაც 16 წლის ასაკში, მეგობრებთან ერთად მოუხდა ხელში იარაღის აღება, სიცოცხლისა და ლირსების შესანარჩუნებლად. ეს წიგნი პირველ პირში მოთხოვნილი მისი თავგადასავალია. აფტორებს როლებიც გადანაწილებული აქვთ: პირველი მწერალია, მეორე – მთხოვნელი. მალხაზ ჯაჯანიძის სიტყვებით, მას ყოველთვის სურდა თავისი ომის ისტორია დაეწერა, „აპოლიტიკური, ობიექტური და მიუკერძოებელი.“ სწორედ ამ ამოცანის აღსრულებაში დაეხმარა მას ლატვიელი მეგობარი, რომელიც სულ სხვა მიზეზით, საქართველოში პირველად 2009 წელს მოხვდა, აფხაზეთში კი მალხაზის გაცნობისა და მისი თავგადასავლის მოსმენის შემდეგ, მისი ბავშვობის ადგილების, გადამწვარი სახლის, იქ დარჩენილი ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების, შემდგომში წიგნის პერსონაჟებად ქცეული რეალური ადამიანების სანახავად და მალხაზის ამბის მათეული ვერსიების მოსასმენად ჩავიდა. მალხაზ ჯაჯანიძე ამბის მთავრი პერსონაჟია, არტურ იურკევიჩი კი მწერალი, რომელმაც ამ მძიმე ემოციურ მასალას უპოვა შესატყვისი ფორმა, კომპოზიცია და მკითხველამდე უდანაკარგოდ მოიტანა.

რაკი, საბოლოოდ, წიგნი არა ორიგინალური, არამედ თარგმნილი ტექსტია, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ქართველი მწერლის მიხო მოსულიშვილის ლვანლიც, რომელმაც ის რუსულიდან თარგმნა, ქართველი ბიჭის თავს გადახდენილ ამბებს ეროვნული კოლორიტიც შეუნურჩუნა და ენობრივად ასახა დისტანციების ის ხარისხიც, უცხოელი ავტორის თხრობაში რომ გამოსჭვივის.

უარიბრივად წიგნი მხატვრულ-დოკუმენტური რომანია. თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა ახლებურად გაიაზრებს დოკუმენტურ პროზას, ტრადიციული მემუარისტიკა შეიცვალა და სხვა მნიშვნელოვანი განზომილება შეიძინა. მოთხოვნილია დოკუმენტური ამბები რეალურ ადამიანებზე, ადგილებსა და მოვლენებზე; ყველაფერი არსებობდა, ყველაფერი ამბის რეალურ გმირთან და წიგნის თანაავტორთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ეს მაინც ფიქციაა, მხატვრული ტექსტია.

მოვლენები, რომლებიც ამ წიგნშია აღწერილი, ომის პირველივე დღეებიდან იწყება და ერთი წლის განმავლობაში გრძელდება. სამნაწილიანი რომანის პირველ მონაკვეთში მოქმედება ერთ კონ-

კრეტულ ლოკაციაზე, გაგრასა და ბიჭვინთას შორის მდებარე პატარა დაბა ალახაძეში ვითარდება. ცხელი აგვისტოს ხვატში დროებით დედ-მამისა და და-ძმის გარეშე, მშობლიურ სახლში მარტო დარჩენილი მახო ომის პირისპირ აღმოჩნდება. ომისა, რომელიც არაფრით ჰგავს მის მიერ წიგნებში ამოკითხულ საბრძოლო ბატალიებსა და საგმირო-ჰეროიულ ამბებს. „ჰო, კარგი, დაიწყო. გავიგთ! ეს ხომ ომიც არაა, – ცარიელი სახელია... ის არაფრით ჰგავს თითოეული ბიჭის წარმოსახვაში არსებულ წარმოდგენებს: სადაა ტანკები? სადაა მტრის ავიაციის თავდასხმები და დაბომბილი სახლის ნანგრევები?... გაგრაში რომ ბათქაბუთქი ატყდა, აქედან ექვსიოდე კილომეტრზე, მერე უფრო საინტერესო გახდა.“ დაბაში კი არაფერი ხდებოდა, „როგორც ველური ცხოველი ნახტომის წინ, ისე გაირინდა ცხოვრება“.

რეალური ომი არა, მაგრამ მისგან გამონვეული სასიკვდილო საფრთხე ხელშესახები მხოლოდ მაშინ გახდა, როდესაც სახლში მიაკითხეს გასაძარცვად აფხაზმა და ჩეჩენმა ბოევიკებმა. ამ შეხვედრისთვის თითქოს წინასწარ მოემზადა კიდეც, სანადირო და პნევმატური იარალი, მამის ახლათახალ ჟიგულზე მოხსნილ საბურავებთან ერთად, გადამალა, სავარუდო შეკითხვებზე პასუხებიც წინასწარ მოიფიქრა, მაგრამ მაინც, სიკვდილის თვალებში ჩახედვა მოუწია. მათგან სასწაულებრივად თავდასხსნილმა, დაბის მეორე მხარეს, მეურნეობის სიმინდის ყანების გადაღმა მცხოვრები მამიდის სახლამდე მიაღწია. იქ, აფხაზების მორიგი რეიდი-სას, მეზობლის მომიჯნავე ნაკვეთში თავის შესაფარებლად გადამხტარი მახო თავის თანატოლსა და შორეულ ნაცნობს, ბათოს გადააწყდა, ისიც სახლების გასაჩხრეკად მოსულ აფხაზებს ემალებოდა, ბიძაშვილებთან, გოჩასა და გელასთან ერთად. მამიდის თანხმობით, სწორედ ამ ბიჭების ნახევრად აშენებული, მოუწყობელი სახლის მეორე სართულზე, ფარლალალა ოთახში მოუწია ამ ოთხეულს მთელი შემოღვომისა და ზამთრის გატარება. ომის დასრულების მოლოდინში, მეტისმეტად გაწელილი დროის საჩვენებლად, ალსანიშნავია ამბის დეტალიზაცია ყოფითი, საყოფაცხოვრებო სიტუაციების დონეზე, თინეიჯერების ყოველდღიური ურთიერთობები, ომით შეცვლილ რეალობაშიც კი უცვლელი ინტერესები. სწორედ ეს მეტისმეტი კონკრეტიზაცია აჩვენებს

ხაზგასმით, რომ ესაა ამბავი, რომელიც იმ დროს აფხაზეთში მცხოვრებ ათასობით ადამიანს გადახდა, ან შეიძლებოდა გადახ-დენოდა თავს. მთავარი გმირი, მახო, დაბაში არსებულ დავით გურამიშვილის სახელობის რუსულ სკოლაში სწავლობს. ქართვე-ლი კლასიკოსის გაელვება ტექსტში თავისთავად იწვევს გურა-მიშვილის პირადი თავგადასავლის გახსენებას „დავითიანიდან“, რომელიც ასევე გვაჩვენებს, რომ მსგავსი რამ შეიძლებოდა შემთხვეოდა ნებისმიერს, მე-18 საუკუნის საქართველოში. ბი-ჭობიდან კაცობაში ახლად ფეხშედგმული, ერთმანეთისგან განს-ხვავებული ტემპერამენტის, ხასიათის, ფიზიკური და ინტელექ-ტუალური მონაცემების ოთხი ახალგაზრდა ომშა ხაფანგში გამო-ამწყვდია. მათ თავდაპირველ ურყევ რწმენას, „ჩვენები გაგრაში გამაგრდნენ, სოხუმიდან მხარს დაუჭერენ, მალე გუდაუთაშიც იქნებიან და ერთ-ორ-კვირაში ყველაფერი მორჩება“, წყალი მა-თივე თანატოლმა, რუსლანმა (რუსიკა) გადაასხა, რომელმაც დე-ტალურად აუხნა, როგორ ცდებოდნენ და საბოლოოდ დაბეჭდა: „სანამ აფხაზებთან რუსები არიან, თქვენ არაფერი გამოგივათ“.

„კაცობრიობის მატიანებ იცის ქალაქის დაუფლებისათვის გა-მართული მრავალი ბატალია: ტროას ალყა; კონსტანტინოპოლის დაცემა, ბიზანტიის დაღუპვასა და ოსმალეთის იმპერიის აყვავე-ბას რომ ნიშნავდა; ქრისტიანების რევანში ვენის კედლებთან... სტალინგრადის ბრძოლა, ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი...“

ესენი იყო ბრძოლები, რომელთაც გრანდიოზული მასტები ბადებდა, ამ სისხლიან მორევში ძლივს გამოსარჩევ, უმნიშვნელო სუბიექტებს გმირებად აქცევდა...

გაგრის დაცემა არაა იმ სიაში, მნარე დიდების ბეჭდით რომაა გამაგრებული.

ჩემთვის აფხაზური არმიის ქალაქში შემოსვლა დაკავშირებუ-ლია ფრაზასთან: „ვაგზალზე ჩამდინალი მურმან ცაავა აგდია“.

„მურმანი, სოფლის საბჭოს თავმჯდომარე... პირველი კაცი... და თხრილში გდია...“, – მეშინოდა, ნარმოვიდგენდი იმას, მნოლიარეს ბინძურ გუბეში ჭუჭყიანი პიჯაკით, გვერდზე გადმოგდებული ენით და ცილისფერი სახით, რომელსაც ყნოსავენ მანანნალა ძალლები და კბილებს აკრაჭუნებენ... ეს სურათი ტელევიზორში ნებისმიერ

განცხადებაზე უფრო დამაჯერებელი იყო: გამოუსწორებელი რამ მოხდა.“

გაგრის დაცემის შემდეგ დაიწყო ოთხეულმა აფხაზეთიდან თავის დაღწევის გეგმების შედგენა, რადგან დარჩენა მეტისმეტად სახიფათო იყო, მით უფრო მათი ასაკის ქართველი ბიჭებისათვის, რომლებსაც გამარჯვებულები მტრის პოტენციურ მეტრძოლებად აღიქვამდნენ. რომანის მეორე ნაწილში აღწერილია სახლი-დან უფრო მოშორებულ და საიმედო სამალავში გადასვლა, გასამგზავრებლად მზადება და ხიფათითა და ფათერაკებით აღსავსე გრძელი გზა. სულ რაღაც 50 კილომეტრის გავლას ფსოუს საზღვრამდე, რომლის ფეხით დალაშქვრასაც ჩვეულებრივ ვითარებაში 2-3 დღე ეყოფოდა, მთელი თვე მოუნდნენ. ამ ხნის განმავლობაში „ბიჭებმა ისნავლეს მოკევლა“, იშოვეს პირველი ნამდვილი იარაღი, გზად გადაეყარნენ მოხუც აფხაზს, რომელმაც აუხსნა, რა არის ის მთავარი, რაც ადამიანს ადამიანად აქცევს და ყველა ეროვნებას ერთი აქვს, უბრალოდ ინსტრუმენტებია სხვადასხვა. აფხაზებისთვის ეს „აფსუარაა“, ზეობის დაუწერელი კოდექსი, იდეალური აფხაზის სახესთან რომაა დაკავშირებული. „აფხაზი ცოცხალია, სანამ მასში „აფსუარა“ „ცოცხლობს“, მისი მეორე სახელი კი სინდისია. იმ მოხუცისთვის მნიშვნელობა არა აქვს, მის სოფელს, რომელიც ფსოუმდე სულ ბოლო დასახლებული ადგილია აფხაზეთის ტერიტორიაზე, ძველებურად ვაშლოვანი ერქმევა თუ მპაადრიპსტა, როგორც გამარჯვების შემდეგ, როცა „ისტორიული სამართლიანობა აღადგინეს“, მთავარია, ის შეინარჩუნონ, რაც ქართველს აქცევს ქართველად და აფხაზს – აფხაზად, ანუ სინდისი. მათდა გასაკვირად, მოხუცი გამოთხოვებისას მშვიდობიან გზას ქართულად უსურვებს, რითაც გაოცებულ ბიჭებს გააგებინეს, რომ იცის, ვინც არიან.

ამ გზის თითქმის დასასრულს ყველაზე დიდი ტკივილი მეგობრის დაღუპვა გახდა. იმ ოთხს შორის ბუნებით ყველაზე მხიარული, ავანტიურისათვის ყოველთვის მზადმყოფი, თუმცა არა მავნე და სხვებზე ნაკლებად გონიერი, მახოს ხუმრობების მუდმივი ობიექტი – ბათო, თავისივე ხელით აფეთქებულ „ლიმონეას“ შეენირა, დაიღუპა დანარჩენი სამეულის გადასარჩენად, იმისთვის,

რათა მდინარე ფსოუს მეორე ნაპირზე გასულები, თითქმის მიღწეულ მიზანთან არ დაეხოცათ საზღვარზე მყოფ აფხაზებს.

შეკობრის სიკვდილმა ძალიან დამთრგუნველად იმოქმედა, რადგან, მართალია მათ უკვე მოასწრეს, შეჩვეოდნენ სხვების სიკვდილის ხილვას, მოკვლასაც კი, მაგრამ ჯერ კიდევ არ შეეძლოთ ახლობლის დაკარგვასთან შეგუება.

ამ გზაზე დახვედრილი ბოლო სიკეთე მახოს სოჭიდან ბათუმისკენ მომავალ თბომავალზე ელოდება, ხმაურიანი დიდი ქართული ოჯახის სახით. აფხაზეთის სანაპირო წყლებში ბოევიკებს რეიდზე აპყავთ ყველა მცურავი სამუალება, ამონმებენ მგზავრებს, მათ შორის ქართველი მებრძოლების აღმოსაჩენად. რომ არა იმ ოჯახის დედა, რომელმაც საკუთარი გარდაცვლილი უფროსი ვაჟის, დაახლოებით მახოს ტოლი ხუფას დაბადების მოწმობა აჩვენა მათ, სამშვიდობოზე გასული, ხელახლა აღმოჩნდებოდა სახიფათო ზონაში.

საინტერესოა წიგნის სათაური „დამარხული ვაზი“, რომელიც ასეა ახსნილი: უკვე თბილისისკენ, სამშვიდობოს ბათუმი-თბილისის მატარებელში მჯდომ მახოს თანამეზავრი მეომარი უამბობს: „სულ დავივიწყეთ ჩვენი ჩვეულებები... დაღუპული თანამებრძოლის დედამ მითხრა, თუკი სხეული არაა, მიცვალებულის ნივთებს მარხავენ, თუ სულ არაფერი დარჩა, – მაშინ ვაზის ტოტს“ (გიორგი ლეონიძის ლექსში „მეცამეტე საუკუნე“ ქვეყნის აოხრების საჩვენებლად გამოყენებულია ფრაზა: ვენახი-სამარე; რეზო ჩხეიძის იდეოლოგიურ ფილმში „ჯარისკაცის მამა“ – ომის სისასტიკის ყველაზე შთამბეჭდავი სურათი ტანკით გასრესილი ვენახისითა და ამ სანახაობით აღშფოთებული ქართველი გლეხის მეტაფორითაა გადმოცემული). მოგვიანებით მახო ქალაქ რუსთავში, იალღუჯის მთაზე ადის და რქანითელისა და ალადასტურის ლერწებს მარხავს ომში შეძენილი და დაღუპული მეგობრის, ბათოს პატივსაცემად, რომლის უსიცოცხლო სხეული მდინარე ფსოუს ტალღებში ჩაიკარგა.

წიგნის მესამე ნაწილში მოქმედება 90-იანი წლების ნაომარ, დამარცხებულ, გაღატაკებულ და უიმედობის მორევში ჩაძირულ საქართველოში, ქალაქ რუსთავში ვითარდება, სადაც მახო ოჯახთან ერთად ცხოვრობს. ყოველგვარ თანაგრძნობას მოკლებულ,

დაუზოგავ, უსამართლო დამოკიდებულებას თანატოლთა სამყაროსა თუ მაშინდელი მილიციის მხრიდან გმირი ახალ სახითათო თავგადასავლებმი შეჰქავს და ერთხელ კიდევ ახსენებს, რომ მოძალადეებს ეროვნება არა აქვთ.

თანაავტორი და მთავარი პერსონაჟი, მაღაზაზ ჯაჯანიძე ამ წიგნს უფროს ძმას, თენგიზს, უძღვნის, რომელიც საერთოდ არ ჩანს თითქმის ხუთასვერდიანი მოქმედების განმავლობაში; ფილმად რომ გადაიღო, ალბათ, მსახიობიც არ დაგჭირდება, მაგრამ მისი არსებობა პირველივე გვერდებიდან იგრძნობა. წიგნის ბოლო ფურცლიდან ვიგებთ, რომ აფხაზეთიდან ომის დაწყებამდე გამოსული, ორ უმაღლეს სასწავლებელში ერთდროულად ჩარიცხული (თბილისა და ლენინგრადში) და იქ დარჩენილი უმცროსი ძმის წამოსაყანად აფხაზეთში შებრუნებული, ბრძოლით მიიკვლევს გზას, მერე კი იმისთვის რჩება, რომ არ შეუძლია ამხანაგებს უდალატოს. საბოლოოს კი ბრძოლაში იღუბება.

„დამარხული ვაზი“ მისი ორივე ავტორისათვის სამწერლო დებიუტია.

ქართულ ენაზე გამოქვეყნების პარალელურად, რომანი უკრაინაშიც გამოიცა. მათთვის, ვინც 2014 წელს თავადაც გადაიტანეს რუსეთთან საომარი დაპირისპირება, წიგნში მოთხოვნილი ამბავი განსაკუთრებით ახლობელი აღმოჩნდა.

ქართველი მკითხველისათვის კი, რომელსაც რომანში მოთხოვნილი ამბები აღელვებს და კარგა ხნის განცდილ, ღრმად დამარხულ ტკივილს უახლებს, მოულოდნელობა აღმოჩნდა, რომ აფხაზეთზე დაწერილი ასეთი შთამბეჭდავი წიგნის ავტორი ქართველი ან აფხაზი კი არა, ლატვიელია. საქართველოში გამართულ ერთ-ერთ პრეზენტაციაზე თანაავტორებმა ეს ამბავი ასე ახსნეს:

მაღაზ ჯაჯანიძე: დამოუკიდებლად დაწერის შემთხვევაში, ჩემთვის სირთულე იყო ამ ყველაფერზე ზედმეტი ემოციის გარეშე, განხონასწორებული თხრობა, თანაც ისე, რომ რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოებული არ გამოვჩენილიყავი.

არტურ იურკევიჩი: ჩემი მიზანი იყო, ვყოფილიყავი ობიექტური და მეჩვენებინა მაღაზის ისტორია, რომელიც ძალიან ჰგავს აფხაზეთიდან დევნილი ხალხის საერთო წარსულსა და გამოცდილებას. ის ადამიანები, რომლებსაც ვხვდებოდი, მზად იყვნენ,

ამ გამოცდილების ყველაზე პირადი და ინტიმური დეტალები გაეზიარებინათ ჩემთვის. მათ უმრავლესობას დღემდე არა აქვს ბედნიერო ცხოვრება ამ ქვეყანაში და ვფიქრობ, ჩემი საშუალებით მათ სურდათ გაევრცელებინათ მნიშვნელოვანი გზავნილი იმის შესახებ, თუ რამხელა ტრაგედიაა ომი და მომავალში ყველამ ერთად უნდა შევძლოთ მისი თავიდან არიდება.

P.S. რამდენიმე წლის წინ, საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებით, ქართველმა და აფხაზმა უურნალისტებმა დოკუმენტური ფილმები მოამზადეს იმაზე, თუ როგორ ცხოვრობდნენ ომგამოვლილი ადამიანები ენგურის გაღმა-გამოღმა მხარეს. ქართველი უურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუებში ახალგაზრდა და შუა თაობის აფხაზები ყვებოდნენ, თუ რა უსამართლოდ ექცეოდნენ მათ ქართული წარმოშობის საბჭოთა ბელადები. ლავრენტი ბერია მათი მშობლების თაობას აიძულებდა ქართულ სკოლებში ესწავლათ, აკარგვინებდა იდენტობას. ახლაც კი, ერთად შეკრებილები, თავისიდაუნებურად ქართულად მეტყველებენ, ჩვენ კი სიცილით ვახსენებთ, რომ ახლა ჩვენი ქვეყანა გვაქვსო. ქართველი ლტოლვილების ჩასაწერად ჩამოსული აფხაზი უურნალისტები კი დაუინებით ეკითხებოდნენ სხვადასხვა ქალაქებში, სახელმწიფო დაწესებულებების შენობებში ჩასახლებულ აფხაზეთიდან გამოდევნილ ადამიანებს, საქართველოს რომელი კუთხიდან იყვნენ წარმოშობით, სამეგრელოდან, ლეჩხუმიდან, რაჭიდან თუ იმერეთიდა... როგორ მოხვდნენ აფხაზეთში, იქაურმა სამოთხემ მიიზიდათ და თავად გადასახლდნენ, თუ რომელიმე ქართველი მმართველის მიერ მოწყობილი დიდი გადასახლების ნანილნი იყვნენ. საბოლოოდ, ისე გამოდიოდა, რომ მათი იქედან წარმოსვლა ისტორიული სამართლიანობის აღდგენა, აფხაზებისთვის მათ ავთენტური ტერიტორიის გათავისუფლება იყო.

„დამარხული ვაზის“ კითხვისას ამ წარატივმა კვლავ გაიელვა. მთავარი გმირის მშობლები, მამიდა-ბიძები სამეგრელოდან და იმერეთიდან ჩასული ადამიანები აღმოჩნდნენ. ამან მე-20 საუკუნის ცხრაასიანი წლების ქართულ და რუსულ პრესაში გახმაურებული ერთი ამბავი გამახსენა. იმ ამბავმა მაშინ, იმპერიულ ეპოქაშიც, არა მარტო ქართველი და რუსი უურნალისტები, არამედ

რუსეთის დუმის დეპუტატებიც კი ქართველების მხარეს დააყენა. ხელისუფლებამ, სოხუმთან ახლოს მდებარე, დაუსახლებელ, ჭაობიან, ყველასაგან დაწუნებულ მინაზე, სოფელ პარნაუთში ქართველები ჩასახლა. 70 წლის მანძილზე მათ იქაურობა ააყვავეს და ნამდვილ ოაზისად აქციეს. იმპერიის მმართველებმა ამის შემდეგ მათ იქიდან გამოყრა და იქ რუსი გლეხების ჩასახელება დაპირეს...

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწყობილ შეხვედრებზეც ჩვენ ყველაზე ნაკლებს ვლაპარაკობთ იმაზე, რომ აფხაზეთი აფხაზთა და ქართველთა საერთო სახლია ათეულობით საუკუნის განმავლობაში, რომ იქაური მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრები ჩვენი ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი და იდენტობის ერთ-ერთი ნიშანია.

თუმცა, იქნებ, ამ წიგნთან დაკავშირებით ეს შენიშვნა არც იყოს რელევანტური, რადგან მისი ავტორების სურვილი იყო, შეექმნათ აპოლიტიკური წიგნი ძმათამკვლელ ომზე, ეჩენებინათ კერძო ადამიანური ტრაგედიები, და, რამდენადაც შესაძლებელი იყო, გამოუვიდათ კიდევ...

XX საუკუნის ლიტერატურული აზროვნების ისტორიიდან

აკაკი ბაქრაძე

დავინწყებული იდეა*

როცა „ქართლის ცხოვრებას“ კითხულობთ, არ შეიძლება მაშინვე თვალში არ გეცეთ ერთი გარემოება: ძირეულად განსხვავებულია თამარის ისტორიკოსებისა და უამთააღმწერლის თხრობის განწყობილება. შეიძლება მკითხველმა მითხრას კიდეც – რა არის საკვირველი? თამარის ისტორიკოსები გვიამბობენ გამარჯვებული საქართველოს თავგადასავალს, უამთააღმწერლი კი ჩვენი ქვეყნის დამარცხებას იგლოვსო. ცხადია, ეს მართალია, მაგრამ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ამგვარი ვითარებით გამოწვეულ სხვაობას არ ვგულისხმობ, ვგულისხმობ საქართველოს ისტორიული მისის გაგების დავინწყებას, თუ საერთოდ დაკარგვას.

ვატყობ, რაც ახლა ვთქვი, მთლად მკაფიო არ უნდა იყოს. ამიტომ უფრო დაწვრილებით ჩამოვაყალიბებ ჩემს აზრს.

ვისაც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ დაკვირვებით წაუკითხავს, იგი უთუოდ მიაქცევდა ყურადღებას მემატიანის თუნდაც ორ ფრაზას.

პირველი: „აქა კულა სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ, მისწორებული და აღმატებული“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. II. 1959 წ., გვ. 25). როგორც ხედავთ, თამარი გამოცხადებულია ქრისტიანული სამების – მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი, სული წმიდა – მეოთხე წევრად.

მეორე: „მიუდგა თამარი განწმედილითა გონებითა და ტაძრისა ღმერთისა აღმსჭუალულისა სანთლითა სხეულისათა, მხურვალითა გულითა და განათლებულითა სულითა ტაბახმელისა

* იბეჭდება წიგნიდან: ბაქრაძე ა. თხზულებანი, ტ. II, თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“, 2004, გვ. 327-345.

ბეთლემ-მყოფელმან მუნ შვა ძე, სწორი ძისა ღმრთისა...“ (იქვე, გვ. 56). აქ კი თამარი გათანაბრებულია ღმრთისმშობელთან, ლაშა-გიორგი კი – იესო ქრისტესთან...

ორთოდოქსული ქრისტიანული შეხედულებით, მემატიანის როგორც პირველი, ისე მეორე განცხადება უსაშველო მკრეხელობაა, მაგრამ რატომდაც „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორს ამისი არ ეშინია. გაბედულად და აშკარად ამბობს იმას, რაც, წესის თანახმად, მართლმორწმუნე ქრისტიანმა ფიქრადაც არ უნდა გაივლოს. რა თქმა უნდა, უამთააღმწერელთან ამგვარ მკრეხელობას ვერ შეხვდებით. იმას კი ნახავთ, თამარის ისტორიკოსის მიერ იესო ქრისტესთან მისწორებული ლაშა-გიორგი რა სიტყვებით არის დამცირებული და დაკინიბული – თავხედი, თვითბუნება, სახიობისმოყვარე, ღვინისმოყვარე, გემოთმოყვარე. ამას მოჰყვა ის, რასაც „წინასწარმეტყუელიცა იტყვის: ჭამა იაკობ, განძლა, განსხვა, განსუქნა. და დაუტევა ღმერთი შემოქმედი თვისი, და განუდგა ღმერთსა მაცხოვარსა თვისისა. ეგრეთვე იქმნა ნათესავსაცა ამას შინა ქართველთასა, რამეთუ განძლეს და იშუებდეს და უწესოებად მიღდრება სიძვათა შინა და მთვრალობათა უგუნურნი კაცნი, მეფის კარსა ზედა არა-ყოფნისა ღირსი და ან კარსა ზედა მყოფნი“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. II. 1959 წ., გვ. 156-157).

კარგად რომ გავიგოთ, საქართველოს ისტორიული მისიისადმი დამოკიდებულების ამგვარი შეცვლა რას მოასწავებს, ჯერ ვნახოთ, რას ნიშნავს თამარის ისტორიკოსის სიტყვები და მერე იმას მივაქციოთ ყურადღება, რითი ცვლის, რა იდეით უამთააღმწერელი „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორის აზრს.

თამარის სამების მეოთხე წევრად გამოცხადება და ჩვილი ლაშა-გიორგის იესო ქრისტესთან მისწორება ნაწილია ქართული მესიანისტური იდეისა.

ყოველ ერში არსებობს მესიანისტური იდეა. იგი აქვთ გერმანელებს, რუსებს, სომხებს, პოლონელებს და სხვებს. ეს იდეა ერის თვითგამტკიცებას, თვითორწმენას, ძლიერებას უწყობს ხელს. ამა თუ იმ ისტორიულ ვითარებაში ეროვნული იმედის საფუძველია და ებრძვის ეროვნულ სასოწარკვეთილებას. ბუნებრივია, რომ მესიანისტური იდეა ქართველმა მოაზროვნებმაც გამოიმუშავეს და ჩამოაყალიბეს.

შეიძლება აუცილებელი არ იყოს ქართული მესიანისტური იდეის სხვა ხალხების მესიანისტურ იდეასთან შედარება, მაგრამ სომხურ მესიანისტურ იდეას კი უთუოდ უნდა შევუპირისპირო: ეს ნათლად დაგვანახვებს, როგორ იბრძვიან ქართველები და სომხები ეროვნული თავისთავადობის შესანარჩუნებლად.

სომხური მესიანისტური იდეა ეფუძნება წარლვნის მითს, როგორც კარგად ცნობილია, დაბადების წიგნის თანახმად, წარლვნის შემდეგ ნოეს კიდობანი არარატის მთაზე გაჩერდა. აქ გამოვიდა გარეთ ნოე და მისი სახლობა. აქედან დაიწყო კაცობრიობის ხელმეორე აღორძინება. ძველ სომხურ მწერლობას მიაჩნია, რომ ბიბლიის არარატი სომხეთის არარატია. წარლვნის შემდეგ ნოემ მთელი ცხოვრება (ბიბლიის მიხედვით კი მან 350 წელინადი იცოცხლა) სომხეთში გაატარა, იცოდა სომხური ენაც და დასაფლავებულიც ნახჭევანშია. მაშასადამე, სომხური მწერლობის აზრით, სომხეთი კაცობრიობის რეგენერაციის აკვანია. ქრისტიან ხალხებში ბიბლიის ავტორიტეტი საფუძველს აძლევდა ზოგიერთ სომებ მემატიანეს, ემტკიცებინა: ყველა ხალხი სომხებისაგან წარმოიშვა და ყველა ენის მშობელი სომხურიაო. ნურავინ მიიჩნევს ამას უბრალო მიამიტობად. ეს იდეა მძიმე ისტორიული კატაკლიზმების ეპოქაში ეხმარებოდა სომებ ხალხს, იმედით ასაზრდოვებდა მის სიმტკიცეს, მხნეობასა და ვაჟკაცობას. სხვათა შორის, სომხური მესიანისტური იდეის გავლენა იმდენად დიდი ყოფილა, რომ რუსეთშიც არარატის მთებიდან, ე.ი. სომხეთიდან, მოელოდნენ მესიას (მხსნელს). ასე ფიქრობდნენ მანამ, სანამ 1701 წელს სომებ მოღვაწეს ისრაელ ორის წერილი არ გაუგზავნია პეტრე პირველისათვის და არ უცნობებია – მოსკოვიდან მოევლინებაო ქვეყნიერებას მესია (იხ. ალ. აბდალაძის „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა“, 1982 წ., გვ. 101, 102, 107, 108, 144, 145).

უპირველესად მესიანისტური იდეა სომხეთს სჭირდებოდა ბიზანტიის მესიანისტური იდეის წინააღმდეგ, მასთან საბრძოლველად.

ასევე სჭირდებოდა მესიანისტური იდეა ქართველ ერსაც: ერთი მხრივ, ბიზანტიის პოლიტიკური და რელიგიური აგრესიისაგან თავდასაცავად და, მეორე მხრივ, სომხური ეკლესიის იდეოლო-

გიური პრეტენზიის შესაკავებლად. სჭირდებოდა, აგრეთვე კავკა-სიაში საქართველოს ჰეგემონობის გასამტკიცებლად.

რა ნიშნები აქვს ქართულ მესიანისტურ იდეას?

პირველი: ცნობილი ჰიმნით – „ქებად და დიდებად ქართულისა ენისაა“ – ქართული ენა გამოცხადებულია ქრისტეს ენად. მეორედ მოსვლის უამს უფალი ამ ენით დაელაპარაკება კაცობრიობას. ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, როცა ძველ ქართულ მწერ-ლობაში ქართული ენა განსაკუთრებულად არის წარმოდგენილი. „შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ, როცა 13 ასურელი მამა საქართველოს საზღვარს მოადგა, კათალიკოს ევლავიოს დამით უფლის ანგელოსი ეჩვენა და უთხრა: ღვთის მონა იოანე მონაფეხბითურთ მოდის, შეეგებ და შეიწყნარეო. კათალიკოსი ევლავიოსი ასურელ მამებს შეეგება. იოანეს ქედზე მოეხვია და კეთილად მობრძანება უსურვა. სტუმარი მასპინძლის ფერხთით დაეცა და ღმერთს მადლობა შესწირა, კათალიკოსის თაყვანისცემის ღირსი რომ გახდა. იოანესა და ევლავიოს შორის საუბარი ქართულად მიმდინარეობდა. ამის გამო „ცხოვრების“ ავტორი გაკვირვებული ამბობს: „ვითარ მოეცა იოანეს ენა ქართულად მეტყველი ყოვლად დაუბრკოლებელი?“ პასუხს ასე იძლევა: „ეჭა, საკვირველებასა შენსა, ქრისტე ღმერთო, ვითარ ადიდებ მადიდებელთა შენთა“.

როგორც ხედავთ, ქრისტეს შთაგონებით, ქართულად ამეტყველდა კაცი, რომელსაც ქართული „არცა ოდეს ასმიოდა, არ თუ ესწავა“.

ასევე ღვთის შთაგონებით ალაპარაკდა ქართულად ექვთიმეც. მართალია, იგი ქართველი იყო, მაგრამ გადავიწყებული ჰქონდა მშობლიური ენა. უჭირდა ქართულად საუბარი („იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“). ერთხელ ექვთიმე მძიმედ იყო ავად. ავად-მყოფს ღვთისმშობელი ეჩვენა და ჰკითხა: რა გტკივა, ექვთიმე? სწორები უპასუხა: ვკვდები, დედოფალო. ღვთისმშობელმა ანუ-გეშა იგი: „არარად არს, ვნებად შენ თანა, აღდეგ. ნუ გეშინ და ქართულად ხსნილად უბნობდი“. ამ სიტყვების მერე ექვთიმე არა მარტო სრულიად განიკურნა, არამედ დიდებული ქართულითაც ამეტყველდა: „მიერითგან დაუყენებლად, ვითარცა წყარომ ალ-მოდინ უნმინდეს ყოველთა ქართველთასა“.

ასე მჭიდროდ უკავშირდება, ჩვენი მწერლობის აზრით, ქართული ენა და იესო ქრისტე ერთმანეთს.

მეორე: ქრისტეს კვართი საქართველოში, მცხეთაშია დასაფლავებული. დაკრძალვის ადგილს აგებულა სვეტიცხოველი. მატიანე გვიამბობს, რომ ორი კაცი, ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი, საქართველოდან იერუსალიმში გაემგზავრა. ისინი მაშინ ჩავიდნენ იერუსალიმში, როცა იქ იესო ქრისტე ჯვარს აცვეს. უფლის კვართი, თურმე, მცხეთელ მოქალაქებს ხვდათ წილად. „ხოლო კვართი იგი უფლისა წილით ხუდა მცხეთელთა: წარმოიღო ელიოზ და მოიღო მცხეთას“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. I. 1955 წ., გვ. 98-99).

მესამე: საქართველო ღმრთისმშობლის წილზედრი ქვეყანაა.

მეოთხე: ბაგრატიონთა სამეფო დინასტია არის იესიან-დავითიან-სოლომონიანი. მოგეხსენებათ, ქართველ მეფეთა ბრძანება-განკარგულებანი, წესისამებრ, იწყება ასე: „ჩვენ იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატიონმან მეფეთ მეფემან...“ ამრიგად, ქართველი ბაგრატიონები ებრაელ მეფეთა შთამომავლად თვლიდნენ თავს. რატომ? იმიტომ, რომ იესეც, ძეც მისი დავით, სოლომონიც ძე დავითისი სახარებაში მოხსენიებული არიან ქრისტეს წინაპართა შორის. მაშასადამე, ქართველი ბაგრატიონები და ქრისტე ნათესავები არიან. ეს კი ქართული სამეფო დინასტიის განსაკუთრებულობას მოწმობდა.

ამასთან ერთად, გარკვეულ პერიოდში ქართველი მეფეები „მესიის მახვილად“ იწოდებიან. ისინი დამცველიც არიან და გამავრცელებელიც ქრისტეს მოძღვრებისა.

ქართულ მესიანისტურ იდეას აყალიბებს ქართული საეკლესიო მწერლობა. მისი აზრი მკაფიოა: თუკი საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანაა, ქართული ენა ქრისტეს ენაა, რომლითაც უნდა ელაპარაკოს უფალი კაცობრიობას მეორედ მოსვლის ჟამს, ბაგრატიონები კი ქრისტეს ნათესავები არიან, ცხადია, ქართველი ხალხი საგანგებო, განსაკუთრებული მისიის მატარებელია. იგი მოვალეა, ეს მისია აღასრულოს. ქართული ეკლესია ისტორიის ასპარეზზე ამ იდეით წარმართავს და ამოქმედებს ქართველ ხალხს.

იბრძოდნენ თუ არა ქართული სამეფო კარი და ქართველი პოლიტიკოსები ამ იდეის პრაქტიკული განხორციელებისათვის? თუ აზრი მხოლოდ აზრად დარჩია და ამით დამთავრდა ყველაფერი? რა თქმა უნდა, იბრძოდნენ. ქართული მატიანე, ქართული მწერლობა ამას გვიდასტურებს.

ჯერ ერთი, როცა დადგა წუთი განესაზღვრათ, რას ეწოდებოდა საქართველო, იგი ქართული ენის საფუძველზე განმარტეს. „ქართლად ფრიადი ქუყანა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების, ხოლო კუირიელებისონი ბრძულად ითქმის, რომელ არს ქართულად: „უფალო წყალობა ყავ“, გინა თუ „უფალო შეგუინყალენ“ (გიორგი მერჩულე – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“). ამ ფორმულაში ისიც მკაფიოა, რას ეწოდება საქართველო და ისიც, რომ ქართული სამყარო ბერძნულ სამყაროსთან დაკავშირებულია მტკიცედ, რაკი „კუირიელებისონ“ ბერძნულად ითქმის.

მეორეც, ყალიბდება ტერმინი „საქართველო“. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში წააწყდებით ჩივილს, რომ ცნება „საქართველო“ შედარებით გვიან გაჩნდა, მაშასადამე, ჩვენი ერთიანი ეროვნული ცნობიერებაც გვიან ჩამოყალიბდა. ეს ჩივილი უსაფუძვლოა. ცნება „საქართველო“ არ გულისხმობს ქართველთა ეროვნულ სახელმწიფოს, იგი მოიცავს იმას, რაც ქართველებს ეკუთვნით, რაც ქართველთა სამფლობელოა, მიუხედავად იმისა, ცხოვრობს თუ არა იქ ნათესავით (ანუ დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, ეროვნულად) ქართველი. მნერალი ამბობს: ყველგან ქართლია, სადაც წირვა-ლოცვა ქართულად მიმდინარეობს. ამ პერიოდში ქართულად წირვა-ლოცვა მარტო იქ არ ხდება, სადაც ქართველები ცხოვრობენ. ქართულ ეკლესიას უკვე გარღვეული აქვს ეთნიკური საზღვარი. იქაც საქმიანობს, სადაც არაქართველები ცხოვრობენ (სულერთია, რა მიმართულებით იქნება ეს – აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით თუ სამხრეთით). აი, ამ გაფართოებულ, ეთნიკურსაზღვრებგადალახულ ქვეყანას, სადაც ქართულმა ეკლესიამ ქართული წირვა-ლოცვა დაამკვიდრა, ეწოდება საქართველო. ამიტომ „საქართველო“ მარტო ქართული ეროვნული სახელმწიფოს სახელი კი არ არის, არამედ

ყველაფერი იმისა, რასაც უკვე ქართველები ფლობენ, ან მომავალში დაეპატრონებიან.

ამ შემთხვევაში „საქართველო“ რელიგიური ტერმინიც არის, რადგან ამ ეპოქაში ეროვნულობა და სარწმუნოება გაიგივებულია. „ქართველი“ მარტო ეროვნებით ქართველს არ ნიშნავს, არამედ ქართული ქრისტიანობის (ანუ დიოფიზიტობის) აღმსა-რებელსაც, ისევე, როგორც „სომეხი“ არ გამოხატავს მარტო ეროვნებით სომეხს, არამედ გრიგორიანული ქრისტიანობის (ანუ მონოფიზიტობის) მიმდევარსაც. ამდენად, „საქართველო“ ენო-დება ტერიტორიას, სადაც ცხოვრობენ ადამიანები, რომელთაც სწავლა დიოფიზიტური, ანუ ქართული, ქრისტიანობა.

ტერმინი „საქართველო“ მაშინ ჩნდება, როცა ქართველები იწყებენ ეროვნული ტერიტორიიდან გასვლას და სხვა მიწა-წყლის ათვისებას.

სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ქართული ქრისტიანობის გავრცელების მნიშვნელობას მოწმობს სომეხი მემატიანის კირაკოს განძაკელის ცნობაც. როცა საქართველოს სამეფოს მესვეურებმა ტებილი სიტყვით და დაშაქრული ენით ვერ მოახერხეს სომეხთა ცდუნება და მათი ქართულად მოქცევა, ლაშა-გიორგიმ და ივანე მხარგრძელმა გადაწყვიტესო, – გვიამბობს კირაკოსი, – მათი ძალაუფლების ქვეშ მყოფი ყველა სომხის ქართულ რწმენაზე გადაყვანა, ხოლო იმათი ხმლით მოსპობა, ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა (რუსული თარგმანით: “Обратить в грузинскую веру всех армян, бывших под их властью, а сопротивляющихся истребить мечом”. იხ. “История монголов по армянским источникам”, вып. II, 1874 г. Стр.6-7).

კირაკოს განძაკელის ცნობა ტენდენციურიც რომ იყოს, მაინც ადასტურებს იმას, რომ ქართული ქრისტიანობის გასავრცელებლად არ ერიდებოდნენ დანაშაულსაც (ხალხის გაუუჟვასაც) კი.

მესამეც, არჩეული მიზნის განხორციელების გზაზე საქართველო მივა იქამდე, რომ ქართველი მეფის ტიტული იქნება: მეფე აბხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშა და შაპანშა. ამ ტიტულში უკვე გაერთიანებულია მთელი ამიერკავკასია. ცოტა უფრო მეტიც: შარვანშა გულისხმობს თითქმის დღევანდელ აზერბაიჯანის პატრონობას, ხოლო შაპანშა იმ სომ-

ხურ ტერიტორიას, რომელსაც მაჰმადიანები ფლობდნენ სამხრეთში (ცოტა ხანს თხრობა უნდა შევწყვიტო და მკითხველს გავახსენო, რომ 1918-21 წლებში საქართველოს ეროვნულ გერბზე. ნმ. გიორგისთან ერთად, გამოხატული იყო მზე, მთვარე, და ხუთი ვარსკვლავი. ლეონტი მროველის ცნობის შესაბამისად: წარმართი ქართველები „იქნესო მსახურ მზისა და მთვარისა და ვარსკულავთა ხუთთა...“ გერბზე შვიდი მნათობი რომ დაინახეს, სომები ისტორიკოსებს ეგონათ, საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ქართველ მეფეთა ტიტული გახსენა და მთელ ამიერკავკასიაზე აცხადებსო პრეტენზიას. ტიტულშიაც ხომ შვიდი სამთავროა მოხსენიებული. ამის გამო მათ პროტესტი განაცხადეს. არ გაითვალისწინეს, რომ იმ გერბზე გამოხატული მნათობი ლეონტი მროველის ცნობას იხსენებდნენ და არა ქართველ მეფეთა უკვე დავინწყებულ ტიტულს). მერე ამ ტიტულს დაემატება – ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმშეყრბელი. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ ქართული სახელმწიფო აზრი მიდის ორთავიანი არწივის იდეამდე. ბიზანტიის იმპერიის გერბი იმიტომ იყო თრთავიანი არწივი, რომ იგი (ბიზანტია) აცხადებდა პრეტენზიას როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მფლობელობაზე. ამავე იდეით და პრეტენზიით წამოიღებენ ბიზანტიიდან მოგვიანებით რუსებიც თრთავიან არწივს საკუთარ გერბად.

თეორიული აზრი და პრაქტიკული საქმიანობა გაერთიანდა. ფორმულაც ჩამოყალიბდა: ერთიანი კავკასია საქართველოს მეთაურობით. ამ იდეის თავკაცებად და პრაქტიკულ განმხორციელებლად ქართველ მემატიანებს მიაჩნიათ ვახტანგ გორგასალი და დავით აღმაშენებელი. ამიტომ ისინი ხდებიან ქართული პოლიტიკური აზრის სიმბოლოებად: ტახტი ვახტანგეთი, საყდარი დავითიანი, დროშა გორგასლიანი და დროშა დავითიანი. თუმცა, ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა ამ იდეისათვის გვეწოდებინა დავითიზმი, რადგან დავით აღმაშენებელის მეფობა და საქმიანობა ყველაზე უკეთ გამოხატავს მის არსეს.

ქართული პოლიტიკური იდეა რომ სრულად განხორციელდეს, აუცილებელია ბიზანტიის გავლენისაგან თავდალნევა, მართალია, ვახტანგ გორგასალი ანდერძად ტოვებს, – „სიყვარულსა ბერძენთასა ნუ დაუტევებთ“, – მაგრამ ქართველი მოღვაწეები

ნათლად და გარკვევით ხედავენ, რომ ბიზანტია თანდათან სუსტდება, კნინდება და უძლურდება. თუ საქართველოს საკუთარი ეროვნული ენერგიის გამოვლენა უნდოდა, იგი უნდა განთავისუფლებულიყო ბიზანტიის მეურვეობისაგან. ბიზანტიის უარყოფა აბეზარი მეურვის მოცილებასაც ნიშნავდა და უმოკავშიროდ დარჩენასაც. არადა, ჯერ მოკავშირე აუცილებელი იყო. ქრისტიანული ქვეყნისათვის ასეთი მოკავშირე მხოლოდ კათოლიკური დასავლეთი შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს არჩევანი მით უკეთესი იქნებოდა, თუ დადასტურდებოდა, რომ იქ მართლაც ქართველთა ნათესავი სახლობდა. და იოანე მთაწმიდელი დაპირებს ნიადაგის მოსინჯვას. განზრახვა ვერ განხორციელდა. იოანე არ გაუშვეს ესპანეთად. განშორების მწუხარებას ვერ გადავიტანთ, შეწუხებულან იმპერატორები ბასილი და კონსტანტინე („იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება“). პოლიტიკისათვის უცხო და შეუფერებელი მიამიტობა და გულჩვილობაა გამოვლენილი. თუმცა ორივე მხარემ კარგად იცის, რას აკეთებს და რატომ. გასხიპული დიპლომატიური თავაზიანობით მაღავენ გულის ფიქრს. საქართველო ევროპისაკენ გაპარვას ცდილობდა. ბიზანტია უკეტავდა კარს.

თუ მამავ იოანე მორიდებულ ნაბიჯს დგამს, გიორგი მთაწმიდელი აშკარად და დაუფარავად მოქმედებს. იგი იმპერატორ კონსტანტინე მეათე დუკას ეუბნება – ბერძნები მრავალგზის განდგომიან ქრისტიანობას, ხოლო ჩვენ, რაკიდა ერთხელ ვირწმუნეთ იგი, არასოდეს გვიღალატიაო („გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“). გიორგი ქართული ეკლესიის უპირატესობის ქადაგებით არ კმაყოფილდება. კათოლიციზმის უკეთესობასაც იქვე იღიარებს: „ხოლო პრომთა, ვინამთგან ერთგზის იცნეს ღმერთი, არღარა ოდეს მიდრეკილ არიან და არცა ოდეს წვალებად შემოსრულ არს მათ შორის“. როგორ, გიორგი მთაწმიდელმა არ იცოდა, რომ კათოლიკურ ეკლესიასაც ისევე ანამებდა ერესი, როგორც მართლმადიდებლობას? რა თქმა უნდა, იცოდა, მაგრამ ახლა, პოლიტიკურ-რელიგიური თვალსაზრისით, საქართველოსათვის ასეა საჭირო. აუცილებელია კათოლიკური ეკლესიის გულისმოგება და არც გიორგი იშურებს ქების სიტყვას. მართლაც, კმაყო-

ფილებით სავსე რომაელები მაშინვე შეპპირდნენ ქართველ ბერს – „ნარგიყვანთო წინაშე წმიდისა პაპადსა“.

ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც დიდმა მთანმი-დელებმა დაიწყეს, თამარის დროს დასრულდება. ამას მარტო ქართველთა გავლენის ქვეშ მყოფი ტრაპიზონის იმპერიის შექ-მნა კი არ მოწმობს, არამედ სხვა ფაქტებიც.

თუ თამარამდე ქართული სამოხელეო ტერმინები ქართულ-ბერძნული წარმომავლობის არის, თამარი ახალ მაღალ თანამ-დებობას ქმნის და მას თურქულ სახელს დაარქმევს – ათაბაგი. რატომ? თამარი „დასავლეთის და აღმოსავლეთისა თვითმეყრ-ბელია“ და ეს სამყარო ბუნებრივად უნდა შემოვიდეს ქართულ ცნობიერებაში.

თუ მეთერთმეტე საუკუნემდე არსებითად მხოლოდ ბერძნულ-ენოვანი სამყაროდან ითარგმნება წიგნები ქართულად, უცბათ (ყოველ შემთხვევაში დღეს არსებული მასალების მიხედვით) იწყე-ბა გაცხარებული ლიტერატურული საქმიანობა სპარსულენოვა-ნი მწერლობის სათარგმნელად (საბუთად თუნდაც „ვისრამიანი“ დავასახელოთ). ისიც, „ვეფხისტყაოსანში“ რომ აღმოსავლური სამყაროა დახატული, ჩემი ფიქრით, იმას გულისხმობს, რასაც აღმოსავლეთის შეცნობა-გაშინაურება შეიძლება ვუნდოთ. ქარ-თულმა ორთავიანმა არწივმა თანაბრად უნდა მოავლოს თვალი დასავლეთსა და აღმოსავლეთს. სხვანაირად ტიტული – „დასავ-ლეთისა და აღმოსავლეთის თვითმეყრობელი“ ცარიელი სიტყვა იქნება.

ქართული პოლიტიკა მარტო დასავლეთისა და აღმოსავლე-თისაკენ არ იყურება. რაკი ამიერკავკასია გაერთიანებულია, ქართულმა სახელმწიფომ კავკასიონის ჩრდილოეთითაც უნდა გა-დაიხედოს. ჩრდილოეთი არის ქვეყანა, რომელსაც ისეთივე პრე-ტენზია აქვს ბიზანტიის მემკვიდრეობისა, როგორიც საქართ-ველოს. თუ ბიზანტიის მემკვიდრეობის ორი მაძიებელი შეერთდე-ბა. მაშინ უთუოდ და უთუმცაოდ შეიქმნება უძლეველი ქრისტი-ანული სახელმწიფო. ქართველი პოლიტიკოსები გადასწყვეტენ თამარის ქმრად რუსი უფლისნული მოინვიონ. ქორწინება მოხდა, მაგრამ იური ბოგოლუბსკი, ანუ გიორგი რუსი, ის კაცი არ გამოდ-გა, ვისაც ქართული სამეფო კარი ეძებდა. მას უფრო მეტი სურვი-

ლი და ნდომა აღმოაჩნდა, ვიდრე მისთვის იყო გათვალისწინებული. გიორგი რუსი გააძევეს, მაგრამ ორიენტაცია არ შეცვლილა. მეორე ქმარიც ჩრდილოეთიდან მოიყვანეს. ამჯერად ქართველთა ნათესავი, ოსი უფლისნული დავით სოსლანი. ქართული ეკლესია ჩრდილოეთში უკვე ფეხმოდგმულია. თამარის და დავითის ქორწინებით ამიერ და იმიერ კავკასიის პოლიტიკურ შეერთებასაც ეყრება საფუძველი.

თავის ძეს თამარი თიკუნად „ლაშას“ უწოდებს. „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორი გვეუბნება – ლაშა, აფსართა ენითა, განმანათებლად სოფლისა ითარგმნებაო. ესეც პოლიტიკურ-რელიგიური აქტია: იმიერკავკასიის მოსახლეობის გულისმოსაგებად მომავალ ხელმნიფეს ორი სახელი ჰქვია – ქართველთა სადიდებელი წმიდანისა და იმიერკავკასიელთა წარმართული ღვთაების: ლაშა-გიორგი, ანუ ნათელი გიორგი, რაც თეთრი გიორგის ასოციაციას იწვევს.

ასე რომ, იდეა უკვე არსებითად საქმედ არის ქცეული. მაშინ გაბედავს ქართველი მწერალი და იტყვის: „აქა კუალა სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ, მისწორებული და აღმატებული“.

ქართული მწერლობის პირით იქნა გაცხადებული ქართული პოლიტიკური იდეალი ისევე, როგორც ძალიან გვიან, მე-19 საუკუნეში, თედორე ტიუტჩევის კალმით იქნება გამოხატული რუსეთის პოლიტიკური მისწრაფება.

Москва и град Петров и Котсантинов
Вот царства русского заветные столицы...
Но где предел ему? И где его границы –
На север, на восток, на юг и на закат?
Грядущим временам судьбы их обличат!...
Семь внутренних морей и семь великих рек...
От Нила до Невы, от Эльбы до Китая,
От Волги по Евфрат, от Ганга до Дуная...
Вот царство русское... и не прейдет вовек,
Как то провидел Дух и Даниил предрек.

რა თქმა უნდა, დანიელის წინასწარმეტყველებაში არავითარ რუსეთზე არ არის ლაპარაკი. იქ საუბარია ღმერთის მიერ შექ-

მნიღ მარადიულ სამეფოზე. „და მათი მეფობის დღეთა შინა ცის ღმერთი აღადგენს სამეფოს, რომელიც არ დაინგრევა არასოდეს, და სამეფო იგი არ მიეცემა სხვა ერს, და დაამხობს და დააქცევს იგი ყველა სხვა სამეფოს, თავად კი იარსებებს სამარადისოდ“ (დანიელი, 11, 44). რუსული მესიანისტური იდეა რუსეთს აკავ-შირებდა ამ მარადიულ სამეფოსთან, რომელიც ღმერთის მიერ იყო შექმნილი. მესიანისტურ იდეას საბუთი არ სჭირდება. იგი ემყარება განსაკუთრებულობის რწმენას.

ისტორიული ბედუულმართობის გამო საქართველომ ვერ მოახერხა პოლიტიკური ოცნების განხორციელება. მონღოლთა შემოსევამ იავარჲყო არამარტო ქართული სახელმწიფო, არამედ მოსპო ქართული მესიანისტური იდეაც. ამით იყო ყველაზე ტრა-გიული მონღოლთა ბატონობის შედეგი ჩვენში. როცა უამთა-აღმწერელი განაქიქებს ლაშა-გიორგის, აკნინებს და ამცირებს მას, ეს მარტო ერთი ხელისუფლის, თუნდაც დამნაშავის, კრიტი-კა და მხილება არ არის. იგი დავიწყება იმ იდეალისა, რომელთა-ნაც დაკავშირებულია ლაშა-გიორგი, საფუძვლიანად თუ უსა-ფუძვლოდ. უამთააღმწერელი უარჲყოფს ქართულ მესიანისტურ იდეას. შემოაქვს ახალი – ცოდვისა და გამოსყიდვის იდეა. მისი აზრით, ქართველობა იმიტომ დამარცხდა, რომ მათ ქრისტიანუ-ლი სათხოება უარჲყვეს, გადიდებულდნენ და გაყოყოჩდნენ. ერ-თიანად მიეცნენ ცოდვას. ღმერთმაც სასჯელად მონღოლთა ბა-ტონობა მოუვლინა. ცოდვილ ხალხს ისლა დარჩენია, იფიქროს და იზრუნოს ცოდვის გამოსყიდვაზე. რად უნდა იმას მტკიცება, რომ ცოდვილი ვეღარ გაბედავდა ოცნებას მაღალი მისის შესრუ-ლებაზე, ვეღარ ჩათვლიდა თავს განსაკუთრებულად და ვეღარც სხვის წინამძღოლობას იკისრებდა.

მართალია, ბაგრატიონები ისევ თვლიან თავს იესიან-დავითიან-სოლომონიანად, მაგრამ ვეღარავინ ბედავს „მესიის მახვილად“ იწოდებოდეს.

თამარი ბოლომდე დარჩება შარავანდედით მოსილი, მაგრამ არავინ გაიხსენებს, რომ იგი სამების მეოთხე წევრია. ასეთი მკრე-ხელობის გაბედვა უკვე აღარ ძალუდ.

რელიგიურ-პოლიტიკური ცნება „საქართველო“ იმდენად შე-იკუმშება და დაპატარავდება, რომ ერთი პროვინციის სახელს –

ქართლს – გაუთანაბრდება. ვახტანგ VI რუსეთს წავიდა და „ბევრი ვინმე წარყვნებ საქართველოსი და კახეთის დარბაისელნი...“ ამის დამწერს უკვე არავითარი წარმოდგენა არა აქვს – რას ნიშნავს „საქართველო“. ეს არ არის ცალკეული შემთხვევა. ასე წერენ წამდაუწუმ. თუმცა თითო-ოროლას ესმის ცნება – საქართველოს – აზრი და მნიშვნელობა, მაგალითად, ვახუშტი ბატონიშვილს. ამას მოწმობს მისი წიგნიც და მისი რუკაც.

ჰიმნი „ქებად და დიდებად ქართულისა ენისად“ ისე დაიკარგება, რომ მას მხოლოდ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში აღმოაჩინენ (ხომ ვითომ შემთხვევითობა ეს, მაგრამ თუ დავფიქრდებით, ლრმა კანონზომიერებას დავინახავთ. როცა ქართულმა ეროვნულმა აზრმა აღორძინება დაიწყო, ის ჰიმნიც იპოვეს, რომელიც სწორედ ეროვნული თვითშეგნების მქადაგებელი იყო). მისი თემა კი მონღოლთა შემდეგდროინდელ ქართულ ჰიმნოგრაფიაში არ შეგხვდებათ.

მართალია, არ დავიწყებიათ, რომ საქართველო ღმრთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანაა, მაგრამ ამას ქართველთა უპირატესობის დასამტკიცებლად ალარ იყენებენ. დედა ღვთისას ოდენ შველისა და დახმარებისათვის მიმართავენ.

თუ გიორგი მთაწმინდელი ამაყად უუბნება ანტიოქიის პატრიარქს – „წმიდაო მეუფეო, შუენის ესრეთ, რამთა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამე თუ პეტრესი ჯერ არს, რამთა დაემორჩილოს მწოდებელსა თუ ის სადა ძმასა ანდრეას და რამთა თქუენ ჩუენდა გვემორჩილნეთ“, – მე-18 საუკუნის ქართულ ეკლესიაში „გამტკიცებული იყო რუსოფილური მიმართულება და გატაცება. ჩვენში ცდილობდნენ უცვლელად გადმოენერგათ რუსული სალვოსმსახურო წესები და ტრადიციები“ (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, 1941 წ., გვ. 328).

არც ჰირენეის იბერიისადმი ინტერესი დაკარგულა მონღოლების შემდეგდროინდელ საქართველოში, მაგრამ, თუ იოანე მთაწმინდელი თავად აპირებდა წასვლას ესპანეთში, საკუთარი თვალით ხილვას და ჭეშმარიტების შეტყობას, მე-18 საუკუნის მოღვაწე ტიმოთე გაბაშვილი ბერძენ ბერს ევგენიოსს ეკითხება – „ვითარ და რისთვის ქართველთა შპანია ეწოდების და შპანიელთა

ქართველი?“ აღბათ, ბერძენი ბერისაგან მოსმენილმა პასუხმა და-აკმაყოფილა ტიმოთე, რაკიდა მერე ამ საკითხზე აღარაფერს ამ-ბობს. არც რაიმე ეჭვს გამოთქვამს.

ევგენიოსმა კი ეს უთხრა ქართველ მიტროპოლიტს:

„...შამსა ალექსანდრე მაკედონელისასა შპანიელნი მრავალნი მისრულან ქართლად, და კვალად ჟამთა ოხრება საქართლისასა. ქართველნი მეფე და დიდებულნი ნასულან შპანიად, და მათნი მეფენი და მთავარნი ნათესავნი არიან ქართველთა, და მდინარე-საცა მათ საქართველეთი ეწოდება. ხოლო მე მსმენოდეს ქარ-თლით, ვითარმედ ალექსანდრე მაკედონელმან აღილო ქართლიო და მცველნი ფრანგნი განაწესაო ქართლად, და ან აზნაურნი დანაშოომნი, მუნით განარიანო...“ (ტ. გაბაშვილი, მიმოსვლა, 1956 წ., გვ. 50).

აქ უკომენტაროდაც ნათელია, რაოდენ ოცოდედა პასუხია ეს და ამიტომ არას მოგახსენებთ. უფრო საინტერესოა ბერძნის პასუხისადმი მიტროპოლიტ ტიმოთეს დამოკიდებულების ფსი-ქლოგიური მომენტი. იოანე მთაწმიდელს შემონმება სურს, ე.ი. სურს ნამდვილი ცოდნა (საკუთარი თვალით და ყურით შემოწ-მებაა ნამდვილი ცოდნის საფუძველი). ტიმოთეს მოსმენილი პა-სუხი აკმაყოფილებს. ე.ი. ბერძნის ავტორიტეტი უთანაბრდება შემონმებას. ავტორიტეტის შეუმონმებლად დაჯერება კი ცრუ ცოდნის საძირკველია. აქვე ვლინდება ბერძნის მიმართ ძველი მოკრძალებისა და თავდახრის მავნე ტენდენცია, რის წინააღმდე-გაც იბრძოდნენ მთაწმიდელები. როგორც ჩანს, მთაწმიდელთა მოღვაწეობამ ბერძენთა უპირატესობის გრძნობის სრული ამო-ძირკვა ვერ მოახერხა. ქართველთა გულის სილრმეში იგი მაინც დარჩენილა და, დროდადრო, ისევ იჩენდა თავს.

რა თქმა უნდა, ისევ სჯეროდათ, რომ ქრისტეს კვართი ქარ-თულ მიწაში განისვენებს, მაგრამ ეს აღარ ხდება ქართული მწერ-ლობის ფართო განსჯის საგანი.

ამასთან დაკავშირებით, ერთ უცნაურსა და აუხსნელ საკითხს მინდა ყურადღება მიაქციოს მკითხველმა. ქრისტეს კვართი და გრალი განუყრელია. იოსებ არიმათიელმა კვართიდან გამოწუ-რული სისხლი უფლისა დააგროვა თასში. ქრისტეს სისხლით სავსე ამ თასს ეწოდა გრალი. XI-XV საუკუნეების ევროპული

ლიტერატურა გრალის თემით არის სავსე. ქართულ მწერლობაში კი გრალის თემა მე-20 საუკუნეში გამოჩნდება: გალაკტიონის „მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა, ლოცვად მუხლმოყრილი გრალს შევედრები, იგი ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით, ფრთებით დაიფარე – ამას გევედრები“ და გრიგოლ რობაქიძის „გრალის მცველნი“. ეს უკავშირდება XIX-XX საუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში გრალის თემის ხელახალ აღორძინებას. ნუთუ მართლა არ არსებობს ძველ ქართულ მწერლობაში გრალის თემა, თუ სათანადოდ არ შეგვისწავლია? გერმანელი მეცნიერი ჰერმან ფონსკერსტი წიგნში – „გრალის ტაძრები კავკასიაში. თაურქისტიანობა სომხეთსა და საქართველოში“ („Der Gralstempel im Kaukasus. Urchristentum in Armenien und Georgien“) – ამტკიცებს გრალის ტაძრების არსებობას ამიერკავკასიაში. კერძოდ, როცა იგი სვეტიცხოვლის ტაძრის აშენების ლეგენდას აანალიზებს, გვეუბნება, რომ ამ გადმოცემის შინაარსია ანთროპოსოფიის მოშველიებით უნდა ამოვიცნოთო. როდესაც გოლგოთაზე მაცხოვრის ჭრილობებიდან სისხლი მორვეთავდაო, – დასძენს იგი, – მოხდა ქრისტეს მისტიკური დაკავშირება დედამიწასთან. იესო ნაზარეველის ეთერული სხეულის, ასტრალური სხეულის და მე-ს ხატი მრავალმხრივ და მრავალნაირად არსებობს სულიერ სამყაროში. ქრისტეს ეთერული, ასტრალური სხეულებისა და მე-ს პირები (კოპია) არის წმ. ავგუსტინები, თომა აქვინელში, ფრანჩესკო ასიზელში და სხვებში. სკერსტს მიაჩნია, რომ ასევე წმ.ნინოში გადმოსულია, ქრისტეს ეთერული, ასტრალური სხეულებისა და მე-ს ხატი. სვეტიცხოვლის ტაძარიც გრალის ტაძარია, რაკი იგი, წმ. ნინოს მითითებით, იმ ადგილას არის აშენებული, სადაც ქრისტეს კვართი დაიმარხა. თუ წვენ ამ შეხედულებას გავიზიარებდით, მაშინ შეიძლებოდა გვთქვა, რომ წმ. გრალის პოეტებია: რუსთველი, დ. გურამიშვილი, ნ. ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი და ზოგიერთი სხვაც [შემთხვევითი არ არის, რომ გ. რობაქიძის რომანში – „გრალის მცველნი“ – სულიერი ფასეულობის მცველთა შორის გამოყვანილი ჰყავს (ცხადია, შეცვლილი სახელებით) პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, კოტე მარჯანიშვილი, შალვა დადიანი და სხვანი. სხვათა შორის, სკერსტის წიგნში მოტანილია ციტატი გ. რობაქიძის

ამ რომანიდან]. თუ ამ თვალსაზრისით შევისწავლით ქართულ მწერლობას, მაშინ გამოდის, რომ გრალიც გამჭოლი თემაა ჩვენი ლიტერატურისა. მართალია, გრალის თემა ქრისტიანული იდეალების დაცვას, მოვლა-პატრონობას ითვალისწინებდა, ამ იდეალისთვის რაინდულ თავდადებას გულისხმობდა, მაგრამ, სკერსტის სიტყვით, იგი წინარექრისტიანულ ხანაშიც არსებობდა. მის კვალს ეძებს არგონავტებისა და პრომეთეს (ამირანის) მითში. კავშირს ეძებს ოქროს საწმისსა და გრალს შორის. შეიძლება გაკვირვებულმა მკითხველმა წამოიძახოს – საიდან სადაო. როგორ, რატომ? მაგრამ ვიდრე რაიმეს უარყოფდეთ, მანამდე სჯობს შევისწავლოთ პრობლემა. მეც ამ მიზნით დავსვი ეს საკითხი. მით უმეტეს, რომ ოქროს საწმისის მოტაცების სრულიად თავისებურ ინტერპრეტაციას იძლევა რუდოლფ შტაინერი.

ოქროს საწმისი უზენაესის ამაღლებულის სიბოლოა. ადამიანი (ე.ი. იაზონი) ისწრაფვის უზენაესისაკენ (ე.ი. ოქროს საწმისი-საკენ). უზენაესისა და ამაღლებულის წვდომა კი ადამიანს შეუძლია მხოლოდ სიბრძნით, გონიერებით. იაზონმა ოქროს საწმისი მედეას დახმარებით მოიპოვა. მაშასადამე, მედეა სიბრძნეა, გონია, ლოგოსია. მაგრამ უზენაესთან ზიარება უმსხვერპლოდ არ შეიძლება, მიზანს სიბრძნის, გონიერების ნაწილი უნდა შეეწიროს. ეს მსხვერპლია მედეას ძმა აფსირტე (ე.ი. ლოგოსის ნაწილი). თუ გავიზიარებთ მედეას ამგვარ გააზრებას, მაშინ სრულიად ბუნებრივია ქალის კულტი ჩვენში. ქართული აზრით, რაც კი დიადია, ქალს უკავშირდება. საქართველო ქალის წილხვედრია – მარიამ ღვთისმშობლისა, ქართველთა გამანათლებელი და ქრისტიანობად მომქცევი ქალია – ნინო, დიდი საქართველოს შემქმნელი დავით აღმაშენებელია, მაგრამ მისი სიმბოლო და ხატი ქალია – თამარ მეფე. ერისა და ქვეყნისათვის თავგანწირვის და წამების უდიადესი მაგალითი ქალმა გვიჩვენა – ქეთევან დედოფალმა.

თუ ყოველივე ამას ღრმად ჩავუკვირდებით, შევისწავლით (რაც მომავლის საქმეა), მაშინ შეიძლება სხვა სურათი წარმოგვიდგეს თვალწინ და არც ძალიან გაგვიკვირდეს ჰერმან ფონ-სკერსტის შეხედულება; ოქროს საწმისი და გრალი ერთმანეთს უკავშირდება.

მართალია, წინარექტისტიანული ხანის ქართულ კულტურას ცუდად ვიცნობთ (რატომდაც არგონავტების მითში არ გვინდა დავინახოთ ქართული კულტურის გამონათება), მაგრამ ის კი კარგად ვიცით, რომ გაქრისტიანების შემდეგ ჩვენი ხალხი პირნათლად ემსახურებოდა ჯვარცმული ღმერთის იდეალებს. ასე იყო მონღოლთა შემოსევამდე და მის შემდეგაც.

მონღოლთა შემოსევის შემდეგდროინდელი ისტორია ქართველი ხალხისა სწორედ ერთიანი, განუწყვეტელი ბრძოლაა ქრისტიანული იდეალების შესანარჩურებლად და დასაცავად. იბრძვიან არამარტო ხმლით, არამედ კალმითაც. ქრისტიანული კონცეფციით არის გაუღენთილი არა მარტო ორიგინალური თხზულებანი, არამედ სპარსულიდან ნათარგმნიც, ანდა მიბაძვით დაწერილი. თუ მეფე არჩილი „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში“ ღმერთს მიმართავს – „სამგვამოვანო ღვთაებავ, ერთმანეთს არ შემდგომისო, მამავ მშობელო ძისაო, გამომვლენელო სულისო, ერთ ხელმწიფებავ, ერთ ნებავ, სამხატო, ერთ-ღვთაებისო...“ – თეიმურაზ პირველი უზენაესს „ლეილმაჯნუნიანში“ ევედრება – „ლმერთო..., არსისა არაარსისა სიტყვით დამბადე მქნელობით...“ როგორი აღტაცებულიც უნდა იყვნენ სპარსული ენითა და ლიტერატურით („სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“, – როგორც აღიარებდა თეიმურაზ პირველი), მაინც ერთგულად, რჩმენით და თავდადებით ემსახურებიან სიტყვა-ღმერთს, სამპიროვან ერთარსებას. ასეთ ვითარებაში გრალის თემას არსებითი მნიშვნელობა შეიძლებოდა ჰქონოდა. მომდევნო ხანაში ამას გვერდი ავუარეთ? თუ, რაკი ქართული მესიანისტური იდეა დავიგინერდო, გრალის თემამაც აღარ დაგვაინტერესა? კითხვებს, აღბათ, მომავალში გავცემთ ჰასუხს.

აღორძინების ხანის მწერლობა დიდ ყურადღებას მიაქცევს ისტორიას. შეიქმნება გალექსილი მატიანეები. არჩილ მეფე იქნება თუ დავით გურამიშვილი, იოსებ ტფილელი თუ იესე ტლაშაძე, ფეშანგი თუ სხვანი, გვიამბობენ როგორც მთელი ქვეყნის, ისე ცალკეულ ისტორიულ პირთა თავგადასავალს. მათ ნაამბობს ახლავს ერთი, საერთო დამოკიდებულება ქართველთა ისტორიული ცხოვრებისადმი. ეს ის დამოკიდებულებაა, რომე-

ლიც უამთააღმწერელმა გამოავლინა: ჩადენილია ცოდვა და ყველა შემოსევა-დარბევა სასჯელია ღვთით მოვლენილი.

„მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთმან მათ
პასუხი უყო ცოდვისა,
ცა რისხვით შუვა განიპის,
ქვეყანა შეიძროდისა...“
(დ. გურამიშვილი)

მერე დახატულია თითქმის აპოკალიპსური სურათი ჩვენი ყოფისა (იმდენად დიდია ჩადენილი ცოდვის შიში, რომ მე-20 საუკუნის პოეტსაც კი წამოსცდება: „ასეთი ცოდვა რა ჩაიდინე, ჩემო სამშობლოვ, მინდა ვიცოდე, რომ ამოდენა ცეცხლი დაგჭირდა და მეც ამ ცეცხლით უნდა ვიწოდე, რომ განთხევინეს ამდენი სისხლი, არ შეგიბრალეს, არ შეგიცოდეს?!” კ. ნადირაძე).

ამ ვითარებაში ვისდა გაახსენდება საქართველოს ისტორიული მისია? ჯვარცმული ღმერთის ხატის პარალელურად ჩვენს მწერლობაში ჩნდება ჯვარცმული პიროვნების, ჯვარცმული ქვეყნის სურათი. ყველა მწერალს – იქნება თეიმურაზ პირველი თუ არჩილი, სულხან-საბა თუ დავით გურამიშვილი, ვახტანგ მეექვსე თუ თეიმურაზ მეორე, ბესიკი თუ ალექსანდრე ამილახვარი – ტრაგიკული ბედი აქვს. რა ჰქნას ადამიანმა, თუკი ღმერთკაციც ჩივის: „ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა აღმიმართეს საკვდად ჯვარი?“ (ვახტანგ VI). რომც არ გინდოდეს, მაინც შემოგეპარება სასონარკვეთილება. თითოეული ადამიანის ბედში აისახება ქვეყნის ბედიც. ქვეყანაც, ხალხიც უმძიმეს მდგომარეობაშია. ქართველი ხალხის თავზე ცეცხლის კევრი ტრიალებს. ამ ურთულეს ვითარებაში ქართული მწერლობა „ვეფხისტყაოსნისაკენ“ მიბრუნდება.

„როდესაც ბრძენმა რიტორმან
შოთამ რგო იგავთ ხეო და,
ფესვ ღრმა-ჰყო, შრტონი უჩინა,
ზედ ხილი მოიწეოდა.
ორგზითვე ნაყოფს მისცემდა,
ვისგანაც მოირხეოდა...“
(დ. გურამიშვილი)

ქართული მწერლობისგან ახლების ეპოქა რუსთაველს საგან-გებო გულისყურით ეპყრობა. სულერთია, „ვეფხისტყაოსნის“ გამგ-რძელებლები იქნებიან ისინი, თუ უაღრესად თავისთავადი შე-მოქმედნი. წამდაუნუმ ახსენებენ, იმონმებენ, აქებენ (ნოდარ ციციშვილი: „მისის ლექსების მკითხველსა სხვა რადმცა მოენონება?“), ებასებიან, ეპაექრებიან, ზოგჯერ გიობასაც აკადრე-ბენ („უყურე ბრიყვსა მესხსა და ამაყსა, შეუპოვარსა, რაღას გე-ლაყბო ჯავახსა, ღარიბსა, შეუპოვარსა...“), მაგრამ რუსთაველის განსაკუთრებულობა ყველასათვის უდავოა, რა თქმა უნდა, რუს-თაველის მიმართ ინტერესი გამონვეულია იმით, რომ გენიალური პოეტი მათ ბუნებრივად აჯადოებს და იზიდავს. მაგრამ ამ თაყვანისცემაში არის რაღაც სხვაც. კერძოდ ის, რომ რუსთაველი იმედია ეპოქაში, როცა მწერლობა სავსეა სოფლის სამდურავით. პო, მართალია, „ვეფხისტყაოსანშიც“ არის სოფლის სამდურავი. თუნდაც ესენი:

„იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია“...

„ვა სოფელმან სოფელს მყოფი ყოვლი დასვა ცრემლთა დენად!“...

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზე გჭირსა!

ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა?“

მაგრამ, ამის გვერდით, „ვეფხისტყაოსანში“ არსებობს მტკი-ცე რწმენა: „მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განა-ნირსა“. სოფლის უსამართლობას ღმერთი შეცვლის სამართლი-ანობით. სოფლის ბოროტი შეიცვლება ღმერთის კეთილით. რუს-თაველისათვის ბოროტში ღმერთის ხელი არ ურევია („რად დას-წამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მხედსა? ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?“). თეიმურაზ პირველისათ-ვის კი სხვაგვარად არის საქმე. მეფის მუნათი მარტო სოფელს არ ეკუთვნის, ღმერთსაც. ადამიანის დაცემა თვინიერ ღმრთისა არ ხდება:

„ღმერთო, ცისა და ქვეყნისა, საბრუნავითა მაქცეო,

ზე ამართულთა ყოველთა დამცემო, გარდამაქცეო,

ზოგჯერ ჭირს ლხინად, ლხინს ჭირად შემცვლელო, გარდამაქცეო...“

მე რა შუაში ვარო, თავს იმართლებს სოფელი არჩილ მეფის „კაცისა და სოფლის გაბაასებაში“. ორივე ღმერთის შექმნილი ვართ და მის განკარგულებას ვემორჩილებით.

„მიკვირს, კაცო, ცუდს სიტყვასა რისთვინ ზრახავ, გონიერო, პირმეტყველო არ პირუტყვო, მსგავსო ლვთისა, შვენიერო, ერთისაგან შემოქმედის ორნივ ქმნილვართ, მიწიერო, შენ უფალი, მე ვარ მონა, ბრძანებაა მის მიერო...“

რაკი ადამიანიცა და სოფელიც ღმერთის შექმნილია, ბუნებრივად გამოდის, რომ ამ ქვეყნად არსებული ბოროტი უზენაესის თვინიერ ვერ იქნებოდა.

თეომურაზ მეორის „დღისა და ღამის გაბაასებაშიც“ მკაფიოდ ვერ გამოიკვეთა, რა სჯობს – ბნელი თუ ნათელი, ღამემ არსებითად იმდენივე ქველობა დაასახელა თავის სასარგებლოდ, რამდენიც – დღემ. მართალია, კამათი იმით დასრულდა, რომ დღემ ბრძანა:

„ოდეს იქმნეს აღსასრული განსჯად ქრისტე გარდმოხდების, მის წინაშე სამართალი ყველა დღისით გარიგდების, თუ არ მარტო ჯოჯოხეთში, ბნელი ყველგან განქარდების, ღამე სრულად უჩინოა, ლვთის მადლითა განათლდების.“

მაგრამ ქრისტე-ღმერთიც, ღამის განცხადებით, „გარდამოხდა სიტყვა ლვთისა: „მისგან განხორციელდების!“ ღამით იყო ეს ხარება, შობაც ღამით გამოჩნდების“, ანდა „ბეთლემს შუალამეს იშვა მეუფე და ღმერთი ჩვილად“.

სკეპსისისა და მერყეობის ხანაში რუსთაველი ურყევი საყრდენია. კეთილის რწმენა, „ვეფხისტყაოსანში“ ნათელყოფილი, ბოროტის არასუბსტანციურობა ის იმედია, რომელზეც უნდა აშენდეს როგორც კერძო პიროვნების, ისე მთელი ერის მომავალი ბედ-ილბალი, თუ მეტი არა, ყოველმა კაცმა ის მაინც უნდა შესძლოს, რომ „სახელის ხე საჩრდილობლად წყლისა პირსა სამედარგოს“ (ვახტანგ მეექვსე).

XVII-XVIII საუკუნეებში „ვეფხისტყაოსანმა“ განუზომელი და აუწონელი როლი შეასრულა ქართული სულის აღორძინებაში.

სრულიად არ იყო შემთხვევითი ამ ეპოქის მნიშვნელების რუსთაველის გარშემო ტრიალი, მის ირგვლივ პაექრობა, მისი პოემის გაგრძელებების წერა. როცა დაწვრილებით, დეტალ-დეტალ იქნება შესწავლილი „ვეფხისტყაოსანი“ და XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს სულიერი ცხოვრება, ყველა, ყოველივე ეჭვის თვინიერ, დავინახავთ, რაც გააკეთა რუსთაველის პოემამ.

მართლაც, ნელ-ნელა თავს აღწევენ უიმედობას. ეროვნული ენერგია ახალ ძალას იკრებს. ბრძოლა უშედეგოდ არ რჩება. როცა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარს თვალს გადავავლებთ, მკაფიოდ ვხედავთ სამ მოვლენას.

პირველი: საქართველომ საკუთარი ძალ-ღონით დააღწია თავი ისლამურ ჩიხს. ეს არის ერეკლე მეორისა და სოლომონ პირველის უპირველესი და უდიდესი ღვაწლი ჩვენს ისტორიაში. მე-18 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში სპარსულ-თურქული აგრესია საბედისწერო უკვე აღარ იყო. მათ კიდევ შეეძლოთ, ცხადია, საქართველოსათვის ზიანის მიყენება, მაგრამ სპარსეთ-თურქეთი აღარ იყო მოურეველი ყისმათი. საქართველოს უკვე ვეღარ ემუქრებოდა წალეკვით ისლამური სამყარო.

მეორე: ჩვენმა ხალხმა დაიცვა და შეინარჩუნა ქართული კულტურის ქრისტიანული ხასიათი. არ დაიშალა ჩვენი პოლიტიკურ-სოციალური და კულტურული ისტორიის მთლიანობა-ერთობა. ამის შედეგად ისევ აღორძინდა ერთობილი ეროვნული შეგნება, რაც გამოიხატა 1790 წლის დოკუმენტით – „ტრახტატი“, ივერიელთა მეფეთაგან და მთავართაგან დამტკიცებული“.

მესამე: აღორძინდა და ფართო, საერთო ხასიათი შეიძინა სწავლა-განათლებამ; მარტო ანტონ პირველის საგანმანათლებლო მოღვაწეობაც და მისი სკოლაც კი კმარა საბუთად.

ეს საქართველომ საკუთარი ძალ-ღონით გააკეთა სხვების დაუხმარებლად. მაშინ რატომდა დამთავრდა მე-18 საუკუნე ქართული სახელმწიფოს მარცხით? მართალია, საქართველომ ისლამურ ჩიხს თავი დააღწია, მაგრამ მან ვერ მოიცილა ძველი, შინაგანი სენი, რომელსაც ბიზანტიიზმის ერთგულება ეწოდება. როგორც მონღოლთა შემოსევის წინ არ იყო საქართველო განკურნებული ბიზანტიიზმისაგან, ასევე ცოცხალი იყო იგი ჩვენს ეროვნულ სხეულში მე-18 საუკუნეშიც. მის წინააღმდეგ ბრძოლა

მიმდინარეობდა. ამას ჩვენში კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობაც მოწმობს, სულხან-საბა ორბელიანის გაკათოლიკებაც და ანტონ პირველის თავდაპირველი სიმპატიებიც კათოლიციზმი-სადმი, რაც მას ძალიან ძვირად დაუჯდა. რაოდენ ძლიერი იყო ჩვენში ბიზანტინიზმი, ამას ადასტურებს ზაქარია გაბაშვილისა და ანტონ პირველის ბრძოლა. კარის უბრალო მღვდელმა კათა-ლიკოსის დამარცხება შეძლო. შეიძლება ვთქვათ, რომ ზაქარიას მხარს უჭერდა მეფე თეიმურაზ მეორე და ანტონ პირველის მარ-ცხი ამან განაპირობაო, მაგრამ ესეც ხომ ბიზანტინიზმის ძლი-ერების საბუთია!

სულხან-საბა ორბელიანს და ანტონ პირველს იმ გეზის აღ-დგენა და გაგრძელება უნდოდათ, გიორგი მთანმიდელმა რომ დაიწყო, მაგრამ ვერ მოახერხეს. რა თქმა უნდა, აქ აქტიურ როლს რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის აგენტურაც ას-რულებდა. იგი ყოველნაირ საშუალებას ხმარობდა, როგორმე შეენარჩუნებინა ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. არ მიეცა მისთვის საშუალება კათოლიციზმის წიაღში გადასვლისა. ესეც იყო ზაქარია გაბაშვილის ძალა. სამწუხაროდ, ჯერ არ შეგ-ვისწავლია რუსული ეკლესიის როლი და ადგილი იმ ბრძოლაში, რომელიც საქართველოში მიმდინარეობდა, საერთოდ, მართლ-მადიდებლობასა და კათოლიკობას და, კერძოდ, ანტონ პირველ-სა და ზაქარია გაბაშვილს შორის. ამის შესწავლას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რამეთუ ქართული პოლიტიკურ-რელიგიური რუსიზმი უშუალო გაგრძელება იყო ქართული პოლიტიკურ-რელიგიური ბიზანტინიზმისა.

საქართველო რუსეთისაკენ იმიტომაც მიიღოტვოდა, რომ ქარ-თველთა შეგნებაში რუსეთი ახალ ბიზანტიას წარმოადგენდა. ამ შეგნების შედეგია ქართული კულტურული ცენტრების შექმნა რუსეთში (ისე, როგორც ადრე ბიზანტიაში იყო. ვახტანგ მეექ-ვსეც რუსეთში იმ რწმენით მიდიოდა, რა რწმენითაც თორნიკე ერისთავი ან სხვები ათონზე), რუსულიდან წიგნების თარგმნა, ქართული ბიბლიის შესწორება რუსულის მიხედვით, საერთოდ საეკლესიო ცხოვრების მოწყობა რუსული ეკლესიის წაბაშვით და სხვანი.

კარგად ცნობილია, რომ საუკუნეების მანძილზე რუსეთი ბიზანტიის მემკვიდრეობას იჩემებდა. ყველაფერს აკეთებდა ამ მისწრაფების ფაქტად ქცევისათვის. მოახერხა კიდეც ეს: ბიზანტიის დაცვის მერე მართლმადიდებლური ქრისტიანული სამყაროს ცენტრი რუსეთი გახდა. ეს შეიძლო რუსეთმა იმით, რომ რუსულმა ეკლესიამ და პოლიტიკურმა აზრმა ბიზანტიის მემკვიდრეობა საერთო სახალხო რუსულ შეგნებად აქცია. ამის დასადასტურებლად დოკუმენტები არ არის საჭირო, კმარა ანდრეი ბელის სიტყვებიც: „პირველ სატახტო ქალაქი მოსკოვი და დედა რუსული ქალაქებისა – კიევი, პეტერბურგი, ანუ სანკტ-პეტერბურგი, ანუ პიტერი (რაც ერთი და იგივე) ჭეშმარიტად ეკუთვნის რუსეთის იმპერიას. ცარგრადი, კონსტანტინეს ქალაქი (ანუ, როგორც ამბობენ, კონსტანტინოპოლი) ეკუთვნის მემკვიდრეობის უფლებით“ („პეტერბურგი“).

რუსეთს „მემკვიდრეობით“ მარტო კონსტანტინოპოლი კი არ „ეკუთვნოდა“, არამედ – საქართველოც. ამ „მემკვიდრეობის“ თვალით უყურებდა ამიერკავკასიას რუსეთი, ამიტომაც მოილტვოდა დაშინებით სამხრეთში. ამიტომაც ჩნდება რუსეთის მეფეთა ტიტულატურაში ცაpx ივერსkiy ბევრად ადრე, რუსეთის საქართველოში დამკვიდრებამდე: ივანე მეოთხეც, რომელიც ჯერ ძალიან შორს არის საქართველოდან, თავს იბერიელთა მეფესაც უწოდებს.

საქართველო ისწრაფოდა ძველი პატრონის მემკვიდრესთან დასაბრუნებლად, ხოლო მემკვიდრე – ნინაპრის ნაქონების მისაღებად. ამ შეგნების შედეგი იყო ის, რაც მე-18 საუკუნის ბოლოს მოხდა საქართველოში.

ჩვენ დიდსა და სერიოზულ ყურადღებას ვაქცევთ ბიზანტიური კულტურის მნიშვნელობას საქართველოს ისტორიულ ცხოვრებაში, მაგრამ ნაკლებად ვითვალისწინებთ მის საბედისწერო შედეგს.

რომის იმპერიის დასავლეთი ნაწილის დაქცევის შემდეგ (410 წელს დაანგრია ალარიხმა რომი), ათასი წელიწადი იარსება ბიზანტიამ (1453 წელს აიღო კონსტანტინეპოლი სულთანმა მუჰამედ მეორემ). მაგრამ ამ ხნის მანძილზე ბიზანტია ნელ-ნელა კვდებოდა. მისი კულტურის გარეგნული ბრწყინვალება შინაგანად ატარებდა ხრწნადი სხეულის მომაკვდინებელ ოხშივარს. ჩვენს

ისტორიაში ბიზანტიური სენის საშიშროებას ძველად გიორგი მთაწმინდელი და დავით აღმაშენებელი ხედავენ, უფრო გვიან – სულხან-საბა ორბელიანი და ახალგაზრდა ანტონ კათალიკოსი, მეცხრამეტ ესაუკუნეში – ნიკო ნიკოლაძე. ის, რასაც ნ. ნიკოლაძე ამბობდა, სულ ტყუილად და უმართებულოდ დავივიწყეთ. 1894 წელს იგი უურნალ „მოამბეში“ (№6) წერდა:

„... სულ ბიზანტიის გავლენის ბრალია იმ ხალხების და სამეფო-ების ჩამოქვეითება, თუ ათასი წლით უკან ჩამორჩენა, რომელთაც ბიზანტიის მიბაძვამან შესწავლამ წება აღარ მისცა, ევროპული მეცნიერება და წყობილება შემოეღოთ. ბიზანტიის სახელმწიფო წეს-წყობილებას საძირკვლად აღმოსავლური თვითმნებელობა ედო და არა ერის ან წოდების უფლება, სიმართლე, კანონი. სამეფოს ასეთი კანონიერი წყობილება და შეურყეველი წესი არასოდეს არ ჰქონია, რომ მთელს ხალხს ან წარჩინებულ მის წოდებას ნიადაგ შესძლებოდეს გზის და საშველის პოვნა, თვით იმ გარემოებაშიც, როცა ბიზანტიის ტახტზე ულირსი მეფე ადიოდა. საქმე ისე მიდიოდა ხოლმე, როგორც ბრმა ბედს სურდა. როცა უცაბედად ტახტზე მხნე და გონიერი მეფე ადიოდა, მეფობაც დამშვენებული იყო და ხალხიც გამარჯვებული. საუბედუროდ, ეს მეტად იშვიათად მოხდებოდა ხოლმე, უფრო ხშირად ბიზანტიის ტახტზე სრულიად ძაბუნსა და უმნიშვნელო ადამიანებს ჰედავს ისტორია. უეჭვოა, ევროპულ სახელმწიფოების ტახტებზედაც გენიოსებზე უფრო ხშირად უნიჭოები ადიოდნენ. ამ მხრით ევროპასა და აზიას შუა განსხვავება როდია. განსხვავება ამ ორ წესს შუა იმაში მდგომარეობს, რომ აზიაში მთელი სახელმწიფოს ცხოვრება და ტრიალი მარტო მეფის ან დესპოტის სურვილზე, ნებაზე და შეხედულებაზე იყო დამყარებული მაშინ, როცა ევროპაში დაარსდა სხვადასხვაგვარი სიმართლე, კანონი, ტრადიცია, სისტემა და ბოლოს მეცნიერებაც. მათი შემწეობით სუსტი მეფეც რომ მჯდარიყო ევროპაში ტახტზე, ეს გარემოება თითქმის არც კი დაეტყობოდა ქვეყნის საქმეებს. ისტორია, ისტორიული პროგრესი, მაინც თავისებურად, აუჩქარებლად, მაგრამ დაუხევლადაც წინ მიდიოდა“ (გვ. 181-2).

6. ნიკოლაძის სიტყვების გახსენება დღეს იმიტომ გვჭირდება, რომ დაუეჭვებლად მივხვდეთ და შევიგნოთ: ევროპისაკენ მიმა-

ვალი გზა საქართველოს ისლამშა კი არ გადაუკეტა, არამედ ბიზანტიამ. ისლამშა უბრალოდ ის გააგრძელა, რაც უკვე კარგა ხნის წინ ჩაიდინა ბიზანტიამ. მესიანისტური იდეა საქართველოს ბიზანტიისაგან თავდასაღწევად სჭირდებოდა. თავის დაღწევა რომ თავის დროზე მომხდარიყო, არც მონღლოლთა და არც მისი მომდევნო შემოსევები იქნებოდა ესოდენ მძიმე შედეგიანი საქართველოსათვის. მაგრამ კარგად დაწყებული საქმე ასევე კარგად ვერ დაგვირგვინდა, ვერ მოესწრო. მერე კი მესიანისტური იდეის დაკარგვა ნიშნავდა იმას, რომ საქართველო ისევ ბიზანტიინიზმის იდეის გავლენის ქვეშ ექცეოდა. თავს ისევ ჩამორჩენილობისათვის სწირავდა. ამას გუმანით ხვდებიან აღორძინების ხანის მწერლები. ეს რუსთაველისადმი მათ დიდ მიდრეკილებაშიც ჩანს. რუსთაველი ბიზანტიინიზმისაგან თავისუფალი აზროვნებაა. როცა ავთანდილის სიმღერას უსმენ „ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშროყით და მაღრიბელინი, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი“ (გვიანდელი ჩანართია თუ არა ეს სტრიქონები, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს), ეს ჩვენი ოცნებაა, საქართველოს ხმა გაეგონა კაცობრიობას, ბიზანტიის გავლენის თვინიერ. მიზნის მისაღწევად საჭიროა საკუთარი მესიანისტური იდეა და ბრძოლა მის განსახორციელებლად. მართალია, მონღლოლთა ბატონობის შემდეგდროინდელმა მწერლობამ იგი დაივიწყა, მაგრამ იმის რწმენა კი ურყევად დაგვიტოვა, რომ ქართულ ეროვნულ ენერგიას ყოველგვარ პირობებში ძალუძს აღორძინება და საკუთარი ძალონით თავდასხსნა. ამას დავუმატოთ „ვეფხისტყაოსნის“ მრნამსი: ცალკეული პიროვნებისა თუ მთელი ერის ცვალებად ბედ-ილბალში, ბედნიერება-უბედურების მონაცვლეობაში ნათლად ჩანს ბოროტების დამარცხებისა და კეთილის გამარჯვების ერთიანი, მთლიანი, მტკიცე კანონზომიერება. ორივე აზრობრივი ხაზის გამთლიანება და ერთად წარმოდგენა საშუალებას მოგვცემს გავიგოთ – რა მემკვიდრეობას, წინაპართა რა ანდერძს უნდა მოვუაროთ, განვავითაროთ ახალი დროისა და პირობების შესაბამისად, რომ ერთხელ და სამუდამოდ ჩამორჩენილობას თავი დავაღწიოთ და საკაცობრიო ასპარეზზე ყავარჯინის მოუშველებლად ვიაროთ.

1987 წ.

თომას სტერნზ ელიოტი

სტატიიდან „ამერიკული ლიტერატურა და ამერიკული ენა“

თომას სტერნზ ელიოტი (1888-1965) – ამერიკული ნარმოშობის ბრიტანელი პოეტი, კრიტიკოსი, ესეისტი, დრამატურგი, თანამედროვე ინგლისური ლიტერატურული ენის რეფორმატორი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1948). მისი პირველი ლიტერატურათმცოდნეობითი კრებულია „ნმინდა ტყე“ (1920). 1930-იან წლებში ელიოტმა გამოაქვეყნა „რჩეული ესეები“ (1932), „ჯონ დრაიდენი – პოეტი, დრამატურგი, კრიტიკოსი“ (1932), „პოეზიის დანიშნულება და კრიტიკის დანიშნულება“ (1933). ელიოტის ზოგადი ესთეტიკური პოზიცია შეჯამებულია მის მოგვიანო კრებულებში: „პოეტებსა და პოეზიაზე“ (1957), „როდესაც კრიტიკოსს აკრიტიკებ“ (1965). თომას ელიოტი ცნობილია, როგორც ფორმალური მეთოდის ერთ-ერთი ფუძემდებელი ლიტერატურათმცოდნეობაში. მისმა ესთეტიკურმა შეხედულებებმა არსებითი როლი შეასრულა ინგლისურნოვანი პოეზიისა და ლიტერატურული კრიტიკის განვითარებაში. სტატია „ამერიკული ლიტერატურა და ამერიკული ენა“ მოთავსებულია კრებულში „როდესაც კრიტიკოსს აკრიტიკებ“. მისი მეორე ნაწილი, რომლის თარგმანს ქვემოთ გთავაზობთ, ამერიკულ ლიტერატურას ეძღვნება.

... როდესაც ვამტკიცებ, რომ ცნებას „ამერიკული ლიტერატურა“ ჩემთვის მკაფიო და ნათელი აზრი აქვს, ამასთანავე, შესაძლებლად არ მიმართია, მისი ამომწურავი განსაზღვრება მოგცეთ; შევეცდები, ავხსნა, ჩემი შეხედულებით, როგორი მიმართებით არ არის სასურველიც კი ამ ცნების ამ აზრით დახასიათება. როგორც მრავალი სხვა, ტერმინი „ამერიკული ლიტერატურა“ სხვადასხვაგვარ აზრს იძენდა და დროთა მსვლელობისას ახალი მნიშვნელობებით მდიდრდებოდა. ჩვენთვის, დღევანდელი ადამიანებისათვის, იგი რაღაც სხვას აღნიშნავს, ვიდრე ასი წლის წინათ. ახლა ის გაცილებით უფრო შინაარსიანია, ვიდრე იმ ეპოქაში შეიძლებოდა ყოფილიყო. სრულიად არ მაქვს მხედველობაში ის,

რომ მე-19 საუკუნეში ამერიკული ლიტერატურა უფრო ნაკლებად იმსახურებდა დამოუკიდებელი ლიტერატურის სახელწოდებას, ვიდრე მე-20-ში. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ შეუძლებელი იყო, თვით „ამერიკული ლიტერატურის“ ცნებას საუკუნის წინ მცხოვრები მწერლებისათვის ზუსტად იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რასაც ის ჩვენთვის აღნიშნავს; ამ მწერლების ამერიკული თავისებურება სრულად მხოლოდ დროის პერსპექტივაში გაიხსნება. თავდაპირველად კი, ამერიკულ ლიტერატურაზე საუბრისას, მხოლოდ გეოგრაფიულ განსხვავებებზე მიუთითებდნენ; საეჭვოა, ჯონათან ედვარდსი იმ აზრს მიმხვდარიყო, როგორსაც დღეს ამ ტერმინში ვდებთ. ამერიკული ლიტერატურა თავისი განვითარების ადრეულ სტადიაზე რომ დარჩენილიყო და ჩვენთან დროით უფრო დაახლოებული მწერლების მიღწევებით არ გამდიდრებულიყო, ეს უბრალოდ იქნებოდა ლიტერატურა, რომელსაც ინგლისურ ენაზე ქმნიდნენ ადამიანები, ამერიკაში რომ დაიბადნენ ან ცხოვრობენ. ვაშინგტონ ირვინგი იმდენად აშკარად გაამოხატული ამერიკელი არ არის, როგორც ფენიმორ კუპერი. თუმცა, ალბათ, კუპერის თანამედროვე ინგლისელებს რომანები ტყავის წინდაზე ახალსა და ინგლისური საზოგადოებისგან რაღაც განსხვავებულზე თხრობა კი არ ეგონებოდათ, არამედ – წიგნები პიონერი-ინგლისელების თავგადასავლებზე მათთვის ახალ, ველურ ქვეყანაში; და დღესაც, ვფიქრობ, რომ ინგლისელი მოზარდებისათვის ისინი, მალევე, მათი დაპყრობის შემდეგ, ბრიტანულ კოლონიებსა და დომინიონებზე საუკეთესო სათავგადასავლო მოთხოვნების იმავე მიმზიდველობას ინარჩუნებენ, ამასთან, მოქმედების ადგილი დედამინის ზურგზე ინგლისის ნებისმიერი კოლონია შეიძლება იყოს (კუპერი, როგორც ვალტერ სკოტი, ძალზე დააზიანა იმან, რომ ბევრი მის წიგნებს ადრეულ ახალგაზრდობაში კითხულობდა და მეტად აღარ გადაიკითხავდა ხოლმე; დ.-გ. ლოურენსს, რომელიც კუპერს უკვე მოზრდილობაში გაეცნო, წილად ერგო, ამ მწერალზე კველაზე ცნობილი კრიტიკული ნაშრომი დაეწერა). კუპერის ეპოქის ინგლისელ მკითხველს, რასაკვირველია, არ შეეძლო, ნეტი ბამპოში ადამიანის ახალი ტიპი დაენახა; ამგვარი თავისებურებანი მხოლოდ დროთა შსვლელობისას აშკარავდება.

მაგრამ მე-19 საუკუნეში ახალ ინგლისში შექმნილი ლიტერატურა მხოლოდ იმის წყალობით არ გამოირჩევა, რომ რამდენიმე დღი სახელი წამონია წინ; ამ ლიტერატურას თავისი, მკვეთრად განმასხვავებელი თვისება აქვს – ის გამოხატავდა თავისავე საკუთარ, ცივილიზებულ მიკროსამყაროს და ეთიკურ კომპლექსს, ჩამოყალიბებულს ადგილობრივ საზოგადოებაში, რომელსაც საკუთარი თავისებურებები ჰქონდა, თუმცა ეს საზოგადოება გენეალოგიურად ინგლისიდან მოდიოდა. ეს ლიტერატურა ახალ ინგლისზე უფრო მეტს ამბობს, ვიდრე მთლიანად ამერიკაზე; მისი შემოქმედი – ლონგფელო, უიტერი, ბრაიენტი, ემერსონი, ტორო, და ახალი ინგლისის წმინდა სისხლის უკანასკნელი წარმომადგენელიც კი პოეზიაში, რობერტ ფროსტი, – ჩემი შეხედულებით, ახალი ინგლისის ადამიანებისათვის გაცილებით მეტად გასაგები არიან, ვიდრე სხვა ამერიკელთათვის; გარდა იმ ზოგადეკაცობრიულისა, რაც მათ ნაწარმოებებში მოიპოვება, მათ აქვთ განსაკუთრებული თვისება, სამშობლოს მონატრება გაუდივიძონ ახალი ინგლისიდან გამოსულთ, ამჟამად სხვა მხარეებში რომ ცხოვრობენ. რაც შეხება მწერალს, რომელსაც ყველა მათგანზე დიდად მივიჩნევ, – ნათანიელ ჰოთორნის, მგონია, რომ მასში ის მკითხველები უფრო გაიგებენ რაიმეს, რომლებსაც სისხლსა და ხორცში კალვინიზმი აქვთ გამჯდარი და რომელთაც სინდისი სტანჯავთ კუდიანების სახრჩობელების გახსენებისას (არა უბრალოდ კუდიანებზე ნადირობისას). სწორედ ამ გარემოებათა გამო, ამერიკული ლიტერატურის ჩამოყალიბების ძირითადი ეტაპები, ჩემი შეხედულებით, შესაძლებელია, ახალი ინგლისის გვერდის ავლით დავსახოთ. მესმის, რომ შეიძლება, სახელების ჩემეული არჩევანი თავისუფლად მოგეჩენოთ, მაგრამ, როდესაც ესოდენ ფართო განზოგადებებს ახდენ, ყოველთვის რისკავ. სამი მწერალია, რომელთაგან თითოეულს მე ამერიკული ლიტერატურის შექმნის ეტაპს ვუკავშირებ – პოს, უიტმენსა და მარკ ტვენს.

ვჩეკარობ, შევნიშნო, რომ ამასთან, მხედველობაში არ მაქვს საგანთა მთელი რიგი. მხედველობაში არ მაქვს, რომ ეს სამი მწერალი უფრო მეტ სიდიადეს ფლობს, ვიდრე ისინი, რომელთა გვარები უკვე დავსახელე, ან შემეძლო, დამესახელებინა. მე არ

ვფიქრობ, რომ ხსენებული სამი მწერალი „უფრო მეტად ამერიკელები“ არიან, ვიდრე სხვები. არ მინდა ვთქვა, რომ თანამედროვე ამერიკული ლიტერატურა ამ სამი მწერლისაგან რაიმეს აუცილებლად უშუალოდ ისესხებს. ბოლოს, მე არ მგონია, რომ მათი შემოქმედების შესწავლით შესაძლებელია, ლიტერატურაში ამერიკული თავისებურების რაიმე ფორმულა შეიმუშავო. აშკარად უიმედოდ მეჩვენება მცდელობა, განსაზღვრო, რა აერთიანებს მათ, როგორც ამერიკელებს, და, ამასთან, მათ შორის საერთო თვისებების ძიებისა იოლად შენიშნავ ყოველი მათგანის შემოქმედების ინდივიდუალურ არსს.

მინდა ხაზი გავუსვა, რომ დასახელებული სამი მწერლის შერჩევისას სულაც არ ვხელმძღვანელობდი ლიტერატურულ გავლენათა საკითხებით. ამ აზრით ძალზე საგულისხმოა პოსა და უიტმენის შეპირისპირება. უეჭველია, რომ ყველა ამერიკელ პოეტთაგან სწორედ პომ და უიტმენმა დაიმსახურეს უდიდესი ცნობადობა საზღვარგარეთ – როგორც ინგლისურენოვან ქვეყნებში, ისე იქაც, სადაც მათ თარგმანებით გაეცნენ. პოს ლიტერატურული მექავიდრეობის ათვისების ისტორია ყურადსალები იმით გახლავთ, რომ მისმა შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა ფრანგულ პოეზიაზე, სამ დიდ ფრანგ პოეტზე, რომლებიც შემდეგ მისი პროპაგანდისტები გახდნენ; ხოლო მისი გავლენა ამერიკისა და ინგლისის პოეზიაზე უმნიშვნელოა. ვერ გავიხსენებ ვერცერთ კარგ პოეტს – ამერიკელს ან ინგლისელს – რომელიც გაცნობიერებულად იქნებოდა მისი გავლენის ქვეშ; შესაძლებელია, ერთადერთი გამონაკლისი ედვარდ ლირია. ჩნდება კითხვა: შეიძლება თუ არა ედგარ პო სპეციფიკურად ამერიკელ მწერლად მივიჩნიოთ, თუ თითქმის არ არსებობს არგუმენტი, რომ პოს შემდეგ რომელიმე ამერიკელი პოეტი ოდნავ სხვაგვარად დაწერდა, პოს სახელი ლიტერატურის ისტორიაში საერთოდ რომ არ ყოფილიყო?

გავრცელებული მოსაზრებით, თანამედროვე პოეზიაზე, პირქით, დიდი ზეგავლენა მოახდინა უოლტ უიტმენმა. ვფიქრობ, ამ გავლენას გადაჭარბებით აფასებენ. ამ აზრით შეიძლება, უიტმენი შევადაროთ ჯერად მენტი პოპკინსს – არა იმდენად დიდ პოეტს, რამდენადაც პოეტური სტილის ნამდვილ რეფორმატო-

რად მოვლენილ შემოქმედს. ჩემი შეხედულებით, ჰოპკინსმაც და უიტმენმაც შეძლეს, მოენახათ უღერადობა და ლექსიკა, სრულ-ყოფილად მომარჯვებული იმისთვის, რისი გამოხატვაც სურდათ, მაგრამ თითქმის გამოუსადეგარნი ყველა სხვისთვის, ვისაც სხვა რაიმეს გამოხატვა სურს. უიტმენსაც და ჰოპკინსსაც ჰყავთ მიმდევრები. ნაწილობრივ ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ეს პოეტები, თავიანთ არც თუ ისე შთაგონებულ ლექსებში ხანდახან საკუთარ თავს იმეორებენ ხოლმე, ისევე, როგორც ყველა მწერალი, რომელიც სიტყვაში უკიდურესი თვითგამოხატვისკენ არის მიდრეკილი. მიმბაძველები ყველაზე იოლად იმ საუკეთესოს კი არ ითვისებენ, რაც პოეტმა შექმნა, არამედ – საკუთარ ქმნილებათა გადამლერებას. გამოჩენილი ოსტატის ჭეშმარიტი მიმდევარი შთაგონებას იმით იღებს, რაც ოსტატის სურდა, გამოეხატა, და მხოლოდ ამის შედეგად იმით, როგორც მან ეს გამოხატა. მიმბაძველი – მე შემეძლო, მისთვის პლაგიატორიც მეწოდებინა – ყურადღებას უპირველესად სწორედ იმას აქცევს, როგორ გამოხატა ესა თუ ის მხატვარმა, რომელსაც ის ბაძავს. და, თუ მას გამოსდის, ოსტატისაგან თითქმის მექანიკურ განმეორებამდე შეისწავლოს გამოხატვის მეთოდი, იგი, ალბათ, შეძლებს, საკუთარი თავის-განაც კი დამალოს ის ფაქტი, რომ მას სათქმელი არაფერი აქვს.

ალბათ, რთული არ არის, ამტკიცო, რომ მარკ ტვენის გავლენა მნიშვნელოვანი იყო. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ მიზეზი შემდეგი გახლავთ: ტვენმა, განსაკუთრებით, „ჰეკლბერი ფინში“, თავი წარმოაჩინა, როგორც ნებისმიერ ლიტერატურაში ერთ-ერთმა იმ მცირერიცხოვან მწერალთაგან, რომლებმაც გამოიგონეს ნერის ახალი, მხოლოდ მათთვის კი არა, სხვებისთვისაც გამოსადეგი მეთოდი. ამ მიმართებით, მე მზად ვარ, ტვენი დრაიდენისა და სვიფტის გვერდით დავაყენო – ყველა ისინი მწერალთა იმ კატეგორიას მიეკუთვნებიან, რომელთაც ენა დროს შეუსაბამეს და ამით „განმინდეს უარგონი, თაობა რომ იყენებდა“. მზად ვარ, ამ მიმართებით ტვენი ჰოთორნზე მაღლაც დავაყენო, თუმცა ტვენი, როგორც სტილის ოსტატი, მას არ ალემატებოდა და ადამიანის სულის ცოდნაში ჰოთორნს აშკარად ჩამორჩებოდა კიდეც. ერთი შეხედვით, ტვენი, როგორც ჰოთორნი, – ადგილობრივი კოლორიტის მწერალია, ამასთან, აშკარად გამოხატულის. თუმცა

ჰოთორნისეული სეილემი – ეს არის ცხოვრების განსაკუთრებული ყაიდის ქალაქი, როგორსაც სხვაგან, სადაც არ უნდა იყოს ის, ვერ შეხვდებით. მარკ ტვენის მისისიპი კი არ გახლავთ უბრალოდ მდინარე, ნაცნობი მის ნაპირებზე მცხოვრებთათვის და მენავეთათვის, არამედ – ყოვლისმომცველი ხატი ადამიანური ცხოვრების მდინარისა, უფრო მეტად ყოვლისმომცველი, ვიდრე კონგრ უოზეფ კონრადთან. ტვენის მკითხველებისათვის, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი, მისისიპი – ეს არის მდინარე მისი უმაღლესი მნიშვნელობით. მგონია, რომ ტვენთან იგრძნობა თვით მის მიერვე გაუცნობიერებელი სიღრმე, რაც „ჰეკლბერი ფინს“ სიმბოლურ აზრს ანიჭებს, ამასთან, სიმბოლიკა აქ უფრო ტვეადი და უფრო მნიშვნელოვანია მხოლოდ იმის გამო, რომ ის არც წინასწარ განზრახულია და არც გაცნობიერებული.

აი, ჩვენ იმ ორ თავისებურებასაც მივადექით, რომლებიც, ჩემი თვალსაზრისით, ეროვნული ლიტერატურის ცხოვრებაში ეპოქის შემქმნელ ყოველ მწერალში ერთმანეთს ერწყმის: ძლიერად გამოხატული ადგილობრივი კოლორიტი და ნაწარმოების ზოგადი, გაუცნობიერებელი საზრისი. არ უნდა ვითიქროთ, რომ ადგილობრივი კოლორიტი იოლად ვლინდება ზედაპირული კითხვისას. რა არის სპეციფიკურად ამერიკული ედგარ პოს შემოქმედებაში? „ოქროს ხოჭოში“ და პროზაში, კიდევ რამდენიმე ნაწარმოების გამოკლებით, ძნელია, პოსთან მონახო თხზულებები, აშკარად რომ ეფუძნება იმ პრობლემატიკას და პიროვნების იმ ტიპებს, რომლებსაც ის იცნობდა. მას უყვარდა, რომანტიკული წარმოსახვისათვის მოქმედების ადგილად ისეთი ჩვეულებრივი ქალაქები შეერჩია, როგორიც პარიზი და ვენეციაა, რომლებშიც არასოდეს ყოფილა. შეიძლება, ამან დიდი გაკვირვება გამოიწვიოს, მაგრამ პო საერთოდაც გამოუცნობ ფიგურად რჩება, მრავალი კრიტიკოსი მის მემკვიდრეობას ამაოდ ეჭიდებოდა. შეიძლება, პოს ნაწარმოებთა ამერიკული ულერადობა ყველაზე მარტივი სახით აიხსნას: იგი ყოველთვის მოკლებული იყო მოგზაურობის შესაძლებლობას და, როდესაც ევროპაზე წერდა, ეს იყო ევროპა, რომელსაც უშუალოდ არ იცნობდა. კოსმოპოლიტის ცხოვრებას პოსათვის ცუდი უფრო მეტი მოჰკონდა, ვიდრე სიკეთე, კოსმოპოლიტიზმი ხომ საყოველთაობის მტერია, მას იმისკენ

მივყავართ, რომ მწერლის ტალანტი იფლანგება იმის ჩვენება-ზე, თუ როგორ თავისუფლად იცნობს ის ამა თუ იმ ქუჩას, კაფეს და რამდენიმე უცხოური დედაქალაქის კილოკავის თავისებურებას. საყოველთაობა კი ნაწარმოებში არასოდეს გამოჩნდება, თუ მწერალი არ წერს იმაზე, რასაც მთელი სიგრძე-სიგანით იცნობს. თავისი წიგნების საყოველთაო მნიშვნელობა დოსტოევ-სკის სრულიად არ დაუკარგავს იმით, რომ ის მხოლოდ რუსეთზე წერდა. პოსთან მიმართებით კი ალბათ, შეიძლება, შემდეგ დასკვნამდე მივიდეთ: იგი დაჯილდობული იყო იმგვარი წარმოსახვით, რომელიც ნებას აძლევს მწერალს, თავისი ფანტასტიკური სამყარო შექმნას, მაგრამ ნებისმიერი ფანტასტიკური სამყარო რეალური სამყაროთი განისაზღვრება, რომელშიც მწერალი ცხოვრობს და პოს ფანტაზიების იქით მისთვის კარგად ნაცნობი ბალტიმორის, რიჩმონდის, ფილადელფიის რეალური სამყარო ილანდება.

ალბათ, მკითხველმა უკვე შენიშნა, რომ ის სამი მწერალი, რომლებსაც აქ ამერიკულთაგან ყველაზე მეტი ყურადღება დაეთმო, სწორედ ისინია, ვინც თავისი ქვეყნის საზღვრების იქით ყველაზე მეტად არიან ცნობილნი. თანამედროვე საზღვარგარეთელი მწერლების შეფასებისას ადამიანები ხშირად ცდებიან. ვიცი, რომ ჩვენი დროის ზოგიერთ ფრანგ მწერალზე ახლანდელი ინგლისელები ისე განსჯიან, რომ სრულიად არ ესმით მათი, ისევე, როგორც ფრანგებიც მსჯელობენ ინგლისელ მწერლებზე. მაგრამ ვფიქრობ, რომელიმე მწერლის მიმართ უცხოქვეყნელების უცვლელი ყურადღება საკმარისად ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეიძლება იმის მოწმობა იყოს, რომ ამ მწერალმა შეძლო, თავის წიგნებში ადგილობრივი საყოველთაოსთან შეერთებინა. თავიდან შეიძლება, უცხოელს ამგვარ მწერალში სწორედ მისი უჩვეულობა იზიდავდეს. მისი ინტერესი გამოწვეულია იმით, რომ საკუთარ ლიტერატურაში იგი მსგავსს ვერაფერს პოულობს. მაგრამ ამა თუ იმ ნაწარმოებზე ოდენ მისი უჩვეულობით გამოწვეული მოდა მარადიული არ არის: იგი არ იქნება მდგრადი, თუ უცხოელი მკითხველი ამ ნაწარმოებში, თუნდაც გაუაზრებლად, საკუთარი თავისათვის მხოლოდ რაღაც უჩვეულოს კი არ აღმოაჩენს, არამედ რაიმე ნაცნობსაც. დოსტოევსკის რომანის

პირველად წაკითხვისას, ან ჩეხოვის პიესის გაცნობისას, ჩვენ, ჩემი დაკვირვებით, უპირველესად რუსი ადამიანების უცნაური სულიერი წყობა დაგვაინტერესებს. მაგრამ შემდეგ თანდათან ვგებულობთ, რომ ჩვენ წინაშე მხოლოდ უჩვეულო მეთოდია იმ აზრებისა და გრძნობების გამოხატვისა, ჩვენ ყველანი რომ განვიცდით და ვიცნობთ. და, თუმცა ძალზე ოლია, წაწარმოებში ადგილობრივ კოლორიტს ისე მიაღწიო, რომ წიგნს საყოველთაობის თვისება არ მიანიჭო, მექქვება, პოეტს ან რომანისტს ხელეწიფებოდეთ, საყოველთაო მნიშვნელობა შეიძნონ, თუ მათ ქმნილებში ასევე ადგილობრივიც არ არის. შეიძლება წარმოვიდგინოთ უფრო ტიპური ანტიკური ბერძენი, ვიდრე ოდისევსია? უფრო ტიპური გერმანელი, ვიდრე ფაუსტია? უფრო ტიპური ესპანელი, ვიდრე დონ კიხოტია? უფრო დასრულებული ამერიკელი, ვიდრე ჰეკ ფინია? ყოველი ამ ხასიათთაგან ხომ თავისებური არქეტიპია, ადამიანის მითოლოგიაში შესული, მნიშვნელოვანი ყველა ხალხისა და ყველა დროისათვის.

ზემოთქმულის შემდეგ თავს ნებას მივცემ, შემდეგი ვარაუდი გამოვთქვა: ნებისმიერი ნაციონალური ლიტერატურა საკუთარ თავს, როგორც ასეთს, იმ სტადიაზე შეიმეცნებს, როდესაც მისმა ყოველმა ახალგაზრდა წარმომადგენელმა უკვე იცის, რომ მას წინ რამდენიმე მწერლური თაობა უსწრებდა, მის ქვეყანაში გაზრდილი და მის ენაზე შემქმნელი, და რომ მის წინამორბედთა შორის არაერთი საყოველთაოდ აღიარებული დიდი მწერალი იყო. ტრადიციის ამგვარი შეგრძნების მნიშვნელობა ახალგაზრდა მწერლისათვის ძნელად თუ გადაფასდება. საქმე ის კი არ არის, რომ ამით იგი მისაბად მაგალითებს იძენს. უეჭველია, რომ ახალგაზრდა მწერალმა შეგნებულად არ უნდა შეუცვალოს ფორმა თავის ტალანტს, ამა თუ იმ, პირობითად ამერიკულად — ან, ნებისმიერ სხვად — წოდებული მხატვრული ტრადიციის ორგანულად ათვისების მიზნით. წარსულის მწერლები, განსაკუთრებით, ახლო წარსულისა, იმავე ენასა და იმავე სინამდვილეზე რომ წერენ, შეიძლება, ახალგაზრდა მწერლისათვის ღირებულებას იმიტომაც წარმოადგენენ, რომ მათში ის სწორედ იმას პოულობს, რისგან თავის არიდებაც სურს. იგი მათ თავის ნათესავებად აღიარებს, მაგრამ აქედან სრულებით არ გამომდინარეობს, რომ

იმათ აუცილებლად ისე უნდა მოექცეს, როგორც მისთვის ახლობელ მწერლებს. ხშირად მწერალს შეუძლია, მაგალითები მიბაძისათვის, სტილი, რომლის სწავლა მას სურს, სხვა ენაზე, სხვა ქვეყანაში, ან შორეულ წარსულში შექმნილ ნაწარმოებებში იპოვოს. ახალგაზრდობაში ზოგჯერ მე თვითონ შემოქმედებითად დამოუკიდებელი განვითარების ყველაზე ძლიერ სურვილს განვიცდიდი, როდესაც ასე ვმსჯელობდი: „აი მწერალი, ამისა და ამის გამოხატველი, ასე თუ ისე თანახმიერი იმისა, რისი გამოხატვაც მე ამჟამად მსურს; ის დიდი ხნის წინ და სხვა ენაზე წერდა; ვნახოთ, მეც ხომ ვერ შევძლებ, იგივე გავაკეთო, მაგრამ ჩემი ქვეყნისა და ჩემი დროის ენაზე?“

ამგვარმა მოსაზრებებმა ჩვენ, ყველანი, ლიტერატურაში ვიწრო ნაციონალური ჩაკეტილობისგან უნდა დაგვიცვას. განსაკუთრებით უნდა ვეცადოთ, თავი ავარიდოთ მსგავს კითხვებს: „შეიძლება კი ამ ახალ მწერალს ნამდვილი ამერიკელი მწერალი ვუწოდოთ? პასუხობს თუ არა მისი შემოქმედება მტკიცე ამერიკულ ცნებებს, ეთანახმება თუ არა ის იმას, რასაც ლიტერატურაში ამერიკულ სულად მივიჩნევთ?“ სარელიად აშკარაა, სავსებით ცხადია, რომ ამგვარ კრიტიკულ ნორმატულობას მხოლოდ შემოქმედების ორიგინალურობის ჩაკვლა შეუძლია. ახალი სახელების გამოჩენისას რა ხშირად ისმოდა შეძახილები: „ამ მწერალში არაფერია ინგლისური!“, „მასში არაფერია ფრანგული!“ და ა.შ. – იმ ენასთან მიმართებაში, რომელზეც ის წერდა. ზუსტად ასევე, საჭიროა, გვახსოვდეს ამა თუ იმ ქვეყანაში შექმნილი ნაწარმოების გადაფასების საფრთხე მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იგი ამ ქვეყნის ცხოვრებას ეძღვნება; სამამულო მწერლებზე მსჯელობი ბისას ჩვენ გაუწონებიერებლად ვესწრაფით, ვისარგებლოთ არც-თუ ისეთი მაღალი კრიტერიუმებით, როგორითაც სხვა ქვეყნების მწერლებზე მსჯელობისას. ნებისმიერ ქვეყანაში ეს საფრთხე ყოველთვის საგრძნობია. ლიტერატურის დაყვანა მხოლოდ უკვე დადგენილ პრობლემატიკამდე და სტილამდე თანაბარმნიშვნელოვანია მტკიცებისა, რომ ამერიკული თავისებურება არის რაღაც, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული. არადა, ცოცხალი ლიტერატურა ყოველთვის ცვლილების პროცესში იმყოფება; ერთ ეპოქაში არსებული ცოცხალი ლიტერატურები – ერთი, ან მრავალი

მწერლის დახმარებით – ერთმანეთში ცვლილებებს იწვევს; და, შეგვიძლია, ეჭვი არ შეგვეპროს იმაში, რომ ლიტერატურა, რომელსაც მომავალი თაობები ამერიკაში შექმნიან, მიუღებლად აქცევს ხელოვნებაში ჭეშმარიტი „ამერიკულის“ ყველა იმ განსაზღვრებას, რომლებიც წარსულის მწერლების, ან ჩვენი დღე-ების შემოქმედთა მემკვიდრეობაზე დაკვირვებიდან იბადება.

დროდადრო ლიტერატურაში ხდება თავისებური რევოლუცია, უკეთ რომ ვთქვათ, ფორმისა და შინაარსის მოულოდნელი მუტაცია. ამგვარ პერიოდებში წერის განსაზღვრული წესი, რომელსაც ერთი ან რამდენიმე თაობა მისდევდა, ახალი – მცირე-რიცხოვანი – მწერლების მიერ ცხადდება მოძველებულად, რადგან ის თანამედროვე აზროვნებას, გრძნობიერ აღქმას და სიტყვიერ გამოხატულებას უკვე ველარ პასუხობს. აღმოცენდება ახალი ლიტერატურა, თავდაპირველად დაცინვითა და ზიზით გარემოცული; ყოველი მხრიდან მოისმის, რომ საცაა, ტრადიცია ჩამოიქცევა და ქაოსი გამეფდება. რაღაც დროის გასვლის შემდეგ ნათელი ხდება, რომ წერის ახალ წესს არა ნგრევა, არამედ შემოქმედებითი რეკონსტრუქცია მოჰყება. სრულიად არ განგვიზრახავს, უარი გვეთქვა წარსულზე, რაშიც ყველაზე შეურიგებელი მტრები გვადანაშაულებდნენ და რისთვისაც გვაქებდნენ ყველაზე ახლო მეგობრები; ჩვენ მხოლოდ წარსულის ჩვენეული აღქმა გავაფართოვეთ; ეს კი ნიშნავს, რომ ახალი გამოცდილების შუქზე დავინახეთ წარსულიც, მისი ახალი კანონზომიერებით. მაგალითისათვის თუნდაც ის რევოლუცია ავიღოთ, რომელიც უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე როგორც ამერიკულ, ისე ინგლისურ პოეზიაში ხდებოდა.

როდესაც რევოლუციაზე საუბრობ, აუცილებელია, სახელები დაასახელო. გაუგებრობანი რომ არ წარმოიქმნას, ხაზს ვუსვამ, რომ სახელებს პროცესის ტიპური თავისებურებების ილუსტრი-რებისათვის ვიღებ და მეტი არაფერი; რომ ამა თუ იმ პოეტს სულაც არ მოვიხსენიებ აუცილებლად მათი მხატვრული მნიშვნელოვნების რიგით და რომ ჩემი არჩევანი სულაც არ ნიშნავს დასახელებული პოეტების უპირატესობას მათზე, რომლებიც არ დავასახელე. ამას გარდა, ნებისმიერი ასეთი რევოლუცია საკუთარ თავში ცნობილ წინააღმდეგობას მაღავს: პოეტთაგან ზოგიერთნი,

რომელთაც უარი არ თქვეს იმ მანერაზე, „ტრადიციულად“ რომ ითვლება, თავისებურად პირველხარისხოვანი ოსტატები არიან, და ისტორია მათ ხანდახან უფრო უხვად მიაგებს, ვიდრე პოეტებს, რომლებმაც ახალ საშუალებებს მიმართეს.

ჩვენი საუკუნის პირველ ათწლეულში საქმის ვითარება პოეზიაში უჩვეულო გახლდათ. არ შემიძლია გავიხსენო არცერთი იმ პოეტთაგან, იმ დროს საკუთარ მწვერვალებს რომ მიაღწიეს (როგორც ინგლისში, ისე ამერიკაში), ვისი შემოქმედებაც შეძლებდა, გზა ეჩვენებნა ახალგაზრდა მელექსისათვის, საკუთარ თავში ახალი პოეტური მეტყველების ძიების სურვილს რომ აცნობიერებდა. ვიქტორიანული ეპოქა უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. ჩვენი სიმპათიები, თუ მეხსიერება არ მღალატობს, იმ პოეტებს ეჯუთვნოდა, ვის სახელებსაც 90-იანი წლების ინგლისურ პოეზიაზე საუბრისას მოიხსენიებენ; მაგრამ ყველა ისინი, ერთის გარდა, უკვე საფლავში იყვნენ. გამონაკლისი უ.-ბ. იეიტსი გახლდათ; ის სხვებზე ახალგაზრდა იყო, უფრო ძლიერი და ჯანმრთელი ნატურით გამოიჩინდა და იმდენად ენაწყლიანი არ ყოფილა, როგორც ვერსიფიკატორთა კლუბის პოეტები, რომელთა შორისაც მისმა ახალგაზრდობამ გაიარა. მაგრამ მაშინ იეიტს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ნაპოვნი საკუთარი პოეტური ენა; მისი ტალანტის გაფურჩქვნა ვითან დაიწყო; ის მხოლოდ 1917 წლისათვის წარდგა დიდ თანამედროვე პოეტად, მაგრამ ამ დროისთვის თავად ჩვენ იმ მდგომარეობას მივაღწიეთ, როცა იეიტსი აღიქმებოდა არა როგორც წინამორბედი, არამედ, როგორც პატივსაცემი უფროსი თანამედროვე. 90-იანი წლების პოეტებმა, გარდა ახალი ინტონაციებისა, ერნსტ დოუსონის, ჯონ დევიდსონის და არტურ სამონსის ზოგიერთი ლექსიდან რომ გამოკრთება, მექვიდრეობად დაგვიტოვეს რწმენა იმისა, რომ შეიძლება, რაღაც ისწავლო ფრანგული სიმბოლიზმის პოეტთაგან, რომელთა უმრავლესობა ამ დროისათვის უკვე გარდაცვლილი გახლდათ.

მიზნად არ ვისახავ, დავახასიათო იმ ცვლილებათა არსი, რომლებიც შემდეგ მოხდა; მე, უბრალოდ, ამ ცვლილებათა მსვლელობას ვადევნებ თვალს. პოეზიის განახლება, მსგავსი იმისა, რომლის მოწმენიც ჩვენს საუკუნეში გავხდით, არ შეიძლება, სავსებით და მთლიანად პოეტების რომელიმე ერთი ჯგუფის

და, მით უმეტეს, ერთი რომელიმე პოეტის დამსახურება იყოს. მეცნიერებაში ხშირად გვიხდება იმაზე დაკვირვება, ახლახანს გაკეთებული მიგნება როგორ აღმოჩნდება ერთმანეთისაგან და-მოუკიდებლად მომუშავე მთელი რიგი მკვლევრების შრომის ნაყოფი, რომელთაგან თითოეული, სხვების არსებობაზე თავი-დას რომ არაფერი იცოდა, ხელის ცეცებით მიღიოდა იმავე შე-დეგამდე. შემდეგ, აღმოჩნდის პროცესის აღდგენისას, ხშირად ჭირს, მხოლოდ მისი აღმომჩენი მეცნიერის გენიას მიაწერო იგი. თანამედროვე პოეზიის ძიებათა ამოსავალ პუნქტად ჩვეულებ-რივ „იმაჟისტებად“ წოდებული ჯგუფის მოღვაწეობას მიიჩნევენ; ის ლონდონში 1910 წელს გაჩნდა. მე მის მონაწილეთა რიცხვში არ ვიყავი. ეს იყო ინგლისურ-ამერიკული ჯგუფი; ლიტერატუ-რის ისტორიკოსები ვერ მივიდნენ და, შესაძლოა, ვერც მივღენ – შეთანხმებამდე იმასთან დაკავშირებით, ვის ეკუთვნის თვით იმაჟიზმის გამოგონებისა და ჯგუფისათვის სახელის შერქმევის პატივი – ამერიკელ ეზრა პაუნდს, თუ ინგლისელ ტ.-ე. პიუმს. ჯგუფში შემავალ პოეტებს, ჩანს, აერთიანებდათ ყველასათვის საერთო გატაცება უახლესი ფრანგული პოეზიით, და, ასევე, ყვე-ლა მათგანისათვის დამახასიათებელი ინტერესი შემოქმედებითი განვითარების შესაძლებლობისადმი იმ პოეზიის შესწავლის გზით, თანამედროვეობისაგან დაშორებულ ეპოქაში, და არა-ინგლისურ ენაზე რომ შეიქმნა. ის ფაქტი, რომ იმაჟიზმს ამერიკაში უფრო სწრაფად და ფართოდ გაეცნენ, ვიდრე ევროპაში, აიხსნება ემი ლოუელის უკიდურესად აქტიური, ზოგჯერ უაზრო მოღვაწე-ობით, ლოუელისა, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო იმაჟისტური მოძრაობის დირექტორ-განმკარგულებლის მოვალეობანი; ამ მოძრაობის როლი კი საზოგადოდ და მთლიანად ის გახლდათ, რომ მან სტიმული მისცა პოეზიის შემდგომ ძიებებსა და განვითარებას.

ვფიქრობ, ჭეშმარიტების წინაშე არ შევცოდავ, თუ ვიტყვი, რომ მე-20 საუკუნის პოეზიის პიონერთა შორის ამერიკელები ინგლისელებს მხოლოდ რიცხობრივად კი არა, არამედ მათ მიერ შექმნილის ხასიათითაც აშკარად სჭარბობენ. რატომ მოხდა ასე, მხოლოდ შეიძლება ვივარაუდოთ. არ ვფიქრობ, რომ ეს აიხ-სნება პირველი მსოფლიო ომის ველებზე ინგლისელების უფრო მრავალრიცხოვანი დანაკარგებით; ომში დაღუპულ ყველა ინ-

გლისელ პოეტთაგან, რომელთა ლექსები დაბეჭდილია, ჩემი თვალსაზრისით, ყველაზე ცნობილი აიზეკ როზენბერგია, ის კი აკი არც მონაწილეობდა ახალი პოეზიისათვის მოძრაობაში. შესაძლებელია, საქმე ის გახლავთ, რომ იმ წლების ახალგაზრდა ამერიკელები ვიქტორიანული ტრადიციების ასეთ დაწოლას არ განიცდიდნენ, ახალი ზეგავლენების მიმართ უფრო მგრძნობიარენი და ექსპერიმენტებისათვის უფრო მომზადებულნი იყვნენ (როდესაც საკუთარი დაკვირვებებიდან გამოვდივარ, მინდა შევნიშნო, რომ ახლა ამერიკულ პოეზიაში ყველაზე სახიფათო ტენდენციად ორიგინალობა და ფორმალურ მონესრიგებულობაზე უარის თქმა იქცა, ინგლისურ პოეზიაში კი ამგვარივე საფრთხედ დარჩა ტრადიციულობა და ვიქტორიანულ ნიმუშებთან დაბრუნება). როგორც არ უნდა იყოს, საკუთარი თაობის გახსენებისას უნინარესად ვფიქრობ ეზრა პაუნდზე, უ.-კ. უილიამსზე, უოლეს სტივენსზე, და სიამაყით, – რამდენადაც საქმე ეხება წარმოშობით კიდევ ერთ სენტ-ლუისელს – მერიენ მორზე. და, როდესაც უფრო ახალგაზრდა თაობასაც მივმართავ, მე კვლავ და პირველ რიგში ვიხსენებ ამერიკულ სახელებს: კამინგსს, პარტ კერიისს, რენსს, ტეიტს. ყველა ეს სახელი ხომ მხოლოდ იმ პოეტებისაა, ვისი შემოქმედებაც სავსეა რადიკალური ექსპერიმენტებით; ხოლო თუ ავიღებთ პოეტებს, ვისი ლექსიც მხოლოდ ნოვატორობით კი არა, არამედ ტრადიციებთან სიახლოებითაც არის აღბეჭდილი, ცნობილი სახელები ამერიკაში ნაკლები არ აღმოჩნდება, ვიდრე ინგლისშია. ეს კი – ახალი მოვლენა გახლავთ. მე-19 საუკუნეში პოდა უიტმენი, როგორც ორი პიკი, სხვებზე მეტად ამაღლდნენ და ერთადერთი იყვნენ, ვინც საერთაშორისო აღიარებას მიაღწიეს; უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე კი ამერიკულმა პოეზიამ პირველად შეიძინა ერთიანი, თავისითავადი და განსაკუთრებული მოვლენის სახელი და, სწორედ როგორც მოვლენა, იქნა იგი აღქმული და მიღებული ინგლისში და ევროპის კონტინენტზე.

მე მხოლოდ ფაქტებს გადმოცემ, თანაც იმათ, რომელთაც ცხადად მივიჩნევ. 30-იან წლებში, ჩანს, საქმის ვითარება მკვეთრად შეიცვალა: ამ ათწლეულისთვის პოეზიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა – უ.-ხ. ოდენია, თუმცა იმ დროის ინგლისელ პოეტებში არიან სხვებიც, რომელთა საუკეთესო ლექსები, ჩემი აზრით, ისტორიაში ზუსტად ისევე დარჩება, როგორც ოდენისე-

ულნი. არ მსურს, მსაჯული გავხდე იმ საკითხისა, ოდენი ინ-
გლისელი პოეტია თუ ამერიკელი; მისი შემოქმედებითი გზა ჩემ-
თვის ჭკუის სასწავლებელი აღმოჩნდა იმ აზრით, რომ დამებარა,
მეპოვა პასუხი იმავე კითხვაზე, რომელსაც თავად ჩემი მისამარ-
თით სვამენ; ასეთ შემთხვევებში მე ვპასუხობ: „გადაწყვიტეთ,
რომელი ქვეყნის პოეზიას მიაკუთვნებთ ოდენს, და მაშინ, ალბათ,
მე საპირისპირო მხარეს უნდა მიმათვალოთ“. დღეს ინგლისშიც,
ამერიკაშიც არის რამდენიმე საინტერესო ახალგაზრდა სახელი,
ინგლისი კი რამდენიმე ნიჭიერი პოეტი-ვალიელით გამდიდრდა.
მაგრამ მე, საკუთრივ, ჩემს ძალზე თავისუფალ მიმოხილვაში
მსურდა, მხოლოდ ერთი რამისათვის გამესვა ხაზი. ჩემს დროს
ერთობლივი ინგლისურ-ამერიკული გავლენა შეინიშნებოდა, და
მე მგონია, რომ ლიტერატურა ამით ატლანტიკის ორივე მხარეს
იგებდა. მაგრამ ამ ურთიერთგავლენამ უერ მიგვიყვანა იქამდე,
რომ ინგლისური და ამერიკული პოეზია რაღაც ერთაშორის
მთლიანობად შერწყმულიყო, თუმცა დღეს პოეზია, რომელიც
ატლანტიკის აქეთა მხარეს იქმნება, შეიძლება მონმობდეს უფრო
ახლო ნათესაობას იქითა მხარეს შექმნილ პოეზიასთან, ვიდრე ეს
უფროსი თაობის დროს იყო. მე არ მგონია, რომ შესაძლებელია,
მოინახოს მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი განსაზღვრება
განსხვავებებისა ინგლისურ და ამერიკულ „ტრადიციას“ შორის;
როგორც კი ამგვარი განსაზღვრება შემუშავდება, იქვე უეჭვე-
ლად გამოჩენდება პოეტი, რომელიც ვერაფრით მოთავსდება ამ-
გვარ განსაზღვრებაში და მას მით ნაკლებად მიუახლოვდება, რაც
უფრო გულმოდგინედ იქნება არგუმენტირებული განსაზღვრება.
ამასთან, ის დარჩება სრულად ინგლისელ პოეტად, ან იმავე ზო-
მით – ამერიკელად. თვით ტრადიცია, როგორც უკვე დიდი ხნის
წინ ვწერდი, ყოველი ახალი ცნობილი მწერლის გამოჩენით იც-
ვლება. რჩება განსხვავება, განსაზღვრებას რომ არ ექვემდება-
რება, მაგრამ ის დარჩება; და, მე მგონია, ამგვარადაც უნდა იყოს,
რადგან ინგლისურ და ამერიკულ პოეზიას მხოლოდ თავიანთი
განსხვავებების შენარჩუნებით შესწევთ უნარი, ერთმანეთს და-
ეხმარონ და თავიანთი წვლილი შეიტანონ განახლების უსასრულო
პროცესში, რომელიც როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს მოიცავს.

1953 წ.

კომენტარი:

1. ედვარდსი, ჯონათან (1703-1758) – ამერიკელი ფილოსოფოსი და ლიტერატურული მეცნიერებელი.
2. ... სამ დიდ პოეტს... – იგულისხმება შარლ ბოდლერი (1821-1867), პოლ ვერლენი (1844-1896), სტეფან მალარშე (1842-1898).
3. ლირი, ედვარდ (1812-1888) – ინგლისელი პოეტი, მხატვარი და მოგზაური, სახუმარო ლექსებისა და საბავშვო ინგლისური ხალხური ლექსების სულისკვეთების ზღაპრების ავტორი.
4. ჰოპკინსი, ჯერარდ მენლი (1844-1889) – ინგლისელი კათოლიკე პოეტი. სიცოცხლეში არაფერი დაუბრჭდავს, პირველი კრებული 1918 წელს გამოვიდა. ჰოპკინსის რიტმულმა ნოვაციებმა და რელიგიური რწმენის სილრმემ ელიოტის 20-30-იანი წლების პოეზიაზე გარკვეული გავლენა მოახდინა.
5. შოთორნი, ნათანიელ (1804-1864) – ამერიკელი ნოველისტი.
6. კონრადი (კოუნიოვსკი), ჯოზეფ (1857-1924) – ნარმოშობით პოლონელი, წერდა ინგლისურ ენაზე. მხოლოდ სიმდიდრის დაგროვებით დაკავებული ადამიანების მოსაწყენ ყოფას მწერალი უპირისპირებს თავ-გადასავლების მაძიებელთა მჩქეფარე ცხოვრებას, ზღვის რომანტიკას, შორეული ქვეწების ეგზოტიკას.
7. იეიტსი, უილიამ ბატლერი (1865-1939) – ირლანდიელი პოეტი; მისი ადრეული ლექსები დაწერილია ირლანდიური ხალხური სიმღერის, ბალადის უანრში. შედეგად შეინიშნება ლექსის გართულება, სიმბოლიკით მისი გადატვირთვა. რიგი საინტერესო სტატიების ავტორი პოეზიასა და თეატრზე. ნობელის პრემიის ლაურეატი (1923).
8. დოუსონი, ერნესტ (1867-1900), დევიდსონი, ჯონ (1857-1909), საიმონზი, არტურ (1865-1945) – ინგლისელი პოეტები, რომლებიც 90-იან წლებში უურნალ „ყვითელი წიგნის“ ირგვლივ დაჯგუფდნენ. ა. საიმონზი ასევე ინგლისური სიმბოლიზმის გამოჩენილი თეორეტიკოსი გახლდათ.
9. იმაჟისტები – (სიტყვიდან იმაგე – სახე, ხატი) – მიმდინარეობა მე-20 საუკუნის ინგლისურ-ამერიკულ პოეზიაში. მისი თეორეტიკოსები იყვნენ: ინგლისელი კრიტიკოსი და პოეტი ტ.-ე. ჰიუმი (1883-1917) და ამერიკელი პოეტი ეზრა პაუნდი (1885-1972). იმაჟისტები მძაფრად შეიგრძნობდნენ ბურჟუაზიული საზოგადიების მერყეობას და დახვეწილი კულტურის იდუმალი კუნძულის შექმნას ცდილობდნენ. პოეზიაში იყენებდნენ ზუსტ,

კონკრეტულ, მატერიალურად შეგრძნებად სახეებს, რომლებიც ერთ-მანეთთან დაკავშირებული არ იყო, რაც მოწმობდა ავტორთა სწრაფვას, თავი აერიდებინათ ყოველგვარი განზოგადებისაგან.

10. ლოუელი, ემი (1874-1925) – ამერიკელი პოეტი ქალი, 1912 წელს იმაჟისტებს შეუერთდა და მალე სათავეში ჩაუდგა ახალ მიმართულებას ამერიკაში.

11. როზენბერგი, აიზე (1890-1955) – ინგლისელი პოეტი და მხატვარი.

12. უილიამსი, კარლოს უილიამ (1883-1963) – ამერიკელი პოეტი, ად-რეულ ლექსებში იმაჟისტებს გავლენს განიცდიდა.

13. სტივენსი, უოლეს (1879-1955) – ამერიკელი პოეტი, განიცდიდა ფრანგი სიმბოლისტების გავლენას, ავტორი კრებულებისა: „პარმონიუმი“, 1931; „ბუს საკენცი“, 1936; „ადამიანი ცისფერი გიტარით“, 1937.

14. ოდენი, უისტერ ჰიუ (1907-1973) – ინგლისელი პოეტი, 1939 წლიდან აშშ-ში ცხოვრობდა. ოდენის 30-იან წლების შემოქმედებაში აშკარაა დემოკრატიული მისწრაფებანი (კრებული „შეხედე, უცნობო“, 1936; „ესპანეთი“, 1937). ოდენის მოგვიანო ლექსებში რელიგიური ძიებები ძლიერდება.

15. მორი, მერიენ – ამერიკელი პოეტი ქალი. მისი ლექსების კრებულმა, რომელიც 1951 წელს გამოვიდა, პულიტცერის პრემია მიიღო.

16. კამინგსი, ედვარდ (1894-1962) – ამერიკელი პოეტი მოდერნისტი. უნინარესად ცნობილია თავისი ფორმალური ექსპერიმენტებით: მისი ლექსები – შარადებია, რომლებიც კითხვის განსაკუთრებით დახვენილ მეთოდს მოითხოვს. მის ტრადიციულ ლექსებში იგრძნობა გულწრფელობა, სიცოცხლის სიყვარული და ანტისაომარი განწყობა.

17. კრეინი, ჰარტ (1899-1932) – ამერიკელი პოეტი-მოდერნისტი, ავტორი ლექსების ორი კრებულისა: „თეთრი შენობები“, 1926, „ხიდი“, 1930.

18. რენსომი, ჯონ კროუ (1888-1974) – ამერიკელი პოეტი და კრიტიკოსი, ერთ-ერთი დამაარსებელი ლიტერატურული ჯგუფისა „ლტოლვილები“ და იმავე სახელწოდების უურნალისა (დ. დევიდსონთან, ა. ტეიტთან და რ.-პ. უორენთან ერთად.

თარგმნა მანანა კვატაიაშვილი

სარჩევი

ვექტორები

ადა ნემსაძე

„მოზელილ ტალახს შეყოლებული“
მოურჩენელი ტკივილები
(ბექა ქურთულის „თვალდაკარგული
ყივჩალის ჩანაწერები
ანუ დეშტი-ყიფჩალი“).....3

სოფო წულაძა

ნაირა გელაშვილის „ჩემი ჩიტი,
ჩემი თოკი, ჩემი მდინარე“.....36

ზოია ცხადაძა

„დრო... სევდიანი ლიტერატურის“.....43

გია არგანაშვილი

ვიდრე პერსონაჟი დაიბადება
(ლიტუანი გამოცემული თანამედროვე
ქართველ პროზაიკოს ქალთა ანთოლოგიისათვის).....55

მაია ჯალიაშვილი

სევდისა და სიყვარულის
მსუბუქი არომატები
(მაია ცირამუას რომანზე
„მშვიდობით, ძია გერშვინ“).....68

ნონა კუპრეიშვილი

ირაკლი კაკაბაძე:
ევკალიპტი, ვაზი და საკურა.....77

ლევან გელაშვილი	
კინოფილმის აქტივაცია ტექსტში (კოტე ჯანდიერის „დაპატიუება კინოში“).....	85
კულტურა	
ლელა იაკობიშვილი-ფირალიშვილი	
„სიყვარული საჭიროა, ის სიკვდილსა მიგვაახლებს“	96
ხელოვნება	
ზაზა ფირალიშვილი	
რამდენიმე ჩანაწერი ქართველი მხატვრების შესახებ.....	103
ურნალისტიკა	
მანანა შამილიშვილი	
პოსტ(თ)მწერლობა, როგორც ამბის თხრობა, ქსელურ მედიაში.....	126
MEMORIA	
ჭაბუა ამირეჯიბი – 100	
ლალი ავალიანი	
მზეჭაბუკი.....	138
გაცილება	
მაკა ჯოხაძე	
დოჩიანა.....	149

გია არგანაშვილი	
ჰარი-ჰარალე, დედაო, ანუ იცი, დედა, სად ვიყავი მე? (რეზო გაბრიაძის შემოქმედებითი პორტრეტისათვის).....	181
მირანდა ტყეშელაშვილი	
მემკვიდრეობა (ანზორ ერქომაიშვილის ხსოვნას).....	197
 <i>ESSAY</i>	
მანანა კვაჭანტირაძე	
ჩანაწერები.....	213
ნომრის სტუმარი	
მიგელ დორსი	
(პუბლიკაცია მოამზადა, ინტერვიუ და ლექსები ესპანურიდან თარგმნა ქეთევან ჯიშიაშვილმა).....	235
გამოხმაურება, რეცენზია	
მირანდა ტყეშელაშვილი	
„დამარხული ვაზი“	251
XX საუკუნის ლიტერატურული აზროვნების ისტორიიდან	
აკაკი ბაქრაძე	
დავიწყებული იდეა.....	260

თომას სტერნზ ელიოტი	
სტატიიდან „ამერიკული ლიტერატურა და ამერიკული ენა“	
(თარგმნა მანანა კვატაიამ)	285